

ციალა კახაბრიძე

ქართული
ლიტერატურის საკითხები

თბილისი
2016

რედაქტორი:

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

მიხეილ ქავთარია

ციალა კახაბრიშვილის ბიოგრაფია

ციალა კახაბრიშვილმა 1952 წელს დაამთავრა თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. 23-ე საშუალო სკოლა.

1957 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი.

1961-1964 წლებში სწავლობდა აკად. ალექსანდრე ბარამიძის ხელმძღვანელობით უნივერსიტეტის ასპირანტურაში. ალექსანდრე ბარამიძემ დიდი წვლილი შეიტანა ც. კახაბრიშვილის მეცნიერად ჩამოყალიბებაში.

1959 – 1968 წლებში მუშაობდა საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობაში ჯერ კორექტორად, შემდეგ კი – რედაქტორად.

1968 წლის 14 თებერვლიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში.

მისი სადისერტაციო ნაშრომი „იოანე მამუჩაშვილის ცხოვრება და ლიტერატურული მოღვაწეობა“ დაიბეჭდა თბილისის ლიტერატურის ინსტიტუტის კრებულში „XVIII ს. ქართული ლიტერატურის საკითხები“, 1965 წელს.

მოცემულ წიგნში დაბეჭდილი ნაშრომების გარდა, ც. კახაბრიშვილმა ც. კიკვიძესთან ერთად დაამუშავა იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“. დაიბეჭდა I და II ტომი. III ტომი გადაეცა სტამბას დასაბეჭდად, ხოლო IV ტომი იყო სრულად დამუშავებული ტექსტი ხელნაწერის სახით.

ც. კახაბრიშვილმა თ. ბრეგაძესთან ერთად შეადგინა გორის, ზუგდიდისა და ბათუმის მუზეუმების ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. გორის სახელმწიფო ისტორიულ – ეთნოგრაფიული მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა დაიბეჭდა 2002 წელს.

მან აღწერა ხელნაწერთა ინსტიტუტის უძველესი (A) ფონდის ხელნაწერების ერთი ნაწილი. იგი მონაწილეობდა Q ფონდის ხელნაწერების აღწერაში.

დაიბეჭდა მისი შემდეგი ნაშრომები (თანაავტორი ლ. ქუთათელაძე): ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A კოლექცია) – AI₂, 1976 წელს, AI₄, 1985 წელს, II 1986 წელს.

წლების განმავლობაში მუშაობდა პეტერბურგში მიხეილ ქავთარიასთან ერთად სალტიკოვ-შჩედრინის სახ. ბიბლიოთეკაში დაცულ ქართულ ხელნაწერთა აღსაწერად.

მონაწილეობდა XIX ს. II ნახევრის ქართველ მოღვაწეთა პირადი არქივების პირთა და გეოგრაფიულ სახელთა საძიებლების შედგენაში.

ციალა კახაბრიშვილი გარდაიცვალა 2005 წლის 9 მაისს.

ვუძღვნი ჩემი მასწავლებლის
ეკატერინე ბერიძის ნათელ სსოვნას

ვეფხისტყაოსნის ერთი ეპიზოდის ფოლკლორული პარალელი

რუსთველოლოგიური მეცნიერებისათვის ცნობილია, რომ ქართულ ფოლკლორს თავისი სიტყვა აქვს ნათქვამი ვეფხისტყაოსნის მხატვრულსა თუ შინაარსობრივ-იდეურ მხარეში. ვეფხისტყაოსნის მხატვრული ხერხების, ცალკეული გამოთქმების, აფორიზმების ნაწილი ხალხური გენი-იდან იღებს სათავეს: ქართული ფოლკლორის, ქართული ზღაპრების ანარეკლები დაძებნილია ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის ცალკეულ დეტალებში, ცალკეულ მოტივებში, ასე მაგალითად:

ნესტანდარეჯანის ციხიდან გამოსხნისათვის მებრძოლი ვაჟკაცები – ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი, ყამარ ქალის კოშკიდან მომტაცებელი ქართული ფოლკლორის სახელგანთქმული გმირების – ამირანის, ბადრისა და უსუპის ასოციაციას იწვევენ.

ვეფხისტყაოსნის ქაჯები, დევებთან ბრძოლა, უთვალავი საჭურჭლეების პოვნა-ბოძება, ნესტანის კიდობნით ზღვის გადაცურვა და სხვა... ზღაპრული ელფერით მოსავს პოემას.

ამჟამად ჩვენ გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ვეფხისტყაოსნის ერთ ეპიზოდზე, რომლის აგებულება ძალიან გვაგონებს ქართული ზღაპრების ერთ დამახასიათებელ ეპიზოდს, მის სტრუქტურას.

ეს არის, ძირითადად, ასმათისა და ავთანდილის შეხვედრის ეპიზოდი. ამ ეპიზოდამდე კი შეგვიძლია გავაკეთოთ რამდენიმე შენიშვნაც.

ცნობილია, რომ ქართული ზღაპრის კომპოზიცია, სტრუქტურა, იცნობს მრავალ მზა ფორმულას, რომელიც მართლაც მზამზარეულად მეორდება ყოველ ზღაპარში, თუკი მისი შინაარსი ამას მოითხოვს.

ასეთია, მაგალითად, ქართული ზღაპრების პროლოგი და ეპილოგი: იყო და არა იყო რა და ჭირი იქა, ღხინი აქა.

ასეთია ქართული ზღაპრის მრავალი ეპიზოდი, მაგალითად: ქართული ზღაპრის გმირს დამეგობრებული ჯადოსნური ფრინველი ან ცხოველი (რაში იქნება ის, ფასკუნჯი, თევზი თუ სხვა) აძლევს ამ ჭაბუკს თავის თმას, ან ბუმბულს, ან ფხას და ეუბნება: როცა დაგჭირდეს, მაშინ ამოიღე ეს, მახსენე და მაშინვე შენთან გაეჩნდება.

მრავალფეროვან ქართულ ზღაპრებს ასეთი მრავალი მზა ფორმულა გააჩნია, ჩვენ გვაინტერესებს ზოგიერთი მათგანი.

ქართული ზღაპრის გმირი ვისიმე დავალებით (მეფის, მამის, სატრფოს და სხვა) მიდის მეტად საფათერაკო გზაზე რაიმე ძვირფასი ან საინტერესო ნივთის მოპოვებისა თუ რაიმე საიდუმლოს შეტყობის მიზნით (უკვდავების წყალი, ოქროს ფრინველი, იამ რა უთხრა ვარდსა და სხვა). მისი გაგზავნის მიზეზი სხვადასხვაა – ან მისი დაღუპვა უნდათ, ან მისი ვაჟკაცობის გამოცდა, ხან კი ამას თხოულობს სახელმწიფოს, მეფის, მამის ან სატრფოს ინტერესები.

ქართული ზღაპრის ფორმულის მსგავსი რამ შენიშნულია ავთანდილის თავგადასავალში. მასაც გარკვეული დავალებით აგზავნიან მეტად სახიფათო გზაზე. დავალების მოტივი რომ ხალხურია, ამაზე მითითებული აქვს პროფ. ვუკოლ ბერიძეს,¹ მაგრამ მარტო ამით არ ამოიწურება ქართული ზღაპრის გმირისა და ავთანდილის ბედის მსგავსება. ავთანდილის თავგადასავალში შეიძლება ქართული ზღაპრის მზა ფორმულების სხვა ანარეკლების ძებნაც. ამის ნათელყოფის მიზნით, რუსთველის სიტყვებით რომ ვთქვათ, – ერმასა წარგვეთ წამავალსა.

ჯერ დავუბრუნდეთ ქართულ ზღაპარს.

ზღაპრის გმირს დავალების შესრულებისათვის აძლევენ, ან თვითონ თხოულობს, გარკვეულ დროს, ვადას – ცხრა თვე, ერთი წელი, ორი წელი და სხვ. უმეტეს შემთხვევაში

¹ ვუკოლ ბერიძე, „ვეფხისტყაოსნის“ ხალხურობისათვის (რუსთველოლოგიური შტუდიები, თბ., 1961, გვ. 255)

ეს ვადა სამი წელია, რადგან სამი საყვარელი რიცხვია ქართული ზღაპრებისა. ხშირად ეს ვადა ასეთი სახისაა: სამი წელი, სამი თვე, სამი კვირა, სამი დღე და სამი საათი.

ამასვე ვხედავთ ვეფხისტყაოსანში. ავთანდილსაც და-ვალების შესრულებისათვის უნიშნავენ ვადას, უფრო სწორად, ვადას უსაზღვრავენ სამი წლით¹.

ამრიგად, დავალების შესასრულებელი ვადის განსაზღვრულობა ქართული ზღაპრისებურია.

ქართულ ზღაპარში:

დავალებამიცემული გმირი სათავეგადასავლო ვადის განსაზღვრის შემდეგ თავისიანებს ხშირად ასე უბარებს: თუ ამ დროში დავბრუნდი, ხომ კარგი, თუ არა და, მკვდრად ჩამთვალეთ და მიტირეთო

ვეფხისტყაოსანში:

ზუსტად ასევე იქცევა ავთანდილიც. იგი ქართული ზღაპრის გმირივით უბარებს შერმადინს: 164 (3)

აქათ სამ წელს არ მოვიდე, მაშინ გმართებს გლოვა ფლასი².

ქართულ ზღაპარში:

როგორც წესი, ქართული ზღაპრის გმირი თავის საწადელს მაშინ აღწევს, როცა დათქმული ვადა უკვე იწურება, უკანასკნელი საათებიდა რჩება. იგი ჯადოსნური რაშის, ან სხვა საშუალებით ახერხებს უკანასკნელ წუთს დანიშნულ ადგილზე მისვლას. ხშირად სახელმწიფო უკვე შავებშია (თუ მოყმე მეფისაგან არის გაგზავნილი), როცა გმირი ბრუნდება.

¹ შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბ., 1951.

² საერთოდ, რიცხვი სამი ნიშანდობლივია ვეფხისტყაოსნისათვის, აქ იგრძნობა ეპოსის გავლენა (მ. ჩიქოვანი, ქართული ფოლკლორი, თბ., 1946, გვ. 397-398; ალ. ბარამიძე, შოთა რუსთაველი, თბ., 1958, გვ. 309);

ვეფხისტყაოსანში:

ავთანდილიც ვერ პოულობს საძებარს მანამ, სანამ დათქმული ვადა – სამი წელი არ ამოიწურება. მან, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართული ზღაპრის გმირივით იარა, იარა, ცხრა მთა გადაიარა, და სანამ იმ გადაშლილ მინდორს მიაღვა, სადაც ტარიელისაგან ნაცემი ქურდი ძმები ნახა, სამი წელი უკვე გავიდა (182):

ყოვლი პირი ქვეყანისა მოვლო, სრულად მოიარა,
მაგრა იგი მის ამბისა მსმენელსაცა ვერ მიმხვდარა,
ამაშიგან წელიწადი სამი სამ თვედ მიიყარა.

ქართული ზღაპრის გმირი ხშირად მიაღგება ხოლმე დევის სახლს (ან მზის, გველეშაპის, საერთოდ, სახიფათო არსების). სახლის მცველად არის ყოველთვის ქალი, ამ სახიფათო არსების დედა, მაგალითისათვის, დევის დედა. გმირ ჭაბუკსა და ამ ქალს შორის იმართება ასეთი დიალოგი:

– „დედავ, დედაშვილობას წყალი დამალევენო“ – ეუბნება გმირი

– „დედაშვილობა არ გეთქვა, მე ვიცოდი, რა შავ დღესაც დაგაყენებდი, მაგრამ ახლა რაღა გიყოვო“ – პასუხობს დევის დედა.

ამრიგად, გმირი დევის დედის გულის მონადირებას ახერხებს მხოლოდ განსაკუთრებული სიტყვით – „დედაშვილობას“. ეს სიტყვა ანიარადებს ბოროტი განზრახვებისაგან სახიფათო არსების დედას და მას, პირიქით, გმირის მფარველად და კეთილისმზრახველის როლში აქცევს.

დავუბრუნდეთ ვეფხისტყაოსანს.

ავთანდილს ტარიელთან პირისპირ შეყრისა ეშინია; ეს სიკვდილს ნიშნავს. ტარიელი მისთვის ისეთივე სახიფათო არსებაა, როგორც დევი ზღაპრის გმირისათვის. მის ბინაზე იგი შეხვდება ქალს – ასმათს, სახიფათო არსების – ტარიელის მახლობელს. ასმათის გულის მონადირებას ავთან-

დილი ახერხებს მხოლოდ მაშინ, როცა ახსენებს სიტყვას „მიჯნურობა“. ამ სიტყვის ხსენებაზე, მტრულად განწყობილი ქალი მოღბება, და ჭაბუკის თანამგრძობლად შეიქნება. როგორც დევის დედა ეუბნება გმირს „დედაშვილობას არ გეთქვამო“... ასევე ასმათი ეუბნება ავთანდილს (252, 24):

ეგე სიტყვა მოიგონე დია რამე უკეთესი,
წელან საქმე მტერობისა, გულსა ჩემსა შთამოსთესი,
აწ მოყვარე გიპოვნეივარ, დისაგანცა უფრო დესი.

და შემდეგ (253, 1,2):

მაშა რათგან მიჯნურობა შენად ღონედ მოიგონე,
არ ეგების, ამას იქით თუმცა თავი არ გამოხე;

ქართულ ზღაპარში:

ზღაპრის გმირისა და დევის დედის ხსენებული დიალოგის შემდეგ დევის დედა აფრთხილებს გმირს – ახლა დაიმაღლე, თორემ ჩემი შვილის მოსვლის დროა და რომ მოგისწროს, შეგჭამსო. გმირი და ქალი ლაპარაკში რომ არიან გართული, ამ დროს ატყდება მიწისძვრა, ქარი ამოვარდება და სხვ. გმირი იკითხავს – „რა არისო?“, დევის დედა მიუგებს – „არიქა, შვილო, დაიმაღლე, თორემ დევი მოდის და შეგჭამსო“. და თვითონ მაღავს ჭაბუკს, ან უბრალოდ, ან სხვა საგნად გადაქცევის საშუალებით – აქცევს ნემსად და ბალიშზე დააბნევს, ცოცხად აქცევს, ნაფოტად და სხვ.

ვეფხისტყაოსანშიც ასმათი და ავთანდილი ლაპარაკით რომ არიან გართული, ამ დროს რაღაც ხმაური მოესმებათ (263,2)

ამას ზედა მიიხედეს, ხევით ესმა ჩხაპუნება;

ასმათი ავთანდილს ურჩევს დამაღვას. (264):

ქალმან უთხრა: ყმაო მოგცა უამად ღმერთმან, რაცა გინა,
მაგრა თავი უჩინო ქმენ, დამაღული იყავ შინა;

ამა ყმისა მეუნებლჳ, ხორციელი არავინ ა,
ნუთუ ვით რა მოვაგვარო, შენი ნახვა არ ეწყინა.

ამ გაფრთხილების შემდეგ ასმათი მართლაც სასწრა-
ფოდ მაღავს ავთანდილს, (265, 1):

ავთანდილ ქაღმან დამალა ქვაბს დამალვითა მალითა.

ზღაპრის მიხედვით, შევა თუ არა დევი თავის სახლში,
დაიბახებს:

– „ადამიანის სუნი მომდისო!“

– დევის დედა მოჰყვება ფიცს:

– რას ამბობ, შვილო, შენი შიშით ცაში ფრინველს ვერ
გაუვლია და ძირს ჭიანჭველას, და ადამიანს აქ რა უნ-
დაო“. დევი თავისას არ იშლის; მაშინ დედა ჰპირდება მას
ადამიანის გამოჩენას, ოღონდ იმ პირობით, რომ დევი მას
არაფერს დაუშავებს. დევი აძლევს ფიცს და დევის დედას
გამოჰყავს დამალული. დევისა და გმირის შეხვედრა მშვი-
დობიანად მიიმართება. დევი, პირიქით, ეხმარება მას შემდე-
გი სიძნელეების დაძლევაში.

ხან დიალოგს ასეთი სახეც აქვს:

– ამ დროს მოვიდა მზეც. დედას აუტყდა – ადამიანის
სუნი მომდისო!

– არა შვილო, აქ ადამიანს რა უნდა, რას მოიგონებ
ხოლმეო.

– როგორ არა, ადამიანის სუნი მომდისო!

– ნეტავ იყოს ადამიანი შვილო, ხმას მაინც არის გამცე-
მდა, სიმარტოვით ღამის გამოვყრუვდე“!

ვეფხისტყაოსანში:

ტარიელის მოსვლის შემდეგ, ასმათი გამოჰკითხავს მას-
მალე დაბრუნების მიზეზს და შემდეგ ნელ-ნელა შეაპარებს
სხვა ადამიანთან სიახლოვის აზრს (273):

ყოველი პირი ქვეყანისა ერთობ სრულად მოგივლია,
ერთი კაცი შემაქცევრად შენად ვითა დაგვლია?

გეახლოს და არ გაშმაგდე, თუმცა ჭირი არ გაკლია

შენ მოჰკვდე და იგი წახდეს, ესე შენთვის რა მადლია?

¹ „ედემის ყვავილი“, ქართული ხალხური ზღაპრები 1951 წ.

შორიდან შემოვლით ასმათი ბოლოს გაუბედავს ტარიელს, რომ ფიცი მომეც, კაცი რომ გამოვანჩინო, არ მოჰკლავო (278):

ქალმან კელა ჰკადრა: „გავსაჯე მეტითა შეგონებითა, მაგრა თუ კაცი მოგგვარო, მოგყვეს თავისა ნებითა, იგი გეახლოს, ილხენდე მისითა შემეცნებითა, ფიცე არ მოჰკლა, არ იყო არ სავენებლისა ვნებითა“.

ტარიელი აძლევს ფიცს და ასმათს გამოჰყავს დამალული ავთანდილი. ტარიელისა და ავთანდილის შეხვედრა მეგობრულია.

ამრიგად, როგორც ვნახეთ, ავთანდილის სათავგადასავლო ხაზს ეძებნება ქართული ფოლკლორული პარალელი. აქედან განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ავთანდილის ასმათთან და ტარიელთან შეხვედრის ეპიზოდი. აქ ქართული ზღაპრის მხოლოდ ერთი ცალკეული მზა ფორმულის გამოყენებასთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ ამ ფორმულების თანმიყოლებასთან, გადაბმასთან, მათ თანმიმდევრობით განვითარებასთან, რაც ქმნის ვეფხისტყაოსნის ერთი მონაკვეთის მთლიან სიუჟეტურ ჯაჭვს.

ზღაპრის გმირის დევის დედასთან შეხვედრის ეპიზოდი ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული ეპიზოდია ქართულ ზღაპრებში.

გენიოსმა რუსთაველმა იგი ოსტატურად შენიღბული სახით წარმოგვიდგინა პოემაში.

დასკვნითი სახით ასე წარმოგვიდგება ვეფხისტყაოსანში ქართული ზღაპრების მზა ფორმულების გამოყენების სქემა:

1. გმირ ჭაბუკს ეძლევა საფათერაკო დავალება.
2. ინიშნება დავალების შესასრულებელი ვადა
3. გმირის დაბარების თანახმად, ვადის გადაცილების შემთხვევაში იგი დაღუპულად ითვლება.
4. დავალების შესრულება ხერხდება მხოლოდ დათქმუ-

ლი ვადის მიწურულში.

5. გმირი ხვდება სახიფათო არსების ბინაზე ამ არსების ახლობელ ქალს.
6. ქალის გულის მონადირებას გმირი ახერხებს განსაკუთრებული სიტყვის მეშვეობით.
7. სახიფათო არსების მოახლოების შემჩნევა ხდება ხმაურის საშუალებით.
8. ქალის მიერ გმირის დამალვა.
9. ქალის მიერ შემოვლითი გზით სახიფათო არსებისაგან ფიცის მიღება დამალულის ხელშეუხებლობაზე.
10. დამალული გმირის გამოჩენა.
11. მეგობრული შეხვედრა.

ლიტერატურის ინსტიტუტის საიუბილეო
კრებული „შოთა რუსთაველი“ 1966 წ.

ნიკოლას იეროდიაკონის წინასიტყვაობის

რუსთველოლოგიური ლიტერატურა იცნობს ვინმე ნიკოლას იეროდიაკონს, რომელსაც გადაუწერია ვეფხისტყაოსნის ვრცელი რედაქციის შემცველი ტექსტი (ხელნ. H 2055) და წინ ლექსად წაუმძღვარებია საკუთარი წინასიტყვაობა.

ვეფხისტყაოსნის ამ გადამწერს მკვლევართა ყურადღება იმით დაუმსახურებია, რომ თავის შეთხზული „წინასიტყვაობის“ ბოლო სტროფში „უდიერად მოუხსენიებია რუსთველი“¹.

რუსთველო, ახ თუ დრო გაქუს, მიტომ აგეთ ლექსთა ჩმახავ,
ადექ, მოდი, ერთად დავსხდეთ, ერთად ვსწეროთ, მაშინ გნახავ,
ლაგაზივით წამოგწვდები, ეს კი ვიცი ვერ გაგლახავ
და ამას წინათ შენს დროებში დაგავიწყებ რაც გინახავ.

რუსთველისადმი ეს უდიერება არ არის გამოწვეული ავტორის მტრული დამოკიდებულებით ვეფხისტყაოსნის მიმართ, ნიკოლასის ლექსის პირველ სტროფებში ჩანს მისი სიყვარული ამ პოემისადმი. იგი მკითხველებს მიმართავს: „სიყვარულით დასხდებოდეთ, ამ წიგნით გქონდესთ შექცევა“-ო. მას მიაჩნია აგრეთვე, რომ პოემის გადაწერა ღვთის სადიდებელი საქმეა და მხოლოდ უვიცს შეუძლია ამ საქმის დაძრახვა. იგი ასე მიმართავს ღმერთს:

რადგან მაქვს შენი ბეჭედი თავსა, მკერდსა და ფერხთაცა,
ამას თუმც ვსწერ, მე შენ გაქებ, არ ვიქმ საქმეს საძრახთაცა,
ვარ და ვიქნები მაქებულ შენთა ნიჭთა და მადლთაცა
და თუ მძრახონ არა მგამა ჩემებრ უვიცთა კაცთაცა.

ნიკოლასის ლექსის პირველი სტროფების შესახებ მკვლევარ მერი გუგუშვილს გამოთქმული აქვს ისეთივე აზრი,

¹ ალ. ბარამიძე შოთა რუსთველი და მისი პოემა, თბ., 1966, გვ. 504

რომელიც ჩვენ ზემომოყვანილ მსჯელობაში გავატარეთ¹. მკვლევარისაგან განსხვავებული აზრის ვართ ნიკოლაოსის ბოლო სტროფების შესახებ.

ბოლოს წინა სტროფში ნიკოლაოსი გვამცნობს, რომ მასაც აქვს პოემის გაგრძელების სურვილი:

მინდა მეცა განვაგრძელო, ვწერო მარდათ სწავლა, ლექსი,
ათასამდი მაინც იყოს, რას მეყოფის ხუთი, ექვსი,
მაგრა, რა ვქნა, რუსთაველსა აღერევა წიგნთა სქესი
და მეშინის არ წამოხტეს, არ აჯახოს ლექსთა-ლექსი.

მერი გუგუშვილის აზრით, ამ სტროფებიდან ჩანს, რომ ნიკოლაოსს „შეგნებული აქვს რუსთაველის, როგორც პოეტის ძალა“ და ეშინია „რომ როცა ის გაგრძელებას დაიწყებს, რუსთაველი წამოხტება და აჯახებს ლექსთა-ლექსს“. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ორ სიტყვას შორის მკვლევარს დეფიზი თვითონ ჩაუსვამს და მიუღია კომპოზიტი „ლექსთა-ლექსი“. აქედან ტაეპის არასწორი ინტერპრეტაცია – თითქოს ნიკოლაოსის ნათქვამიდან გამოდიოდეს, რომ რუსთაველის ლექსი ლექსთა-ლექსია და ამიტომ ეშინია მას მასთან დაჯახების. სინამდვილეში ტაეპის აზრი ასეთია: მეშინია, რუსთაველი არ წამოხტეს და ჩემს ლექსებს არ აჯახოს თავისი ლექსით. ლექსთა ლექსის კომპოზიტად გაგების შემთხვევაში წინადადება დაუშთავრებელ სახეს მიიღებდა, გაუგებარი იქნებოდა, ვის თუ რას უნდა აჯახოს რუსთაველმა ლექსთა-ლექსი. თუ ობიექტად ნიკოლაოსი იგულისხმება, მაშინ ტაეპში ასე უნდა ყოფილიყო: არ მაჯახოს ლექსთა-ლექსი.

მიიჩნია რა აღნიშნული სტროფი რუსთაველისადმი თავმოდრეკილობის გამომხატველად, მომდევნო სტროფი, რომელშიც ნიკოლაოსი უდიერად იხსენიებს რუსთაველს, მკვლევარს არალოგიკურად მოეჩვენა. „სრული შეუთანხ-

¹ მ. გუგუშვილი – პოლემიკა რუსთაველის გარშემო, თბ., 1966, გვ. 48-50

მებლობა ავტორის სტრიქონებს შორის“-ო, წერს იგი და ცოტა უფრო ქვემოთ დასძენს: „შეიძლება ანგარიშგასაწევი იყოს ის გარემოებაც, რომ ამ სტროფში ნიკოლაოსი რუსთაველს ეუბნება: „ლაგაზივით წამოგწედებო“, მაგრამ „ეს კი ვიცი ვერ გაგლახავ“, ე. ი. აქაც გადამწერი იმ აზრისაა, რომ ის რუსთაველს ვერ აჯობებს. რუსთაველის უდიერი მოხსენიება ვეფხისტყაოსნის არა დევნისა და ბრძოლის გამოსატყულებაა, არამედ იგი შეჯიბრებაში დამარცხებული კაცის ლანძღვა-გინებას წარმოადგენს“-ო, ასკენის ის ბოლოს.

ნიკოლაოსის სტროფში, მართლაც, არ შეიძლება დავინახოთ ვეფხისტყაოსნის დევნისა და ბრძოლის გამოსატყულება, მაგრამ ეს სტროფები რომ შეჯიბრებაში დამარცხებული კაცის ლანძღვა-გინებას წარმოადგენს – ამ აზრს ვერ ვერწმუნებით.

ნიკოლაოსი წინა სტროფის პირველივე ტაეპიდანვე რიხით აუწყებს მკითხველებს, რომ მას ვეფხისტყაოსნის გაგრძელება სურს¹.

მინდა მეცა განვაგრძელო, ვწერო მარდათ სწავლა, ლექსიო.

ლექსების წერის სიმარდეში მას ეჭვი არ ეპარება; მაგრამ გაგრძელებაც არის და გაგრძელებაც. „მოშიარე არა ჰქვია, ვერსა იტყვის ვინცა გრძელადო“, და სწორედ ამ გრძელად თქმის უნარს იკვეხნის ნიკოლაოსი: „ათასამდე მაინც იყოს, რას მეყოფის ხუთი, ექვსი“-ო. შემდეგ აგრძელებს:

მაგრა, რა ვქნა, რუსთაველსა აღერევა წიგნთა სქესი
და მეშინის არ წამოხტეს, არ აჯახოს ლექსთა ლექსი.

ეს ტაეპები მხოლოდ ასე შიძლება გავიგოთ: ლექსების თქმაში მე რუსთაველს დავჯახბნი, აღვურევე წიგნთა სქესს; ამ ამბით შემფოთებული ვაი თუ ის წამოხტეს, რომ მე, მისი მეტოქე, ორთაბრძოლაში, ლექსად პაექრობაში გამო-

¹ მას ეს სურვილი აღარ განუხორციელებია.

მიწვიოსო.

ნიკოლაოსს არ ეშინია ამ ორთაბრძოლის. „ადექ, მოდი, ერთად დავსხდეთ, ერთად ვწეროთ, მაშინ გნახავო“ – გულდად იწვევს ის რუსთაველს. ლაგაზიით¹ – წამოგწვდებითო ეუბნება, და რა ფასი აქვს ამ ტაეპის სიტყვებს – „ეს კი ვიცი ვერ გაგლახავო“ – ნიკოლაოსი თავმოდრეკილობის დასამტკიცებლად, როცა შემდეგ ტაეპში ასეთი მუქარაა: „ამას წინათ შენს დროებში დაგავიწყებ რაც გინახავს“-ო. ასეთ განცხადებაში, ვფიქრობთ, დამარცხებული კაცის ხმა არ უნდა ისმოდეს. ნიკოლაოსს სჯერა თავისი გამარჯვების. ამ სტროფების მიხედვით მას თავი რუსთაველზე უკეთეს პოეტად მიაჩნია.

როგორც აღვნიშნეთ, რუსთაველისადმი ეს უდიერება არ არის ვეფხისტყაოსნისადმი ავტორის მტრული დამოკიდებულების გამოხატუვლი.

ნიკოლაოსს რუსთაველი უყვარს და აფასებს, მის სიყვარულს სხვებსაც უქადაგებს. რაც შეეხება მის ქადილს – რუსთაველს მე ვაჯობებო, ეს არის მხოლოდ და მხოლოდ სასაცილო კვენა თავის პოეტურ ძალაში უზომოდ დარწმუნებული კაცისა. იგი ამ ტრაბახით გვაგონებს როსტომიანის გამლექსავის სერაპიონ საბაშვილის სიტყვებს:

ნადღევი ვარ რუსთაველისა, თუ მეტი ქნა ჩემოდნობა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ინტერესი ნიკოლაოსის მიმართ აღძრა სწორედ მისმა ასეთმა რწმენამ საკუთარი თავისადმი. მას თავი პოეტად მიაჩნია და იქნებ მართლაც იყო პოეტი? მისი რანგის განსაზღვრა წინასწარვე შეიძლება თუნდაც იმ პატარა წინასიტყვაობიდან, რომელიც მან ვეფხისტყაოსანს წარუმიძვარა. ამ სტროფების ავტორს პოეტობის ბრწყინვალე ნიჭი არ ემჩნევა. მაგრამ ლიტერატურის ისტორია არ იფარგლება მხოლოდ გენიოსთა შემოქმედების შესწავლით; ამიტომ ნიკოლაოსის არაბრწყინვალე

¹ „ლაგაზი“ დიალექტური ფორმაა სიტყვისა „ნაგაზი“.

პოეტად აღიარება არ ანელებს მისი ვინაობისა და შემოქმედებისადმი აღძრულ ინტერესს.

* * *

ნიკოლაოსის როგორც ვინაობის, ასევე შემოქმედების ძიების სათავე იწყება მხოლოდ და მხოლოდ ხსენებული ხელნაწერიდან. ეს არის ხელნაწერთა ინსტიტუტის H 2055 ხელნაწერი. მასში ნიკოლაოსი რამდენჯერმე გვიცხადებს თავის სახელს. „წინასიტყვაობის“ ორი სტროფის შემდეგ მას ხელჩართულად უწერია: „იეროდიაკონი ნიკოლაოს ვაპირებ წერას“. „წინასიტყვაობის“ დასასრულს მიწერილი აქვს: „ბ. კ. ი. დ. ნიკოლაოს“. ბოლო ორი ასო – ი. დ. – იეროდიაკონი უნდა იყოს. პირველი ბ.კ.-ს მნიშვნელობა ვერ ამოვიცანით.

„წინასიტყვაობის“ შემდეგ ნიკოლაოსს აკროსტიხი მიუძღვნია ვიღაც ბრწყინვალე კნენა ელენესათვის, რომლისთვისაც გადაუწერია მას ვეფხისტყაოსანი და რომელიც, შეიძლება, ბატონიშვილი ან ბატონისძალი იყოს. თავისი სახელი მას ამ აკროსტიხშიც მოუხსენიებია:

ნიკოლოს მოგიძღვანე
კეთილთა მოხუცებულ
ბრწყინვალე მუნ სამენას.

დასასრულ, ხელნაწერის 195v-ზე, ვეფხისტყაოსნის გაგრძელების სტროფებს შუა ნიკოლაოსს ერთხელ კიდევ ჩაუწერია თავისი სახელი მთავრული ასოებით: „ნიკოლოს“.

ამრიგად, სრულიად ეჭვმიუტანლად ვიცი, რომ ვეფხისტყაოსნის ამ ხელნაწერის გადამწერისა და მისი წინასიტყვაობის შემთხზველის სახელი ნიკოლაოსია. იგი სასულიერო პირია, კერძოდ – იეროდიაკონი.

ხელნაწერი საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ აგრეთვე მისი მოღვაწეობის დრო. ქალაქის ჭვირნიშანი 1820 წელია. ვფიქრობთ, ხელნაწერი არ უნდა იყოს 1820 წლიდან

დიდად განსხვავებული დროისა.

ხელნაწერი ნიკოლაოსის ავტოგრაფია. იგი საშუალებას გვაძლევს ვიცნობდეთ ნიკოლაოსის როგორც, ლამაზ კალიგრაფიულ ხელს, ასევე აჩქარებულს. აჩქარებული ხელის ნიმუშს განსაკუთრებით კარგად იძლევა ილუსტრაციებისა და სხვა ნახატების ქვეშ მიწერილი ახსნა-განმარტებანი ამ ილუსტრაციების სათაურისა თუ მათი შინაარსის შესახებ. სურათები ხშირად ფერადებით არის შესრულებული და თვით ნიკოლაოსის ნახელავს უნდა წარმოადგენდნენ.

XVIII საუკუნის მიწურულისა და XIX საუკუნის დასაწყისში ბევრი ნიკოლაოსი აღმოჩნდა ლიტერატურული საქმიანობის მიმდევარი. მათი სახელით მოღწეულ ხელნაწერთაგან რომელი იყო ჩვენთვის საინტერესო პიროვნების კუთვნილებად მისაჩნვეი, ამის დადგენა შეიძლებოდა მხოლოდ ავტოგრაფული მონაცემებით. სამწუხაროდ, ჩვენ ვიცნობთ ნიკოლაოსის მხოლოდ მხედრულ ხელს; ამიტომ ნუსხურით და მთავრულით დაწერილი ბევრი ხელნაწერი, რომელთა გადამწერის სახელი ნიკოლაოსია, გამოეთიშა ამოცნობის შესაძლებლობას.

დაიძებნა ნიკოლაოსის რამდენიმე ავტოგრაფი. ზოგიერთი მათგანი გამოდგა ნიკოლაოსის ვინაობის გარკვევისათვის გეზის მომცემი ცნობების შემცველი. გავეცნოთ მათ.

1. ხელნაწერი H 2769. ერთი ფურცელია, ზომით 25x19,5სმ.: ფურცლის verso დაუწერელია, recto-ზე მოთავსებული ტექსტი ნიკოლაოსის ავტოგრაფია. ფურცლის მარცხენა აში-აზე მთავრული ასოგრეხილით ნაწერი სირთულის გამო არ იკითხება. ამ ხელნაწერს შემოუნახავს შესხმა იოანე მიტროპოლიტის მიმართ ნიკოლაოსის მიერ მიძღვნილი. კიდურწერილი ასოებით იკითხება:¹ „მიტროპოლიტის იოანესად ვმართლობ მე უღირსი მონა მისი ნიკოლაოს“. ქვევით

¹ ხელნაწერი აღწერილია ლ. მეფარიშვილის მიერ. იხ.

ხელნაწერთა აღწერილობა (Hკოლექცია) ტ. VI, თბ., 1953, გვ. 174

ავტორის ანდერძ-მინაწერი: „მათის მაღალ ყოვლად უსამღუდელოების სიღნაღის და ჳისიყის მიტროპოლიტის იოანეს სამწყსოთა ცხოვართაგანი ყოვლად უკანასკნელი პატარა ბერი იეროდიაკონი ნიკოლაოს“.

ამ ანდერძ-მინაწერმა, შეიძლება ითქვას, გასაღები მოგვცა ნიკოლაოსის ვინაობის გარკვევისათვის. იგი ყოფილა „სიღნაღისა და ჳისიყის მიტროპოლიტის იოანეს სამწყსოთა ცხოვართაგანი“ – ე. ი. კახელი, ქიზიყელი.

2. ხელნაწერი H 1126. ამ ხელნაწერის აღწერილობაში შეცდომაა დაშვებული.¹ მის გადამწერად მიჩნეულია დავით ციციანოვი, ხოლო გადაწერის თარიღად 1851 წელი. სინამდვილეში, ამ ხელნაწერში დავით ციციანოვს ეკუთვნის მხოლოდ ბოლო (38v–39r) გვერდებზე მოთავსებული ლექსი, რომელიც ტექსტისაგან განსხვავებული ფერის მელნით და ხელით არის დაწერილი. ლექსი გვიან არის მიწერილი ხელნაწერის დაუწერელ გვერდებზე და თარიღი 1851 წელი მხოლოდ მას ეკუთვნის. თვით ხელნაწერი ბევრად ადრეულია და მისი გადამწერი ნიკოლაოს იეროდიაკონია.

ნიკოლაოსს ამ კრებულში გადაუწერია „სიბრძნე ბალავარისა“ (1r–33v), ხოლო შემდეგ კი საკუთარი ლექსები. სახელდობრ: „საგალობელი ხარებისა იამბიკო წყობილი უღირსისა და ყოვლად კნინის იერომონახის ნიკოლაოსის მიერ ქმნილი“ (34r–37v), გალობა თ. რომლისა კიდურ-წერილობა არს აკროსტიხურად ესრეთ: უღირსი შენი ბერი, ძისა შენისა მონა ნიკოლაოს“. ამ გალობის ბოლოს ნიკოლაოსს დაურთავს ისეთივე ჩართული ასოგრეხილი, როგორც ხელნაწერის H 2769 მარცხენა აშიაზე იყო მოთავსებული. ასოგრეხილი აქ იკითხება: „სრულ იქმნა ღვთით“.

უნდა აღინიშნოს, რომ თვით ეს ხელნაწერი არავითარ ცნობას არ იძლევა ნიკოლაოსის ბიოგრაფიის შესახებ, მაგრამ მხოლოდ მისი არსებობა იძლევა ნებას მეორე ხელ-

1 ხელნაწერთა აღწერილობა (H კოლექცია), ტ. III, გვ. 106

ნაწერში S 2527 მოწოდებული ცნობები მივაკუთვნოთ მხოლოდ ჩვენთვის საინტერესო პიროვნებას და არა სხვა ნიკოლაოსს.

მეორე ხელნაწერი, S 2527, გადაწერილია H 1126-დან. შინაარსით იგი ზუსტად იმეორებს თავის დედანს. მასში გამოტოვებულია მხოლოდ დავით ციციანოვის ლექსი, რომელიც, როგორც ვთქვით, მეტად გვიან ჩაიწერა ნიკოლაოსის ხელნაწერში. ხელნაწერის გადამწერია დავით დეკანოზის ძე ანდრია მესხიშვილი.¹ იგი ანდერძში წერს: „გარდავწერე წიგნი ესე ბალავარიანი მშვენიერის ნაწერისაგან, რომელიც იყო დაწერილი უღირსის ბერის ნიკოლოზის, და მას თვისი სახელი იამბიკო ლექსით გამოეყვანა და მეცა მიბაძვითა მისითა თუმცადა უძლე, გარნა მას თანა არა ჯერ-არს გამოჩენა მისი. გარნა რაცა ასაკსა ჩემსა ეკუთვნოდა, ისე არს ამისი ყოველი, რომელსაცა ამისა ქვემოთე წარიკითხავთ“. ამ ანდერძს მოსდევს 27 ტაეპიანი აკროსტიხული ლექსი, ნიკოლაოსისადმი მიძღვნილი, რომლის კიდურწერილობით იკითხება: „უჩენიკის ანდრია მესხიევისაგან“.

ანდრია მესხიშვილი, დავით დეკანოზის ძე, ამ აკროსტიხით თავს ნიკოლაოსის მოწაფედ თვლის. ამ ნიკოლაოსში რომ მხოლოდ ჩვენთვის საინტერესო პიროვნება იგულისხმება, ამაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, ანდრია მესხიშვილის ნუსხა გადაწერილია ნიკოლაოსის ავტოგრაფული კრებულიდან და იგი მისგან გამოყენებული დედნის დამწერ ნიკოლაოზს უძღვნის აკროსტიხს.²

¹ ხელნაწერთა აღწერილობა (S კოლექცია), ტ. IV, თბ. 1965, გვ. 28

² ანდრიას ხელნაწერი რომ ზუსტად ნიკოლაოსის ხელნაწერიდან მომდინარეობს, ამას გადამწერის ანდერძის გარდა გვიდასტურებს ერთი დეტალიც: ნიკოლაოსს თავისი შეთხზული საგალობლის სათაურის სიტყვაში – იერომონახი – ასოები ანი და ხანი ისე გადაუბამს, რომ იერომონახის ნაცვლად იკითხება იერომონაზი. ანდრია მესხიშვილს ასევე გადაუხატავს ეს სიტყვა საგალობლის გადაწერისას.

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ნიკოლაოსის ამ კრებულის შინაარსის

ამრიგად, ნიკოლაოსი ყოფილა ანდრია მესხიშვილის მასწავლებელი. ამ ცნობის გარდა, ანდრია მესხიშვილის აკროსტიხი იმითაც იმსახურებს ყურადღებას, რომ იგი წარმოადგენს ხოტბას მიძღვნილს ნიკოლაოსისადმი და გვაცნობს მის პიროვნებას.

უძღვნი ძღვენსა სასოს ჩემსა,
ჩემის გულის სასურველსა,
ენით ტკბილსა, ბაგით მშვეენსა
ნიკოლაოზ განდგომილ ბერსა.

იგი არის წინამძღვარი,
კიდეთ შინა შემაწყნარი,
იგი არის სიტყვით წყნარი,
სიტკბოთ დიდით დამატკბარი.

აღთქმა ღვთისა კეთილია,
ნაწერი შენი სულ მრთელია,
დრო-დრომდე განთქმულია,
რომლისათვის ეს ქმნულია,
ასონიც გამართულია...

ენით ტკბილი, ბაგით მშვეენი წინამძღვარი, რომლის ნაწერი განთქმულია დრო-დრომდე, ე. ი. ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ნიკოლაოს კახელი, ქიზიყელი, მოძღვარი, მასწავლებელი – აი, რა შევიტყვეთ ნიკოლაოსის პიროვნების

შემცველი ერთი ხელნაწერი მოიპოვება საქ. ცენტრალურ საისტორიო არქივშიც (ფ. 1446, ხელნაწერი 285, გადაწერილია 1854 წელს). მისი გადამწერიც ანდრია მესხიშვილივით მოქცეულა და „იერომონაზი“ დაუწერია. არქივის ნუსხაც კვლავ იმეორებს ბოლოში დავით ციციშვილის ლექსს, მაგრამ ანდრია მესხიშვილის ხელნაწერისაგან განსხვავებით ამ ლექსს მასში ავტორის ანდერძი არ ერთვის, ე. ი. დავით ციციშვილი რომ ჩამატებული ლექსის ავტორია, ამ ხელნაწერის მიხედვით არ ჩანს.

ვფიქრობთ, არქივის ხელნაწერის დედანიც ნიკოლაოსის ავტოგრაფული კრებულია. იგი გადაწერილია მას შემდეგ, რაც დედანს დავით ციციშვილის ლექსი ჩაემატა. არქივის ხელნაწერი რომ ანდრია მესხიშვილის გადაწერილიდან მომდინარეობდეს, მაშინ ის გაიმეორებდა ანდრია მესხიშვილის ანდერძს და ნიკოლაოსისადმი მიძღვნილ აკროსტიხსაც.

შესახებ განხილული ხელნაწერების მიხედვით.

ნიკოლას კახელის ანუ კახის სახელი არ არის უცნობი ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის. იოანე ბატონიშვილის „კალმასობის“ იმ თავში, რომელსაც ქვია „ახალთა ჩვენთა დროთა მეცნიერთა, მწერალთა, მგალობელთა და მოშიარეთათვის“, ამ სახელს თავისი ადგილი აქვს მიკუთვნებული. მასში ვკითხულობთ: „ნიკოლას ხელაშვილისა კახისათვის. – ნიკოლას ხელაშვილი კახი აღზარდა დავით აღექსიშვილმან სწავლათა შინა. ესე არს ახალთა ფილოსოფიათა სწავლასა შინა გამოცდილი და სადოღმატიკოსისაცა. მგალობლობასა შინაცა კარგი, რომელ მამა ამისი გიორგი კახურსა გალობასა შინა იყო პირველი, რომელმან ასწავა შვილსა ამას თვისსა და აწ ესე არს მოძღვრად საქართველოსა სკოლასა შინა ნაცვლად ზემოხსენებულისა იოანე მღვდლისა“.¹

„კალმასობიდან“ მოყვანილ ამ ადგილში ყველაზე მეტად ხაზი გვსურს გავუსვათ სიტყვებს: „აწ ესე არს მოძღვრად საქართველოს სკოლასა შინა“.

ამ სიტყვებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმის გამო, რომ მისგან ვტყობილობთ: ის ნიკოლას კახი, გვარად ხელაშვილი, რომელსაც იოანე ბატონიშვილი ასახელებს, სახელისა და ზედწოდების გარდა პროფესიითაც იგივეობს ნიკოლას იეროდიაკონთან. ნიკოლას იეროდიაკონს რომ ზედწოდებად ჰქონდა კახი, ეს არ არის შეუძლებელი, რადგან როგორც ვნახეთ, იგი კახელი, ქიზიყელი იყო.

ამ დამთხვევამ საკმაო საფუძველი შექმნა იმისათვის, რომ დაგვეშვა ნიკოლას იეროდიაკონისა და ნიკოლას კახის იგივეობის შესაძლებლობა. ასეთ დაშვებას, ერთი შეხედვით, თითქოს ერთგვარ დაბრკოლებას უქმნიდა შემდეგი ლიტერატურული ცნობა: სოლომონ დოდაშვილი იო-

¹ იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, კ. კეკელიძისა და აღ. ბარამიძის რედაქციით, ტ. II, თბ., 1948, გვ. 201

ანე ხელაშვილთან გაგზავნილ წერილებში იხსენიებს არქიმანდრიტ ნიკოლოზ ხელაევს.¹ სოლომონ დოდაშვილის თხზულებათა წიგნის რედაქტორი ს. ხუციშვილი წერილების კომენტარებში აღნიშნავს,² რომ ეს არქიმანდრიტი ნიკოლოზ ხელაევი ის ნიკოლოზ გიორგის ძე ხელაშვილია, რომელიც იოანე ბატონიშვილის „კალმასობაშია“ მოხსენიებული. მაშასადამე, ამ ცნობის მიხედვით, ჩვენი საკვლევი პიროვნება გასაიგივებელი პიროვნებისაგან განსხვავებულია სასულიერო ხარისხით. პირველი იეროდიაკონია, მეორე კი არქიმანდრიტი.

ეს წინააღმდეგობა, ჩვენი აზრით, არ იყო მისაჩნვეი ისეთ გადაულახავ დაბრკოლებად, რომ კვლევის არჩეული გზიდან ხელის აღებაზე გვეფიქრა. სოლომონ დოდაშვილის წერილები, რომელშიც ნიკოლოზ ხელაშვილი არქიმანდრიტად იხსენიება, დათარიღებულია 1827 წ. 10 სექტემბრისა და 1828 წლის 5 იანვრის თარიღებით. წარმოუდგენელი არ არის, რომ 1820-იან წლებში იეროდიაკონად მოხსენიებული პიროვნება 1827 წლისთვის არქიმანდრიტი გამხდარიყო. გარდა ამისა, უკვე მოპოვებული მასალების მიხედვით გვაქვს გარკვეული მინიშნება იმისა, რომ იეროდიაკონობა არ უნდა ყოფილიყო ნიკოლოზის მუდმივი ტიტული.

ანდრია მესხიშვილი თავის ხოტბაში ნიკოლოზს უწოდებს „განდგომილ ბერსა“ და „წინამძღვარს“. წინამძღვარი მონასტრის წინამძღვარს უნდა იწოდებოდეს. მონასტრის წინამძღვარს კი სასულიერო ხარისხად არქიმანდრიტობა შეეფერება.

ამრიგად, ს. დოდაშვილის წერილების კომენტარების ცნობა, ზემონათქვამის საფუძველზე, კი არ ეწინააღმდეგება, პირიქით, უდგება და ხსნის ნიკოლოზის პიროვნების

¹ სოლომონ დოდაშვილის წერილები, ს. ხუციშვილის შესავალი წერილითა და რედაქციით, გვ. 95, 107. იხ. აგრეთვე სოლომონ დოდაშვილი თხზულებანი, თბ., 1961, გვ. 266, 279.

² სოლომონ დოდაშვილი, თბ., 1961, გვ. 407

შესახებ მოპოვებულ მასალებს. ეს კი მეტ საფუძველს უქმნის ჩვენს ვარაუდს ნიკოლას იეროდიაკონისა და ნიკოლას კახის იგივეობის შესახებ.

ასეთი დაშვების შემდეგ, ბუნებრივია, ყველაფერი ის, რაც „კალმასობაში“ ნიკოლას კახის შესახებ არის ნათქვამი, ნიკოლას იეროდიაკონს უნდა მივაწეროთ. მაშასადამე, უნდა მივიჩნიოთ, რომ ის ყოფილა გვარად ხელაშვილი, გიორგის ძე, განთქმული მგალობელი და უფრო განთქმული მგალობელი მამის შვილი, დავით ალექსიშვილის გაზრდილი, ე. ი. თელავის სემინარიაში სწავლამიღებული.

თელავის სემინარიასთან დაკავშირებით ნიკოლაოზ ხელაშვილი იოანე ბატონიშვილს თავის წიგნში სხვაგანაც ჰყავს ნახსენები.

ცნობილია, რომ თელავის სემინარიაში ხშირად იმართებოდა საჯარო პაექრობანი. აკად. ალ. ბარამიძის სიტყვით: „ასეთი დისკუტები (პაექრობანი) მიზნად ისახავდა სასწავლო წელში შესრულებულ მუშაობის შეჯამება შემოწმებას და იმართებოდა ამა თუ იმ დისციპლინის კურსის მოსმენის შემდეგ“.¹

გაიოზ რექტორისაგან დამკვიდრებულ ამ კარგ ტრადიციას ღირსეულად აგრძელებს დავით რექტორიც. იოანე ბატონიშვილს აღწერილი აქვს დავით რექტორის მიერ გამართული ერთ-ერთი საჯარო პაექრობის სურათი.² ამ პაექრობის მთავარი გმირები იოანე და ნიკოლას ხელაშვილები არიან.

დავით რექტორს თელავს ჩასული იოანე ხელაშვილი მიუწვევია თავის სემინარიაში: „ხვალე მოდი მეცხრე საათსა, აქ ჩვენის მოწაფეების ეგზამინია (გამოცდა) და უნდა შენ გეგბასნენ და იმათ სიტყვა მიუგო“. იოანე მართლაც მისუ-

¹ ალ. ბარამიძე, საჯარო პაექრობანი თელავის სემინარიაში (იხ. კრებული „სწავლა-აღზრდის ისტორიისათვის საქართველოში“. თბ., 1937).

² ალ. ბარამიძე, დასახ. წერილი; ტრ. რუხაძე, დავით რექტორი (ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, თბ., 1954, გვ. 16-17)

ლა დაბარებისამებრ. „...იოანეს აჩვენეს მარჯვენით სკამი მდგომელი და მიიწვიეს მუნ. წინ დაუდგეს სტოლი და დაუწვევეს წიგნები. რა ყოველი შემოკრებენ სკოლად, მაშინ რექტორმან მცირე ხარი დააწკარუნა, და მაშინ წინ წარმოდგა ნიკოლაოს ხელაშვილი, თაყვანი სცა ხატსა, წართქვა ლოცვა, რომელსაც მოწაფენი იტყვიან, და მერეთ დაუკრა რექტორს თავი, და აქეთ-იქით, აგრეთვე იოანეს და მერე დაიწყო კითხვად იოანესა და რქვა:

ნიკოლაოზ: იოანე! ვითარ გრწამს მართლმადიდებელთა სარწმუნოება?,,

იოანემ მრწამსი თქვა ზეპირ“... ¹

ასე კითხვა-მიგებით მიიმართება პაექრობა ნიკოლაოსსა და იოანეს შორის სხვადასხვა საკითხზე. სახელდობრ: „დრამმატიკისათვის“, „წიგნისათვის“, „თვის განყოფილები-სა წიგნისა“... სამწუხაროდ, ამ საკითხების შემდგომ, როგორც ცნობილია, დაკარგულია დედნის მთელი მე-15 რეგული.² ამიტომ როგორ დამთავრდა ნიკოლაოსისა და იოანეს პაექრობა, ამის შეტყობა შეუძლებელია. მოღწეული ადგილის მიხედვითაც ნიკოლაოსი წარმოგვიდგება მოწინავედ და წარჩინებულად დავით რექტორის მოწაფეთა შორის. იგი პირველი ადგა საპაექროდ და შეება მაშინ უკვე სახელმოსხვეჭილ იოანე ხელაშვილს.

ბუნებრივად იბადება კითხვა – რა იყო ნიკოლაოსი იოანე ხელაშვილისა? გვარის გარდა მათ საერთო აქეთ მამის სახელიც. როგორც ცნობილია, იოანე ხელაშვილის მამასაც გიორგი ერქვა.

იოანე ხელაშვილის წერილებში მოიძებნა ამ კითხვის პასუხი. თავის ბიძაშვილ გიორგისადმი გაგზავნილ წერილში 1826 წლის 15 ივლისს იგი წერს: „...კუალადცა მიუთხ-

¹ იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, კაკეკელიძისა და აღ. ბარამიძის რედაქციით, ტ. I, ტფ., 1936, გვ. 74–77

² იქვე, გვ. XI, 77.

არ სოლომონს,¹ უკეთუ შვილთა თვისთა სწავლანი სურდა, რადესათჳს არა წარუგზავნა დეკანოზ ნიკოლას ჳელაშვილს ე. ი. მიხეილოვს“... შემდეგ აგრძელებს: „უკეთუ მაგათ, ძმათა ჩემთა, ცოდნოდათ წიგნი, მრავალთა სარგებლობათა მიიღებდნენ ჩემგან. უწიგნოთა ვერა სცნეს ეგზარხოსისაგან შვილთა თჳსთა პირდაპირ სემინარიასა შინა მიღება. შვილთა თჳსთა (sic) და ნიკოლოზ დეკანოზისა მიხაილოვისა, ჩვენისა ნათესავისა, კეთილ მიდრეკილებაცა დაუკარგეს, რომელმან თუთ მოხოვა მიღება მაგათი ტფილისს“?²

ამ წერილიდან ირკვევა, რომ ნიკოლასი იოანე ხელაშვილის ნათესავი ყოფილა. მაგრამ რად უნდა ყოფილიყო იგი მიხეილოვი თუ მიხაილოვი? ამის შესახებ იხილეთ ქვემოთ.

იოანე ხელაშვილის წინაპრის შესახებ, რომელიც ერეკლე პირველის მეუღლეს ანას მიუყვანია თავის სასახლეში, აკად. კ. კეკელიძე წერს: „საიდან მოიყვანა, სათანადო დოკუმენტში ნაჩვენები არაა. ამასთან ხომ არაა დაკავშირებული ნ. ბარნაბიშვილის ცნობა, ვითომც იოანეს წინაპარი, მეხელაშვილები, წინათ ხოდაშენს ცხოვრობდნენ, ერთ-ერთი მათგანი თეიმურაზ მეორის დროს თითქოს ვაჭირში გადასახლდა, აქ ის ჩაესიდა ერთი გლეხის ოჯახს და მიიღო გვარი ხელაშვილი“?³

იოანე ხელაშვილს თავის კრებულში (S 388) შეუტანია მოწმობა მიხელაშვილების აზნაურობის შესახებ, რომელსაც ემოწმებიან რუსეთში მყოფი ბატონიშვილები.

ამრიგად, მიხელაშვილი თუ მეხელაშვილი ხელაშვილთა პირველადი გვარი ყოფილა; ნიკოლასს ხელაშვილის პარალელურად შეურჩენია თავისი ძველი გვარიც. მიხეილოვი ამ გვარის რუსული ფორმაა.

¹ სოლომონი იოანეს ძმაა (ც.კ.)

² S 1532 (254v–255v)

³ კ. კეკელიძე, ქართული ლიტ. ისტორია, ტ. I. თბ., 1960, გვ. 403.

ამ ცნობამ გადამწყვეტი როლი ითამაშა ნიკოლას იეროდიაკონის პიროვნების საბოლოო გამოჩინებისათვის. ამ ცნობის გარეშე, შეიძლება ითქვას, შეუძლებელი იქნებოდა კვლევის ბოლომდე მიყვანა.

პირველ ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ მხოლოდ მას შემდეგ, რაც გაირკვა ნიკოლას ხელაშვილისა და ნიკოლას მიხაილოვის იგივეობა, შესაძლებელი გახდა იმის დადგენაც, რომ სწორი იყო ჩვენი ვარაუდი ნიკოლას იეროდიაკონისა და ნიკოლას ხელაშვილის იგივეობის შესახებ. ნიკოლას მიხაილოვის დაწერილი საბუთები თუ ხელნაწერები ნიკოლას იეროდიაკონის ავტოგრაფები აღმოჩნდა.

საქ. ცენტრ. სახ. საისტორიო არქივის ფონდებს შემოუნახავს საბუთები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს მივეყვით ნიკოლას მიხაილოვის ცხოვრების კვალს. ყველაზე მეტად ეს ითქმის ამ არქივის იმ ფონდზე, რომელსაც ეწოდება „თბილისის სასულიერო სემინარია“. (№ 440)

ნიკოლას ხელაშვილის ბიოგრაფიული მონაცემების გათვალისწინება მოსალოდნელს ხდიდა ამ ფონდში მასალების მოპოვების შესაძლებლობას.

ნიკოლასი რომ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა, როგორც ვნახეთ, ეს ანდრია მესხიშვილის შესხმიდანაც გამომჩნდა. ნიკოლას ხელაშვილი, როგორც თავისი დროის გამოჩენილი პედაგოგი, ნახსენები ჰყავს აკად. კ. კეკელიძეს ქართული ლიტ. ისტორიის I ტომში.¹

ნიკოლასის პედაგოგიურ მოღვაწეობაზე საზგასმით მიუთითებდა როგორც ვნახეთ, იოანე ბატონიშვილი: „აწ ესე არს მოძღვრად საქართველოს სკოლასა შინა“-ო. „ნიკოლას ხელაშვილი კეთილშობილთა სასწავლებელში მსახურობდა“ – მითითებულია ს. დოდაშვილის წერილების კომენტარებში.

¹ კ. კეკელიძე, ქართული ლიტ. ისტორია ტ. I, თბ., 1960, გვ. 88.

ამრიგად, ნიკოლაოსის პროფესია სრულიად ექვემდებარება დადგენილი იყო მოყვანილი ცნობების საფუძველზე. ამ გარემოებამ გამოიწვია ინტერესი „თბილისის სასულიერო სემინარიის“ ფონდისადმი.

„თბილისის სასულიერო სემინარიის“ ფონდში უხვად აღმოჩნდა მასალები პედაგოგ ნიკოლაოს მიხაილოვზე. ამ მასალების საფუძველზე გაირკვა და დადგინდა ბევრი მნიშვნელოვანი მომენტი ნიკოლაოსის ბიოგრაფიისა. სახელდობრ, შევიტყეთ შემდეგი: 1826 წლის 1 ნოემბრიდან ნიკოლაოზი დაუნიშნავთ თელავის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად.¹ იგი ამ თანამდებობაზე ყოფილა 1830 წლამდე. 1826 წლის ბოლოს ქვრივ ნიკოლაოსს მოუსურვებია ბერად აღკვეცა. 1827 წლის 1 თებერვლიდან იგი ბერად აღუკვეცია თბილისის მაცხოვრის ფერისცვალების მონასტრის წინამძღვარ ეგვენის. ბერად აღკვეცისას ნიკოლაოსისთვის სახელი შეუცვლიათ და თეოდოსი დაურქმევიათ. 2 თებერვალს, იოანე ეგზარხოსის ბრძანებით იგი განუშვებს და ვით გარეჯის ნათლისმცემლის უდაბნოს არქიმანდრიტად.²

ამ დღიდან ნიკოლაოსი ერთად ათავსებდა არქიმანდრიტობისა და თელავის სასწავლებლის ზედამხედველობის მოვალეობას, რაც ბევრ სირთულესთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ნიკოლაოსს, როგორც ჩანს, გასძნელებია ამ ორი თანამდებობის შეთავსება. თელავის სასულიერო სასწავლებელს არქიმანდრიტის მოვალეობით დატვირთული ნიკოლაოსის ყურადღება დაჰკლებია, რასაც მოჰყოლია მოსწავლეთა მიერ დისციპლინის დარღვევის შემთხვევები. მაგ.: მოწაფეები ქვეხიშვილი და მირიანაშვილი დაქორწინებულან

¹ ცსსა, ფ. 440, 22.XV. 48. ტერმინი ზედამხედველი თარგმნილი გვაქვს რუსული სიტყვიდან „Смотритель“.

² ცსსა, ფ. 440, 39. XXVIII. 90. ამრიგად, დადასტურდა ანდრია მესხიშვილის ხოტბაზე დამყარებული ვარაუდიც ნიკოლაოსის მონასტრის წინამძღვრობისა და არქიმანდრიტობის შესახებ.

ისე, რომ ამის შესახებ თვეების განმავლობაში ვერაფერი გაუგია სასწავლებლის ხელმძღვანელობას. ეს ამბავი მისულა თბილისის სასულიერო სემინარიის ხელმძღვანელობასა და თვით იოანე ეგზარხოსის ყურამდე. ნიკოლაოსისთვის მოუთხოვიათ პასუხი. თბილისის სემინარიის ხელმძღვანელობას შედარებით ღმობიერი განაჩენი გამოუტანია: ამ დანაშაულისთვის დიდი ჯარიმა უნდა გადაგვეხდევინებინა, მაგრამ მივიღეთ რა მხედველობაში მისი დიდი პედაგოგიური დამსახურება, სასტიკი საყვედურით შევეუცვალეთ – მოახსენეს მათ იოანე ეგზარხოსს. იოანე ეგზარხოსის განაჩენი უფრო მკაცრია: რადგან მონასტრის წინამძღვრობის გამო ვერ იცლის, რომ კარგად უხელმძღვანელოს სემინარიას, განთავისუფლდეს ამ თანამდებობიდანო, – დაუდგენია მას 1830 წლის 20 დეკემბერს.¹ ამ დღიდან ნიკოლაოსის პედაგოგიური მოღვაწეობა შეწყვეტილა.

მოსწავლეებისადმი დამოკიდებულებაში ნიკოლაოსი ჰუმანური და კეთილშობილი ყოფილა. იგი სასტიკად ეწინააღმდეგებოდა მოსწავლეების ფიზიკურ დასჯას. 1828 წელს თბილისის სასულიერო სემინარიის ხელმძღვანელობის წინაშე მან უჩივლა თავის მასწავლებელს მაკაროვს და მოითხოვა მისი მოხსნა. ყველაზე დიდ ბრალდებად იგი მას მოწაფეებთან უხეშ დამოკიდებულებას უყენებდა.² როგორც ჩანს, მაკაროვის გარდა სხვა მასწავლებლებიც შეინიშნებოდნენ ასეთ საქციელში. ნიკოლაოსის რისხვა მათაც დასტყდომიათ თავზე. ამას გვიდასტურებს ამ მასწავლებლების მოხსენებითი ბარათი, რომელშიც ისინი ნიკოლაოსს სთხოვენ ინსტრუქციას, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ისინი მოსწავლეთა საჭირო დასჯის შემთხვევაში, თუკი არ შეიძლება მათი დასჯა „როზგითა, თმის გლეჯითა და სხვათა მსგავსთა სახითა“.³

¹ ცსსა, ფ. 440, 39. XXVIII. 90.

² იქვე, ფ. 440 არქ. 24

³ ხელნაწ. ინსტ. Ad 889“

როგორც აღვნიშნეთ, თბილისის სასულიერო სემინარიის ფონდი უხვი აღმოჩნდა ნიკოლაოსის ბიოგრაფიული მასალებით. მასში ჩვენ შევხვდით ნიკოლაოსის ცხოვრების არა მხოლოდ ცალკეული მოვლენის ამსახველ მასალებს, არამედ მთლიან, მზამზარეულად ჩამოწერილ ბიოგრაფიასაც კი.

1829 წ. თბილისის სასულიერო სემინარიაში შეუდგენიათ უწყისები გორის, თელავის, სიღნაღის და ქუთაისის მასწავლებელთა შესახებ. ამ უწყისებში დაწვრილებით არის გადმოცემული მასწავლებელთა ბიოგრაფიისა და მათი დამსახურების შესახებ ცნობები. მოვიყვანოთ მის ქართულ თარგმანს მცირეოდენი შემოკლებით: „თელავის სასწავლებელთა ზედამხედველი, იოანე ნათლისმცემლის უდაბნოს არქიმანდრიტი თეოდოსი. დაბადებიდან 55 წლის. ქართველთა აზნაურთაგანი. სწავლობდა თელავის ყოფილ სასულიერო სასწავლებელში ქართულ გრამატიკას, რიტორიკას, ფილოსოფიას და ღვთისმეტყველებას.

თელავის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 1801 წლის 16 იანვარს დიაკვნად ეკურთხა კათალიკოს ანტონის მიერ თელავში. იმავე კათალიკოსის მიერ მღვდლად ეკურთხა 1802 წლის 21 მაისს. ეროდიაკონობა ებოძა 1807 წლის 25 მარტს. 1814 წლის 29 მარტს განემწესა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში საღვთო სჯულისა და ქართული სიტყვიერების მასწავლებლად. ამ თანამდებობიდან განთავისუფლდა საკუთარი თხოვნის საფუძველზე 1824 წლის 18 დეკემბერს.

კახეთის უკანასკნელი აჯანყების დროს ახლდა რუსის ჯარს საქრისტიანო მღვდელთმსახურებისათვის. უფროსობის წარდგინებით ერთგული სამსახურისათვის დაიმსახურა უმაღლესი წყალობა 1818 წლის 3 მაისს. საქართველოს მთავარმმართველის ინფანტერიის გენერალ ერმოლოვის წარდგინებით 1821 წლის 20 მარტს დაჯილდოვდა სამკერდე

ჯვრით. მისივე წარდგინებით 1824 წელს ეწკალობა პენსია წლიურად 500 ასიგნაციის რაოდენობით სიკვდილამდე.

თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში, სადაც იგი ასწავლიდა საღმრთო სჯულსა და ქართულ გრამატიკას, წარჩინებული და ერთგული სამსახურისათვის 1826 წლის 18 მარტს დაჯილდოვდა იისფერი ხავერდის კუნკულით. 1826 წლის 19 მარტს მას მიენდო კახეთის საეკლესიო შემოსავლის განმგებლობა. 1826 წლის 1 ნოემბერს დაინიშნა თელავის სასწავლებლის ზედამხედველად. 1827 წლის 1 თებერვალს აღიკვეცა ბერად. ამავე თვის 2 რიცხვს არქიმანდრიტად ხელდასხმულ იქნა ქართლისა და კახეთის ეგზარხოზის, იოანე მიტროპოლიტის მიერ და ებოძა წინამძღვრობა იოანე ნათლისმცემლის უდაბნოსი. აქვს ბრინჯაოს ჯვარი ვლადიმირის ბაბთაზე წარწერით: 1812 წლისათვის ¹.

ამ საკმაოდ დაწვრილებითი ცნობებიდან ყველაზე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ცნობა ნიკოლაოსის წლოვანების შესახებ. 1829 წლისათვის ის 55 წლის ყოფილა, ე. ი. დაბადებულა 1774 წელს.

ნიკოლაოსის დაწერილ ბიოგრაფიას ერთხელ კიდევ შევხვდით საქ. ცსსა არქივის ფონდში „Канцелярия Экзарха Грузии“ (ფ. 488, არქ. 5645, №346) აქ ზუსტად გამეორებულია უკვე მოყვანილი ცნობები. ახალი ამ საბუთებიდან შევიტყვეთ ის, რომ 1838 წლის 27 ოქტომბერს ხანგრძლივი და ერთგული სამსახურისათვის ნიკოლაოსი – არქიმანდრიტი თეოდოსი – სხვა არქიმანდრიტებთან ერთად დაუჯილდოვებიათ წმ. ანას მესამე ხარისხის ორდენით. ნიკოლაოსის ბიოგრაფია სწორედ ამ დაჯილდოებასთან დაკავშირებით არის შედგენილი.

¹ საქ. ცსსა, ფ. 440, 39.. I.24.

1840 წლისათვის 70 წელს მიტანებული ნიკოლაოსი მოუძღვრებულა ხშირი ავადმყოფობის გამო, რის გამოც გასძნელებია თავის გართმევა დაკისრებული მოვალეობისათვის. საქართველოს ეგზარხოსის ბრძანებით იგი გაუთავისუფლებიათ სამონასტრო მიწების მოვლა-პატრონობის პასუხისმგებლობისაგან და მხოლოდ არქიმანდრიტობა დაუტოვებიათ ¹. ამის შემდეგ ნიკოლაოსს დიდხანს აღარც უცოცხლია. 70 წლის ასაკში. 1844 წლის 24 თებერვალს იგი გარდაცვლილა. არსებობს საბუთი მისი გარდაცვალების შესახებ: „ნათლისმცემლის უდაბნოს ერთობლივ კრებულის მიერ რაპორტი. – პატივი გვაქვს განცხადებად ერთობ ნათლისმცემლის კრებულთა თქვენის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობისადმი, რომელ ჩემდ-ს წელსა ამა მდგომარეს თებერვლის კვ-ს რიცხვსა არქიმანდრიტი ამა ნათლისმცემლის მონასტრის ფეოდოსი, ნებითა ღვთისათა გარდაიცვალა თავისის ავანტყოფობით და ვთხოვთ თქვენის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობისაგან გვებრძანოს დამარხვა. ერთობ იოანე ნათლისმცემლის მონასტრის კრებულნი ხელს ვაწერთ. ჩემდ-ს წელსა, თებერვლის კვ-ს რიცხვსა“ ².

შეიძლება ითქვას, რომ მოყვანილი საარქივო მასალების მეშვეობით თითქმის აღნუსხულია ნიკოლაოს იეროდიაკონის ცხოვრების ძირითადი ფაქტები. მაგრამ ჩვენ ნათელი წარმოდგენა არ გვექნება ნიკოლაოსის პიროვნების შესახებ თუ არ გავითვალისწინეთ მისი ბიოგრაფიის კიდევ რამდენიმე დეტალი.

ნიკოლაოს იეროდიაკონი გვარად ხელაშვილი იყო, როგორც აღვნიშნეთ, იონა ხელაშვილის ნათესავი. ვფიქრობთ, რომ ეს ნათესაობა არ უნდა ყოფილიყო შორეული. ისინი ერთმანეთის ბიძაშვილები მაინც უნდა ყოფილიყვნენ.

¹ საქ. ცსსა, ფ. 488, არქ. 6702

² იქვე, არქ. 10167.

ეს აზრი დამყარებულია შემდეგ გარემოებაზე – იონა ხელაშვილის წინაპრების შესახებ ქართული ლიტერატურის ისტორიაში წერია: „ერთ-ერთი მისი წინაპართაგანი ერეკლე პირველის მეუღლეს ანას მოუყვანია თავის სასახლეში, აღუზრდია სამღვდელოდ და შემდეგ დაუდგენია თელავის კარის „პროთოიერეიდ,, (რომელ არს ჩვენებრ მღვდელთ-დეკანოზობად). ეს თანამდებობა ამ ოჯახში შეილიდან შეიღზე გადადიოდა. ცნობილი ყოფილან თავის დროს დეკანოზები: იოსებ, გიორგი და დავით, იონას პაპა (მამის მამა),¹.

ნიკოლაოს იეროდიაკონის მამა გიორგი ერთ-ერთი ასეთი დეკანოზი ყოფილა. კარის დეკანოზის გიორგის ძე – ასე ასახელებენ ნიკოლაოსს თანამედროვენი. ნიკოლაოსიც თავის დაწერილი საბუთისა თუ ხელნაწერის ანდერძში თავს გვაცნობს თავისი მამის შეილობით: „მე, კახეთის სამეფოს სასახლის კარის ეკლესიის დეკანოსის შულს, კარის ეკლესიის მღუდელს ნიკოლაოს მიხეილოვს დამიწერია ომანის, ზაქარიასა და იოსების სიტყვთ და ყაბულით და მოწამეცა ვად“ – წერს ის 1803 წელს დაწერილ საბუთში².

მოგვეპოვება თვით გიორგის დაწერილი საბუთები: „მე, მეფის კარის ეკლესიის მღუდელ-მგალობელს, გიორგი ხელაშვილს დამიწერია ამათის ბრძანებით და მოწამეცა ვარ“³ – 1781 წელს დაწერილი საბუთის ანდერძია. „აღიწერა ჴელითა მათის უმაღლესობის კარის ეკლესიის მღუდელ-მგალობელ გიორგისითა“⁴ – 1785 წ. „აღიწერა ჴელითა მათის სიმაღლის კარის ეკლესიის დეკანოსის გიორგისითა, რომელ მოწამეც ვარ“⁵ – 1794 წ.

¹ კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია. ტ. I, თბ., 1960, გვ. 403

² საქ. ცსსა, ფ. 1448, საბ. 8125.

³ იქვე, საბ. 5417.

⁴ იქვე, საბ. 562

⁵ იქვე, ფ. 1448, საბ. 75

ხელმწიფის კარის ეკლესიის დეკანოსობა ნიკოლაოსსაც მიუღია: „აღუსწერე წერილი ესე კარის დეკანოსმა ნიკოლაოს მიხაილოვმან“¹ – წერს ის 1797 წლის საბუთში. „მე, თელავის კარის ეკლესიის დეკანოსმა ნიკოლაოსმან აღვსწერე,“² – 1813 წლის საბუთია. გიორგი მეფის ბრძანება: „...მაღალო ღირსო დეკანოზო ნიკოლოზ, რადგან ჩვენის კარის დეკანოზი ხარ და კარის წანამძღვრობის ადგილიც შენ გიპყრიეს, ეს შენც ასე დაუმტკიცე“³ – 1800 წ.

როგორც ვიცით, 1807 წელს ნიკოლაოსს ებოძა თელავის კარის ეკლესიის პროტოპოპობა. ხელნაწერთა ინსტიტუტში შენახულია ანტონ II კათალიკოსის მიერ ნაბოძები ეს საბუთი: „წყალობითა ღვთისათა... გარწმუნეთ შენ ყოვლად პატრიოსანსა მღუდელსა ჳელაშვილსა ნიკოლაოსს თელავს წმიდისა ღვთის მშობელისა მიცუალებისა ეკლესიისა პროტოპოპობა, ყოვლითავე განწესებითა მით და განგებითა, ვითარცა აქუნდათ წინაპართა პროტოპოპთა მისთა...“⁴

როგორც ვხედავთ, მოყვანილი საბუთების მიხედვით, ნიკოლაოსი და მისი მამა გვევლინებიან შემკვიდრედ იმ თანამდებობისა, რომელიც, კ. კეკელიძის სიტყვით, იონა ხელაშვილის წინაპართაგან შვილიდან შვილზე გადადიოდა. სწორედ ეს გვაფიქრებინებს, რომ ნიკოლაოსი ხელაშვილთა იმავე შტოს წარმომადგენელია, რომლისაც იყო იონა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერც ის და ვერც მისი მამა აღნიშნულ თანამდებობაზე ვერ დაინიშნებოდნენ.

მცირეოდენი რამ ნიკოლაოსის მამის შესახებაც. იგი კარის დეკანოზობის გარდა ცნობილი ყოფილა როგორც

¹ იქვე, საბ. 970

² იქვე, საბ. 8034

³ იქვე, საბ. 818

⁴ ხელნაწ. ინსტიტუტი, Hd 9833.

⁵ საქ ცსსა, ფ. 1448, საბ. 5417.

მგალობელი. „მე, მეფის კარის ეკლესიის მღუდელ-მგალობელს გიორგი ხელაშვილს დამიწერია“⁵ – 1781 წ. „დაიწერა ხელითა მგალობელის გიორგისათა“¹ (1778 წ) – ვკითხულობთ მისი ხელით დაწერილ საბუთებში.

გიორგი სახელგანთქმული მგალობელი ყოფილა. მასზე იოანე ბატონიშვილი აღნიშნავს: „კახურსა გლობასა იყო პირველი“-ო. ეს გალობა მას შვილისთვისაც უსწავლებია. მგალობლობის გარდა გიორგი უნდა ყოფილიყო კარგი მწიგნობარიც. ჩვენ მოვიყვანეთ მისი ანდერძები მის მიერ გადაწერილი სიგელ-გუჯრებიდან. ეს სიგელ-გუჯრები დაწერილია ულამაზესი კალიგრაფიული ხელით. სიგელ-გუჯრების წერის ხელოვნება, უნდა ვიფიქროთ, რომ მას უსწავლებია ნიკოლაოსისთვის. შემონახულია რამდენიმე საბუთი, რომლის დამწერი ნიკოლაოსია. წერის სილამაზეში მას მამისთვის მიუბაძავს.

სიგელ-გუჯრების გარდა გიორგი ყოფილა ხელნაწერი წიგნების გამამწერიც. გვაქვს ნუსხა, რომელიც მისი გადანაწერიდან მომდინარეობს. ეს არის ხელნაწერი H 2673., აღწერა წუქეთისა და ჭარისა 1846 წ. მისი ანდერძი გვამცნობს: „ეს აღწერილობა ვახუშტის ბატონიშვილის გაკეთებულის ქართლის ცხოვრებიდან გადმოვსწერე ჭეშმარიტებით მე, გიორგი ხელაშვილმა, ხუცეს-მგალობელმა, თვესა მ ა ი ს ს ა **კზ**. წელთა **ჩღპდ**. და მუნითგან უმეტნაკლებოდ აღვსწერე იოანე ნათლისმცემლის უდაბნოს წინამძღვარმა არხიმანდრიტმან იოანე ჯორჯაძემ, კეთილად აღმომკითხველთათვის საცნობელად ქვეყნისა ჩუენისა ამინ. **ჩყმგ** წელსა, იანვრის **დ** დღესა“.

იოანე ნათლისმცემლის უდაბნოში ეს ხელნაწერი, როგორც ჩანს, ნიკოლაოსს ქონდა თან და მისი სიკვდილის

¹ იქვე, საბ. 1511.

შემდეგ იოანე ჯორჯაძემ, ნიკოლაოსის შემდგომმა წინამძღვარმა, ნახა და გადაწერა.

გიორგი ხელაშვილი თელავის სამეფო კარზე დეკანოსად ჩანს უკვე 1778 წლისათვის ¹. 1798 წელს გიორგი მეფე მას უახლებს ერეკლე მეფისაგან მოცემულ ჯამაგირის წიგნს ². ე. ი. იგი ამ დროისათვის კიდევ ცოცხალია. შეიძლება, 1807 წელს ნიკოლაოსისთვის პროტოპოპობის ბოძება გიორგის სიკვდილზე მიგვანიშნებდეს.

გიორგი ხელაშვილზე ყურადღების გამახვილებით ჩვენ ის გვინდა ვთქვათ, რომ ნიკოლაოსის მწიგნობრობა და ლიტერატურული საქმიანობის სიყვარული ოჯახური ტრადიციებიდან იღებდა სათავეს. დავით რექტორის მოწაფედ გახდომა ამ სიყვარულის ზრდისა და გაღვივების კარგი საწინდარი იყო.

დავით რექტორთან სიახლოვე ნიკოლაოსს თითქმის სიბერემდე შეუერთებია. ამის კარგ მაჩვენებლად გამოდგება გიორგი ერისთავის, დიდ კნიაზად წოდებულის და გენერალ-მაიორის, წერილი დავით რექტორისადმი. ნიკოლაოსს თავის დროზე არ უპასუხნია გიორგი ერისთავისაგან მიღებულ წერილზე. მის ამ საქციელს გიორგი ერისთავი დავით რექტორს ატყობინებს: „ესეოდენ ჟამ სურვილი ჩემი დაყენებული იყო წერად თქუწნდამი და განცხადებად ჰაზრთა კეთილთა, და ჳელმყუანებელთა სამღრთოსა ტრფიანებისადმი და აწცა ჳელ-ჳებად კალამთა მაყენებდა სოფლისა ამის ვითარება და გარემოება ჩემი. გარნა განმადვიბა და მიზეზ მექმნა მოწაფე თქუწნი პროტოპოპი ნიკოლაოს, რომელსა მოვსწერე ჳეშმარიტნი და საღმრთო წერილთაგან დამტკიცებულნი სიტყუანი, რომელი აჩუანებდა გზასა

¹ ეს ჩანს საბუთიდან, რომლის ანდერძი ერთხელ უკვე მოვიყვანეთ – საქ. ცსსა, ფ. 1448, საბ. 1511.

² ხელნაწ. ინსტიტუტი, Ad 921.

კეთილობისასა და ძირსა თუ გუამსა ბოროტმოქმედებისა, და მის მიერ პასუხი ვერა რად მივიღე. ამისთვის საჭიროდ ვრაცხ შენდამი მოქცევად და წერად“-ო ¹.

1821 წლისათვის, რომლითაც დათარიღებულია ეს წერილი, ნიკოლაოსი 46 წლის კაცი იყო და უკვე თვით იყო დეაწლმოსილი პედაგოგი. ამ დროისათვის მისი დავით რექტორის მოწაფედ მოხსენიება, არ უნდა იყოს მხოლოდ იმ ფაქტის გახსენება, რომ იგი დავით რექტორის სემინარიაში სწავლობდა. აქ უნდა იგულისხმებოდეს ნიკოლაოსის ლიტერატურულ მოღვაწეობაზე დავით რექტორის გავლენა და ხელმძღვანელი როლი, რომელიც არ უნდა შეწყვეტილიყო სემინარიის კედლებში და რომელიც, ალბათ, გრძელდებოდა ნიკოლაოსის მთელი სიცოცხლის მანძილზე.

ანდრია მესხიშვილი მიერ მიძღვნილი ხოტბა გვიდასტურებს, რომ თავის მხრივ ნიკოლაოსიც ყოფილა მოწაფეთა მისაბაძი მაგალითი პიროვნული თუ შემოქმედებითი ღირსებებით. ამ მხრივ საინტერესო ცნობას გვაწვდის აგრეთვე გრ. ორბელიანის ბიოგრაფი ი. მეუნარგია: „გრიგოლი იმისმა მშობლებმა მიაბარეს ახალს მთავრობისგან გამართულს კეთილშობილთა სასწავლებელში. აქ ქართული ენის მასწავლებლად შეხვდა იმას მღვდელი ხელაშვილი, ჩვენი ენის ზედმიწევნით მცოდნე. ჩინებული კაცი იყო, მოიგონებდა პოეტი თვისს მასწავლებელს“.²

როგორი ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობდა ნიკოლაოსი თანამედროვეთა შორის, ეს კარგად ჩანს აგრეთვე მისდამი მიმართული წერილებიდან. მათ შორი უნდა დავასახელოთ: „ეპისტოლე დოდმატიკებრი, მათის

¹ საქ. ცხსა, ფ. 1446, ხელნაწ. 389²

² ი. მეუნარგია. ცხოვრება და დეაწლი თ გრიგოლ ორბელიანისა, ტფ., 1905, გვ. 18-19.

მაღალ მსუღელობის კნიაზ ღენერალ-მაიორის და კავალერის გიორგის მიერ ერისთავისა. მათს მაღალ პატიოსნებას უფალს პროთოპოპს ნიკოლაოზს, მოწყალეს ჳემღწიფეს“¹. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია თეიმურაზ ბატონიშვილის წერილი. მოვიყვანთ მას: „მაღალ ღირსო პროთოიერი, საკუთარო მეგობარო ნიკოლაოზ. – წმიდას მარჯვენას გეამბორები. უკაცრაოთ ვიყავ, აქამღის დაგიგვიანე საფილონე, ჟამმა ასე მომცა. აწ შემდგომისა ამის სიით მოგივათ მძიმის ფოშტით თავსა და ბოლოს ჩემის ბეჭდით დაბეჭდილი საფილონე ფარჩა, ცხრა ადლი, რომელსაც ფილონი და ოლარი გამოგივა. კვალად ამ ფარჩასთანავე ძეს იმავე ფარჩისა ორი ადლი ნაჭერი, თავსა და ბოლოს ჩემის ბეჭდით დაბეჭდილი. ეს ორი ნაჭერი თერთმეტი ადლი რუსული არის. მეორე ნაჭრისა ბედერნიკ და ენქერი გამოგივა. ამასთანავე ორნაჭრათ ოცდაერთი ადლი რუსული ადლი არშია თანავე ამა ფარჩისა თანა ძეს. მუყაიშის არშია არის, ყვითელი, დიახ კარგი. რუსნი გასს უწოდებენ ამას და შესამოსლებზე და ეკკლესიის სამკაულებზედ სულ ამგვარებს ხმარობენ აქა.

შეიკერე ლამაზათ ჩვენებური ფილონი, რომელსაც რომ ბოლო სწორეთ მწყაზარის ბოლოს უგავს, ისე ლამაზათ მოყვანილი. მახსოვს მამაშენი რომ ლამაზათ ჩაიცომდა და სარტყელს ძუძუსთან შემოიკრევედა თელავს. თუმცა ზქელ იყო, მაგრამ კარგად შვენოდა ხოლმე. შენ კი არა მგონია, თუ ახლა დასქელდი და უკეთ გაგეწყობა. საბუხრებიც ასე უნდა გაიწყო ხოლმე, როგორც კარგმან ეკელუცმან ქალმა ხრიკით მაჯები. მამაშვილობას, კიცხევათ კი არ ჩამომართო, საწყალი დიმიტრი მღვდელი არ იყო შატბერაშვილი – საკვირველად იცოდა ლამაზათ გაწყობა შესამოსლისა,

¹ ხელნაწ. ინსტიტუტი, H 1216, საქ. ცხსა, ფ. 1446, ხელნაწ. 389.

ნამეტნავათ საბუხრებისა, და შორიდამ ვფიქრობ, რომ როგორ ლამაზათ დაგშვენდება. ღმერთმან მშვიდობაში, დიდსა ალექსანდრე იმპერატორის ერთგულად სამსახურში და მანდაურის კეთილშობილთ მოძღვრების უმეტეს წარმატებაში მოგახმაროს.

მამაშვილობამ, ჰელმწიფე იმპერატორსაც და ქვეყანასაც ასე მმსახურებ შენა, რომ უმეტესის ღირსი ხარ, რომ ვინც მამულის შვილები არიან, ყველამ პატივს გცეს. და ღმერთმა ქნას, ეს ჩემი გამოგზავნილი ფილონი ასე ბედნიერად მოგიხდეს, რომ ჰელმწიფის მოწყალება და წყალობა რამც დაგეპართოს, რომ მე შენ ბედნიერების სმენაზედ ვიხარო, და ღირსიც ხარ მამაშვილობამ. რას წამს მოგივიდეს, საჩქაროდ მომწერე პასუხი.

უმაღლესად და უსაკუთრესად საქართველოს მეფის ძე თეიმურაზ. წელსა 1822, ნოემბრის 2.

ბატონის სძალმა, ჩემმა მეუღლემ, დიდის სიყვარულით მოგიკითხა და ხელს გააკოცა.

ნიკოლოზ ჩუბინოვი დიდის სიყვარულით მოგიკითხე. რა ვქნა, უკაცრაოთ ვართ დარჩომილი, ვერათ მოვიგონე, მაგრამ ვფიქრობ კი უთუოდ.

ჩემს დას დიდის სიყვარულით მრავალი მოკითხვა მოახსენე, წიგნი დაუგვიანე, მამამშვილობამ, გული სულ მაგასთანა მაქვს.

შენი მშვიდობის ამბავს ნუ დამაკლებ. იოანემ დიდის სიყვარულით მოგიკითხა და ჰელს გააკოცა. აგრეთვე შენმა ძმაკაცმა“¹.

ეს მეტად ვრცელი წერილი მთლიანად იმიტომ მოგიყვანეთ, რომ იგი კარგად გვიხატავს იმ სიახლოვეს, სიყვარულს და პატივისცემას, რომელიც არსებობდა ნიკოლოზ-

¹ ხელნაწ. ინსტიტუტი, Ad 897.

ოსსა და ბატონიშვილებს შორის. ამ წერილში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ თეიმურაზ ბატონიშვილისაგან ნიკოლაოსისადმი სიყვარულისა და პატივისცემის მიზეზად გვესახება არა მხოლოდ მათი თანაშემზრდილობა, არამედ ნიკოლაოსის ღვაწლის დაფასება და აღიარება.

* * *

ბატონიშვილთა და იმ ეპოქის გამოჩენილ მოღვაწეთა სიახლოვე და პატივისცემა, განათლებულობა და ღვაწლმოსილება კიდევ უფრო ზრდის ნიკოლაოსის შემოქმედებისადმი აღძრულ ინტერესს.

ნიკოლაოსის პიროვნების ღირსებამ გარკვეულად ფასი დასდო და აამაღლა ჩვენი წარმოდგენა მის შემოქმედებაზე. სამწუხაროდ, ჩვენ შევძელით მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის მხოლოდ რამდენიმე ნიმუშის მიკვლევა. ისინი შემდეგ ხელნაწერებშია წარმოდგენილი.

1. H 2055. ეს ხელნაწერი ნიკოლაოსის მიერ გადაწერილი ვეფხისტყაოსანია. მას წინ უძღვის, როგორც ვთქვით, ნიკოლაოსის მიერ შეთხზული 11 სტროფიანი წინასიტყვაობა. ამ ხელნაწერშივეა აკროსტიხი მიძღვნა: „ბრწყინვალე კენინა ელენას“.

ხელნაწერის გადაწერის თარიღი ახლა უფრო გარკვეულ ჩარჩოებში შეგვიძლია ჩავსვათ. ქალაქის ჭვირნიშანი 1820 წელია. ნიკოლაოსი თავის თავს იეროდიაკონად იხსენიებს: 1827 წლის შემდეგ იგი არქიმანდრიტ თეოდოსად იწოდებოდა. მაშასადამე, ხელნაწერი 1820-1827 წლებში ყოფილა გადაწერილი.

2. H 1126. მასში, როგორც უკვე ვიცით, ნიკოლაოსს გადაუწერია „სიბრძნე ბალავარისა“ (1r-33v) და საკუთარი ლექსები: 1. საგალობელი ხარებისა, იამბიკო წყობილი, უღირსისა და ყოველად კნინის იერომონახის ნიკოლაოსის მიერ ქმნილი. გალობა ა. სძლისპირი (34r-37v);

2. გალობა თ. რომლისა კიდურ-წერილობა არს აკროსტიხურად ესრეთ: უღირსი შენი ბერი, ძისა შენისა მონა ნიკოლაოს“ (37v-38r).

„საგალობელი ხარებისა...“ ვრცელი პოეტური ნაწარმოებია. ნიკოლაოსს გაუღექსავს ბიბლიური სიუჟეტი იესო ქრისტეს ჩასახვის შესახებ. დაწერილია იამბიკური ხუთტაეპოვანი ლექსით, დიალოგის ფორმით. შეიცავს 29 იამბიკურ სტროფს.

ხელნაწერი დაწერილია ნიკოლაოსის იერომონახობაში, ე. ი. 1827 წლამდე.

3. H 2769. როგორც აღვნიშნეთ, ერთი ფურცელია, მიტროპოლიტი იოანესადმი მიძღვნილი ლექსი აკროსტიხი, რომლის ავტორი ნიკოლაოსია.

ნიკოლაოსის ანდერძი გვამცნობს, რომ ლექსი დაწერილია „1821 წელსა, 6 თთუშსა, 7 დღესა“.

4. S 105. დავით რექტორის ცნობილი კრებული. შედგენილია 1825 წელს. ამ კრებულში დავით რექტორს შეუტანია თელავის სემინარიაში არსებული ლიტერატურული წრის წევრთა, თავის შეგირდთა, სანიმუშო ნაწარმოებები, რომლებიც მიძღვნილია ერეკლე მეფისა და სხვა ბატონიშვილებისადმი ¹. სხვა ახალგაზრდა პოეტთა სახელებს შორის ხშირად ვხვდებით ნიკოლაოსის სახელსაც. „ნიკოლაოს, თელავის კარის დეკანოზის გიორგის ძისა“, „ნიკოლაოს, კარის დეკანოზის გიორგის ძისა“, „ნიკოლაოს, გიორგი დეკანოზის ძისა“ – აწერია მეფე ერეკლეს, მეფის ძის დავითისა და მეფის ძის ვახტანგისადმი მიძღვნილ შესხმებს ².

¹ თელავის სემინარიის ლიტერატურული წრის შესახებ იხ. ტრ. რუხაძე, დავით რექტორი (ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, თბ., 1954, გვ. 4453).

² შესხმები დაბეჭდილია და განხილული ტრ. რუხაძის ხსენებულ ნაშრომში.

პროფ. ტრ. რუხაძე დავით რექტორის ამ კრებულის შესახებ წერს: „ეჭვი არაა, შეგირდებს ყველა უფლისწულისა და თანამედროვე მეფეების ქება უნდა ეთქვათ, მაგრამ დ. რექტორის ლექსების კრებულში დაცულია მხოლოდ ის ხოტბები, რომლებსაც ირაკლის, ვახტანგ და დავით ბატონიშვილებს ეუბნებიან შეგირდები.

აი მათი სია: გერმანე ქობულაშვილი, სიმონ მდივნის ძე; მერაბ ანდრონიკაშვილი; იოსებ პრეფექტორი ალავერდელი; ნიკოლოზ გიორგი დეკანოზის ძე (ხელაშვილი)“¹...

პროფ. ტრ. რუხაძეს მოყავს კრებულში წარმოდგენილ ახალგაზრდა პოეტთა სრული სია. ჩვენ იგი შევწყვიტეთ ნიკოლაოსის სახელთან. გვსურს ყურადღება გავამახვილოთ იმ გარემოებაზე, რომ პატივცემულ მეცნიერს ნიკოლაოსის სახელის შემდეგ კვადრატულ ფრჩხილებში კითხვის ნიშნით ჩაუსვამს გვარი ხელაშვილი.

ეს კითხვის ნიშანი იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ტრ. რუხაძეს დამტკიცებულად არ მიაჩნია და მხოლოდ საგარეუდოდ აქვს დაშვებული ნიკოლოზ გიორგი დეკანოზის ძის ხელაშვილობა.

იმ საარქივო მასალების გაცნობის შემდეგ, რომელიც ჩვენ აქ მოვიყვანეთ, ვფიქრობთ, ყოველგვარი ეჭვის გარეშე შეიძლება დავასკვნათ, რომ დავით რექტორის შეგირდთა შორის წარმოდგენილი თელავის კარის დეკანოზის გიორგის ძე ნიკოლაოსი გვარად ნამდვილად ხელაშვილია.

5. S 1735. ეს ხელნაწერი, რომელიც ბევრად ადრეულია ხსენებულ S 105-ზე (გადაწერილია 1791 წ.), მცირეოდენი რედაქციული სხვაობით იძლევა დავით რექტორის მოწაფეთა ლექსებს. ყურადღებას იმსახურებს იმით, რომ S 105-ში ნიკოლაოსის სახელით წარმოდგენილ შესხმებს აქ აწერია:

¹ ტრ. რუხაძე, დავით რექტორი (ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, თბ., 1954, გვ. 46).

„გიორგი დეკანოზის ძის კიკოსი“. ეჭვს გარეშეა, კიკო ნიკოლაოსის ბავშვობის საალერსო სახელი ყოფილა.

6. H 796. სასულიერო შინაარსის თხზულებების კრებული. ახლავს გადამწერის ანდერძი: „ესე წიგნი ქმნილ არს იეროდიაკონის ბერის ნიკოლაოზისაგან. 1821-ს წელსა, ოქტომბრის 18-ს დღესა. აღიწერა ჩემ გლახაკის იოსებ დიაკონ ფოცხვეროვისა მიერ“.

ამ კრებულის შემქმნელი იეროდიაკონი ბერი ნიკოლაოსი რომ ნიკოლაოს ხელაშვილია და არა სხვა პიროვნება, ამას გვიდასტურებს ხელნაწერი A 536. A 536 აგრეთვე სასულიერო შინაარსის თხზულებების კრებულია. მისი ბოლო ნაწილი შინაარსით მთლიანად იმეორებს H 796-ს

A 536 სხვადასხვა პირის მიერ არის გადაწერილი. მისი გადაწერა დაუსრულებია (128v-132v) ნიკოლაოს ხელაშვილს. ანდერძიც მიუწერია: „1822-ს წელსა, ნიკოლაოს“. ამრიგად, A 536-ში გვაქვს ნიკოლაოს ხელაშვილის ავტოგრაფი იმ რამდენიმე თხზულებისა, რომელიც შედის დიაკონ იოსებ ფოცხვეროვის მიერ გადაწერილ კრებულში, ამიტომ მიგვაჩნია, რომ სწორედ ნიკოლაოს ხელაშვილია, და არა სხვა, ის იეროდიაკონი ბერი ნიკოლაოსი, რომელსაც იოსებ ფოცხვეროვი ასახელებს H 796 კრებულის შემქმნელად.

ეს მეტად საინტერესო ცნობაა. H 796-ში ჩვენ უკვე ვპოულობთ ნიკოლაოსის პროზაულ თხზულებებს, მის მოღვაწეობას სასულიერო მწერლობის დარგში. გავეცნოთ ამ კრებულის შინაარსს.

1. პირველი თხზულება, რომელიც ამ კრებულშია წარმოდგენილი, არის „საღმრთო ისტორია შემოკლებული, კითხვა-მიგებისათვის“.

კითხვა-მიგების ფორმით გადმოცემული საღმრთო ისტორია იმ დროის ბევრი ხელნაწერით არის მიღწეული. H 796-ში დაცული თხზულება განსხვავებულია ყველა მათგან და იგი ნიკოლაოსის ორიგინალურ ნაწარმოებად უნდა

ჩაითვალოს.

2. დიდაქტიკური ხასიათისაა შემდეგი თხზულება – „კანონი კეთილისა საქმისანი და ჩვეულები-სანი“. აქ ნიკოლასს ჩამოუყალიბებია ქრისტიანული მორალის მრწამსი, რომელსაც შეგონების ფორმით აწვდის მკითხველებს.

3. „გლესი ანუ მიწის მოქმედი და შვილ-ნი მისნი“ – ასე ქვია მესამე თხზულებას ნიკოლასის კრებულში. ეს არის ცნობილი სიუჟეტი არაკისა „ძალა ერთობაშია“. ნიკოლასს მოუცია ამ არაკის თავისებური რედაქცია.

4. მეოთხე თხზულებას ჩვენ ვუწოდეთ „ზნეობრივი შეგონებანი“. იგი წარმოადგენს ნიკოლასის ქადაგებას, რომლის მიზანი მრევლის ქრისტიანული მორალით დამწვემსვაა.

5. ამავე მიზანს ემსახურება უკანასკნელი, აგრეთვე ორიგინალური თხზულება: „ძმათათვის ანუ დათა“.

7. H 813. 5 ფ.: 33.5x22.5; ხელნაწერი ნიკოლასის ავტოგრაფია. იგი შეიცავს ერთ ჰომილეტიკურ თხზულებას: „სიტყუა შობისათვის წმინდისა დიდებულისა და ყოვლად ქებულისა წინასწარმეტყუჭლისა, წინამორბედისა და ნათლისმცემლისა იოანესა“. ანდერძში აღნიშნულია მხოლოდ დაწერის დრო და ადგილი: „1824-ს წელსა, თვესა ივნისსა 19-ს, ხირსას“.

„სიტყუა შობისათვის...“ ნიკოლასის ორიგინალური ნაწარმოებია, მაღალმხატვრული და მჭერმეტყველური, ავტორის განათლებისა და გემოვნების მაუწყებელი. როგორც ამ, ისე H 796-ში წარმოდგენილი ნაწარმოებებიდან ჩანს, რომ ნიკოლასი ყოფილა ნიჭიერი მქადაგებელი და ჰომილეტიკა მისი სამწერლო მოღვაწეობის ერთერთ დარგად უნდა გამოიყოს.

ორიგინალური ნაწარმოებების შემცველი ხელნაწერების

გარდა მივაკვლიეთ ნიკოლაოსის მიერ გადაწერილ კიდევ რამდენიმე ხელნაწერს.

1. H 928. ნიკოლაოსის ავტოგრაფი; 1821 წელს ნიკოლაოსს გადაუწერია ბ ა უ მ ე ი ს ტ ე რ ი ს ე თ ი კ ა. ხელნაწერს ახლავს მისი ანდერძი: „გმადლობ, გაკურთხევე, გაქებ და გადიდებ შენ, ღმერთსა ჩემსა ცხოველ-მყოველსა, მით, რამეთუ ყოველივე ნიჭთა შენმიერთა წარმართებად შენმიერვე მოეცემის თუთოეულთა. დიდება შენ, ღმერთსა ყოვლისა მპყრობელსა, აწ და უკუნითი უკუნისამდე, ამინ. უღირსი იეროდიაკონი ნ ი კ ო ლ ა ო ს. 1821-სა წელსა, თვესა 28.3“ (ფ. 160) ¹.

2. H 623. მ ე ტ ა ფ ი ზ ი კ ა. ნიკოლაოსის ავტოგრაფი. ახლავს ანდერძი:

„შენად ღმერთმყოფო (!) და შენ ხოლო, რომელი არა (?) გარნა უხმარი შემიწყაღე, ნიკოლაოს“ (ფ. 166) ²

3. საქ. ცსსა, ფ. 1446 №80. პარაკლისი ნიკოლაოზისა. 1803წ.; ნიკოლაოსის ავტოგრაფი; ახლავს ანდერძი: „იმისმა უბრწყინვალესობამ თავადმა ჩოლოყოფმა ნიკოლაოსმა აღმაწერინა პარაკლისი ესე წმინდის ნიკოლაოსისა მე, ყოვლად უღირსს მღუდელს ნიკოლაოსს, დეკანოსის გიორგის შვილს მიხეილოვს, წელსა 1803, ნოემბერს 30-ს“ (ხვეუღად): „ნიკოლაოს“ (ფ. 12) ³

4. საქ. ცსსა, ფ. 1446, №673. მანანა. 1823 წ., ნიკოლაოსის ავტოგრაფი; ახლავს ანდერძი: 1823სა წელსა უღირსი ნიკოლაოს“. ⁴

5. საქ. ცსსა, ფ. 1446 №68. ხელნაწერი წარმოადგენს ან-

¹ ხელნაწერის აღწერილობა იხ. (H კოლექცია) ტ. II, თბ., 1951, გვ. 295-296

² აღწერილობა იხ. იქვე, გვ. 97

³ საქ. ცსსა ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I თბ., 1949, გვ. 79.

⁴ საქ. ცსსა ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. II, თბ., 1950, გვ. 181-182

ტონ კათალიკოზის რიტორიკას. გადამწერის ანდერძი არ ახლავს, ადვილად საცნობი ნიკოლაოსის ავტობიოგრაფია ¹, არაკალიგრაფიული, ჩქარი ხელით დაწერილი. ასეთი ხელით დაწერილი შეგვხვდა ნიკოლაოსის, როგორც მასწავლებლისა და ნიკოლაოსის, როგორც არქიმანდრიტ თეოდოსის მიერ დაწერილი მოხსენებითი ბარათები ამავე არქივის ჩვენს მიერ უკვე მითითებულ ფონდებში.

6. საქ. ცსსა, ფ. 1446, №69. ხელნაწერში წარმოდგენილ თხზულებისათვის აღმწერლებს უწოდებით „ფ ი ლ ო ს ო ფ ი უ რ ი წ ი გ ნ ი“ ². გადამწერის ანდერძი არ ახლავს. ნიკოლაოსის ავტობიოგრაფია, ასეთივე ხელით ნაწერი, როგორც წინა, №68 ხელნაწერი ³.

ჩვენგან მიკვლეული ლიტერატურული მემკვიდრეობა მხოლოდ მცირე ნაწილად უნდა ჩაითვალოს ნიკოლაოზ ხელაშვილის შემოქმედებისა. ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ დასახელებული ხელნაწერებიდან ნახევარზე მეტს (H 2055, H 2763, H 928, H 813, A 536, საქ. ცსსა, ფ. 1446, №673) 1820-1824 წლების თარიღი უზის.

ნიკოლაოსმა ლიტერატურული მოღვაწეობა ჭაბუკობიდან, სემინარიაში სწავლის პერიოდიდან დაიწყო. ამის კარგი დადასტურებაა დავით რექტორის კრებულში წარმოდგენილი მისი პოეტური შემოქმედების ნიმუშები, რომლებიც 1791 წლისათვის უკვე დაწერილია. ნიკოლაოსი გარდაიცვალა 1844 წელს. ძნელი დასაჯერებელია, რომ 1791 წლიდან 1844 წლამდე, 53 წლის განმავლობაში მას მხოლოდ 3 წელი ემუშავა ინტენსიურად. პირიქით, ეს სამი

⁴ საქ. ცსსა ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I, თბ., 1949, გვ. 69-70

⁵ იქვე, გვ. 70.

⁶ უნდა აღვნიშნოთ, რომ საქ. ცსსას მოყვანილი 4 ხელნაწერიდან

³ (№68, 69 და 80) შემოწირულია ვლადიმერ მიხეილის ძის ხელაშვილისაგან, ქ. თელავიდან.

წელი უნდა მივიჩნიოთ ნიკოლაოსის ლიტერატურული პროდუქტიულობის კარგ მაგალითად. საფიქრებელია, რომ ნიკოლაოსის ცხოვრების სხვა პერიოდის შემოქმედებას ჩვენამდე არ მოუღწევია.

ნიკოლაოსის ორიგინალური პოეტური შემოქმედება, რომელიც აღნიშნულ ხელნაწერებშია წარმოდგენილი, მეტყველებს მათი ავტორის წიგნიერებასა და განათლებულობაზე. ნიკოლაოსი პოეტურ ხელოვნებას დაუფლებული შემოქმედია. მისი სტილი მაღალფარდოვანია და ანტონ კათალიკოსისა და დავით რექტორის დიდი გავლენა ატყვია.

პოეტური სახეებით და მხატვრულობით მოსაწონია მისი ხოტბები ერეკლე მეფისა და ბატონიშვილებისადმი მიძღვნილი. ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე რამდენიმე ადგილი ლექსებიდან: „საგალობელი ხარებისა იამბიკო წყობილი...“ და „გალობა თ...“

მოვიყვანოთ ნაწყვეტებს ამ ლექსებიდან.

ეგე შობად კაცთა, „ს“ ქალწულო,
ღვთისა არ ეგრეთ, დავითისა ასულო,
მადლით წერილო, გრაგნილად დასახულო,
კურთხევის თაო, წყევისა დასასრულო,
ხოლო პატივით სახელად ღვთისა აღსასრულო.

(„საგალობელი ხარებისა...“)

კიპარისებრ ფშივი კეთილსა სამოთხესა,
ოფაზის ოქროვ, განწმენდილო მადლითა,
ღრუბელს სავსევ, კურთხევისა ცუარითა,
აღმატრფე კუალად შენდამი მგალობელი
ოსანნისა გალობად ძისა შენის.

(„გალობა თ“.)

* * *

მოდწეული ხელნაწერები გვიდასტურებენ ნიკოლაოსის ლიტერატურული მოღვაწეობის მრავალმხრივობას.

სასულიერო და საერო პოეზია, სასულიერო მწერლობა, წიგნთა გადაწერა – აი მისი ინტერესთა სფერო. ნიკოლაოსი იყო აგრეთვე საუცხოო კალიგრაფი, სიგელ-გუჯრების დახელოვნებული მწერალი, მგალობელი, კარგი პედაგოგი, მონასტრის არქიმანდრიტი.

ყოველივე ეს უფლებას იძლევა დავასკვნათ, რომ ნიკოლაოსის პიროვნების სახით ჩვენ საქმე გვაქვს თავისი ეპოქის ერთერთ გამოჩენილ კულტურულ მოღვაწესთან, რომლის დეაწლს სათანადო დაფასება ჰქონდა თანამედროვეთა შორის.

დასასრულ, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ნიკოლაოს კახის სახელით ქართული ლიტერატურის ისტორია იცნობს კიდევ ერთ პიროვნებას. იგი ცნობილია იმით, რომ ფილიპე ყაითმაზაშვილსა და იოანე ორბელიანთან ერთად სომხურიდან უთარგმნია ფილოსოფიური თხზულებანი, კერძოდ, არისტოტელეს პერიარმენია და დიალექტიკა, აგრეთვე პროკლე დიადოხოსის კავშირნი დვთისმეტყველებითნი სვიმეონ ჯულფელის რედაქციისა.

მღვდელი კახთა მეფის კარისა ნიკოლაოზ კახელი, ან ქიზიყელი – ასე იხსენიება ის სამეცნიერო ლიტერატურაში ¹. ამავე სახელს ატარებდა, როგორც ვნახეთ, ნიკოლაოს იეროდიაკონიც. ბიოგრაფიული ფაქტები არ გვაძლევენ უფლებას ამ ორი პიროვნების გაიგივებისა. ნიკოლაოს იეროდიაკონი დაბადებულია 1774 წელს. პირველი ნიკოლაოსი კი აღნიშნულს თხზულებებს უკვე XVIII საუკუნის 60-იან წლებში თარგმნის.

მრავალთავი 1971 წ.

¹ კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, ტ. I, თბ., 1960, გვ. 365, 366, 368

„ჟამნის“ ქართულად თარგმნის ისტორიიდან

ლიტურგიკულ კრებულებს ქართულ ენაზე თარგმნის დაახლოებით ერთნაირი ისტორია აქვთ.

ქრისტიანობის მიღებიდან ერთი საუკუნის შემდეგ მაინც ქართველებს უკვე ნათარგმნი უნდა ჰქონოდათ მშობლიურ ენაზე ღვთისმსახურების შესრულებისათვის აუცილებელი და საჭირო ლიტურატურა¹. რადგან პირველ პერიოდში საქართველოს ეკლესია დაკავშირებული იყო პალესტინის ლიტურგიკულ პრაქტიკასთან, ამიტომ ქართულ ენაზე თავდაპირველად ნათარგმნი საღვთისმსახურო წიგნები აღმოსავლური რედაქციისანი იყვნენ.

X ს. 80-იანი წლებიდან იწყება ახალი პერიოდი ძველი ქართული ლიტურატურისა. ექვთიმე და გიორგი მთაწმიდლების სახელთან დაკავშირებულია ქართული ეკლესიის ბიზანტიურ ყაიდაზე გარდაქმნისათვის ბრძოლა, ქართული საღვთისმსახურო წიგნების ბერძნულ დედნებთან შეწამება, შესწორება და ხელახლა თარგმნა. XVIII საუკუნემდე ქართულ ეკლესიას აღარ გადაუხვევია ხსენებულ მოღვაწეთაგან აღებული კურსიდან. ამ საუკუნეში კი ნიკოლოზ თბილელი, ალექსი მესხიშვილი და ანტონ კათალიკოსი გვევლინებიან ახალი, რუსული მიმართულების დამწერგავებად ქართულ საეკლესიო პრაქტიკაში.

ასეთია მოკლე ქართული საღვთისმსახურო წიგნების თარგმნის ზოგადი ქარგა.

ლიტურგიკული ლიტურატურის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნაწარმოებია „ჟამნი“. რა ვიცი მისი თარგმნის ისტორიის შესახებ?

¹ კ. კეკელიძე, ქართული ლიტ. ისტორია, ტ. I. თბ., 1960, გვ. 37-41, 411-412, 573-574.

ისევე, როგორც სხვა ლიტურგიკული კრებულები, ჟამნიც ადრევე უნდა ეთარგმნათ ქართველებს. ცნობილია VI ს. I მეოთხედის მოღვაწის, პალესტინის დიდი ღაერის დამაარსებლისა და წინამძღვრის საბა განწმენდილის ანდერძი, რომლიდანაც ნათლად ჩანს, „რომ ქართველებს VI საუკუნის დასაწყისს უკვე ჰქონიათ თავიანთ დედაენაზე სახარება, სამოციქულო, ჟამნი, სამხრისად, 1, 3, 6, და 9 ჟამნი“¹. ამ ცნობის საფუძველზე აკად. კ. კეკელიძე ასკვნის: „ცხადია, ყოველივე ეს მეექვსე საუკუნის დასაწყისს ვერ განხდებოდა, არამედ ადრე შემუშავდებოდა“². უეჭველია, მოხსენიებული ჟამნი იქნებოდა აღმოსავლური, პალესტინური რედაქციისა.

ჟამნის შემდეგი თარგმნის ისტორია უკავშირდება ექვთიმე ათონელის სახელს. კ. კეკელიძე წერს მისი შემოქმედების ლიტურგიკული ნაწილის მიმოხილვისას: „დასასრულ, ექვთიმეს უნდა ეთარგმნოს ყოველდღიურ შედეგთა და განგებათა წიგნი, რომელიც საღვთისმსახურო პრაქტიკაში ცნობილია ჟამნის სახელით. მართალია, ჩვენამდე არ შენახულა ასეთი წიგნი, მაგრამ ეჭვს გარეშეა, მის შინაარსს შეადგენდა, სხვათა შორის, ლიტურგიკული სტატიები, რომელთაც ექვთიმეს სახელით მოუღწევიათ ჩვენამდე. ასე, მაგალითად, მის ბიოგრაფიაში აღნიშნულია: ა. „შუალამისანი ბერძულნი“ და ბ. „ლოცვანი ბერძულნი მამისანი“. პირველი გულისხმობს ეგრეთ წოდებულ Ἀχιλουθια του μεσοχτιχου „ან ქართულად „შუალამის ჟამნს“, ხოლო მეორე სხვა ჟამნებს: პირველს, მესამეს, მეექვსესა და მეცხრეს³.

შენიშვნის სახით უნდა აღვნიშნოთ, რომ როცა ვლაპა-

¹ აქვე, გვ. 39.

² აქვე.

³ კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, ტ. I, თბ, 1960, გვ. 210.

რაკობთ ჟამნის თარგმნის ისტორიის შესახებ, ჩვენ მხედველობაში გვაქვს საკუთრივ ჟამნი, და არა ის დანარჩენი ნაწარმოებები, რომლებიც ჟამთან ერთად, ჩვეულებრივ, გაერთიანებული არიან ხოლმე ამ სახელით ცნობილ კრებულში; ჟამნი შემდეგი ნაწილებისაგან, შეიძლება ვთქვათ, თავებისაგან შედგება; 1. ჟამნი შუაღამისა, 2. ჟამნი ცისკრისა, 3. ჟამნი პირველი მზისა, 4. ჟამნი მესამე, ანუ ჟამნი სამუამისა, 5. ჟამნი მეექვსე, ანუ მეექვსისა ჟამისა, 6. ჟამნი სადილისა, 7. ჟამნი ცხრა ჟამისა, 8. ჟამნი მწუხრისა, 9. ჟამნი დიდი სერობისა, 10. ჟამნი მცირე სერობისა, აქედან რამდენიმე თავს აქვს „შედგებად“ სახელწოდებული ქვეთავი; ასეთებია: 1. შედეგი პირველისა ჟამნისა, 2. შედეგი მესამისა ჟამნისა, 3. შედეგი მეექვსისა ჟამნისა, 4. შედეგი ცხრა ჟამნისა. ამრიგად, ჟამნი შედგება 10 თავისა და 4 ქვეთავისაგან.

როგორც ვნახეთ, კ. კეკელიძეს მიაჩნია, რომ ექვთიმე მთაწმიდლის ბიოგრაფის გიორგი მთაწმიდლის მიერ დასახელებული თხზულებანი: 1. „შუაღამისანი ბერძულნი“ და 2. „ლოცვანი ბერძულნი მამისანი“, რომლებიც ექვთიმე მთაწმიდელს უთარგმნია, გულისხმობს ჟამნის შემდეგ თავებს: 1. ჟამნი შუაღამისა, 2. ჟამნი პირველისა ჟამისა, 3. ჟამნი მესამისა ჟამისა ანუ სამუამისა, 4. ჟამნი მეექვსისა ჟამისა, 5. ჟამნი ცხრა ჟამისა. ე. ი. ექვთიმე მთაწმიდელს უთარგმნია ჟამნის 5 თავი. მას სათარგმნელი დარჩენია თავები: 1. ჟამნი ცისკრისა, 2. ჟამნი სადილისა, 3. ჟამნი მწუხრისა, 4. ჟამნი დიდი სერობისა, 5. ჟამნი მცირე სერობისა.

ჟამნის ქართულად თარგმნის ისტორია ექვთიმეს ნამოდვაწარით რომ არ სრულდება, ამას არ უნდა მტკიცება. ჩვენამდე მოღწეულია 200-ზე მეტი ხელნაწერი ჟამნი და ყველა ხელნაწერი, რომელიც კი ფრაგმენტულად არ არის შენახული, ჟამნს დასრულებულ თხზულებად წარმოგვიდგენს. სრული ჟამნი რამდენჯერმე დაიბეჭდა კიდევაც 1717, 1768, 1791, 1808, 1862, 1899 წლებში.

ვინ თარგმნა ქართულად სრული ჟამნი, ანდა ვინ დაასრულა მისი თარგმნა? ეს საკითხი, აქამდე არ გარკვეულა და არც დასმულა ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში.

რაც შეეხება საკითხს, თუ რა დროიდან არის სავარაუდებელი ახალი რედაქციის სრული ჟამნის არსებობა, ამის პასუხი შეიძლება გამოვიტანოთ კ. კეკელის შემდეგი სიტყვებიდან: „Совместная жизнь литургии двухредакций – Иерусалимской и Константинопольской в Грузии продолжалась до XII века, точнее – до Руисско-Урбнииского собора (1103г.), санкционировавшего литургическую деятельность энергичного поборника афоно – Константинопольского направления в Грузинской церкви – св. Георгия Мтацминдели и тем осудившего на смерть направление "Восточное" – Иерусалимско – Антиохииское“¹ (ხაზგასმა ჩვენია – ც. კ.).

ცხადია, იმ დროისათვის, როდიდანაც ქართული ლიტურგიკა გადაჭრით დაადგა ბიზანტიურ მიმართულებას, ქართველებს უკვე უნდა ჰქონოდათ ახალი რედაქციის სრული ჟამნი. ექვთიმეს ნაწილობრივი თარგმანით, რასაკვირველია, ამ დროის საღვთისმსახურო პრაქტიკა ვერ დაკმაყოფილდებოდა, ძველი რედაქციის ჟამნი კი, როგორც ზემომოყვანილი ციტატიდან იგულისხმება, ხმარებიდან უნდა ყოფილიყო განდევნილი. ამრიგად, თუ რაღაც უცნაურ გამონაკლისს არ დაეუშვებთ, 1103 წლისათვის ახალი რედაქციის სრული ჟამნის არსებობა აუცილებლობად უნდა მივიჩნიოთ.

მოგვეპოვება კუდეც ერთი ცნობა, რომელიც, ჩვენი აზრით, უფრო ავიწროებს ქრონოლოგიურ ჩარჩოებს.

კ. კეკელიძე ევრემ მცირის ლიტურგიკული მოღვაწეობის მიმოხილვისას წერს: „ავტორი თხზულებისა „მცირე უწყება ქართველთა მწერალთათჳს“ ევრემის შესახებ, სხვათა შო-

¹ К. К е к е л и д з е, Литургические грузинские памятники. . . გვ. XV.

რის, ამბობს: „ამან გარდამოიღო ეთიმონი, რომელ არს დიდმარხვის სამწუხრო მსახურება ეკლესიისა“. „მეთიმონი“ არის „დიდი სერობის“ შედეგი, რომელიც მართლაც დიდ მარხვაში სრულდება. ეს სიტყვა ქართული გამოთქმაა ბერძნული μαθηδων-ისა, რომლითაც იწყება დიდი სერობის ჰიმნი: ჩვენთანა არს ღმერთი, სცანთ წარმართთა და იძლიენით“. კ. კეკელიძე დასძენს: „შეიძლება ევრემს ეკუთვნოდეს ახალი რედაქცია ამ „შედეგისა“, თორემ თარგმნილი ის წინათაც იქნებოდა უეჭველად“¹.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შედეგი არის ქვეთავები ჟამნის ძირითადი თავებისა. რომ ითარგმნოს ამა თუ იმ თავის შედეგი, ვფიქრობთ, ჯერ თარგმნილი უნდა იყოს შესაბამისი ძირითადი თავი. დიდი სერობის ჟამნი ჟამნის ერთ-ერთი უკანასკნელი თავია (იგი ექვთიმე მთაწმიდელს არ უთარგმნია), მაშასადამე, ევრემ მცირის დროს ჟამნის ბოლო ძირითადი თავი უკვე თარგმნილი ჩანს, ე. ი. ჟამნის თარგმნა დასრულებული ყოფილა.

ამრიგად, ბერძნული ენიდან ჟამნის ახლად თარგმნის ისტორია ასე გამოიყურება:

1. ექვთიმე მთაწმიდელს დაუწვია ჟამნის თარგმნა, მაგრამ არ დაუსრულებია. მას უთარგმნია ჟამნის მხოლოდ 5 თავი.

2. ევრემ მცირის დროს უკვე უნდა არსებულიყო ჟამნის სრული ქართული თარგმანი.

დასკვნა ერთია: ჟამნის თარგმნა დაუსრულებია, ან მთლიანად სრული ჟამნი უთარგმნია ექვთიმე მთაწმიდლისა (955 – 1028) და ევრემ მცირის (დაახლოებით 1027 – 1103) შუალედ ეპოქაში მოღვაწე პირს.

ვინ უნდა იყოს ეს პირი? როგორც ზემოთ აღვნიშნეთ,

¹ კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, ტ. I, თბ., 1960, გვ. 268.

ლიტურგიკულმა კრებულებმა ქართულ ენაზე თარგმნის დაახლოებით ერთნაირი გზა გაიარეს. თუ არ წარმოვიდგენთ, რომ ჟამნის თარგმნის ისტორია განსხვავებულია და გამონაკლისი ყველა ლიტურგიკული კრებულის თარგმნის ისტორიიდან, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ მისი მესამე, ანუ ექვთიმეს შემდეგდროინდელი რედაქცია, ისევე როგორც სხვებისა, გიორგი მთაწმიდელს უნდა ეკუთვნოდეს. ეფრემ მცირისა და ექვთიმე მთაწმიდლის შუალედ ეპოქაში არც მოიპოვება სხვა პირი, გიორგი მთაწმიდელზე უფრო მეტად რომ შეეფერებოდეს ჟამნის თარგმნა. მხოლოდ გიორგი მთაწმიდელია ის მოღვაწე, რომლის სახელიც ბერძნული ენიდან ქართულ ენაზე საღვთისმსახურო წიგნების თარგმნისა და ქართული მწერლობის შევსება-გამდიდრების საქმეში განუყრელად უკავშირდება ექვთიმე მთაწმიდლის სახელს. გიორგი იყო ექვთიმე ათონელის ღირსეული მოწაფე, მემკვიდრე და მისი დაწყებული საქმის გამგრძელებელი.

მრავალმხრივი იყო გიორგის მოღვაწეობა, მაგრამ ყველაზე მეტად და ძირითადად მას ლიტურგიკის დარგში უმუშავნია. როგორც ვიცით გიორგიმ ქართულ ენაზე გადმოიღო მთელი წლის ლიტურგიკული პრაქტიკა, ლიტურგიკული თითქმის ყველა კრებული: დიდი სვინაქსარი, სახარება გამოკრებული საწელიწდო, თვენი, დიდი პარაკლიტონი, დიდი მარხვანი, ზატიკი, დიდი კურთხევანი, სტიქარონი საწელიწდონი დღესასწაულისანი, საწინასწარმეტყველო და სხვა.

გიორგის ზემოთ ჩამოთვლილ წიგნების სიაში არ იხსენიება მხოლოდ ჟამნი, ქართული ლიტურგიკული პრაქტიკის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნაწარმოები. რითი შეიძლება აიხსნას ეს გარემოება?

ჩვენ ვიცით, რომ გიორგის შრომების სია დაგვიტოვა მისმა ბიოგრაფმა გიორგი მცირემ, გიორგი მთაწმიდლის მოწაფემ.

მაგრამ ისიც ვიცით, რომ ეს სია სრულყოფილი არ არის და იგი გიორგი მთაწმიდლის მიერ ნათარგმნ ბევრ თხზულებას სრულებით არ იხსენიებს ¹. ამიტომ მასში ჟამნის არ მოხსენიება არ შეიძლება ჩაითვალოს ისეთ დაბრკოლებად, რომელიც გიორგის მიერ ამ თხზულების თარგმნის ვარაუდის უფლებას არ გვაძლევდეს. მეორე მხრივ, გიორგი მცირის თხზულებაში მოიპოვება ადგილი, რომელიც, პირიქით, ასეთი ვარაუდის დაშვების აუცილებლობაზე მიგვითითებს.

გიორგი მცირე გიორგი მთაწმიდლის ლიტერატურული მემკვიდრეობის დახასიათებისას მისი მოღვაწეობის ერთ-ერთ მხარედ აღნიშნავს: „ხოლო კუალად სხუანი წიგნნი წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთჳმეს მიერ თარგმნილნი და უცალობითა წუთ ვერ სრულქმნილნი, არამედ სულ მცირედ აღწერილნი, განასრულნა და განავარცნა“ ². მაშასადამე, ასკვნის აკად. კ. კეკელიძე, გიორგის... „ექვთიმეს მიერ დაწეებული და დაუსრულებელი ან მოკლედ ნათარგმნი წიგნები ვრცლად და სავსებით უთარგმნია“ ³.

ექვთიმეს მიერ თარგმნილს, მაგრამ „უცალობითა წუთ ვერ სრულქმნილს, არამედ სულ მცირედ აღწერილ“ წიგნებს განეკუთვნება ჟამნი. გიორგი მცირის ზემომოყვანილი სიტყვებიდან ლოგიკურად გამომდინარეობს დასკვნა, რომ ჟამნი, ისევე როგორც ექვთიმე მთაწმიდლის მიერ დაუმ-

¹ კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, ტ. I, თბ., 1960, გვ. 16, 221, 249. შენიშვნის სახით უნდა აღვნიშნოთ, რომ ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს ექვთიმე მთაწმიდლის შრომების სიაშიც, რომელიც გიორგი მთაწმიდლის შედგენილია. მასში გამოტოვებულია ექვთიმეს მიერ ნათარგმნი ბევრი მნიშვნელოვანი თხზულება (იხ. იქვე, გვ. 193-213).

² ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტ. ძეგლები, წიგნი II, თბ., 1967, გვ. 146.

³ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1960, გვ. 220-221.

თავრებელი სხვა წიგნები უნდა განესრულებინა და განეკრ-
ცო გიორგი მთაწმიდელს.

ძნელი დასაჯერებელია, რომ გიორგი მთაწმიდელს, რო-
მელმაც თავისი მოღვაწეობის უდიდესი ნაწილი, ლიტურგი-
კული ლიტერატურის თარგმნას შეაღია, სწორედ ამ დარგ-
ში დაეტოვებინა და არ ეთარგმნა, ან არ განესრულებინა
და განეკრცო ექვთიმეს მიერ დაწყებული წიგნი, ე. ი. გამ-
ონაკლისი დაეშვა მხოლოდ ჟამნის თარგმნის საკითხში. ამ-
იტომ გიორგი მცირის ზემომოყვანილი სიტყვები უნდა მიფ-
იხნით ლიტერატურულ ცნობად, რომელშიც პირდაპირ თუ
არ წერია, მისგან ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ ჟამ-
ნის საბოლოო და სრული რედაქცია გიორგი მთაწმიდელს
უნდა ეკუთვნოდეს.

გიორგი მთაწმიდლის შრომების სიის ნაკლულოვანების
აღნიშვნის შემდეგ. აკად. კ. კეკელიძე ბრძანებს: „ბევრ რა-
მეს ჩვენ ვარკვევთ ხელნაწერთა და მათში შენახულ ანდერ-
ძთა საშუალებით“.

რას გვაძლევენ ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერები და
რისი გარკვევა შეიძლება მათი მიხედვით.

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენამდე მოღწეულია 200-ზე მეტი
ჟამნის ხელნაწერი. მაგრამ მათი უმრავლესობა ნაკლულია.
ზოგი ფრაგმენტულია, ზოგი თავ-ბოლო ნაკლული. ჩვენამდე
სრული სახით შენახულია მხოლოდ 30-იოდე ხელნაწერი.
ხელნაწერთა უმრავლესობა XVII-XVIII-XIX საუკუნეებისაა.
ძალიან მცირეააა მოღწეული ადრეული საუკუნეების ხე-
ლნაწერები. ყველაზე ადრინდელად, რომელსაც სრულად
შემოუნახავს ჟამნის ტექსტი, უნდა ჩაითვალოს Ier. 127, რო-
მელიც დათარიღებულია XII-XV საუკუნეებით, მაგრამ ჩვე-
ნი აზრით, მისი თარიღის XV საუკუნემდე გადმოტანა არ
შეიძლება. პალეოგრაფიული ნიშნებით მისი თარიღი უნდა
განისაზღვროს XII-XIII საუკუნეებით.

Sin.76 – XIII ს. ხელნაწერი, Sin 88 – XIV-XV საუკუნეე-

ბისა. აღსანიშნავია, რომ Sin. 76 -ში გამოკრებილად მოცემულია მხოლოდ ჟამნის შედეგები, Sin. 88-ში კი მხოლოდ ძირითადი თავები. ორივე ეს ხელნაწერი შესაბამის ნაწილში მისდევს Ler. 127-ს.

XV საუკუნიდან ორიოდე ხელნაწერის დასახელება შეგვიძლია ისეთისა, რომელიც თავისი სისრულით საშუალებას იძლევა მისი რაობის გარკვევისა: A 430, A 417 და სხვა. Q 1262 – XV-XVI საუკუნისა. ცოტაა ასევე XVI საუკუნის სრული ჟამნები: A 361, 540, 581.

XVII საუკუნის A 594, 630, 597, 1350, H 342 და სხვა. დანარჩენი სრული ჟამნები მე-17-18, მე-17, მე-18 და მე-19 საუკუნეებისაა.

ჩვენამდე მოღწეულ ჟამნის სრულ ხელნაწერებში აღმოჩნდა სამი, რომელთაც შემოუნახავთ გიორგი მთაწმიდლის სახელი. ესენია: 1. ler. 127 – XII-XIII ს. ხელნაწერი, 2. A 1153 – XVI-XVII ს. ხელნაწერი, 3. ზუგდიდის სახ. ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერი **ზსიემ 18** – XVII-XVIII საუკუნისა.

თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სამივე ხელნაწერმა გიორგი მთაწმიდლის სახელი შემოგვინახა არა რაიმე მინაწერის სახით, არამედ სათაურში, თხზულების დასაწყის ნაწილში. A 1153-სა და **ზსიემ 18**-ში ეს სათაურები სინგურით არის ნაწერი.

ზსიემ 18-ს სათაურად აწერია: „ჟამნი... ბერძული თარგმნილნი გიორგი მთაწმინდელისანი“. A 1153-ს აწერია: „ჟამნი შუალამისანი ბერძულნი თარგმნილნი გიორგი მთაწმინდელისანი“. ler. 127-ს „ჟამნი დღისანი ბერძულნი, გიორგისი თარგმნილი“. ეს არის სამი სხვადასხვა დროის ხელნაწერი. რა მიმართებაა მათ შორის?

თავდაპირველად ჩვენ ერთმანეთს შევუდარეთ **ზსიემ 18** და A 1153 ჟამნები. პირველი XVII-XVIII ს. ხელნაწერია, მეორე კი XVI-XVII-სი, ე. ი. მათ შორის თითქმის ერთ საუკუ-

ნემდეა დროში სხვაობა.

შედარების შედეგად მივედით დასკვნამდე, რომ ეს ორივე ხელნაწერი იძლევა ერთი და იმავე რედაქციის ჟამნს. დამთხვევა სიტყვა-სიტყვითა ტექსტის ძირითად ნაწილში, მაგრამ მათ შორის მაინც შეინიშნება ვარიანტული სხვაობა, რაც გამოიხატება ზოგიერთი სათაურის სინგურით გამოყოფასა თუ არ გამოყოფაში, ზოგიერთი საგალობლის თუ ლიცვის შემოკლებასა თუ გავრცობაში, ადგილის შენაცვლებაში და სხვა.

ერთი სიტყვით, ამ ორი ხელნაწერის შედარებისას თვალნათლივ ირკვევა, რომ ისინი ერთმანეთისაგან არ არის გადაწერილი და თითოეული გულისხმობს თავის განსხვავებულ დედანს.

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ XVI-XVII და XVIII-XIX საუკუნეების ჟამნები და თვით მისი ნაბეჭდი ტექსტიც იძლევა ერთი ტიპის, ერთი რედაქციის ჟამნს. მათ შორის არსებული სხვაობა არ სცილდება იმ ფარგლებს, რომელიც ჩვენ აღვნიშნეთ A 1153-სა და **ზსიემ** 18-ის შედარებისას. ამიტომ როგორც A 1153, ისე **ზსიემ** 18 შეგვიძლია მივიჩნიოთ XVI-XIX საუკუნეთა ჟამნის ტიპად.

როგორია მათთან შედარებით ler. 127. როგორც აღვნიშნეთ, ler. 127 არის ყველაზე ადრეული ხელნაწერი, რომელსაც შემოუნახავს ჟამნის სრული ტექსტი (რასაკვირველია, ჩვენ ვგულისხმობთ ექვთიმესა და გიორგის შემდეგდროინდელ ჟამნებს) ¹.

ler. 127-ის სხვაობა XVI-XIX ს. ჟამნებთან შედარებით ცოტათი უფრო მეტია, ვიდრე თვით ამ საუკუნეების ჟამნებს შორის. პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენამდე

¹ ძველი რედაქციის ჟამნი ჩვენამდე შემოუნახავს იოანე ზოსიმეს 956 წლის ხელნაწერ კრებულს Sin. 34-ს.

მოდწეული ყველა სრული ჟამნი იწყება შუაღამის ჟამნით. ler. 127 კი, როგორც ვნახეთ, იწყება ასე: „ჟამნი დღისანი ბერძუნნი, გიორგისი თარგმნილი“. აქ მოყვანილი „ჟამნი დღისანი“ სხვა ხელნაწერებში შეესიტყვება ცისკრის ჟამნს. შუაღამის ჟამნი ler. 127-ში მოთავსებულია ბოლოში, სერობის ჟამნის შემდეგ. მას ხელნაწერში ეწოდება „ჟამნი ღამისანი“. XVI-XIX საუკუნეთა ხელნაწერების სადილის ჟამნს ler. 127-ში ჰქვია „ფსალმუნი სამხრისანი“.¹

ამრიგად, ler. 127-ში ბოლო საუკუნეების ჟამნებთან შედარებით ადგილი აქვს: ა. თავების გადაადგილებას, ბ. თავების სათაურის სხვა ვარიანტით წარმოდგენას (ჟამნი დღისანი – ჟამნი ცისკრისას ნაცვლად; ჟამნი ღამისანი – ჟამნი შუაღამისას ნაცვლად; ფსალმუნი სამხრისანი – ჟამნი სადილისას ნაცვლად). გ. გარდა ამისა, შეიმჩნევა, რომ საუკუნეთა მანძილზე ადგილი ჰქონია ჟამნში სხვადასხვა ლოცვის ჩამატებას. მაგრამ ეს ახალი მასალა მეტად მცირეა ძირეულ მასალასთან შედარებით და არ იძლევა უფლებას ჟამნის სხვადასხვა რედაქციად დაყოფისა.

ხელნაწერების შესწავლის საფუძველზე ირკვევა, რომ XII საუკუნიდან XIX საუკუნემდე გვაქვს ერთი ტიპის ჟამნი, ერთ სტრუქტურასა და თითქმის ერთსა და იმავე მასალაზე აგებული.

საქმე იმაშია, რომ მასალა რომელზეც აგებულია XVII-XIX საუკუნეთა ჟამნის საკითხავი ტექსტი, უმთავრესად არის დავითის ფსალმუნები, რომლებიც განაწილებულია დღის სხვადასხვა მონაკვეთში საკითხავად. ამ თვალსაზრისით ტექსტის შინაარსს ყველაზე უკეთ გამოხატავს ler. 127-ში მოცემული სადილის ჟამნის სათაური – „ფსალმუნი სამხრისანი“. ასევე თავისუფლად შეიძლება ეწოდოს ცის-

¹ ამ სათაურს ჟამნის ეს თავი ინარჩუნებს XVI საუკუნემდე.

კრის ჟამნს „ფსალმუნნი საცისკრონი“, პირველი მზის ჟამნს – „ფსალმუნნი პირველი მზისა“ და ა. შ.

ჟამნში თითქმის მთლიანად თავმოყრილია დავითის ფსალმუნები ერთი-ორი გამონაკლისის გარდა.

ასეთი ვითარების პირობებში ძნელი აღარ არის იმის დადგენა, თუ ვისი რედაქციის ტექსტი გვაქვს მოცემული აღნიშნულ თხზულებაში. შედარებამ ცხადყო, რომ ჟამნში მოყვანილი ფსალმუნები გიორგი მთაწმიდლის რედაქციისა არიან. ეს ეხება როგორც იმ თავებს, რომლებიც ექვთიმეს უნდა ეთარგმნა, ისე იმ თავებს, რომლებიც მას არ უთარგმნია.

გარდა ამისა შესაძლებელი გახდა ჟამნის ტექსტის იმ მცირედი ნაწილებიდანაც რომლებიც ფსალმუნებს არ წარმოადგენენ, გიორგი მთაწმიდლისეული თარგმანების გამოფლენა. მაგ:

1. სადილის ჟამნში (მეორენაირად მას ეწოდება „ფსალმუნნი სამხრისანი“) მოყვანილია ციტატა სახარებიდან (მათე 5,3 - 12) გიორგი მთაწმიდლის რედაქციით (Ier. 127, გვ. 100-101) ¹

2. ჟამნის იმავე თავში მოთავსებულია გიორგი მთაწმიდლის მიერ თარგმნილი „სიმბოლო ნიკია – კონსტანტინოპოლის კრებისა“. – „გურწამს ერთი ღმერთი, მამა ყოვლისა მშობელი“ – (Ier. 127, გვ. 102-104; შდრ. A 584, 229v-230r) ².

3. ჟამნში გამეორებულია ადგილი იოანე ოქროპირისა და ბასილი დიდის ჟამისწირვებიდან, რომელთა ახალი რედაქცია, როგორც ვიცით, გიორგი მთაწმიდელს ეკუთვნის ³: „მხოლოდ შობილი ძე და სიტყუად ლ~მ, უკუდავი არსებად,

¹ ექვთიმეს რედაქცია შესაბამისი ადგილისა იხ. მესტიის ოთხთავი, VII № 3, გვ. 14-15.

² ექვთიმეს ნათარგმნი აქვს მიქელ სუნკელოსის სიმბოლო.

³ კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია ტ. I, თბ., 960, გვ. 229, 583.

თავს იღვა ჩუწნისა ცხორებისათჳს. ჳორცნი შეიმოსნა წმიდისაგან ღ~ისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისაგან, უქცეველად განკაცნა. ჯუარს ეცუა ქრისტე ღმერთი, სიკვდილითა სიკვდილი დასთრგუნა (Ier. 127, გვ. 99).

ამრიგად, სადაც კი შესაძლებელი და ხელმისაწვდომი ხდება ტექსტის რედაქციის დადგენა, გიორგი მთაწმიდლისადმი გვერდის ავლა ვერ ხერხდება.

მაშასადამე, გიორგი მთაწმიდლის სასარგებლოდ შეგვიძლია დავასახელოთ შემდეგი ფაქტები:

1. ქართული ლიტერატურის ისტორიის გათვალისწინებას მიყვავართ იმ დასკვნამდე, რომ ჟამნის ახალი სრული რედაქციის მთარგმნელი გიორგი მთაწმიდელი უნდა იყოს.

2. სხვადასხვა საუკუნის (XII – XIX) ჟამნის ხელნაწერებს სათაურში აწერია, რომ ისინი თარგმნილი არიან გიორგი მთაწმიდლის მიერ.

3. მასალა, რომელზეც აგებულია ჟამნის საკითხავი ტექსტი, გიორგი მთაწმიდლისეული რედაქციისაა.

ვფიქრობთ, მოყვანილ არგუმენტთა ერთობლიობა საკმაო საფუძველს ქმნის იმისათვის, რომ ჟამნის ახალი სრული რედაქციის მთარგმნელად გიორგი მთაწმიდელი ვადიაროთ.

საბოლოოდ უნდა აღვნიშნოთ შემდეგიც, ჟამნი XVIII საუკუნეში არ გადაუმუშავებიათ სლავური ჟამნის მიხედვით. ვახტანგ VI-ის მიერ დაბეჭდილი ჟამნი იმეორებს XVII – XVIII საუკუნის ხელნაწერებს. ჟამნის შემდეგი გამოცემები კი უცვლელი გამეორებაა პირველისა. მხოლოდ XIX საუკუნეში დაბეჭდილ ჟამნებში, ვახტანგ VI-ის დროს დაბეჭდილთან შედარებით, ჩნდება რუსი იმპერატორების მოსახსენიებელი თუ სადიდებელი ტექსტის ჩანამატები.

მაცნე №3 1973 წ.

XIX საუკუნის ერთი უცნობი თხზულების ზრახმენტი

კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის Qd ფონდში (№9204) დაცულია უცნობი პირის „წერილი რუსეთში მოგზაურობის შესახებ“. ეს სათაური მისთვის საბუთთა კატალოგის შემდგენლებს შინაარსის მიხედვით დაურქმევიათ. წერილი მოთავსებულია 2 ფურცელზე, რომლებიც რომელიღაც ხელნაწერიდან (რვეულის შუიდან) ამოვარდნილის შთაბეჭდილებას ტოვებენ. ზომა 24,8 x 20.5; ქაღალდი ცისფერია, ჭუჭყიანი და ლაქიანი; დაზიანებული აქვს მარჯვენა, მარცხენა და ქვედა კიდეების ნაწილი; მხედრული; ტექსტი ალაგ-ალაგ ნასწორებია ავტორის მიერ; 1815წ.; აქვს ჭვირნიშანი.

წერილს აკლია დასაწყისი, ხოლო ბოლო დაუმთავრებელია. წერა შეწყვეტილია, რადგან მეორე ფურცლის v-ს ქვედა ნაწილი დაუწერელია. ტექსტის ბოლო სტრიქონი ფურცლის კიდეზე არ არის მიყვანილი, მისი ბოლო სიტყვის შემდეგ დაწერილია მძიმე.

წერილის შინაარსის გაცნობის შემდეგ, მივედით იმ დასკვნამდე, რომ ჩვენ ხელთ არის არა ჩვეულებრივი წერილი, არამედ ლიტერატურული თხზულების ნაწყვეტი. რომელიღაც პირი დღიურებში აღწერს თავის მოგზაურობას რუსეთში და ამ თხზულებას წერს წერილის სახით.

ასეთი ფორმით დაწერილი მოგზაურული ჟანრის ნაწარმოებები უცხო არ იყო XIX საუკუნისა და უფრო ადრინდელი ხანის ქართული ლიტერატურისათვის. ამ ჟანრს, ასეთი ფორმით დაწერილს, როგორც ვიცით, ქართულ ლიტერატურაში სათავე სულხან-საბა ორბელიანმა დაუდო ¹.

¹ პროფ. გრ. რუხაძის მითითებით, არის მასალა, რომ სულხან-საბა ორბელიანის „დიდი მოგზაურობის“ წინამორბედი ფილიპე შაქა-

მოდწეულ ფრაგმენტში, როგორც აღვნიშნეთ, ტექსტი ალაგ-ალგ ნასწორებია ავტორის მიერ. ეს სწორება ხდება აზრის დაზუსტების ან სტილისტური გამართვის მიზნით. შეიძლება ნიშანდობლივი იყოს ერთი დეტალი. ავტორს ქ. ასტრახანიდან გამოსვლის შესახებ ტექსტში ასეთი წინადადება ჰქონია: „13 ამთვისას გამოვედით ასტარხანიდამ. 15 ჩორნა იერის ქალაქში მოვედით“. ამ წინადადებაში მას სიტყვა „ამთვისას“ წაუშლია და რიცხვების 13, 15-ის წინ სიტყვა „სექტემბრის“ ჩაუმატებია. ავტორს ადრე აღნიშნული ჰქონდა: „სექტემბრის 2 ასტარხანის კარანტიში მოვედით“. ამიტომ წერილის ადრესატისათვის გასაგები უნდა ყოფილიყო, რომ „ამთვისას“ სწორედ სექტემბერს გულისხმობდა. მაგრამ ავტორს დროის მეტი სიზუსტით აღნიშვნა მოუნდომებია. უბრალო წერილში იგი ამას, ალბათ, უფრო დაუდევრად მოეკიდებოდა. მაგრამ რაკი მემუარებს წერდა, ამ უანრის თხზულებებისათვის მიუბაძავს და ტექსტი მათ ყაიდაზე გადაუსწორებია.

როგორც ვთქვით, ფრაგმენტის ბოლო წინადადება დაუმთავრებელია. თხზულების წერაა შეწყვეტილი თუ მისი გადაწერა? პირველ შემთხვევაში აღარ უნდა მოველოდეთ მისი გაგრძელების არსებობას. მეორე შემთხვევაში ეს გაგრძელება საძიებელია.

ჩასწორება, რომელიც აქა-იქ, თითო-ოროლა სიტყვაზე გვხვდება, არ აძლევს ტექსტს შავის იერს. უფრო საფიქრებელია, რომ ავტორი იძლეოდა თავისი თხზულების ახალ პირს და მასზე აგრძელებდა რედაქციულ მუშაობას.

ყურადღებას იმსახურებს ერთი ჩასწორება. 2r-ის მე-13

რაშვილის (XVI ს.), ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის (ირბახის), იოსებ ტფილელ-სააკაძის (XVIII ს.), და სხვათა „სამოგზაურო თხზულებანი“ (ტრ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVIII სს. თბილისი., 1960, გვ. 253)

სტრიქონზე წერია: „სახნავი არა აქვთ. სულ სილა არის. თევზს იჭერენ. იმითი კარგა ცხოვრებენ“. ტექსტს რაღაც აკლია, აზრი ნათელი არ არის. რა არა აქვთ სახნავი – მიწა თუ იარაღი? სულ სილა რა არის, ან სად არის. ავტორი ამბობს სიტყვებს: მიწა, მთა და ბარი, იმ წყალში – და აზრი გასაგები ხდება: „სახნავი მიწა არა ჰქონიათ. სულ სილა არის მთა და ბარი. იმ წყალში თევზს იჭერენ, იმითი კარგა ცხოვრებენ“.

როცა ავტორი აზროვნებდა და ისე წერდა, მაშინ გამოტოვა ეს სიტყვები? უფრო საფიქრებელია, ეს სიტყვები მას გამორჩა ტექსტის გადაწერისას.

ამრიგად, მოღწეული ტექსტის ბოლო ნაწილში თხზულების წერა კი არ უნდა იყოს შეწყვეტილი, არამედ მისი გადაწერა. ეს საქმიანობა ავტორს რაღაც მიზეზის გამო აღარ დაუმთავრებია

* * *

მოღწეულ ფრაგმენტში აღწერილია ავტორისა და ვიღაც „კნიაზ“ გიორგის მოგზაურობა კონსტანტინეგორსკიდან ტამბოვამდე. ამ ორ ქალაქს შორის მათ გაიარეს მოზდოკი, ნაური, ასტრახანი, სოფ. ჩერეპახა, ჩორნი იარი, სარეფთა ქალაქი (Сарпа).

ავტორი დაწვრილებით აღწერს, რა პირობებში უხდება მოგზაურობა, სად ჩერდება, რა მოსწონს. საინტერესოა ქ. ასტრახანის აღწერილობა:

„თერთმეტი დღე ასტარხანს ვიყავით. ასტარხანის ქალაქის ამბავი რაღა მოგახსენო. დიად, კაი ქალაქი ყოფილა. კაი სასახლეები ყოფილა ზოგიერთისა და უფრო ბევრი ცუდი სახლებია. დიდრონი წყლებია შემოტანილი შიგ ქალაქში. რომელიც აღმოსავლეთის მხარეს ჩადის, იმას კუტში ჰქვია, პატარა გემებით დადიან იმაში. და რომელიც დასავლეთისაკენ უძეს, იმას ბოლგა ჰქვია. იმაში დიდრონი გემები შემოდის; ყიზილბაშიდამ მოსული დიდრონი გემები

იდგნენ და მოელოდნენ თავის მხრის ქარს. დიად, მოსაწონი ქალაქი ყოფილა, ოღონდ ცოტა არის კარგი ხალხი. ათასის რჯულის ხალხი აქა მდგარა. დიდი აღებ-მიცემა არის, რადგან გემი მუშაობს და თევზი ბევრი არის“... (1v).

ავტორი სტუმრად ყოფილა ასტრახანის გუბერნატორთან და აღფრთოვანებული მისი სასახლეებითა და ბაღით.

„ივანოვს ორს ალაგსა აქვს სასახლე – ერთი საზამთრო და ერთი საზაფხულო. ორივე ერთმანეთზე უკეთესები და კარგათ გაწყობილი და მორთულები არის. ზამთრის სახლს საუცხოვო ბაღი აქვს, კარგად გაწყობილი. გორ-შოკებით ედგა დიდრონი ხეები: ნარინჯისა, ლიმონისა და ბადრანგისა, რომელთაც დიად ბევრი ასხიათ. ერთს ხეზე რიგი ყვავის, რიგი ინასკვება, ზოგი დიდრონია, რიგს თვალი შესვლია. საუცხოვო რამ არის! ოცდაათი ძირი მეტია. თითოს ხეს ას თუმნათ აფასებდა და ფიცავდა – არ მივცემ ამ ფასადაო.

სასახლე სამი ატაჟა არის. მარმარილოს მსგავსად არის გაღესილი, რომ ვერც კი შეამჩნევთ, რომ მარმარილო არ არისო. ქართლში ვის ექნებოდათ ამისთანა მორთული სასახლე?! “

ავტორი ჩორნი იარის ქალაქზე და მდ. ვოლგაზე ასე მსჯელობს: „სექტემბრის 13 გამოვედით ასტარხნიდამ და სექტემბრის 15 ჩორნა იერის ქალაქში მოვედით. ორი საათი მეტი დაგვაყენეს ფოჩტაზე, რადგან ცხენები არ იყო. დიად, პატარა ქალაქია და პატარა გორი ბევრით სჯობია. სწორი მოგახსენო, აქაური დიდება ეს ბოლგის წყალი ყოფილა. ყოველის კაცის კარზე გემი მივა, სადაც ან ქალაქია და ან სოფელი, ამ ბოლგის პირზე დგას. სახნავი მიწა არ ჰქონიათ, სულ სილა არის, მთა და ბარი. ამ წყალში თევზს იჭერენ. იმითი კარგა ცხოვრობენ, ჰყიდიან და პურს ყიდულობენ“.

მგზავრებს მოსწონებითა სარეფთა ქალაქიც: „მერე

ერთს პატარა ქალაქში გამოვიარეთ, რომელსაც ეძახდნენ სარეფთა ქალაქს. ნემცები დგანან. გორზე ბევრით პატარა იყო. შენ ნუ მომიკვდები, ასე ლამაზად იდგნენ სასახლით, ქუჩით, რუს შემოტანით, რომ მოეწონებოდა ადამიანს. ისე გამოვიარეთ ქალაქები, ქალი თუ კაცი დართულნი იყვნენ. დიდად გვინდოდა ჩამოხდომა და ნახვა, მაგრამ დიდად ცი-ოდა და გზასაც მოვეშურებოდით. წამოვედით იქილამ და რამდენიმე ფოჩტა გამოვიარეთ“.

ერთი რუსული სოფლის ქალებზე ავტორი ამბობს: ყოველს დედაკაცს თავზე რქებივით ხურავთ“. გვახსენდება გრიგოლ ორბელიანის „მგზავრობა ჩემი ტფილისილამ პეტერბურდამდის“, რომელშიც ასევე აღწერს პოეტი. ქალაქ ბოროდიცკის გუბერნიის ქალთა თავსაბურავს: „ზოგთა დედაკაცთა მხოლოდ პატარა ორი რქები აქვთ გაკეთებული შუბლზე თხეხსავით. გაუთხოვარნი ქალნი ვერ გაიკეთებენ ამა რქებთა, ვიდრემდის ქმარს არ შეირთავს. სასაცილოა თავის დახურვა“¹.

წერილიდან მოყვანილი ნაწყვეტები გარკვეულ ინტერესს იმსახურებენ. ისინი, ვფიქრობთ, კარგად გვიდასტურებენ, იმას, რომ ავტორს მიზნად აქვს თავისი მოგზაურობის აღწერა. ისიც ცხადია, რომ ტამბოვი არ უნდა იყოს ამ მოგზაურობის ბოლო პუნქტი. მგზავრები, უთუოდ, მიდიან უფრო შორს. მიდიან, რასაკვირველია, საქართველოდან. ამრიგად, დაკარგულია ამ თხზულების საინტერესო ნაწილი – აღწერა მოგზაურობისა საქართველოდან კონსტანტინეგორსკამდე და შემდეგ ტამბოვიდან, შესაძლებელია, მოსკოვამდე ან პეტერბურგამდე.

რასაკვირველია, ინტერესს იწვევს, ვინ არის ამ მოგზაურობის აღწერილობის ავტორი, რუსეთის რომელ ქალაქში მიდის იგი და რა მიზნით.

¹ ქართველი მწერლები რუსეთის შესახებ, შემდგენელი ვ. შადური, თბილისი, 1962, გვ. 394

ფრაგმენტში მოიპოვება ისეთი ცნობები, რომლებიც გარკვეულ გეზს გვაძლევენ ავტორის ვინაობის გამოსარკვევად. ავტორი ხშირად ახსენებს გორს, ადარებს მას რუსეთში ნანახ ქალაქებს, ამიტომ საფიქრებელია, რომ იგი ქართლიდანაა და რასაკვირველია, დიდგვაროვანი პირია. მიემგზავრება „კნიაზ გიორგისთან ერთად, რომელიც სამხედრო პირია – მას თან ახლავს ადიუტანტი და მსახური ბიჭები. ამ პირებს ყველგან პატივით ხვდებიან. მაგალითად, ასტრახანში შესასვლელად ღუბერნატორს მათთვის გემი გამოუგზავნია: „იმავე საღამოს ბოლგაში გავედით ღუბერნატორის გამოგზავნილის გემით (1r). შემდეგ ნაპირზე გუბერნატორისავე კაცი დახვედრიათ, რომელსაც ისინი კარგ საზამთრო სახლებში დაუბინავებია. გუბერნატორს მათ სპატივცემულოდ ბალიც გაუმართავს, რომელზეც მთელი ქალაქის წარჩინებული პირები დაუპატიჟებია. ავტორი წერს: „დღეს რომ კვირა არის და ამ თვის ექვსი, ივანოვს ბალი აქვს ჩვენი გულისათვის“ (1v). ავტორი იმასაც აღნიშნავს, რომ გუბერნატორს იგი თეატრშიც წაუყვანია, შემდეგ ისინი გენერალ ახმადოვსაც დაუპატიჟებია და სოფ. ჩერეპახაში წაუყვანია; „არხიელი გაიოზიც იქ იყო და სხვანიც იქაური მდიდარი კაცნიც“ (2r). ამის მეორე დღეს მდიდარ ვაჭარს ეფემენკოვს მოუსურვებია მათთვის გამასპინძლება: „მეორეს დღეს ილია ნიკოლიჩ ეფემენკოვმა დაგვპატიჟა. დიად, მდიდარი კაცია, და პირველი ვაჭარი და ქრისტიანი. კარგა დაგვხვდა“ (2r).

გუბერნატორს, ოფიციალური დახვედრის გარდა, დიდი მზრუნველობაც გამოუჩენია მათ მიმართ. გიორგი ამ დროს ავად ყოფილა და ის თურმე გამომგზავრების ნებას არ აძლევდა, რის გამოც ჩვენი მგზავრები თერთმეტი დღე გაჩერებულან ასტრახანში: „რადგან კნიაზს არ შეეძლო, მეორე დღეს რევანდი დალივა, რავდენიმე ასაქმა და უკეთ შეიქნა, მაგრამ სუსტად კი იყო, და არც ლეკარი ნებას აძლევდა გა-

რეთ სიარულისას, და არც ივანოვი გვიშვებდა, თერთმეტი დღე ასტარხანს ვიყავით“ (1r – v).

ამრიგად, ასტარხანში ამ პირების ჩასვლა დიდი პატივით აღნიშნულა. მთელი ქალაქის წარჩინებულობა ფეხზე დამდგარა. ეს მეტად მნიშვნელოვანი ცნობაა, რამაც გვაფიქრებინა, რომ ასეთ მოვლენას, შესაძლებელია, ასტარხანის მაშინდელი პრესაც გამოეხმაურა, ჩვენი ვარაუდი გამართლდა.

1813–1815 წლებში ასტარხანში ოთხშაბათობით გამოდიოდა ყოველკვირეული გაზეთი „ვოსტოჩნია იზვესტია“. ჩვენთვის საინტერესო პირები ასტარხანში იმყოფებოდნენ 1815 წლის სექტემბრის პირველ რიცხვებში. ამ გაზეთის სწორედ ამ დღეების ნომრები დავათვალიერეთ. 8 სექტემბრის ნომერში რუბრიკის ქვეშ – „ცნობები ჩამომსვლელთა და წამსვლელთა შესახებ“ – წავიკითხეთ, რომ ასტარხანში ჩასულან: სანკტპეტერბურგიდან – რუსეთში მცხოვრები სომეხი არხიეპისკოპოსი იოანესი და გეორგიევსკიდან – ბატონი გენერალ-მაიორი თავადი ერისთავი ¹.

8 სექტემბერს გამოსული გაზეთის ეს ნომერი მთელი გავლილი კვირის ამბებს აღწერს და მხოლოდ ერთ ქართველ წარჩინებულ პირს – გენერალ-მაიორ თავად ერისთავს ასახელებს ასტარხანში ჩასულად. რაკი ჩვენი მგზავრებიდან ერთ-ერთი სამხედრო პირია (ეს არის გიორგი, რომელსაც ადიუტანტიც ყავს), ვფიქრობთ, რომ სწორედ ის უნდა ყოფილიყო ასტარხანის გაზეთში მოხსენიებული გენერალ-მაიორი თავადი ერისთავი.

XIX ს. საქართველოში კარგად ცნობილი პირი იყო გენერალ-მაიორი გიორგი ერისთავი ².

¹ Восточные известия, №36, 1815 года. Среда. Сентября 8-го дня.

² საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბილისი 1973, გვ. 881; ნ. ტატიშვილი, ს. ხუციშვილი, ფრაგმენტები, სენატორი გიორგი იესეს ძე ერისთავი, ა.ს. პუშკინის სახ. თბ. სახ. პედ. ინსტიტუტის შრომები, 2, 1941; ი. მეგრელიძე, წარწერები და სხვა სიძველეები იკორთაში, საზ. მეც. განყ. მოამბე, 3, 1963, გვ. 174–175.

რუსეთის იმპერატორს თითქოს მისი მეფის ნაცვლად დანიშვნაც სდომებია, მაგრამ შემდეგ ამ თანამდებობაზე გიორგის ყოფილი ადიუტანტი ბარიატინსკი დაუნიშნავთ¹ გიორგის „დიდ კნიაზს“ ეძახდნენ. სწორედ ამიტომ არის, რომ ჩვენი ავტორი თავის თანამგზავრს სულ „კნიაზობით“ მოიხსენიებს.

ავტორის თქმით, ისინი ასტრახანში 2 სექტემბერს მისულან, 11 დღე დარჩენილან და 13 სექტემბერს გამგზავრებულან. იგივე გაზეთი მეორე კვირის ნომერში გვატყობინებს, რომ სანკტპეტერბურგში გაემგზავრა გენერალ-მაიორი გიორგი ერისთავი ².

ამრიგად, გიორგი ერისთავის ასტრახანში ჩასვლისა და გამგზავრების დღეები დაემთხვა წერილში აღნიშნულ დროს, რამაც კიდევ უფრო დაგვარწმუნა, რომ სწორედ ეს პირი იყო ჩვენი ავტორის თანამგზავრი. გაზეთიდან ისიც შევიტყვეთ, რომ ასტრახანიდან გიორგი ერისთავი პეტერბურგისაკენ გამგზავრებულა. მაშასადამე, პეტერბურგი ყოფილა ის ქალაქი, საითკენაც ჩვენი მგზავრები მიემშურებოდნენ. გზაზე ისინი უთუოდ გაივლიდნენ მოსკოვს. მართლაც, გაზეთის „მოსკოვსკია ვედომოსტის“ 1815 წლის 13 ოქტომბრის ნომერში, იმ ნაწილში, რომელიც გვისახელებს მოსკოვში ჩასულ და იქიდან გამგზავრებულ წარჩინებულ პირებს, აღნიშნულია, რომ სანკტპეტერბურგში გაემგზავრა ბატონი გენერალ-მაიორი და კავალერი თავადი ერისთავი.

დავადგინეთ რა, სად მიდის და რა გზით მიემართება ჩვენი ავტორი, ამით გავარკვეთ, რომ მის დღიურებში შემდეგში აღწერილი უნდა ყოფილიყო მგზავრობა ტამბოვიდან

¹ იხ. ი. მეგრელიძის დასახ. ნაშრომი.

² Восточные известия, №37. 1815 года, Среда, Октября 15-го дня, с. 994:

«а выехали до С. Петербурга Господин Генерал-Майор Князь Еристов».

მოსკოვამდე და მოსკოვიდან პეტერბურგამდე.

ვინ არის ამ „მოგზაურობის“ ავტორი, რა მიზნით მიდის იგი პეტერბურგში – აი, ჩვენთვის საინტერესო კითხვები. ვიფიქრეთ, რომ ამის გაგება გიორგი ერისთავის გარშემო არსებული მასალებით უფრო შეიძლებოდა, ე. ი. იმის დადგენით, თუ რა მიზნით წავიდა „დიდი კნიაზი“ პეტერბურგში.

„კნიაზი“ გიორგი ქსნის ერისთავი იყო. ეს გაირკვა 1816 წლის 15 ოქტომბრის გენ. ერმოლოვის მოხსენებითი ბარათიდან ¹.

ამ მოხსენებიდან ჩანს, რომ რუსეთის მთავრობას გადაუწყვეტია ქსნის ერისთავებისათვის ჩამოერთმია მამული და სახელმწიფოსათვის გადაეცა.

ამ საქმეს მხარს უჭერდა არხიეპისკოპოსი დოსითეოზ ფიცხელაური. ამ საკითხის განსახილველად გადაწყვიტეს მოეწვიათ ერისთავთა გვარეულობის წარმომადგენელთა კრება. ერისთავებისათვის უნდა ეკითხათ: რა საზღაურს მოითხოვდნენ ისინი მათი მამულის სახელმწიფოსათვის გადაცემის შემთხვევაში. დოსითეოზ ფიცხელაურის მტკიცებით, ასეთი კრების მოწვევა აუცილებელი იყო, რადგან მინისტრთა კომიტეტში ამ საკითხის თაობაზე დაბარებული იყვნენ თავადი ერისთავები, მათგან მხოლოდ ორი წარმომადგენელი წავიდა – გენერალ-მაიორი გიორგი და მაიორი თორნიკე. ამიტომ საჭიროა გაირკვეს, ჰქონდა თუ არა ამ ორ პირს მთელი გვარეულობის სახელით ლაპარაკის უფლება, ქსნის ერისთავებმა, მართლაც, მათ მიანდვეს თუ არა ეს საქმე და იყო თუ არა თანხმობა ამ გვარულების წარმომადგენელთა შორის.

ამის გარკვევა მთავრობას იმიტომ აინტერესებდა, რომ

¹ Всподданнейший рапорт ген. Ермолова от 15-го ноября 1816 года. № 1. Акты, т.VI, § 489, с. 366.

იმ ორმა პირმა – გიორგიმ და თორნიკემ – რომლებიც მთელი გვარეულობის სახელით ღაპარაკობდნენ, უარყო მეფის მთავრობის მიერ შემოთავაზებული წინადადება. ისინი მამულების დატოვებას თხოულობდნენ და უარს ამბობდნენ რაიმე საზღაური აეღოთ იმ მიწაში, რომელშიც მათი წინაპრების ძვლები იყო დამარხული. მამულების ჩამორთმევის შემთხვევაში მათ ერჩიათ ყოველგვარი საზღაურის გარეშე დაეთმოთ ისინი ¹.

ამრიგად, გაირკვა ჩვენი მგზავრების პეტერბურგში გამგზავრების მიზანი, ისინი, ქსნის ერისთავთა უფროსი წარმომადგენლები, და, ალბათ, ყველაზე საპატიო პირები, მიდიოდნენ მინისტრთა კომიტეტში საგვარეულო მამულების ჩამორთმევასთან დაკავშირებული საკითხის გასარკვევად ².

¹ გენ. ერმოლოვის დასახ. მოხსენებითი ბარათი: “Почему князья Еристовы, старейшие фамилии своей, в присутствии на сделанный вопрос о вознаграждении отозвались, что никакого не желают иметь вознаграждения за имения свое, а просят оставить оное за ними, так как у них там лежат кости предков их, что при отъезде в С. Петербург означенных двух князей, они дали им доверенность сие-же самое объявить с тем, что будь Его И, В, благоугодно имение у них взять, то они жертвуют оным без всякого вознаграждения“

² როგორც ვიცით, ადრე ქსნის საერისთავო გააუქმა ერეკლე მეორემ. მაგრამ შემდეგ მის მეკმედრეებს აღუდგენიათ იგი. 1801 წლის 17 იანვარს მათ მიერ გამოცემულ სიგელში (ხელნაწ. ინსტ. შდ 1701) : “... ჩვენ, იესიან-დავითიან-სოლომონიან-ბაგრატიონან სანატრელისა მეფის ირაკლის მეორის ძემან იულონ, ვახტანგ, მირიან, ალექსანდრე, ფარნავაზ, ლევან და ლუარს აბ, ესე უკუნისამდე ჟამთა და ხანთა მტკიცე და უცვალებელი წყალობის წიგნი მოგეცით თქვენ – ერთობით ქსნის ერისთვისწვიდგებს. ამას წინათ სანატრელის ბატონის მამის ჩვენისაგან რომ ჩამორთმეული გჰქონდათ თქვენი სამკვიდრო მამული – ერთობით ქსანი, მთა და ბარი, ახლა ჩვენ ისევე წყალობა გვიქნია და გვიბოძებია: ქსანი, მეჯუდის ხეობა, გვერდის ძირი, ვაკე, ამას და გარდა, ვისაც თქვენი მამული და ყმა უჭირავსთ, სხვათა ნასყიდი, უსყიდი თუ ნაძიითვი, ესეები სრულებით თქვენთვის ისევე სამკვიდროთ გვიბოძებია. იანვრის კზ, ქკს უპთ, წელსა ჩყა“.

ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების გაუქმებისთანავე, რუსეთის მთავრობამ საქართველოში დაიწყო სათავადოების გაუქმებაც. “რუსეთის ძლიერი და ცენტრალიზებული სახელმწიფო ვერ შეურიგდებოდა საქართველოში ნახევრად პოლიტიკური და იმუნიტეტის მქონე ერთეულების – სათა

გაირკვა ისიც, რომ გიორგისთან მყოფი დიდებული პირი, დღიურების ავტორი, ყოფილა მაიორი თორნიკე ერისთავი. ეს რომ სწორედ ასეა, დამტკიცდა აგრეთვე თორნიკე ერისთავის ავტოგრაფების მოძიებით, რომლებიც მრავლად აღმოჩნდა კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ისტორიული საბუთების ფონდებში. ჩვენ ხელთ არის თორნიკეს წერილები, გაგზავნილი სხვადასხვა ახლობელი პირებისადმი, მის მიერ ყმებისა და თუ სხვა ქვეშევრდომებისათვის მიცემული საბუთები, მისი ხელით დაწერილი განცხადებები და სხვ. ¹ Qd 9204, ე. ი. ჩვენთვის საინტერესო დღიური, სწორედ ამ საბუთების ხელით არის დაწერილი.

თორნიკე ერისთავი უფროსი ძმა ყოფილა კნიაზ გიორგისა. ხელნაწერთა ინსტიტუტის საბუთი Hd 6727 არის „სახელეულთა სია დუშეთის უეზდის თავად ქსნის ერისთავთა“, რომელშიც აღნიშნულია, რომ ქსნის ერისთავის იასეს ძენი: გიორგი არის ნდ (54) წლისა, შანშე (70) წლისა, თორნიკე

ვადოების არსებობას. შეერთებისთანავე, თავადებმა დაკარგეს მემკვიდრეობითი – პოლიტიკური, სამხედრო და ადმინისტრაციული ხელისუფლება თავიანთ სათავადოებში, სამეფო სამფლობელოებსა და სამეფო კარზე (საქ. ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 890). უკვე 1802 წლის გაზაფხულზე ქსნის ერისთავები თხოვნით მიმართავენ რუსეთის მთავრობას, დაუბრუნოს მათ სამკვიდრო მამული (იხ. საქ. სახ. ცენტრ. არქივში დაცული ისტ. საბუთი – ფ. 1448, № 9171 – დაწერილი 1802 წლის 27 მაისს. მას ხელს აწერს რამდენიმე ერისთავი. მათ შორის თორნიკეც. საბუთი თორნიკეს ავტოგრაფია).

როგორც ერმოლოვის ზემოდასახელებული მოხსენებითი ბარათიდან ჩანს, ეს საკითხი 1816 წლის ნოემბრისათვის კიდევ გადასაწყვეტი ყოფილა.

საბოლოოდ, როგორც ვიცით, საქართველოში გაუქმდა ყველა სათავადო. „ქვეყანაში საკმაოდ დიდხანს შემორჩა მხოლოდ მოურავობა – ქართველ ფეოდალთა მემკვიდრეობითი თანამდებობა. მოურავობის ინსტიტუტი ქართლ-კახეთში საბოლოოდ მოისპო XIX ს. 20-იან წლებში, ხოლო იმერეთ-გურიაში 1840 წლიდან“ (საქ. ისტ. ნარკვევები, ტ. IV, გვ. 890).

¹ Qd 8821, 8823, 8830, 8852, 8862, 8863, 8879, 8902, 8903, 8909, 8919; Hd 4646, 4026, 7286, 7861, 14969, და სხვ. საყურადღებოა თორნიკე ერისთავის დაეთარი – A 1334, შედგენილი 1822 წ.

ნვ (56) წლისა“¹.

ამ საბუთს არ აწერია, როდის არის შედგენილი, მაგრამ შეიძლება მისი თარიღის დადგენა. მასში ცნობილი კომედიოგრაფი გიორგი ერისთავი დასახელებულია ივ (16) წლისად. გიორგი ერისთავი დაიბადა 1811 წელს. ე. ი. ეს საბუთი შეუდგენიათ 1827 წელს. აქედან გამომდინარე, თორნიკე დაბადებული გამოდის 1771 წელს, ხოლო გიორგი 1773 წელს.

თორნიკე ერისთავის ბიოგრაფიის შესასწავლად კარგ ცნობებს გვაწვდის 1842 წელს თორნიკეს მიერ დაწერილი განცხადება².

„ქსნის უჩასტკის ზასედატელს გოლოვკინს
მაიორი თავადის თორნიკე ქსნის ერისთავისაგან

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

თორნიკე მქვიან. მამაჩემს იესე ერქვა. ჩემი გვარი ქსნის ერისთავი არის. მე ვარ 69 წლისა. მაიორობის ჩინი მაქვს. ჩამომავლობით თავადი ვარ. გორის უეზდის სოფელ ლამისყანაში ვდგავარ. ბერძნის სარწმუნოებისა ვარ – მართლმადიდებელი. ყოველ წლივ ახსარებას ვამბობ და ყოველწლივ კიდევ ვეზიარები.

წელსა 1803-ს ამ წელს ანანურის უეზდის მარშალი ვიყავ სამს წელს კნიაზ ციციანოვის მართებულობაში.

წელსა 1804. ამ წელს ვემსახურე მართებელს კნიაზ ციციანოვთან განჯას. ხანები დაამარცხა, ციხის გარეშემო აიღო. მაშინ მივიღე მაიორობის ჩინი კნიაზ ციციანოვის წარდგენით.

¹ ამ საბუთის მიხედვით, თორნიკეს მამა იასე დავითის შვილი და როსტომის (ცნობილი კომედიოგრაფის გიორგი ერისთავის პაპის) ძმა გამოდის, რადგან როსტომის ძენი იასეს ძეთა ბიძაშვილებად იხსენებიან (გიორგი ერისთავის წინაპართა შტოს სქემა იხ. ამ. გაჩენილძე, ნარკვევები XIX ს. ქართ. ლიტ. ისტორიიდან, თბილისი, 1952, გვ. 4).

² ხელნაწ. ინსტ. Hd 7138.

წელსა 1804. ამავე წელს განჯის ციხე აიღო შტურმით და მეც შტურმზე ვიყავ. მაშინ მივიღე წმინდის გიორგის კავალერი მეოთხე კლასისა, კნიაზ ციციანოვის წარდგენით.

წელსა 1805. ამ წელს შევიდა მთაში ჯარით კოშკას კნიაზ ციციანოვი. აქ ვიმსახურე, მივიღე მუნდირი ობჩი არმიისა ექსილბანდით, კნიაზ ციციანოვის წარდგენით.

წელსა 1806. ამ წელს ვიყავ დუშეთის უეხდის დეპუტატი. სამს წელს მართებლის ერმოლოვის დროს.

წელსა 1827. ამ წელს ვიმსახურე გრაფ პასკევიჩთან. აბასაბათს შაზადა დაამარცხა. მაშინ მივიღე წმინდის ანას კავალერია ველზეთ, გრაფ პასკევიჩის წარდგენით.

წელსა 1828. ამ წელს ვიმსახურე თავრის გრაფ პასკევიჩთან და ამისათვის მივიღე მეორე წელს – 1829, პენცია შევიდას ორმოცი მანათი თეთრი ფული, გრაფ პასკევიჩის წარდგენით.

სამართალ ქვეშ არა ვყოფილვარ და არცა რომელსამე ბიწიერებაში ვყოფილვარ. გვარშთამომავლობისა ჩვენის გვარის საზოგადო წერილები ღენერალ-ლეიტენანტს სენატორ და კავალერს კნიაზ გიორგი ვესევიჩს – ჩემს ძმას აქვს, იმას ჰკითხეთ. ზემო აღნიშნულის ნამსახურობის დოკუმენტს ორს კვირაზე წარმოგიდგენთ. რადგანაც აქ არა მაქვს ამჟამად“.

ამ განცხადების მიხედვით, თორნიკე 1842 წელს 69 წლისა ყოფილა. ე. ი. დაბადებულა 1771 წელს, სწორედ ეს თარიღი მივიღეთ „ქსნის ერისთავთა სახლეულობის სიიდანაც“¹.

თორნიკეს ხელით დაწერილი საბუთი უკანასკნელად

¹ მოყვანილი საბუთების მონაცემები ეწინააღმდეგება სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას, თითქოს გიორგი იესეს ძე ერისთავი 1863 წელს 106 ან 103 წლის ასაკში გარდაიცვალა, რისი მიხედვითაც მისი დაბადების თარიღად 1759 წელია მიჩნეული (იხ. ი. მეგრელიძის დასახელებული ნაშრომი). „ქსნის ერისთავთა სახლეულობის სიიდან“ (Hd 6727) როგორც ვნახეთ, გიორგი 1773 წელს დაბადებული გამოდის.

გვხვდება 1858 წლის 12 ოქტომბერს ¹. ამ დროს იგი იქნებოდა 87 წლისა. შესაძლებელია თორნიკე ამის შემდეგ მალე გარდაიცვალა.

თორნიკე ერისთავის ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ არაფერია ცნობილი. ამ მხრივ მისი ძმა – „კნი-აზი“ გიორგი უფრო გამოჩენილი პიროვნებაა. ცნობილია მისი ლექსები: „მოწოდება ივერთა მამულის დაცვისათვის დროსა სპარსთა შემოსვლისასა საქართველოს სამძღვართა შინა“, დაბეჭდილი გაზეთში – „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“. 1832 წ. № 3 თებერვალი; „პამფლეტი გიორგი მაჩაბელზე“ ², „ტირილი ქართველთა ნიკოლოზ პავლეს ძის გარდაცვალებაზე“ ³. გიორგის ლექსი: „ მე ვარ ტრფიალი შენის ხილვისა, ჩემო მძახალო“, შესულია ანთოლოგიაში (ხელნაწ. ინსტ. S 3192 : 10). ლექსის დასაწყისში ასეთი შენიშვნაა: „ღენერალ ერისთავის მიერ მიწერილი მძახლისათვის სუმბათოვის ცოლისა სონიასათვის“ ⁴, გიორგის რამდენიმე ლექსი მოთავსებულია აგრეთვე ხელნაწ. ინსტიტუტის ხელნაწერში A 1762 ა. ⁵

გ. ერისთავი თეოლოგიური შრომის ავტორიც ყოფილა:

¹ ხელნაწ. ინსტ. Hd 7286.

² ხელნაწ. ინსტ. A1668 (საქ. სახ. მუზეუმის ქართ. ხელნაწ. აღწერილობა, აკოლექცია, ტ. V, თბილისი, 1955, გვ. 152).

³ ხელნაწ. ინსტ. A 1667; იქვე, გვ. 231 – 232, ლექსი დაბეჭდილია ცალკე.

⁴ კ. კეკელიძის სახ. ხელნაწ. ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა S კოლექცია, ტ. IV, თბილისი, 1966, გვ. 229, იგივე ლექსი იხ. S 5368: 30. – ამავე ფონდის აღწერილობა, ტ. VII, თბილისი, 1973, გვ. 262.

⁵ ნ. ტ ა ტ ი შ ვ ი ლ ი, ს. ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი, ფრაგმენტები, სენატორი გიორგი იესეს ძე ერისთავი, ა. ს. პუშკინის სახ. თბილისის, სახ. პედაგ. ინსტიტუტის შრომები, № 2, 1941

„მამისაგან შვილის დარიგება“¹, რომელიც დაბეჭდილია ჟურნალ „ცისკარში“, 1862, № 10, გვ. 67 – 77².

აი, ის ცნობები, რომლებიც ჩვენ წინაშე წარმოაჩენენ თორნიკე ერისთავისა და მისი ძმის – „კნიაზი“ გიორგის ვინაობას, ეს პირები არიან ჩვენთვის საინტერესო დღიურების მთავარი პერსონაჟები.

ამ პირთა ვინაობის დადგენამ გარკვეული ვარაუდის უფლება მოგვცა თხზულების არმოდწეული ბოლო ნაწილის შესახებ.

როგორც აღვნიშნეთ, ეს პირები ტამბოვის შემდეგ ჩასულან მოსკოვში, იქიდან კი პეტერბურგში. მოსკოვიდან პეტერბურგისაკენ გამგზავრებულან 1815 წლის ოქტომბრის პირველ რიცხვებში. რამდენი ხანი დაჰყვეს მათ პეტერბურგში? მოღწეულია იმერთა დედოფალ ანას სამძიმრის წერილი³, დაწერილი 1816 წლის 5 მაისს. (ცნობილია, რომ ამ დროს ანა დედოფალი პეტერბურგში იყო). წერილი თორნიკე ერისთავის ავტოგრაფია, ე. ი. თორნიკეს ანა დედოფლისათვის მდივნობა გაუწევია.

ამრიგად, თორნიკე პეტერბურგში ჩანს 1816 წლის მაისის თვეშიც. როდის გამომგზავრნენ ძმები პეტერბურგიდან? ამის ზუსტი დადგენა ვერ მოხერხდა. ის კი აშკარად ჩანს, რომ ისინი პეტერბურგში 8 თვემდე მაინც დარჩენილან (1815 წლის ოქტომბერი – 1816 წლის მაისი). გენერალ ერმოლოვის ჩვენ მიერ ზემოთ დამოწმებული მოხსენებითი ბარათი ქსნის ერისთავების კრებაზე მოწვევის საჭიროების შესახებ, დათარიღებულია 1816 წლის 15 ნოემბრით. ე. ი. ამ დროისათვის თორნიკე და გიორგი უკვე დაბრუნებულები

¹ ა. ი. გ ა ჩ ე ჩ ი ლ ა ძ ე, ბრძოლა რეალიზმის დამკვიდრებისათვის XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში, თბილისი 1967, გვ. 104 – 105.

² ი. მ ე გ რ ე ლ ი ძ ე, წარწერები და სხვა სიძველეები იკორთაში.

³ ხელნაწ. ინსტ. Hd 4983

არიან ¹.

ვისთან იყვნენ ერისთავები ბინაზე პეტერბურგში? უნდა ვიფიქროთ, რომ ბატონიშვილებთან, რადგან თორნიკე და გიორგი მოყვრები იყვნენ მათი. თორნიკეს ცოლი იყო ქეთევან ბატონიშვილისა და იოანე მუხრანბატონის ასული ბარბარე. იკორთაში, ერისთავთა საგვარეულო სამარხში, არის ქვა 1843 წ. წარწერით, რომ იქ განისვენებს „სარდალ სახლთხუცის მუხრან ბატონის იოანეს და მეუღლეს მისისა მეფის ირაკლის ასულის ქეთევანის ასული ბარბარე, თავადის თორნიკე ერისთავის „მემცხედრე“ ².

შენახულია აგრეთვე წერილები ქეთევან ბატონიშვილისა თორნიკესადმი, სამძიმრის წერილები 1843 წ. ფარნავაზ ბატონიშვილისა და მეფის სძალ ანასი თორნიკესა და მისი შვილებისადმი კენინა ბარბარეს გარდაცვალების გამო ³, და სხვა, რომლებიდანაც ნათლად ჩანს, რომ თორნიკეს ცოლი ქეთევან ბატონიშვილის ასულია. ⁴

თორნიკე ბარბარაზე უნდა დაქორწინებულიყო 1808 წლის ახლო ხანებში, ხელნაწერთა ინსტიტუტის Hd 1530 არის „მოკითხვის წერილი ვახტანგ ბატონიშვილისა თორნიკე ერისთავისადმი“, რომელშიც ბატონიშვილი ამბობს: „დიდი სიხარული მაქვს თქვენი და ჩემი დისწულის შეერთებით“.

თორნიკე და გიორგი ბიძად ეკუთვნოდნენ ფარნაოზ ბა-

¹ ამ პერიოდის, ე. ი. 1816 წლის მაისიდან ნოემბრის თვემდე, გაზეთებში – „Московские ведомости“ და „Восточные известия“ – არაფერია ნათქვამი ამ პირების უკან დაბრუნების შესახებ. შესაძლებელია, ისინი სამშობლოში სხვა გზით გამოემართნენ.

² ი. მ. ე. გ. რ. ე. ლ. ი. ძ. გ. წარწერები და სხვა სიძველეები იკორთაში.

³ ხელნაწერთა ინსტიტუტი Qd 9198, 9199.

⁴ ხელნაწერთა ინსტიტუტი Hd 4974, Hd 4982.

ტონიშივილის მეუღლეს ანას ¹, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ელიზბარ ერისთავის (ყულარადასის) ასულად არის მიჩნეული ².

ამრიგად, უნდა ვიფიქროთ რომ, ბატონიშივილებთან ასე ახლო ურთიერთობაში მყოფი თორნიკე და გიორგი ერისთავები პეტერბურგში მათთან დაბინავდებოდნენ. ეს კი გვაძლევს იმის ვარაუდის უფლებას, რომ დღიურების ბოლო ნაწილში, გარდა ტამბოვიდან პეტერბურგამდე გზის აღწერილობისა, ავტორი მოგვითხრობდა ბატონიშივილებთან შეხვედრაზე, 8 თვის განმავლობაში მათთან ურთიერთობის ამბებზე, რაც, შესაძლებელია, ახალ საინტერესო დეტალებს გაგვირკვევდა გადასახლებული ბატონიშივილების ცხოვრებიდან.

დღიურებში მოსალოდნელია აგრეთვე იმის აღწერა, თუ როგორ წარდგნენ მინისტრთა კომიტეტის წინაშე და, შესაძლებელია, თვით იმპერატორ ალექსანდრე I-ის წინაშეც ქსნის ერისთავთა თავკაცები.

მოდწეულ ფრაგმენტებში კარგად ჩანს, როგორი დიდი პატივით ხვდებოდნენ ამ პირებს ასტარხანის, ტამბოვის წარჩინებული პირები. როგორ შეხვდნენ მათ მოსკოვსა და პეტერბურგში? ეს დეტალები, ვფიქრობთ, საინტერესოა იმ ეპოქაში ქართველი და რუსი დიდებულების ურთიერთდამოკიდებულების გასათვალისწინებლად.

ამრიგად, ჩვენ საქმე უნდა გვექონდეს საინტერესო თხზულებასთან. სხვა რომ არა იყოს რა, იგი ეხება ფეოდალური საქართველოს ისტორიის ფრიად მნიშვნელოვან საკითხს – ქსნის საერისთავოს გაუქმებას. ამ საკითხთან დაკავშირებული ყოველგვარი ახალი ცნობა მეცნიერების ყურადღებას უნდა იმსახურებდეს.

¹ ხელნაწ. ინსტიტუტში დაცულია ფარნაოზ ბატონიშივილის სიგელი Qd 366, რომელშიც მისი თანამეცხედრე ანა ქსნის ერისთავის გიორგის ასულად იხსენიება.

² ტრ. რუხაძე, ძვ. ქართული ლირიკის ისტორიიდან, თბილისი, 1954, გვ.140, 229.

ვერ შევაქვით თხზულების მხატვრულ მხარეს. ჩვენ საქმე გვაქვს მეტად მარტივ თხრობასთან; ტექსტში ზოგჯერ სტილისტურად გაუმართავი წინადადებებიც კი გვხვდება. ამრიგად, ამ თხზულების მნიშვნელობას უფრო მისი შინაარსი განსაზღვრავს. იგი ერთხელ კიდევ გვიმტკცებს, თუ რა პოპულარული იყო მისი დაწერის პერიოდში საქართველოში მოგზაურულ-მემუარული ჟანრი.

[თორნიკე იუსუს ამ პრისტავი მოგზაურობა თბილისიდან პეტერბურღამღის]

1815 წელსა, აგვისტოს 26, გამოვედით კონსტანტინე გორწვიდამ ¹ ხუთშაბათს და მეორე დღეს [დღეს] ² ღამე მოზდოკს პლაცმაიორს წიკლაუროვთან დავდექით. ღენერალ-მაიორი გაბრიელ ყაზიბეგოვი ³ იქ დავგვხვდა. იმავე ღამეს ვნახეთ, რადგან იმას არ შეეძლო და მოხუციც იყო და შინაც წიგნი მოგწერეთ კარგა დახვედრისა და მიღებისა. და მეორეს დღეს ჩვენ წამოვედით და ნაურს მოვედით, ნაურიღამაც იმ ღამესვე წამოვედით და ფონტებზე მოვედით, რომელსაც ალაგს არა იწოებოდა რა, ცხენებიც ცუდი იყო

¹ უნდა იყოს კონსტანტინეგორსკი (ც.კ.)

² კვადრატულ ფრჩხილებში აღდგენილი გვაქვს ავტორის მიერ გადაშლილი სიტყვები.

³ გაბრიელ ყაზიბეგი ისტორიული პირია, ყაზბეგთა გვარის სათავეის დამდები, ძე ყაზიბეგ ჩოფიკაშვილისა, დიდი მწერლის ალ. ყაზბეგის პაპა. მიღებული პირი იყო მეფე ერეკლესა და მისი შემკვიდრების კარზე.

ფონქისა, რომ გზაზე გვრჩებოდა და ძალიან გვიგვიანდებოდა. გზა ძალიან ავი, სულ შლამი, ქარისაგან აგორაებულნი, მთებიც შლამისა, როგორც თოვლი, ეგრეთ აკეთებდა ქარი და მოჰქონდა და გვაყრიდა თვალებში. ხალახი სულ არ იყო. არც წყალი რიგიანი სასმელი, ჭის წყლები იყო. არც ცივი, მყრალი, მლაშე, და უგემური. ჩაი რაერთიც ჩაგვეყარა, ფერს არ გამოიღებდა. გიორგიც ¹ ცხელებისაგან ავად იყო, პატარა ბიჭისაგან შეეყარა. მეორე დღეს პოსტაზე დავსვით, რადგან კნიაზს არ შეეძლო და მეც სუსტად ვიყავ. კარგი ის იყო, რასაც დროს იქ დაწვა, მაშინვე ატუტანტი და ტატიშვილი გააცივა; ძალიან ავად იყვნენ, პირიდან ასაქმებდათ და სიცხე ჰქონდათ, მაგრამ მაინც დღე და ღამ მოვდიოდით. კნიაზს თუმცა სიცხე ჰქონდა, მაგრამ პირიდან კი არ ასაქმებდა. ამიტომ რომ უფრო მივდიოდით ჩქარა, რომ ფონქებზე არა იშოვებოდა რა და წყალი ცუდი იყო და არც აქიმი იშოვებოდა.

სეკდემბრის 2 ასტარხნის კარანტიში მოვედით. მოიმედე აქიმისა უიმედოდ დავშით. იყო ცხოველი, და არა სულიერი რისა კეთილისა მოქმედი. სულ მთვრალი ეგდო, არც წყალი ვარგოდა იქ. მეორეს დღეს კარანტინში შევგზავნეთ ოთხიოდ ნივთი. ის აქიმი მთვრალი იყო და ვინ იყო მომკითხავი. მაშინვე გამოვიტანეთ, ლეკარი მოვაყვანიეთ. ის ხომ ვერას გაიგებდა! როგორიც გვინდოდა, იმისთანა ბილეთი დავაწერინეთ, და დიდის ცახცახით ერთს საათს ძლივ ხელი მოვაწერინეთ.

იმავე საღამოს ბოლგაში ² გავედით ღუბერნატორის გამოგზავნილის გემით. მაშინვე იქავ ნაპირზე სვიმონ სერგევიჩი ივანოვის³ კაცი დაგვხვდა, წაგვიყვანა და დიად კარგა დაგვხვდა ივანოვი. მერე საზამთრო სახლებში დაგ-

¹ გენერალ-ლეიტენანტი გიორგი იესეს ძე ერისთავი (ც.კ.)

² უნდა იყოს ვოლგა (ც.კ.)

³ ასტარახანის გუბერნატორი იყო. (ც.კ.)

ვაყენა. რადგან კნიაზს არ შეეძლო მეო[lv]რეს დღეს რე-
ვანდი დაღივა, რავდენიმე ასაქმა და უკეთ შეიქნა, მაგრამ
სუსტად კი იყო, და არც ლეკარი ნებას აძლევდა გარეთ
სიარულისას და არც ივანოვი გვიშვებდა. თერთმეტი დღე
ასტარხანს ვიყავით.

ასტარხნის ქალაქის ამბავი რაღა მოგახსენოთ. დიად
კაი ქალაქი ყოფილა, კაი სასახლეები ყოფილა ზოგიერთი-
სა, და უფრო ბევრი ცუდი სახლებია, დიდრონი წყლებია
შემოტანილი შიგ ქალაქში, რომელიც აღმოსავლეთის მხ-
არეს ჩადის, იმას კუტუმი ჰქვიან, პატარა გემებით დადიან
იმაში; და, რომელიც დასავლეთისაკენ უძეს, იმას ბოლგა
ჰქვიან. იმაში დიდრონი გემები შემოდის. ყიზილბაშიდამ
მოსული დიდრონი გემები იდგნენ და აგრეთვე სახელმწიფო
გემები იდგნენ და მოელოდნენ თავის მხრის ქარს. დიად,
მოსაწონი ქალაქი ყოფილა, ოღონდ ცოტა [კარგი] [არის
დაბალი] არის კარგი ხალხი. ათასის რჯულის ხალხი აქა
მდგარა, დიდი აღებ-მიცემა კი არის, რადგან გემი მუშაობს
და თევზი ბევრი არის.

არხიერმა გაიოზმა¹ დიად სიყვარულით შეგვიტკობო.
რადგან კნიაზს არ შეეძლო, მე წაველ და ვნახე. ორს საათს
უკან თვით არხიერი გაიოზ მობრძანდა ჩვენთან. სადილს
უკან ასტარხნის ღუბერნატორთან წავედი და კნიაზის
ატუტანტი წავიყვანე. გიორგის მაგიერ ბოდიში მოვითხოვე –
არ შეუძლიან და იმისთვის არ გეახლათ მეთქი. კაის პატივ-
ისცემით მიმიღო. მეორეს დღეს თვით ღუბერნატორი მოვიდა
და გვნახა. დიად კარგი რეკომენდაცია უყო ბერს², გაიოზ კი
ემოწმებოდა, მაგვარი კაციაო. ივანოვს ორს ალაგსა აქვს
სასახლე – ერთი საზამთრო და ერთი საზაფხულო. ორივე
ერთმანეთზე უკეთესები და კარგათ გაწყობილი და მორ-
თულები არის. ზამთრის სახლს საუცხოვო ბაღი აქვს, კარ-

¹ იგულისხმება ცნობილი მოღვაწე გაიოზ რექტორი (ც.კ.)

² გაურკვეველია, რომელ ბერზეა ლაპარაკი (ც.კ.)

გათ გაწყობილი. გორშოკებით ეღგა დიდრონი ხეები ნა-
რინჯისა, ლიმონისა და ბადრანგისა, რომელთაც დიად ბეგ-
რი ასხიათ. ერთს ხეზე რიგი ყვავის, რიგი ინასკეება, რიგი
დიდრონია, რიგს თვალი შესვლია. საუცხოვო რამ არის!
ოცდაათი ძირი მეტია. თითოს ხეს ას თუმნათ აფასებდა და
ფიცავდა, არც მიეცემ ამ ფასადო. სასახლე სამი ატაჟა
არის, მარმარილოს მსგავსად არის გაღესელი, რომ ვერც
კი შეამცნევთ, რომ მარმარილო არ არისო. ქართლში ვის
ექნებოდათ ამისთანა მორთული სასახლე!

დღეს რომ კვირა არის და ამ თვისს (!) 6, ივანოვს ბალი
აქვს ჩვენის გულისათვის. არქიერი გაიოზიც იქა ჰყავს და
სომხის არხიერც და სხვანიც მრავალნი პატიოსანი კაცნი.
კაი ლხინი ვნახეთ. სადამოზე თიატრში [2r] წამიყვანა, მა-
გრამ კარგათ არ მომეწონა. საკრავი კი კარგი იყო. მეორეს
დღეს ღენერალ ახმადოვმა დაგვპატიჟა სოფელს ჩერეპახას.
არხიერი გაიოზიც იქ იყო და სხვანიც იქაური მდიდარი
კაცნიც. კარგი სასახლე, ბალი და ვენახი ჰქონია, თხუთმეტი
ათას თუმნად ყიდის. საუცხოვოდ დაგვხვდა. მეორე დღეს
იღია ნიკოლის ევემენკოვმა დაგვპატიჟა. დიად მდიდარი კა-
ცია, პირველი ვაჭარი არის და ქრისტიანია. კარგა დაგვხვდა,
სასახლეც კარგი ჰქონდა, მაგრამ ივანოვისა კი სჯობდა.

სექტემბრის 13 [ამ თვისას] გამოვედით ასტარხანიდამ,
სექტემბრის 15 ჩორნა იერის ¹ ქალაქში მივედით. ორი საათი
მეტი დაგვაყენეს ფონტაზე, რადგან ცხენები არ იყო, პატარა
ქალაქია და ცუდი გორი ბევრით სჯობია. სწორი მოგახსენო,
აქაური დიდება ეს ბოლგის წყალი ყოფილა. ყოვლის კაცის
კარზე გემი მივა. სადაც ან ქალაქია და ან სოფელი, ამ
ბოლგის პირზე დგას. სახნავი მიწა არ ჰქონიათ, სულ სილა
არის მთა და ბარი. თევზს იჭერენ ამ წყალში, იმითი კარგა
ცხოვრობენ – ჰყიდიან და პურს ყიდულობენ.

21 ამ თვისას კალასკა გაგვიტყდა და გადაგვიბრუნდა

¹ იგულისხმება ჩორნი იარი (Черный яр), ქალაქი ასტარხანის ოლქში (ც.კ.)

ღამე მინდორზე კინალამ დაგვხოცეს ცხენებმა, ძლივს გამოვედით კალასკიდან. ბიჭებიც წინ იყვნენ. ღმერთის გარდა, უფრო ცხენების სიცუდე შეგვეწია, რომ რასაც დროს გადაბრუნდა, მაშინვე დადგნენ ცხენები, კალასკა ავაყენეთ და გაეწხრიკეთ. დიდრონი ბუღლები დაკარგულიყო. დავდგით მინდორზე. დიდად ციოდა, მაგრამ რა უნდა გვექნა. ამ თვლის ბუღს(!) დაუწყევვით ძებნა ბნელაში, ვერ ვიპოვეთ. მერე ცოტა ცეცხლი დავანთე ვით და სანთელი ავანთეთ, მაგრამ ქარმა არ დაგვიყენა. ერთი შტოფი გვჭქონდა არაყისა, ძირი გაუტეხეთ, შიგ სანთელი შევანთეთ, ორ-სამ ვერსზე ვეძებეთ და ისევ ვიპოვეთ. ამისათვის ვეძებდით ასე გულსმოდგინეთ, რომ ვერსად ვერ გავაკეთებინებდით იმ ბუღს, თუ არ ქალაქს ალაგს და ქალაქი შორს იყო. ახლოს სოფელი იყო, იქ გავაგზავნეთ კაცი და ერთს უბრალო ხის თვაღში გამოერთმიათ [ფასი] შვიდი მინალთუნი. ის შეუყარეთ კალასკას. ბიჭები ქვეითად წავიმძღვარეთ და გაათენებამდინ ფონტაზე მივედით. დიდად შეგვაწუხა სიცივემ და შევედით ერთს საძაგელს სახელში და დავთბით. თითო ჩაი დავლიეთ. იქ ერთი დედაკაცი იყო, და ერთი [სქელი რძალი ჰყვანდა], რაღაცას ხარშავდა, ყოველს დედაკაცს თავზე რქებივით ხურავთ. გიორგიმ ხუმრობა დაუწყო: შენსავით სქელი ქმარი გყვანდაო? – კარგი დიდი წვერიანი კაცი იყო, ეხლა მომიკვდაო. ბერიკაცი იყო, მაგრამ კარგა მუშაობდა, დღეში ერთს არ ავაცდენდიო. გიორგიმ უთხრა: რადგან ბერიკაცი იყო, დაღალული მოვიდო [2v] და, რაღას გაარიგებდაო. – რას ამბობ, ბატონო, როდის მოვეშვებოდიო, ძალად გავადვიებდიო – ბევრი ვიციანეთ, შენმა მზემ!

იმაგ დილაზე წამოვედით იქიდან, ორს ქალაქში გამოვიარეთ, იძახდენ ქალაქიაო, ასე გასინჯე, გორი ერთიორად სჯობს, მერე ერთს პატარა ქალაქში გამოვიარეთ, რომელსაც ეძახდნენ სარეფთა ¹ ქალაქს. ნემცები დგანან, გორზე ბევრათ პატარა იყო. შენ ნუ მომიკვდები, ასე ლამაზად

¹ იგულისხმება სარა (Сара), ქალაქი ასტრახანის ოლქში (ც.კ.)

იღვნენ სასახლით, ქუჩით, რუს შემოტანით, რომ მოეწონებოდა ადამიანს. ისე გამოვიარეთ ქალაქში, ქალი თუ კაცი დართულნი იყვნენ. დიდად გვინდოდა ჩამოხდომა და ნახვა, მაგრამ დიდად ციოდა და გზასაც მოვეშურებოდით.

წამოვედით იქილამ და რავედენიმე ფოჩტა გამოვიარეთ და გამოვედით სტამბოვის¹ ქალაქში. ფოჩტაზე ჩამოვხედით. მერე კათალიკოზ დროშკა ებოძებინა. ვინამ დროშკა მოგვევიდოდა, [ვინამ] ჩვენ ადრევე წავედით დროშკით და ვიახელით კათალიკოზ². [იმდა] დიად, კარგი გულით მიგვიღო. ვახშამსაც იქაც ვიახელით, ვახშამს უკან ისევ ჩვენს ბინაზე მივედით, რადგან სახლი არა ჰქონდა მეტი, რომ იქ დამდგარვიყავით. მეორეს დღეს კაი სახლი მოგვცა იქაურმა ღუბერნატორმა, მაგრამ სადილ-ვახშამათ სულ კათალიკოს ვახლდით. დიად კაის პატივისცემით გეწყალობდა. ერთს დღეს ღუბერნატორმაც დაგვპატიჟა. დიად კარგადაც დაგვხვდა, სულ ყოველს ალაგს ბერის ამბავი და შემკობა იყო. კათალიკოზი ბრძანებდა: რეკომენდაცია რომ უყავ იმას, იქ უნდა დარჩომილიყო, ქართლში არ უნდა გადასულიყო. ჩემს უკან მოხდა [ეს] ეს საქმეო. წუხდა, რადგან რეკომენდაცია იმას ექნა. სტამბოვის არქიერი იყო, იმასთან წაგვიყვანა კათალიკოზმა. წირვა მოვისმინეთ კვირას დღეს და არქიერთან ავედით. ზაკუსკა მოატანიხეს, მერე არქიერმა ჰკითხა: ციციშვილმა ფარსადანმა აქ გამოიარა და, დიად, ბევრი რამ თქვა, მაგრამ რადგან მე იმას ვიცნობ, არასფერში არ ვერწმუნებო. მიკვირს, დოსითეოზმა³ ის როგორ წამოიყვანა სვიტათაო. აქ სოფლებს ყიდულობდა და მისაბარები კაცი ვერ იშოვაო. ბევრი იცინა და მერე თქვა: არ ვიცი, რომლის ხაზინილამ უპირებდა თეთრის მიცემასაო, იმისთანა კაცი რა არქიერთან სამყოფიაო.

მრავალთავი IX 1981 წ.

¹ უნდა იყოს-ტამბოვი? (ც.კ.)

² უნდა იგულისხმებოდეს კათალიკოსი ანტონ II (ც.კ.)

³ იგულისხმება არქიმანდრიტი დოსითეოზ ფიცხელაური (ც.კ.)

მესხ მეღეპსეზე „თქმული“

მესხი მეღეპსის ვინაობის შესახებ რუსთველოლოგიურ მეცნიერებაში ძირითადად სამგვარი აზრია გამოთქმული:

1. მესხი მეღეპსე „ვეფხისტყაოსნის“ გადამწერია. ეს თვალსაზრისი პირველად გამოთქვა სწავლულმა ბატონიშვილმა – თეიმურაზ ბაგრატიონმა 1843 წელს ¹.

2. მესხი მეღეპსე პოემის ავტორია, ე. ი. რუსთველია. იმ თვალსაზრისის დამცველთა შორის იყვნენ ისეთ დიდი მეცნიერები, როგორც ნ. მარი ². და შალვა ნუცუბიძე ³ არიან. ბოლო წლებში მესხი მეღეპსის რუსთველობის მტკიცებას შეეცადა პ. რატიანი ⁴.

3. მესხი მეღეპსე უნდა იყოს „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი გამგრძელებელი. კერძოდ, „გმირთა სიკვდილის ამბის“ ავტორი. ეს თვალსაზრისი ეკუთვნით კ. კეკელიძეს ⁵, ალ. ბარამიძეს ⁶ და პ. ინგოროყვას ⁷. აკად ალ. ბარამიძეს მიაჩნია, რომ მესხი მეღეპსე უნდა იყოს „ხვარაზმელთა ამბის“ ავტორიც, ის არის პოემის ერთ-ერთი ცნობილი ინტერპოლატორი.

¹ თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, განმარტება პოემა „ვეფხისტყაოსნისა“, გ. იმედაშვილის რედაქციით, გამოკვლევითა და საძიებლით, თბ., 1960, გვ. 287.

² Н. Я. М а р р, Грузинская поэма „Витязь в Барсовой шкуре“ Шоты из Рустава и новая культурно-историческая проблема (ИАН. 1917, с. 415-446, 475-506)

³ შ. ნ უ ც უ ბ ი ძ ე, ვეფხისტყაოსნის ზოგიერთი საკითხისათვის, „ცისკარი“, №2, 1965, გვ. 124-137; მ ი ს ი ვ ე. „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგული თარგმანი, „ლიტერატურული საქართველო“, 12 მარტი, 1965.

⁴ პ. რ ა ტ ი ა ნ ი, „ვინმე მესხის“ პრობლემის ირგვლივ (ვეფხისტყაოსანი და მისი ავტორი, 1975, გვ. 422-431).

⁵ კ. კ ე კ ე ჯ ი ძ ე, ქვ. ქართული მწერლობის ისტორია, ტ. 2, თბ., 1952, გვ. 112.

⁶ ა ლ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, შოთა რუსთველი და მისი პოემა, თბ., 1966, გვ. 38, 41-42, 480.

⁷ პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, რუსთველიანა, თხზულებანი, ტ. I, თბ., 1963, გვ. 38-41.

მე-2 და მე-3 თვალსაზრისებს შორის საერთოა ის, რომ მესხი მელექსე მიჩნეულია შემოქმედად. მისი სიტყვები: „ვწერ ვინმე მესხი მელექსე“ – გაგებულია ავტორისეულ განცხადებად, რომ ზემონათქვამი მისი შეთხზულია, შექმნილია. დავაა მხოლოდ იმაზე, თუ რა შეთხზა მესხმა მელექსემ – თვითონ პოემა თუ მისი გაგრძელება.

მესხი მელექსე რომ რუსთველი არ შეიძლება იყოს, ამის მთავარ არგუმენტად კ. კეკელიძეს, აღ. ბარამიძესა და პ. ინგოროყვას მიაჩნიათ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ეპილოგის პირველი სტროფი, სადაც ეს მელექსე თავის თავს ასახელებს, გულისხმობს „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა ცხოვრების დასასრულს, გარდაცვალებას:

„გასრულდა მათი ამბავი, ვითა სიზმარი ღამისა,
გარდახდეს, გავლეს სოფელი, ნახეთ სიმუხთლე ჟამისა“...

ე. ი. მესხი მელექსე იცნობს პოემის ვრცელ რედაქციას, იცნობს ძირითადი ტექსტის გაგრძელებებს, რომლებიც ნამდვილად შემდეგ საუკუნეებშია შექმნილი – არა უადრეს XVI საუკუნისა. ამიტომ მას ვერ მივიჩნევთ პოემის ავტორად, მაგრამ შესაძლებელია, მისი შეთხზული იყოს „გმირთა სიკვდილის ამბავი“ და მისი წინა ნაწილიც – „ხვარაზ-მელთა ამბავი“¹.

სიტყვა „ვწერ“, რომლითაც მესხმა მელექსემ ესოდენ დიდი ყურადღება მიიპყრო, მეტად საეჭვოა, რომ ჩვენთვის საინტერესო ტაეპში „თხზვის“ სინონიმად იყოს ნახმარი. ხელნაწერი მემკვიდრეობის შესწავლა ცხადყოფს, რომ ძველად ქართველი პოეტები თუ მწერლები, მწიგნობრები „წერ“ ძირიდან ნაწარმოებ სიტყვას მხოლოდ იშვიათ

¹ კ. კ. კ. ე. ლ. ი. ძ. ე. ძველი ქართული მწერლობის ისტორია, თბ., 1952.; გვ. 112; აღ. ბ. ა. რ. ა. მ. ი. ძ. ე. შოთა რუსთველი და მისი პოემა, თბ., 1966, გვ. 439-440, 480; პ. ინგოროყვა, რუსთველიანა, თხზულებანი, ტ. I. 1963, გვ. 38-41.

შემთხვევებში უკავშირებდნენ მხატვრულ შემოქმედებით პროცესს – თხზვას. ამ პროცესის აღსანიშნავად ძველ ქართულში სხვა ტერმინი იყო მიღებული – „თქმა“. ავტორები ამბობდნენ: მე ვთქვი, ჩემი ნათქვამია, თქმულია. „წერ“ ძირიდან ნაწარმოები სიტყვებით კი უმთავრესად გადამწერები აღნიშნავდნენ თავიანთ ღვაწლს. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ ამ სიტყვებთან ზმნისწინი გადა“ ძალზე იშვიათად იხმარებოდა. ე. ი. „გადავწერო“, ამაზე ხშირად ამბობდნენ: „დავწერე“, „დამიწერია“, „ჩემი დაწერილია“, „გწერ“, და სხვ. დღეს ჩვენ ვამბობთ: „ვეფხისტყაოსანი“ დაწერა შოთა რუსთველმა და გამოცხატავთ აზრს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ შეთხზა შოთა რუსთველმა. მაგრამ ძველად ამ აზრის გამოსახატავად ამბობდნენ – „ვეფხისტყაოსანი“ თქვა შოთა რუსთველმა, ან თქმულია რუსთველისაგან. ხოლო „ვეფხისტყაოსანი“ დაწერა შოთა რუსთველმა, გაიგებოდა, როგორც „ვეფხისტყაოსანი“ გადაწერა შოთა რუსთველმა. მაგ., „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ, რომ გრიგოლმა იერუსალიმში მიმავალ ერთ მეგობარს „დაჰვედრა საბაწმიდისა წესისა დაწერად და წარმოცემად“. რასაკვირველია, მან მას საბაწმიდური წესის გადმოწერა დაავალა. მოვიყვანთ სხვა მაგალითებს ქართულ ხელნაწერთა გადამწერთა ანდერძებიდან¹:

წერა

„ვიწყე ამა მაჯნუნისა და ლეილის წერა 1840-სა წელსა“ (თეიმურაზ I-ის ლეილმაჯნუნის“ გადამწერი. Q 573).

„ჩემდა წერად ქილილა არა იყო ჯერ ჩინებად“... („ქილილა და დამანას“ გადამწერი „ყარიბი ვინმე აზნაური“ გიორგი მდივანი, 1810 წ. A 1788).

¹ აქ და სხვა შემთხვევაშიც, ნიმუშები მოგვყავს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერებიდან.

დაწერა

„... მე, ათანასე არვანდ ყოფილი, ღირს ვიქმენ დასაწერად და აღსრულებად წმიდასა ამას პარაკლიტონსა“ (1092 წ. A 93).

„რომელთამე ჩემთა კეთილთა მეგობართა ძმათა მაწვიეს ამ წიგნის დაწერა“ („ჩარდავრიშიანის“ გადამწერი ალექსის ძე დავით. 1780 წ. A1).

დავწერე

„სამცხე-საათაბაგოს სეგტიცხოვლის დეკანოზის იოანეს დიაკონმან თევროდემ და ვსწერე ესე მკვედრული წიგნი“... (გრიგოლ ღთისმეტყველის თხზულებათა კრებულზე ამბობს. XI ს., A 1).

„წიგნი ესე და ვსწერე... მე ყოვლად უღირსმან დიაკონ-მონაზონმან სოლოღაშვილმან გერონტი“ ... (საგალობლების კრებულზე ამბობს, 1788 წ., A 1355).

„და ვსწერე ესე ლექსი მე, ესაკია ჩხეიძის ქალმა“ („ბუქანიანზე“ ამბობს“. XIX ს. Q 775).

„უღირსმა დიაჩოქმა ზაქრომ და ვსწერე ეს „მიჯნურთ ბადე“ (XIX ს., S 118).

„და ვსწერე ესე წიგნი გოცირიძე როსტომამა“ (ვახტანგ VI-ის სამართალზე ამბობს. XIX ს., Q 473).

„სამართლის წიგნი დავსწერე გონებად მოსასვლელია“ (ვახტანგ VI-ის სამართალზე ამბობს ქურხული მას-არობელ. XIX ს., H 1081).

დამიწერია

„ეს სჯულიერი კინკლოსი მე, ზებედე, დამიწერია“ (გულანი, Q 56, 1736 წ.).

„ეს ალექსიანი მე, არუთინას შვილს ოპანეზას დამიწერია“, (Q 872, 1820 წ.).

„დავითის ასულს ტასიას დამიწერია ცნება ესე, ამინ“ (სასულიერი ხასიათის თხზულებათა კრებულში. 1832 წ., S 1345).

ვწერ

„გარსევანის ძე მთავარი ვ ს წ ე რ უამთა დიაკვანესა“ (მამუკა ბარათაშვილის „ჯიმშედიაწხე“ ამბობს, 1732 წ., S 390).

„მე, ზაქარია დიაკონი, მესამედ ვ წ ე რ პროკლეურსა ამას“... (პროკლე დიადოხოსი, კავშირნი ღვთისმეტყველებითნი, 1757 წ., S 1592).

„რაფიელ ერისთავი არაგვისა ვ ს წ ე რ ამას“ (არჩილ მეფის თხზულებათა კრებულზე ამბობს. 1809 წ., A 1729).

„მე, მისი მონა თომა ვწერ, ვარ დანერგილი ხეოდა“ (საერო თხზულებათა კრებულზე ამბობს, XVIII ს., A 1787).

ვწერდი

„უამსა ოდეს ამ ვეფხისტყაოსანს ვ ს წ ე რ დ ი მე, აღმურანთ ბაღდასარაშვილმა, მუშრიბი გასპარამა, მაშინ... დაიბადა ჩემი ყმაწვილი დავით“ (1671 წ., H 757).

„ამ წიგნსა ვ წ ე რ დ ი სალხინოდ დეკანოზის და მანანა“ (საერო თხზულებათა კრებული, 1780 წ., H 958).

მოსკოვს ვიყავ, წიგნსა ვ წ ე რ დ ი მარგალიტსა ობოლსა მე“ (მარგალიტი, 1754 წ., H 1246, 105 r. გადამწერი დეკანოზი ნოკოლოზ).

ვწერე

„... ესრეთ უგვანად მწირობისა უამს ვ წ ე რ ე მე, უღირს-მან ბერმა არქიმანდრიტმა კირილე, ქალაქსა მოსკოვს“ (ანდრია კრიტელი-იერუსალიმელი, დიდი გალობანი. 1766 წ., S 3645).

„ტიტულარნი სოვეტნიკმან, ბალინოვმან გვაროვნებით, ნიკოლაოზ ვ ს წ ე რ ე ესე ტკბილმცნებანი ჰამოვნებით“... (სამართლის წიგნები, 1833 წ., H 2172).

„სევდის მუფარახად ვ წ ე რ ე, სრულ იქმნა ღვინობის თვესა“ („გუქლასპიანი“, 1844 წ., H 472, 64v).

დასაწერი

„მე, მცირე მონასა დ~ისასა, ათანასეს ქვეჯარაძესა, მიბობა ესე პატიოსანი პარაკლიტონი დასაწერათ (Q 103, 1749წ).

გიორგი მთაწმიდელი თავისი ნათარგმნი ოთხთავისათვის დართულ ანდერძში ასე მიმართავს გადამწერებს: „ვინცა ვინ დასაწერდეთ, ვითა აქა პოვოთ, ეგრე დასაწერეთ, თუ ამისაგან ჯერ-გინდეს დაწერად, ღმრთისათვის, სიტყუასა ნუ სცვალვით, ვითა აქა სწერია, ეგრე დაწერეთ“.

ამგვარი ნიმუშები ქართულ ხელნაწერთა ანდერძებში მრავლად მოიპოვება. ამაში დასარწმუნებლად საკმარისია გადავათვალიეროთ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობათა ტომები.

ძველ ქართულ მწერლობაში არა გვაქვს შემთხვევა, რომ თხზულების შესახებ ამბობდნენ – დაწერილია ამა და ამ ავტორის მიერ. მაგალითად, გვაქვს „საკითხავი, თქმული იოანე დამასკელიისა“. გამორიცხულია, რომ ამ ნაწარმოების დასახელება შეგვხდეს ასეთი ფორმით: „საკითხავი, დაწერილი იოანე დამასკელიისა“. არა, ყველა თქმულება „თქმულია“ ან „ნათქვამია“ ავტორთა მიერ. ეს ეხება როგორც სასულიერო, ასევე საერო მწერლობის ყველა დარგს და ყველა ჟანრს – მხატვრულსა თუ სამეცნიეროს, ნათარგმნსა თუ ორიგინალურს. გამონაკლისია მხოლოდ ეპისტოლარული ჟანრი. ეპოსტოლუ ყოველთვის არის დაწერილი, მიწერილი. დაწერილია ანდერძი, წერილი – მიწერილი, მოწერილი, დაწერილი და სხვ., არ გვხვდება ანდერძი ნათქვამი, წერილი ნათქვამი და სხვ. რადგან „თქმული“, ან „ნათქვამი“ შეიძლება იყოს მხოლოდ თხზულებად, ნაწარმოებად მისაჩნევი ქმნილებად ავტორისა.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „თქმა“ არ შეიძლება ყოფ-

ელთვის ჩაითვალოს „თხზვის“ ზუსტ სინონიმად. „თქმა“ უფრო ფართო მნიშვნელობის სიტყვაა. იგი ზოგადად ნიშნავს შექმნას. მაგალითად, „თქმულს“ თხზულის ზუსტ სინონიმად ვერ გავიგებთ ასეთ შემთხვევებში: „ჟამნი შეაღამისანი, თქმული იოსებ გამომეტყველისა“. იოსებ გამომეტყველს ვერ ჩავთვლით „შუაღამის ჟამნის“ შემთხზველად, რადგან იგი არ არის ამ ჟამნში შესული მასალის-ფსალმუნების, საგალობლებისა და სხვათა ავტორი. იგი არის ამ ჟამნის მხოლოდ შემდგენელი, ზოგადად – შემქმნელი. ასევე: „სამართალი ქართული, თქმული ბატონისშვილის პატრონის ვახტანგისაგან“. არც აქ შეგვიძლია ვახტანგ მეფეს ვუწოდოთ კანონთა შემთხზველი და სხვ.

„თქმის“ ფართო მნიშვნელობით არის გამოწვეული ის, რომ XVIII ს-დან მის სინონიმებად ხელნაწერებში გვხვდება, როგორც „თხზული“, ასევე „ქმნილი“, „ნაღვაწი“, „შრომილი“ და სხვ. (იხ. A 1411, S 1193, Q 860, Q 198, S 1715, S 1391, S 121, S 206, S 387, A 1411 და სხვ.).

„წერ“ ძირიდან ნაწარმოები სიტყვებიდან „თქმულის“ სინონიმად გვხვდება „აღწერილი“. ეს სიტყვა ორგვარი მნიშვნელობით იხმარება ძველ ქართულში. „აღწერა“ გადაწერასაც ნიშნავს და „თქმასაც“.

გადამწერთა ანდერძები:

„ა ღ მ წ ე რ ი ს ა გ ა ნ შეცთომა მოითხოვს მოტყევაბასა“ (Q 172, 1831წ).

„მოიკსენე, უფალო, მრჩობლთავე შინა ცხოვრებათა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი დაბადებისა ამის გრიგოლ იეროდიაკონი“ (S 422, ბიბლია, 1841 წ.).

„... ხოლო უწინარეს ამისსა ა ღ ვ ს წ ე რ ე წიგნი ეფრემ ასურისა“ (კრებული. A 105, 1697 წ. გადამწერი ბესარიონ ორბელიშვილი).

„აღწერა“ – „თქმის“ მნიშვნელობით:

„კანონნი შეცოდებულთანი, აღწერილნი ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანეს მიერ კოსტანტინეპოლელისა“ (S 144).

„ქება და დიდება, შესხმა და გალობა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისა... აღწერილი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა მაქსიმეს მიერ, ფილოსოფოსისა და აღმსარებელისა“ (S 1732).

ამრიგად, აღწერა თავისი მნიშვნელობით ზოგჯერ ენაცვლება „თქმას“, „აღწერილია“ „თქმულია“. მაგრამ „აღწერა“, ისევე როგორც „ნაღვაწი“, „შრომილი“, არ გვხვდება ლექსებთან დაკავშირებით ნახმარი. ისინი სხვა ხასიათის თხზულებებს გულისხმობენ. არ შეგვხვდება გამოთქმა – ლექსი ნაღვაწი, ლექსი შრომილი, ლექსი აღწერილი, ლექსი ნათქვამია, იშვიათად შეიძლება იყოს ქმნილი. მაგ.: „ქმნილი ჩახრუხადისგან“ – ნათქვამია „თამარიანზე“ (A 1411. XIX ს). ამავე ხელნაწერში „ქმნილი აბდულმესია შავთელისაგან“, – ნათქვამია „აბდულმესიანზე“.

როდესაც ავტორებად მეფეები გვევლინებიან, მაშინ „თქმულს“ ხშირად ენაცვლება „ნაბძანები“ მაგ: „ქილილა და დამანას“ ხელნაწერებს ერთვის ხოლმე: „საბას ნათქვამი შაირი“, მაგრამ „მეფის ნაბძანები შაირები“. ეს სხვაობა განსაკუთრებით კარგად ჩანს ლექსთა კრებულებში, სადაც სხვა ავტორთა ქმნილებები ნათქვამია, მეფეთა კი ნაბძანები (იხ. H 33, H 773, S 1203, Q 563, Q 875, S 4500).

რაკი ნაწარმოები იყო „თქმული“, „შეთხზული“, „აღწერილი“, „ნაღვაწი“ და სხვ. ამ ნაწარმოებთა ავტორებს ეწოდებოდათ „მთქმელი“, „მთხზველი“, „აღმწერელი“, „მომღვაწებელი“ და სხვ. ამათგან ყველაზე მეტად გავრცელებული იყო „მთქმელი“. პოეტებს ეწოდებოდათ როგორც „მთქმელი“, ასევე მელექსე, მოშაირე.

როგორც ვთქვით, არ გვხვდება გამოთქმა – „ლექსი აღწერილი“. შესაბამისად არ გვხვდება გამოთქმაც – ლექსის აღმწერელი, მომღვაწებელი. მაგრამ ვრცელ პოეტურ

ნაწარმოებზე შეიძლება იყოს ნათქვამი „აღწერილი“. და მის ავტორზეც „აღმწერელი“. ამ შემთხვევაში ეს სიტყვები გულისხმობს ნაწარმოების ამბავს. მაგალითად შოთა რუსთველი „ვეფხისტყაოსნის“ აღმწერელად არის მოხსენიებული ქუთაისის ხელნაწერში № 1867. აღმწერელი რომ ძველად ამბის მთხრობელს, პროზაიკოსს ნიშნავდა, ეს სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე მითითებულია¹, ამიტომ შოთა რუსთველი „ვეფხისტყაოსნის“ აღმწერელი არის იმდენად, რამდენადაც ის არის მთხრობელი პოემის ამბისა, მაგრამ შოთა რუსთველი, როგორც ამ ამბისათვის პოეტური ფორმის მიძღვემი, არის მთქმელი, გამომთქმელი.

„თქმა“ რომ ძველად სათქმელისათვის გარკვეული ფორმის – ყველა ჟანრის თხზულებისათვის სათანადო სახის მიცემას ნიშნავდა, ამაში ნათლად გვარწმუნებს რამდენიმე მაგალითი: ხელნაწერებში არჩილ მეფის „საქართველოს ზნეობანი“ გვხვდება შემდეგი დასათაურებით: „საქართველოს ზნეობანი“ – ესე აღუწერია მეფესა არჩილს და ლექსად წ ა რ მ ო უ თ ქ ვ ა მ ს, რათა ყოველნი ერისკაცნი ესრეთ იქცეოდნენ“ (Q 770, H 614). ცხადია, რომ აქ „აღუწერია“ ეხება პოემაში გადმოცემულ ამბავს, ხოლო ამ ამბისათვის პოეტური ფორმის მიცემას ლექსად წ ა რ მ ო უ თ ქ ვ ა მ ს ეწოდება. სულხან-საბა ორბელიანის „საქრისტიანო მოძღვრება“, ხელნაწერებში ასეთი დასათაურებით გვხვდება: „საქრისტიანო მოძღვრება, პირველად სასწავლო ყრმათათვის, აღწერილი სულხან-საბა ორბელიანისაგან და მის მიერვე თ ქ მ უ ლ ი, რომელსა ეწოდების სამოთხის კარი“ (H 581). აქ უკვე პროზაულ თხზულებაზეა ნათქვამი, რომ ავტორმა აღწერა და შემდეგ თ ქ ვ ა . ე . ი. ნაწარმოებში გადმოსაცემი ამბავი შექმნა და მას შემდეგ სათანადო ფორმა მისცა.

¹ ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973 გვ. 011-012

ამრიგად, „აღწერა“, „აღმწერელი“ თუმცა ხშირად გვხვდება „თქმისა“ და „მთქმელის“ სინონიმებად, მაგრამ ისინი თავისი მნიშვნელობით მთლიანად ვერ ფარავენ „თქმასა“ და „მთქმელში“ ნაგულისხმებ შინაარსს. „თქმულის“ ზუსტ სინონიმად შეიძლება ჩავთვალოთ მხოლოდ „ქმნილი“. ანტონ I ამიტომ ასათაურებას ასე თავის თხზულებებს: „...ქმნილი ანუ თქმული წიგნი კატილორია – სიმეტნე“, „... ქმნილი ანუ თქმული წიგნი წყობილსიტყვაობა“ და სხვ.

ზემომოყვანილი მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ ამბის უბრალოდ გადმოცემას არ შეიძლება ვუწოდოთ „თქმა“. ამიტომ არა გვაქვს ეპისტოლე, წერილი, ანდერძი „თქმული“.

როგორც ერთხელ უკვე აღვნიშნეთ, თქმულია ნაწარმოები, რომელსაც თავისი ქანრისათვის დამახასიათებელი ფორმა აქვს მიცემული. ხოლო ფორმათა შორის რაკი პოეტური ითვლებოდა უმაღლესად და უპირველესად, ამიტომ არ შეიძლებოდა, რომ ლექსი, პოემა არ ყოფილიყო თქმული.

სიტყვა „მწერალი“ ძველ ქართულში არ იხმარებოდა ავტორის, შემოქმედის მნიშვნელობით. ეს მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ვთქვით, „მთქმელს“ „აღმწერელს“ და სხვ. „მწერალი“ ან „მწერელი“ კი გადამწერს ეწოდებოდა. ცნობილი გამოთქმა: „ხელი მწერლისა ღებების, ხოლო ნაშრომი ჰგეის უკუნისამდე“, ვიცით, რომ გადამწერსა და მის გადაწერილს გულისხმობს. სიტყვა „მწერლის“ მნიშვნელობა ძველ ქართულში გარკვეული აქვს მზია სურგულაძეს ნაშრომში „ძველი ქართული პალეოგრაფიული ტერმინები“. „მწერლის“, როგორც „გადამწერის“ ვარიანტებად ძველ ქართულ მწერლობაში გვხვდება აგრეთვე შემდეგი ტერმინები: დამწერი – დამწერელი, აღმწერი – აღმწერელი. „აღმწერის“ შესახებ მაგალითები ერთხელ უკვე მოვიყვანეთ, ამიტომ აქ მოვიყვანთ მხოლოდ იმ მაგალითებს, სადაც გადამწერები თავის თავს „დამწერს“ უწოდებენ.

ვინმე ზებედეს 1735 წელს გადაუწერია სასულიერო შინაარსის კრებული – S 358. მას ორჯერ მოუხსენებია თავისი თავი ანდერძებში: 1. „ღმერთო, შეიწყალე ცოდვილი ამისი მწერალი ზებედე“ (გვ. 85); 2. „ღმერთო შეიწყალე ცოდვილი ამისი დ ა მ წ ე რ ი ზებედე“ (გვ. 302). აქ საუცხოოდ ჩანს, რომ „დამწერი“ მწერლის ზუსტი სინონიმია. ასევე საინტერესოა ანდერძი, რომელიც ერთვის XVII საუკუნეში გადაწერილ ბიბლიას (H 885); „ღმერთო, შეიწყალე ამისი დამწერი, ცოდვილი მონა ქრისტესი, დედოფლის დეკანოზის შვილი, ახალმოსწავლე მწერალი გაბრიელ, ამინ“. ლუკა ასათიანოვს 1857წ. გადაუწერია კრებული. (S 3189). „იოსებ - ზილიხანიანის“ შემდეგ დაურთავს ანდერძი: „ამისა დამწერსა ლუკასა, ხელი მას უქოთ რომელსა, სწავდა გულსალი მიჯნურის, აწ მისთვის ამის მშრომელსა“.

იესე ოსეს ძეს გადაუწერია ლოცვები (A 1790). დაურთავს ანდერძი: „დამწერელი ამისი ოსეს ძე იესე“.

აღვნიშნავთ რა იმას, რომ „წერ“ ძირიდან ნაწარმოები სიტყვები ძველ ქართულში გადამწერთა ღვაწლის აღსანიშნავად იხმარებოდა, იმის მტკიცება არ გვინდა, რომ არ სიტყვას სხვა ფუნქცია არ ჰქონდა, რომ მისი ლექსიკური მნიშვნელობა მხოლოდ გადამწერლობითი საქმიანობით განისაზღვრებოდა. მზია სურგულაძის ზემოდასახელებულ ნაშრომში გარკვეულია, რომ ისტორიულად სიტყვა „წერამ“ სამი ძირითადი მნიშვნელობა მოგვცა, რომ იგი არ არის მხოლოდ პალეოგრაფიული ტერმინი. საკუთრივ „წერის“ გარდა მას აქვს კიდევ ორი ძირითადი მნიშვნელობა: 1. გაჭრა, გაკაწრვა; 2. გამოსახულების გამოყვანა, ხატვა ¹ აღსანიშნავია, რომ სწორედ ესენია ამ სიტყვის თავდაპირველი

¹ მ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, ძველი ქართული პალეოგრაფიული ტერმინები, თბ., 1978, გვ. 8-28.

მნიშვნელობები. სამივე შემთხვევაში „წერა“ ტექნიკური პროცესის აღმნიშვნელი ტერმინია. ძველ ქართულში ეს სიტყვა იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ზემოაღნიშნული შემთხვევებისაგან განსხვავებული მნიშვნელობით. ზოგიერთ კონტექსტში იგი შეიძლება მივიჩნიოთ სიტყვების: „ამბობს“, „იტყვის“ შემცვლელად.

მაგალითად ¹:

„ამისთვის დასწერს გრიგოლი თეოლოლოს: გულისთქმანი ბოროტნი არიან სამნი“ (სულხან-საბა ორბელიანი. III. სამოთხის კარი, A 250,22).

„ხოლო ცხორებასა შინა დასწერს ბრწყინვალეს გიორგის თავდადებულის ძედ და ძედ გიორგისად ბაგრატს“ (ქართლ. ცხ. ტ. IV, გვ 292, 29).

„მთავარი წმიდის იოანეს მემონასტრეჰ დასწერს ისტორიასა შინა სომეხთასა“ (ქართ. ცხ. IV, 444, 7).

„მოსე დასწერს: იქმნა მწუხრიო...“ (თეიმურაზ II, სარკე თქმულთა, 16, 2), და სხვ.

ზემომოყვანილ ვერცერთ წინადადებაში „წერა“ სიტყვის მაგიერ ვერ ჩავსვამთ „თხზვას“. მაგ., რომ გვაქვს: „ამისთვის დასწერს გრიგოლი თეოლოლოს“; ვერ ვიტყვით: „ამისთვის თხზავს გრიგოლი თეოლოლოს“, აქ „დასწერს“ აშკარად ნიშნავს: იტყვის, ამბობს. ასევეა სხვა შემთხვევებში. დაუკავშირდა რა თავისი მნიშვნელობით „თქმას“ – საუბარს და არა „თხზვას“, ვფიქრობთ, აქ ჩაისახა პოტენციური შესაძლებლობა სიტყვა „წერას“ საბოლოოდ შეეძინა „თქმის“, როგორც „თხზვის“ მნიშვნელობაც. ეს მოვლენა ძველ ქართულ ენაში შეიძლება ვთქვათ, მხოლოდ ჩანასახის სახით

¹ „წერა“ ძირიდან ნაწარმოებ სიტყვებზე ზოგიერთი მაგალითი ამოღებული გვაქვს საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის სალექსიკონო მასალებიდან.

გამოჩნდა. ძველი ქართული მწერლობის ძეგლებში უიშვი-
ათესი შემთხვევები შეიძლება ვუწოდოთ იმ მაგალითებს,
სადაც „წერა“ სიტყვა „თხზვის“, ზოგადად, „თქმის“ მნიშ-
ვნელობით უნდა გავიგოთ. მოვიყვანთ ამ მაგალითებს:

ვახტანგ VI „ვეფხისტყაოსნის“ განმარტებას ასე იწ-
ყებს: „მე ვ ს წ ე რ ძმის წული მეფის გიორგისა და
ძე ლევანისა გამგებელი ქართლისა ვახტანგ წიგნსა ამას“. აქ ვწერ უნდა ნიშნავდეს ვქმნი. თითქოს დარღვეულია
ტრადიცია. მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ავტო-
რი მხოლოდ ამ განცხადების ამარა არ არის. სათაურში
სინგურით საგანგებოდ მითითებულია: „თარგმანი პირვე-
ლი წიგნისა ამის ვეფხისტყაოსნისა, თ ქ მ უ ლ ი ბა-
ტონისშვილის გამგებლის პატრონის ვახტანგისა“¹.

ბატონიშვილ ანუკას, ვახტანგ VI-ის ასულს, 973 წლის
შატბერდის ოთხთავში (A 1453) ჩაუწერია ასეთი სტროფი:

„ფრიად ცოდვილმან ანუკა და ვ წ ე რ ე ესე ლექსია,
ჩემთვის შენდობას ბრძანებდეთ, ვისც ვწამსთო ქრისტე მესია,
მცოდნენო, თავსა არ გისწრობთ, ხართ ჩემგან უკეთესია.
დავწერე შენდობის თხოვნა, მოცემაც დანაწესია“.

რისი თქმა სურს ბატონიშვილ ანუკას, როცა ამბობს: „დავწ-
ერე ესე ლექსია“? იმისა, რომ მან „თქვა“ ეს ლექსი, თუ იმისა,
რომ ამ ხელნაწერში მან ჩაწერა ეს ლექსი, ე. ი. მან შეასრუ-
ლა ეს მინაწერი. აქ ორივე ვარაუდის დაშვება შეიძლება.

არჩილ მეფე ხოსრო თურმანიძეზე ამბობს:

„როსტომიანი უ თ ქ ვ ა მ ს ო, თურმანიძესა ხოსროსა,
სხვა წიგნი მაშინ ძვირობდა, და უ წ ე რ ი ა მას როსა“.

აქ „უთქვამს“ და „დაუწერია“ ერთმანეთის სინონიმებად
არის ნახმარი. თვითონ ხოსრო თურმანიძე ამბობს:

„პატრონმან ჩემგან მიბრძანა ქართულად ს წ ე რ ე ესია“.

¹ შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, 1712, გვ. სბვ.

სულხან-საბას ძმას, დიმიტრი ორბელიანს, საბას ლექსიკონზე დაუწერია:

„სიბრძნის ტრფიალთა დამზირონ, რასა სწერს სულხან-საბანი“
(Q 506.)

ვახტანგ VI კვინკლოსისათვის დართულ ანდერძში ამბობს:

„ვახტანგ მოსკოვს ცხადად ვწერე სათანადო საუბარი“ (Q 225)

„ქილილა და დამანასთვის“ დართულ ერთ-ერთ ლექსს იგი ასე ამთავრებს:

„ესწერ მეფე ვახტანგ ქართველთა, თესლ-ტომად დავითიანი“

თეიმურაზ I

„ეგ ღმერთმან იცის, თქვენთვის ვწერ, საკეთოდ, არ თუ ზიანად“
(„შდრ. გაზაფხ. და შემოდგ.“ 105,1).

„ზოგი და ვწერე სახუმროდ, სალხინოდ საკამათენი“
(„შდრ. გაზაფხ. და შემოდგ.“ 106,1).

„მოძინდა წერა ამისთვის, არ იყო დავიწყებული“
(„მაჯამა“, 2,2).

სულხან და ბეგთაბეგ თანიაშვილები. „ამირანდარეჯანიანი“

„ცხრა გათავდა კარი ლექსვით, აქ მეათეს ხელეყავ წერად“
(1662,1).

„აწ უყურეთ ამბის თქმანი თუ მელექსემ როგორ სწეროს“ (40,4).

ფეშანგი ფაშვიბერტყვიძე. „შაჰნავაზიანი“

„ველევავ მიწამან ფეშანგიმ, ამა წიგნისა წერასა“ (1051,1).

„კახთა მეფემან თეიმურაზ იწყო ლექსებსა წერასა“ (6,1).

იოსებ სააკაძე. „დიდმოურავიანი“

„ზოგი რამ საღმთოც და ვ სწერე, სიტყვა ვთქვი წმინდათ
ქებისა“ (484,2).

„მე ამის წერიოთ მეშინის, ვა თუ ხმა მესმას ვებისა“ (484,4).

ალექსიანი

„ვერა ვსწერე ქება მისი, სევდას ასე შევეკარი“ (28,4).

ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „ხოლო ესე მობიდა იყო მოგვ სპარსი და იჩემებდა სარწმუნოებასა, არამედ ფარულად წ ე რ დ ა წიგნთა ბოროტთა“ (ქართლის ცხოვრება, IV, 99, 20 – 22).

ამგვარი მაგალითები, შესაძლებელია, რამდენიმე კიდევ მოიპოვება აღორძინების ხანის ქართულ წერილობით ძეგლებში, მაგრამ 5 თუ 10 მაგალითით მეტი იქნება თუ ნაკლები „წერა“ სიტყვის ამგვარი ხმარების შემთხვევები, ეს საერთო სურათს ვერ ცვლის. მოყვანილი მაგალითებიდან მტკიცდება მხოლოდ ის, რომ სიტყვა „წერის“ „თხზვის“ მნიშვნელობით გაგების შესაძლებლობა ამ ხანიდან უკვე არსებობდა. მაგრამ მისი ხმარების არე მეტად შეზღუდული იყო. პოეტები, მწერლები აქა-იქ საუბარში შეიძლება გამოურევდნენ ხოლმე ამ სიტყვას, მაგრამ იმ საგანგებო შემთხვევაში, როცა მათ თავისი ან სხვისი ავტორობა სურდათ აღენიშნათ, მას არ იყენებდნენ. როგორც უკვე აღნიშნული გვაქვს, ასეთ შემთხვევაში მათთვის ძველთაგანვე მხოლოდ ერთი ტერმინი არსებობდა: „თქმა“. ამის ნათელსაყოფად მოვიყვანთ მაგალითებს, ქართული საერო პოეზიიდან:

შოთა რუსთველი:

„ვეფხისტყაოსანში“ „წერ“ სიტყვა ეპილოგის გარდა 34-ჯერ არის ნახმარი¹. აქედან 29-ჯერ მიწერ-მოწერის აღსანიშნავად. პოემაში ხომ გავქვს მიმოწერა ნესტანსა და ტარიელს, ტარიელსა და რამაზ მეფეს, ავთანდილსა და ფატმანს, ფატმანსა და ნესტანს შორის. აგრეთვე ავთანდილი წერს ანდერძს, უტოვებს წერილს თავის ყმებს, წერილს გზავნის ფრიდონთან. ამ წერილებში „წერ“ სიტყვა სხვადასხვა ფორმით, სხვადასხვა დროში, სხვადასხვა ზნმისწინით

¹ „ვეფხისტყაოსნის“ სიმფონია, თბ., 1973, გვ. 149.

არის ნახმარი. მაგ: „დაჯდა წერად ანდერძისად“ (788,1); „მოეწერა მზისა შუქსა“ (376,2); „აწ საყვარელსა მიუწერს“ (1292,1). „მიუწერე, შეცასთვალე“ (10.94,4); „ჩემგან არ მოგეწერების“ (1298,1); „გამიკვირდა რა ეწერა წიგნსა შენგან მონაწერსა“ (401,2) და სხვ.

ორ შემთხვევაში წარწერის მნიშვნელობით არის ნახმარი:

„ესე არაკი მართალი ჩინს ქვასა ზედა სწერია“ (854,1

„ზედა ეწერა: აქა ძეს აბჯარი საომარიო“ (1368,1).

ერთხელ ბედისწერას ნიშნავს:

„აწ ამას იქით ვნატრიდე ჩემსა ეტლსა და წერასა“ (1210,3).

და მხოლოდ ორი შემთხვევაა, რომელიც ამ სიტყვას „წერის“ მნიშვნელობას აცდილებს.

„წაგიკითხავს, სიყვარულსა მოციქულნი რაგვარ სწერენ“ (791,1).

„რომე მწადდეს, ვერ დაეწერენ მე სიტყვანი ნაათაღნი“ (1573,4).

პირველ შემთხვევაში „სწერენ“-ს შეგვიძლია შევუხატავთ სიტყვა „ამბობენ“. ე. ი. წაგიკითხავს სიყვარულზე მოციქულნი რას ამბობენო. სწორედ ამ აზრს აგრძელებს მომდევნო ტაეპი: „ვით იტყვიან, ვით აქებენ“... ყოველ შემთხვევაში, აქ „თხზვას“ „წერის“ მაგიერ ვერ ჩავსვამთ, ე. ი. ნაცვლად ამისა: „სიყვარულზე რას წერენ“, ვერ ვიტყვით: „სიყვარულზე რას თხზავენ“. შეგვიძლია თუ არა „თხზვა“ ჩავსვათ მეორე შემთხვევაში: „ვერ დაეწერენ მე სიტყვანი ნაათაღნი“ გავიგოთ ასე: „ვერ შევთხზენ მე სიტყვანი ნაათაღნი“. სიტყვების შეთხზვა არაბუნებრივი გამოთქმაა. შეთხზვა შეიძლება ლექსის, ნაწარმოების. ამიტომ აქაც სიტყვა „დაეწერენ“ უნდა გავიგოთ, როგორც ვთქვი (ვისაუბრეს მნიშვნელობით) – რაც მინდოდა, იმის შეათედიც ვერ ვთქვი, ვერ გითხარიო.

ამრიგად, რუსთველი სიტყვა „წერას“, „თხზვის“ მნიშვნელობით არა ხმარობს. თხზვის – მხატვრულ-შემოქმედებითი პროცესის აღსანიშნავად მან იცის მხოლოდ ერთი სიტყვა

– „თქმა“. ეს ჩანს პოემის პროლოგიდან, სადაც რუსთველი აყალიბებს თავის მხატვრულ–შემოქმედებით პრინციპებს, გვაცნობს თავის თავს, როგორც პოემის ავტორს, და გვაუწყებს იმ მიზეზებს, რამაც აღძრა პოემის დასაწერად. რუსთველი ამბობს:

- „ვ თ ქ ვ ე ნ ი ქებანი ვისნი მე, არ ავად გამორჩეული“ (4,2).
- „მიბრძანეს მათად საქებრად თ ქ მ ა ლექსების ტკბილისა“ (5,1).
- „დაჯჯე, რუსთველმან გავლექსე, მისთვის გულლახვარსობილი, აქამდის ამბად ნათქვამი, აწ მარგალიტი წყობილი“ (7,3–4).
- „გპოვე და ლექსად გარდავთქვი,საქმე ვქმენ საჭოჭმანები“ (9,3).
- „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამაღ კარგი“ (12,4).
- „მართ აგრევე მეღლექსესა ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა“ (13,3).
- „მოშაირე არა ჰქვიან, თუ სადმე თ ქ ვ ა ს ერთი ორი“ (15,1).
- „განაღა თქვას ერთი ორი, უმსგავსო და შორი შორი“ (15,3).
- „ჩვენ მათიცა გვეამების, როცა ოდენ თქვან ნათელად“ (17,3).
- „მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად“ (17,4).
- „მისი სახელი შეფარვით ქვემორე მითქვამს, მიქია“ (19,4).
- „ვთქვა მიჯნურობა პირველი და ტომი გვართა ზენათა, ძნელად სათქმელი, საჭირო გამოსაგები ენათა“ (20,1–2).
- „ვთქვენ ხელობანი ქვენანი, რომელნი ხორცთა ჰხვდებიან“ (21,3).

ამრიგად, პროლოგში რუსთველს 14-ჯერ შეეძლო ეხმარა სიტყვა „წერა“ „თხზვის“ მნიშვნელობით, მაგრამ არც ერთხელ არ მიმართა მას. შეიძლება ეს შემთხვევითობით აიხსნას? ვფიქრობთ, პროლოგი აშკარად გვიმტკიცებს, რომ გამორიცხულია დავუშვათ რუსთველის მიერ „წერა,, სიტყვის „თხზვის“ მნიშვნელობით ხმარების შესაძლებლობა.

რუსთველისამებრ იქცევა აღორძინების ხანის ყველა პოეტი. მათ თხზულებებში „თქმა“ ტერმინის ხმარების შემთხვევა ძალიან ბევრია. ამიტომ მაგალითებად მოვიყვანთ ამ შემთხვევათა მხოლოდ ნაწილს.

„როსტომიანი“:

„ამა წიგნსა უღვეველსა – გრძელად უთქვამს კაცსა ბრძენსა,

თავი-ბოლო ნაკლები აქვს, რაც რომ უთქვამს ენას ჩვენსა“.

„ომანიანი“:

„კედელაურმან თურქნი თ ქ ვ ა და როსტომ ზაუღელია“.

XVI – XVII საუკუნეების უცნობი პოეტი. „იოსებ-ზილიხანიანი“.

„აწ, რუსთველო, გეთხოვები, რომე მომცე ნება თ ქ მ ი ს ა“...

თეიმურაზ I

„ნაძლევი ვარ, თუ ვინმე თქვას ჩემებრ რამე განღეკსული“.

(ვარდ. 4,3).

„ნუ მკითხავ ზღაპრად შეთხზულსა ამ უსარგებლო თქმულებსა“.

(შდრ. გაზაფხ. და შემოდგ. 3,1).

„სხვაც ბევრი ვ თ ქ ვ ი უმრავლესი ქვიშისაგან ე ნაშენი“

(შდრ. გაზაფხ. და შემოდგ. 8,3).

„გათავდა წიგნი მაჯამა, ლექსი აქა-იქ თქმულები „(მაჯამა).

ნოდარ ციციშვილი „ბარამგურიანი“

„რუსთველს არ დარჩა უთქმელი, რაც ოდენ მისწვდა გონება“ (6,1).

„თეიმურაზ თ ქ ვ ა ამბავი იოსებ-ზილიხანისი...“

თქვა ხელმწიფური ლექსები, თვით რუსთველის მოსაწონისი“ (7,1, 3).

„ლექსთა თქმაცა ვით გაბედა ნოდარ, ანუ შაირობა“? (9,2).

„ესე ამბავი სპარსულებრ, გონება-მიუწვდომელი,

ნიზამის უთქვამს განჯელსა, ბრძენთა ბრძენია რომელი“ (12,1-2).

„ნავაის ესე ამბავი ჩალათურითა ენითა

უ თ ქ ვ ა მ ს და მისებრ მოღეკსე სხვა ვინმცა ვიაზრენითა?

კვლავ ჟამის უთქვამს სპარსულად მუნვე ჭკუითა ბრძენითა“ (13,1-3).

„რადგან ვსთხოვე შემოქმედსა ლექსთა თქმისა მე შეწვენა“ (14,2).

არჩილი ა. „გაბაასება“

„გაბაასების“ შესავალში მეფე ამბობს: „ამის ქორონიკონს ქვემორ ლექსად მოგახსენებ, როდის ი თ ქ ვ ა... ერთის ანბანთქებით რომ ცხრა ლექსია, ოსეთს და დვაღეთს

მ ი თ ქ ვ ა მ ს ო რ ს თ ვ ე ს ა დ ა ი მ ა ს ქ ვ ე მ ო თ ს ა წ ა შ თ ა რ ხ ა ნ ს ვ ა მ ბ ო ბ “.

„ვეჭვ, ესე ჩემი ნ ა თ ქ ვ ა მ ი, კარგი რამ მოსაგონარი“ (15,1).
„როსტომიანი უ თ ქ ვ ა მ ს ო თურმანიძესა ხოსროსა“ (25,1).
„ნანუჩას რუსთვლის ნ ა თ ქ ვ ა მ შ ი ბევერი რამ ჩაურევია“ (26,1).
„ქაიხოსრომან შიგ ჩართვით ლექსად თ ქ ვ ა ო მ ა ნ ი ა ნ ი“ (28,1).
„კარგად რამ უთქვამს, მის გამო არა ვთქვი მისი ზიანი“ (28,3).
„ფარსადანისძემ ნოდარ თ ქ ვ ა ქ ე ბ ა კარგა ბარამ-გურის“ (29,1).
„ჩოლოყაშვილსა გარსევანს უ თ ქ ვ ა მ ს რამე-რაეზია“ (30,1).
„კარგად თქვა, მაგრამ ვერ გვიზამს რუსთვლის თქმულთანა
ჩვენობას“ (31,4).

„ფეშანგი ფაშვი-ბერტყასძემ ახლა თ ქ ვ ა ვირმალიანი...
მე ვ ა თ ქ მ ე ვ ი ნ ე, მაგრამე ვერა თქვა მარილიანი“ (34, 1-4).
„ვისცა ე თ ქ ვ ა ს კარგად რამე, ნუ წაუხდენთ თქვენცა აქეთ,
კარგი კარგა მოუწონეთ, ცუდის მ თ ქ მ ე ლ ი მო, დაბაქეთ,
ვინ ვერ მიჰყვეს რუსთვლის თქმულსა, გადმობრძანდეს ასე აქეთ,
მელექსობა არ შეშვენის, დააყენეთ მოსაბაქედ!“ (36).
„კარგადა ვ თ ქ ვ ა ყველაკაი, არ მგონია ვნანუჩაო!“ (41,3).
„მე ვარ ძირი ლექსის თქმისა, მელექსენი ჩემზედ შენობს“ (78,1).
„ჩახრუხადემ პირველ არ თქვა, რად იპარავ პირველ თქმასა?“ (79,1).
„შენ ასეთი სად რა გითქვამს, მე არ მეთქვას უკეთესად“ (120,1)
„არც სულ ჯავრსა დავმორჩილდი, ლექსადა ვთქვი შვიდი კრება“
(121,4).
„ლაზოდა ს თ ქ ვ ი, შემოიღე ჯავახური ენა მძიმე“ (124,1).

ბ. „საქართველოს ზნეობანი“

„აწ ეს მომინდა სათქმელად, რამდენი ზნეობა არის“ (3,1).
„მელექსობა, შაირის თ ქ მ ა, უდარესი ამიცინა“ (37,1).

გ. „სამიჯნურონი“

„მ ი თ ქ ვ ა მ ს ქართულის ენითა, სხვა ენა არ ურევია“ (3,3).

იოსებ სააკაძე. „დიდმოურავიანი“

„ესე არს ლექსად ნათქვამი, მნატრე ვინ თქვენის ხლებისა“ (484,1).

ვახტანგ VI

ერთ-ერთ თავის ლექსს ასეთ განმარტებას ურთავს: „ეს ლექსი ლათინურის ენიდამ ერთმა ფრანგმა მითხრა ყველის ქებად და მე ასრე ვსთქვი“ „ლექსები რამ ვთქვი საბრალთ, მტერთაცა შესაწყალია“ („სალბუნად გულისა“) (98,1).

„ქილილა და დამანა“

„ვთქვი ენით მეტად ადვილით, რომ იყოს მოუწყინები“.

„სპარსთ ენაში მეტად ტკბილად და კარგად უთქვამსთ. ამასაც ნახავთ – „ლექსი ლექსად გარდმოვსთქვი უკლებრად... გასინჯეთ, რომ სხვის კაცისაგან ნათქვამს ამბავს მეორე ისე ვედარ იტყვის“.

„ეს ქილილა და დამანა ბრძენთაგან გამოთქმულები, სპარსთა ენითა სიტკბოთი დაშაქრულ დამბასულები, ვპოე და ჩვენად გარდმოვსთქვი, ყვაილი ტურფად რგულები“, „არ დამცაღდა სხვას ლექსთა თქმა, მიხმეს ისევ კიდევ კარად“
(„კვლავ მიხმეს...“).

დავით გურამიშვილი

„დავითიანი“ ვსთქვი დავით გურამიშვილმან გვარადო“ (1,1).
„ლექსი რუსთველისებრ ნათქვამი მე სხვისა ვერ ვნახეო და“ (4,4)
„ამ ლექსთ თავი მოუყარე, რაცა მეთქვა თითო ობლად“ (9,1).
„რაც დამრჩა, ვერ ვსთქვი, მეწადა მეთქვა გრძლად, თავი მეცადა, ვერა ვსთქვი, მოცლას უცდიდი, ნეტამცა არა მეცადა!“ (14,1-2).
„ვსთქვა უფალთ მეგვარტომობა“... (წიგნი ა. 3,1).
„თუ ვისმე ჩემი ნათქვამი შაირი ენასებიან“ (წიგნი ა. 15,1).
„ეს წიგნი, ლექსად თქმული, არის სულ იმისი“ (წიგნი დ. 21,10).
„და რომ ეს ასე ვსთქვი გურამიშვილმან მე დავით“ (წიგნი დ. 21, 15,4).

დავით გურამიშვილი მირიან ბატონიშვილისადმი მირთმეულ არხაში წერს: „მათი გავიგონე დიდროანს ღამებში შესაქცევლად ქართლურის წიგნების დამჭირნობა და ამად კადნიერ ვიქმენ და მივართვი ჩემი ნათქვამი წიგნი, რომელსა ეწოდების „დავითიანი“ (დავითიანი“, თბ., 1955, გვ. 288).

სულხან და ბეგთაბეგ თანიაშვილები. „ამირანდარეჯანიანი“.

„ამა ლექსისა ს ა თ ქ მ ე ლ ა დ უფალი მომცემს ხალისსა, მსმენთა იამოს, რა ესმის ლექსის თ ქ მ ა აქ ახალისა“ (I).
„ამბითა იყო ნ ა თ ქ ვ ა მ ი, აწ შევეცადე ლექსითა“ (39,1).
„არსად მ ე თ ქ ვ ა ამის მეტი ლექსი წიგნსა ჩასაწერად“ (1650).
„სულხანს ვთქვა, ჩემსა ძმასა, უკეთ თავს შესავალები“ (1661).
„რაც კარია, ყველას თავსა ამისთვის ვთქვი შესავლები“ (2330).

ფეშანგი ფაშვიბერტყიძე, „შაჰნავაზიანი“.

„თქმა რუსთველს დარჩა ლექსისა, ცუდად ვიუბენ მე რასა?“ (1051,4).
„კახეთს ვეახელ მეფესა, მხეებრ მცხინარედ ტკბილისა, მიბრძანა მათად საქებრად ლექსთა თქმა გამოვლილისა“ (1053, 1-2).

თეიმურაზ II

ა. თავგადასავალი

„ესთქვი ლექსი მცირე რაიმე სევდისა მოსათმინობით“ (14,2).

ბ. გაბაასება რუსთველთან

„მე უსწავლელსა ვით მეძლოს, ვისზედ ვსთქვი ანბანთ-ქებანი?“ (1,1).
„თქვენი ღრმად მეტყველებანი უცხო რამ საკვირველია, თუმცა მართალზე თქმულიყო, რა ტკბილი საკითხველია!“ (9,1-2).
„შენი ნ ა თ ქ ვ ა მ ი საღმრთოდ, თუ საეროდ მოიხმარების სჯობდა მას ზედა თქმულიყო, ვის მზე არ შეედარების“ (10,1-2).
„ვბოვე ამბავი, ლექსად ვსთქვი, ვეჭვ, იყოს მოსაწონები“ (16,2).
„რაც სიბრძნით ლექსები მეთქვას, დაგიგდებთ ქართველებსაო“ (20,1).

პეტრე ჩხატარაისძე. გალექსილი „ალექსანდრიანი“

„მიბრძანეს – ლექსად გამოთქვი, მსმენნო, იყვენით შევბუღნი“ (S 3619. შენ).

ჭაბუკაშვილი გიორგი. „ხილთა გაბრჭობა“

„მაშინ ვ თ ქ ვ ი, ოდეს მოსკოვსა ვიყავ სენთაგან ვნებული“
(S 1408 : 4).

განსაკუთრებით უნდა გავამახვილოთ ყურადღება მამუკა ბარათაშვილის „ჭაშნიკზე“, რომელიც, ავტორის თქმით, არის „სწავლა ლექსის თ ქ მ ი ს ა“. აქ მამუკა საუბრობს, რა თემაზე უნდა თ ქ ვ ა ს მეღექსემ ლექსები, „თუ ლექსი როგორ უნდა თ ქ ვ ა ს, ვისაც უნდა“ და სხვ. „ან კარგი იგავეები მოიყვანე და იმაზედა თქვი“, „ან ომსა და ფალავნების ამბავზედ თქვი“... და სხვ. ამ წიგნიდან ნათლად ჩანს, რომ მამუკა ბარათაშვილისათვის ლექსთა თხზვის გამოსახატავად მხოლოდ ერთი ტერმინი არსებობს „ლექსთა თ ქ მ ა“. მან არ იცის გამოთქმა „ლექსთა წერა“¹.

ამრიგად, დიდი თუ პატარა პოეტისათვის ლექსის წერა, მხატვრული ნაწარმოების შექმნა, არის „თქმა“. როგორ ასხვავებდნენ ძველად ერთმანეთისაგან „წერასა“ და „თქმას“, ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს მაშინ, როდესაც ეს სიტყვები ერთმანეთის გვერდით არის ნახმარი.

ექვთიმე ათონელი იოანე სინელის „კლემაქსისათვის“ დართულ წინასიტყვაობაში წერს: „მე გლახაკმან ეფთვიმე, ბრძანებითა წმიდისა მამისა ჩემისა იოანესითა ვთარგმნე ესე, ვითარცა თვით მას წმიდასა ე თ ქ ვ ა ბერძულად, და რომელნი ს წ ე რ დ ე თ, ვითარცა აქა ჰპოოთ, ეგრეთ დაწერეთ“ (Q 628).

მამუკა ბარათაშვილი „ჭაშნიკის“ ანდერძში აღნიშნავს: „მე რადგან ესენი შევკრიბე, თვით ამათი ხმისთანა ლექსის თ ქ მ ა ც შემეძლო, მაგრამ ესენი უმჯობე იყვნენ ჩემსა და ამისთვის ესენი დ ა ვ ს წ ე რ ე და ჩემი ნ ა თ ქ ვ ა მ ი ც ამათ ვაახელ“.

¹ მამუკა ბარათაშვილი, თხზულებათა სრული კრებული, თბ., 1969, გვ. 124-137.

გადამწერთა ანდერძები:

„ესე მართალი და უბიწო საქრისტიანო მოძღურება, მოკლითა სიტყვითა, მე, სულხან-საბა ორბელიანისგან თქმული, რომელსა ეწოდების „სამოთხის კარი“, დავსწერე ქრისტეს აქათ 1713 წ.“ (A 1304,2, შენ. 2).

„ღმერთო, უშველე ნიანიას, ამ ლექსის გამომთქმელსაო, იმასაც ღმერთმან უშველოს, ამისა დამწერელსაო“ (H 2560)

ზოგადად ასეთი სურათი გვაქვს ძველ ქართულში „წერა“ და „თქმა“ სიტყვების ხმარებისა. აშკარაა, რომ „წერა“ სიტყვა მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში იხმარებოდა „თხზვის“ შინაარსით. აღორძინების ხანის მწერლობაში ამის მაგალითები ვნახეთ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რაკი ამ სიტყვის სემანტიკური მნიშვნელობა გაფართოების გზაზე იდგა, ყოველ საუკუნეს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. აღორძინების ხანაში ქართულ ლიტერატურაში დიდი ძვრები მოხდა და, რაც ამ ეპოქის მწერლებს ახასიათებთ, ის არ შეიძლება ტიპურად ჩავთვალოთ წინა საუკუნებისთვისაც. რაც უფრო ადრეულ საუკუნესთან გვაქვს საქმე, მით უფრო ნაკლები შესაძლებლობაა იმისა, რომ „წერა“ სიტყვა „თხზვის“ მნიშვნელობით შეგვხვდეს. აღორძინების ხანაში მხოლოდ ჩაისახა შესაძლებლობა ამ სიტყვის მხატვრულ-შემოქმედებით პროცესთან დაკავშირებისა.

საკითხის ისტორიის უფრო ნათლად წარმოსადგენად გვსურს დაუშაბოთ შემდეგიც.

რამდენადაც ისახებოდა შესაძლებლობა, რომ „წერა“ სიტყვას „თხზვის“ მნიშვნელობა მიეღო, პარალელურად სიტყვა „მწერალიც“ იღებდა შემოქმედის მნიშვნელობას. ეს მოვლენაც აღორძინების ხანაში მხოლოდ ჩანასახის სახით გამოჩნდა. მაგალითად, ვახუშტი ბატონიშვილი წერდა:

„ამას იქით რაც იქმნას ქვეყანასა ამას საქართველოსა შინა, მ ა ტ ი ა ნ ე თ მ წ ე რ ა ლ თ აღწერონ“ (ქართ-

ლის ცხოვრება, თბ., 1973, გვ. 015).

აქ მწერალი, რასაკვირველია, გადამწერის მნიშვნელობით არ არის ნახმარი.

გვაქვს ასეთი მინაწერი:

„ჰუმობენ მ წ ე რ ა ლ ნ ი, არ თქმულ არს ცისა
ღრუბლის არ ქონაი“

(1776 წ. S 1623. „ამირანდარეჯანიანი“. 96 რ).

არც აქ იგულისხმება სიტყვა „მწერალში“ გადამწერი.

სიტყვები „წერა“, „თქმა“, „მთქმელი“, „მწერალი“ იმ მნიშვნელობებს, რომელიც მათ ძველ ქართულში ჰქონდათ, ინარჩუნებენ XIX საუკუნის 60-იან წლებამდე. ქართველი რომანტიკოსები ჯერ ისევ ძველებურად ხმარობენ ამ სიტყვებს. XIX საუკუნის პირველ ნახევარში ლექსთა კრებული მრავალი გვაქვს შედგენილი და მათ შენარჩუნებული აქვთ ძველი იერი. ლექსები ისევ „თქმულია“ ან „ნათქვამი“ ავტორთა მიერ (ამ ავტორთა შორის ქართველი რომანტიკოსებიც არიან). გადამწერებიც კვლავ აცხადებენ: „დავწერე“, „დამიწერია“, „ვწერ“ და სხვ. (იხ. კრებულები: H 101, H 769, H 1016, H 1103, A 1575 ა,ბ, A 1735, S 155, S 303, S 387, S 1203, S 1511, S 1512, S 1516, S 1540, S 1635, S 1636, S 1637 და სხვ.)

მოვიყვანო მხოლოდ ორ დამახასიათებელ მაგალითს.

1. ალექსანდრე ორბელიანს შეუდგენია საკუთარ თხზულებათა კრებული, თვითონვე გადაუწერია სხვადასხვა დროს – 1826-1866 წლებში (S 1640 ა). თავის ლექსებს იგი ამგვარ განმარტებებს ურთავს: „ეს ლექსი მაშინა ვ თ ქ ვ ი, როდესაც პირველად ჩემი დანიშნული ეკატერინე ვნახე“... „ეს ლექსიც, შინ რომ მოვედი ჩემს დანიშნულზე ვ თ ქ ვ ი“, „მეტის შეწუხების გამო ვ თ ქ ვ ი ეს ლექსი“. „ესეც ხნიანს დროში ვ თ ქ ვ ი“, „ესეც მაშინა ვ თ ქ ვ ი“ და სხვ.

ალექსანდრე ორბელიანს სხვა შემთხვევაში არ უჭირს სიტყვა „წერის“ ხმარება. მაგალითად, „სურამის ციხის“

განხილვაში „დართულს დართული“ (S 1641). იგი წერს: „ამგვარს საქმეებსა ძალიან კარგათ წაკითხვა უნდა და მასუკან შეუდგეს წერას“. ერეკლე მეფეზე დაწერილ მოგონებებში წერს: „მე ამისი ამბავები რაც გამეგონა, ცალ-ცალკის აღწერით და ვ წ ე რ ე, მაგრამ რაც იმისი ამბავები დამიწერია, სწორეს და ნამდვილის გამოკვლევით არის და ვ წ ე რ ი ლ ი“... და სხვა ამგვარები. მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა მას თხზულებაზე თავისი ავტორობა სურს განაცხადოს, როგორც ვნახეთ, იყენებს მხოლოდ ერთ სიტყვას: „ვთქვი“. ამ მხრივ იგი შესანიშნავ ნიმუშს გვაძლევს, როგორ ასხვავებდნენ ჩვენი წინაპრები „წერისა“ და „თქმის“ ხმარების შემთხვევებს.

2. ვინმე როსაფს XIX საუკუნის 60-იან წლებში დაუწერია საზანდარული ლექსები. მისთვის მიუძმართავთ: „როსაფ, ივანეს ქება ს თ ქ ვ ი, თუ იცი წერა კალმისა“ (A 1237).

ამრიგად, XIX საუკუნის 60-იან წლებამდე სიტყვების „წერისა“ და „თქმის“ ხმარება თითქმის იმავე წესით ხდებოდა, როგორც ძველ ქართულში. თუმცა, ის გამონაკლისი შემთხვევები, როცა „წერ“ ძირიდან ნაწარმოები სიტყვები თავისი მნიშვნელობით უკავშირდებიან „თხზვას“, ამ პერიოდში უფრო მომრავლებულია. გიორგი ავალიშვილს 1826–1828 წლებში შეუდგენია კრებული (S 303), დაურთავს ანდერძი:

„ძველ-ახალ ქართველთ მ წ ე რ ა ლ თ ა რაც ოდენ
ვპოვენ თ ქ მ უ ლ ე ბ ი,
ლექსად და ამბავად ნაშრომნი, წვლილთა
ბარათთა თხზულები“...

აქ სიტყვა მწერალი, რასაკვირველია, ახალი მნიშვნელობით არის ნახმარი ¹.

¹ აღსანიშნავია, რომ იმავე ავალიშვილს 1787 წელს მოსკოვში გადაუწერია პოეტურ თხზულებათა კრებული (S 1508) და ლექსად დაურთავს ანდერძი, რომელსაც ასე ამთავრებს: „მე, წიგნის ამის მწერალსა, ნუ მიმცემთ დავიწყებასა“ (გვ. 142). აქ მას „მწერალი“ გადამწერის მნიშვნელობით აქვს ნახმარი.

იოანე ბაზლიძეს 1816 წ. რუსულიდან ქართულად გადმოუღია „სახოგადო ისტორია“ (S 398). წინასიტყვაობაში იგი ხმარობს გამოთქმას „ლექსთა წერა“. ამგვარი შემთხვევების დასახელება კიდევ შეიძლება.

დიდი გარდატეხა ხდება XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან. ამ პერიოდიდან, შეიძლება ითქვას, ქართული ლიტერატურადან მთლიანად იდევნება გამოთქმები: „თქმა“, „მთქმელი“, „მელექსე“. მათ ადგილს იკავებს სიტყვები: „წერა“, „მწერალი“, „პოეტი“. 1861 წლიდან ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე რომ „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლა გაიშალა, როგორც ახალი, ისე ძველი თაობის წარმომადგენლები ახალი ტერმინოლოგიით მსჯელობდნენ, სიტყვებს „წერა“, „მწერალი“ უკვე ახალი ფუნქციით, ახალი შინაარსით ხმარობდნენ. იღია ჭავჭავაძე თავის წერილში „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთვის კოზლოვიდგან შეშლილის თარგმანზედა“, წერდა: „კოზლოვი არასდროს არ ყოფილა თავისუფალი მ წ ე რ ა ლ ი“. „ჩვენში, ქართველებში, დიდი მ წ ე რ ლ ი ს ხმა აქვს დაგდებული ჩახრუხაძესა“... „რა საჭიროა ეხლა ან ჩვენი ლიტერატურისათვის, ან ხალხისათვის სენტიმენტალური სხოლის მ წ ე რ ლ ო ბ ი ს გაცნობა?“... „ამას იქით, ვისაც არ უ წ ე რ ი ა ლ ექსი, თავად რ. ბარათაშვილისა არ იყოს, მართლა უნდა უხაროდეთ, რომ ლ ე ქ ს ე ბ ს არა ს წ ე რ ე ნ“... „კოზლოვი, მართალია იმისთანა მ წ ე რ ა ლ ი ა, რომ არაფერი დაეწერა, რუსეთს იმითი არაფერი არ დააკლდებოდა-რა, და რადგანაც დ ა უ წ ე რ ი ა, იმითიც არა მოჰმატებია-რა“... „არა პ ო ე ტ ს თითქმის არ დაუბადნია მბაძავნი იმოდენი, რამდენიც დაჰბადა ბაირონმა ევროპაში და ნამეტნავად რუსეთში“... და სხვ.

ამ დროიდან სიტყვები: „მთქმელი“, „მელექსე“, „თქმა“ ფოლკლორშიდა გვხვდება.

როგორც აღვნიშნეთ, ძველ ქართულშივე ისახებოდა

იმის შესაძლებლობა, რომ სიტყვები „წერა“, „მწერალი“ და-კავშირებოდა შემოქმედებას, მაგრამ ეს პროცესი ძალიან ნელა მიდიოდა. XIX ს. 60-იან წლებში ასეთი მთლიანი გადატრიალება, ალბათ რუსული ენის ზეგავლენით უნდა აიხსნას.

ლიტერატურულ ენაში მომხდარი ცვლილება აისახა ლექსთა კრებულებშიც. მაგალითად, A 1753 XIX ს-ის 60–70-იან წლებში შედგენილი კრებულია. მასში აღარ იხმარება სიტყვები „თქმული“ და „ნათქვამი“. ავტორთა და მათ თხზულებათა დასახელება ხდება ასეთნაირად: „თავად ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი“, ან „ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებიდან“ და სხვ.

1866 წელს შედგენილ საკუთარ ლექსთა კრებულში (H 855) ალექსანდრე სულხანიშვილი ლექსებს ასე ასათაურებს: „იანვრის 25-ს და აწერილი, კუბიდონის ავანტყოფობის დროს“, „და აწერილი 10-ს ფებერვალს“, „იანვრის 31-ს დამეს და აწერილი“ და სხვ.

ამ დროიდან გადაწერის აღსანიშნავად „წერა“ სიტყვა „გადა“ ზმნისწინის გარეშე, ჩვეულებრივ აღარ იხმარება.

ლიტერატურაში მოხდა კიდევ ერთი ცვლილება. ძველ ქართულ მწერლობაში ნაწარმოებები უმთავრესად დანიშნული იყო მსმენელთათვის. „მთქმელები“ უმთავრესად მსმენელს მიმართავდნენ, გადამწერლები კი მკითხველს.

მაგალითად:

„ვიწყო და ქებად, ძლივ შეკადრებად, მსმენელთ ვაუწყო
ქვეყნის მპყრობელი“ („აბდულმესიანი“)

„კვლა აქაცა ეამების, ვინცა ისმენს კაცი ვარგი.

„ვინცა ისმინოს, დაესვას ლახვარი, გულსა ხეული“

(„ვეფხისტყაოსანი“)

„ჯავლაგსა ფავლენიშვილსა არვინ ათხოებს ყურსაო (27,1)

„მის ლექსისა სასმენელად მიპყრობა ხამს კარგა ყურის“ (29,4)

„ყური მიპყართ წადიერად, ნურსად წარხვალთ, აქავებით“ (44,1)

„ორთავ უხამს დიდი ქება, მსმენელთ დიდსა სიბრძნეს მისცემს (209,1)
„ი ს მ ი ნ ე თ ჩემი ლექსები, ტკბილადრე, ნუ დამბაქეთა“ (45,1)
(არჩილი, „გაბაასება“)

„მოუძღურდა ხორცი სუსტი, რაღა მეთქვა მ ს მ ე ნ თ ვ ი ს მწირად?“
(ვახტანგ VI, „კვლავ მიხმეს...“)

„აწ დავიწყო თქმა მართლისა, მომსმენე ელნო, შემოკრებით“
(გურამიშვილი, „დავითიანი“)

„მიბრძანეს – ლექსად გამოთქვი, მ ს მ ე ნ თ, იყვნით შვებულნი“
(პეტრე ჩხატარაისძე. ალექსანდრიანი, S 3619).

„მ ს მ ე ნ თ ა იამოს, რა ესმას ლექსის თქმა აქ ახალისა“
(თანიაშვილი. „ამირანდარეჯანიანი“)

მამუკა მართაშვილი „ჭაშნიკში“ წერს: „თუ კარგს იტყვი სიტყვის სიმარჯვითა და ცოდნის ძალითა, სუ-
ლიერის ცოდნითა და სამხედროს ცოდნით, მთქმელი მოიგონება და მ ს მ ე ნ ი სწავლის“. „სხვას მრავალს დე-
დაკაცო ტრფიალებისათვის თათრის ზღაპრები გაულექსავს
მსმენთ საზიანოდ და მთქმელთ საურიგოდ“.

ალ. ჭავჭავაძე წერს ლექსს „ისმინეთ მსმენნო“, „მის-
მინეთ, ჭირში ფლობილს“, – ამბობს ლექსში „ვისაც
გსურთ“ და სხვ.

მთქმელისა და მსმენელის კონტაქტი ახალ ქართულში
მწერლისა და მკითხველის კონტაქტით შეიცვალა.

ილია ჭავჭავაძე არაფერს წერს მსმენელისათვის. მისი
ნაწარმოები მკითხველისათვის არის დანიშნული: „მკითხ-
ველო, ხომ არ მოგეწეინა“, („კაცია-ადამიანი?“), „იცი,
მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია!“
(„მგზავრის წერილები“). „ამ ორს გულში რა ბაღღამიც
სდუღდა, წარმოიდგინოს თვითონ მკითხველმა“ („კაკო
ყაჩალი“) და სხვ.

დავუბრუნდეთ მესხი მეღექსის საკითხს. ვფიქრობთ,
ძველ ქართულში „წერა“ სიტყვის ხმარების არეს გათ-
ვალისწინება საკმაო საფუძველს გვაძლევს, რომ მესხი

მელექსის განცხადებაში – „ვწერ“ – დავინახოთ გადამწერის ანდერძი. მესხი მელექსე რომ რაიმეს ავტორად, რაიმეს შემქმნელად ჩავთვალოთ, მაშინ ამ ტაეპში უნდა გვქონდეს: „ვ თ ქ ვ ი ვინმე მესხმა მელექსემ“.

„ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებათა ავტორი რუსთველის მიმბაძველია. წარმოდგენელია, მას რუსთველისებურად არ ეთქვა „ვთქვიო“ და თავისი, როგორც ავტორს, ღვაწლის აღსანიშნავად ეხმარა ის სიტყვა, რომლის ხმარება სხვა პოეტებთა შორისაც არ იყო მიღებული.

საინტერესოა ამ თვალსაზრისით რა ვითარება გვაქვს თვით „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებებში. როგორც აღვნიშნეთ, აკად. აღ. ბარამიძეს მიაჩნია, რომ მესხი მელექსე „გმირთა სიკვდილის ამბის“ გარდა უნდა იყოს „ხვარაზმელთა ამბის“ ავტორიც. „ხვარაზმელთა ამბავს“, როგორც ვიცით, აქვს თავისებური პროლოგ-ეპილოგი. პროლოგში ნათქვამია:

„ესე ამბავი ნარჩომი მათ ლომთა მორჭმით მგონეთა,
გალექსვა აკლდა ხვარაზმთა, მეტად ვერ მოვიგონეთა,
ძნელია პოვნა, გული ჰკრთა, დავფარდი, დავიღონეთა,
კვლავე ვ თ ქ ვ ი, ლექსი გავმართე, მოსმენით გაიგონეთა“.

აწ, გონიერო, სიტყვანი თქვენ ჩემნი შეიწყნარენით,
ძველნი ნარჩომნი ამბავნი ლექსად ვ თ ქ ვ ე ნ, გაიხარენით,
სარგისს დაურჩა უ თ ქ მ ე ლ ა დ, მას ესე დავაბარენით,
ლექსი მიქენით, ამისთვის ენანი მომახმარენით“.

გამგრძელებელი ეპილოგშიც ამასვე გვაუწყებს:

„ეს ამბავი დარჩომოდა სარგისს ლექსთა შეუწყობლად,
აგრე თმოგვი თმოგველთაგან შესავლითურთ დარჩა ობლად,
მე ვნახე და მას უჩვენე ¹, ვინ ჩანს გმირთა რაზმის მწყობლად,
მიბრძანა, თუ: „ლექსად თქვიო, მჭევრ ქართულად, დაუშრობლად“.

¹ ზოგიერთ ხელნაწერში ნაცვლად: „მე ვნახე და მას უჩვენე“, გვაქვს: „ესე სიტყვა მოახსენეს“. უპირატესობა, ალბათ, პირველს უნდა მიეცეს, რადგან იქ უფრო გვაქვს რუსთველის მიბაძვა: „ვპოვე და ლექსად გარდავთქვი“...

ამრიგად, „ხვარაზმელთა ამბის“ ავტორისათვის უბრძანებო-
ათ „ლექსად თქმა“ და მასაც „უთქვამს“: „კვლავ ვთქვი,
ლექსი გავმართე“, „ლექსად ვთქვენ, გაიხარენით“, – აცხა-
დებს ის.

დავუკვირდეთ „ხვარაზმელთა ამბის“ ავტორის მსჯელო-
ბას. მისი სიტყვებიდან გამოდის, რომ გასალექსი ამბის
ავტორი სარგისია, მაგრამ ის არ არის ამ ამბის მთქმე-
ლი. მას ეს ამბავი დარჩენია „უთქმელი“. „უთქმე-
ლი“ ამ ამბავს ჰქვია იმიტომ, რომ სარგისს ის ვერ გაულე-
ქსავს, „ლექსთა შეუწყობლად“ დაუტოვებია. მაშასადამე
ხვარაზმელთა ამბის ავტორი „თქმას“, უწოდებს
გადმოსაცემი ამბისათვის სათანადო მხატვრუ-
ლი ფორმის, ამ შემთხვევაში, პოეტური სახის
მიცემას. გავიხსენოთ არჩილ მეფის შესახებ ნათქვამი
„საქართველოს ზნეობანზე“: „ესე აღუწერია მეფესა არ-
ჩილს და ლექსად წარმოუთქვამს“. სარგისს აღუწერ-
ია „ხვარაზმელთა ამბავი“, მაგრამ ლექსად თვითონ ვეღარ
წარმოუთქვამს. ეს მისია სხვას შეუსრულებია. მაშასადამე,
გამლექსავი არის ხვარაზმელთა ამბის „მთქმელი“, ხოლო
სარგისი არის ამ ამბის „აღმწერელი“.

მოყვანილი პროლოგ-ეპილოგიდან ნათლად ჩანს, რომ
„ხვარაზმელთა ამბის“ ავტორმა კარგად იცის, რა არის
„თქმა“, ისიც იცის, რომ რა სამუშაოც მან ჩაატარა,
სწორედ „თქმა“ა. ამიტომ ამბობს ორჯერ: „კვლავ ვ-
თქვი, ლექსი გავმართე“, „ლექსად ვთქვენ, გაიხ-
არენით“. დაუჯერებელია, რომ ბოლოს მას მოესურვებინა
თავისი ვინაობის გამჟღავნება, თავისი დვაწლის საგანგებო
აღნიშვნა და იქ ეთქვა არა „ვთქვი“, არამედ „ვწერ“.

ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ გარემოებასაც. თა-
ვის დროზე დავით კარიჭაშვილმა მიუთითა იმ კონტრას-
ტზე, რომელიც „გეფხისტყაოსნის“ პროლოგსა და ეპილოგს
შორის შეიმჩნევა. იგი წერს: „ის თავმომწონე მოლექსე,
რომელიც წინასიტყვაობაში გავიცანით, აქ ვინმე მესხად

გადაქცეულა“¹ ... უნდა აღვნიშნოთ, რომ ამგვარი კონტრასტით „ვეფხისტყაოსნის“ გამგრძელებელიც უპირისპირდება მესხ მელექსეს. მასაც ემჩნევა თავმომწონეობა, საკუთარი პოეტური ღირსების შეგრძნება. შეიძლება ვთქვათ, იგი ამ მხრივაც ბაძავს რუსთველს. „ხვარაზმელთა ამბის“ გამლექსავი რუსთველისებურ სიტუაციაში იყენებს თავის თავს – აცხადებს, რომ ის ამბავი, რომელსაც ის ლექსავს, მისი შეთხზული არ არის, ის „ძველნი ნარჩომნი ამბავნია“. რუსთველი ამბობს: „ვპოვე და ლექსად გარდავთქვი“. გამგრძელებელი ამბობს: „მე ვნახე და მას უჩვენე“. ამ ამბის გალექსვა მას პატრონებმა უბრძანეს. რუსთველს უბრძანეს „თქმა ლექსებისა ტკბილისა“, მისთვისაც მაღალხარისხოვანი ლექსების შეთხზვა დაუვალებიათ: „მჭკვერქართულად, დაუშრომლად“. გამგრძელებელს თავის პოეტურ ძალაში ეჭვი არ ეპარება. დარწმუნებულია, რომ დავალება პირნათლად შეასრულა. მან ლექსი „გამართა“ და ჩვენ, მსმენელებმა, მისი მოსმენით უნდა გავიხაროთ: „ლექსად ვთქვენ, გაიხარენით“. ამრიგად, იგი საკმაოდ პრეტენზიული პირი ჩანს და, საეჭვოა, რომ თავისი თავი „ვინმეთი“ მოეხსენიებინა, როგორც ამას მესხი მელექსე აკეთებს.

ამრიგად, მესხი მელექსე და „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი გამგრძელებელი სხვასხვა პირები არიან. მესხ მელექსეს ვერ მივაწერთ რაიმეს ავტორობას, იგი არა ჩანს რაიმეს „მთქმელი“. მესხი მელექსე უნდა იყოს პოემის (რასაკვირველია, ვრცელი რედაქციის) მხოლოდ გადამწერი და მასზე ლექსად ანდერძის დამრთავი.

მესხი მელექსის შესახებ პირველი მეცნიერული აზრი, როგორც ვთქვით თეიმურაზ ბატონიშვილმა გამოთქვა 1843 წელს. მას მესხი მელექსე პოემის გადამწერად მიაჩნია.

¹ შოთარუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, დ. კარიჭაშვილის წინასიტყვაობით, შენიშვნებით და ვრცელი ლექსიკონით, თბ., 1903, გვ. XV.

ქართულ ხელნაწერთა ანდერძების გაცნობა საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ, თეიმურაზ ბაგრატიონზე ადრე რა აზრის იყო ქართველ მწერალ-მწიგნობართა წრე მესხი მელექსის შესახებ.

მელქისედეკ კავკასიძეს 1733 წელს მოსკოვში გადაუწერია ვახტანგ VI-ის ლექსები და პოემები (S 4500). ლექსად დაურთავს ანდერძი:

„ბრძანებით მეფეთ-მეფისა პატრონის ვახტანგისათა,
ეს მისგან ნაბრძან-ნაკაზში ჰვლოვან ოსტატისათა.
ბრძენ სალადობელ წოდებით სიტყვითა გვარადისათა

და ვსწერ მესხი ვინმე მდივანი ჰელითა კავკასიისათა“¹ (გვ291)

ანდერძის მე-4 ტაეპზე „ვეფხისტყაოსნის“ ეპილოგის გაგ-
ლენა აშკარაა. „ვსწერ მესხი ვინმე“ აშკარად „ვწერ ვინმე
მესხი“-ს მიბაძვით არის დაწერილი, ე. ი. მელქისედეკ კავკა-
სიძე თავისი, როგორც ხელნაწერის გადამწერის, ვინაობის
გამჟღავნებისას ბაძავს მესხ მელექსეს. ვფიქრობთ, აქ ჩანს,
რომ მელქისედეკ კავკასიძისთვის მესხი მელექსე გადამწე-
რია. „ვეფხისტყაოსნის“ ეპილოგის ტაეპი, რომელშიც მესხი
მელექსე თავის თავს ასახელებს, მას გადამწერის ანდერ-
ძად მიაჩნია და თავის ანდერძსაც მის მსგავსად აგებს.

კიდევ უფრო საინტერესო შემთხვევა გვაქვს „ვეფხ-
ისტყაოსნის“ ერთ-ერთ ხელნაწერში. ეს არის A 530,
გადაწერილი იოსებ კეპულაძის (ქებულაძის?) მიერ 1834
წელს. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი ბეჭდური რედაქციისაა,
ერთვის ეპილოგი, რომელშიც გადამწერს, იოსებ კეპულაძეს,
მესხი მელექსეს ნაცვლად თავისი გვარი და სახელი ჩაუ-
წერია. ე. ი. ტაეპი: „ვწერ ვინმე მესხი მელექსე“... ამ ხელ-
ნაწერში ასე იკითხება: „და ვსწერე ვინმე იოსებ კეპულაძე
მელექსე მე რუსთველისა დაბისა“².

¹ ეს ანდერძი მეორდება ხელნაწერში Q 548. მაგრამ მასში სიტყვები „მესხი
ვინმე“ ვიღაცას უხეშად გადაუსწორებია სიტყვით: „მელქისედეკ“.

² ამავე კეპულაძეს შეუცვლია ეპილოგის ბოლო ტაეპიც. ნაცვლად „ტარიელ
მისსა რუსთველსა“... დაუწერია: „ავთანდილ მისსა რუსთველსა, მისთვის
ცრემლ-შეუშრობელსა“.

რატომ გაბედა იოსებ კეპულაძემ მესხი მეღვინის მაგიერ თავისი გვარისა და სახელის ჩაწერა? ალბათ, იმიტომ, რომ მას მესხი მეღვინე პოემის ასეთივე გადამწერად მიაჩნდა, როგორც თვითონ იყო. კეპულაძეს პოემის ავტორად არ სურს თავის გასაღება. მან პროლოგსა და ეპილოგში რუსთაველის მაგიერ არსად მოინდომა თავისი გვარის ჩაწერა. კეპულაძემ მხოლოდ მესხ მეღვინეს გაუბედა ხელის ხლება. ე. ი. მისთვისაც „ვეფხისტყაოსნის“ ეპილოგის პირველი სტროფი გადამწერის ანდერძია.

როგორ უნდა გავიგოთ ტაეპის: „ვწერ ვინმე მესხი მეღვინე მე რუსთაველისად ამისა“ შინაარში, თუკი აქ გადაწერაზეა ლაპარაკი და არა თხზვაზე. დღეისათვის მიღებულია თვალსაზრისი, რომ „რუსთაველისად ამისა“ ნიშნავს: რუსთაველის მსგავსად, რუსთაველის მიხედვით, რუსთაველისამებრ ¹.

ვფიქრობთ, მესხი მეღვინე აქ უნდა გვეუბნებოდეს, რომ მან ტექსტი გადაწერა რუსთაველის მიხედვით, ისე, როგორც რუსთაველს ჰქონდა. ე. ი. აქ დედნის ზუსტად გადაწერაზე უნდა იყოს ლაპარაკი. საერთოდ, გადამწერებს ახასიათებდათ დედნის ერთგულებაზე ფიცილი. ამ თვალსაზრისით, ეს ტაეპი გადამწერის ტიპური ანდერძია.

ერთი შენიშვნის დამატებაც გვსურს. ეს შენიშვნა მესხ მეღვინეს არ ეხება, მაგრამ ეხება „წერა“ სიტყვის არა სათანადოდ გაგების კიდევ ერთ ფაქტს. ქართული ლიტერატურის ისტორიის I ტომში გიორგი მერჩულეს შესახებ ვკითხულობთ: „ხანძთის მონასტრის მოღვაწეს, ვინმე გიორგი მერჩულეს, როდესაც ხანძთაში წინამძღვრად ყოფილა თეოდორე, ამ უკანასკნელისა და მისი ძმის იოანეს დახმარებით დაუწერია გრიგოლის ცხოვრება“ ². ეს აზრი მეორდება

¹ კ. კ. კ. ე. ლ. ი. ძ. ე. ძვ. ქართული მწერლობის ისტორია, ტ. II, თბ., 1952, გვ. 112. ალ. ბარამიძე, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, თბ., 1966, გვ. 38.

² კ. კ. კ. ე. ლ. ი. ძ. ე. ძვ. ქართული ლიტ. ისტორია, ტ. I, თბ., 1960, გვ. 152

სასკოლო სახელმძღვანელოშიც. მასში ვკითხულობთ: „რაკი ეს ბრძენი მამები ისე დახოცილან, რომ გრიგოლის ცხოვრება არ აუწერიათ, თვითონ მერჩულებს მოუკიდია ხელი ამ საქმისთვის. გ. მერჩულებს დახმარებია ხანძთის მონასტრის მაშინდელი წინამძღვარი თეოდორე და მისი ძმა იოანე“².

თანამედროვე მკითხველისთვის იმის განცხადება, რომ გიორგი მერჩულებს თხზულების დაწერაში დახმარებია ორი სხვა პირი, იმას ნიშნავს, რომ ეს პირები – ხანძთის მონასტრის წინამძღვარი თეოდორე და მისი ძმა იოანე – თხზულების თანაავტორებად ჩავთვალოთ.

რა გახდა ასეთი განცხადების საფუძველი? „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ დასასრულში ვკითხულობთ: „ხოლო ხანძთისა წინამძღურისა და იოვანე ძმისა მისისა და წიგნისა ამის აღმწერელისა გიორგი მერჩულისა – სამთავე ამათ ერთად გულისმოდგინებთა დაიწერა ხანძთას შინა ნეტარისა გრიგოლის ცხოვრებაჲ ესე“.

ამ სტრიქონებში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ წიგნის აღმწერელი, ე. ი. თხზულების ავტორი გიორგი მერჩულეა, დასახელებული ორი პირი აღმწერებად არ იხსენიებიან. მათ თხზულების დაწერაში, შექმნაში არ მიუღიათ მონაწილეობა. ისინი გიორგი მერჩულებს დახმარებიან მხოლოდ თხზულების „დაწერაში“, რაც გადაწერაში დახმარებას უნდა ნიშნავდეს. ე. ი. „დაიწერა“ ზემომოყვანილ კონტექსტში „გადაიწერას“ მნიშვნელობით უნდა იყოს ნახმარი.

ვფიქრობთ, ზემოთ მოყვანილი განცხადებები, რომ გიორგი მერჩულებს თხზულების დაწერაში დახმარებია ეს ორი პირი, უნდა გასწორდეს. ხანძთის მონასტრის წინამძღვარ თეოდორესა და მის ძმას იოანეს გიორგი მერჩულებს ვრცელი თხზულების მხოლოდ გადაწერაში მიუღიათ მონაწილეობა.

მრავალთავი X, 1983 წ.

² გრ. ბარამიძე, გ. ჯაკობია, ძველი ქართული ლიტერატურა, VIII კლასის სახელმძღვანელო, თბ., 1979, გვ. 41.

შენიშვნა ღაზით გურამიშვილის ბიოგრაფიის ერთ დეტალზე

დავით გურამიშვილის ბიოგრაფიის ყველაზე საბედისწერო ეპიზოდად, ალბათ, უნდა ჩაითვალოს მისი „ლეკთაგან“ დატყვევება. როგორ მოხდა ეს, ამას თვითონ პოეტი გვიყვება „დავითიანში“. აკად. კორნელი კეკელიძე ძველი ქართული მწერლობის ისტორიის მეორე ტომში „დავითიანის“ ამ ადგილის შინაარს ასე გადმოგვცემს: „პოეტს, ვახტანგის რუსეთში გადასახლების შემდეგ, თავი შეუფარებია ქსნის ხეობაში, სოფ. ლამისყანაში, ერთ შექმლებულ ოჯახში. 1729 წელს გაზაფხულზე, მკის დაწყების წინ, როდესაც დავითი მოყვრის ყანაში მიდიოდა მუშებთან, მას თავს დასხმია 15 კაცისგან შემდგარი ლეკთა რაზმი, რომელსაც ის ტყვედ წაუყვანია. ლეკებმა ის ტყვედ მიიყვანეს ოსოქოლას. ის ჯერ მოიმსახურეს და მერე გაყიდვა დაუპირეს. როდესაც დავითმა გაიგო ეს, გაიპარა, მაგრამ დაიჭირეს და „დააპანდურეს“¹ და ა.შ.

როგორც ამ თხრობიდან ჩანს, აკად. კ. კეკელიძეს მიაჩნია, რომ დავითი მარტო იყო, როცა ლეკებმა მოიტაცეს. ასევე მარტოა ის, როცა იპარება და ა. შ.

ასეთივე თვალსაზრისი ჩანს ამ საკითხის შესახებ აკად. აღ. ბარამიძის, აგრეთვე სხვა მეცნიერთა ნაშრომებიდან. აზრთა სხვადასხვაობაა მხოლოდ მოტაცების თარიღის შესახებ. აკად. აღ. ბარამიძეს მიაჩნია, რომ დავით გურამიშვილის ლეკთაგან დატყვევების სავარაუდო თარიღია 1728 წლის ივლისის პირველი ნახევარი².

¹ კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. II, თბ., 1981, გვ. 639.

² აღ. ბარამიძე, დავით გურამიშვილი დაღესტანში, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. IV, თბ., 1964, გვ. 188-195

როგორ მოიტაცეს დავით გურამიშვილი, ამის შესახებ ამჟამად სხვა თვალსაზრისია წარმოდგენილი ქართული ლიტერატურის ისტორიის მეორე ტომში, რომელიც ავტორთა კოლექტივის ნაშრომია. დავით გურამიშვილზე გამოკვლევა ეკუთვნის პოეტ-აკადემიკოს – გიორგი ლეონიძეს.

მას მიაჩნია, რომ დავით გურამიშვილი მარტო არ მოუტაცნიათ ლექებს დავითთან ერთად დაუტყვევებით მისი ბიძაშვილი მერაბ გურამიშვილი და ცოლის ძმა გარაყანიძე.

ამ თვალდაზრისის წამოყენების უფლებას, მკვლევარის აზრით, იძლევა ის გარემოება, რომ, როგორც დავით გურამიშვილი აღნიშნავს, ის იმ დღეს ყანაში ჩასულა ორი კაცი. აი, სწორედ ამ ორ კაცთან ერთად უნდა იყოს ის მოტაცებული. ვინ უნდა ყოფილიყვნენ ეს კაცები, თუ არა მისი ან მისი მოყვრების – გარაყანიძეების ახლობლები? ამასთანავე დასტურდება, რომ, როცა დავით გურამიშვილი მოსკოვში ჩავიდა – ეს არის 1729 წელი, სწორედ იმ დროს ჩანს მოსკოვში ჩასული მერაბ გურამიშვილიც, ე. ი. იმ ორი კაციდან, რომელიც დავითთან ერთად მოიტაცეს, ერთი მერაბ გურამიშვილი უნდა იყოს, მეორე კი იქნებოდა დავითის ცოლისძმა – გარაყანიძე.

მოვუსმინოთ თვით მკვლევარს: „ჩვენში მიღებულია აზრი, რომ ლექებმა პოეტი მარტოდმარტო დაატყვევეს. მაგრამ მისი პოემის მიხედვით, ამ საბედისწერო დღეს მამითადის მოსამზადებლად დავითი ორი კაცით წასულა.

დილაზე ავდექ წინასწარ
წაველ კ ა ც ი თ ა ო რ ი თ ა
ჩვენ თურმე გვნახეს, მ ო გ ვ მ ა რ თ ე ს,
ლექთა ირტოზის გორითა,
ჩვენ ახლოს წყარო დიოდა,
მასთან ტყე იყო ხშირადო,
იქ მ ო გ ვ ე პ ა რ ნ ე ნ დ ა გ ვ ი ს ხ დ ე ნ
თხუთმეტი კაცი მზირადო.

ამრიგად, ლექსში პოეტი მარტო თავის თავზე არ ლაპარაკობს. აქედან აშკარაა, რომ დატყვევების მომენტში დავითი მარტო არ იყო, რომ დავითთან ერთად იმ წყაროსთან მასთან კიდევ ორი კაცი ყოფილა.

მაშადამე, თხუთმეტი ლეკი თავს დასხმია სამ კაცს და, ცხადია, დავითთან ის ორი კაციც ვერ გადაურჩებოდა ტყვეობას. ახლა საკითხავია, ვინ იყვნენ ის ორნი? ეჭვი არაა, დავითის, ანუ დავითის მოყვრის ახლობელი ადამიანები, შეიძლება ოჯახის წევრებიც. ვვიქრობთ, მისი მოყვარე, ან ცოლისძმა, რომლის შესახებაც ამბობს პოეტი:

„აწ ნუ გამყარე კაი მოყვარე,

მისთვის მწუხარე აწ გამახარე“.

ისიც შესაძლოა, რომ ამ „ორში“ თვით გურამიანთ ოჯახის რომელიმე წევრიც იგულისხმება. ყოველ შემთხვევაში, საცნაურია, რომ დავითის ბიძაშვილი (და არა ბიძა, როგორც დღემდე აღიარებულია), მერაბ გურამიშვილი მოსკოვში ჩასულა სწორედ დავითის რუსეთში ჩასვლის ხანს, სახელდობრ, 1729 წელს. ხომ არ იყო მერაბ გურამიშვილი ერთ-ერთი იმ „ორი კაციდან“, რომელნიც ლამისყანის წყაროსთან დაატყვევეს პოეტთან ერთად?

თუ ეს ასეა, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ დავითთან ერთად ლამისყანაში გახიზნულან გურამიანთ ოჯახის სხვა წევრებიც და მათ შორის მერაბ გურამიშვილიც.

ამრიგად, შესაძლებელია, რომ დავითთან ერთად დაატყვევეს მისი ბიძაშვილი მერაბ გურამიშვილი და მისი ცოლისძმა, „მოყვარე“ – გარაყანიძე, თვით წევრი იმ ოჯახისა, რომელსაც მამითადი ჰყოლია მოწვეული.“¹

ეს თვალსაზრისი, ჩვენი აზრით, მოკლებულია დამა-

¹ ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1966, გვ. 554–555.

ჯერებლობას. გაკვირვებას იწვევს, ჯერ ერთი, ის, რომ დავით გურამიშვილი, რომელიც საკმაოდ დეტალურად აგვიწერს თავისი დატყვევებისა და შემდეგ ლეკებისაგან გაქცევის ამბავს, ყოველ შემთხვევაში, მნიშვნელოვანს არაფერს ტოვებს, საგანგებოდ არ აღნიშნავს იმას, რომ იგი ბიძაშვილთან და ცოლისძმასთან ერთად მოიტაცეს.

მეორე ის რომ მკვლევარი განსაკუთრებით უსვამს ხაზს იმ სიტყვებს, სადაც დავითი მრავლობით რიცხვში ლაპარაკობს: „ჩვენ თურმე გვნახეს, მოგვმართეს“, „მოგვეპარნენ“, „დაგვისხდნენ“. მაგრამ ყურადღების გარეშე ტოვებს იმ გარემოებას, რომ დავითი ამ სიტყვების შემდეგ თხრობას აგრძელებს მხოლოდ ერთ რიცხვში. ის მხოლოდ თავის თავზე ლაპარაკობს. დავითი ორ კაცთან ერთად კი ჩავიდა ყანაში, მაგრამ როგორც შემდეგ მისი თხრობიდან ჩანს, იგი რამდენიმე წუთით განმარტოვდა, თოფი და ხმალი აიხსნა და მუხის ძირას მიაყუდა, პირის დასაბანად მივიდა იმ წყაროსთან, სადაც სწორედ ის ლეკები იყვნენ ჩასაფრებულიები. სწორედ ამ დროს სტაცეს მას ხელი:

დავითი ასე ყვება:

„მუნ ახლოს წყარო დიოდა, მასთან ტყე იყო ხშირადო,
იქ მოგვეპარნენ, დაგვისხდნენ, თხუტმეტი კაცი მზირადო,
ავისხენ თოფი და ხმალი, მივეყუდე მუხის ძირადო,
იმ წყალზე პირის საბანად მე მიველ თავის ჭირადო,
შემიპყრეს, წამომიყვანეს, ხელ-ფეხს მომიღვეს გენია“

და ა.შ.

მაშასადამე, იმ წუთიდან, როცა დავითი წყაროზე ჩავიდა, იგი მარტოა. მის თხრობაში აღარ ჩანს ის ორი კაცი. ასევე მარტო ზის იგი ხაროში, მარტო იპარება. დავითი ამას საგანგებოდ აღნიშნავს კიდევ, რომ მარტო იყო ტყვეობაში:

„მარტო ვიყავ, არვინ მყავდა მე ღვთის მეტი სხვა პატრონი,

არცა მაქვნდა საიმედოდ საჭურველი სამხედრონი,
ღმერთს მივენდევ, მან ისმინა იგი ჩემი სავედრონი,
ხელმეორედ გავიპარე რაკი ვპოვე ჟამი, დრონი“.

შემდეგ დავითი მარტო მიიკვლევს გზას რუსეთისაკენ
და ა.შ.

დავუშვათ, რომ როგორც დაიწყო, დავითი ასევე ბო-
ლომდე აგრძელებდეს თხრობას მრავლობით რიცხვში. აღ-
ნიშნავდეს, რომ ისინი სამივენი ერთად ჩავიდნენ წყაროზე,
სამივე ერთად შეიპყრეს და წაიყვანეს დაღესტანში, შემდეგ
მათ კოლექტიური გაპარვა მოახერხეს და სხვა.

შესაძლებელი იქნება თუ არა მაშინ, რომ იმ „ორ კაც-
ში“ ჩვენ დავითის ბიძაშვილი მერაბ გურამიშვილი და
ცოლისძმა გარაყანიძე ვიგულისხმოთ. ფვიქრობთ, არა. ეს
ეწინააღმდეგება დიდგვაროვან პირთა მოხსენიების წესს და
რიგს, რომელიც არსებობდა ფეოდალური ხანის საქართვე-
ლოში.

სიტყვით „კაცით“ ყოველგვარი განსამარტავი სიტყვის
გარეშე, თავადიშვილები, მებატონეები მოიხსენიებდნენ
ხოლმე მხოლოდ თავიანთ ყმებს, მსახურებს, ქვეშევრ-
დომებს. ამას გვიმტკიცებს როგორც ლიტერატურული, ისე
ისტორიული წყაროები.

სიტყვა „კაცი“ ქართულ ენაში, ზოგადად „კაცის“, ე. ი.
„ადამიანის“ გარდა გარკვეულ კონტექსტებში სხვადასხვა
მნიშვნელობას იძენს და იძენდა, იღ. აბუსალაძის „ძველი
ქართული ენის ლექსიკონში“ აღნიშნულია მისი შემდეგი
მნიშვნელობები: „ქმარი“, „მამაკაცი“, „სული“. სამწუხაროდ,
ლექსიკონებში აღნიშნული არ არის ის მნიშვნელობა, რო-
მელიც, როგორც ზევით ვთქვით, ამ სიტყვას ეძლევა დიდგ-
ვაროვანთა მიერ მისი ხმარებისას.

როდესაც მებატონე, ან, საერთოდ, დიდი თანამდებო-
ბის პირი, ახსენებს თავის კაცს, ეს სიტყვა აუცილებლად
აღნიშნავს მის ქვეშევრდომს, მსახურს, ყმას. ამ შემთხ-

ვევაში სიტყვა „კაცი“ დგება ისეთსავე რიგში, როგორც არის „ბიჭი“, „გოგო“. მაგრამ „ბიჭები“ და „გოგოები“ თუ მხოლოდ ახალგაზრდა შინაყმებს, შინამოსამსახურებს აღნიშნავდნენ, „კაცი“ უფრო ზოგადი ტერმინი იყო, საერთოდ, ყმის, ქვეშევრდომის აღსანიშნავად. „კაცი“ შინაყმაც შეიძლებოდა ყოფილიყო და არაშინაყმაც, ე. ი. ცალკე მცხოვრები ყმაც.

ჩვენ მოგვეპოვება უამრავი ისტორიული საბუთი – ყმა - მამულზე დავის, საჩივრის წიგნები, რომლებიდანაც ნათლად ჩანს, რომ „კაცი“ ყმის სინონიმი იყო.

ბეჟან რატიშვილი ჩივის ერეკლე მეფესთან (Hd 6556): „მერე ჩემს განაყოფს ჩემი ყ მ ა – მამული ისევ იმას უჭირავს. ორი ოქმი გიბოძებია და იასეული მოვიდა, ხელი ამიძართა და მომაბარა. ჩემმა განაყოფმა ისევ წამართო ჩემი კაცები – ტატუნაშვილები“.

აქ აშკარად „კაცები“ ყმების სინონიმებად არის ნახმარი. არზას ერეკლე მეფის ოქმი აქვს: „ქ. ბატონო სახლთხუცესო მუხრანის ბატონო იოანე. ეს რატიშვილი ბეჟან რომ ამ არზით რომ თავის განაყოფს ასე უჩივის მუდამ, ამათი სამართალი თქვენთვის დაგვიდვია... კაცებზე ჩივის... გაურიგე სამართლიანის საქმით“.

ამ ოქმიდან ჩანს, რომ ერეკლე მეფეც „კაცებს“ „ყმების სინონიმად ხმარობს.

კონსტანტინე ციციშვილი ჩივის მეფის წინაშე: „ჩვენი ბარათით ნარგები ერთი კომლი კაცი აგვეყარა და ბრეთს გახლავთ“... (Hd 14283).

აქ საინტერესოა გამოთქმა „ერთი კომლი კაცი“. კომლში არ შეიძლება მხოლოდ მამაკაცები ვიგულისხმოთ. ე. ი. აქ „ერთი კომლი კაცი“ პირდაპირ ერთი კომლი ყმის მნშვნელობით არის ნახმარი.

იულონ ბატონიშვილი ბრძანებს: „ქ. გორის მამასახლისო, კალაურელთ ს ა ხ ა ს ო კ ა ც თ გ დღისა თექვსმეტი

ლიტრა ფქვილი მიეც“ (Hd 12603).

აქ საინტერესოა გამოთქმა „სახასო კაცთ“ – ე. ი. სახასო გლეხებს.

იგივე იულონ ბატონიშვილი გორის მამასახლისს სხვა ბრძანებაში სწერს, რომ „სავაჩნაძეო კაცთ სამოცი ლიტრა ფქვილი მიეციო“. (Hd 12972). „სავაჩნაძეო კაცთ“ აქ ვაჩნძიანთ ყმებს ნიშნავს.

საინტერესოა, რომ ერთ ასეთსავე ბრძანებაში იულონ ბატონიშვილს „ბიჭიც“ ჰყავს ნახსენები: „ერთი ბიჭი რჩება, ამასაც სამ დღეს ყური მიუგდე“, – უბრძანებს იგი გორის მამასახლისს“ (Hd 12930).

დასავლეთ საქართველოს საბუთი (Hd 11272, 1793წ.) – ჯვარის მამა ათანასი კაცების მიბარების წიგნს აძლევს ნაკაშიძეებს: „ასე რომე ჩვენი კაცნი – ხომერიკენი – თავისის მამულისაგან უსჯულოს მტრისაგან გადმოვარდნილნი, თქვენს მამულშიდ დაგვეყენებიათ და გერჩინათ. მერმე მოვედით თქვენს სახლშიდ და ჩვენც ვსცანით, შეგენახათ და მოგველოთ. ჩვენც მაღლიერი და მლოცველნი შევიქმენით. ვინც ამ თქვენ ჩვენგან მობარებულს კ ა ც ე ბ ს რამე საქმე გაუჭირვოს და უსამართლოს ან გაყიდვით, ან სიკვდილით, ან წართმევით, შეჩვენებულ იყოს ყოვლად წმიდისა სულისაგან“... და წყევლას აგრძელებს.

ამრიგად, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში მიღებული იყო ყმის მაგიერ სიტყვა „კაცის“ ხმარება.

„კაცის“, ზოგადად, ქვეშევრდომის მნიშვნელობით ხმარება ხშირად გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“: „მოსახნეს კაცნი, გაგზავნეს ოთხთავე ცისა კიდეთა“ (115,1); „კაცნი იხმნა მასვე წამსა“ (639,1) და სხვ.

„კაცის“ ასეთი ლექსიკური მნიშვნელობის შედეგად შეიქმნა, ალბათ, ქართულ ენაში კომპოზიტები: გლეხკაცი, გლეხკაცობა, (შდრ. ყმა გლეხი, ყმაგლეხობა).

ვფიქრობთ, უფლება გვაქვს დაბეჯითებით ვთქვათ, რომ ის „ორი კაცი“, რომლებზეც ლაპარაკობს დავით გურამიშვილი, უნდა იყვნენ ყმები. ისინი რომ დავითის თანმხლები და არა თანასწორუფლებიანი პირები არიან, ამაზე მიგვანიშნებს სიტყვის მოქმედებითი ბრუნვის ფორმაც: „კაცი“ – „წაველ კაცითა ორითა“ და არა ორ კაცთან ერთად.

დავითი ამ „კაცების“ წაყვანის მიზანსაც აცხადებს: მან ისინი ყანაში წაიყვანა მუშებისათვის სადილის მოსამზადებლად:

„დილაზე ადექ, წინაწინ წაველ კაცითა ორითა,
ვსთქვი, მუშას სადილს ვუმზადებთ
ძროხით, ცხვრითა და ღორითა“.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი სტრიქონი გამოტოვებულია გ. ლეონიძის მიერ მოხმობილ ტექსტში.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე ჩვენი დასკვნები ასეთია:

1. დავით გურამიშვილის პოემის შინაარსი გამორიცხავს იმას, რომ დავითთან ერთად სხვა პირებიც მოიტაცეს.

2. სიტყვა „კაცის“ ლექსიკური მნიშვნელობა იმგვარ კონტექსტში, როგორშიც იგი პოემაშია ნახმარი, გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ იმ ორ პირში, რომლებიც ყანაში წაყვნენ დავითს, თავადიშვილები (პოეტის ბიძაშვილი და ცოლისძმა) ვიგულისხმეთ.

მაშასადამე, დავით გურამიშვილის მოტაცების ეპიზოდი ასე უნდა წარმოვიდგინოთ: ლამისყანაში გახიზნული პოეტი მოყვრების, გარაყანიძეთა, ყანის მკას ხელმძღვანელობდა:

„მუნ მოყვრის მუშას თავს ვადექ, მკას უპირებლით ყანასა“;

დავითი დილაადრიან ადგა და წაიყვანა ორი კაცი, ორი ყმა, მუშებისათვის სადილის მოსამზადებლად. ეს სამი კაცი – დავითი და მისი ყმები – შორიდან, ირტოხის გორიდან, შეამჩნიეს ლეკებმა და მათკენ გამოემართნენ. ისინი ჩასა-

ფრდნენ ტყის პირას, წყაროსთან.

ყანაში ჩასულ დავითსა და მის კაცებს მუშები არ დახვდნენ:

„არ შეყრილიყო ჯერ მუშა, იყვნენ მოსასვლელ შორითა!“

დავითმა იარაღი აიხსნა, მუხის ძირას მიაყუდა და წყაროზე პირის დასაბანად ჩავიდა, ამრიგად, იგი უნებურად მიუახლოვდა ჩასაფრებულ ლეკებს. უიარაღო დავითი ადვილად შეიპყრეს ლეკებმა.

შეექძლოთ, თუ არა, ლეკებს ერთდროული თავდასხმა დავითსა და მის კაცებზე. კაცებამდე ისინი ტყიდან გამოსვლის გარეშე ვერ მიდიოდნენ. კაცები მათ დაინახავდნენ და, ალბათ, გაიქცეოდნენ. ამავე დროს, ეს კაცები დავითსავით უიარაღო არ იქნებოდნენ. ლეკებმა უფრო ძვირფასი ნადავლი იგდეს ხელთ – თავადიშვილი. ამიტომ სწრაფად გაიტაცეს იგი. რა მოიმოქმედეს იმ ორმა კაცმა დავითის მოტაცების შემდეგ – ეს დავით გურამიშვილმა არ იცის. შგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მათ განგაში ატეხეს და მდევარიც დაედევნა ლეკებს, მაგრამ უშედეგოდ.

რაც შეეხება მერაბ გურამიშვილს, მისი რუსეთში ჩასვლის მიზეზად ლეკებისაგან მოტაცება რომ მივიჩნიოთ, ეს, ვფიქრობთ, ყველაზე ნაკლებ სავარაუდოა.

ლეკებისაგან გაქცევა რომ ადვილი არ იყო, ეს ჩანს დავით გურამიშვილის თავგადასავლიდან. იმ ხანებში მრავალი ქართველი ჩადიოდა რუსეთში, ან, პირიქით, მოდიოდა იქიდან. მერაბ გურამიშვილის რუსეთში ჩასვლის წელი, უბრალოდ დაემთხვა დავით გურამიშვილის ჩასვლის წელს.

მაცნე №1 1984 წ.

ვეფხისტყაოსნის განმარტებათა რედაქციაში S 3677 ხელნაწერის მიხედვით

1. თეიმურაზ ბაგრატიონის ნაშრომის „განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა“ დავით ჩუბინაშვილისეული ნუსხა

თეიმურაზ ბაგრატიონის ნაშრომი „განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა“ მიჩნეულია, რომ მოღწეულია ერთადერთი, უნიკალური ხელნაწერით. ეს არის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის S 3716. ამ ხელნაწერის მიხედვით გამოქვეყნებულია „განმარტების“ ტექსტი¹. ხელნაწერი 1843 წელს არის გადაწერილი სხვა პირის მიერ, მაგრამ მას მაინც ავტოგრაფის მნიშვნელობა აქვს მინიჭებული, რადგან, როგორც ექვ. თაყაიშვილი აღნიშნავს, იგი გადაწერილია თეიმურაზის „თვალმიდევნებით“. ხელნაწერში მოიპოვება თეიმურაზის ხელით შესრულებული ჩამატებანი და ჩასწორებანი. გარდა ამისა, თეიმურაზის ხელით შესრულებულად არის მიჩნეული ხელნაწერის თავფურცელიც, რომელზეც მოთავსებულია ნაშრომის ვრცელი სათაური². ამ თავფურცლის ფაქსიმილე უძღვის გამოქვეყნებულ ნაშრომს პირველ გვერდად.

სამწუხაროდ, დღემდე ყურადღების გარეშეა დატოვებული ამ ნაშრომის ადრინდელი რედაქცია, რომელიც მოიპოვება კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერში – S 3677 (145r – 197r). ტექსტი გადაწერილია დავით ჩუბინაშვილის მიერ.

¹ თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება პოემა „ვეფხისტყაოსნისა“, გაიოზ იმედაშვილის რედაქციით, გამოკვლევითა და საძიებლით, თბ., 1960.

² იქვე, გვ. 032.

იმის მთავარ მიზეზად, რომ ეს რედაქცია მეცნიერთა ყურადღების გარეშეა დარჩენილი, უნდა მივიჩნიოთ ის არასწორი ინფორმაცია, რომელიც მოცემულია მის შესახებ აღწერილობებში. ექვ. თაყაიშვილის აზრით, იგი წარმოადგენს დავით ჩუბინაშვილის მიერ თეიმურაზ ბაგრატიონის „განმარტებიდან“ ამოკრეფილ მასალას. – „Выборка из комментариев в „Вепхисткаосани“ царевича Теймураза“. ¹ ამ ტექსტის წინა ფურცლებზე ხელნაწერში მოთავსებულია ლექსიკონისათვის ამოკრეფილი მასალები „გუჯრებიდან“, „გორგიჯანიძის ისტორიიდან“ და სხვ. უნდა ვიგულისხმოდ, რომ ექვ. თაყაიშვილს ჩვენთვის საინტერესო ტექსტიც სალექსიკონო საჭიროებისათვის ამოკრეფილ მასალად მიუჩნევია.

ახალ აღწერილობაში ტექსტის დასათავსებაში მდგომარეობა გაუარესებულია იმით, რომ მის ავტორად კვადრატულ ფრჩხილებში დასახელებულია დავით ჩუბინაშვილი, ხოლო ამ ტექსტს რომ რაიმე კავშირი აქვს თეიმურაზ ბაგრატიონის ნაშრომთან, ეს შენიშვნაშიც არ არის მითითებული. ამრიგად, ახალ აღწერილობაში ამ ნაშრომთან თეიმურაზ ბაგრატიონის სახელი სრულიად დაკარგულია ².

ტექსტის წაკითხვისას და მისი ბეჭდურ რედაქციასთან შედარებისას ნათელი ხდება, რომ ის არ შეიძლება მივიჩნიოთ „ამოკრეფილ მასალად“ და არც რაიმე შემოკლებასთან გვაქვს საქმე. ტექსტი არის თეიმურაზ ბაგრატიონის ნაშრომის ადრინდელი რედაქცია. მას აქვს აღნიშნული ნაშრომის სრული სათაური. თვით ტექსტის დიდი ნაწილი პირწმინდად, ან მცირე ვარიანტული სხვაობით მისდევს ბეჭდურ რედაქციას. განსხვავება გვხვდება განმარტებათა

¹ ე. თაყაიშვილი. Описание..., ტ. II, გვ. 106.

² ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S კოლექცია, ტ. V, თბ., 1967, გვ. 159

დაახლოებით ერთ მესამედ ნაწილში და ესეც ისეთი სხვაობებია, რასაც იწვევს ავტორის მუშაობა ტექსტზე მისი სრულყოფის მიზნით. 1843 წლის რედაქცია ამ ტექსტთან შედარებით გაუმჯობესებულია სტილისტურად, გამდიდრებულია ცოდნით, შევსებულია ახალი სიტყვების განმარტებებით. ამის შედეგად 1843 წლის რედაქცია უფრო ვრცელია და სრული, ე. ი. ჩუბინაშვილის ნუსხა კი არ არის ამ რედაქციის შემოკლება, ან იქიდან ამოკრეფილი მასალა, არამედ, პირიქით, 1843 წლის რედაქცია არის გავრცობილ-გადამუშავებული ტექსტი იმ რედაქციისა, რომელიც ჩუბინაშვილს აქვს გადაწერილი.

ქვევით ჩვენ ვაჩვენებთ სხვაობათა სახეობებს ამ ორ ნუსხათა შორის, რაც მკითხველს შეუქმნის ზოგად შთაბეჭდილებას, თუ რა ცვლილება განიცადა „განმარტების“ ტექსტმა დამუშავების პროცესში. ამასთანავე, ეს ნათლად წარმოგვიჩენს ჩუბინაშვილისეული ნუსხის რაობას.

ტექსტების შედარებისას S 3677 ხელნაწერში ჩუბინაშვილის მიერ გადაწერილ ტექსტს ვუწოდებთ A რედაქციას, 1843 წლის ნუსხაში წარმოდგენილ ტექსტს კი, რომელიც საფუძვლად დაედო ბეჭდურ გამოცემას – B რედაქციას.

1. დავით ჩუბინაშვილს უცვლელად, ერთგულად აქვს გადაწერილი ვრცელი და მოკლე განმარტებები, მათ შორის ისეთი სიტყვებისაც, რომლებიც ტექსტში მრავალჯერ გვხვდება და ასევე მრავალჯერ არის განმარტებული. ასეთი სიტყვებია, მაგ., მოყმე, მიჯნური, სრა, დარბაზი და სხვ. ეს სიტყვები B რედაქციაში ზოგჯერ აღარ არის განმარტებული და მიწერილი აქვს: „ეს ნათლად ისმის“, „ეს ზემოთაც განგვიმარტებია“.

ჩუბინაშვილის ნუსხაში ამ სიტყვათა განმარტებანი, უნდა ვიფიქროთ, მომდინარეობს ნაშრომის ადრინდელი რედაქციიდან.

2. ამავე დროს, ჩუბინაშვილის ნუსხაში არ არის

განმარტებული ისეთი სიტყვები, რომლებიც არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყველა მკითველისათვის „ნათლად იხმის“. მაგ.: მოყივნება (14), სადარო (40), დაყბედნა (63), გამოძივარდა (64), მოვანება (107), დაასახე (156), გაუმწარავი (308), სიმგულვანე (412), მუტრიბნი (469), ნიშატი (674) და სხვ. მრავალი. ეს სიტყვები რომ დედანში ყოფილიყო, დავით ჩუნიბაშვილი მათ არ გამოტოვებდა. უნდა ვიფიქროთ, რომ თეიმურაზ ბაგრატიონმა ამ სიტყვათა განმარტებები ნაშრომში შემდეგ შეიტანა.

3. A და B რედაქციათა განმარტებანი ერთმანეთისაგან ხშირად სხვაობენ მხოლოდ სიტყვათა თანმიმდევრობით:

A	B
46. წინწილი – გუსლი არის, ხოლო წინწილა ჩონგურსავით საკრავი, მე ესრე ვჰვონებ.	46. წინწილი – გუსლი არის და წინწილა, მე ესრე ვჰვონებ, რომ ჩონგურსავით საკრავი იყოს.
58. ჩაუქი... ქართული ღექსია, სპარსულში ბევრი არის მიღებული ქართული ღექსი.	58. ჩაუქი... ქართულია. ქართული ღექსები სპარსულში ბევრი არის მიღებული.
73. რიდე – შალი, თავსახვევი, გინა ფოში. ქალნი თავზედ მოიხვევენ ჩაღმად, კაცნი ქუდთა ზედა.	73. რიდე – შალი, თავსახვევი, გინა ფოში, ესე იგი ჩაღმა. ქალნი თავზედ მოიხვევენ, ხოლო კაცნი ქუდზედ.
119. მუშაით – საბელზე მოთამაშე და ძირსაც.	119. მუშაით – ძირსაც მოთამაშე და საბელზედაც.

ამ ხასიათის ცვლილებები გვაქვს აგრეთვე განმარტებებში: „თამაშობისა ორისა“ (471), „ნასამალი“ (698), „საქულბაგე“ (605) და სხვ.

4. B რედაქციაში სიტყვები განმარტებულია იმ თანმიმდევრობით, როგორც სტროფშია მოცემული. A რედაქციაში ეს

თანმიმდევრობა ზოგჯერ დარღვეულია. მაგ., მე-3 სტროფში ჯერ „ხოტბა“ არის განმარტებული, შემდეგ „შიმშიერი“. 623-ე სტროფში „გულსა უხებს“ – ამ გამოთქმის განმარტება სიტყვების – „გაგვიცალებს“, „შეგემეცენ“-ის ზეითაა და ა.შ.

გადაწერისას ჩუბინაშიელი არ არეგდა ამ თანმიმდევრობას. უნდა ვიფიქროთ, რომ თეიმურაზ ბაგრატიონმა ეს თანმიმდევრობა შემდეგში გაასწორა.

5. A რედაქციის განმარტებებში ზოგჯერ ვხვდებით ისეთ სიტყვებს ან გამოთქმებს, რომლებიც B რედაქციის შესაბამის განმარტებებში გამოყენებული არ არის. უნდა ვიფიქროთ, რომ სხვაობა გამოწვეულია თეიმურაზ ბაგრატიონის მიერ ამ განმარტებათა გადაშუშავებით.

A	B
15. ამადარი – ამადარ-თქმალობით პიტიკოსობას აქებს და აღამაღლებს.	15. ამადარი – ამადარ-თქმაობითა ამით პიტიკოსობას აქებს და უმაღლეს ხარისხში აღჰყავს.
21. ლარი – დაგრეხილი ნაწლევეთაგან მავთულ სახედ ქმნილი.	21. ლარი – დაგრეხილი ძროხისა ანუ ცხვრის ნაწლევეთაგან მსხვილს ძაფსავით გაკეთებული, რომელ არს სტრუნა.
41. ბროლ-ფიქალი – ფიცარი, ბროლისა. მელექსენი მკერდს უწოდებენ.	41. ბროლ-ფიქალი – ბროლ-ფიქალს მელექსენი მშვენიერის მკერდს სახელსდებენ.
44. საჯდომი – დასასხდომელი, ტახტი, დივანი და სხვ.	44. საჯდომი – დასასხდომელი, ტახტი სამეფო და ესევეითარნი.
46. ბუკი – ქართ. საყვირი დიდი, წინწილა.	46. ბუკი – საყვირი დიდი (ქართული ლექსია).

56. ნაუფლისწულევი – რაც უფლისწულს ეკუთვნოდა. უფლისწული მეფეთა შვილია, ცესარეიჩი.

57. დაღრეჯა – შეწუხებულის სახის ჩვენება.

90. სხვაგან ქრის მისი გონება – აქა ქრის შეცდომაა, რომელთამე წიგნებში იპოვება. ამიტომ რომ გონების ქროლა გონების სიმსუბუქებაა.

316. არა გაოდეს – არა ზრუნვა აქვნდა.

537. მიძღვნა ესე ჩემი ცხენი – მომცა ცხენიო.

746. გაუცნობდა – მრისხანებით ცნობა მიეღო, გაგიჟდა.

56. ნაუფლისწულევი – უფლისწული ნიშნავს სამეფოს ტახტის მემკვიდრეს, მეფის შვილსა. ნაუფლისწულევი – მემკვიდრეთა საუნჯე.

57. დაღრეჯილობა – მოწყენა რომ პირსახეზედ გამოეხატება.

90. ზოგთაგან გამოგონია ვეფხისტყაოსნის წაკითხვაში: სხვაგან ქრის მისი გონება და ეს შეცდომა არის. ქრის არ უნდა, რადგანაც გონების ქროლა საგიობელ სიტყვად გამოვა. რადგან გონების ქროლის თქმა გონების სიმსუბუქეს ნიშნავს.

316. არა გაოდის – არა ენადღელებოდა რა, არად მიაჩნდა. არა უმძიძა, არად რაცხდა.

537. მიძღვნა ესე ჩემი ცხენი – ესე ნათლად ისმის

746. გაუცნობდა – მრისხანებით ცნობა-მიღებულსავით შეიქმნა.

6. განმარტებათა შორის ზოგჯერ არა მარტო ლექსიკური სხვაობა შეინიშნება, არამედ აზრთა სხვადასხვაობაც.

A

120. ზანგი – აზიისა და ინდოეთის რომელთამე შავთა სახელედების.

B

120. ზანგი – აფრიკისა და ინდოეთის რომელთამე შავთა სახელედების.

236. ზენარობა – ზეციერის ნიშითა საფიცარი.

398. აბჯრისა ხვარაზმულობა – ხვარაზმი ხორასანია და მუნებური სამამაცო საჭურველი ქებული არის. ხივის ქვეყანა.

3. დაწვი ბალახში – ლოყის მშვენიერს სიწითლეს ნიშნავს.

236. ზენარი – უზენაესი და საფიცარი ანუ უზესთაეისის არსის ფიცი.

398. აბჯრისა ხუარაზმულობა – ხუარაზმი ოზბეგთა ქვეყანას ეწოდების და მუნებური სამამაცო საჭურველი ქებული არის, ხუარაზმი ხივის ქვეყანასაცა ეწოდება, ხორასნის მახლობელი ქვეყანანი არიან.

3. დაწვი ბალახში – მშვენიერის ლოყა წითელი.

7. B რედაქციაში განმარტებები უფრო მდიდარია სინონიმებით. ვფიქრობთ, ჩუბინაშვილი არ გამოტოვებდა სინონიმურ სიტყვებს, ისინი რომ იმ დედანშიც ყოფილიყო, საიდანაც იწერდა. ჩუბინაშვილი, ლექსიკონისათვის მასალების შეგროვებით დაინტერესებული პირი, კიდევ უფრო არ დატოვებდა გადაუწერლად სიტყვების ომონიმურ მნიშვნელობებს. მაგ.:

A

342. დარია – მძლე ექმნა, მოერივა, არივა.

B

342. დარია – მძლე ექმნა, მოერივა, არივა – შესასწორებელია. დარია – კეთილი ტაროსი არის.

ასეთი ომონიმური მნიშვნელობები 1843 წლის ხელნაწერში თეიმურაზ ბაგრატიონს ხშირად თავისი ხელით აქვს ჩამატებული. უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი გადამწერს კი არ გამორჩა, არამედ თეიმურაზ ბაგრატიონმა მონიღომა ნაშრომის შევსება მისი „გადათეთრების“ შემდეგაც. თეიმურაზ ბაგრატიონს თავისი ხელით ჩაუმატებია კიდევ სხვა მრავა-

ლი სიტყვის განმარტება. არცერთ ამ ჩამატებას, თეიმურაზის ხელით შეტანილს, ჩუბინაშვილის ნუსხა არ იცნობს (იხ. განმარტებები 47, 72, 73, 83, 109, 136, 156, 213, 216, 263 და სხვ. სტროფებისა).

8. A რედაქციაში განმარტებები ზოგჯერ უფრო მოკლეა. B რედაქციის განმარტებები ასეთ შემთხვევაში უფრო მეტი ცოდნით არის აღჭურვილი.

ასეთია, მაგ., განმარტებები რუსთველისა და დიონისის ვინაობის შესახებ (7, 175). მოგიყვანთ განსხვავებულ ადგილებს რუსთველის განმარტებიდან:

A

7. რუსთველი – ...შოთთა რუსთაველი მოღარეთ ხუცესი იყო დიდებულის მეფის თამარისა და დიდად ბრძენი. რუსთველი ამისთვის ეწოდება, რუსთავის ქალაქსა იყო შობილი და მუნებური.

რუსთავის ქალაქი არის ბოსტან ქალაქი... ტფილისი-დამ ექვსი ან ექვსი და ნახევარი მილი იქმნება ნემენცური.

B

7. რუსთველი – ...შოთთა რუსთაველი მეტურჭლეთ-უხუცესი ანუ მოღარეთუხუცესი (გინა მინისტრი ფინანსი) იყო დიდებულისა მეფის თამარისა და დიდად ბრძენი. რუსთველი ამისთვის ეწოდება.

რუსთავის ქალაქი ძველად სამთავრო ქალაქი იყო და რუსთაველი შოტა იმ ქალაქისა და გარემოსა მისისა მთავარი იყო და თვთცა მუნებური.

რუსთავის ქალაქი არის ბოსტან ქალაქი... ტფილისი-დამ ექვს ან ექვს ნახევარი მილი იქმნება ნემენცური (ანუ გერმანიული).

ასევე ცოდნით ნაკლებია სხვა მრავალი განმარტება:

A

39. დიახ, დია – დამტკიცებითი ხმა არის, მართლად, სწორად, ესრეთ, ჭეშმარიტად.

102. სევდა – ქართულად კაეშანი, სპარს. სოვდა კაეშანი.

136. სადა – ინდოურად დიდებულის.

680. სტავრა – ფარჩა, ოქროს ძაფითა ნაქსოვი. სტავრომენიული ფარჩა. სტავრომენიო – ქალაქი ანატოლიაში.

B

39. დიახ-დიახ, დია – დამტკიცებითი ხმა არის, მართლად ესრეთ არს. დია დიოს ნიშნავს.

102. სევდა – ჩვენებურად ქართულად კაეშანი არის, ანუ იპოხონდრია-სოვდა ვაჭრობათაც გამოითარგმნება და სურვილსაც ნიშნავს სპარსულად.

136. სადა – ...ინდაურად დიდებულად გამოითარგმნება. მაგალ., ინდოელნი იტყვიან სადა-სიფ; ესე იგი დიდებული. სიფ რომელიცა არს შივენ, ესე იგი ერთი ღმერთთაგანი ინდოელთა.

680. სტავრა – ფარჩა, ოქროს ძაფითა ნაქსოვი სრულიად. სტავრომენია ქალაქი იყო საბერძნეთისა. სტავრო ქმრის სახელი არის და მენია ცოლისა და მათ აღაშენეს ქალაქი იგი. იგინი იყვნეს მთავარნი ადგილთა მათ და საკვირველისა ჰელოფნებითა მენია აღმოიღებდა ოქროსა მიწით და ფარჩა იგი პირველად იქსოებოდა ქალაქსა მათსა. ქალაქი სტავრომენია ანატოლიის კერძო იყო.

9. გვაქვს პირუკუ შემთხვევები – A რედაქციაში განმარტებები უფრო ვრცელია B რედაქციასთან შედარებით, მაგ.:

A

3. ღაწვი ბალახში – ღოყის მშვენიერს სიწითლეს ნიშნავს, ხოლო თმა გიშერი შავსა და ეღვარესა თმასა მშვენიერსა.

15. საბადნარო – საწადლოტე, ბალი სპარს. წადლოტია.

657. მოღორება – მოტყუვება, მოცთუნება.

73. ...მაგრამ რუსთველი, როგორც ზემო განვჰმარტებთ, იმ აზრზე იტყვის.

B

3. ღაწვი ბალახში – მშვენიერის ღოყაწითელი. თმა გიშერი – შავი და ეღვარე.

15. საბადნარო – საწადლოტე.

657. მოღორება – მოცთუნება

73. ...მაგრამ რუსთველი იმ აზრზე იტყვის.

10. A რედაქციაში მოიპოვება ისეთი განმარტებანი, რომლებშიც დედნის ტექსტისეული სიტყვების არასწორი ამოკითხვის შედეგად აზრი დამახინჯებულად არის გადმოცემული, ან, საერთოდ, რაღაც უაზრობაა მოცემული. ეს მაგალითები აშკარად გვიმტკიცებენ, რომ დავით ჩუბინაშვილი ტექსტს ზოგჯერ გაუაზრებლად, მექანიკურად იწერდა და ამის გამო უშვებდა შეცდომებს. ვფიქრობთ, ეს სრულიად გამორიცხავს ტექსტთან მის შემოქმედებით დამოკიდებულებას. მაგ.:

A

119. ...მგოსანი – ევროპაში მომღერალთა და მიმოსობათა ე. ი. სათეატროს წარმოდგინების მოქმედებას ეწოდება.

B

119. ... მგოსანნი – ოპერაში მომღერალთა და მიმოსობათა, ესე იგი სათეატროსა წარმოდგინებისა მოქმედთა ეწოდების.

აქ სიტყვა „ოპერა“ დავით ჩუბინაშვილს გადაუწერია „ევროპად“, ხოლო სიტყვის „მოქმედთა“ ნაცვლად დაუწერია „მოქმედებას“. ამის შედეგად მივიღეთ უაზრო წინადადე-

ბა, რომ ევროპაში „სათეატრო წარმოდგენების მოქმედება“ და მომღერალი ერთსა და იმავეს ნიშნავს და ორივეს მგოსანი ეწოდება. B რედაქციის განმარტების აზრი ნათელია. მგოსანს ოპერის მომღერალს, ანუ ოპერაში სათეატრო წარმოდგენების „მოქმედს“ უწოდებენ.

A

325. ოქსიონი – მძიმედ ზარიანი ოქროთ ნაქსოვი ფარჩა, ბერძულად ყადი.

B

325. ოქსიონი – მძიმედ ზარიანი ოქროდ ნაქსოვი ფარჩა არს. ბერძულად ეწოდება ოქსინოს შადი. იგივე და მსგავსი მისი არს.

საიდან გაჩნდა რედაქციაში „ყადი“ სიტყვა „შადის“ მაგიერ? საფიქრებელია, რომ რედაქციის ავტოგრაფულ ნუსხაში თეიმურაზ ბაგრატიონს ამ სიტყვის პირველი ასო მთავრული შინით ჰქონდა დაწერილი და დავით ჩუბინაშვილმა იგი მხედრულ ყარად აღიქვა.

„გამოგვეგებნეს ლაშქარნი, ისხემდეს მისთვის ოტასა“ – ამ ტაეპში სიტყვა „ოტა“ ორივე რედაქციაში განმარტებულია ერთგვარად – როგორც წვრილი მტვერი. ტაეპის შინაარსი კი განსხვავებულად არის გადმოცემული.

A რედაქცია: „601... თუ მეფენი ლაშქრით ანუ ამისთანა განსაცდელიდამ, როგორც ფრიდონს შეემთხვივა, მობრუნდებოდეს და თავის სატახტო ქალაქს მოვიდოდეს, ხალხი გაეგებებოდა და ნასიარულევს ადგილიდამ მტვერს აიღებდნენ და თავზე გარდააყრიდნენ გულით მხიარულით ერთგულობისა მათისა“.

წარმოუდგენელია მეფისთვის თავზე მტვერის გადაყრა, რარიც მხიარულებასაც უნდა ჰქონდეს ადგილი.

B რედაქციაში ეს განმარტება ასე იკითხება: „...თუ მეფენი ლაშქრით ანუ ამისთანას განსაცდელიდამ, როგორც რომ ფრიდონს შეემთხვა, მობრუნდებოდნენ და თავის სა-

ტახტოსა ქალაქს მოვიდოდეს, ხალხი გაეგებებოდა და იმის ნასიარულევის ადგილიდამ მტკვერს აიღებდნენ და თავზე გადაიყრიდნენ. ეს იყო ნიშანი გულითა მსურვალითა ერდ-გულებისა მათისა“.

მაშასადამე, ხალხი თვითონ იყრიდა მტკვერს თავზე მე-ფის ნასიარულევი ადგილიდან და ეს, მართლაც, შეიძლე-ბოდა ყოფილიყო მსურვალე ერთგულების ნიშანი. დავით ჩუბინაშვილს შეცდომით აქვს ამოკითხული სიტყვები – „გარდაიყრიდნენ“ და „მსურვალითა“. მათ ნაცვლად უწერია – „გარდააყრიდნენ“ და „მხიარულითა“.

ნ16-ე სტროფში განმარტებულია სიტყვა – „ფისი“. A რე-დაქციაში ვკითხულობთ: „ფისი – смота. ფისისაგან შაქარ-საცა აკეთებენ“.

წარმოდგენელი რამ არის ფისისაგან შაქრის გაკეთება.

B რედაქციაში ვკითხულობთ: „შავნი მართ ვითა ფისანი – ფისი არის ხის ნივთიერება და ფრიად შავი – ამა ფისისა-გან ლაქსაცა აკეთებენ. ფისი რაც არის, ყოველს ქართველს კარგად ესმისთ“.

ამ განმარტების მიხედვით, უნდა ვივარაუდოთ, რომ თეიმურაზ ბაგრატიონს A რედაქციაში ჰქონდა: „ფისისაგან შავ ლაქსაც აკეთებენ“. შემდეგ ეს განმარტება გაავრცო. B რედაქციაში სიტყვა „შავი“ მან „ნივთიერებასთან“ იხმარა. ამიტომ „ლაქთან“ აღარ იყო მისი გამეორება საჭირო. ისედაც ცხადია, რომ შავი ნივთიერებისაგან მხოლოდ შავი ფერის ლაქი გაკეთდება. A რედაქციაში კი შავი ლაქის გვერდით იყო დაწერილი და შეიძლება მიჯრითაც. დავით ჩუბინაშვი-ლიმა „შავ ლაქსაცა“ ამოიკითხა „შაქარსაცა“ და სრულიად გაუაზრებლად ჩაწერა ეს სიტყვა განმარტებაში. მას რომ B რედაქციის განმარტება შეემოკლებინა, ე. ი. ეფიქრა იმაზე, უფრო ლაკონურად როგორ გამოეხატა აზრი, ასეთ შეცდო-მას არ დაუშვებდა.

ასევე შეცდომით აქვს დავით ჩუბინაშვილს გადაწერილი

სიტყვების – „შეგემეცენ“ და „მქისის“ განმარტებანი.

A

B

624. შეგემეცენ – გაგიცინა

624. შეგემეცენ – გაგიცან

625. არა სიტყვითა მქისითა
– მქისი არს სწორე

625. მქისი – არა სწორე

როგორც აღვნიშნეთ, ეს მაგალითები გამორიცხავენ დავით ჩუბინაშვილის შემოქმედებით დამოკიდებულებას „განმარტების“ ტექსტთან და გვიმტკიცებენ იმას, რომ იგი პირდაპირ, მექანიკურად იწერდა A რედაქციის ტექსტს.

დავით ჩუბინაშვილის მსგავსად შეცდომები დაუშვია 1843 წლის რედაქციის, ე. ი. B რედაქციის გადამწერსაც ¹. ამ შეცდომათა შედეგად განმარტებათა აზრი ზოგჯერ გაუგებარია. მათი ახსნა და შეცდომების გასწორება ხერხდება მხოლოდ A რედაქციის მიხედვით. ესეც კიდევ ერთი საბუთია იმისა, რომ B რედაქცია მომდინარეობს A რედაქციიდან და არა პირიქით.

B რედაქციაში სიტყვა „რუკა“ ასეა განმარტებული:

287. რუკა – ჩვენებური არის. ბრძანების წერილი. რუყა არაბულად ეწოდების. ბრძანების წერილიცა არის და მიწაწერს რასმე წიგნათაც ითარგმანების.

ამ განმარტებაში გაუგებარია როგორღა არის „რუკა“ ჩვენებური, ე. ი. ქართული სიტყვა, თუ არაბული „რუყა“ იმავე მნიშვნელობისაა. რუკა მხოლოდ ქართული გამოთქმაა ამ არაბული სიტყვისა.

A რედაქციიდან ნათელი ხდება, რა შეცდომაა აქ დაშვებული. იქ ვკითხულობთ:

¹ ტექსტის უხვ კორექტურულ შეცდომებზე საგანგებოდ მიუთითებს გაიოზ იმედაშვილი – თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, თბ., 1960; გვ. 033–035.

287. რუკა – ჩვენებური არის ბრძანების წერილი. არაბ., მინაწერს წიგნსაცა ჰქვია.

1843 წლის რედაქციის გადამწერს ამ განმარტებიდან სიტყვა – „ჩვეულებური“ (ე.ი. ჩვეულებრივი), „ჩვენებურად“ გადაუწერია, რამაც აზრობრივი შეუსაბამობა გამოიწვია.

ბ რედაქციაში ვკითხულობთ:

180. არ დაურჩა. არ იარა – ესე ნიშნავს, არა არს ადგილი ანუ არ არის ქვეყანა დარჩომილი, რომ არ მოიარა. წინაუკმით სტიხში ლექსის რიფმის გაწყობისათვის არის დაწერილი.

გაუგებარია, განსამარტავ სიტყვებში რითმის გულისათვის რა არის „წინაუკმით“, ანუ შებრუნებული წყობით დაწერილი.

ა რედაქციის ჩუბინაშვილისეული ნუსხა ნათელს ხდის, საიდან გაჩნდა ეს ბოლო წინადადება განმარტებაში.

180. არი არა – ე. ი. არა არს, არ არის. წინა უკმით სტიხში რიფმის გაწყობისათვის არის დაწერილი.

„არი არა“ ქართულისათვის, მართლაც წინაუკმო წყობაა გამოთქმისა „არ არის“ და აქ, მართლაც, საჭიროა იმის განმარტება, რომ ასე რითმის გულისათვის დაწერა რუსთველმა. ბ რედაქციაში კი ეს ადგილი გააზრებულია არა როგორც „არი არა“, ე. ი. არ არის, არამედ როგორც „არ იარა“ – არ მოიარა. ასეთი გააზრებისას „წინაუკმო“ წყობა აღარ არსებობს და წინადადება – ასე რითმის გულისათვის წერილი – ზედმეტია.

აღსანიშნავია, რომ ეს განმარტება ბ რედაქციაში თავდაპირველად ისევე ყოფილა, როგორც ა რედაქციაში. შემდეგი იგი თეიმურაზ ბაგრატიონს გადაუსწორებია – დედანში სიტყვასთან „არი“ ამოფხეკილია „ი“ და დაწერილია მეორე ნაწილის „არა“-ს წინ. ამრიგად, მიღებულია „არ იარა“. ძველი განმარტების აზრის შესაცვლელად სტრიქონსა და სტრიქონს შუა წვრილად ჩაწერილია ახალი სიტყვები. ამ

გადაკეთების შემდეგ ბოლო წინადადების წაშლა იყო საჭირო, მაგრამ ეს თეიმურაზ ბაგრატიონს დავიწყებია.

ამრიგად, „წინაუკმო“ წყობის შესახებ მითითება ამ განმარტებაში ძველი განმარტების ნაშთია.

დავით ჩუბინაშვილს რომ B რედაქცია ჰქონოდა წინ, ის, რასაკვირველია, შესწორებულ განმარტებას გადაწერდა. განმარტების პირველ ვარიანტს იგი საერთოდ, ვერ გამოარჩევდა, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, ტექსტი ამოფხეკილ-გადასწორებულია.

B რედაქციაში ვკითხულობთ:

592. მრეკელი – ტყეთა შინა ნადირთა მომრეკნი, მონადირე ფრინველთა მწვრთნელნი და მით მონადირენი.

ამ განმარტების მიხედვით, მრეკელს, რომელსაც მეორენაირად მარეკიც ჰქვია, მიეწერება მისთვის უჩვეულო მოვალეობა – მონადირე ფრინველთა წვრთნა და მით ნადირობა.

A რედაქციაში ვკითხულობთ:

592. მრეკელი – ტყეთა შინა ნადირთა მომრეკნი მონადირენი. ბაზიერნი – ქორთა, შევარდენტა და ესე გვართა მონადირე მფრინველთა მწვრთნელნი და მით მონადირენი.

ამ განმარტებიდან ირკვევა, რომ B რედაქციის გადამწერს გამორჩენია სიტყვები – „ბაზიერნი – ქორთა, შევარდენტა და ესე გვართა მონადირე“. ამის შედეგად სიტყვა „ბაზიერის“ განმარტების ბოლო ნაწილი შეუერთდა სიტყვა „მრეკელის“ განმარტებას და ამ სიტყვას მისთვის უჩვეულო შინაარსი მისცა.

ამგვარი შეცდომები. ე. ი. როცა ერთი სიტყვის განმარტებას მიბმული აქვს მეორე სიტყვის განმარტება და ამის შედეგად პირველს შეუფერებელი შინაარსი აქვს შეძენილი, B რედაქციაში სხვაგანაც მოიპოვება. ამის მიზეზი არის შემდეგი: ყოველ განსამარტავ სიტყვას თუ ფრაზას ხელნაწერში, ან ქვეშ აქვს ხაზი გასმული, ან განმარტებისაგან გამოიყოფა ორწერტილით და ტირეთი. გადამწერს ზოგ-

ჯერ ავიწყდება ხაზის გასმა, ან ტირეს დაწერა. ამავე დროს ზოგჯერ ახალი განსამარტავი სიტყვა აბზაციითაც არ იწყება. ამიტომ გარეგნულად სრული შთაბეჭდილება რჩება, რომ ის, თავისი განმარტებითურთ, წინა სიტყვის განმარტების გაგრძელებაა. ამრიგად, ერთმანეთს ერწყმის ორი სხვადასხვა სიტყვის განმარტება. ისინი ამ სახითვე მეორდებიან ამ ნაშრომის ბეჭდურ გამოცემაში და ზოგჯერ გურამ შარაძის მიერ გამოცემულ წიგნშიც: თეიმურაზ ბაგრატიონი, წიგნნი ლექსიკონნი, თბ., 1979.

მოვიყვანთ ამ მაგალითებს:

Б რედაქცია:

232. სარჩელი – მოსამართლესთან ჩივილი, ბჭობა, საჩივრის გასინჯვა, განსჯა, განბრჭო, გასამართლა.

ამ განმარტების მიხედვით, სარჩელი, ანუ საჩივარი, საჩივრის გასინჯვა და გასამართლებაც ყოფილა.

А რედაქციის მიხედვით, ირკვევა, რომ აქ სამი განმარტებაა ერთად შერწყმული:

სარჩელი – მოსამართლესთან ჩივილი. ბჭობა – საჩივრის გასინჯვა, განსჯა. განბრჭობა – გასამართლება.

Б რედაქცია:

620. მემუდარა – შემეხვეწა, ხვეწნა და ვედრება დამიწყო. შემეპოვა – თავი დაიმდაბლა წინაშე ჩემსა და გულითა მოდრეკილითა შენაწებულითა მიჩვენა თავი თვისი.

აქ გაუგებარი სიტყვაა „შენაწებულითა“. А რედაქციიდან ირკვევა, რომ აქ უნდა იყოს სიტყვა „შენანებულითა“. თავის მხრივ, А რედაქციაში ის შეცდომაა დაშვებული, რომ გამოტოვებულია ასახსნელი სიტყვა „შემეპოვა“ და მის განმარტება „მემუდარა“-ს განმარტებას აქვს მიბმული.

Б რედაქცია:

622. სრა – სახელმწიფო პალატი არის ქართულად. სრა – სახლი, სარაია, სასახლე.

А რედაქციის მიხედვით ეს განმარტება ასე სწორდება:

სრა – სახელმწიფო პალატი არის ქართულად. სრა–სახელი. სარაია – სასახლე.

B რედაქცია:

630. აჩინნა – განაწესნა, დაიდგინნა, პატიჟნი ძვირ-შემთხვეულობანი.

A რედაქციის მიხედვით უნდა იყოს: აჩინნა – განაწესნა, დაადგინნა. პატიჟნი – ძვირ-შემთხვეულებანი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ შეცდომებს ბეჭდურ გამოცემაში კიდევ მიემატა ასეთივე ხასიათის რამდენიმე შეცდომა. რის გამოც შერწყმულად არის განმარტებული: „მიუხვის რაცა ვინები“ და „საახლოდ“ (384); „ფარდაგი“ და „კუბო“ (389); „დროშა“ და „ვითა“ (399).

საკითხავია, ის შეცდომები, რომელიც B რედაქციის გადამწერს მოუვიდა, როგორ გამორჩა თეიმურაზ ბაგრატიონს, თუ ხელნაწერი მისი „თვალმიდევნებით“ არის გადაწერილი. ვფიქრობთ, ეს შეცდომები გვიდასტურებს, რომ თეიმურაზს პირწმინდად არ წაუკითხავს წიგნი, მიუხედავად იმისა, რომ მასში ალაგ-ალაგ შეჰქონდა შესწორებები და დამატებანი.

დავით ჩუბინაშვილის ნუსხა ამ შეცდომებს ასწორებს, ამზეურებს. აი, ამ არგუმენტთა ერთობლიობა გვაძლევს საფუძველს, ვიფიქროთ, რომ დავით ჩუბინაშვილისეული ნუსხა წარმოადგენს თეიმურაზ ბაგრატიონის ნაშრომის – „განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა“ ადრინდელი რედაქციის პირს.

სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, რომ თეიმურაზს 1848 წელზე ბევრად ადრე ჰქონდა შექმნილი „განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა“. გაიოხ იმედაშვილი წერს: „ეს წიგნი თეიმურაზის ლიტერატურული მოღვაწეობის მიწურულს დასრულდა, თუმცა საკმაოდ ადრე უნდა ყოფილიყო დაწყებული და ის მართლაც წარმოადგენს მისი

რუსთველოლოგიური მუშაობის შეჯამებას თავის ყველა ნაწილში“¹.

მართლაც, ჯერ კიდევ 1833 წლის 9 ოქტომბერს მარი ბროსესადმი გაგზავნილ წერილში თეიმურაზ ბაგრატიონი წერდა „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ: „მე ლექსების განმარტება ამისი ადრევე დაეწერე, მაგრამ თეთრად არა მაქვს გადმოწერილი“². აქ სიტყვა „ადრევეში“, ალბათ, ერთ-ორ წელზე მეტი დრო უნდა იყოს საგულისხმებელი, თორემ სიზუსტისათვის თეიმურაზს შეეძლო ეთქვა – შარშან, შარშანწინ დაეწერე.

საკითხავია, რატომ ვერ შეძლო თეიმურაზ ბაგრატიონმა მრავალი წლის მანძილზე ამ ნაშრომის გადათეთრება? ამას ვერ ავხსნით მისი მოუცლევლობით. მის კარზე მრავალი პირი მოღვაწეობდა ისეთი, რომლისათვისაც შეეძლო დაევალებინა „გადათეთრება“, თუ აქ მარტო სუფთად გადაწერა იგულისხმებოდა. საბოლოო რედაქციაც ხომ სწორედ სხვა პირის მიერ არის გადაწერილი.

ამის მიზეზი უნდა იყოს მხოლოდ ის, რომ თეიმურაზს ჯერ არ მიაჩნდა თავისი შრომა დასრულებულად, სრულყოფილად. იგი მას წლების მანძილზე ავსებდა, ავრცობდა, ამუშავებდა. ივ. ლოლაშვილი უთითებს რა 1833 წელს მარი ბროსესადმი მიწერილ წერილში თეიმურაზის სიტყვებზე, რომ თეთრად არა მაქვს გადაწერილი „ვეფხისტყაოსნის“ განმარტებამ, აღნიშნავს: „ჩანს თეიმურაზს პოემის კომენტარებზე წერა შემდეგაც გაუგრძელებია, რადგანაც, რო-

¹ თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა. გაიოზ იმედაშვილის რედაქციით, გამოკვლევიითა და საძიებლთ, თბ., 1960, გვ. 08.

² თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები მარი ბროსესადმი, თბ., 1964, გვ. 26.

გორც ცნობილია, მან „განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნი-სა“ დაამთავრა 1843 წლის სექტემბერში“ ¹.

თვით ის ფაქტიც, რომ მრავალი ჩასწორება და ჩამატება თეიმურაზს საკუთარი ხელით აქვს შეტანილი 1843 წლის რედაქციაში, იმაზე მიგვითითებს, რომ თავისი ნაშრომის „გადათეთრების“ შემდეგაც აგრძელებდა იგი მასზე მუშაობას. ამის გამო ხელნაწერის ზოგი ფურცელი თითქმის „შავად“ არის ქცეული.

1843 წლის რედაქცია მაინც არ უნდა წარმოადგენდეს თეიმურაზ ბაგრატიონის ამ ნაშრომის „გადათეთრების“ პირველ ფაქტს. 1835 წელს შედგენილ „წიგნოსაცავის კატალოგში“ თეიმურაზის სხვა წიგნთა შორის მოიხსენიება „ვეფხისტყაოსნის სტიხების რომელთამე ლექსების განმარტება მეფის ძის თეიმურაზის მიერ“ (213) ². ე. ი. 1835 წლისათვის უკვე ცალკე ხელნაწერად არსებულა „ვეფხისტყაოსნის“ განმარტება. ის უთუოდ შეიცავდა 1843 წლის რედაქციისაგან განსხვავებულ ტექსტს, „განმარტების“ ადრინდელ რედაქციას.

დავით ჩუბინაშვილისეული ნუსხა ამ რედაქციის პირს არ უნდა წარმოადგენდეს. ის უნდა იდგეს შუაში 1835 და 1843 წლის რედაქციებს შორის. ამაში გვარწმუნებს ჩუბინაშვილისეული ნუსხის სათაური. მასში 1835 წლის ნუსხისაგან განსხვავებული, 1843 წლის ნუსხის სათაურია მოცემული: „განმარტება ლექსთა მათ მალლისა ფრასისათა, რომელნი ცა არიან ძველნი ქართულნი და რომელნიმე შემოტანილნი სხვათა ენათაგან ქართულსა ენასა შინა და აქა ვეფხისტყა-

¹ მცირე უწყებანი ქართველთა მწერალთათვის, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა, თბ., 1982, გვ. 38.

² კატალოგი წიგნოსაცავისა თეიმურაზ ბატონიშვილისა. მოამზადა გამოსაცემად, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ს. იორდანიშვილმა, თბ., 1948, გვ. 45.

ოსნისა სტიხთა შინა ხმარებულ არიან, რომელნიმე ლექსთა ამათთავანი, გუარითა აღმოსავლეთის მესტიხეთა მეტაფორისათა“. 1843 წლის რედაქციაში ამ სათაურს მიემატა ბოლოში ორი სიტყვა: „ქმნილ არიან“, ე. ი. ბოლო წინადადება ასე მთავრდება: „აღმოსავლეთის მესტიხეთა მეტაფორისათა ქმნილ არიან“.

მიემატა აგრეთვე მითითება: „რიცხუთა მიერ სტიხთასა იწუწნებიან, თუ რომელი ლექსი რომელსა სტიხსა შინა არს“.

ჩუბინაშვილისეული ნუსხა ნაწერია სხვადასხვა ზომისა და სხვადასხვა ხარისხის ქაღალდზე: ფ. 145-166 (22X17); ფ. 167-169 (21,5X17); ფ. 170-197 (21X13,5); ფ. 167-169-ის შემდეგ ამოჭრილია სამი ფურცელი, ამავე ფურცლების ზომისა, მათი გაგრძელება. ამრიგად, 169-170 ფურცლებს შორის ტექსტი აკლია, კერძოდ, 731-763 სტროფების განმარტება.

ფურცლებს აქვთ დამდა, რომელიც ქაღალდებზე იტვირებოდა ნიკოლოზ I მეფობაში (1825-1855). 163-166 ფურცლების ჭვირნიშანია 1838 წელი. ამ ნუსხის თარიღის ზედა ზღვარი, ვფიქრობთ, ვერ გადასცილდება 1843 წელს, რადგან ამ წლიდან დავით ჩუბინაშვილს თეიმურაზ ბაგრატიონის ნაშრომის უკვე ახალი, B რედაქციის გადაწერა შეეძლო.

ერთი გარემოება ნათელს ხდის, რომ არ უნდა არსებობდეს სხვაობა ქაღალდის ჭვირნიშნით მოცემულ თარიღსა და ზედა ზღვარს შორის. ამის თქმის უფლებას იძლევა ამავე ხელნაწერში მოთავსებული ნაშრომი დავით ჩუბინაშვილისა.

ქვევით განვიხილავთ ამ ნაშრომს.

2. დავით ჩუბინაშვილის „განმარტება პოემა ვეფხისტყაოსანისა“

S 3677 ხელნაწერის 136r-143v-ზე მოთავსებული ტექსტი, აღწერილობათა მიხედვით, თითქოს წარმოადგენს დავით

ჩუბინაშვილის მიერ ქართულ-რუსული ლექსიკონისათვის შერჩეულ მასალას „ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული კომენტარებიდან“¹.

ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს არასწორ ინფორმაციასთან. ტექსტი არ შეიძლება მივიჩნიოთ ვახტანგისეული კომენტარებიდან ამოკრეფილ მასალად. ეს პირველივე სიტყვიდან ხდება ცხადი. ვახტანგს განმარტებული არა აქვს სიტყვა – „სამყარო“ და ამ სიტყვის განმარტებას დავით ჩუბინაშვილი მისი „თარგმანიდან“ ვერ ამოწერდა. ამგვარი ბევრი სხვა მაგალითი შეიძლება დავასახელოთ.

ტექსტში მოცემულია ვახტანგისაგან განსხვავებული, ზოგჯერ უფრო გავრცობილი განმარტებები. მაგ.:

ვახტანგ VI	დავით ჩუბინაშვილი
54. მეკობრე მტაცებელს ქვიან.	54. მეკობრე – მტაცებელი, ავაზაკი, უფრორე ზღვისა.
70. კენარი – მე არ ვიცოდი, ვინც იცოდეთ, სთარგმნეთ.	70. კენარი – მშვენიერი ტანითა, ტანადი.
71. დაგიღრეჯია – არც დაღრეჯა ვიცი მართალი.	71. დაგიღრეჯია – მოწყვნილხარ.
64. სათუთი – ნებიერსავით არის და სხვა ასეთი მრავალი.	63. სათუთობა – ნაზობა, სინარნარე.

ჩუბინაშვილის ტექსტში განმარტებულია ბევრი ისეთი სიტყვა და გამოთქმა, ტაეპი ან სტროფი, რომელიც ვახტანგს არა აქვს განმარტებული.

საერთოდ, ტექსტის წაკითხვისას ნათელი ხდება, რომ იგი თავისი შინაარსით წარმოადგენს „ვეფხისტყაოსნის“

¹ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S V, თბ., 1967, გვ. 159. ექ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 601.

განმარტებას და არა სალექსიკონო მასალას. ვერც ერთი ლექსიკონისათვის ვერ იქნება გამოსადეგი სიტყვათა ან გამოთქმათა იმ მეტაფორულ მნიშვნელობათა ახსნა, რომელიც მათ აქვთ მინიჭებული კონკრეტულ შემთხვევაში, კერძოდ, ვეფხისტყაოსნის რომელიმე ტაეპში. მაგ., ასეთი განმარტება: „ლომად თამარ მეფეს ამბობს, წესია ანდერძსა და შესავალში პირველად ქება ღვთისა და მერმე მეფეთა“. ანდა რას ნიშნავს: „თამარს ვაქებდეთ“, „მინა რხეული“, „გასტეხს ქვასაცა მაგარსა“ და სხვა მისთანები. ამგვარ განმარტებებს მხოლოდ ვეფხისტყაოსნის კონკრეტული ადგილის გაგებისათვის აქვთ მნიშვნელობა.

მოცემული ტექსტი, როგორც ვთქვით, წარმოადგენს „ვეფხისტყაოსნის“ განმარტებას. იგი რედაქციულად განსხვავებულია როგორც ვახტანგ VI-ის, ასევე თეიმურაზ ბაგრატიონის ამავე ხასიათის ნაშრომებისაგან.

ისმის კითხვა, მაშ რატომ მიიჩნია ეს ტექსტი ექვ. თაყაიშვილმა ვახტანგისეული კომენტარებიდან ამოკრეფილ მასალად?

ჩვენი აზრით, ამის მიზეზი შემდეგია: მოცემული „განმარტება“, როგორც ვთქვით, განსხვავებულია ვახტანგ მეფისა და თეიმურაზ ბაგრატიონის ამავე ხასიათის ნაშრომებისაგან. მაგრამ ორივე ეს ნაშრომი დავით ჩუბინაშვილს გამოყენებული აქვს ლიტერატურულ წყაროებად. ამ ტექსტში ხშირად გვხვდება მითითებები. განმარტებათა შემდეგ წერია ხოლმე: მ. ვ. გ. – ე. ი. მეფის ვახტანგის განმარტება (4, 86, 112, 258, 268, 314 და სხვ.). ბ. თ. გ. – ბატონიშვილ თეიმურაზის განმარტება (18, 71, 210, 211, 236, 303, 302, 335, 337).

ეს შემოკლებანი რომ სწორედ ასე უნდა გაიხსნას, ამაზე მიგვითითებს ნაშრომის დასაწყისთან, ზედა არშიაზე, ჩუბინაშვილისავე ხელით შესრულებული მინაწერი:

„сокр. м. в. г. მეფის ვახტანგის განმარტებაში.

ბ.ტ.შ.თ.გ.“.

ჩვენი აზრით, ამ მინაწერის პირველმა სტრიქონმა აფიქრებინა ექვ. თაყაიშვილს, რომ ნაშრომი წარმოადგენს შემოკლებას, თუ შემოკლებებს, მეფის ვახტანგის განმარტებების მიხედვით. ე. ი. ეს მინაწერი მან ტექსტის სათაურად აღიქვა.

სინამდვილეში, როგორც ვთქვით, ეს მინაწერი იძლევა ტექსტში გამოყენებულ შემოკლებათა ახსნას: „მ. ვ. გ.“ – ნიშნავს – „მეფის ვახტანგის განმარტებაში“ „ბ. ტ. შ. თ. გ.“ – ეს შემოკლება აღარ არის გაშიფრული, მაგრამ ნათელია, რომ იგი „ბატონიშვილის თეიმურაზის განმარტებას“ ნიშნავს.

ამ შემოკლებათა ვარიანტებად ტექსტში გვხვდება „მ. ვ.“ – მეფე ვახტანგი; „მ. ძ. თ. გ.“ – „მეფის ძის თეიმურაზის განმარტება“; „მ. ძ. თ.“ – მეფის ძე თეიმურაზ.

გვხვდება მითითება მესამე წყაროზეც: „ს. ლ.“ – საბას ლექსიკონი (106, 218, 236, 277)

ამ სამ წყაროზე დაყრდნობით დავით ჩუბინაშვილს შექმნილი აქვს „ვეფხისტყაოსნის“ ახალი „განმარტება“, საკუთარი მეცნიერული ნაშრომი რუსთაველის პოემაზე.

ხელნაწერში ეს ნაშრომი არ არის სრულად წარმოდგენილი. ტექსტი ბოლონაკლებია, მაგრამ არა ფურცლების დაკარგვის გამო, არამედ იმიტომ, რომ წერა შეწყვეტილია. დასმულია სტროფის ნომერი 381, გასმულია ტირე და განმარტება აღარ არის მიწერილი. ტექსტს აკლია შუაშიც, 16 – 49 და 123 – 178 სტროფთა განმარტებანი. 16 – 49 სტროფთა განმარტებანი აკლია იმიტომ, რომ აკლია ფურცელი 136 – 137 ფურცლებს შორის, ხოლო 123 – 178 სტროფთა განმარტებანი ჩაწერილი არ არის ხელნაწერში. მათთვის გამოტოვებულია ცარიელი ადგილი.

ტექსტში ალაგ-ალაგ მოიპოვება გადახაზული, ნასწორები ადგილები, რაც ავტორის ტექსტზე მუშაობის ნიშანს ატარებს.

ტექსტის წაკითხვისას და მისი შეჯერებისას ვახტანგ

VI-ისა და თეიმურაზ ბაგრატიონის ტექსტებთან პირველ რიგში თვალში საცემი ხდება ის, რომ ჩუბინაშვილის რედაქცია ამ ორ რედაქციას შესაბამის ნაწილში აღემატება განმარტებულ სიტყვათა რაოდენობით, ე. ი. გამოყოფილი ლექსიკური ერთეულებით.

ჩუბინაშვილი უფრო დაწვრილებით, თანმიმდევრულად მიჰყვება პოემის ტექსტს და არ ტოვებს ლექსიკურ ერთეულებს განუმარტებელს. ამასთანავე თუ საჭიროა, იძლევა ტაეპის ინტერპრეტაციასაც.

ყველაზე მეტად და ძირითადად ჩუბინაშვილს თეიმურაზის განმარტება აქვს გამოყენებული. თეიმურაზი კი თავის მხრივ, ეყრდნობოდა ვახტანგ VI-ის განმარტებას და ყველაფერს იყენებდა იქიდან, რისი გამოყენებაც შეიძლებოდა. მაშ რაღად სჭირდებოდა ჩუბინაშვილს ვახტანგ VI-ის თარგმანთან მისვლა? ჩვენი აზრით, იგი, ასე ვთქვათ, ამოწმებს, რამდენად ამოწურა თეიმურაზმა ვახტანგის ცოდნა. თუ თეიმურაზს რაიმე გამოერჩა, განსაკუთრებით ისეთი, რომელიც სიტყვის ლექსიკურ მნიშვნელობას უფრო ნათლად წარმოაჩენს, ჩუბინაშვილი აუცილებლად უმატებს მას თავის განმარტებაში მაგ.:

თეიმურაზ ბაგრატიონი

დავით ჩუბინაშვილი

78. 3. ნადირთაგან სისხლი იცხეს – ძველად მონადირენი ნადირს რომ მოჰკლავდნენ. ჰრმალს სისხლიანს მკლავზედ გაიწმენდნენ.

4. ჰგავს ალვაა ედემის ხე – ედემი სამოთხე. ედემის ალვის ხესა ჰგავსო.

77. 3. ნადირთაგან სისხლი ისხეს – ძველად მონადირენი ნადირს რომ მოჰკლავდნენ, სისხლიანს ხმალს მკლავზედ გაიწმენდნენ.

4. ჰგავს ალვაა, ედემის ხე – კვიპაროსს, რომელიც სამოთხის ხე არისო, იმასა ჰგავსო. ალვა-კვიპაროსი, ედემის ხე. ედემი–სამოთხე.

ეს განმარტებები ჩუბინაშვილის თქმით მთლიანად გადაწერილი აქვს თეიმურაზისაგან. ერთი ის არის, რომ ვახტანგ მეფისგან მან ჩაუმატა სიტყვა კვიპაროსი ალვის ხის განსამარტავად.

ამავე მიზნით იყენებს დავით ჩუბინაშვილი საბას ლექსიკონსაც. საბას ლექსიკონი განსაკუთრებით სჭირდება მას მაშინ, როცა რაიმე სიტყვის განმარტება ვახტანგთან და თეიმურაზთან არ მოიპოვება.

ვახტანგსა და თეიმურაზს როცა განსხვავებული თვალსაზრისი აქვთ და ჩუბინაშვილი ვახტანგისას არჩევს, მაშინ უთითებს წყაროდ – „მ. ვ. გ.“. ზოგჯერ მას ორივე თვალსაზრისი მოჰყავს. მაგ.: „გამყიფება – მეტად ითაკილა მ. დ. თ., მყიფი – ამპარტავანი მ. დ. თ., ადვილად გასატეხი, ვითარცა ფოლადი მ. ვ.“ (211).

მეტი სიზუსტისათვის ჩუბინაშვილი ზოგჯერ სამივე წყაროს ასახელებს. მაგ., სიტყვა „მემაჯანი“ (268) ასე აქვს მას განმარტებული: „მემაჯანი“ – მაძაბუნებული, დამჩაგვრელი, ს. ლ.; მაჯანი – ცუდი, მ. ვ. გ.; ტყავის საკეთებელი იარაღი (არაბ.), მოულოდნელი მ. დ. თ. გ.“.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩუბინაშვილს ყოველთვის ერთგულად არ დაუცავს წყაროზე მითითების წესი, თორემ ასეთი მითითებები მის განმარტებაში უფრო მრავლად უნდა ყოფილიყო. ჩვენ ზევით ვაჩვენეთ, როგორ გაიმეორა მან 77-ე სტროფში თეიმურაზის განმარტება, მაგრამ წყაროზე არ მიუთითა. ასეა სხვა მრავალ შემთხვევაში.

ჩუბინაშვილის განმარტებები თეიმურაზისეულთან შედარებით ხშირად უფრო მოკლეა, რადგან ჩუბინაშვილი ყურადღებას უმთავრესად მაინც სიტყვათა ლექსიკურ მნიშვნელობაზე ამახვილებს და ნაკლებს მსჯელობს სიტყვის ეტიმოლოგიაზე, მის წარმომავლობაზე – ქართულია თუ სხვა ენიდან მომდინარეობს, რა მნიშვნელობით იხმარება უცხო ენაში და რა მნიშვნელობა მიიღო ქართულში,

რა მიზნით იხმარა კონკრეტულ შემთხვევაში იგი რუსთველმა და სხვა შემთხვევაში როგორ შეიძლება გავიგოთ ის და ა. შ. ამრიგად, თეიმურაზის განმარტებები უფრო მაღალმეცნიერული დონისაა, მეტი ცოდნის მომცემია. ჩუბინაშვილის განმარტება თავისი აგებულებით უფრო უახლოვდება განმარტებით ლექსიკონს.

მაგ., ავიღოთ სიტყვა „მოასპარეხეს“ განმარტება:

თეიმურაზი

ჩუბინაშვილი

68. მოასპარეხოზა – თიატრო, თიატროენება. ცხენთა სარბიელსა ზედა წურთვა. ასპიროზ ანუ ასპიროს. სპარ. მოედანსა ჰქვიან. ასპიროს ვარსკულავიც არის ერთი შვიდთა მთიებთაგანი. ე. ი. მერკური.

67. მოასპარეხე – ასპარეხზედ მოთამაშე. ე. ი. მოზურთალი, მოჭიდავე, მორკინალი და სხვ.

ამ განმარტებიდან ნათლად ჩანს, რომ ჩუბინაშვილი სიტყვის უფრო მოკლე და კონკრეტული განმარტებისკენ მიიღტვის. ჩანს აგრეთვე ისიც, სიტყვის განმარტებაში რას აკეთებს იგი ახალს, როგორ ცდილობს მისი ლექსიკური მნიშვნელობის უფრო ზუსტად და ნათლად გამოხატვას.

მიუხედავად ამისა, ჩუბინაშვილის ნაშრომს მაინც არ შეიძლება ვუწოდოთ „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონი. ეს ნაშრომი არის „ვეფხისტყაოსნის“ განმარტება, რადგან შეიცავს არა მხოლოდ ლექსიკურ ერთეულთა განმარტებებს, არამედ ტაეპთა ინტერპრეტაციებსაც.

ჩუბინაშვილი სარგებლობს თეიმურაზის განმარტების ადრინდელი, ე. ი. A რედაქციით. ეს აშკარად ჩანს მრავალი განმარტებიდან. მაგ., მე-5 სტროფის ბოლო ტაეპის განმარტების მიხედვით ჩუბინაშვილისათვის „გრდემლი არის დაზგა, რომელზედაც ძვირფასს ქვებს ჰსთლიან“.

ამ განმარტებაში ჩუბინაშვილს სიტყვა „დაზგა“ აღებულებით აქვს თეიმურაზის A რედაქციიდან, სადაც ვკითხულობთ:

„გრდემლი „დასგასა“ გინა სტოლის სახედ ქმნილსა სად-გარსა ზედა არს მომართული და მას ზედა ქვათა პატიო-სანთა ჰსთლიან“. B რედაქციაში თეიმურაზ ბატონიშვილი სიტყვა „დაზგას“ აღარ ხმარობს, ხოლო ვახტანგს ამ ტაე-პის განმარტება არა აქვს.

დავით ჩუბინაშვილი იყენებს თეიმურაზ ბაგრატიონის განმარტების A რედაქციას, მაგრამ არ მისდევს მის სტრო-ფთა სათვალავს. თეიმურაზ ბაგრატიონი თავის „განმარტე-ბაში“ იცავს ვახტანგის სტროფთა სათვალავს, ჩუბინაშ-ვილი კი 1841 წლის გამოცემისას (ამ გამოცემის უშუალო მონაწილე თვითონ იყო მარი ბროსესთან და ზაქარია ფალავანდიშვილთან ერთად). როგორც ცნობილია, ეს გა-მოცემა 50 სტროფით აღემატება ვახტანგ VI-ის გამოცემას ¹. ჩუბინაშვილს განმარტებულიცა აქვს სიტყვები ჩამატებული სტროფებიდან: 213, 222, 242, 284 და სხვ.

ეს გარემოება ნათელს ხდის დავით ჩუბინაშვილის მიერ ამ ნაშრომის შედგენის მიზანს. იგი ჩაფიქრებული უნდა ყოფილიყო 1841 წლის „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემისათვის დასართავად.

ცნობილია, რომ მარი ბროსე „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემას აპირებდა ვარიანტების ჩვენებით და სხვა დიდი მეცნიერული აპარატურით. მას ტექსტის დადგენა სურ-და „ვეფხისტყაოსნის“ ყველა ხელნაწერის გამოყენებით ². მა-გრამ საქმე ჭიანჭურდებოდა და საბოლოოდ მან ხელი აიღო განზრახვაზე. 1841 წლის გამოცემა დაიბეჭდა ყოველგვარი

¹ ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნი ტექსტის ისტორია, ტ. I, თბ., 1970, გვ. 33–34.

² ი. მეგრელიძე, ვეფხისტყაოსნის მეორე გამოცემის პროგრამა, „ლიტერატურული საქართველო“, 1965, № 34, 29. VIII; ე. მეტრევე-ლი, გ. ავალიშვილი, ბიბლიოფილი და კოლექციონერი, საი-უბილეო კრებული – კ. კეკელიძის დაბადების 80 წლისთავზე, თბ., 1959. გვ. 248–250.

მეცნიერული აპარატურის გარეშე ¹.

უნდა ვიფიქროთ, რომ ჩუბინაშვილი სწორედ ამ გამოცემისთვის წერდა თავის „განმარტებას“, მაგრამ ვერ მოასწრო. საბოლოოდ გამოცემას მან დაურთო მხოლოდ მცირე ლექსიკონი ².

დავით ჩუბინაშვილმა ამის შემდეგ კიდევ ორჯერ განახორციელა „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემა. 1846 წელს, როგორც ვიცით, მან უცვლელად გაიმეორა 1841 წლის გამოცემის ტექსტი. 1860 წელს კი მან ტექსტიდან ამოიღო მარი ბროსეს მიერ ჩამატებული სტროფები, დატოვა მხოლოდ 4 სტროფი, რომლებიც თეიმურაზ ბაგრატიონს რუსთველისად მიაჩნდა და ამის შესახებ წერდა კიდევ მარი ბროსეს.

ეს სტროფებია:

„თუ ყოფილა იგი მოყმე“ (113).

„მოუკლივარ თინათინის სურვილსა“ (151).

„მე დავშვერ, ვითა წესია“ (548).

„შეველ, ფიცხლავ შეგვაზმე“ (580).

ამრიგად, 1860 წლის გამოცემა 46 სტროფით ნაკლები აღმოჩნდა 1841 წლის გამოცემაზე.

1860 წლის გამოცემას დავით ჩუბინაშვილმა დაურთო „განმარტება, რომელთამე სიტყვათა და ფრაზათა ხმარებულთა ვეფხისტყაოსნის ლექსთა შინა“ (გვ. 207–243).

ეს ის განმარტებაა, რომლის ადრინდელი რედაქცია არის მოცემული ჩვენს ხელნაწერში და რომელიც, ჩვენი აზრით, 1841 წლის გამოცემისათვის იყო გამიზნული.

მაშასადამე, ჩანაფიქრი – „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტისათვის განმარტების დართვა – ჩუბინაშვილს მხოლოდ 1860 წელს განუხორციელებია.

1860 წლის გამოცემაზე დართული „განმარტება“ ჩვენს

¹ ს. ცაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 32.

² გ. შარაძე, დავით ჩუბინაშვილი – რუსთველოლოგი, თბ., 1982, გვ. 36 – 37.

ხელნაწერში დაცული „განმარტებასთან“ შედარებით შემოკლებულია, გარდა ამისა, განსხვავებულია რედაქციულადაც. თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანთ მაგალითებს.

S 3677 ხელნაწერში დაცულ ტექსტს ვუწოდებთ A რედაქციას, 1860 წლის ბეჭდურ ტექსტს – B რედაქციას.

A

B

1. სამყარო – ცა და ქვეყანა და სავსება მათი, მკვიდროვანი, სოფელი; საკუთრად: ცათა სივრცე უზენაესი, სადაც დამყარებულ არიან უძრავნი ვარსკულავნი.

5. გრდემლი (დაზგა, რომელზედაც ძვირფასს ქვებს მსთლიან).

179. ეზროს – აზრზე თანახმაო, ე. ი. დიონისი ბრძენი თანახმა არს ამ ღმერთის აზრზედაო. მეფის ვახტანგის განმარტებაში მსწერია: დიონოსე არეოპაგელი დიდი ფილოსოფოსი იყო კერპთა და პავლეხაგან მოიქცა და ეპისკოპოზად აკურთხა. აწ იმას მოწმობს და ეზრა წინასწარმეტყველს.

180. ოთხახმით – ოთხჯერ რომ დაისვენოს კაცმა და ისე გაიაროს სივრცე რომლისამე ადგილისა.

2. არე – ოთხი კუთხე ხმელეთისა ან ოთხი დრო წელიწადისა – საკუთრად გაზაფხულსა ნიშნავს, აგრეთვე გარემოთა ადგილთა, თქმთა.

1. სამყარო – სოფელი, ე. ი. ცა და ქვეყანა, მკვიდროვანი ან ხილული ცა ვარსკვლავებითურთ.

5. გრდემლი – რკინის ან ტყვიის კუნძი მეტალო საჭედი ან პატიოსანთ ქვათ სათლელი.

179. ამ საქმესა... – დიონოსი ბრძენი და ეზრა წინასწარმეტყველი თანახმა არიან ამ ღმერთის აზრზედაო.

180. ოთახმით – ოთხჯერ დასვენებით.

2. არე – თემი, ქვეყანა.

181. ბარბითი – მუღლი და ნეი. არს დიდი სალამური, ბანის ხმითა იკრვის, სპარსეთის შინაცა იციან ესრე. და ნასა – სალამურია ერთი გვარი, ფლეიტა.

185. მქისე – დამშხალული, დაბზარული, გინა ხორკლიანი, ვითარცა მუხის ქერქი. აგრეთვე ველური, უგლიმი, უგემური, უხამსური.

185. 3. რამინ და ვისი – ქართულს ენაზედ იპოვება წიგნი ვისრამიანი, რომელშიაც აღწერილია ვისისა და რამინის მიჯნურობა სარგის თმოგველისაგან, რომელიცა იყო თამარ მეფის დროს.

177. ბარბითი – სამუზიკო საკრავი, ქნარის მსგავსი.

ნასი – სალამური.

182. მქისე – ველური, მოუშენებელი, ცუდი.

182. რამინ და ვისი – ქართულს ენაზედ არის წიგნი ვისრამიანი, რომელშიაც აღწერილ არს ვისისა და რამინის მიჯნურობა.

გვაქვს შემთხვევები, როდესაც B რედაქციაში უფრო ვრცელი განმარტებებია, მაგ.:

4. გიშრის ტბა – შავი თუალები. მინა რხეული – მოძრავი ტანი ლახვარი-წარბი, წამწამი მ. ვ. გ.

4. მელნად და სხვ. – აღმოსავლეთისა მოშიარენი მშვენიერთა შავთა თუაღთა მელნის ტბად უწოდებენ, და მრხვეელსა წველისსა ტანსა მინის კალმად იტყვიან და ლახვარსა წარბად.

ამ მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ ჩუბინაშვილს განმარტების ტექსტი მრავალ ადგილას გარდაუქმნია; წლების მანძილზე მასაც უმუშავია ტექსტის სრულყოფაზე. ამის გამო ბეჭდური და ხელნაწერი ტექსტი ბევრ განმარტებაში გვაძლევს სხვაობას. ძირითად სხვაობად მაინც ის უნდა მივიჩნიოთ, რომ ბეჭდური ტექსტი ხელნაწერთან შედარებით შემოკლებულია. შეიძლება ვიფიქროთ, რომ გარ-

დაქმნილ-გადამუშავებული ტექსტი ჩუბინაშვილმა დასაბუჟდად საგანგებოდ შეამოკლა. ე. ი. ხელნაწერის სახით არსებობდა გადამუშავებული ვრცელი რედაქცია.

საბოლოოდ უნდა დავასკვნათ, რომ S 3677 ხელნაწერში დაცულია „ვეფხისტყაოსნის“ განმარტების დღემდე უცნობი ორი რედაქცია – თეიმურაზ ბაგრატიონისა და დავით ჩუბინაშვილისა.

ამ რედაქციებს აქვთ თავისი მეცნიერული ღირებულება. ამასთანავე, ისინი კარგად გვაცნობენ ორი გამორჩენილი მეცნიერის მუშაობის სტილს. ამ ნაშრომთა გათვალისწინებით უფრო მკაფიოდ იკვეთება ამ მეცნიერთა მიერ რუსთველოლოგიაში გაწეული ღვაწლი.

გარდა ამისა, თეიმურაზ ბაგრატიონის „განმარტების“ A რედაქცია, როგორც ვაჩვენეთ, მრავალ ადგილას იძლევა B რედაქციის, ე. ი. ბეჭდური ტექსტის გამართვის, დადგენის საშუალებას. ეს გარემოება ამ რედაქციას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს.

დავით ჩუბინაშვილის „განმარტება“ უკავშირდება „ვეფხისტყაოსნის“ ბეჭდვის ისტორიის საკითხებს და დიდად ღირებულია ამ ისტორიის ერთი ეპიზოდის სრულად წარმოსახვისათვის.

S 3677 ხელნაწერში დ. ჩუბინაშვილის „განმარტების“ არსებობამ ნათელი გახადა, თუ რა მიზნით არის გადაწერილი ამავე ხელნაწერში თეიმურაზ ბაგრატიონის „განმარტება“ – დავით ჩუბინაშვილს იგი სჭირდებოდა ლიტერატურულ წყაროდ. მასზე დაყრდნობით და სხვა წყაროთა მოშველიებით იგი ქმნიდა საკუთარ მეცნიერულ ნაშრომს – „ვეფხისტყაოსნის“ ახალ „განმარტებას“.

ჩვენ დავუშვით ვარაუდი, რომ ამ „განმარტებას“ იგი ამზადებდა „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემისათვის.

ამ ვარაუდის საფუძვლად შემდეგი გარემოება მიგვაჩნია: როგორც მივუთითეთ, თეიმურაზ ბაგრატიონის ნაშ-

რომი ხელნაწერში გადაწერილია 1838 წლის ჭვირნიშნიან ქალაქდზე. მაშასადამე, დავით ჩუბინაშვილის ჩანაფიქრი საკუთარი „განმარტების“ შექმნისა უნდა დათარიღდეს, დაახლოებით, 1838 წლით. ამ პერიოდში გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის მაღალმეცნიერულ დონეზე გამოცემისათვის. ამიტომ ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ ჩუბინაშვილის აღნიშნული შრომა ამ დიდი სამზადისისათვის იყო განკუთვნილი.

მაშასადამე, S 3677 ხელნაწერში წარმოდგენილი „ვეფხისტყაოსნის“ „განმარტების“ დღემდე უცნობი ორი რედაქცია შეგვიძლია დავათარიღოთ შემდეგნაირად:

1. თეიმურაზ ბაგრატიონის „განმარტების“ A რედაქცია შექმნილია 1835 – 1838 წლებს შორის. (1835 წელს ეს „განმარტება“ განსხვავებული სათაურით მოიხსენიება თეიმურაზ ბაგრატიონის წიგნთა შორის. 1838 წელს კი იგი უკვე გადაწერილი აქვს დავით ჩუბინაშვილს).

2. დავით ჩუბინაშვილის „განმარტების“ A რედაქცია შექმნილია 1838–1840 წლებს შორის (1838 წელზე ადრე დავით ჩუბინაშვილს გადაწერილი არა აქვს თეიმურაზ ბაგრატიონის ნაშრომი. 1840 წლისათვის კი მას უნდა შეეწყვიტა „განმარტებაზე“ მუშაობა და საჩქაროდ შეედგინა მცირე ლექსიკონი პოემის 1841 წ. გამოცემისათვის).

მაცნე №2 1988 წ.

„ჯავახური ენა მიიმე“

არჩილ მეფის პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ თეიმურაზი ასეთ საყვედურს ეუბნება რუსთველს: „დაზოდა სოქვი, შემოიდე ჯავახური ენა მიიმე“. შემდეგ სტროფში კი მას პირდაპირ მიმთავს, როგორც ჯავახს: „რადას გელაყბო ჯავახსა, დატაკსა შე უპოვარსა“ („პასუხი მეფისა მეთორმეტე“). სამეცნიერო ლიტერატურიდან ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ სიტყვები: „ჯავახური“ და „ჯავახი“ გაგებულია პირდაპირი, ე. ი. ეთნიკური მნიშვნელობით. ამის თქმის უფლებას გვაძლევს შემდეგი გარემოება: ამ ტექსტების ციტირება, ან მათი შინაარსის გადმოცემა ხდება ყოველგვარი კომენტარის გარეშე. არ გამხდარა მსჯელობის საგანი, რატომ ბრალდება რუსთველს ჯავახური ენის შემოღება, ან რატომ უწოდებენ მას ჯავახს. არჩილ მეფის თხზულებანი რამდენიმეჯერ არის გამოცემული. ტექსტებზე დართულ ლექსიკონებში, რომლებიც სხვადასხვა გამოცემაში სხვადასხვა პირის მიერ არის შედგენილი, (ნიკო ბერძენიშვილი, ზ. სარჯველაძე) არ გვხვდება ამ სიტყვათა განმარტება.

არადა, ამ სიტყვათა პირდაპირი მნიშვნელობით გაგება, თვით ფაქტის მხოლოდ კონსტანტირებაც კი შთაბეჭდილებას ქმნის, რომ შესაძლებელია რუსთველის ჯავახურ წარმოშობაზე ლაპარაკი. მაგალითად, აღ. ბარამიძის წიგნში „შოთა რუსთველი და მისი პოემა“ ვკითხულობთ: „ზოგიერთი შედარებით გვიანდელი ლიტერატურული წყარო (მაგალითად, არჩილის „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“) და ხალხური გადმოცემები რუსთველს თვლის მესხად, ან ჯავახად“. აქ ფაქტის მხოლოდ კონსტანტირებასთან გვაქვს საქმე. ეს აუცილებელია. არ შეიძლება აღნიშნული ფაქტის უგულვებელყოფა, გვერდის ავლა. რაკი არსებობს იგი, უნდა მიეთითოს

კიდევ. მაგრამ ამით ხომ ძალაუნებურად რუსთველის ჯავახურ წარმოშობაზე ლაპარაკიც ფიქსირდება.

არჩილის პოემის ზეგავლენით უნდა აიხსნას ისიც, რომ მესხეთის რუსთავი, რომელიც პოეტის სავარაუდო სამშობლოა, ზოგჯერ იხსენიება როგორც მესხეთ-ჯავახეთის რუსთავი. (პ. ინგოროყვა, „რუსთველიანა“).

სწავლული მეფის მიერ მოწვდილი ყოველგვარი ცნობა დიდად სანდო, საყურადღებო და ანგარიშგასაწვეი უნდა იყოს, მაგრამ ამ შემთხვევაში ასეთი მიდგომა შეუძლებლად მიგვაჩნია იმის გამო, რომ აზრობრივ და შინაარსობრივ მრავალ შეუსაბამობასთან გვაქვს საქმე და მრავალი კითხვა იბადება.

1. „ჯავახური ენა“ პირდაპირი გაგების შემთხვევაში უნდა ნიშნავდეს ჯავახურ დიალექტს. არჩილ მეფეს მის აღსანიშნავად რად უნდა ესმარა სიტყვა „ენა“. ნუთუ მას შეეძლო ყველა კილოკავისთვის ენა ეწოდებინა და ეთქვა: კახური ენა, ფშაური ენა, იმერული ენა, მესხური ენა და სხვ.

2. რა კავშირშია რუსთველი ჯავახეთთან? ხალხურ გადმოცემებსა და ლეგენდებში ლაპარაკია მის მესხურ წარმოშობაზე (ამის წყაროდ მიჩნეულია პოემის ეპილოგის ფსევდო-რუსთველური სტროფის ბოლო ტაეპი: „ვწერ ვინმე მესხი მელექსე...“). ჯავახეთი მესხეთის მეზობელი კუთხეა და არსებობს კომპოზიტი მესხეთ-ჯავახეთი. კუთხეთა სახელების ასეთი დაკავშირება ქართულში ბევრია: ქართლ-კახეთი, ფშაგ-ხევსურეთი, რაჭა-ლეჩხუმი, გურია-სამეგრელო და სხვ. მაგრამ ეს არ იძლევა ამ კუთხეთა გაიგივების უფლებას. ფშაგ-ხევსურეთი ერთად ითქმის, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ვაჟამ ხევსურული ენა შემოიღო ლიტერატურაში.

3. დიალექტური მეტყველება, ან თუნდ დიალექტური ლექსიკის ჭარბად და შესამჩნევად გამოყენება რუსთველის მიმართ ყოველად შეუფერებელი და უსაფუძვლო ბრალდებაა. დამტკიცებულია, რომ „გეფხისტყაოსანი“ დაწერილ-

ია XII საუკუნის სალიტერატურო ქართულით ¹. უსაფუძვლო და შეუფერებელ ბრალდებას არჩილი თეიმურაზის პირით რუსთველს არ წაუყენებდა.

ეს გარემოება გვაძლევს უფლებას ვიფიქროთ, რომ „ჯავახური“ არ უნდა იყოს სადაურობის აღმნიშვნელი სიტყვა, იგი სხვა მნიშვნელობით უნდა იყოს ნახმარი. ამ აზრს უფრო აცხოველებს მომდევნო სტრიქონი. თეიმურაზი ემუქრება რუსთველს „ქიზიყურად პასუხს მოგცემ, ამიხვიდე შენ ვინძი მე“.

წარმოდგენელია, აქ დიალექტების შეჯიბრი იგულისხმებოდეს. ე. ი. თეიმურაზი ამით ემუქრებოდეს რუსთველს: შენ თუ ჯავახური მძიმე დიალექტი შემოიღე, მე ქიზიყური უფრო მძიმე დიალექტით დაგჯაბნო. უფრო სავარაუდოა, რომ აქ ლაპარაკია რუსთველისაგან გამოყენებული ენის ხასიათზე და არა სადაურობაზე. ე. ი. „ჯავახური“ აღნიშნავს ისეთ თვისებას, რომელსაც ქიზიყური პასუხი გადამეტებული ხარისხით შეიცავს.

თეიმურაზი აგრძელებს რუსთველის კიცხვას:

„უყურე ბრიყვსა მესხსა და ამაყსა, შეუპოვარსა,
რადას გელაყბო ჯავახსა, ღარიბსა, შე უპოვარსა“.

აქ პირველ სტრიქონში პირდაპირ მითითებულია რუსთველის სადაურობა – იგი მესხია. მეორე სტრიქონში მას მიმართავენ როგორც ჯავახს. თუ აქ სიტყვა „ჯავახიც“ სადაურობას ნიშნავს, მაშინ გამოდის, რომ მესხსა და ჯავახს შორის იგივეობის ნიშანია დასმული. ე. ი. რუსთველი ერთდროულად ყოფილა მესხიც და ჯავახიც.

აქ ერთი გარემოებაა კიდევ გასათვალისწინებელი. თუ ამ სტრიქონში ის აზრია გამოხატული, რომ თეიმურაზს არ

¹ არნ. ჩიქობავა, დიალექტიზმების საკითხისათვის ვეფხისტყაოსანში. ენმკის მოამბე, III 1938, გვ. 209-227

სურს თავი გაუყარდოს რუსთველს, როგორც ჯავახეთიდან წარმოშობილ ადამიანს, ეს კუთხის დამცირება გამოდის. მსგავსი რამ კი რომელიმე კუთხის მიმართ წარმოუდგენელია გამოხატულიყო ზოგადად ქართულ პოეზიასა და, მით უმეტეს, მეფის პოემაში მეორე მეფის მიერ.

ამიტომ აქაც უნდა ვიფიქროთ, რომ სიტყვა „ჯავახი“ სხვა მნიშვნელობის შემცველია. იგი მოთავსებულია დამამცირებელი სიტყვების მწკრივში: ჯავახი, ღარიბი, უპოვარი და მიუთითებს არა ტომობრივ წარმოშობაზე, არამედ გამოხატავს „ღარიბთან“ და „უპოვართან“ ახლო მდგომ შინაარსს.

რამდენად იყო შესაძლებელი, რომ არჩილ მეფეს სიტყვები „ჯავახი“ და „ჯავახური“ არა ტომისა და სადაურობის, არამედ სხვა შინაარსის გამომხატველად ეხმარა. ამაზე ლექსიკონებიდან ხდება შესაძლებელი გარკვეული წარმოდგენის შექმნა.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ტ.VII, გვ. 391): აქ ახსნილია სიტყვა ღაზო. იგი არაბულ-სპარსული ძირის სიტყვაა და ნიშნავს: შურიანი, ბოროტი თვალი გამომაყოლა. ასევე უარყოფითი მნიშვნელობისაა ამ ტაეპის ყველა სიტყვა.

დიალექტურ ლექსიკონში გატანილია სიტყვა ჯავახიდან წარმოქმნილი სიტყვები: ეჯავახება, შეჯავახება და განმარტებულია, როგორც ერთმანეთთან შეჯახება, შეკამათება. მოყვანილი მაგალითების მიხედვით ირკვევა, რომ ეს შეჯახება და შეკამათება ღირსეულ მეტოქეებს თუ მოწინააღმდეგეებს შორის არ ხდება. ეს არის უღირსი, უხეში, ახირებული, უგნური, უდიერი, საბოლოო შთაბეჭდილებით, მდაბიური ელფერის მქონე საქციელი.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში გატანილია აგრეთვე სიტყვა ეჯავახება, როგორც კუთხური, ფშაური ლექსიკური ერთეული და მისი მნიშვნელობაა: უტევეს. მაგ-

აღლითად მოყვანილია ნაწყვეტი ბაჩანას ლექსიდან:

„მაგრამ იფიქრე, თუ შენი თავი იმ უგნურ კატას არ ემსგავსება,
რომელიც თავის აჩრდილს სარკეში გარედან ურქენს, ეჯავახება?“

ვ. ბერიძე, სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა (ს. პეტერბურგი. 1912). მასში გატანილია სიტყვა ჯავახი, როგორც რაჭული ლექსიკური ერთეული, მისი მნიშვნელობაა ჯიბრი. მაგალითად - „ეს ხარები ერთმანეთს ეჯავახებიან“. გიორგი შატბერაშვილი, თვალადური ქართულის ჭაშნიკი. აქ გატანილია სიტყვა შეჯავახება და ახსნილია, როგორც ახირება, შეჯიბრება, შებმა სიტყვით ან ხელით. მაგალითი: „რას ეჯავახები, რა შენი ტოლია!“

აღ. ღლონტის მიერ შედგენილ ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაში დამოწმებულია ვ. ბერიძისა და გ. შატბერაშვილის მაგალითები. თავის მხრივ ავტორი უმატებს: შეჯავახება (ქართლ.) – მკვახედ შეკამათება, შეჭიდება, მძლავრად შეჯახება და მიუთითებს, რომ ეს განმარტება ჰქონიათ აგრეთვე შ. ძიძიგურს, ნ კეცხოველს, პ. ხუბუტიას.

შეჯავახება, როგორც შეკამათება, დადასტურებული აქვს აგრეთვე ა. მარტიროსოვს თავის ნაშრომში „ფრონის ხეობაში მივლინების ანგარიში“.

ამ სიტყვის უფრო მრავალი ფორმით და უფრო საინტერესო მაგალითებით გამოირჩევა ქართლური დიალექტის ლექსიკონი (შემდგენლები თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე, თბ., 1981). აქ ვკითხულობთ:

ეჯავახება – უხეშად ეპასუხება, ეკამათება. „ჩხუბი რო მოხდება და ერთმანეთს ეკამათებიან, იტყვიან: ეჯავახებიან ერთმანეთსაო“. (მაგალითი ჩაწერილია სოფ. ტირზნისში, გორის რაიონი).

„რას მეჯავახები, უფროს-უმცროსობა აღარ იცი?“ (ძეგვი, მცხეთის რაიონი, აგრეთვე, ახალშენი, თამარაშენი, ცხინვალის რაიონი).

შეჯავახლება – შეჯავახლებიან – შელაპარაკდებიან. „რო შეჯავახლებიან, სიტყვით შეებრძოლებიან ერთიმეორესა, ხდება რო ჩხუბში გადავა მერე“ (ოძისი, დუშეთის რაიონი); „სასადილოში შეჯავახებულებიყვნენ, მთვრალები ყოფილიყვნენ და ძლიერ მაგარი ჩხუბი მოსვლიყოთ“ (იგოეთი, კასპის რაიონი).

შეუჯავახლება – „ნუ შეუჯავახლები, გააკეთე, როგორც გეუბნება“ (ქორდი, გორის რაიონი).

შეჯავახებული – „მე და ვალიკო ვიყავით შეჯავახებულები“ (ერედვი, ცხინვალის რაიონი).

„ეგენი შეჯავახებულები არიანო და იმიტგინ არ ცემენ ერთმანეთს ხმასა“ (მერეთი, გორის რაიონი, აგრეთვე ატოცი).

როგორც ვხედავთ, სიტყვა ჯავახი, ან შეჯავახება მრავალ დიალექტშია გავრცელებული და მის მნიშვნელობას ყველგან ერთი ელფერი დაჰკრავს. ჩვენ პირადად მიგვაჩნია, რომ ამ სიტყვასთან დაკავშირებული მნიშვნელობები სრულად მაინც არ არის ასახული ლექსიკონებში. მაგალითად, მოწმე გაემხდარვართ იმისა, რომ რაჭაში უხმარიათ გამოთქმა ჯავახა კაცი – უშნოდ აწოწილი, ტლანქი, მოუხეშავი კაცის მნიშვნელობით. ჯავახასავით დიდი ლუკმებით იცის ჭამაო – გასაგებია. აქ მინიშნებულია ჯავახა კაცის მდაბიური საქციელი. ქართლში, ახალქალაქში (სოფ. ნოსტესთან), დედა აშინებდა ბავშვებს: დაიძინეთ, თორემ ჯავახელი გუდიანი კაცი მოვა და წაგიყვანთო.

ამრიგად, გვაქვს უფლება ვიფიქროთ, რომ „ჯავახური ენა მძიმე“ უნდა გავიგოთ, როგორც ტლანქი, მოუხეშავი, მდაბიური ენა მძიმე. ე. ი. სიტყვები „ჯავახური“ და „მძიმე“ ამ სტრიქონში თითქმის ერთმანეთის სინონიმებია. „ქიზიყური პასუხი“, რომლითაც თეიმურაზი ემუქრება რუსთველს, იგულისხმება, რომ მეტი უხეშობით იქნება გამორჩეული და შესაძლებელია, უწმაწურობასაც ნიშნავდეს. ხოლო სტრიქონში: „რადას გელაყბო ჯავახსა, ღარბბსა, შე უპოვარსა“ – „ჯავახის“ მნიშვნელობა შეიძლება გავიგოთ ასე:

რაღას გელაყბო ჯიბრიან, ახირებულ, უგნურ მოკამათესო. მაგრამ აქ შეიძლება წარმოვიდგინოთ სხვა მნიშვნელობაც. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მთელი პოემის მანძილზე რუსთველი თავს იდრეკს თეიმურაზის წინაშე, როგორც ყმა მეფის წინაშე. პოეზიაში კი თამამად უმტკიცებს თავის უპირატესობას. თეიმურაზი გრძნობს, რომ როგორც პოეტი, დამარცხებულია ¹. მას ისღა დარჩენია, რომ რუსთველს წამოაძახოს მისი შედარებით მდაბიური წარმოშობა და თვითონ მეფემ, ბაგრატიონმა, ქედმაღლურად განაცხადოს, რომ არ სურს თავი გაუყადროს მას, როგორც გვარიშვილობითა და სოციალური მდგომარეობით დაბლა მდგომს. ე. ი. სტრიქონის შინაარსი შეიძლება ასე გავიგოთ: რაღას გელაყბო მდაბიოს, დარიბსა და უპოვარს! უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ სიტყვა მდაბიოა თავისი მნიშვნელობით უფრო ახლოს „დარიბსა“ და „უპოვართან“.

რატომ უნდა წამოეძახათ რუსთველისთვის უხეში, ტლანქი, მძიმე ენის შემოღება?

რუსთველის ერთ-ერთ დიდ დამსახურებად მიჩნეულია ის, რომ მან ახალ საფეხურზე აიყვანა ქართული სალიტერატურო ენა. აკად. აღ. ბარამიძე ამის შესახებ იმოწმებს ქართველ ენათმეცნიერთა არნ. ჩიქობავას, ა. შანიძის, ზ. ჭუმბურიძის შრომებს და, თავის მხრივ, დასძენს: „რუსთველი ტოვებს ძველი ქართულის ნორმებს. ენას ამარტივებს და ახალისებს, უახლოებს სახალხო-სასაუბრო მეტყველებას. ვეფხისტყაოსნის ენა ძლიერ განსხვავდება როგორც წინადროინდელი, ისე მისროინდელი საეკლესიო-მწიგნობრული ენის ნორმებისაგან ... ხალხის სამეტყველო ცოცხალი ენა დაუდვა საფუძვლად რუსთველმა თავის პოემას. ეს ენა მან აიყვანა ლიტერატურული დახვეწილობის უმაღლეს საფეხურზე“ ².

¹ რ. ბარამიძე, არჩილი. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ II, თბ. 1981

² შოთა რუსთაველი და მისი პოემა, თბ. 1966, გვ. 303-306

სალიტერატურო ენაში ჩატარებული ეს რეფორმა, როგორც ჩანს, უკმაყოფილებას იწვევდა ლიტერატორთა წრეებში და დიდი ბჭობის საგანი იყო. გავიხსენოთ, რა რეაქცია მოჰყვა ი. ჭავჭავაძის ანალოგიურ საქციელს, როცა მან რეცენზია დაწერა „თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის მიერ კოზლოვიდგან „შეშლილის“ თარგმანზედა“. მან ხომ ისევე, როგორც რუსთველმა „ხალხის სამეტყველო ცოცხალი ენა“ შემოიტანა ლიტერატურაში.

საში სტილის თეორიის დარღვევით აღშფოთებულმა ძველი თაობის წარმომადგენლებმა თავისი რისხვა დაატყვეს თავს ილია ჭავჭავაძეს. გიორგი ბარათაშვილზე ასე უმოქმედია ილია ჭავჭავაძის ლექსიკას: „აქამომდე ისე მიბჟუის ყურები, თითქოს ეს არის, ახლა გამოველ ბაზაზხანიდამო“. კნენა ბარბარე ჯორჯაძე კი წერდა: „არა, ლიტერატორს არ შეშვენის ამგვარის უშუერის ლექსებით მოხსენება. თუ ლიტერატურობაზედ თავსა ჰსდებს, რატომ ეს კი არ უნდა მოეხსენებოდეთ, რომ ლიტერატურა უნდა შეიცავდეს პატიოსნურს და დარბაისლურს ენას და არა უშვერობას... თუ ენას სახავეს საღმრთოდ, როგორ შემოურევს ამ უშვერს, მორყვნილს და ბიჭბუჭების სიტყვებს...“.

აი, ამგვარ „უშვერ“, ცოცხალ-სამეტყველო ხალხურ, ანუ მდაბიურ ენას უნდა გულისხმობდეს „ჯავახური ენა მძიმე“, რომელიც თეიმურაზის აზრით, კიდევ უფრო უშვერ „ქიზიყურ პასუხს“ იმსახურებს.

თეიმურაზის მიერ გამოთქმულ ბრალდებებში მეფე არჩილმა გაგვაცნო თავისი ეპოქის გარკვეული წრის შეხედულებები, კერძოდ, რუსთველის, ზოგადად კი, ქართული სალიტერატურო ენის შესახებ.

მრავალთავი XX, 2003 წ.

რას ამბობს მესხი მელექსა

1983 წ. „მრავალთავის“ X ნომერში გამოქვეყნდა ჩვენი სტატია – „მესხ მელექსეზე თქმული“. მასში უარყოფილია რუსთველოლოგიაში დამკვიდრებული აზრი იმის შესახებ, რომ მესხი მელექსე არის „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებათა გამლექსავი. ჩვენ იგი მივიჩნიეთ პოემის ვრცელი რედაქციის გადამწერად და მასზე ლექსითი ანდერძის დამრთავად. ეს დასკვნა ემყარებოდა იმ ფაქტს, რომ სიტყვა „წვერ“, რომლითაც მესხმა მელექსემ მკვლევართა ყურადღება მიიპყრო, ძველ ქართულ მწერლობაში არ იხმარებოდა მხატვრული და სამეცნიერო სახიათის ძეგლების შექმნის აღსანიშნავად. ამისათვის არსებობდა ტერმინები – „აღწერა“ და „თქმა“. აქედან „აღწერა“ გამოხატავდა ამბავზე, სიუჟეტის ნაწარმოების შინაარსზე ავტორობას, „თქმა“ კი ნაწარმოების მხატვრული ფორმაზე. უფრო მიღებული იყო ფორმაზე ავტორობის გამოცხადება. ამიტომ, განსაკუთრებით პოეზიაში, „თქმა“ იქცა ავტორთა ერთადერთ ტერმინად. „წვერ“ კი უმთავრესად გადამწერთა ტერმინი იყო. სიტყვას „უმთავრესად“ ვხმარობთ იმის გამო, რომ გადაწერის ან ჩანაწერის გარდა, „წერას“ (თავისი სხვადასხვა ფორმით) სხვა მრავალი მნიშვნელობაც ჰქონდა.

კერძოდ, ეს სიტყვა არაპალეოგრაფიული მნიშვნელობით იხმარებოდა შემდეგ შემთხვევებში:

1. ტერმინით „წვერ“ ავტორობა იხატებოდა დოკუმენტური ხასიათის ძეგლებზე, როგორცაა: წერილები და ეპისტოლეები, ანდერძები, სიგელები, დაწერილები და სხვა ისტორიული საბუთები. იწერებოდა აგრეთვე რჩევა-დარიგებები, სხვადასხვა აზრები თუ შეგონებები: ე. ი. ისეთი შინაარსები, რომლებსაც არა აქვთ სიუჟეტი.

2. სიტყვით „წვერ“ ზოგჯერ ნაწარმოებზე ავტორობას გამოხატავდნენ სასულიერო პირები იმ გაგებით, რომ მათ

შეასრულეს ჩამწერის როლი, ხოლო ნაწარმოების ავტორი და შემოქმედი სულიწმიდაა ¹.

3. აღორძინების ხანის ძეგლებში “წერა“ გარკვეულ კონტექსტში მიუახლოვდა „თხზვის“ მნიშვნელობას, მაგრამ ეს სიტყვა ვერ შევიდა ფორმულაში, რომლითაც ცხადდება ნაწარმოებზე ავტორობა. თუ იგი ნახმარია ნაწარმოებთან დაკავშირებით, აუცილებლად აღნიშნავს ამ ნაწარმოების ნუსხის შექმნას – გადაწერას ან ჩაწერას.

ჩვენი ამ ნაშრომის შესახებ თავისი აზრი გამოთქვა აკად. აღ. ბარამიძემ ². მან ჩვენს ნაშრომს თუმცა დიდად საინტერესო ნარკვევი უწოდა, მაგრამ არ გაიზიარა მისი ძირითადი დასკვნა მესხი მელექსის შესახებ და, ზოგადად, სიტყვა „წერის“ გამოყენების ფარგლების შესახებ ძველ ქართულ მწერლობაში. მისი აზრით ჩვენსავე ნაშრომში მოიპოვება ჩვენივე დებულების უარმყოფელი არგუმენტები. აკად. აღ. ბარამიძემ ჩვენგან მოხმობილი მაგალითებიდან ამოკრიფა ისეთი შემთხვევები, რომლებშიც სიტყვაში „წერა“ სწორედ „თხზვის“ მნიშვნელობა დაინახა.

აკად. აღ. ბარამიძის სარეცენზიო წერილმა გვაგრძნობინა, რომ ჩვენს ნაშრომს ესაჭიროებოდა განმარტება, შესწორება და შევსება. ჩვენ დიდი გულისტკივილით გვსურს იმის აღნიშვნა, რომ სუბიექტური და ობიექტური ხასიათის მრავალი მიზეზის გამო აკად. აღ. ბარამიძის სიცოცხლეში ვერ შევძელით ნაშრომზე ხელახალი, ინტენსიური მუშაობის გაგრძელება, ჩვენი განმარტების საბოლოო სახით ჩამოყალიბება და ამით დავეარგეთ შესაძლებლობა, შეგვეტყო მისი დასკვნითი აზრი აღძრული საკითხის შესახებ.

¹ ედ. ჭელიძე. გრიგოლ ხანძთელის ლიტერატურული მემკვიდრეობის გამო, მნათობი. 1984, №10, გვ. 157-161

² მესხი მელექსის გარშემო (რეპლიკის წესით), მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №1, 1984, გვ. 69-74

ამჟამად ჩვენი მიზანი არ არის ამ განმარტებებსა და შესწორებებზე საუბარი, ჩვენ გვსურს მხოლოდ შემოგთავაზოთ ახალი თვალსაზრისი იმის შესახებ, როგორ შეიძლება გავიგოთ მესხი მეღექსის სტროფის შინაარსი, თუ მასში პოემის ტექსტის გადაწერა არ იგულისხმება. ამისთვის უნდა შევჩერდეთ ერთ-ერთ იმ მაგალითზე, რომელმაც აკად. აღ. ბარამიძის ყურადღება მიიპყრო. მიგვაჩნია, რომ ყველაზე მეტად ეს მაგალითი უდგება ამ მოხსენების შინაარსს. ეს მაგალითია:

„ვწერ მეფე ვახტანგ ქართველთა თესლ-ტომით დავითიანი“.

ეს ტაეპი ამოღებულია ვახტანდ VI-ის შაირიდან, რომელიც მან „ქილილა და დამანას“ სხვა შაირებთან ერთად დაურთო. აზრის სრულად გაგებისათვის მთლიანად მოვიხმომთ ეს შაირი:

„ეს წიგნი ბრძენთა ნათელი, სხივით და შუქით მზიანი,
ყურითა ტკბილად სასმენი, სულით ვარდი და იანი,
მკითხველთა სარგო მრავალი, არ ათი, არა ზიანი,
ვწერ მეფე ვახტანგ ქართველთა თესლ-ტომით დავითიანი“.

ეს შემთხვევა საინტერესოა იმით, რომ აქ ვახტანგ მეფის „ვწერ“ ძალიან ჰგავს ლექსზე ავტორობის გამოცხადებას, მაგრამ ეს ასე არ არის, და აი რატომ: როდესაც აქ ვახტანგ მეფე ამბობს „ვწერო“. მისი მიზანი არ არის, განაცხადოს, რომ ეს სტროფი, როგორც პოეტური ნაწარმოები, მისი შეთხზულია. ამის აღსანიშნავად მას უნდა ეთქვა: „ვთქვი ვახტანგ მეფემ ქართველთა“. როდესაც ამ შაირს იმოწმებდნენ, ან შეჰქონდათ პოეტურ კრებულებში, ასე უწოდებდნენ კიდევ: „მეფის ნაბრძანები შაირიო“ და არ შეიძლებოდა ეთქვათ „მეფის დაწერილი შაირი“. მას რას ნიშნავს ამ სტროფში სიტყვა „ვწერ“? ამ სიტყვით აქ ავტორობა გამოთქმულია სტროფში გამოხატულ აზრზე, ანუ შინაარსზე: ეს წიგნი ბრძენთა ნათელია, ტკბილად სას-

მენია, ვარდი და იაა და სხვ. – ამ აზრს მე ვწერ, ანუ ვამბობ მეფე ვახტანგ ქართველთაო.

რით არის ეს შემთხვევა დიდად საინტერესო?

აქ რომ სიტყვა „ვწერ“ მესამე პირში გვქონდეს, ე. ი. ასე: „წერს მეფე ვახტანგ ქართველთა“, მაშინ ადვილად მისახვედრი იქნებოდა, რომ იგი ეხება სტროფში გამოხატულ აზრს, მაგრამ არ გვეცოდინებოდა, ვინ იყო ამ აზრის გამლექსავი, ანუ სტროფის შემთხვევლი. რაკი სიტყვა „ვწერ“ პირველ პირში გვაქვს. ჩვენ ვხვდებით, რომ გამოხატულ აზრთან ერთად ვახტანგსვე ეკუთვნის ამ აზრის პოეტური ფორმაც, ანუ ის არის ამ აზრის გამლექსავიც, მთქმელიც.

მაშასადამე, ვახტანგ მეფის მიზანი იყო სტროფის შინაარსზე, მასში გამოხატულ აზრზე ავტორობის გამოცხადება და გამოვიდა ამ სტროფზე, როგორც პოეტურ ნაწარმოებზე, ავტორობის გამოცხადებაც. ამიტომ ამგვარ მაგალითებთან დაკავშირებით ჩვენს წერილში აღნიშნული გვაქვს: „დაუკავშირდა და თავისი მნიშვნელობით „თქმას“ – საუბარს და არა „თხზვას“, ვფიქრობთ, აქ ჩაისახა პოეტური შესაძლებლობა, სიტყვა „წერას“ საბოლოოდ შეეძინა „თქმის“, როგორც „თხზვის“ მნიშვნელობაც ¹.

იმის ნათელსაყოფად, რა შემთხვევასთან გვაქვს აქ საქმე, მოვიყვანო შემდეგ მაგალითებს, დავასახელებო სამ მოდელს:

1. „ვეფხისტყაოსანი“ თქვა რუსთველმა.
2. „ვეფხისტყაოსანი“ დაწერა რუსთველმა.
3. „უხვი ახსნილსა დაბამს“, - წერს, ან ვწერ რუსთველი.

აქ პირველ შემთხვევაში აზრი ნათელია და არ არის საკამათო – მასში პოემაზე რუსთველის ავტორობაა გამოხატული.

¹ გვ. 174

მეორე მოდელის აზრი საკამათოა – ჩვენ მიგვაჩნია, რომ მასში პოემის მხოლოდ და მხოლოდ ნუსხის შექმნა იგულისხმება. უმეგობენ, რომ შესაძლებელია, ავტორობაც იყოს გამოხატული, ე. ი. თავისი შინაარსით უდრიდეს პირველ მოდელს.

მესამე მაგალითში: „უხვი ახსნილსა დააბამს“, - წერს ან ვწერ რუსთველი, არც გადაწერაზეა ლაპარაკი და არც თხზვაზე. აქ ავტორობა გამოხატულია ერთ კონკრეტულ აზრზე. ე. ი. ამ მაგალითის „ვწერ“ ნიშნავს: „უხვი ახსნილსა დააბამს“, - ვამბობ რუსთველი.

აი, სწორედ ასეთი შემთხვევაა „ვწერ მეფე ვახტანგ ქართველთა...“, მხოლოდ მასში უფრო ვრცელი აზრია გამოხატული, ასეთი „წერს“ და „ვწერ“ მომრავლდა აღორძინების ხანის მწერლობაში – საკუთარი აზრის გამოხატვის, ან სხვისი აზრის ციტირების დროს.

როგორ ხდებოდა ციტირება ადრეულ საუკუნეებში.

შუშანიკი რომ იმოწმებს პავლე მოციქულის სიტყვებს, ამბობს „რამეთუ მასმია მე პავლეს მოციქულისგან: „არა დამონებულ არს ძმად, გინა დად, არამედ განეყენენ“. გიორგი მერჩულე ამბობს: „ბრძნად მეტყუელებად ვეცხლი არს წმიდად, ხოლო დუმილი ოქროდ რჩეული“, – ვითარცა რქუა სოლომონ“, „ვითარცა იტყვის მოციქული, „მოუკლებლად ილოცევდითო“ და სხვ.

მომდევნო საუკუნეებში გვაქვს არა „მასმია“, არა „რქუა“, და არა „იტყვის“, არამედ წერს პავლე მოციქული, წერს სოლომონი, ვწერ მე და სხვ.

ზოგჯერ გვაქვს პარალელური ფორმებიც:

„წაგიკითხავს, სიყვარულსა მოციქულნი რაგვარ სწერენ,
ვით იტყვიან, ვით აქებენ, ცან, ცნობანი მიაფერენ“

(გეფხისტყაოსანი).

თეიმურაზ პირველის „ქეთევანიანში“ გვხვდება ასეთი ტაეპი: „წერს, იტყვის: ვა, დავემარხე მე სიკვდილისა წინარე“.

ასეთ მაგალითებში აშკარად გამოვლენილია, რა მნიშვნელობით არის ნახმარი სიტყვა „წერა“. ასეთ „წერას“ საერთო არაფერი აქვს თხზვასთან, მაგრამ პოეტურ ნაწარმოებებში, როცა პირველ პირშია ნათქვამი – ვწერ, ასეთი „ვწერ“ ზოგჯერ ტოვებს თხზვის შთაბეჭდილებას – და ამით ემსგავსება ნაწარმოებზე ავტორობის გამოცხადებას.

აი, ასეთი შინაარსის უნდა იყოს მესხი მეღექსის „ვწერ“, თუ იგი არ აღნიშნავს გადაწერას.

„თქმა“ და „წერა“ ერთმანეთს უპირისპირდებიან თავისი შინაარსით, როგორც ტერმინები, როდესაც ისინი ნახმარი არიან ნაწარმოებთან დაკავშირებით, ე. ი. ასეთ მოდელებში, ანუ ფორმულებში: 1. „დავითიანი“ თქვა გურამიშვილმა. 2. „დავითიანი“ დაწერა გურამიშვილმა. პირველ შემთხვევაში ავტორობაა გამოხატული, მეორე შემთხვევაში ავტოგრაფული ნუსხის შექმნა.

მაგრამ როდესაც ნაწარმოები არ არის ნახსენები და „თქმა“ და „წერა“ ეხება კონკრეტულ აზრს, ან აზრებს, მაშინ ისინი ერთმანეთის სინონიმურ მნიშვნელობას იძენენ – მე ვთქვი გარკვეული აზრი, თუ დაწვიერე ეს აზრი – ეს სულერთია. ორივე შემთხვევაში აზრებზე ავტორობაა აღნიშნული. სხვაობა მხოლოდ იმაშია, რომ დაწერილში ნამდვილად დაწერილი აზრი იგულისხმება, ნათქვამში კი შეიძლება იგულისხმებოდეს როგორც ზეპირად ნათქვამი, ასევე დაწერილი.

მაშასადამე, ჩვენ გვინდა იმის თქმა, რომ მესხი მეღექსის „ვწერ“ ნაწარმოებზე ავტორობის აღმნიშვნელ სიტყვად რომ მივიჩნიოთ, დასახელებული უნდა იყოს ეს ნაწარმოები, გარკვეული უნდა იყოს – რას წერს მესხი მეღექსე და შემდეგ იქნება საკამათო, აქ გადაწერაზეა ლაპარაკი თუ თხზვაზე.

მესხი მეღექსის სტროფში თხზულება არ სახელდება. „გასრულდა მათი ამბავი“ – მხოლოდ ვიზუალურად და

ყურში სასმენად, და არა შინაარსობრივად, ემსგავსება ნაწარმოების დასასრულის აღნიშვნას. „გასრულდა მათი ამბავი...“. ამ სიტყვის შემდეგ წერტილი რომ იყოს დასმული, მაშინ იქნებოდა ეს ნაწარმოების ამბის დასასრულის მაუწყებელი. მაგრამ აზრი გრძელდება: „გასრულდა მათი ამბავი, ვითა სიზმარი ღამისა“. სიზმარივით არც ამბის თხრობა შეიძლება დასრულდეს, არც ამბის ლექსად თხზვა და არც მისი გადაწერა. ცხადია, რომ ამბის დასრულება აქ ეხება არა წიგნის შინაარსის, არა ავტორის ან გამამწერის შრომისას, არამედ გმირთა სიცოცხლის დასრულებას. მესხი მელექსე გულისწევებტას გამოთქვამს იმის გამო, რომ პოემის გმირების სიცოცხლე სიზმარივით სწრაფად დასრულდა. ისინი გარდაიცვალნენ – „ნახეთ სიმუხთლე ჟამისა, ვის გრძლად ჰქონია, მისთვისცა არის ერთისა წამისა“, – აი, ამ აზრს ვწერ, ანუ ვამბობ მესხი მელექსეო.

მაშასადამე, გამოხატულია შთაბეჭდილება, შექმნილი პოემის წაკითხვის შემდეგ და ამ შთაბეჭდილებაზეა ნათქვამი „ვწერ“. ეს „ვწერ“ აქ შეგვიძლია შევცვალოთ სიტყვით „ვამბობ“, ე. ი. აქ ისეთივე „ვწერ“ გვაქვს, როგორცაა „ვწერ მეფე ვახტანგ ქართველთა“, ანუ უდრის ჩვენ მიერ დასახელებულ მოდელებიდან მესამეს: 3. „უხვი ახსნილსა დააბამს“, - ვწერ რუსთველი.

სიტყვა „წერა“ რომ ხშირად იხმარებოდა აზრის გამოთქმასთან დაკავშირებით, ეს ჩვენ მიერ გამოქვეყნებულ წერილში მითითებული გვაქვს სათანადო მაგალითების მოხმობით. ეს მაგალითებია:

„ამისათვის დასწერს გრიგოლი თეოლოდოს: გულისთქმანი ბოროტნი არიან სამნი“¹.

„ხოლო ცხოვრებასა შინა სწერს ბრწყინვალეს გიორგის თავდადებულის ძედ და ძედ გიორგისად ბაგრატს“².

¹ სულხან-საბა ორბელიანი, სამოთხის კარი.

² ქართლის ცხოვრება, ტ IV, გვ. 232, 29.

„მთავარი წმიდის იოანეს მემონასტრე ჰსწერს ისტორიასა შინა სომეხთასა“¹.

„მოსე სწერს: „იქმნა მწუხრიო...“² და სხვ.

ამ მაგალითებზე დაყრდნობით რატომ არ მივიჩნიეთ მაშინ მესხი მეღვინის სტროფი მკითხველის, ან ხელნაწერის მფლობელის მინაწერად, და მივიჩნიეთ გადამწერის ანდერძად? იმიტომ, რომ უპირატესობა მივანიჭეთ ტრადიციას. XVIII საუკუნისა და XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში მესხი მეღვინე გადამწერად მიაჩნიათ და არავეს დაბადებია აზრი, რომ მასში გამღვინავი, ან ავტორი დაენახათ., ან მინაწერის შემსრულებელი. ჩვენ არ ვიცით, რა აზრის იყო მის შესახებ პირველი რუსთველოლოგი მეფე ვახტანგ VI, მაგრამ ვიცით მისი მდივნის, მეღვინე კავკასიის აზრი. 1733 წელს მოსკოვში მან გადაწერა ვახტანგის თხზულებათა კრებული (S 4500) და ღვინად დაურთო ანდერძი:

„ბრძანებით მეფეთ-მეფისა პატრონის ვახტანგისათა.
ეს მისგან ნაბრძან-ნაკაზმი ხელოვან ოსტატისათა.
ბრძენ სალადობელ წოდებით სიტყვითა ოსტატისათა, –
ვწერ მესხი ვინმე მდივანი ხელითა კავკასიისათა“.

ამ სტრიქონზე მესხი მეღვინის გავლენა აშკარად იგრძნობა. აქ მეღვინე კავკასიე, გადამწერი, ბაძავს მესხ მეღვინეს, როგორც გადამწერს.

ბუნებრივად იბადება კითხვა: მდივანმა ხომ არ იცის თავისი მეფის აზრი მესხი მეღვინის შესახებ და მის საქციელში ეს ხომ არ გამოსჭვივის?

1834 წ. ე. ი. ზუსტად ერთი საუკუნის შემდეგ, ვინმე იოსებ ქებულაძემ გადაწერა ვეფხისტყაოსანი (A 530). მან პოემის

¹ იქვე, გვ. 444, 7.

² თეიმურაზ II, სარკე თქმულთა, თხზულებათა სრული კრებული, 1939, გვ. 3

ეპილოგში მესხი მელექსის ნაცვლად თავისი სახელი და გვარი ჩაწერა. ე. ი. ტაეპი „ვწერ ვინმე მესხი მელექსე“... მის ხელნაწერში ასე იკითხება: „ვსწერე ვინმე იოსებ კეპულაძე მელექსე მე რუსთველისა დამისა“. ე. ი. მასაც მესხი მელექსე გადამწერად მიაჩნდა.

გადამწერის ანდერძად მიჩნეულ მოდელში სხვა გადამწერისგან თავისი გვარის ჩანაცვლება პირველად ამ ხელნაწერში არ გვხვდება. საინტერესო შემთხვევა გვაქვს დათუნა ქვარიანის მიერ გალექსილ „წმიდა გიორგის წამებაში“. „წამებას“ დათუნა ქვარიანმა წარუმიძღვარა თავისი შესავალი, სადაც გარკვევით აღნიშნა თავისი წვლილი:

„მე, ქვარიანმა დათუნამ, ვსთქვი შესავალი ღვთისანი,
მერე წმიდისა გიორგის, მის მთავარმოწამისანი,
მის მოწამეთა მთავრისა, მხედრისანი და მხნისანი,
ლექსად გარდავთქვი ქართული, ძალი თუ შემწვევს ღვთისანი“.

აქ მისი ტერმინოლოგია ზუსტად შეესაბამება მის ნამოქმედარს: მან შესავალი თქვა – შინაარსიც და ფორმაც მისია, თვითონ „წამება“ კი ლექსად გარდათქვა. შემდეგ დათუნა გამოთქვამს ასეთ აზრს: კარგი, გვარიანი ლექს-ქართულით თქმას მხიარული გული სჭირდება, მე კი გულამოსკენით ჯავრიანი ვარ და ეს როგორ შევძლო. თუმცა კი ძალი ღვთისა შემწვევსო. ამ აზრს მოჰყვება: ვწერ დათუნა ქვარიანი.

შემდეგში დათუნას მიერ გალექსილი „წამება“ გადაუწერია ქეთევან ქვარიანს¹. დაურთავს ლექსითი ანდერძი, რომელშიც წმ. გიორგის შესთხოვს: „შენ ქეთევან შეიწყნარე მწერალი და ხელთუფალი“. თვითონ „წამების“ შესავლის ტექსტში დათუნა ქვარიანის მაგიერ თავისი გვარი ჩაუწერია, ამიტომ გვაქვს: „თუმცა შემწვევს ძალი ღვთისა, ვწერ ქეთევან ქვარიანი“ ე. ი. დათუნა ქვარიანის „ვწერ“ სიტყვის

¹ S 1285. XVIII ს.

შინაარსი ქეთევანს კარგად ვერ გაუგია, გადაწერის აღმნიშვნელ სიტყვად მიუღია და ამიტომ გაუბედავს თავისი სახელის ჩანაცვლება. ე. ი. დათუნა ქვარიანი სრტოვში გამოსატულ აზრზე აცხადებს ავტორობას (ვწერ-ვამბობ), ქეთევან ქვარიანმა კი იგი გადამწერის ტერმინად მიიჩნია.

ქეთევანის ხელნაწერიდან „წამება“ გადაუწერია მანანა დიასამიძეს. მას ქეთევანის სახელი აღნიშნულ ტაეპში თავისი სახელით შეუცვლია. გვარი დიასამიძე ვეღარ შეურთიშავს ტექსტისთვის და ამიტომ ასე დაუწერია: „ვწერ მანანა გვარიანი“¹.

ეს შემთხვევები იმას გვიჩვენებს, როგორ იზიდავდა გადამწერთა თვალს სიტყვა “წერა“. მასში ყოველთვის თავის ტერმინს ხედავდნენ და ამიტომ ბედავდნენ მის გვერდით თავისი სახელის მიწერას.

ასე იქცევა იოსებ ქებულაძე ზემოთ ნახსენებ შემთხვევაში.

1843 წელს უკვე გვაქვს ცნობილი რუსთველოლოგის, თეიმურაზ ბაგრატიონის განმარტება, თუ ვინ არის მესხი მელექსე. იგი მას გადამწერად მიაჩნია. განსაკუთრებით გვსურს გავამახვილოთ ყურადღება იმაზე, თუ როგორ ტერმინოლოგიას იყენებს სწავლული ბატონიშვილი ამ საკითხთან დაკავშირებით: „... ეს ჭეშმარიტებით ვიცით, რომ რუსთველსა თავის მდივნად ახლდა მესხი და ვეფხისტყაოსანიც, რუსთველისაგან ნათქვამი, იმან გარდუწერა რუსთველსა. ამისთვის იტყვის: „ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისა და მისსა“. ე. ი. რაკი გარდუწერია, ამიტომ ამბობს ვწერო. თვით პოემაზე კი ბატონიშვილი ამბობს – რუსთველის ნათქვამიაო².

¹ Q 296. XVIII s.

² თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, თბ. 1960, გაიოზ იმედაშვილის რედაქციით, გამოკვლევითა და საძიებლით, გვ. 287-288.

მაშასადამე, XVIII საუკუნესა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში მესხი მელექსე მწიგნობართა და ლიტერატორთა წრეში განურჩევლად ყველას – მეცნიერსა და არამეცნიერს – გადამწერად მიაჩნდა.

მას შემდეგ, რაც ტერმინოლოგიაში მოხდა ცვლილება (XIXს-ის 60-იანი წლებიდან), „თქმა“ განიდევნა ხმარებიდან და გადამწერის ტერმინი „წერა“ ავტორთა ტერმინად იქცა, მესხ მელექსეში დაინახეს ავტორი. ეს „ვინმე მესხი“ თვით რუსთველად მიიჩნიეს აკადემიკოსებმა ნიკო მარმა, შალვა ნუცუბიძემ, შემდეგში პ. რატიანმა.

აკადემიკოსებმა კ. კეკელიძემ, ალ. ბარამიძემ, აგრეთვე პ. ინგოროყვამ ყურადღება მიაქციეს იმ ფაქტს, რომ მესხი მელექსე იცნობს „გმირთა სიკვდილის ამბავს“, რომელიც XVI საუკუნეზე ადრე არ შეიძლება იყოს შექმნილი და ეს გამორიცხავს მესხი მელექსის რუსთველთან გაიგივების შესაძლებლობას. ამიტომ მესხ მელექსეს მათ მიაწერეს გაგრძელებათა გალექსვა. დღეისათვის ეს თვალსაზრისია გაზიარებული რუსთველოლოგიაში.

როდესაც ეს თვალსაზრისი შემუშავდა, არ არსებობდა ძველ ქართულ მწიგნობრულ ტერმინოლოგიაზე ფართოდ და საფუძვლიანად დაკვირვების საშუალება. დღეისათვის, როდესაც გამოქვეყნებულია ქართულ ხელნაწერთა აღწერილობათა ტომები, გამოქვეყნებულია ავტორისეული ყველა ანდერძი და გადამწერთა ანდერძ-მინაწერები, დაინტერესებული პირისათვის დიდი დრო არ არის საჭირო, რომ გაერკვეს მწიგნობრული ტერმინოლოგიის სისტემაში, რომელიც გაბატონებული იყო მთელი ძველი ქართული მწერლობის მანძილზე და XIX საუკუნის პირველ ნახევარშიც.

ტერმინოლოგიის ისტორიის გათვალისწინებამ ჩვენ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ მესხი მელექსის „ვწერ“ არ იყო არც ავტორის, არც გამლექსავის სიტყვა. ასეთ შემთხვევაში მას უნდა ეხმარა „ვთქვი“, ან „გავლექსე“, „ლექსად

გარდავთქვი“. ამიტომ მივიჩნiew, ტრადიციული შეხედულება უნდა აღმდგარიყო, რომელიც მესხ მელექსეს გადამწერად ასახელებს. თუმცა კი შენიშნული გვჭკონდა მესამე შესაძლებლობაც – სიტყვის „ვწერ“ აზრის გამოხატვასთან დაკავშირებულ სიტყვად მიჩნევისა.

აკად. აღ. ბარამიძემ სარეცენზიო წერილში გადმოსცა მესხი მელექსის სტროფის შინაარსი, რომელიც ასე დამთავრდა: „ამას ვწერ მე, ვინმე მესხი მელექსე ...“ აი, ამ დასასრულმა ფრაზამ უფრო ცხადად გვაგრძნობინა, რომ სწორედ „ამას“ წერს მესხი მელექსე და მეტს არაფერს. და რასაც იგი წერს, ეს არის აზრი, შთაბეჭდილება, გამოთქმული „რუსთველისად ამისა“, ანუ ვეფხისტყაოსნისად ამისა. ამ აზრის მიხედვით კი გამოდის, რომ მესხ მელექსეს „გმირთა სიკვდილის ამბავი“ „რუსთველისად“ მიაჩნია.

შეიძლება მესხი მელექსე ერკვეოდა კიდევ იმაში, რომ „გმირთა სიკვდილის ამბავი“ შემდეგ საუკუნეებში შექმნილი გაგრძელებაა პოემისა. მაგრამ ვრცელ რედაქციასაც ერქვა „ვეფხისტყაოსანი“ და ამ ნაწარმოებით მიღებული შთაბეჭდილება „რუსთველისად ამისა“ უნდა ყოფილიყო გამოთქმული.

თუ ეს ჩვენი თვალსაზრისი გასაზიარებელია, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ, მართლაც, „კამათში იბადება ჭეშმარიტება“.

მაშასადამე, დასკვნა ასეთია: ვინმე მესხმა, თვითონ ჩინებულმა მელექსემ და ამით დიდად აღმატებულმა გაგრძელებათა გამლექსავებზე, წაიკითხა პოემის ვრცელი რედაქცია და მიღებული შთაბეჭდილება, კერძოდ, თავისი გულისწყვეტა გმირების გარდაცვალების გამო, ლექსად მიაწერა პოემას. მისი „ვწერ“ ამ სტროფში ნიშნავს ვამბობ, გამოვთქვამ ასეთ აზრს.

სხვისი აზრის ციტირების, ან საკუთარი აზრის გამოთქმისას მართლწერის დაკანონებული წესების მიხედვით,

სტროფის პუნქტუაცია ასე უნდა გაიმართოს: პირველი სამი სტრიქონი უნდა ჩაისვას ბრჭყალებში, შემდეგ დაიწეროს მძიმე, ტირე და შემდეგ: „ვწერ ვინმე მესხი მელექსე“...

მივიჩნევთ რა მესხ მელექსეს ვეფხისტყაოსანზე აზრის გამომთქმელად, ეს არ უშლის ხელს იმის წარმოდგენას, რომ იგი გადამწერიც იყო პოემისა. უამრავი შემთხვევა გვაქვს, რომ გადამწერები მრავალ მინაწერსაც, მათ შორის ლექსად გამოთქმულ აზრებსაც წერდნენ ხელნაწერებში. მესხი მელექსის, როგორც გადამწერის, ანდერძი შემდეგმა გადამწერმა არ გაიმეორა, მის მიერ ლექსად გამოთქმული აზრი კი შეუნარჩუნა პოემის დასასრულს. ეპილოგის ვრცელ რედაქციაში სხვა სტროფებიც მოიპოვება ასეთ მინაწერთა, რომლებშიც ანალოგიური აზრი და გულისწყვეტაა გამოთქმული ამქვეყნიური ცხოვრების წუთიერებაზე.

მრავალთავი XVIII, 1999 წ.

„გრიგოლ ხანძთელის ცხორების“ ანდერძი

„გრიგოლ ხანძთელის ცხორების“ ანდერძი მოთავსებულია ამ თხზულების 83-ე, 84-ე თავებში, ამ ანდერძის მიხედვით მიაჩნიათ, რომ გარკვეულია თხზულების დაწერის დრო და ავტორის ვინაობა.

ამ ანდერძს ჩვენ შეგვხვთ შრომაში „მესხ მეღექსეზე თქმული“¹ და აღვნიშნეთ, რომ ქართული ლიტერატურის ისტორიის I ტომსა² და სასკოლო სახელმძღვანელოში გამოთქმული თვალსაზრისი, თითქოს გიორგი მერჩულეს ორი სხვა პირის – ხანძთის მონასტრის წინამძღვრის თეოდორესა და მისი ძმის იოვანეს დახმარებით დაუწერია გრიგოლის ცხოვრება, დამყარებულია ტექსტის, კერძოდ, სიტყვის „დაიწერა“–ს არა სათანადოდ გაგების საფუძველზე და რომ სიტყვა „დაიწერა“ აქ გადაიწერას მნიშვნელობით არის ნახმარი.

მაშინ „გრიგოლ ხანძთელის ცხორების“ ანდერძის კვლევა არ წარმოადგენდა ჩვენი შრომის ძირითად მიზანს და ამიტომ ამ ანდერძს შეგვხვთ ნაშრომის ბოლოს, ძალიან მოკლედ.

ამჟამად გვსურს უფრო ვრცლად განვიხილოთ წამოჭრილი საკითხი.

ანდერძში წერია: „ხოლო ხანძთისა წინამძღვრისა და იოვანე ძმისა მისისა და წიგნისა ამის აღმწერელისა გიორგი მერჩულისა, სამთავე ამათ ერთად გულისმოდგინებითა დაიწერა ხანძთას შინა ნეტარისა გრიგოლის ცხოვრებაჲ ესე. ქრისტემან წიგნსა მას ცხოველთასა დაწერენ იგინი და სრულიად წყალობა ყაენ ყოველთა მორწმუნეთათჳს, რად

¹ მრავალთავე X, თბ., 1983, გვ. 186-187

² კ. კეკელიძე ძვ. ქართული ლიტ.-ის ისტორია, თბ., 1960 ტ. I, გვ. 152

თა გულისკმა ყონ საღმრთოდ ნიჭი ქუეყანასაოცა ზეცისასა თანა...“

საჭიროა ამ ტექსტის ტერმინოლოგიურ-შინაარსობრივი ანალიზი:

1. უპირველესად უნდა შევეხოთ ისევ ტერმინ „დაიწერას“ და გავიმეოროთ, რომ ეს სიტყვა ძველ ქართულ მწერლობაში არ იხმარებოდა მხატვრული და სამეცნიერო ხასიათის ნაშრომების შექმნის აღსანიშნავად. საავტორო სიტყვად იგი მხოლოდ დოკუმენტური ხასიათის ძეგლებთან იყო. აკად. ივ. ჯავახიშვილის ქართული პალეოგრაფიის მიხედვით, „წერა“, „დაწერა“, „დასაწერი“, „მწერალი“ გადამწერლობასთან დაკავშირებული ტერმინებია¹. მაგრამ ამის ცოდნა ვერ განზოგადდა და ვერ დაკანონდა. თვით ივ. ჯავახიშვილმა „გრ. ხანძთელის ცხორების“ ანდერძის „დაიწერა“ ავტორისეულ ტერმინად მიიჩნია და შეუდგა იმის კვლევას, რა წვლილი მიუძღვოდათ თეოდორესა და იოვანეს „გრ. ხანძთელის ცხორების“ შექმნის საქმეში.

რომ ყოფილიყო ანდერძი: „951 წელს დაიწერა დაბადება“. უეჭველია, გადამწერლისეულად იქნებოდა მიჩნეული. „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილ ხელნაწერს H 757-ს ასეთი ანდერძი აქვს: „ჟამსა, ოდეს ამ ვეფხისტყაოსანსა ვსწერდი, მე აღმურანთ ბაღდასარაშვილმა, მუშრიბი გასპარამა, მაშინ ღმერთმან წყალობა მიყო და დაიბადა ჩემი ყმაწვილი დავით, ენკენისთვის კგ. ქ-კს ტსთ, შაბათს...“

ეს ანდერძი, ყველას აზრით, გადამწერისაა და არავის შეპარვია ეჭვი, მუშრიბი გასპარა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი ხომ არ არისო.

ეს იმიტომ, რომ ცნობილ ძეგლებთან გვაქვს საქმე. მაგრამ აი, ექვთიმე გრძელის ანდერძი: „ლოცვა ყავთ ევთიმი

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949, გვ. 1-60.

გრძელისათვის, რომელმან ფრიადითა მოსწრაფებითა და მოღვაწეობითა დაგწერე სამოძღვრებლად სულთა ჩუნთა“... ვერ იქნა შეცნობილი გადამწერლისეულად და აკად. კ. კეკელიძეს დასჭირდა ისტორიულ-ლიტერატურული ფაქტების კვლევა, რომ ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილი იოანე დამასკელის „მოკლე წინამძღვარის“ თარგმნა არ მიჰკუთვნებოდა გადამწერს – ექვთიმე გრძელს“¹.

ამ ნაშრომში აკად. კ. კეკელიძე აცხადებს: „სიტყვა „დაგწერე“ ყოველთვის არ ნიშნავს გადმოთარგმნას და შეთხზვას. ამ შემთხვევაში კი აუცილებლად გადმოწერას გულისხმობს“.

მაგრამ მაინც „გრ. ხანძთელის ცხორების“ ანდერძში სიტყვა „დაიწერა“ ავტორისეულად იქნა მიჩნეული.

რამ გამოიწვია ასეთი აღრევა? ამის მიზეზი იყო ის, რომ სწორად არ იყო ამოცნობილი ტერმინთა ხმარების სისტემა. „დაიწერა“ არასდროს არ ნიშნავდა „შეთხზვას“. განსხვავება იყო ჟანრებში.

იწერებოდა დოკუმენტური ხასიათის ძეგლები და ყველაფერი ის, რაც არ შეიძლებოდა მიჰკუთვნებოდა მხატვრული და სამეცნიერო ხასიათის შრომებს.

ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერი მემკვიდრეობა ასეთ სურათს გვიშლის: მხოლოდ ერთი თხზულების დასახელება შეგვიძლია, სადაც სიტყვა „დაიწერა“-ს იყენებს ჰაგიოგრაფიული თხზულების ავტორი. ეს არის „წამებაჲ წმიდისა მოწამისა გობრონისი, რომელი განიყვანეს ყველის ციხით“. მას სათაურის ქვეშ მიწერილი აქვს ავტორის, სტეფანე მტბევარის, ანდერძი: „მე, სტეფანე მტბევარ-ეპისკოპოსმან, დაგწერე ბრძანებითა აშოტ ერისთავთა-ერისთავისაჲთა“.

¹ კ. კეკელიძე, ორი ექვთიმე ძველ ქართულ მწერლობაში, ეტიუდები, ტ. IV, თბ., 1957.

ეს თხზულება ჩვენამდე მოღწეულია მხოლოდ XVIII საუკუნის ხელნაწერებით. სულ 8 ხელნაწერია. აქედან ერთს აქვს განსხვავებული ანდერძი: „ხოლო აღწერა სტეფანე მტბევარ-ეპისკოპოსმან ბრძანებითა აშოტ ერისთავთ-ერისთავისაჲთა“.

ამ ფაქტის ახსნა ამჟამად შეუძლებელია. იქნებ ავტორაფული ნუსხა მთავრად მეფეს და ეს „დავწერე“ ამას გულისხმობს, ხოლო თხზულების შექმნის აღმნიშვნელი ანდერძი ბოლოში ჰქონდა დართული და მას ჩვენამდე არ მოუღწევია? დაბეჯითებით რაიმეს თქმა არ შეიძლება. აქ წესიდან ამოვარდნილ შემთხვევასთან გვაქვს საქმე.

რაც შეეხება თარგმანებს, აქ შესაძლებელი ჩანს „დავწერე“ სიტყვის გამოყენება, მაგრამ მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, თუ ენაზე იქნება მითითება, რომელი ენიდან რომელ ენაზე მოხდა გადმოთარგმნა. ასეთი მითითება სკობს ყოველგვარ გაუგებრობასა და შეცდომის შესაძლებლობას. გვაქვს შემთხვევები, როდესაც თარგმნას ქართულად გადმოწერას უწოდებენ.

მაგალითად ვახუშტი ბატონიშვილმა თარგმნა სტეფან იავორსკის „სასწაული ანტიქრისტეს მოსვლისა და მსოფლიოს აღსასრულნი 1725“. აქვს მთარგმნელის ანდერძი: „ხოლო გარდაიწერა რუსულისაგან ქართულით მეფობასა დიდის ხელმწიფის იმპერატორის ელისაბედ პეტრეს ასულისა –“ (A 58).

მანვე თარგმნა სტროთემანი ვილგელმ, „თეატრი ანუ ასპარეზი მატიანული“, 1740 წ. ტექსტს წინ უძღვის: „სიტყვა ქართულად გადმომწერელისა – არა ჯერ იყო, არცა შეკვებანდა, მკითხველნო, ჩვენ მიერ რაიმე ქორწილი...“ (S 420).

ხოლო თურმანიძე „როსტომიანის“ შესავალში ამბობს: პატრონმან ჩემმან მიბრძანა: „ქართულად სწერე ესია“. ეს ნიშნავს, პატრონმან ჩემმან მიბრძანა: ქართულად თარგმნე, ქართულად გადმოიღე ეს თხზულებაო. ხოლო თურმანიძემ

არა მარტო თარგმნა, გალექსა კიდევ ეს თხზულება, ამიტომ ამბობს არჩილი:

„როსტომიანი უთქვამსო თურმანიძესა ხოსროსა,
სხვა წიგნი მაშინ ძვირობდა, დაუწერია მას როსა“.

ნათქვამი თხზულება რომ წიგნად იქცეს, უნდა დაიწეროს, სხვაგვარად წიგნი ვერ იარსებებს. დავით გურამიშვილმა მირიან ბატონიშვილს მიართვა თავისი „ნათქვამი“ წიგნი „დავითიანი“, რომელიც თავისივე ხელით დაწერა. მათი გავიგონეო დიდროან დამეებში „ქართლურის წიგნების დამჭირნობა“ – ე. ი. „სხვა წიგნი მაშინ ძვირობდა, დაუწერია მას როსა“.

გვაქვს ასეთი აპოკრიფი: „წიგნი, რომელი დაწერა იოსებ არიმათიელმა და თხრობაჲ აღშენებისათჳს ეკლესიისა, რომელი იგი არს ლუდიას შინა, ქალაქსა წმიდისა დედოფლისა ჩუენისა მარიამ ღმრთის მშობლისა“.

ეს აპოკრიფი გვაუწყებს, რომ აღდგომის შემდეგ იესო ქრისტე თავის მოწაფეთაგან პირველად იოსებ არიმათიელს გამოეცხადა და დაავალა: „იოსებ მივედ ქალაქად ლუდიას და ქადაგე მას შინა სახარებაჲ და სიხარული აღდგომისა ჩემისა და განამტკიცენ, რომელთა ჰრწამს სახელი ჩემი“.

იოსებ არიმათიელმა ეს დავალება შეასრულა. მეტი დამაჯერებლობისათვის და მორწმუნეთა შორის სარწმუნოების გამტკიცებისათვის ეს ამბავი – როგორ გამოეცხადა ქრისტე, სად იმყოფებოდა ამ დროს თვითონ, რატომ გამოარჩია იგი ქრისტემ სხვა მოწაფეებისაგან და სხვ. – იოსებ არიმათიელმა დაწერა და ისე აუწყა, აჩვენა ხალხს „დასამტკიცებლად მათა და გამოაცხადებს ჭეშმარიტად უფლისა აღდგომისა“.

რატომ არის იოსებ არიმათიელის „წიგნი“ დაწერილი და არა ნათქვამი? იმიტომ, რომ „წიგნი“, რომელიც შექმნა იოსებ არიმათიელმა, არ იყო არც სამეცნიერო შრომა და არც ლიტერატურული ნაწარმოები. ეს წიგნი თავისი დანიშნულებით

იყო საბჭოთი, დოკუმენტი. ამიტომ მასზე იოსებ არიმათიელის ავტორობა გამოიხატა სიტყვით „დაწერა“.

ამ წიგნს მოჰყვება ასევე დოკუმენტური ხასიათის თხრობა, უფლისავე ნებითა და დავალებით, როგორ აშენდა ლუდის ქალაქში ეკლესია, ამ თხრობის ავტორიც იოსებ არიმათიელია.

შემთხვევითია თუ არა ის, რომ „თხრობა“ არ არის მოცემული ასეთი სათაურით – „აღშენებისათვის ეკლესიისა, რომელი იგი არს ლუდიას შინა ქალაქსა“, – თქმული იოსებ არიმათიელისა, ანდა აღწერილი იოსებ არიმათიელისაგან. ასეთი სათაურით ეს თხრობა გამოცხადდებოდა ლიტურგურულ ნაწარმოებად. სიტყვით „დაწერა“ კი ხაზი ესმება მის დოკუმენტურ ხასიათს, იმას, რომ იოსებ არიმათიელს არ უზრუნვია მის მხატვრულ ფორმაზე, შინაარსის საინტერესოდ აგებაზე, არ გამოუხატავს თავისი ტენდენცია. მან დაწერა მოწმის ჩვენება და სხვა პრეტენზია მის „თხრობას“ არა აქვს. ე. ი. ხაზი ესმება მის სანდოობას, იმის მტკიცებას, რომ ავტორის ფანტაზიის ნაყოფი შიგ არაფერი მოიპოვება.

დავუბრუნდეთ „გრიგოლ ხანძთელის ცხორების“ ანდერძს:

2. ჩვენს საანალიზო კონტექსტში ერთად გვხვდება ორი ტერმინი:

აღმწერელი და დაიწერა. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობათა ტომებში უამრავი მაგალითია იმისა, როცა აღმწერის შრომა იწერება და აქ აღმწერში მუდამ ავტორი იგულისხმება, დამწერელში კი გადამწერი. აღმწერელი ვერ შეერქმეოდა გიორგი მერჩულეს, ამ წიგნთან დაკავშირებული მისი მოღვაწეობა აღწერა რომ არ ყოფილიყო. „დაიწერადან“ რომ მომდინარეობდეს მისი სახელი, მაშინ დამწერელი ან მწერალი ერქმეოდა. გიორგი მერჩულე ყველასაგან დამოუკიდებლად არის წიგნის აღმწერელი უფრო ადრე, ვიდრე ამ წიგნის „დაიწერა“-ს სურვილი გააერთიანებდა ამ სამ პირს. აშკარაა, რომ ჩვენთვის საინ-

ტერესო კონტექსტში „დაიწერა“ ნიშნავს ნუსხის შექმნას, თხზულების გადაწერას.

3. თხზულების ტექსტი გვაძლევს იმის საშუალებას, რომ შევიტყოთ, რა ტერმინით გამოხატავს გიორგი მერჩულე ავტორისეულ შრომას: „ზოგს რაიმე უმჯობესად შემირაცხიეს, რადთა ვიტყოდი ღირსად ცხორებასა ღმერთ-შემოსილთა კაცთასა“...(1) „არამედ ვთქუა სარწმუნოდა მისთვის შვილისა ქრისტესშემოსილისა, რომელსა სახელი ეწოდა დიმიტრიოს“ (40)

„ხოლო ყოველი ვერ შეუძლევს აღწერად უმეცრებისა გზითა“ (49)

„და ვითარცა მათ ნეტართა დაიძინეს, მაშინდა მეცა განმეღვიბა უცვებსა ამას და ფრიად ცოდვილს ჰეღვიფად და აღწერად ცხორებად და სასწაულნი ესე, რომელნი აწ გესმნენ“ (49)

გიორგი მერჩულეს საკონტაქტო ობიექტი მუდამ მსმენელია:

„რაოდენცა შეუძლო უწყებად მსმენელთა“ (1)

„გონებად იწრაფის, რადთა არა იყოს ნამეტნავ სასმენელთა მსმენელთასა“ (17). ეს ფაქტიც მოწმობს, რომ გიორგი მერჩულე არის მთქმელი, ან აღმწერელი.

4. იგი ხმარობს სიტყვა „დაწერასაც“, მაგრამ როგორ კონტექსტში, ამაზე ყურადღების გამახვილებაა საჭირო.

ძველ ქართულ მწერლობაში იგრძნობა შიში იმისა, რომ რაც თქმულია, ან აღწერილი, თუ არ დაიწერა, დაკარგვისა და დავიწყების საფრთხე მოელის. გიორგი მერჩულე წუხს იმის გამო, რომ ქართლის ქვეყანას სჭირდებოდა, დაწერილი სახით შემონახულიყო მეუდაბნოეთა ცხოვრება, რომ გადასცემოდა შთამომავლობას „უკუნისამდე მითხრობად ყოველთა“. ახლა კიო, რაკი დაწერილი სახით არ დარჩაო, „აწ სასწაულნი მათნი ჟამთა სიმრავლისაგან მიეცნენ სიღრმესა დავიწყებისასა“.

ქართლის კათალიკოსი სამოელი სთხოვს იოანე საბანისძეს: „მნებავს, რაფთა დაიწეროს სანატრელისა ამისცა მარტვილობად და დაიდვას იგიცა კათოლიკე ეკლესიასა შინა მოსახნელებლად ყოველთა, ვინ იყვნენ შემდგომად ჩვენსა“. ამიტომო „ჭელყავ გამოთქმად, ვითარ იგი იყო და ვითარცა თვთ უწყი და აღწერე მარტვილობად წმიდისა მოწამისა ჰაბოფისი და აღწერილი ჩვენ მოგუძღუნაე“.

მაშასადამე ისევე როგორც გიორგი მერჩულესთან, აქაც სიტყვა „დაიწეროს“ გამოიწვია სურვილმა, რომ „დაიდვას“ ეს თხზულება შთამომავლობისათვის შესანახავად. თეიმურაზ I-ც „მაჯამის“ დასაწყისში ამბობს: „მომინდა წერა ამისთვის, არ იყოს დავიწყებული“, და „მაჯამას“ ასე ასრულებს: „გათავდა წიგნი მაჯამა, ლექსი აქა-იქ თქმულები“. ე. ი. ამ შემთხვევაშიც სიტყვა „წერის“ ხმარება გამოიწვია ხელნაწერის შექმნის სურვილმა, რომ არ დაიკარგოს თხზულება.

გრ. ხანძთელის შესახებ თხზულებაში ნათქვამია: „აწ არს ხანძთას ხელითა მისითა დაწერილი სულისა მიერ წმიდისა საწელიწდო იადგარი, რომლისა სიტყუანი ფრიად კეთილ არიან“.

სამეცნიერო ლიტერატურაში ამ წინადადების შინაარსი განმარტებულია. აქ შემოქმედად იგულისხმება სულიწმიდა, ხოლო გრ. ხანძთელი არის მისი ნაკარნახევის ჩამწერი, სულიწმიდის კალამი ¹.

5. ანდერძში ყურადღებას იპყრობს შესიტყვება „დაიწერა-დაწერენ“. ეს არის დალოცვის ფორმულა. ამგვარი შესიტყვება დასალოცავად რამდენიმეჯერ არის გამოყენებული ანდერძში და თვით თხზულებაში; – შატბერდს მამად გრიგოლ, ძე ლიპარიტისი, სახელითა მამისა გრიგოლისა-

¹ ედიშერ ჭელიძე, გრიგოლ ხანძთელის ლიტერატურული მემკვიდრეობის გამო, მნათობი, 1964, №10, გვ. 157-161.

თა შემკობილი – ქრისტემან სრულიად შეამკვენ მადლი-
თა მისითა...“ „ესე ბაგრატ გულისკმის ყოფითა ქებულ...
წმიდათა ყოველთა ღირსად მადიდებელ – წმიდათა ოხად
მარადის შემწე ყვავნ მას აქა და საუკუნოდ, რომელმან
ნეტარისა მამისა გრიგოლის ცხორებად ესე განაახლა სას-
წაულთა მათ გამოკრებულთა შერთვითა – შემცართულ
არს იგი რიცხუსა პირველთა მათ წმიდათა... რომელმან
ჩვენ გლახაკთა შვილთა მამისა გრიგოლისათა, ყუედრებად
მოგვისპო – უფალმან ბრალთა მისთა ყუედრებად, რომელსა
ეჯდეს, მოუსპენ მას სრულიად“.

მოყვანილ მაგალითებში ოთხი წყვილია ჩვენთვის საინ-
ტერესო შესიტყვებისა: შემკობილი – შეამკვენ, წმიდათა –
წმიდათა, შერთვითა – შემცართულ არს, ყუედრებად მოგვის-
პო – ყუედრებად, რომელსა ეჯდეს, მოუსპენ მას სრულიად.

აქ საქმე გვაქვს გავრცელებულ მხატვრულ ხერხთან,
როცა დალოცვაში მეორდება პირველი წინადადების სიტყვა
და არ შეიძლება ეს სიტყვა პირველისაგან განსხვავებული
მნიშვნელობის იყოს, რადგან მაშინ დალოცვის მაგიერ წყევ-
ლა გამოვა. მაშასადამე შესიტყვებაში დაიწერა – დაწერენ
ერთი მნიშვნელობის წერა უნდა გვქონდეს. აქ არ შეიძლე-
ბა სიტყვის „დაწერენ“ შემოქმედებით პროცესთან დაკავ-
შირება. დასალოცავი პირები უნდა „დაეწერონ“ (ჩაეწერონ)
სამოთხის წიგნში. მათი სულები უკვე არსებობენ. არ შეი-
ძლება მათი შექმნა-შეთხზვა. ასევე არ შეიძლება შემოქ-
მედების აღმნიშვნელი იყოს პირველი „დაიწერაც“. რჩება
მისი გაგების მხოლოდ ერთი შესაძლებლობა: ხანძთაში
გადაიწერა „გრიგოლის ცხორება“.

6. საყურადღებოა ნაცვალსახელი იგინი. ანდერძის დამ-
წერი ლოცავს სამ პირს: ხანძთის მონასტრის წინამძღვარს,
მის ძმას იოანეს და წიგნის აღმწერელ გიორგი მერჩულეს
და მათ მოიხსენიებს ნაცვალსახელით იგინი. მთქმელი ვე-
რასოდეს შეძლებს მესამე პირის მრავლობითი რიცხვის ამ

ნაცვალსახელში – „იგინი“, რომ თავისი თავიც იგულისხმოს. ამ სიტყვის მთქმელისათვის ეს სამი პირი დიდად საპატივცემულო სხვა, მესამე პირები არიან. ე. ი. ანდერძი მერჩულეს დაწერილი არ არის. იგი მეოთხე პირს ეკუთვნის.

7. ყურადღება უნდა მივაქციოთ კიდევ ერთ დეტალს: რა ხასიათის დალოცვაა „ქრისტემან წიგნსა მას ცხოველთასა დაწერენ იგინი“. ეს არის დიდი პატივის, სულის უკვდავოფის სურვილი იმ პირთადმი, რომელთა გულმოდგინებითაც „დაიწერა“ გრიგოლის ცხოვრება. ამგვარ დიდებას იესო ქრისტე აღუთქვამს თავის მოწაფეებს: „სახელები თქვენი დაწერილ არს ცათა შინა“ (ლუკა 10, 20). ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს ვიცოდეთ, რომ გიორგი მერჩულეს ხსენებულ „წიგნში“ მოხვედრა თავისთვის მიუწვდომელ დიდებად მიაჩნია. ეს ჩანს თხზულების დასაწყისიდან, სადაც იგი ღაპარაკობს იმაზე, რომ დიდ მეუღაბნოეთა ცხოვრება „მიუწვდომელად ჩვენგან დაწერილთა – საუკუნოდ ზეცათა შინა ანგელოზთა თანა – წიგნსა მას ცხოველთასა – ...ქუეყანასა მას ქართლისასა აღუწერილობითა დასჭირდესო“ {2}.

არ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ეს „მიუწვდომელი“ დიდება და პატივი მეტისმეტად მოკრძალებულმა გიორგი მერჩულემ თავის თავს უსურვა, ან ის დაეუშვათ, რომ მან ეს თეოდორესა და იოანეს უსურვა და თავისი თავიც მათ მიაყოლა, არ გამოყო მათგან.

სასულიერო პირები ანდერძ-მინაწერებში ხშირად თხოულობენ მკითხველ-მსმენელისაგან “ლოცვათა შინა“ მოხსენიებას, ცოდვათა მიტევებას, შეწყალებასა და შენდობას, მაგრამ არა დიდებას, უკვდავების შარავანდელს, ან სხვა ამის მსგავს პატივს. მათთვის დამახასიათებელი და სავალდებულო თავმდაბლობა არ იძლევა ამის დაშვების უფლებას. ამ მხრივ საინტერესოა ერთი მაგალითი: გრიგოლ დვთისმეტყველის თხზულებათა კრებულის გადამწერს მთარგმნელის, ექვთიმე მთაწმინდელის ანდერძი: „ლოც-

ვა ყავთ გლახაკისა ეფთჳმესათჳს, მონანო ქრისტესნო,“ – ასე გაუგრძელებია: „ესე თუთ დაუწერია, მე ესრეთ ვიტყჳ: ღმერთმან აღიდენ მამად ეფთჳმე“. (A 92, XI -ს., 203 r).

არ შეიძლება იმის დაშვება, რომ თეოდორეს ან იოანეს, ან გიორგი მერჩულეს, რომელიმე მათგანს „თუთ დაუწერია“ თავისი თავის დიდება. ამიტომ, უნდა დავასკვნათ, რომ მათთვის ამ დიდების მსურველი უნდა იყოს სხვა პირი, თხზულების გადამწერი.

ნაშრომში „მესხ მელექსეზე თქმული“ ჩვენ ვივარაუდეთ, რომ თეოდორე, იოანე და წიგნის ავტორი გიორგი მერჩულე სამივე ერთად იყო გადამწერი ვრცელი თხზულებისა. დამლოცველი წინადადების შინაარსის გათვალისწინება სხვაგვარად აზუსტებს აბზაცის შინაარსს: თეოდორეს, იოანეს და გიორგი მერჩულეს „სამთავე ამათ ერთად გულსმოდგინება“ მდგომარეობს შემდეგში: მათი ერთობლივი სურვილისა და მონდომების შედეგად მათი თხოვნით თუ დავალებით მეოთხე პირმა გადაწერა „გრიგოლ ხანძთელის ცხორება“. ე. ი. ეს პირები აღნიშნულ კონტექსტში დასახელებული არიან ხელნაწერის მომგებლებად.

8. სიტყვა „გულსმოდგინება“ ხელნაწერთა ანდერძებში გავრცელებული ტერმინია, აღმნიშვნელი სწორედ მომგებელთა და არა ავტორთა, ან გადამწერთა ღვაწლისა. ხელნაწერები ან თხზულებები იწერებოდა მომგებელთა „ნებითა“, „ბრძანებითა“, „მოსწრაფებითა“, „სურვილითა“ და ყველაზე ხშირად „გულსმოდგინებითა“. მაგ., შეგვიძლია ვთქვათ, რომ იოანე საბანისძემ „აბო ტფილელის წამება“ შექმნა სამოელ ქართლის კათალიკოსის გულსმოდგინებითა: „მნებავს, რადთა დაიწეროს სანატრელისა ამისცა მარტვილობად და დაიდვას იგიცა კათოლიკე ეკლესიასა შინა....“.

„ვეფხისტყაოსნის“ მომგებლები არიან თამარ მეფე და დავით სოსლანი: „მიბრძანეს მათად საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა“.

გარკვეული სამუშაოს შესრულების სურვილის გარდა, ამ ტერმინში მომგებელთა სხვაგვარი გარჯა არ იგულისხმება.

ამრიგად, ტერმინი „გულსმოდგინება“ მკაფიოდ განსაზღვრავს თეოდორეს, იოანესა და გიორგი მერჩულეს როლს ხელნაწერის შექმნის საქმეში.

9. ანდერძში ყურადღებას იპყრობს აგრეთვე დათარიღების წესი. აქ ხდება გულმოდგინე, ვრცელი დათარიღება. გამოყენებულია წელთაღრიცხვის სხვადასხვა სისტემა: დასაბამითგანი, ქორონიკონი, ჩამოთვლილია მრავალი პირი, ვისი ზეობის დროსაც მოხდა თხზულების გადაწერა: საერონი, სასულიერონი. ასეთი დათარიღება გვხვდება მხოლოდ გადამწერთა ანდარძებში. ძველი ქართული მწერლობის პირველი სამი პერიოდიდან ჩვენამდე არ მოღწეულა ორიგინალური თხზულება, ავტორისაგან რომ იყოს დათარიღებული. მეოთხე პერიოდშიც ძირითადად ასეთი მდგომარეობა გვაქვს. გამოჩნდა მხოლოდ თითო-ოროლა გამონაკლისი, მაგალითად, მამუკა ბარათაშვილის „ჭაშნიკი“, ანტონ კათალიკოსის თხზულებები. ავტორებს ახასიათებთ მხოლოდ ზოგადი მითითება თხზულების შექმნის დროზე. ექვთიმე ათონელის შრომები ძირითადად თარიღდება იმის მიხედვით, მამის სიცოცხლეში უთარგმნია, თუ მამის სიკვდილის შემდეგ, გიორგი მთაწმინდელისა – დეკანოზობაში თუ წინამძღვრობისას. სულხან-საბა ორბელიანს „სიბრძნე-სიცრუისა“ დაუწერია „ჟამსა სიჭაბუკისა მისისა“ ვახტანგ VI-ის თხზულებათა თარიღი ისაზღვრება იმის მიხედვით, სად იმყოფებოდა მათი შექმნისას ავტორი – საქართველოში, სპარსეთსა თუ რუსეთში. დავით გურამიშვილის „დავითიანს“ ათარიღებს მირიან ბატონიშვილისადმი მირთმეული არზა, ერთ-ერთ ლექსს გურამიშვილი ასე ათარიღებს: „ოდეს დავით გურამიშვილი კისტრინის ომში ცხენითურთ ღიაში დაეფლა, იმის მონასიბად ღვთისმშობლის შესხმა“...

და ა.შ.

ძირითადად არც მთარგმნელები ათარიღებენ თავიანთ შრომებს. მაგრამ მათგან ავტორები მაინც უნდა განვასხვაოთ, რადგან ის იშვიათი შემთხვევები, როცა ძეგლები დათარიღებულია, მხოლოდ მთარგმნელებთან გვხვდება. სტოდიერის ერთ-ერთ ნუსხას (A 500) შემოუნახავს გიორგი მთაწმიდელისეული ამგვარი დათარიღება: „... ხოლო ითარგნა მიხაელის მეფობასა, ქორონიკონსა სიბ“ (1042წ.) უამრავი პირის ჩამოთვლა მთარგმნელთა ანდერძებს არ ახასიათებთ.

ამრიგად, „გრიგოლ ხანძთელის ცხორების ანდერძში“ დათარიღების წესითაც შეიცნობა გადამწერი. გადამწერთა ანალოგიური ანდერძები ის. AI, H 1346 ხელნაწერთა აღწერილობაში.

10. ანდერძში გადამწერს გამოთვლილი აქვს გრ. ხანძთელის გარდაცვალებიდან რამდენი წლის შემდეგ მოხდა თხზულების გადაწერა. ეს მომხდარა 90 წლის შემდეგ. ასეთი გამოთვლა რამდენად ახასიათებთ გადამწერებს?

ვერ ვიტყვით, რომ განსხვავებული ან დაკანონებული საქციელი იყო. მაგრამ იმის თქმა შეგვიძლია, რომ ავტორის მიერ ასეთი დათარიღების შემთხვევა არა გვაქვს, გადამწერის ანდერძზე კი შეგვიძლია მივუთითოთ.

თედო ჟორდანიას უბის წიგნაკში № 444 ამოწერილი აქვს ანდერძები ქართული ხელნაწერებიდან, რომელთაგან ამჟამად ზოგი აღარ ჩანს. 62 v-ზე ამოწერილია ასეთი ანდერძი (ასომთავრულით, ხვეულად): „აღმწერელი მის შრომისა მიზნად მხილველთაგან ლოცვისა ყოფად ვმოქნეობ“.

(გარშემო ხვეულად) „ქ. განსრულდა ჰელითა უცებად მწერლის მთავარდიაკონის აპრონისათა დეკემბრით კბ, ვ-ე მარტის კზ. დასაბამითგან სოფლისა შვიდ ათას ას ორმოცდაცხრას, ქრისტეს აქეთ ათას შვიდას ორმოცდაერთსა, ქკ-ს უკთ, ნინოს მიცვალებითგან აქამომდე გარდასრული წელი ათას სამას ორმოცდაათია“.

მაშასადამე, მთავარდიაკონ აპრონს გადაუწერია „ნინოს ცხორების“ შემცველი ხელნაწერი“ და „გრ. ხანძთელის ცხორების“ გადამწერივით გამოუანგარიშებია აგიოგრაფიული თხზულების გმირის, წმ. ნინოს გარდაცვალებიდან რამდენი წელი იყო გასული ამ დრომდე, ათას სამას ორმოცდათიო, – ამბობს იგი.

ამ გამოანგარიშებით, წმ. ნინო გარდაცვლილა 391 წელს. აი, გადამწერის ანალოგიური საქციელი.

ვფიქრობთ, მრავალი დეტალი ამჟღავნებს, „გრ. ხანძთელის ცხორების“ ანდერძში გადამწერს და უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ იგი ნამდვილად გადამწერისაა.

დასამტკიცებლად იმისა, რომ „გრიგოლ ხანძთელის ცხორების“ ანდერძი გადამწერისაა და არა გიორგი მერჩულესი, შესაძლებლობა გვაქვს მოვიშველიოთ ისტორიულ-ლიტერატურული ფაქტებიც.

რაკი ანდერძი გადამწერისაა, 951 წელი (პაულე ინგოროყვას გამოანგარიშებით – 950 წელი) გადაწერის თარიღი გამოდის. ამიტომ თხზულება უფრო ადრე უნდა იყოს შექმნილი. კერძოდ, როდის?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა დაისვას ასეთი კითხვა – ანდერძის გარეშე როგორ დათარიღდებოდა თხზულება?

ამის დასამტკიცებლად მივმართოთ კვლავ ტექსტს.

გიორგი მერჩულე აღნიშნავს, რომ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების აღწერას იგი მოელოდა ისეთი ბრძენი მამებისაგან, როგორიც იყვნენ: სოფრომ შატბერდელი, ილარიონ პარეხელი, გიორგი მაწყვერელი, სტეფანე მტბევარი და „სხვანი მსგავსნი მათნი“. მან მათი გარდაცვალების შემდეგ გადაწყვიტა თვითონ მოეკიდა ხელი ამ საქმისათვის.

სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, რომ ჩამოთვლილ პირთაგან X საუკუნის პირველი მეოთხედის გასულისათვის ცოცხლად საგულგებელი არც ერთი აღარ

არის ¹. მაშასადამე, გიორგი მერჩულეს გადაწყვეტილება, თვითონ დაეწერა თხზულება, უნდა დათარიღდეს X ს. I მეოთხედის გასულით.

ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანად 26 წელი (თუ თხზულებას 951 წელს დაწერილად მივიჩნევთ), თქმა არ უნდა, რომ მეტისმეტად ხანგრძლივი დროა. ვფიქრობთ, ანდერძს რომ არ მოეღწია, თხზულება დათარიღებული იქნებოდა X საუკუნის 30-35-იანი წლებით, რადგან 5-7-10 წელი ყველას ვარაუდით, საკმარისად იქნებოდა მიჩნეული გიორგი მერჩულესათვის თხზულებაზე მუშაობის ვადის განსასაზღვრავად.

საყურადღებოა ერთი დეტალიც:

გიორგი მერჩულეს „გრ. ხანძთელის ცხორებას“ და ბასილ ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხორებას“ ჰყავთ ერთი საერთო პერსონაჟი – მიქელ პარეხელი. ამ პირის ბიოგრაფიის ზოგიერთი დეტალი ამ თხზულებებში სხვადასხვანაირად არის წარმოდგენილი და, საერთოდ, ჩანს, რომ ავტორები ერთმანეთის ნაწარმოებებს არ იცნობენ. აკად. კ. კეკელიძე ამ ფაქტის შესახებ ასე მსჯელობს: „სერაპიონის ცხორება“ მის ძმისშვილს ბასილს, რომელსაც წინამძღვრობა მიუღია პავლეს შემდეგ (დაახ. 916-926წწ.), დაუწერია დაახლოებით X საუკუნის მეორე ათეულის მიწურულში, ოციოდე წლით ადრე, ვიდრე გრიგოლ ხანძთელის „ცხორება“ დაიწერებოდა. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ გრიგოლის შესახებ აქ ხსენება არ არის. მართალია, არც გრიგოლ ხანძთელის „ცხორება“ იხსენებს სერაპიონის „ცხორებას“, მაგრამ ეს აიხსნება ალბათ იმით, რომ ავტორს, გიორგი მერჩულეს, როდესაც ის თავის თხზულებას წერდა, ჯერ კიდევ არ სცოდნია, წაკითხული არ ჰქონია სერაპიონის „ცხორება“ ².

¹ კ. კეკელიძე, ძვ. ქართული ლიტ-ის ისტორია, ტ. I, თბ., 1980, გვ. 144, მისივე, ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, გვ. 120, პავლე ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 12.

² კ. კეკელიძე, ძვ. ქართ. ლიტ-ის ისტორია. ტ. I, თბ., 1980, გვ.150.

ამრიგად, გამოდის, რომ X საუკუნის 30-იან წლებში დაწერილი „სერაპიონ ზარზმელის ცხორება“ მისი დაწერიდან 20 წლის შემდეგაც წაკითხული არ ჰქონია გიორგი მერჩულეს.

ეს ფაქტებიდან გამომდინარე იძულებითი დასკვნაა, რომელიც გამორიცხავს სამხრეთ საქართველოს მონასტერთა შორის კულტურულ სიახლოვეს.

ვფიქრობთ, ის ფაქტი, რომ ავტორები –გიორგი მერჩულე და ბასილ ზარზმელი ერთმანეთის თხზულებებს არ იცნობენ და მათ არ ასახელებენ, უნდა აიხსნას იმით, რომ ეს თხზულებები ერთდროულად იწერებოდა.

მაშასადამე, ვარაუდი, რომ „გრიგოლ ხანძთელის ცხორება“ დაწერილი უნდა იყოს X საუკუნის 30-იან წლებში, ამ ფაქტითაც არის გამაგრებული.

როდის მოხდა თხზულების ინტერპოლაცია?

როგორც თხზულებაშია აღნიშნული, თხზულებაში სასწაულები ჩაურთო ბაგრატ ერისთავთ-ერისთავმა, ადარნასეს ძემ. თხზულების დაწერის თარიღად რაკი 951 წელი იყო მიჩნეული, ინტერპოლაცია ამ წლის შემდეგ იყო საგულისხმებელი. ამიტომ ინტერპოლატორ ბაგრატ ერისთავთ-ერისთავად, სხვა გზა არ იყო, უნდა მიჩნეულიყო ადარნასე III-ის ძე ბაგრატ IV ერისთავთ-ერისთავი და ინტერპოლაცია უნდა დათარიღებულიყო მისი მეფობის წლებით. აკად. ი. ჯავახიშვილისა და აკად კ. კეკელიძის აზრით, 958-966 წლებით, პავლე ინგოროყვას აზრით, 961-966 წლებით.

ჩვენი აზრით, ინტერპოლატორ მეფედ არ შეიძლება მივიჩნიოთ ეს ბაგრატი. ამის მიზეზი შემდეგია:

ავტორი ბაგრატ მეფესა და მის მამას ადარნასეს ამკობს „დიდის“ ეპითეტით: “მათ შორის იპოვა ძმ დიდისა ადარნასე კურაპალატისაჲ ბაგრატ ერისთავთ-ერისთავი ძალითა ღმრთისაჲთა დიდი ჰელმწიფჳ“ (70).

აქ მოხსენიებული დიდი კურაპალატი ადარნასე არ შეი-

ძლებს იყოს ადარნასე III, ბაგრატ IV ერისთავთ-ერისთავის მამა, რომელსაც კურაპალატობა არ დასცაღდა. 958 წელს, ამ ტიტულის მიღების შემდეგ, შვილებმა – ბაგრატმა და დავითმა – ხელისუფლება წაართვეს და ბერად აღკვეცეს – „ფიხოსან ექმნენ“¹.

ასევე „დიდი ჳელმწიფე“ ბაგრატ ი არ შეიძლება იყოს „ფიხოსანქმნილი“ ადარნასეს ძე ბაგრატ IV ერისთავთ-ერისთავი – პირი, რომელიც, მას შემდეგ, რაც ძმასთან ერთად მამა ბერად შეაყენა, სიკვდილამდე (966წ.) ამ ძმასთან ერთად იყოფდა სამეფო ხელისუფლებას. დამოუკიდებელი ხელმწიფე იგი საერთოდ არ ყოფილა, ძმები ერთად მოღვაწეობდნენ და ერთად აშენებდნენ ოშკის ტაძარს². დამოუკიდებელ მეფედ ამ ბაგრატის სიკვდილის შემდეგ გახდა მისი ძმა – დავით ერისთავთ-ერისთავი, 978 წლიდან დავით კურაპალატად წოდებული.

„დიდი ადარნასე კურაპალატი“ უნდა იყოს ადარნასე II (899–923), რომელიც ხანგრძლივად კურაპალატობის გარდა, „ქართველთა მეფის“ ტიტულითაც იყო შემკობილი. ადარნასე II, როგორც ცნობილია, პირველი იყო ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებს შორის, რომელმაც ეს დიდი ტიტული დაიმკვიდრა. ეს ტიტული მიიღეს შემდეგ მისმა ვაჟებმაც – ჯერ დავითმა, შემდეგ ბაგრატმა. ე. ი. ბაგრატ II ერისთავთ-ერისთავი, ბაგრატ მაგისტროსი, იყო ბაგრატ I „ქართველთა მეფე“. სწორედ ეს უნდა იყოს გიორგი მერჩულეს „დიდი ჳელმწიფე“ ბაგრატი. ქართველთა მეფის ტიტული მისმა შვილმა, ადარნასე III-მ, და შვილიშვილმა, ბაგრატ IV ერისთავთ-ერისთავმა, ვერ მიიღეს. ეს ტიტული გადავიდა

¹ ექ. თაყაიშვილი, სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონების შესახებ. თბ., 1949, გვ. 46-48; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973, გვ. 475.

² საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973, გვ. 475.

სხვა შტოში – 958 წელს. „ქართველთა მეფედ“ ცნეს ბაგრატ ქართველთა მეფის ძმის სუმბათ კურაპალატის ძე, ბაგრატ ერისთავთ-ერისთავი, რომელიც 994 წლამდე მეფობდა (ბაგრატ III- ის მამის, გურგენ მეფეთა მეფის მამა) ¹.

პავლე ინგოროყვა აღნიშნავს: „გიორგი მერჩულეს საისტორიო ცნობები აღბეჭდილია ხოლმე განსაკუთრებულის სიზუსტით და, ცხადია, გამოთქმა “დიდი იგი ჳელმწიფე ფრიადთა ნათესავთაჲ“-არ არის შემთხვევითი და უსაფუძვლოდ ნახმარი ². ამ შემთხვევაში გურგენ ერისთავთ-ერისთავუა ლაპარაკი, მაგრამ იგივე შეიძლება გავიმეოროთ ბაგრატ ერისთავთ-ერისთავისა და მისი მამის ადარნასეს შესახებ. ე. ი. გამოთქმაში „ძვ“ დიდისა ადარნარსე კურაპალატისაჲ, ბაგრატ ერისთავთ-ერისთავი, ძალითა ღმრთისაჲთა დიდი ჳელმწიფე“, – შემთხვევით არ უნდა იყოს სიტყვა “დიდი“ ორჯერ ნახმარი. ეს სიტყვა „დიდი“ უნდა მიემართებოდეს იმ მამა-შვილს, რომლებიც როგორც სამეფო ტიტულებით, ისე რეალური ხელისუფლებით მალლა იდგნენ მეორე მამა-შვილზე.

ამრიგად, თხზულების ინტერპოლატორ მეფედ უნდა მივიჩნიოდ ბაგრატ II ერისთავთ-ერისთავი (937-945). ბაგრატ მაგისტროსი, ქართველ მეფეთა სათვალავში ბაგრატ I-ად წოდებული.

არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც, ჩვენი აზრით, საფუძველს იძლევა, რომ მეფის მიერ სასწაულთა ჩართვა მომხდარ ფაქტად აღვიქვათ 951 წლისათვის.

„გრიგოლ ხანძთელის ცხორების“ ანდერძი, ძირითადად ორ კითხვაზე იძლევა პასუხს: როდის, ვისი ზეობის დროს დაიწერა ხელნაწერი და ვისი გულმოდგინების შედეგად. აქ

¹ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973, გვ. 475.

² გიორგი მერჩულე, გვ. 100

მოსალოდნელი იყო მესამე კითხვაც – ვის მიერ დაიწერა, ანუ გადაიწერა ხელნაწერი. ეს არ არის აღნიშნული ანდერძში. ე. ი. გადამწერი ასეთ ვრცელ ანდერძში არ აცხადებს თავის ვინაობას, რაც საკვირველი ფაქტია.

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, ანდერძი მოთავსებულია თხზულების ბოლო ორი თავის 85-86-ის წინ. თვით ანდერძი წარმოადგენს 83-84 თავებს. რასაკვირველია, საგულისხმებელია, რომ მის წინ დამთავრდა თხზულება: გარდაიცვალა მთავარი გმირი, დასრულდა ავტორის თხრობა, დასრულდა ტექსტის გადაწერა და გადამწერმა დაიწყო თავისი ანდერძი. მაგრამ არ გვაქვს ავტორის მიერ თხზულების დამთავრების მაუწყებელი სიტყვიერი ბოლო სამკაული – „უკუნითი უკუნისამდე ამინ“. ასეთი დასასრულის გარეშე, არ არსებობს არცერთი სასულიერო ხასიათის თხზულება. ეს დასასრული „გრიგოლ ხანძთელის ცხორებაში“ მოშლილია და გადამწერის ანდერძი აზრობრივად მიბმულია ტექსტთან. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს დასასრული მოშალა გადამწერმა. გარდა ამისა, მან თავისი ანდერძი შეიტანა თხზულების თავთა სათვალავში – 83-ე და 84-ე თავებად მიანომრა ძირითად ტექსტს. მაშასადამე, მან მოახდინა ტექსტის გარკვეული ინტერპოლაცია.

ანდერძს კიდევ მოსდევს ორი თავი, რომლებშიც აღწერილია გრიგოლ ხანძთელის ორი მოწაფის – ეპიფანესა და ბასილის ცხოვრების ეპიზოდები. მეცნიერთა საერთო აზრით, ეს ორი თავი შემდეგ, სხვის მიერაა მიმატებული.

ვინ უნდა იყოს ეს სხვა – ამ ორი თავის ავტორი? გადამწერი თუ კიდევ სხვა რიგით მესამე ინტერპოლატორი? თხრობიდან ჩანს, რომ იგი ხანძთაში მოღვაწე პირია და ისევ, როგორც ძირითადი ტექსტის ავტორს – გიორგი მერჩულეს, მასაც თხრობაში თავისი თავი შემოჰყავს პირველი პირით: „პირველ ყოფილი სასწაული გუეხმა ბერთაგან ჩუენთა“ (85); „ხანძთას მკკლრი გაბრიელ მოძღვარი, ფრიად

მოდუაწვე ნეტარი წმინდად მამად გვითხრობდა,, (86). ისმის ასეთი კითხვა: ჰქონდა თუ არა, მორალური უფლება ყველა ინტერპოლატორს თავისი თავი პირველი პირით შემოეყვანა თხრობაში და ამით განურჩეველი გამხდარიყო ავტორისაგან. რასაკვირველია, ვგულისხმობთ, რომ ამგვარი კითხვის დასმა მხოლოდ სასულიერო მწერლობასთან დაკავშირებით შეიძლება.

ცნობილია, რომ იმ დროს აგიოგრაფიულ თხზულებათა შევსება-გაგრძობა სხვა პირის მიერ არ ითვლებოდა დანაშაულად. ექ. თაყაიშვილი ამის შესახებ აღნიშნავს: „ჩვენი ეხლანდელი შეხედულებით, რა თქმა უნდა, ეს თხზულების დამახინჯებას ნიშნავს, მაგრამ იმ დროის რწმენით, ეს საქებარი საქმე იყო“¹. მართლაც ასეთი საქციელისათვის ქება-დიდება აქვს შესხმული ბაგრატ ერისთავთ-ერისთავს „გრიგოლ ხანძთელის ცხორებაში“. „გიორგი მთაწმიდელის ცხორების“ ავტორი გიორგი მცირე თხზულების ბოლოში სწერს გიორგი შეყენებულს, რომ მისი თხზულება, რომელსაც ბევრი „ნაკლულებანებად“ ახლავს თან, შეძლებისამებრ სრულყონ მან და მისმა შემდგომმა მოღვაწეებმა: კაცად კაცადმან, რომელიცა შეემთხვოს, შესძინენ ნაკლულებანებასა ამას ზედა და განასრულენ“².

ამ საკითხისადმი ასეთი დამოკიდებულება არ აიძულებდა თხზულების ყველა „სრულმყოფელს“ ეზრუნა თავისი თავის დამალვაზე და ყველა ჩანამატი ისე შეესრულებინა, ვითომც ავტორისეულიაო. მაგალითად, სერაპიონ ზარზმელის ცხორების ინტერპოლატორი აშკარად გამოყოფს თავის თავს თხზულების ავტორისაგან ამ ავტორზე ასეთი

¹ ექ. თაყაიშვილი, სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონების შესახებ. თბ., 1949, გვ. 87.

² კ.კეკელიძე, ძვ. ქართული ლიტ.-ის ისტორია, ტ. I, თბ., 1980, გვ. 248.

მითითებით: „რამეთუ თვთ დასწერს ბასილი, რომელმან ცხორებაჲ ესე წმიდისა აღწერა“¹. ამიტომ ვერ წარმოვიდგენთ, რომ „გრიგოლ ხანძთელის“ ცხოვრებაში ავტორის მსგავსად მრავალმა ინტერპოლატორმა შემოიყვანა თავისი თავი პირველი პირით, და, როგორც ზევით ვთქვით, ამით განურჩეველი გახადა თავისი თავი ავტორისაგან. ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ თხზულებაში სხვა არცერთი სასწაულის მთხრობელი არ არის პირველი პირი. ესე იგი, ბაგრატ ერისთავთ-ერისთავს, რომელმაც „ცხორება“ განაახლა სასწაულთა ჩართვით, თხზულებაში თავისი თავი არ შემოუყვანია „მე“ და „ჩვენ“ ნაცვალსახელებით.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ბოლო თავების მიმმატებელი უნდა იყოს თხზულების გადამწერი. სწორედ მას შეეძლო ამ თავებში პირველი პირით განეგრძო ლაპარაკი, რაკი თავისი თავი ანდერძში უკვე ამგვარად რამდენჯერმე შემოიყვანა. მხედველობაში განსაკუთრებით გვაქვს ანდერძის მეორე ნაწილი, რომელიც თხზულების 84-ე თავად ითვლება. ამ ნაწილში გადამწერი ავტორისდაგვარად მხატვრულსიტყვაობს და აქებს ნაწარმოების გმირ წმინდანებს, მოჰყავს ციტატები სოლომონ ბრძენისა – მსგავსი რამ კი არ სჩვევიათ გადამწერთა ანდერძებს. ამ თავს პავლე ინგოროყვამ სათაურად „ბოლო სიტყუა“ დაარქვა². შინაარსის მიხედვით ეს სათაური მართლაც შესაფერისია ამ ტექსტისთვის.

ამგვარად, ანდერძის 83-ე თავი, გადამწერის ტიპური ან-

¹ აქ “დაწერა” - “აღწერა” ტერმინების საინტერესო შეხვედრა გვაქვს “რამეთუ თვთ დასწერს ბასილი” – ამ ფრაზის აზრი ასეთია: რამეთუ თვით ამბობს, თვით აღნიშნავს ბასილი.

² გიორგი მერჩულე, „ცხორება გრიგოლ ხანძთელისა“. დედანი აღადგინა და გამოკვლევა დაურთო პავლე ინგოროყვამ, თბ. 1949, გვ. 139.

დერძია, თავისი საერთო სტრუქტურით, სტილით, ტერმინოლოგიით, შინაარსით. ანდერძის 84-ე თავი კი, შემოქმედებითი ნიშნით არის აღბეჭდილი. ამასთანავე, მისი ავტორი მერჩულესავით პირველი პირით ლაპარაკობს თავის თავზე. იმის თქმა არ შეიძლება, რომ 83-ე და 84-ე თავები ე. ი. ანდერძის პირველი და მეორე ნაწილი სხვადასხვა პირის დაწერილია. 84-ე თავი აზრობრივად აგრძელებს 83-ეს და სათქმელის დასასრულის მაუწყებელი „ამინ“ მხოლოდ ამ თავის ბოლოს გვაქვს.

სწორედ ეს გვაფიქრებინებს, რომ ანდერძის ავტორი არ უნდა იყოს უბრალო გადამწერი. მისი სახით უნდა გვყავდეს თხზულების გადამწერ-ინტერპოლატორი. თავისი თავი მან ანდერძის წერისას, როგორც ვთქვით, ინტერპოლატორად უკვე გამოავლინა იმით, რომ თხზულებას დასასრული მოუშალა და თავისი ანდერძი თხზულების თავთა სათვალავში შეიტანა – 83-ე და 84-ე თავებად დანომრა. გარდა ამისა, ანდერძის ბოლო ნაწილი მხატვრულად დაწერა. ხოლო იმ საქციელით, რომ ასე ვრცელ ანდერძში არ მოიხსენია თავისი თავი, გაამჟღავნა ის, რომ რაღაც ჰქონდა ჩაფიქრებული. ეს ჩანაფიქრი უნდა ყოფილიყო თხზულების გაგრძელება. მართლაც, მან პირველ პირშივე განაგრძო თხრობა და ანდერძის შემდეგ კიდევ მიამატა თხზულებას 85-ე და 86-ე თავებად დანომრილი სასწაულები.

მაშასადამე, გამოიკვეთა მიზეზი რატომ დარჩა ვრცელ ანდერძში გადამწერი უცნობ პირად. ანდერძში თავისი თავი მას მხოლოდ გადამწერად უნდა ეხსენებინა. სასწაულთა დართვის შემდეგ კი იგი მშვენივრად სხვა ღვაწლითაც. ამიტომ გადამწერმა თავისი თავის მოხსენიება სასწაულთა ბოლოს განიზრახა. მაგრამ ეს „ბოლო“ ნაწარმოებს აღარა აქვს. თხზულება მთავრდება პერსონაჟის სიტყვებით რაც უჩვეულოა სასულიერო ხასიათის თხზულებისათვის. უნდა ვიფიქროთ შემდეგი: გადამწერი კიდევ აპირებდა სასწაულთა

მიმატებას, მაგრამ ვეღარ მოახერხა. ან იერუსალიმურ ხელნაწერში თხზულება გადაწერილია ბოლონაკლული დედნიდან.

დგება კიდევ ერთი საკითხი. ინტერპოლატორ-გადამწერმა რატომ არ მოაქცია თავის მიერ აღწერილი სასწაულები ანდერძის წინ? ცხადია, რომ ამ საქციელთ მან აშკარად და შეგნებულად გამოჰყო თავისი ნახელავი ძირითადი ტექსტიდან.

თხზულების ერთ-ერთ ბოლო თავში გვხვდება ქება-დიდება ბაგრატ ერისთავთ-ერისთავისა, რომელმაც „გრიგოლ ხანძთელის ცხორება“ განაახლა „სასწაულთა მათ გამოკუებულთა“ შერთვითა. გადამწერ-ინტერპოლატორს ანდერძის წინ რომ ჩაეწერა თავისი შეთხზული ნაწილი, მაშინ მოხდებოდა მისი ნახელავის მეფის ნაღვაწთან შერევა, რაც თავმდაბალმა ბერმა არც ისურვა და იკადრა¹. თავისთავად იმ ფაქტის ცოდნამ კი, რომ თხზულებას ჩაემატა სასწაულები და ეს საქებ საქმედ იქნა მიჩნეული, მასაც მისცა იდეა, მასაც გააბედვინა ამ საქმეში თავის მხრივაც შეეტანა წვლილი, მაგრამ, როგორც ვთქვით, მან თავისი ნაღვაწი საგანგებოდ გამოყო ავტორისა და მეფის შრომისაგან იმით, რომ იგი ანდერძის შემდეგ მოაქცია.

ასე აშკარად გამოყოფილი თავისი ნაღვაწი გადამწერმა ძირითადი თხზულებისაგან მტკიცედ განუყოფლად აქცია იმით, რომ თხზულებას დასასრული მოუშალა და თავისი ანდერძი აზრობრივად მიაბა ტექსტს. სასწაულები კი ანდერძთან, ნუმერაციის გარდა მიბმულია ერთი პირისადმი კუთვნილების თვალსაზრისით. ამგვარად, იგრძნობა, რომ სასწაულთა ავტორი, პირველი პირით მთხრობელი, იგივე

¹ არც ის არის გამორიცხული, რომ ასე მიუთითა ავტორმა, ხელნაწერის ერთ-ერთმა მომკვებელმა.

პირია, რომელიც ანდერძში თავის თავზე ლაპარაკობს – ანდერძის დამწერი ანდერძის შემდეგ თხრობას განაგრძობს და მისი ნათხრობი თხზულებისაგან მოუცილებელი ნაწილია.

ვფიქრობთ, გამოკვეთილად გამოჩნდა ის, რომ მეფის მიერ სასწაულთა ჩართვა მომხდარ ფაქტად მივიჩნით 951 წლისათვის. 951 წლის გადამწერს, უკვე ხელთ ჰქონდა თხზულების შევსებულ-გავრცობილი რედაქცია. თხზულება დანომრილია თავების მიხედვით. გადამწერის ანდერძი 83-ე, 84-ე თავებია. ბაგრატ მეფის ქება, მისი სასწაულები კი თხზულებაში ამაზე წინა თავებშია.

თხზულების შევსება-გავრცობა უნდა მოეხდინა, როგორც ვთქვით, ბაგრატ II ერისთავთ-ერისთავს, 937-945 წლებში, ქართველ მეფეთა რიგში ბაგრატ I-ად წოდებულს.

შეიძლება ცდა ამ თარიღის კიდევ უფრო დაკონკრეტებისა. ბაგრატთან დაკავშირებით გიორგი მერჩულე ახსენებს ეზრას – ანჩის ეპისკოპოსს: „რომელთა შორის იპოვა ძმ დიდისა ადარნერსე კურაპალატისაჲ, ბაგრატ ერისთავთ-ერისთავი, ძალითა ღმრთისაჲთა დიდი ჴელმწიფჳ, ეზრადს ზე, ღირსისა ანჩელ მამათ მთავრისა ეპისკოპოსისა, დიდებულთა აზნაურთა დაფანხულთა შვილისა“.

როგორ უნდა გავიგოთ ამ ტექსტის შინაარსი – როცა ეზრა იყო ანჩის ეპისკოპოსი, ბაგრატი მაშინ იყო ელმწიფედ, თუ მაშინ განაახლა „გრიგოლ ხანძთელის ცხორება“.

პირველ შემთხვევაში გამოდის, რომ ბაგრატის მეფობა თარიღდება ეზრას ეპისკოპოსობით, რაც უცნაურად ჩანს. ჯერ ერთი, იმით, რომ მეფის მოღვაწეობა რატომ უნდა დათარიღდეს ეპისკოპოსის მოღვაწეობით, მეორეც ის, რომ ეზრა იქნებ ხანგრძლივად იყო ეპისკოპოსი და მრავალ მეფესაც მოესწრო, მაშინ როგორ განისაზღვრება მისი მოღვაწეობით ბაგრატის მეფობის ხანა.

ამრიგად, პირველი ვარაუდი მიუღებელია.

მეორე შემთხვევაში თარიღდება თხზულების ინტერპოლაცია – ეს შესაძლებელია, თუ ეზრას ეპისკოპოსობა არ გას-

დევდა ბაგრატის მეფობის მთელ პერიოდს, მაშინ, მართლაც შეიძლება იმის მითითება, რომ ბაგრატმა განაახლა „ცხორება“ მაშინ, როცა ეზრა იყო ანჩის ეპისკოპოსი.

ამრიგად, ეზრას ეპისკოპოსობა უნდა ემთხვეოდეს ბაგრატის ხანმოკლე ხელმწიფობის (937-945) პირველ ან ბოლო წლებს. უფრო საფიქრებელია, პირველ წლებს, რადგან 951 წელს, როცა თხზულება გადაიწერა, უკვე, და ვინ იცის, რამდენი წლით ადრეც, „ანჩის ეპისკოპოსი იყო მაკარი“. ეზრას ეპისკოპოსობა რომ ბაგრატის მეფობის ბოლო წლებს დაემათხვიოთ, მაშინ მეტად ხანმოკლე მოღვაწეობის პერიოდი რჩება ეზრას. მისი ეპისკოპოსობის ზედა ზღვარს კი თუ 40-იანი წლების დამდეგით ან გასვლით განვსაზღვრავთ, მაშინ ქვედა ზღვარმა 30-იან წლებამდეც, ან კიდევ უფრო ქვევითაც შეიძლება დაიწიოს ¹. ასეთ შემთხვევაში გამოდის, რომ თხზულება არამარტო განაახლდა, არამედ დაიწერა კიდევ „ეზრას ზე, ღირსისა ანჩელ მამამთავრისა ეპისკოპოსისა“. დაიწერა, დაახლოებით, X საუკუნის 30-იან წლებში და განაახლდა 40-იან წლებში.

ხანძთის მონასტერში, რასაკვირველია, „გრიგოლ ხანძთელის ცხორების“ ხელნაწერი ამ თხზულების შექმნის პერიოდიდანვე იღებოდა. 951 წელს საჭირო გამხდარა ახალი ნუსხის გადაწერა, ახლა უკვე გავრცობილ-გადამუშავებულისა. ხანძთის მონასტრის წინამძღვრის, მისი ძმის იოვანესა და წიგნის ავტორის, გიორგი მერჩულეს ერთობლივი სურვილით ეს საქმე განუხორციელებია ხანძთელ ბერს, რომელსაც თავის მხრივაც შეუტანია წვლილი თხზულების სასწაულებით გამდიდრებაში.

მრავალთავი XIX, 2001 წ.

¹ გრიგოლის მოწაფე ევრემი 40 წელს ეპისკოპოსობდა. (44)

რუსთველოლოგიის ზოგიერთი პრობლემური საკითხი

შოთა რუსთაველის პოემის სრულყოფილ შესწავლას, მისი მხატვრულ-იდეური სამყაროს შეცნობას მრავალი ნაშრომი მიეძღვნა. გამოიკვეთა ორი მიმართულება – პოემის სიმბოლურ-ალეგორიული, ანუ სახისმეტყველებითი, ინტერპრეტაცია, და რეალისტური თვალთახედვით აღქმა.

რუსთველის პოემის ალეგორიულობის იდეა პირველად მეფე ვახტანგ მეექვსემ წამოაყენა თავის „თარგმანში“. მას შემდეგ მრავალმა მეცნიერმა გამოთქვა თავისი შეხედულებები პოემის შესახებ (ზვიად გამსახურდია, გვ. 8), მაგრამ ისეთი სიღრმით, ყოვლისმომცველად და ამომწურავად, როგორც ეს ზვიად გამსახურდიას წიგნშია („ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება“, თბ., 1991) მოცემული, არც ერთი მეცნიერის ნაშრომში არ გვხვდება.

მთელი რიგი საკითხების ახლებურ დანახვას, რაც აღნიშნულ წიგნშია მოცემული, კორექტივები შეაქვს XX საუკუნის მთელ რუსთველოლოგიურ მონაპოვარში. თურმე სხვაგვარად უნდა იქნეს გააზრებული ვეფხისტყაოსნის პერსონაჟთა ხასიათები, მთავარი მოტივები. სხვა კრიტერიუმებით არის საჭირო ამ საკითხებისადმი მიდგომა. მეტი ნათელი ეფინება პოეტის რელიგიური აღმსარებლობის, პოემის მთავარი იდეების, რენესანსის საკითხებს და სხვ. ეს დიდ ცვლილებებს იწვევს პოემის რეალისტური პლანით დანახულ სამყაროში. აი, ამის ნათელყოფას ისახავს მიზნად ჩვენი ნაშრომი ¹. ამიტომ ამ საკითხების განხილვას ჩვენ მივყვ-

¹ ნაშრომი შემოკლებული სახით წავიკითხეთ 1999 წ. 9 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ზვიად გამსახურდიას დაბადებიდან 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სესიის სხდომაზე სათაურით: ზვიად გამსახურდიას „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება

ბით არა იმავე სახისმეტყველებითი, ანუ სიმბოლურ-ალეგორიული, ინტერპრეტაციით, არამედ რეალისტური თვალთახედვით, ე. ი. იმ სახით, რა სახითაც ძირითადად არსებობს დღევანდელი რუსთველოლოგია, რა სახითაც ისწავლება იგი სკოლებსა თუ უმაღლეს სასწავლებლებში.

1. მეფის ღმრთისსწორობის იდეა და ვეფხისტყაოსანი.
XII საუკუნის საქართველოში, აბსოლუტური მონარქიის ხანაში, მეფის ღმრთისსწორობის იდეამ განსაკუთრებულ სიმაღლემდე მიაღწია ¹. ეს იდეა მჭიდროდ დაუკავშირეს ქვეყნის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ ინტერესებს. შემუშავდა მესიანისტური კონცეფცია, რომლის მიხედვითაც დავით წინასწარმეტყველის შთამომავალი, თამარ მეფე, დროებით ინკარნირებული ღვთაებრივი სული, მთელი კაცობრიობის მხსნელად იყო მოვლინებული. მისი წინამძღოლობით, რჩეულ ქვეყანას, ღვთისმშობლის წილხვედრს, მთელი ქრისტიანული სამყარო უნდა ეხსნა მუსლიმთაგან.

მეფის ღვთიური წარმოშობის იდეა მსოფლიოს მრავალი ქვეყნისათვის იყო დამახასიათებელი. მაგ., ეგვიპტეში ფარაონებს მზის შვილებად მიიჩნევდნენ, ირანის შაჰებს ალაჰის აჩრდილი ერქვათ, ოსმალეთის სულთანს მაჰმადის მოადგილე და ვეჟილი და სხვ. ამ მხრივ ისეთი ვითარება იყო საქართველოში, შეიძლება ითქვას, რომ ამას არ ჰქონდა ანალოგი. აქ მეფე არა მარტო გაუტოლეს ღმერთს (შეიქმნა ტიტული - „ღმრთისსწორი“, „იზოთეოს“, რომელსაც ბიზანტიის კეისარსაც უწოდებდნენ), არამედ მასზე მაღლაც კი

და რუსთველოლოგიის ზოგიერთი პრობლემური საკითხი.

1996 წ. 4 ოქტომბერს ნაშრომის პირველი ორი თავი, სათაურით „ავთანდილი – ემა „ღმრთისა სწორთა“ შორის“ – მოხსენებად წავიკითხეთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში.

¹ ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1966, გვ. 121, 123, 125.

დააყენეს. „მეფის გაღმერთება, ანდა სამების მეოთხე ჰიპოსტასად დასახვა, მხოლოდ ბაგრატიონთა დინასტიასთან არის დაკავშირებული“, – აღნიშნავს მ. კარბელაშვილი¹. მაგ., თამარის ისტორიკოსი, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი, წერს: „აქა კულა სამებისა თანა იხილვების თამარ, მისწორებული და აღმატებული“. იგივე ავტორი „ტაბახმელის ბეთლემმყოფელს „უწოდებს თამარს, რომელმაც „მუნ შვა ძე, სწორი ძისა ღმრთისა“².

„უსაშველო მკრეხელობა“, – აღნიშნავს ამ განცხადების გამო აკაკი ბაქრაძე³. შალვა ნუცუბიძის აზრით, „მსოფლიო ლიტერატურის ისტორიამ არ იცის საღმრთო წერილის მოვლენათა სხვა ასე ახალი, წარმართულ-მკრეხელური გამოხატვის ნიმუში“⁴.

„ისტორიანი და აზმანის“ ავტორს თამართან ერთად ღმერთთან გათანაბრებულად მიაჩნია მთელი სამეფო ოჯახი: „გარდაიცვალა დედოფალი ბურდუხან, სწორი ძისა ღმრთისა დედისა“; წმ. გიორგი სახსენებელი არ ყოფილა მეფე გიორგი III-სთან შედარებით: „მუნ თუ ერთი ვეშაპი, ამან კულა ბევრნი სახენი ასპიტთა და იქედნეთანი სძლივნა უძლეველმან მხედარმანო“ (გვ. 7-8). ეს „უსაშველო მკრეხელობა“ არანაკლებ ძლიერად და უშიშრად გამოხატეს მეხოტბეებმა, რადგან ეს ხდებოდა ამ იდეის „ტოტალური ბატონობის“ ხანაში. ჩახრუხაძეს თამარ მეფე ესახება „წინაგამწყოდ ძისა, სწორად მამისა“ და ა.შ. (ვ. ნოზაძე, ვეფხისტყაოსნის ღვთისმეტყველება, გვ. 218-222).

რუსთველი არ დამდგარა სახელმწიფო იდეოლოგიის

¹ ბაგრატიონთა დინასტია და ქართული პოლიტიკური თეოლოგია. ლიტ. ძიებანი, XX, 1999, გვ. 96-128.

² ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959, გვ. 25, 26.

³ დავიწყებული იდეა, ქართული მწერლობა, ტ. 5, თბ., 1988, გვ. 5.

⁴ შალვა ნუცუბიძე, შრომები. ტ. IV, თბ., 1936, გვ. 261.

საწინააღმდეგო პოზიციაზე. იგი მეფეთა დიდებაში მხარს უბამს მეხოტბეებს და ეს დიდად საპატიო, თავმოსაწონებელ საქმედ მიაჩნია. პოეტი ამაყად აცხადებს:

„ჩემი აწ ცანით ყოველმან, მას ვაქებ ვინცა მიქია,
ესე მიხს დიდად სახელად, არ თავი გამიქიქია“ (192).

ამ განცხადებასთან ერთად იგი გვაუწყებს, რომ პოემა დაწერილი აქვს მეფეთა დაკვეთით, თამარ მეფისა და მისი ლომის, დავით სოსლანის, ბრძანებით - „მათად საქებრად“. დღეისათვის ეჭვმიუტანელ ფაქტად არის მიჩნეული, რომ ნესტან-თინათინისა და ტარიელის მხატვრული სახეების მიღმა თამარ მეფე და დავით სოსლანი დგანან. სწორედ ეს დიდებული პირები არიან პოემის მთავარი გმირების პროტოტიპები. ამ გმირების მიმართ ავტორი ისეთსავე საკრალურ ეპითეტებსა და შედარებებს ხმარობს, როგორც თამარისა და დავითის მიმართ არის გამოყენებული სახოტბო ძეგლებში. ამიტომ არის, რომ რამდენიმე მკვლევარს, მათ შორის ზვიად გამსახურდიას, ჩახრუხადისა და რუსთველის იგივეობის ეჭვიც აქვს გამოთქმული.

რუსთველი პროლოგის დასაწყისშივე გვაუწყებს, რომ მეფეს ხელისუფლება ღმრთისაგან აქვს მინიჭებული. თვით მეფე ღმრთის სახის მატარებელია: „რომელმან შექმნა სამყარო..., მისგან არს ყოველი ხელმწიფე სახითა მის მიერთა“.

„სახითა მის მიერთა“ ღმრთის მიერ ყოველი ადამიანია შექმნილი. ხელმწიფე იმით განსხვავდება სხვა ადამიანებისაგან, რომ იგი ღმერთთან გატოლებული, ღმრთისსწორი პიროვნებაა. პოემაში მეფეები ღმრთისსწორებად იხსენიებიან: „ღმრთისა სწორნი მოვიმდურვენ“, „ბრძანებაა ღმრთისა სწორთა“ და სხვ.

რუსთველოლოგიურ მეცნიერებაში ყველაფერი ეს მთელი სისრულით აღნიშნული და აღიარებული ფაქტია. მიუხედავად ამისა, ყველაფერი ეს უგულებელყოფილია მთავარი

გმირების ხასიათსა და მთავარ მოტივებზე მსჯელობისას. ამიტომ, სიმართლეს თუ ვიტყვით, ამ საკითხების კვლევა დღემდე სწორი გზით არ არის წარმართული და მნიშვნელოვანი კორექტივები სჭირდება. ეს განსაკუთრებით ტარიელისა და ავთანდილის მხატვრულ სახეთა გააზრებას ეხება.

ილია ჭავჭავაძე აღშფოთდა, როდესაც აკაკი წერეთელმა ტარიელში ზარმაცი ქართლელი დაინახა, ხოლო ავთანდილში ცბიერი იმერელი, ნაცვლად ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის გმირებისა. მაგრამ აქ მთავარი შეცდომა იყო არა ის, რომ აკაკიმ „ვეფხისტყაოსნის“ გმირები ვიწრო ეთნოგრაფიულ ჩარჩოებში მოაქცია, არამედ ის, რომ ისინი წარმოიდგინა თანასწორუფლებიან საფუძველზე მდგომ ორ ლიტერატურულ პერსონაჟად, რომელთა შესახებ თავისუფლად შეიძლებოდა დასმულიყო კითხვა – აბა, რომელი რომელს სჯობია.

ილია ჭავჭავაძემ თუმცა აკაკისგან დიდად განსხვავებული აზრი განავითარა, მაგრამ საკითხს იმავე არასწორი პოზიციიდან იხილავდა. ამიტომ იყო, რომ მან ტარიელი, თუმცა დამამცირებელი ბრალდებებისაგან იხსნა და, როგორც გმირი, განადიდა, მაგრამ ავთანდილს გარკვეული უპირატესობა შეუნარჩუნა. იგი ავთანდილზე ამბობდა: „ეგ ჭკუის დამკითხველი კაცია და არა გულის, გულისთქმისა, როგორც ტარიელი. გული და გრძნობა ამისი ჭკუის მორჩილია“.

ეს არასწორი მიდგომა პერსონაჟების ხასიათების კვლევას გამოჰყვა მთელი საუკუნე და, როგორც აღვნიშნეთ, მოსდევს დღემდე, თუმცა კი დიდი და რადიკალური ცვლილებები მოხდა და დიდი წარმატებებიც იქნა მიღწეული. ტარიელოლოგიის მაღალ საფეხურზე დაყენებაში განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს აკად. აღ. ბარამიძის წვლილი, მაგრამ აღნიშნული ნაკლის გამო საკითხმა სრულყოფილ-

ბას მაინც ვერ მიაღწია. ამის გამო ინტელექტუალურ სფეროში ავთანდილს უპირატესობა მაინც შეუნარჩუნდა. ავთანდილი ინტელექტუალური საწყისის გამოძახებულ გმირად იქნა მიჩნეული, ტარიელი კი გრძნობადისა. აქ წამოიჭრა კითხვა: ავთანდილში მშრალ ინტელექტს უნდა ვხედავდეთ და ტარიელში ცარიელ გრძნობას, თუ ავთანდილსაც აქვს გრძნობა და ტარიელსაც აქვს გონება? დღეისათვის უფრო შემრიგებლური, კომპრომისული თვალსაზრისია გაბატონებული, რომ ავთანდილიც ღრმად მგრძნობიარე ჭაბუკია. ასევე ტარიელიც მაღალი ინტელექტის მქონე პიროვნებაა. მაგრამ მათ შორის ის სხვაობაა, რომ ავთანდილში გონება ბატონობს გრძნობაზე ხოლო ტარიელში, პირიქით გრძნობა ბატონობს გონებაზე. ტარიელის დევიზია: “ჰკითხე ასთა, ჰქმენ გულისა, რა გინდ რა ვინ გივაზიროს“. ავთანდილის სამოქმედო პრინციპია: „რაცა არ გწადდეს, იგი ქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა“.

რეალურ მონაცემებზე დაყრდნობით, ქართველ მეცნიერთა აზრი ერთსულოვანია იმის შესახებ, რომ პოემაში აზრისა და გრძნობის სრული ერთობაა. იმოწმებენ ციტატას:

„გული, ცნობა და გონება ერთმანერთხედა ჰკიდიან,
რა გული წავა, იგიცა წავლენ და მისკენ მიდიან“,

მაგრამ მაინც გმირები სხვადასხვა საწყისის გამოძახებულ პიროვნებებად რჩებიან. ზოგი უფრო გრძნობიერი, ზოგი უფრო გონიერი.

მაგ., აკად. შალვა ნუცუბიძე ამტკიცებს: „აზრისა და გრძნობის ერთობა არა იდეალი, არამედ ბუნება იყო რენესანსის ადამიანებისა. ჩახრუხაძე მტკიცედ ადგას ამ გზას. აზრის სიღრმე ინტიმურადაა შერწყმული გრძნობადი ლტოლვის ძალასთან და ისინი ჰარმონიულადაა შეხამებული პოეტურ გამოხატულებაში. გაივლის ერთი საფეხურიც და რუსთაველი დაავგირგვინებს ქართულ და ამავდროს აღმოსავლურ რენესანსს და შემდეგი სიტყვებით

გადმოგვცემს ადამიანის რეალური პიროვნების მოტიანობის სურათს:

„გული, ცნობა და გონება ერთმანერთზედა ჰკიდიან,
რა გული წავა, იგიცა წავლენ და მისკენ მიდიან“ (8482)

ამ საფეხურზე რენესანსი უკვე ჰუმანიზმამდეა გამოკვეთილი (ტ. IV, გვ. 305).

რამდენიმე ფურცლის შემდეგ კი იგი ბრძანებს: „როდესაც რუსთაველი ტარიელში ემოციურ საწყისს ავითარებს, ავთანდილში კი ინტელექტუალურს, იგი არც ერთ მათგანს არ აცლის ნებისყოფას, მაგრამ პირველი მათგანის ნება იმპულსურია, იგი ხან თვლემს, ხანაც იფეთქებს, მეორესი კი ცნობიერია და გეგმაზომიერად მოედინება“ (გვ. 371).

ეს მხოლოდ და მხოლოდ ილია ჭავჭავაძის მძლეთამძლე ავტორიტეტის ზეგავლენით შეიძლება აიხსნას.

უპირატესობათა ასეთი განაწილება ემსახურება ამ ორი გმირის ხასიათთა ინდივიდუალურობის, ერთმანეთისგან განსხვავებულობის ჩვენებას. ამის შედეგად კი გამოდის, რომ ავთანდილი გონებით, ინელექტით და ნებისყოფით დაყენებულია ტარიელზე მაღლა. პროფ. ნოდარ ნათაძე ამის საწინააღმდეგოდ აცხადებს, რომ „პოემის მონაცემებით ეს არ მართლდება“. მას მიაჩნია, რომ ამ ორ გმირს შორის ინდივიდუალური სხვაობა ძირითადად მომდინარეობს იმ ორი სამყაროს სრული სხვაობისაგან, რომელშიც მათი მოქმედება იშლება. ნესტანისა და ტარიელის სამყარო ბრძოლის, ვნებების, ფეოდალურ და სამიჯნურო სწრაფვათა შეჯახების სამყაროა... როსტევეანის და თინათინის სამყარო, პირიქით, ნათელია და ჰარმონიული. აქ ნათლისა და მზის სახე-სიმბოლო ბატონობს და ა.შ. (ნოდარ ნათაძე, დროთა მიჯნაზე, თბ., 1974, გვ. 259).

ამ მსჯელობის მიხედვითაც არ ჩანს, რაში მდგომარეობს ძირითადი სხვაობა ამ ორ გმირს შორის. ისინი კვლავ თანასწორუფლებიან საფუძველზე მდგომ ორ ლიტერატურულ

პერსონაჟად აღიქმებიან.

ეს თვალსაზრისი ახლოს დგას პროფ. ვლ. ნორაკიძის თვალსაზრისთან, რომელიც 40-იან წლებშია გამოთქმული. მისი აზრით, ტარიელისა და ავთანდილის ხასიათებს შორის სრული იგივეობაა. „განსხვავება მათ შორის მხოლოდ მათი განცდებისა და ქცევების განსხვავებულ სიტუაციაში მიმდინარეობის შედეგია“. ეს თვალსაზრისი შეფასებული აქვს აკად. აღ. ბარამიძეს. (იხ. შოთა რუსთაველი და მისი პოემა, თბ., 1966, გვ. 108-115). და აი, ზვიად გამსახურდიას წიგნი - „„ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება». აქ ხდება თვალის ახელა – იმაზე მითითება, როგორ უნდა უცქერდეს მკითხველი პოემის ორ მთავარ გმირს – ტარიელსა და ავთანდილს. ეს ცხადი ხდება იმ ადგილიდან, სადაც განხილულია ამ ორი გმირის ერთმანეთის პირისპირ პირველად წარდგომის, მათი გაცნობის ეპიზოდი. მისი დიდი მნიშვნელობის გამო მთლიანად მოვახდენთ მის ციტირებას.

ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ როგორ მიმართავენ ერთმანეთს ტარიელი და ავთანდილი პირველივე შეხვედრის დროს.

ტარიელი:

„აწ ვაშად მოხვე, მემამ ნახვა შენისა პირისა!
ტანად სარო და პირად მზე, ამაყად მსგავსი გმირისა,
გარჯილხარ, მაგრამ არა ხარ გარდაუხდელი ჭირისა,
მნელია პოვნა კაცისა ღმრთივ ზეცით განაწირისა“ (296)

ამ მიმართვაში არაფერია საკრალური. აქ პირდაპირ ნაჩვენებია, როგორ ახასიათებს ვაჟკაცი ვაჟკაცს. ნახმარია კონვენციალური შედარებები: „პირად მზე“, „ტანად სარო“, რომელიც შეიძლება ვიხმაროთ ყოველი ღირსეული რაინდის დახასიათებისას. მაგრამ თუ დავაკვირდებით ავთანდილის პასუხს ამ შექებაზე, დავინახავთ, რომ იგი ეხება არა ჩვეულებრივ ადამიანს, არამედ საკრალურ, ზებუნებრივ არსებას, რომლის არსიც ნათელია თეოსოფიური ენის გამგე-

ბისათვის:

„ავთანდილ უთხრა: „ვით მაქებ საქები ბრძენთა ენისა,
მაგისად ნაცვლად რამც ვიყავ ღირსი ქებისა თქვენისა!
სახე ხარ მზისა ერთისა, ზეცით მნათისა ზენისა,
რათგან ვერ შეგცვლის პატიჟი ეგზოში ცრემლთა ღენისა“ (297)

აქ ავთანდილი თეოსოფიური ენით მეტყველებს და პირდაპირ ეუბნება ტარიელს, რომ იგი არის ლოგოსი, ანუ სახე „ერთისა მზისა“, ანუ „ერთისა“ (ღვთისა) არა იმ მზისა, რომელიც ცით გვინათებს, არამედ ზეცით მნათისა ზენისა („ზენა“ არ ნიშნავს მატერიალურ ცას, იგი სულიერი ცაა, სასუფეველია) (გვ. 204-205).

აი, ამ ეპიზოდის შინაარსის გასხნით ზვიად გამსახურდიამ ცხადი გახადა, რა თვალთ უნდა ვუმზიროთ ამ ორ პერსონაჟს. რომ ავთანდილი და ტარიელი ერთმანეთის პირისპირ დგანან როგორც მშვენიერი გმირი ჭაბუკი და ინკარნირებული ლოგოსი, ანუ ქრისტე ღმერთი.

აი, ეს მიგვაჩნია საკითხისადმი ერთადერთ სწორ მიდგომად, და ეს სწორი მიდგომა საუკუნეზე მეტ ხანს აკლდა ამ საკითხის კვლევას. არც შეიძლება ამ მიდგომის სისწორეში ეჭვის შეტანა, რადგან დავით სოსლანის განმასახიერებელი პერსონაჟი პოემაში უნდა ყოფილიყო სწორედ ისეთი და მხოლოდ ისეთი, როგორადაც თანამედროვეებს დავით სოსლანი ჰყავდათ დასახული.

პოემაში ტარიელი მეფის ძეა, ინდოეთის ტახტის მემკვიდრედ არის გამოცხადებული. შემდეგ კი ინდოეთის ხელმწიფე ხდება. ამრიგად, იგი ღმრთისსწორი პიროვნებაა. ავთანდილი კი ამირსპასალარის ძეა და ჩვეულებრივი ადამიანია.

ტარიელი, სარიდან მეფის ძე, იშვილა ფარსადან მეფემ. ავთანდილიც როსტევან მეფის შვილობილია. მე ვარო „ძე დიდებულთა დიდგვართა, ზრდილი მეფეთა შვილობით“. მაგრამ აქაც დიდი სხვაობაა ამ შვილობილობათა შორის.

როცა ტარიელი ფარსადანმა მამას დაუბრუნა, ტარიელი არ გამხდარა მისი ყმა, რადგან ტარიელის მამა არ იყო ფარსადანის ყმა. იგი ფარსადანს დიდ პატივში ჰყავდა. „თვით მეფემან მამაჩემი დაიჭირა სწორად თავსა“. – ამბობს ტარიელი. იგი ფარსადანს ზოგჯერ პატრონს უწოდებს, მაგრამ თავს მის ყმად არასოდეს იხსენიებს.

ავთანდილი კი არასოდეს გამოსულა როსტევეანის ყმის მდგომარეობიდან. „მე ვარ ყმა როსტან მეფისა, მოყმე არაბეთს ზრდილობით“. – აცხადებს იგი.

ტარიელი და ავთანდილი ერთმანეთისაგან აღზრდის წესებითაც განსხვავდებიან. ტარიელს ტახტის მემკვიდრედ ზრდიდნენ, სამეფოდ ამზადებდნენ:

„მეფემან და დედოფალმან მიმიყვანეს შვილად მათად,
საპატრონოდ მზრდიდეს სრულთა ღაშქართა და ქვეყანათად,
ბრძენთა მიმცეს სასწავლებლად ხელმწიფეთა ქცევა-ქმნათად“ (3193).

ავთანდილიც მეფის კარზე, რა თქმა უნდა, მიიღებდა დიდ განათლებას, მაგრამ სამეფო წვრთნას, „ხელმწიფეთა ქცევა-ქმნათად“ სწავლას არ დაუწყებდნენ. ვინც მეფის კარზე იზრდებოდა, ყველასათვის რომ მეფობა ესწავლებინათ, ეს არც იქნებოდა მიზანშეწონილი. გარკვეულ სფეროში კი, კერძოდ, ზნე-ჩვეულებებში, ავთანდილი გაუწვრთნია თვით როსტევეან მეფეს. ვიცით, რომ ავთანდილისათვის მას უსწავლებია „სამამაცლონი ზნენია“.

ამრიგად, ტარიელისა და ავთანდილის ვინაობასა და აღზრდას შორის დიდი სხვაობაა. ტარიელი ღმრთისსწორი პიროვნებაა და ამიტომ მის სახეს დავით სოსლანთან კავშირი რომ არც ჰქონდეს, მაინც ღვთაებრივ პიროვნებად მისაჩნევია და არ შეიძლებოდა მისი ჩვეულებრივ ადამიანთან, სპასპეტ ავთანდილთან თანაბარ საფუძველზე დაყენება. ასევე დაუშვებლად უნდა ყოფილიყო მიჩნეული ავთანდილში ინტელექტუალური საწყისის დანახვა, ე. ი. გონებით ღმრთისსწორ პიროვნებაზე მაღლა დაყენება.

ასეთი მსჯელობის უფლებას გვაძლევს იმ ეპოქის თავისებურების გათვალისწინება, რომელშიც შეიქმნა „ვეფხისტყაოსანი“, თორემ სხვა საუკუნეებში, დიდი კატაკლიზმების დროს, როცა საქართველოს პოლიტიკური ძლიერება დაეცა და ბაგრატიონთა მესიანისტური იდეა „დავიწყებული იდეა“ (ა. ბაქრაძე) გახდა, უფრო შემდეგ კი, მაგალითად, XIX საუკუნეში, 60-იანელთა ასპარეზზე გამოსვლის შემდეგ, კონტრასტული იდეოლოგიით შეიცვალა, როდესაც ილია ჭავჭავაძემ „მეფეებისა და ომების ისტორიას ოხერი ისტორია“ უწოდა, როცა დაისვა საკითხი ისტორიაში ხალხის როლის წინ წამოწევისა, ანდა XX ს-ში, სოციალისტური რეალიზმის მეთოდით შექმნილ ნაწარმოებებში სავსებით შესაძლებელი და მოსაწონიც გახდა მეფეთა კრიტიკა და მათზე მაღლა ხალხის წრიდან გამოსულ გმირთა დაყენება.

რუსთველის ეპოქაში კი, როგორც აღვნიშნეთ, ქართველი მეფეები თავს სამებასთან მისწორებულად მიიჩნევდნენ. „უსაშველო მკრეხელობად“ მიჩნეული აზრები მატიანეში სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა ფორმით მეორდება: „სამებისაგან ოთხად თანააღზევებული“, „სამებისა თანა იხილვების ოთხად თამარ“ და სხვ., ასეთ ვითარებაში ჩვეულებრივ ადამიანთა წრიდან გამოსული პიროვნების მათზე მაღლა დაყენება კი არა, გატოლებაც პოლიტიკურად მიუღებელი იქნებოდა.

ამრიგად, ისტორიულ ვითარებასა და ეპოქის სულისკვეთებას თუ გავითვალისწინებთ, რუსთველი მეფეებს ჩვეულებრივ ადამიანებად ვერ გამოიყვანდა პოემაში. ისინი უნდა ყოფილიყვნენ საკრალური არსებები, ინკარნირებული დეოთაებრივი სულები, ანუ ღმრთისსწორები – თავიანთი ქვეშევრდომებისაგან დიდად განსხვავებული და მათზე ბევრად აღმატებული პიროვნებები. ამიტომ სრულ ჭეშმარიტებად უნდა მივიჩნიოთ ზვიად გამსახურდიას აზრი, რომ ტარიელი, ღმრისსწორთა უპირველესი წარმომადგენელი, პოემაში

ასახიერებს ინკარნირებულ ლოგოსს, ავთანდილი კი ჩვეულებრივ ვაჟკაცს.

ტარიელისა და ავთანდილის მსგავსად სხვადასხვაგვარი საწყისებია დანახული ნესტანისა და თინათინის ხასიათებშიც. თითქოს თინათინის გულისთქმა გონებას ჰყავს დამორჩილებული. ნესტანში კი გრძნობა უფრო მძლავრობს გონებაზე. ამ აზრის დამკვიდრებაც, როგორც ვიცით XIX საუკუნეში გამართული ცნობილი პოლემიკის შედეგად ხდება.

ვფიქრობთ, ასეთი მსჯელობის დროსაც უგულებელყოფილია მეფის ღმრთისსწორობის იდეა. ღმრთისსწორი არსება, უპირველეს ყოვლისა, ღმრთის მსგავსი უნდა იყოს თავისი ბუნებით, ანუ, როგორც რუსთველი ამბობს, უნდა იყოს „სახითა მის მიერთთა“. ეს კი არ ნიშნავს ღმრთის ერთ-ერთი პრედიკატის, რომელიმე საწყისის ნიშნით ყოფნას, არამედ ნიშნავს იმას, რომ ხელმწიფე უნდა ჰგავდეს ღმერთს მის მთლიანობაში. მასში თავმოყრილი უნდა იყოს თანაბარი ძალის ყოველგვარი დადებითი საწყისი, ანუ ღმრთისსწორში გამეორებული უნდა იყოს ღმერთის მოდელი.

თამარ მეფეს, როგორც ვნახეთ, უტოლებდნენ მამას, ძეს და სულიწმინდას, აგრეთვე ღვთისმშობელს. ამიტომ მასში არ შეიძლება დაენახათ გრძნობაზე ძლიერი გონება, ან გონებაზე ძლიერი გრძნობა. მასში უნდა დაენახათ ამ თვისებათა თანაბარი ძალით მფლობელი პიროვნება. რაკი შექმნილი იყო ტერმინი „ღმრთისსწორი“, უნდა სცოდნოდათ კიდევ მისი მნიშვნელობა და შინაარსი. ეს ასეც იყო. აი, როგორ მიმართავს დავით აღმაშენებელი ღმერთს:

„ხატსა თვისსა მამსგავსე
და საკრველად გრძნობადისა
და გონიერისა მყოფობისად დამაწესე
შენებრ არსთა სიტყვებისა
ჩემ შორისაცა შეკრებითა,
ხოლო მე უმადლო გექმენ“ - („გალობანი სინანულისანი“)

ამ სტროფიდან კარგად ჩანს, თუ რას გულისხმობს ღმრთის ხატთან მიმსგავსება, ანუ ღმრთისსწორობა, და როგორ ესმოდათ ეს იმ ეპოქაში – ეს ყოფილა გრძნობადისა და გონიერისა საკრველად, შემაკავშირებლად ყოფნა. რა თქმა უნდა, იგულისხმება თანაბარი ძალის გრძნობადი და გონიერი.

ხასიათში თვისებათა მეტნაკლებობა, მათი სხვადასხვა ხარისხი შეიძლება ახასიათებდეთ მხოლოდ ადამიანებს. ამის შესახებ პლატონი აცხადებს: „ადამიანთა შორის განსხვავება განსაზღვრულია იმის მიხედვით, – რომელი მოქმედება ჭარბობს მათში – გონიერი, განსჯითი თუ გრძნობითი, პოტენციურად ყოველი ადამიანი ფლობს სულის სამივე სახეს, რადგან სამივე წარმოქმნილია თვით მსოფლიო სულის ბუნებით. მაგრამ რომელი სახეობის სული ამოქმედდება მასში – გონიერი, განსჯითი თუ გრძნობითი, რომელი სული დაეუფლება მას „აქტუალურად“ (ენეიდები, VI, 7, 6), თვითონ ადამიანზეა დამოკიდებული“¹.

ამიტომ ტარიელში, ნესტანში, თინათინსა და სხვა ღმრთისსწორებში, თუ რუსთველს სურდა მათი ღმრთის ხატად დახატვა, არ შეიძლება ვეძებოთ რომელიმე თვისების პრიმატი და ისინი დავანაწილოთ გრძნობიერ და გონიერ პერსონაჟებად. ისინი უნდა გვევლინებოდნენ, როგორც დავით აღმაშენებელი ამბობს, „გრძნობადისა და გონიერისა საკრველად“. თუ ასე არ არის, მაშინ რუსთველს „ყოვლი ხელმწიფე“ კი არა, ვერც ერთი ხელმწიფე ვერ დაუხატავს „სახითა მის მიერთა“.

გამოდის, რომ ტარიელში უნდა დავინახოთ ისეთივე ძალის გონება, როგორი სიყვარული, სილამაზე, ან ძალ-ღონე და მეომრობის უნარიც აქვს. თინათინში უნდა დავინახოთ

¹ შალვა ხიდაშელი, რუსთაველის მსოფლმხედველობის საკითხები, თბ., 1981, გვ. 55.

ისეთივე ძალის გრძნობა, როგორც გონება აქვს და ნესტანში ისეთივე ძალის გონება, როგორც გრძნობა, ან სილამაზე აქვს, ხოლო ავთანდილში, შერმადინში, ასმათსა და სხვა პერსონაჟებში, რომლებიც ჩვეულებრივ ადამიანებს ასახიერებენ, შეიძლება ვარკვევდეთ, რომელი სული აქვთ მათ დაუფლებული უფრო აქტუალურად – გონიერი, განსჯითი თუ გრძნობითი.

2. „უცხოთა და საკვირველის“ საკითხი. „უცხოთა და საკვირველსა ყმასა რასმე გარდვეკიდუ, მისმან შუქმან განანათლა სამყარო და ცისა კიდუ“, – უთხრა როსტევანმა თინათინს და უამბო, როგორ ვერ შეძლო ამ მოყმის ვინაობისა და მწუხარების მიზეზის გაგება. მეფემ ვერ დაიკმაყოფილა ინტერესი – ეს არის მისი დაღრმეჯილობის მიზეზი. ამიტომ თინათინს ეუბნება: „სადამდისცა დღენი მესხნენ, ვეღარამან გამახარნეს!“.

ამ დროს რას განიცდიდა ავთანდილი? ვიცით, რომ იგი შეჰყვია როსტევანს საწოლში და ერთად ბჭობდნენ იმ დღეს მომხდარი ამბის შესახებ, მაგრამ მის განცდებზე ავტორი არაფერს გვეუბნება. ამ დროს ავთანდილი უკვე მკითხველის ყურადღების ცენტრში მოქცეული გმირია. ბუნებრივია, რომ, თუ მას რაიმე სტანჯავს ან აწუხებს, ავტორმა უნდა აუწყოს მკითხველს, სხვანაირად ვერ მოხდება გმირის პიროვნების შეცნობა. რაკი ავთანდილის განცდებზე არაფერია ნათქვამი, იგულისხმება, რომ ამ მხრივ მნიშვნელოვანი არაფერი ხდება.

თინათინს არ უნახავს უცხო მოყმე, მაგრამ მისი ვინაობის შეტყობის სურვილით ისიც თურმე როსტევანივით ჭმუნვით შეპყრობილი და შეჭირვებული ყოფილა: იგი ავთანდილს ეუბნება – თქვენ რომ მტირალი მოყმე გინახავთ, „მას უკანით გონებამან მისმან ასრე დამამხოცა“. შემდეგ უმატებს: „რომე დამხსნა შეჭირვება, ეშმა ბილწი ასაპყარე“, წადი და მონახეო.

კვლავ იბადება კითხვა: აწუხებდა თუ არა ავთანდილს უცხო მოყმეზე ფიქრი? როსტევეანზე და თინათინზე მეტად მას მართებდა დაინტერესება თავისი თანატოლის მწუხარების მიზეზით, მას უფრო უნდა გასჩენოდა მისი დახმარების სურვილი.

თინათინს უჩნდება მოქმედების იდეა – მამას ურჩევს, გაგზავნოს კაცები უცხო მოყმის საძებნელად. ავთანდილსაც შეეძლო ასეთი რჩევის მიცემა მეფისათვის, ან თვითონ ემოქმედა – ჰყავდა ყმები და შეეძლო მათთვის დავალების მიცემა. მაგრამ არ ჩანს, რომ მას აწუხებდა ეს ამბავი. როდესაც ჭმუნვით შეპყრობილი თინათინი მას იბარებს, ავთანდილს უდარდელ მხიარულებაში ვხვდავთ:

„ავთანდილ ჯდა მარტო საწოლს, ეცვა ოდენ მართ პერანგი, იმღერდა და იხარებდა, წინა ედგა ერთი ჩანგი“ (1203).

თინათინის დავალებას – მოეძებნა უცხო მოყმე – ავთანდილი საკმაოდ უხალისოდ შეხვდა:

„მე სიკვდილსა მოველოდი, შენ სიცოცხლე გამოიწამე, ვითა მონა, სამსახურად განაღამცა წავე, წა, მე“ (134₃₄).

ამ პასუხიდან გამოჩნდა, რომ ავთანდილს თვითონ გული არ მიუწევდა მოყმის საძებნელად.

„ვეფხისტყაოსნის“ წაკითხვამდე ქართველი მკითხველი იცნობდა „ამირანდარეჯანიანს“ და გაცნობილი იყო რაინდულ მორალს – რაინდი თავის მოვალეობად უნდა თვლიდეს დაეხმაროს გაჭირვებაში მყოფს, თუნდაც მას არ იცნობდეს, თუნდაც გაიგოს, რომ ეს უცხო ქვეყანაში ხდება. მან უნდა მიატოვოს ყველა და ყველაფერი და წავიდეს მის დასახმარებლად.

როგორ გამოიყურება ამ მხრივ ავთანდილი? რით აიხსნება მისი პასიურობა? ამ კითხვის პასუხი შეიძლება ისევ „ამირანდარეჯანიანის“ ერთ ეპიზოდში ვიპოვოთ:

აბესალომ ინდოთ მეფემ ნადირობისას ერთი სახლის

კედელზე ამირანისა და მისი ძმობილების სურათი ნახა და მათი ვინაობის შეტყობის სურვილით დადონდა: „არცა შექმნა პურობა და არცა გავიდა ნადირობასა, არცა გადაიხადა ნადიმი“. მთელ ქვეყანას მოედო მეფის შეჭირვების ამბავი.

ჯაზირ ვაზირთუხუცესმა ურჩია მეფეს: „ინადირეთ და ნადიმი გარდაიხადეთ. ყოველთა მეფეთ-მეფე ხართ და არ ეგების, თუმცა მათ კაცთა ამბავი არა სცნოთო“.

დაუჯერა ვაზირის რჩევას მეფემ, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ამიტომ უარესად დადონდა. ასე შეჭირვებულ მეფეს ისევ ჯაზირ ვაზირთუხუცესმა მოახსენა: „ცხოვნი, მეფეო, უკუნისამდე! მეცა შემექმნა შეჭირვება, თუ მათ კაცთა ამბავთა ვერა ვცნობო“.

ვაზირის ამ სიტყვებს ავტორი ასეთ კომენტარს ურთავს: „ესე ამისთვის თქვა, რომელ პირველ შევედრებულ იყო, მოახსენა და უკანის ვედარას ჰკადრებდა. არცა ვამს პატრონისა დიდი ცილობა“¹.

მაშასადამე, რაც მეფეს აინტერესებდა, იმისადმი ინტერესი რომ ყმასაც გამოემჟღავნებინა, არ „ვამდა“, არ შეიძლება. ეს პატრონის ცილობა იყო. ჯაზირ ვაზირთუხუცესმა წესი დაარღვია, მეფეს რომ უთხრა – მეც შეჭირვებული ვარო და ამიტომ მის საქციელს განმარტება და გამართლება დასჭირდა.

ძველმა ქართულმა ლიტერატურამ და ზეპირსიტყვიერებამ მხოლოდ ერთი მაგალითი იცის ყმის პატრონთან ინტერესში ცილობისა – ეს არის აბესალომ-მურმანის ტრაგედია. სხვა შემთხვევაში მეფის ამაღლა თუ მთელი სახელმწიფო გულგრილი რჩება საინტერესო ამბისა თუ საგნის მიმართ. ასე გულგრილი დარჩნენ ნადირობის შემდეგ აბესალომ ინ-

¹ მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი, ქართული მწერლობა, ტ. 2, თბ., 1987, გვ. 284.

დოთ მეფის დიდებულები. ასევე როსტევან მეფისა. ნად-
ირობისას, როდესაც „ზეიმი და ზარი იყო, სპანი ველთა
დაჰვარვიდეს“, როსტევან მეფის გულშემატკივრად გამოსუ-
ლი იქნებოდნენ ვეზირებიც, ე. ი. მათაც ნახეს უცხო მოყმე-
რა განიცადეს მათ?

საერთოდ, რუსთველი გვერდს არ უვლის ქვეშევრდომთა
განცდების ჩვენებას, თუ ასეთი რამ ხდება. ავთანდილის
გაპარვის გამო რომ მეფე როსტევანი ატირდა,

„ზარი გაისმა, შემოკრბა ჯარი მრავალი კაცისა,
დარბაზს ხასთაგან ჯარია ხელითა წვერთა ტაცისა,
იგლეჯს და იცემს ყველაი, ხმა ისმის თავსა ტკაცისა“ (825)

ავთანდილი და ფრიდონი რომ შესვდნენ ერთმანეთს და
ტარიელის გამო ატირდნენ,

„ლაშქარსა შიგან შეიქმნა ხმა ტირილისა დიდისა,
ზოგთაგან ხოკა პირისა, ზოგთაგან სრევა რილისა“, (1006),

მაშინ კი, როცა უცხო მოყმის ნახვით აღძრული ინტერ-
ესის გამო როსტევანი მგლოვიარობს, სასახლეში ჩამიჩქმი
არ ისმის. ალბათ, მართლა იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში არ
„ჯამდა“ პატრონისა ცილობა. აქ ერთი გარემოებაც არის
გასათვალისწინებელი: ინტერესით შეპყრობილი მეფე რომ
დაიღრეჯს და გარეთ არ გამოდის, მისი დიდებულებიც
რომ ასევე მოიქცნენ, რა მოხდება მაშინ? ვინდა იზრუნოს
მეფეზე? ე. ი. მათ არც მეფესთან ცილობის უფლება აქვთ
და არც მასავით ტანჯვისა.

სწორედ ამას უნდა გულისხმობდეს ავთანდილის სი-
ტყვები, ტარიელს რომ ეუბნება: შენის ნახვის შემდეგო მეფე-
ეს „ჭმუნვა შეექმნა, თქვენც იცით, ხელმწიფე ნებიერია“. ამიტომ არის, რომ შეჭირვებულს ჩვენ მხოლოდ მეფეებს
– როსტევანსა და თინათინს ვხედავთ.

ინტერესზე რომ ბატონობდნენ მეფეები, ეს ვეფხისტყაოს-
ნის სხვა ეპიზოდებშიც არის ასახული. კერძოდ, კარგად

ჩანს, რომ ყმა ინტერესზე უფლებააყრილი იყო არა მხოლოდ მაშინ, როცა პატრონის მხლებელი იყო, არამედ მაშინაც, როდესაც პატრონის გარეშე იმყოფებოდა.

აღამიანში ინტერესს იმსახურებს ის, რაც გამორჩეულია, საოცარი, უცხო და საკვირველი. „უცხოთა და საკვირველთა ყმასა რასმე გარდვეკიდე“, – ამბობს როსტევეან მეფე. ამიტომ მოინდომა მისი ამბის გაგება. ყველაფერი ასეთი „უცხო და საკვირველი“ ხელმწიფის კუთვნილება უნდა გახდეს ან მხოლოდ მისი ინტერესის საგნად იქცეს. ამ მოვლენას ჰიპერბოლურად შესანიშნავად გამოხატავს ზღაპარი „სიზმარა“. კარგი სიზმარიც მე მომეციო – თხოულობს მეფე ყმისგან.

ჯადოსნურ ზღაპრებში რაიმე საკვირველის მფლობელ ყმას ეშინია, ხელმწიფის ყურამდე არ მივიდეს მისი ამბავი და ცდილობს საიდუმლოდ შეინახოს იგი. ასევეა „ვეფხისტყაოსანში“. ფატმანს ეშინია, რომ უსენს მეფესთან არ წამოსცდეს, სახლში რომ ულამაზესი ქალი ჰყავთ. უსენმა ვერ შეძლო საიდუმლოს შენახვა და მეფეს თვითონ უძღვნა ეს ქალი. მეფემაც მაშინვე მოინდომა მისი დასაკუთრება.

ზღვათა მეფის სასახლიდან გაპარული ნესტანი ქაჯეთის ციხიდან სამეკობროდ გამოსულმა როშაქმა და მისმა ამაღამ დაატყვევეს. „როშაქ შეატყო ქალობა, გვერდსა წაუდგა ცხენითა“. მან მაშინვე გადაწყვიტა, რომ ეს საოცრად ლამაზი ქალი მიეგვარა ქალი ხელმწიფისათვის, დულარდუხტისათვის. ავტორი როშაქის ოჯახურ მდგომარეობას არ გვაცნობს, მაგრამ საცოლოც რომ ყოფილიყო, იგი ვერ გაბედავდა ნესტანის თავისთვის დატოვებას, ვერც რძლად წაყვანას.

საინტერესო ის არის, რომ როშაქის გადაწყვეტილებას საფუძვლად ედო არა მეფისადმი სიყვარული და ერთგულების გრძნობა, არამედ შიში – ეს ამბავი მაინც ვერ დაიმალებოდა, გამჟღავნდებოდა და როშაქს დასჯა და

შერცხვენა ელოდა:

„თუ დავმალავთ, გაემჟღავნდებით, მეფე ჩვენი ამაყია,
პირველ მათი შეცოდება, მერმე დიდი აუგია“ (1233₃₄).

ყველაფერი უცხო და საკვირველი რომ ხელმწიფის ხელში უნდა ჩავარდეს, ამის ერთგვარად განზოგადებულ აზრს შეიცავს როშაქის სიტყვები, საიდანაც ჩანს, რომ სხვა მეფეებთან შედარებით ამ მხრივ ბედი თურმე უფრო ქაჯთა ხელმწიფეს სწყალობდა:

„ბედი მეფისა ჩვენისა არსთაგან სანატრელია,
მით, რომე ღმერთი მას მისცემს, რაც უფრო საკვირველია“ (1232₃₄).

ვინ იყო როშაქი? „როშაქ მონაა, თავადი ლაშქრისა მრავლ ათასისა“, – ვკითხულობთ პოემაში. ავთანდილი ვინ იყო? იგი ამბობს: მე ვარო „სპასპეტი ლაშქრისა ბევრ ათასისა“. მაშასადამე, ის და როშაქი ერთნაირად მაღალი თანამდებობის პირები ყოფილან – ერთი არაბეთში, მეორე ქაჯთა სამეფოში. ერთს „მრავალ ათასი“ ლაშქარი ჰყავს, მეორეს „ბევრ ათასი“.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ვეფხისტყაოსნის ყველა სახელმწიფოში (ზღვათა სამეფოს გარდა) ერთნაირი სოციალური წყობაა ასახული, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ არაბეთის სპასპეტ ავთანდილს როშაქზე მეტი უფლება არ ექნებოდა „უცხოსა და საკვირველის“ ფლობისა.

მონა ზანგების მიერ ზღვის პირას გამოყვანილ ნესტანს შორიდან თვალი მოჰკრა ფრიდონმა, მუღღაზანზარის ხელმწიფემ. მან მაშინვე გაქუსლა ზღვისკენ ცხენი, მაგრამ შეამჩნიეს და სწრაფად გაუჩინარდნენ. ფრიდონი თუ ჩაუსწრებდა მათ და ნესტანს წაჰგვრიდა, რა თქმა უნდა, თვითონ მონიდომებდა მასზე დაქორწინებას. მის სახელმწიფოში ნესტანს მას ვერავინ შეეცილებოდა, პირიქით, სხვას რომ დაეხსნა, მისთვის უნდა მიეგვარა.

ეს უფლებრივი სხვაობა სხვადასხვა ფსიქიკას უქმნი-

და მეფეს და ყმას. ამიტომ სპასპეტი ავთანდილი თუნდაც უკვე ამის გამო ვერ გაუტოლდებოდა მეფეებს სულიერი სილადით.

მაშასადამე, მეფეთაგან ინტერესზე ბატონობა უარყოფითად მოქმედებდა ყმათა ფსიქიკაზე. ამ არსებულმა წესმა უცხო მოყმის ტრაგედიის მიმართ გულგრილი დატოვა თვით ისეთი პიროვნება, როგორც იყო ავთანდილი და მასთან ერთად მთელი რაინდული წრე.

„ისმის კითხვა: შეიძლება, თუ არა, საზოგადოება, რომელიც ყველაფერ საუკეთესოს აძლევს პიროვნებას, ხოლო მასას, ხალხს მოუწოდებს მეორე ხარისხოვანით დაკმაყოფილდეს, მივიჩნიოთ მორალურად სრულქმნილ საზოგადოებად? ამ კითხვაზე სტოიკოსები, ქრისტიანები და დემოკრატები უარყოფითად პასუხობენ. პლატონი და არისტოტელე კი ამავე კითხვას დადებითად წყვეტენ. რუსთაველიც ამ თვალსაზრისზე დგას“, – აღნიშნავს ელგუჯა ხინთიბიძე (მსოფლმხედველობის საკითხები ვეფხისტყაოსანში, თბ., 1975). ჩვენი აზრით, პირიქით, რუსთველი ამ საკითხზე უარყოფითი აზრისაა.

ქართველი მეცნიერები უარყოფენ ვეფხისტყაოსანში სოციალური პრობლემის არსებობას, რაიმე დაპირისპირებას.

ჩვენი აზრით, ინტერესზე ბატონობის უარყოფითი შედეგის ჩვენება სოციალურ სფეროს განეკუთვნება. აქ მთავარია, გაირკვეს – რუსთაველს უნდოდა ამის ჩვენება, თუ ეს მისდაუნებურად გამოიხატა პოემაში?

არის რამდენიმე გარემოება, რომელთაც შეიძლება ხელი ჩაეჭიდოს და გვაფიქრებინოს, რომ რუსთველს საგანგებოდ სურდა ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება.

1. როდესაც ინდოთ მეფე აბესალოში დააღონა ამირან დარეჯანის ძის ამბის გაგების სურვილმა, ეს, მართლაც, ნებიერი ინტერესი იყო. მეფემ ნადირობისას ნახა გამარჯვებული და ბედნიერი გმირის სურათი და მისი ვინაო-

ბის შეტყობა მოინდომა, ე. ი. მისი ინტერესის საფუძველი მხოლოდ ცნობისმოყვარეობა იყო. ამიტომ მეფესთან ერთად მისი ვეზირებიც რომ არ დამწუხრდნენ და თავს უბედურად არ გრძნობდნენ, ეს მაინცდამაინც არ იწვევს გაკვირვებას.

ასევე ხდება ქართულსა და არაქართულ ზღაპრებსა და სხვა ლიტერატურულ ძეგლებში. ნებიერი ინტერესის გამო იქ არ მახვილდება ყურადღება იმაზე, სხვადასხვაგვარ რეაგირებას რომ ამჟღავნებენ მეფე და მისი დიდებულები. არ იბადება კითხვა – რა არის ამის მიზეზი, არ მოითხოვს დაფიქრებას – რა შედეგი მოაქვს ამას და სხვ.

სულ სხვა მდგომარეობა გვაქვს „ვეფხისტყაოსანში“. რუსთველმა ეს მოვლენა აქცია საგანგებო ყურადღების ღირს საკითხად. მან ავთანდილი დააყენა ისეთი ინტერესის წინაშე, რომლის მიმართ გულგრილობა და ინდიფერენტიზმი მას, როგორც რაინდს, ჩრდილს აყენებს.

როსტევანმა და ავთანდილმა ნახეს გაუბედურებული მოყმე – როსტევანს სტანჯავდა არა მარტო ის, რომ ვერ შეიტყო მისი ვინაობა, არამედ ისიც, რომ ვერ გაიგო მისი მწუხარების მიზეზი: „რა უმძიმდა, არ ვიცოდი, ან ტიროდა ვისთვის კიდე“. მაშასადამე, მას აწუხებდა ის, რომ ვერ შეძლო მისი თანაგრძნობა, დახმარება. ეს სულაც არ იყო ნებიერი ინტერესი. ამიტომ ავთანდილის გულგრილობა აქ გვამახვილებინებს ყურადღებას ამ გულგრილობის მიზეზზე, არსებული წესის შინაარსზე, რაობაზე; მკვეთრად გვაგრძნობინებს ამ წესის უარყოფით შედეგს და ეს არ შეიძლება იყოს შემთხვევითი.

2. რუსთველს ხომ შეეძლო, რომ იმ ეპიზოდში, როდესაც შეჭირვებული თინათინი იბარებს, ავთანდილი სხვა მდგომარეობაში მყოფი ეზვენებინა და არა მაინცდამაინც მხიარული და გახარებული? ეს მოხდა, ალბათ, იმიტომ, რომ ავტორს საგანგებოდ სურდა მკითხველის ყურადღების გამახვილება ავთანდილის განწყობაზე.

3. რუსთველმა ავთანდილს თავისი პირით ათქმევინა, რომ არ აწუხებდა უცხო მოყმის დარდი. იგი ტარიელს ალაღად ეუბნება: როსტევან მეფეს შეექმნა ჭმუნვაო და ამის ახსნაც მოუძებნა – „თქვენც იცით, ხელმწიფე ნებიერია“. თინათინმა გამომგზავნა შენი ამბის გასაგებადო, ხოლო მეც მაინტერესებდა შენი ამბავიო, ამაზე არაფერს ამბობს.

4. ფიქრობენ, რომ დაკანონებული ქცევის ნორმების, წეს-ჩვეულებების რელიგიური მცნებებისა თუ შეგონებებისადმი დიდი ერთგულება ბოჭავდა ადამიანს, ართმევდა მას თავისუფლებას. ამის შესახებ რუდოლფ შტიინერი ასეთი აზრისაა: „ადამიანური თავისუფლების საფუძველი არის სწორედ ის, რომ ადამიანს ძალუმს საკუთარი აზრები თავისი შინაგანი აქტიურობით განავითაროს და ამ დამოუკიდებლად განვითარებული აზრებიდან (რომელთაც მე ხსენებულ „თავისუფლების ფილოსოფიაში“ წმინდა აზრებს ვუწოდებ) მას შესაძლებლობა ეძლევა მორალური იმპულსები მიიღოს.

„მაგრამ, – განაგრძობს იგი, – უძველეს ეპოქაში საკუთრივ ადამიანის არსებიდან მომდინარე მორალური იმპულსები არ არსებობდა და არც შეიძლებოდა არსებულიყო. მაშინ ადამიანს მორალური იმპულსები აზრებთან ერთად ეძლეოდა, ვითარცა ღმერთების მითითებანი, ვითარცა ერთგვარი მცნებანი და შეგონებანი, რომელთა მიღება აბსოლუტურად სავალდებულო იყო, რაც, თავის მხრივ, ყოველგვარ თავისუფლებას ართმევდა ადამიანს. სწორედ საკითხის ეს მხარეა აქცენტირებული ჩემეულ „თავისუფლების ფილოსოფიაში“, კერძოდ, კაცობრიობის მსგავსი მცნებებითა და შეგონებებით განპირობებული შებოჭილი მდგომარეობიდან, რაც გამორიცხავს თავისუფლებას, იმ მოქმედებაზე გადასვლა, რომელიც მორალური ინტუიციიდან მომდინარეობს და უზრუნველყოფს თავისუფლებას“ (ვარდისა და ჯვრის საიდუმლოება, თბ., 1954, გვ. 224).

რუსთველმა არ გვიჩვენა მცნებებითა და შეგონებებით

შეზღუდული გმირები. ისინი იმ მოქმედებაზე გადასული გმირები არიან, რომელიც „მორალური ინტუიციიდან მომდინარეობს და უზრუნველყოფს თავისუფლებას“. სწორედ ამიტომ რუსთველს თავისი გმირების პიროვნული თვისებების, ინდივიდუალურობის გამოსაველენად შემოაქვს ალტერნატივა. და ამ დროს მისი გმირები თავისი შეხედულებისამებრ, საკუთარი სინდისის კარნახით მოქმედებენ და არა მცნებებისა და შეგონებების დაკანონებული წესის ნორმების მიხედვით.

ამის გამოა, რომ პოემაში ხშირად ვხედავთ წესის დარღვევის შემთხვევებს: ტარიელმა მიპარვით მოკლა სასიძო, ავთანდილმა – ფატმანის საყვარელი. მამისადმი უდიდესი სიყვარული და პატივისცემა ჰქონდა ნესტანს, მაგრამ ტარიელს მის წინააღმდეგ მოქმედებისაკენ მოუწოდა. თინათინმაც მოაწყო მცირე შეთქმულება – მან იცოდა ავთანდილის გაპარვის ამბავი და მისგან როსტევანის ნების წინააღმდეგ მოქმედება, მაგრამ ხელი შეუწყო, გააქეზა ამისკენ. დაგმობილია სიცრუე, მაგრამ ავთანდილი ატყუებს როსტევანს, საზღვრების გასამაგრებლად მივდივარო, სინამდვილეში უცხო მოყმის საძებნელად მიდის. შერმადინი ავთანდილის სახელით უგზავნის როსტევანს წერილებსა და ძღვენს. ყველა ამ საქციელთ ხელი ეწყობა სიკეთის გამარჯვებას ბოროტებაზე.

ერთადერთი შემთხვევა, როდესაც წესის დაცვას უარყოფითი შედეგი მოაქვს და გმირი მაინც ამ წესისი მონა-მორჩილად გვევლინება, არის ეს – ავთანდილს მეფესთან ინტერესში ცილობა რომ არ გამოუჩენია.

რატომ აქ არ ჩაადენინა რუსთველმა ავთანდილს როსტევანისაგან დაფარული საქციელი? ალბათ, იმიტომ, რომ გამოეკვეთა, რა შედეგი მოჰქონდა მეფეთაგან ინტერესზე ბატონობას.

5. ასმათის დახმარებით ავთანდილი წარდგა უცხო

მოყმის წინაშე, „მათ აკოცეს ერთმანეთსა, უცხოობით არ დაჰრიდნეს“ და უცებ თანაგრძნობამ მძლავრად იფეთქა ავთანდილის გულში. იგი ტარიელთან ერთად ისე გულმდუღარედ ატირდა, რომ ასმათი ეხვეწებოდა „თავთა ნუ დაჰხოცთ, ნუ ბნელ იქთ მზესა თქვენითა ბნელითა!“.

შემდეგ ავთანდილი ტარიელს გაეცნო, თავისი მისვლის მიზეზი აუწყა და უცებ დიდი მგზნებარებით თავგანწირული ერთგულება და სიყვარული შეჰფიცა. დღეიდან მზადა ვარ დაევიწყო სატრფო, მივატოვო მისი სამსახური და „შენ გეახლო სიკვდილამდის, ამის მეტი არა მინდაო“.

მაშასადამე, საკმარისი იყო ტარიელთან მიახლოება, რომ ავთანდილის არსებაში დიდი გარდატეხა მომხდარიყო. ამ დროს ავთანდილისათვის ტარიელს ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოთხრობილი თავისი თავგადასავალი, რომ ავთანდილის ეს მგზნებარება მისადმი მადლიერებით ან მიღებულ შთაბეჭდილებით აიხსნას. არა, აქ ავთანდილმა უცებ აიწყვიტა ყმური ფსიქიკიდან – „დამიგდია სამსახური მისი, იქმნას, რაცა გინდა“. იგი მზად იყო, უარეყო და მიეტოვებინა ყველა და ყველაფერი და ტარიელს შესდგომოდა, როგორც ქრისტეს. აი, ამ მომენტიდან ავთანდილი უკვე იქცა თავისუფალი ნების ადამიანად.

ტარიელთან გამოთხოვებისას მან დადო ფიცი, რომ დაბრუნდებოდა და სატრფოს ძებნაში დაეხმარებოდა. მისთვის ამ დროს მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, რას ეტყოდნენ ამის შესახებ თავისი პატრონები. არ გაუშვებდნენ და მაინც წავიდოდა, მაინც არ შეცვლიდა თავის გადაწყვეტილებას.

მართლაც, თინათინისთვის მას წასვლის ნებართვა არ უთხოვია – ამცნო მხოლოდ თავისი გადაწყვეტილება. როსტევანს კი არ დაემორჩილა – „ვერ დავდგები შეუყრელად ჩემთა ცეცხლთა მომდებრისად“, - დაუწერა ანდერძში.

ახლა ისმის კითხვა: ავთანდილის გულში თანაღმობის გრძნობის აფეთქებას რატომ მოჰყვა მისი სულიერი ჯანყი?

– „დამიგდია სამსახური მისი, იქმნას, რაცა გინდა“. იმიტომ ხომ არა, რომ მიხვდა – ეს გრძნობა მასში ჩახშობილი იყო ამ „სამსახურის“ გამო, რომ მოყმისადმი ინტერესისა და თანაგრძნობის გამოვლენას თავისუფალი ნება სჭირდებოდა?

6. როგორც ვთქვით, ავთანდილმა ტარიელს უთხრა, თინათინის დავალებით რომ იყო წამოსული. აქ მან გულმართლად თქვა ის, რაც იყო სინამდვილეში. მაგრამ სხვაგვარად მოიქცა ავთანდილი ფრიდონთან. აი, სწორედ ეს არის დიდად საინტერესო და, ვფიქრობთ, ჩვენგან დასმული საკითხისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე. აი, რა უთხრა მან ფრიდონს: „ისწრაფვი ვიცი, ამბისა თხრობასა“, ვინ ვარ, საიდან მოვედი, საიდან ვიცნობ ტარიელს, რატომ ვთვლი თავს მის ძმობილადო და უამბო ამბავი ნადირობისას უცხო მოყმის ნახვისა და შემდეგ მისი გაუჩინარებისა:

„ვებნეთ და კვალი ვერ ვპოვეთ, დავსწამეთ ეშმაურობა,
მეფე დაჭმუნდა, დაშალა სმა, ნადირობა, პურობა,
მე ვერდა გავეძელ მისისა ამბისა ვერ დასტურობა,
გამოვიპარე საძებრად, მწვიდა ცეცხლი და მურობა.
იგი ვებნე წელსა სამსა...“ (996-997).

მაშასადამე, ავთანდილმა აქ საქმე ისე წარმოადგინა, ვითომ როსტევეანი რომ დაჭმუნდა, ისიც ისეთივე განცდებით იყო შეპყრობილი: „სწვიდა ცეცხლი და მურობა“, ველარ გაუძლო ამ სატანჯველს და საკუთარი ინიციატივით გაიპარა. თინათინი მან საერთოდ არ ახსენა ამ საქმესთან დაკავშირებით.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, პოემაში გვაქვს შემთხვევები, როცა გმირები მართაღს არ ამბობენ, მაგრამ ყოველთვის ჩანს ამ საქციელის მიზეზი, ჩანს, თუ რით არის მოტივირებული გმირთა ასეთი საქციელი. ამჯერად კი არც ავტორის, არც თვით გმირის მიერ არ იხსნება სიმართლის ასე გადასხვაფერების მიზეზი.

ამ ფაქტის ახსნა შეიძლება მხოლოდ ამგვარად: მას შემ-

დებ, რაც ავთანდილმა გაიცნო ტარიელი, შეიყვარა ის და განიცადა მისი ბედი, სინდისის ქენჯნა იგრძნო იმის გამო, რომ გულგრილი იყო მისი მწუხარების მიმართ. მიხვდა, რომ მას უნდა ედარდა უცხო მოყმეზე, არ უნდა დალოდებოდა სხვის დავალებას და თვითონ უნდა გაპარულიყო მის საძებრად. სწორედ ეს იქნებოდა მისგან რაინდული საქციელი. ამ გადასახედიდან ავთანდილმა ასეთი საქციელი მიიჩნია სასურველად, თავმოსაწონებლად და ეს ვარიანტი უთხრა ფრიდონს.

აი, თავისი შინაარსით საკვირველი ეს სტროფი, რომელიც, სამწუხაროდ, არ გამხდარა მეცნიერთა მსჯელობის საგანი, საბოლოოდ გვარწმუნებს, რომ რუსთველი საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას ინტერესის საკითხზე.

ძველ ბერძნებს მიაწერენ ნათქვამს – მთელი ფილოსოფია გოცებით და განცვიფრებით იწყებაო. სწორედ ამიტომ გასაოცარზე, „უცხოსა და საკვირველზე“, მეფეთა მონოპოლია რუსთველს უარყოფით სოციალურ მოვლენად მიაჩნია. ეს საკითხი საკმაოდ გამოკვეთილად და საკმაოდ შენიღბულად დგას პოემაში. აღნიშნული სტროფი გვიმტკიცებს, რომ ეს საკითხი ჩვენგან ყურით მოთრეული არ არის.

მაშასადამე, ტარიელთან წასვლამდე ავთანდილი თავისი სულიერი წყობით არ განსხვავდება სხვა დიდებულებისაგან. იგი არსებული წესწყობილების დვიძლი შვილია.

ახლა გავყვეთ მის გზას და განვიხილოთ მისი თავგადასავლის ყოველი ეპიზოდი, მისი ფიქრები, განცდები და საქციელი.

3. ავთანდილი – „ადამიანი თავის რეალურ მოცემულობაში“. ავთანდილი სამი წელი ეძებდა უცხო მოყმეს და უცებ სანადიროდ გამოსულმა ხატაელმა ძმებმა დაანახვეს – „აგერა მივა, ნახეო“. ისიც უამბეს, როგორ გადაუფხრიწა თავი მათრახით მათ ერთ ძმას. ავთანდილი მაშინვე არ გაეშურა უცხო მოყმესთან შესახვედრად, მან თქვა:

„რათგან ისი არის სადმე უცნობად და ისრე რეტად,
რომე კაცსა არ მიუშვებს საუბრად და მისად ჭვრეტად,
მივეწვი, შევიყრებით ერთმანეთის ცემა-ჟლეტად,
ანუ მოგპკლავ, ანუ მომკლავს, დაიმაღვის მეტისმეტად“ (216).

მაშასადამე, ავთანდილმა ძმების ნაამბობის მიხედვით დაასკვნა: უცხო მოყმე ისე უცნობად და რეტად მოსიარულე იყო, რომ ვინც კი მას მიუახლოვდებოდა, ყველას ერჩოდა, ყველას სიკვდილის საფრთხე ემუქრებოდა.

ახლა ვიკითხოთ, ვინ არ მიუშვა ახლოს უცხო მოყმემ?

როსტევანისა და ავთანდილის ნადირობის შემდეგ პირველი მონის მიახლოება, რომელმაც როსტევანის ბრძანება გადასცა, ვერც გაიგო. შემდეგ როსტევანმა ავთანდილის წინაშე უბრძანა თორმეტ მონას: „წადით და აქა მომგვარეთ, ვინ არის იქი მჯდომარე!“. მონებიც გაემართნენ უცხო მოყმის შესაპყრობად. მათი აბჯრის ჩხარუნმა მოყმე გამოაფხიზლა და მშვიდობიანად გაცლა ამჯობინა. „ცხენსა შეჯდა, გაემართა“, მაგრამ „მონათა ხელი გამართეს მის ყმისა შესაპყრობელად“: და აი, მაშინ მოყმემ „დახადნა ისინი მტერთაცა საწყალობელად, ჰკრა ერთმანეთსა, დახოცნა თავსა ხელაღუპყრობელად“. მაშასადამე, აქ მისი საქციელი თავდაცვითი იყო – იგი იგერიებდა თავდასხმას, არ ბარდებოდა ტყვედ.

ასევე მოხდა ხატაელ ძმებთან. მოყმის დანახვისთანავე, მისი მშვენებით განცვიფრებულეებმა, მოინდომეს მისი შეპყრობა – „მისი მოგვინდა შეპყრობა, ვჰკადრეთ და შევეცადენით“, – ამბობენ თვითონ ისინი. უხუცესმა ძმამ თვით მოყმის ხელში ჩაგდება განიზრახა, შუათანამ ტაიჭს დაადგა თვალი. უმცროსი კი მისი მორევის სურვილმა აიტანა. ერთი სიტყვით, „ნადავლი გაინაწილეს“ (აღლ. ჭინჭარაული, ნ. ნათაძე). ამ სურვილით შეპყრობილებმა მოყმისაკენ გაქუსლეს ცხენები. მან, რა თქმა უნდა, შეამჩნია, მხედრები მისკენ რომ მიაჭენებდნენ, მაგრამ გაცლა არც უცდია. ეს

გაუკვირდათ ხატაელებს – „იგი აგრევე წყნარად მივა და შეენებით“. ახლოს რომ მივიდნენ, უმცროსმა ძმამ „ხელი მოჰკიდა: „დადგეო!“ უფროსები კი ცხენიდან მის ჩამოგდებას შეეცადნენ. მოყმემ ხმალზე ხელი კი არ გაივლო, მათრახი გადაჰკრა თავზე მოძალადეს და

„მით ერთითა მათრახითა თავი ასრე გარდაჰფრიწა, ვითა მკვდარი უსულო ქმნა, ვითა მიწა დაამიწა“ (209₁₂).

ასე დაამდაბლა და დაამიწა მან „მისი რასმე მკადრებელი“. თვითონ კი კუშტი სახით კვლავ ლაღად და ამაყად განაგრძო გზა.

ამრიგად, ისევე როგორც როსტევეანის მონები, ძმებიც თავიდანვე აგრესიული მიზნით მიემართებოდნენ მოყმისაკენ. ეს მიზანი ადვილად შესაცნობი იქნებოდა მათი გამომეტყველების მიხედვით. ძმებმა მისთვის ხელის წავლებაც კი შეძლეს. „საუბრად და მისად ჭვრეტად“ უფრო ახლოს როგორღა შეიძლებოდა მათი მიშვება? მაგრამ საუბრისა და სიყვარულით ჭვრეტის მაგიერ თავხედური განზრახვა – მისი შეპყრობის სურვილი რომ გამოამჟღავნეს, მერე მიიღეს დამსახურებული სასჯელი. ამას თვითონ ძმები აღიარებენ: „მისნი მკვახედ მოუბარნი მათრახითა შეგვამწიფნა!“.

ამიტომ აქ მოყმის ქმედება უცნობოდ და რეტიანად მოსიარულე კაცის საქციელად კი არ უნდა მივიჩნიოთ, არამედ ჭკუაზე მყოფი ყველა ვაჟკაცის იძულებით, აუცილებელ რეაგირებად მოძალადეთა და შეურაცხყოფელთა მიმართ. მაშასადამე, ავთანდილისეული შეფასება უცხო მოყმისა ძალიან შორს დგას სინამდვილისაგან. აქედან ჩანს, რომ ავთანდილი მსჯელობს შედეგების მიხედვით და არ უკვირდება დეტალებს, არ აანალიზებს მათ, ამიტომ გამოაქვს შეუფერებელი დასკვნები. თვითონ ავთანდილსაც ხომ უთხრა ტარიელმა: „მას გავექცევი, ვისგანცა არა ვცნა ჩემი ამება“.

მაგრამ ავთანდილისადმი ნდობა და მისი შეუმცდარობისადმი რწმენა ისეა ჩანერგილი მკითხველში, რომ მისეული თვალთახედვით მცდარად შეფასებული ფაქტები უკრიტიკოდ აქვთ მიღებული და სრულ ჭეშმარიტებად აღქმული.

თანამედროვე რუსთველოლოგთა შრომებშიც გვხვდება ამის შემთხვევები. მაგალითად: „თინათინის სპასპეტი ორი დღე და ღამე მისდევს „რეტად“ მიმავალ ცხენოსანს, რადგან მის გამოლაპარაკებას მხოლოდ ბრძოლა შეიძლება მოჰყვეს, რომელიც ერთ-ერთს სიკვდილს მოუტანს“. „მოყმე მისი ვინაობის შეტყობის მსურველებს ისე უმასპინძლდებოდა, როგორც როსტკევანის მონებს და მონადირე ხატაელს ძმებს“. და სხვა ამგვარები...

გამოდის, რომ მოყმე ხოცავდა მასთან უცოდველი მიზნით მისულებს. არ შეიძლება, რომ ასეთი აზრი უცხო მოყმეზე არ იყოს მცდარი. რუსთველი იდეალურად ვერ დასახავდა გმირს, რომელიც დროის თუნდაც ერთ მონაკვეთში ისე გადარეულია და ცნობიდან გადასული, რომ დაუნდობლად ხოცავს უდანაშაულო ადამიანებს. „დიადი სისხლი უბრალო“ თავიდან რომ აეცილებინათ, ამიტომ იყო, რომ ნესტანმა ტარიელს ურჩია, მიპარვით მოეკლა სასიძო. ტარიელსაც მოეწონა ეს თათბირი. ნესტანის დაკარგვის შემდეგ კი ტარიელი სწორედ ამ „უბრალო“, უდანაშაულო ადამიანთა მმუსვრელად მოგვივლინა რუსთველმა? ეს დაუშვებელია.

ავთანდილს მაინცადამაინც არც ის უნდა გააკვირვებოდა, უცხო მოყმეს თუ შეამჩნევდა, რომ თუნდაც მშვიდობიანი ხალხის ახლოს მიკარება არ სურდა. რუსთველს მიჯნურობის ერთ-ერთ აუცილებელ პირობად მიაჩნია „მისად რგებად ველთა რბენა“. ავთანდილმა ეს იცის; ისიც იცის, რომ ველად გაჭრილი მიჯნური მარტოობის მოსურნე უნდა იყოს. როდესაც შერმადინი ეხვეწება მას, მეც თან წამიყვანეო, იგი ეუბნება: „რა მიჯნური ველთა რბოდეს, მარტო უნდა

გასაჭრელად“. მაშასადამე, რომ არსებობდნენ ველად გაჭრილი, მარტოობის მოსურნე მიჯნურები, რაინდულ წრეში გავრცელებული ეს მოვლენა, ავთანდილისათვის კარგად ცნობილი იყო. ამიტომ სამი წლის მანძილზე, როცა იგი ეძებდა მოყმეს, ვარაუდით მაინც უნდა წარმოედგინა, რომ იგი შეიძლება მიჯნური ყოფილიყო. უნდა ითქვას, რომ მოყმის გარეგნობის, ჩაცმულობის, აღკაზმულობისა და მეომრობის მხილველს სხვა მიზეზი არც უნდა წარმოედგინა ხალხისაგან მისი განდგომის სურვილისა (სხვა უბედურების დროს არსებობდა გლოვის სხვა წესები – ბნელში ჯდომა და სხვ.). ამიტომ ადამიანებთან კონტაქტის არმოსურნეობა მისთვის არ უნდა ჩაეთვალა უცნაურ თვისებად.

ინდოეთიდან გადაკარგული ნესტანი ხორციელად ადამიანთა შორის იმყოფებოდა, მაგრამ სულიერად ისიც ველად გაჭრილივით იყო, არავის იკარებდა, ხმას არავის სცემდა, მხოლოდ განუწყვეტლად ტიროდა. ასეთ მდგომარეობაში მყოფი, იგი მიჰგვარეს მელიქ-სურხავს, ზღვათა ხელმწიფეს. მეფემ ტკბილად დაუწყო საუბარი, ვინაობას ეკითხებოდა.

„არ ისმენდა მეფისასა, რასა გინდა უბრძანებდა, სხვაგან იყო გული მისი, სხვასა რასმე იგონებდა“ (1182₁₋₂).

ე. ი. ტარიელივით, სხვაგან ქროდა მისი გონება. მეფეს არ უფიქრია – ეს რა უცნობო და რეტიანი ქალი მომიყვანეს სარძლოდო. მან თქვა, ორიდან ერთი უნდა იყოსო!

„ან ვისიმე მიჯნურია, საყვარელი ეგონების, მისგან კიდე არვისად სცალს, ველარცა ვის ეუბნების“.

„ანუ არის ბრძენი ვინმე, მაღალი და მაღლად მხედი, არცა ლხინი ლხინად უჩანს, არცა ჭირი ზედაზედი, ვით ზღაპარი, ასრე ესმის უბედობა, თუნდა ბედი, სხვაგან არის, სხვაგან ფრინავს, გონება უც, ვითა ტრედი“ (1184).

ეს იყო ზუსტი შეფასება, შეუმცდარი დასკვნა. ნესტანი, მართლაც, მიჯნურიც იყო და ბრძენიც. აქ ნათლად გამოიჩნ-

და ღმრთისსწორის გონების უპირატესობა ავთანდილთან შედარებით.

როგორც ვთქვით, ავთანდილმა არასწორად მიიჩნია, რომ სახიფათო იყო მოყმესთან მიახლოება. მას არ უნდა წარმოედგინა, რომ მასაც ის ბედი ელოდა, რაც როსტევეანის მონებს, ან იმ არაფრით გამორჩეულ ექვს ცხენოსანს, რომელთა შესაქებად რუსთველი ერთ სიტყვასაც ვერ იმეტებს. „ექვსი რამე ცხენოსანნი“ დაინახა ავთანდილმა, რომლებიც მეკობრეებს მიამსგავსა და, მართლაც, მეკობრული საქციელის ჩამდენი აღმოჩნდნენ. ორივე შემთხვევაში, ე. ი. როგორც როსტევეანის მონები, ასევე ეს ცხენოსნები, იყო ადამიანთა ჯგუფი, უცხო მოყმისადმი მტრულად განწყობილი. ავთანდილს სჯობდა, არ წარმოედგინა, რომ მას ისევე არაფრად ჩააგდებდა უცხო მოყმე, როგორც როსტევეანის მონებს, ან იმ უდიდამო ექვს ცხენოსანს. ავთანდილი თვითონაც უცხო, ანუ საუცხოო მოყმე იყო, საკვირველი მშვენება და უცხო სანახავი და ეს მისი მშვენება უდიდესი ზეგავლენის მომხდენი იქნებოდა, მზე მოყმე მზე მოყმეს სულ სხვა თვალთ შეხედავდა. საბოლოოდ ხომ მაინც ავთანდილის გარეგნობამ გადაწყვიტა ბედი. ტარიელს მოეწონა სტუმრად მისული ვაჟკაცი და ამიტომ შეხვდა თბილად. ყველას იგი არც გადაუშლიდა გულს:

„აწ ვაშად მოხვე – მეამა ნახვა შენისა პირისა –
ტანად სარო და პირად მზე, მამაცად მსგავსი გმრისა!“ (296 ₁₂).

აქ უნდა გავიხსენოთ, როგორ მოხდა ტარიელისა და ფრიდონის გაცნობა: ზღვის პირას მყოფ სასოწარკვეთილ ტარიელს უცებ ძახილი მოესმა – „მოყმე ამაყად ყიოდა“. დაჭრილი, ხელში სისხლიანი ხმლის ნატეხით გახელებული მოაქროლებდა ცხენს, „მტერთა ექადდა, სწყრებოდა, იგინებოდა, ჩიოდა“.

ტარიელს მოეწონა მოყმე და მონა დააწია. ამ მონას

მოყმემ ზედაც არ შეხედა, ყურადღება არც მიაქცია. მაშინ როგორ მოიქცა ტარიელი? ფიცხლად შეჯდა ცხენზე და გზა თვითონ გადაუჭრა.

რა განსაზღვრავდა ტარიელის ასეთ საქციელს? შეუძლებელი იყო თავისი თავის ფასისა. მან იცოდა, თავისი სილამაზით რა დიდ ზეგავლენას ახდენდა მნახველებზე:

„მზესა მე ვსჯობდი შევნებით, ვით ბინდსა უამი დილისა, იტყოდეს ჩემნი მნახავნი: „მსგავსია ედემს ზრდილისა“
„ჩემსა მჭვრეტელთა მოეცვა ქალაქი, შუკა და ბანი“ და სხვ.

ამიტომ იფიქრა – გახელებული მხედარი მონას არ გაუჩერდა, მე გამიჩერდებო. მართლაც, ასე მოხდა: „შემომხედნა, მოვეწონე, სიარული დაითმინა“. მან ტარიელს ხოტბაც შეასხა. ამრიგად, მოწონება უდიდეს როლს თამაშობდა გმირთა ერთმანეთისადმი განწყობაში და შეიძლებოდა ავთანდილს ეს გაეთვალისწინებინა (ე. ხინთიბიძე, „შემომხედნა, მოვეწონე“, „ცისკარი“, 1982, № 6, გვ. 143-145; ზ. ხინთიბიძე – „იდეალურ გმირთა ინდივიდუალიზაციისათვის „ვეფხისტყაოსანში“, „მაცნე“, ელს. 1987, № 4; გვ. 46-61).

გავაგრძელოთ!

ავთანდილი ფიქრობდა, რომ უცხო მოყმესთან ახლოს მისვლის შემთხვევაში მათ შორის სამკვდრო-სასიცოცხლო შებრძოლება იყო მოსალოდნელი:

„მივეწვევი, შევიყრებით ერთმანეთის ცემა-ჟლეტად, ანუ მომკლავს, ანუ მოვკლავ, დაიმაღვის მეტისმეტად“ (216₃₄).

შეეძლო კი ავთანდილს ტარიელის მოკვლა? შეეძლო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიეპარებოდა, რადგან ტარიელს შეუდარებლად დიდი უპირატესობა ჰქონდა როგორც მეომარს. ავთანდილმა ეს იცოდა. როდესაც ქაჯეთის ციხეში ის და ფრიდონი ერთმანეთს შეხვდნენ და წინ საოცარი სანახაობა გადაეშალათ ქაჯეთის ციხის შემუსვრა-იავარყოფისა, „ცნეს ნაქმრად ტარიელისა, თქვეს:

„საქმე არს მისეული“. აქ ორივემ თავი მოიდრიკა ტარიელის მეომრობის წინაშე, ორივემ ერთხმად აღიარა მისი უპირატესობა, რაშიც ადრევე იყვნენ დარწმუნებულიები – მათ იცნეს ტარიელის ნამოქმედარი.

როდის გაიცნეს მისი მეომრობა და როდის დარწმუნდნენ მის უპირატესობაში? ფრიდონმა იხილა ტარიელის ომი, როცა იგი მას ეხმარებოდა ბიძაშვილების დამარცხებაში. ავთანდილს ტარიელმა უამბო ხატაელებთან და ფრიდონის ბიძაშვილებთან ომის ამბავი, მაგრამ აქ ისეთი არაფერი უთქვამს, რომ ავთანდილსაც არ შეეძლებოდა. მან ხომ მარტომ დაამარცხა მეკობრეები და „რვა ცხრასა და ცხრა ჰკრის რვასა“. მაშ, როდის დარწმუნდა ავთანდილი ტარიელის უძლეველობაში? მაშინ, როდესაც როსტევეანის მონები დახოცა და ლაშქარიც ამოწყვიტა. აი სწორედ მაშინ მოყმის ქმედება გასცილდა რეალურობას და გადავიდა ფანტასტიკაში. როსტევეან მეფე, „თვით მეომარი უებარო“, განცვიფრებული ამბობდა:

„აწ ესე მიკვირს, რა იყო, ანუ რა ვნახე და რული,
მან დამიხოცა ლაშქარი, სისხლი ადინა ღვარული“. (111_{1,2}).

მოყმის ფანტასტიკურ ქმედებას მოჰყვა მისი ფანტასტიკური გაუჩინარება. ამიტომ დაისვა კითხვა: შობილი იყო თუ უშობელი. ხორციელი თუ უხორციო. ბოლოს ხომ მეფემ დაიჯერა:

„ვნახე რამე ეშმაკისა სიმრუდე და სიბილწუო,
ჩემად მტერად წამოსული, გარდმოჭრილი, ზეცით ზეო“ (118_{1,2}).

ავთანდილსაც ეპარებოდა ეჭვი უცხო მოყმის ხორციელობაში. მისი უშედეგო ძებნით დატანჯული, ისიც ამბობს: „უღლონიოდ მართალ იყვნეს, რომელთაცა ქაჯად თქვიან“. აი, ამ ფანტასტიკურ, არარეალურ არსებად დასახულ მოყმესთან ელოდა ავთანდილს პირისპირ შეყრა.

მაშასადამე, ავთანდილი დარწმუნებულია უცხო მოყმის

დიდ მემორულ უპირატესობაში, როცა დიდგულად ამბობს: „ანუ მოვკვლავ ანუ მომკვლავს“ და თავი თანაბარი შესაძლებლობისად გამოჰყავს. სინამდვილეში იგი შემკრთალი ჩანს, მაგრამ თავს არ უტყდება ამაში. ამ აზრს გვიმტკიცებს მისი შემდგომი საქციელი.

ავთანდილმა უთვალთვალა და კარგად დაინახა უცხო მოყმისა და ასმათის შეხვედრა, მოისმინა მათი საუბარი და, როდესაც უცხო მოყმე კვლავ წავიდა, გახარებულმა „თქვა, თუ: ღმერთმან ესე საქმე მეტად კარგად მომიგვარა“. მან გადაწყვიტა, იოლი გზით მიედწია მიზნისათვის – საერთოდ, აეცილებინა თავიდან მოყმესთან შეხვედრა, მისულიყო ქალთან და აეძულებინა იგი, რომ მოეთხრო მოყმის ამბავი:

„აწ ამას ჩემთვის ღმრთისაგან სხვა საქმე რა ვაჯობინო?
ქალი შევიპყრა, მის ყმისა ამბავი ვაამბობინო,
ჩემიცა უთხრა ყველაი, მართალი ვავაბრტობინო,
მას ყმასა ხრმალი არა ვჰკრა, არცა მას დავასობინო“ (229).

ავთანდილის ეს გადაწყვეტილება განსაკუთრებულ მსჯელობას საჭიროებს. როგორც ვთქვით, მოყმის სამი წლის ძებნის პერიოდში ავთანდილს ერთ-ერთ ვარაუდად მაინც უნდა დაეშვა, რომ იგი ველად გაჭრილი მიჯნური იყო. უნდა ყოფილიყო რაინდული წრის წარმომადგენელი, დიდებულთა შვილი – „ხშირად ესხა მარგალიტი ლაგამ-აბჯარ-უნაგირსა“ (ვაჭარი ველად არ გაიჭრებოდა, არ ჰგავდა მორწმუნე განდევილს, სალოსს), გამოქვაბულიდან გამოსულ ასმათში კი სამოსისა და საქციელის მიხედვით ადვილად შესაცნობი იყო მონა ქალი. იგი ემსახურებოდა ყმას, ცხენის შეკაზმვის დროს ლაგამი რიდის წვერით გაუწმინდა და სხვ. ამ მონა ქალს დიდებულმა მოყმემ „და“ უწოდა და მას, მართლაც, როგორც დას, თბილად და ნაზად ექცეოდა, თავის განცდებს უზიარებდა. შეხვედრის დროს ტირილით გადაეხვია, წასვლისას კვლავ კოცნით დაშორდა.

ავთანდილმა მეტად ახლოს დაინახა მოყმის მშვენიერი

სახე და ტანი – „ეყნოსა სული აღვისა, ქართაგან მონატა-
ცისა“. ამის მხილველი (და არა მარტო მხილველი, „სულიც“
რომ ეყნოსა), იგი უნდა დარწმუნებულიყო, რომ უცხო მოყმე
არც ქაჯი იყო და რაიმე მოჩვენება. იგი ხორცშესხმული ადა-
მიანი იყო, სათნო და კეთილშობილი. მოყმის ხორციელობა-
ში ავთანდილი ხატაელი ძმების ნაამბობსაც უნდა დაერწ-
მუნებინა – მათ ხომ ხელი წაავლეს და ცხენიდან ჩამოგდება
მოუნდომეს. მაგრამ მოხდა საკვირველება – ნანახმა და
მოსმენილმა ავთანდილზე ოდნავადაც ვერ მოახდინა ზეგა-
ვლენა, მის წარმოდგენას უცხო მოყმეზე ვერაფერი შემატა.
ავთანდილის წარმოდგენაში იგი ისევ იმ საშიშ არსებად
დარჩა, რომელთან ახლოს მისვლა სამკვდრო-სასიცოცხლო
შებმას ნიშნავდა – „მას ყმასა ხრმალი არა ვკკრა, არცა მას
დავასობინო“ – აჩემებულად გაიძეორა მან.

ტარიელმა კი ერთი თვალის შევლევით შეაფასა გახელე-
ბული მოყმე – ფრიდონი. მიხვდა, რომ ეს ამაყად მყივანი
მოყმე, ქორივით რომ ურბენდა გარშემო ნაპირს, იყო გმირი,
დიდი ხიფათიდან თავდაღწეული და შეველასა და მხარდაჭ-
ერას საჭიროებდა.

„მონა მივსწიე, მისისა შეყრისა ვიყავ მნდომელი,
შევსთვალე: „დადგე, მიჩვენე, ლომსა ვინ გაწყენს რომელი?“ (594₃₄).

მაგრამ იქნებ ავთანდილის საქციელს სხვაგვარი ახ-
სნა სჭირდება – მან სწორედაც რომ კარგად იგრძნო,
უცხო მოყმის სახით რიგით ადამიანთან რომ არ ჰქონ-
და საქმე. პოემის სხვა ეპიზოდებიდან კარგად ჩანს, რომ
ავთანდილს ადამიანთა შეცნობის დიდი ნიჭი ჰქონდა: მან
ექვს ცხენოსანს თამამად შეჰყივლა „ძმანო, ვინ ხართ,
მეკობრეთა დაგამსგავსენ“. ეს ძმები სულაც არ იყვნენ
მეკობრეები. ხატაეთში ციხე-ქალაქის პატრონები იყვნენ
და კარგ სანადირო ადგილებში ნადირობაში შესაჯობრე-
ბლად იყვნენ გამოსულები. მაგრამ ავთანდილმა რომ დაი-

ნახა, ზუსტად იმ დროს მათ მეკობრული საქციელი ჰქონდათ ჩადენილი და ეს იგრძნო, შეატყო. აქ მან დიდი ალლო გამოავლინა. ასევე თვალის ერთი შეველებით შეაფასა მან, რა ძალის პატრონი იყო ფატმანთან შემოსული ჭაშნაგირი. როცა ფატმანი ეხვეწებოდა, ან ამაღამევე ის ყმა მოკალი, ან ამაღამევე შენი ტვირთები წაიღე და აქედან წადიო, ავთანდილმა წყნარად უთხრა – შენ გზის მასწავლებლად კაცი მომეცი, თორემ მშველელად არ მჭირდებაო:

„იმა კაცსა ვერა ვხედავ მეომრად და ჩემად დარად, რაცა ვუყო, მოგახსენებ, მომიცადე, იყავ წყნარად“ (1110₃₄).

ავთანდილმა „იმა კაცს“, მართლაც, ადვილად მოუღო ბოლო.

აი, სწორედ ამიტომ ვფიქრობთ, რომ უცხო მოყმე ავთანდილს არ ეჩვენებოდა ისეთ მხედრად, თამამად რომ შეეძლო დაეძახა: შეჩერდი, ჰეი, ვინ ხარო. მას მისადმი რიდი და კრძალვა ბოჭავდა და სიფრთხილისაკენ მოუწოდებდა. ამიტომ ავთანდილის გადაწყვეტილება – უკან ედევნა მოყმისათვის, შეეტყო, სად იყო მისი ბინა და მერე ეცადა მისი გაცნობა, კარგ ჩანაფიქრდ უნდა მივიჩნიოთ. მაგრამ მერე ხდება საკვირველი რამ და შეიძლება, ესეც იმავე მიზეზით აიხსნას. ავთანდილმა მისი ბინაც ნახა და ლაპარაკიც გაიგონა, მაგრამ მოყმის გაცნობის გზების ძიებაზე ხელი აიღო, როგორც კი იოლი გზა დაინახა მისი ამბის გასაგებად.

იოლი გზა კარგია, თუ მიზანი სრულყოფილად მიიღწევა. მაგრამ ავთანდილმა აქ მოინდომა საქმის მიფუჭეჩება – ასმათის ნაამბობით დააპირა უკან დაბრუნება და გახარებული იყო იმით, რომ თავიდან იცდენდა მოყმესთან სახიფათო შესხვედრას. ამავე დროს, ავთანდილმა თავიდანვე დაუშვა ქალზე ძალადობა – „შევიპყრა, ვაამბობინო“ სწორედ ძალადობას, იძულებას გულისხმობს.

უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში ძალადობის გარეშე არც შეიძლებოდა მიზნის მიღწევა, რადგან, რა ხდებოდა პატრონის კარზე, ამის გარეთ გატანის უფლება მოახლეებს თუ სხვა ქვეშევრდომებს არა ჰქონდათ. მათი ერთ-ერთი სავალდებულო თვისება უნდა ყოფილიყო ის, რომ „პირდაცულნი“ (შესანიშნავი ტერმინია!) ყოფილიყვნენ. ამაზე იოანე ბატონიშვილი მიუთითებს „ხუმარჰსწავლაში“ („კალმასობა“).

თვით „ვეფხისტყაოსანში“ ჩანს, რა გამოიწვია ამ წესის დარღვევამ: ფარსადანის სასახლიდან გაიტანეს ამბავი – დაგარს უთხრეს, როგორ დაემუქრა მას ძმა და სწორედ ამას მოჰყვა დიდი უბედურება. აი, ამ საჭირო „პირდაცულობის“ დარღვევა უნდა მოეთხოვა ავთანდილს ასმათისათვის და იცოდა, რომ ძალადობის გარეშე ვერ მოხდებოდა.

ავთანდილს არაბეთში ჩასვლამდე კიდევ ორი თვე ჰქონდა დრო. მაშასადამე, მას ერთი თვე მაინც მშვიდად შეეძლო ემოქმედა, ყველა ღონე ეხმარა მოყმის გასაცნობად და, თუ ამას ვერ შეძლებდა, მერე მიეტანა იერიში ქალზე. მაგრამ ვეღარ მოითმინა, ნებისყოფა აღარ ეყო და აჩქარდა.

ავთანდილმა შეამჩნია, რომ უცხო მოყმე რა გზითაც მივიდა გამოქვაბულთან, იმავე გზით გაბრუნდა უკან:

„მასვე გზასა წამოვიდა, რომე გუშინ შეეყარა,
შამბი გაველო, გაეშორა, თავი მინდორს გააგარა“.

მაშასადამე ავთანდილმა ზუსტად იცოდა, დაბრუნების შემთხვევაში სად გამოივლიდა უცხო მოყმე. შეიძლებოდა, რომ ეს გამოეყენებინა, ამაზე გარკვეული გეგმები აეწყო, მოყმის გაცნობის საქმეში რომ გამოდგომოდა. მაგრამ ეს შემჩნევა სრულიად უფუნქციოდ დარჩა. ავთანდილმა არ დაიწყო გზების ძიება და პირდაპირ ქალთან მისვლა გადაწყვიტა. შეიძლება, მას ქალისათვის თხოვნით მიემართა, რომ დახმარებოდა, რჩევა ეკითხა, როგორ გასცნობოდა

მოემეს, რა გზას დასდგომოდა, მაგრამ არა, მას პირდაპირ ქალისაგან სურდა ამბის გაგება მისი გამოტყვევის გზით.

ავთანდილი ჩამოვიდა ხიდან, ცხენზე შეჯდა და გაემართა გამოქვაბულისაკენ. ცხენის ფეხის ხმაზე ქალი გამოვიდა გამოქვაბულიდან. უცხო კაცი რომ დაინახა, შეშინდა და გაიქცა „ყმა გარდაიჭრა, დააბა, ვითა კაკაბი მახესა“. ამრიგად, გადაწყვეტილების პირველი პუნქტი წარმატებით შესრულდა – ავთანდილმა ქალი შეიპყრა, ახლა თხრობა იყო საჭირო, მაგრამ ავთანდილს აქ არაფერი გამოუვიდა, არ გაჭრა მისმა ხვეწნა-მუდარამ. თავის მხრივ, ასმათიც ბევრს ეხვეწებოდა ავთანდილს, თავი გაენებებინა მისთვის. უმტკიცებდა, რომ დაშინებით ვერაფერს მიღწევდა, ცოცხალი თავით არაფერს ეტყოდა. ხვეწნამ რომ არ გაჭრა, დამცირება და შერცხვენა დაუწყო: „მზე არ მახლავს, შეგეტყვების, თრთვილო, ასრე მით მაწყენო!“ ამ სიტყვებს ავთანდილზე ზემოქმედება არ მოუხდენია. უცებ მან წარმოუდგენელი ფიცხი ხასიათი გამოავლინა:

„პირსა ზედა გაგულისდა, თვალთა სისხლი მოფინა,
ადგა, თმითა წამოზიდნა, ყელსა დანა დააბჯინა“ (238₃₄).

შენ ამდენი ჯავრი როგორ შეგარჩინო, როგორ თუ მატირებ, არაფერს მეუბნები, გირჩევნია, ყველაფერი მითხრა, თორემ მოგკლავო.

ავთანდილის ეს საქციელი შეიძლება საბედისწერო გამოდგარიყო. ქალი ტარიელს უხმობდა. ვთქვათ, გაეგო და შემობრუნებულიყო. რა იხსნიდა მაშინ ავთანდილს? სწორედ მაშინ მოხდებოდა მათი „ცემა-ჟლეტად“ შეყრა.

ვთქვათ, ასმათს არ ეპატიებინა მისთვის ეს საქციელი და ამბავი მიეტანა ტარიელისათვის, - ავთანდილი ვეღარასოდეს შეიძლება თინათინის დავალების შესრულებას. ამიტომ იგი ეუბნება ასმათს: „აწ, დაო, შენთა ხელთაა ჩემი საბელი ყელისა“, ე. ი. ავთანდილმა თავისი საქციელით სხვის ხელ-

ში ჩააგდო თავისი ბედი, მიემსგავსა ტყვედ ჩავარდნილს, ხაფანგში გაბმულს. ამიტომ მან თვითონვე შეადარა თავისი თავი ჭაში ჩავარდნილ კაცს.

ასეთი რამ არ ხდება ღმრთისსწორებში. მათი აჩქარება ან მოუთმენლობა, სიფიცხე წარმოუდგენელია. მართალია, მწყრომარესა და განრისხებულს მათაც ვხედავთ, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა ამის საფუძველი აქვთ – ქვეშევრდომები ამას იმსახურებენ. როსტევეან მეფე გაწყრა და გაგულისდა, როცა უცხო მოყმე მის ბრძანებას არ დაემორჩილა და არ ეახლა, შემდეგ კი მონებიც დაუხოცა. – უნდა გამწყრალიყო. ასევე საფუძველი ჰქონდა მას განრისხებისა, როცა ვეზირმა დაარღვია წესი და მეფეს საწყენი ამბავი უთხრა – ავთანდილს შუამავლად დაუდგა მეფესთან ისეთ საქმეზე, რომლის გაგონებასაც მეფეს სიკვდილი ერჩია – „მე მაგისად მოსმენამდის რად არ ყური შემეჭედნეს!“. ამიტომ ვეზირს „შმაგი, უმეცარი, შლეგი“ უწოდა, შენ ვეზირად არ ვარგიხარო, რადგანაც „ოდენ სიტყვა უმეცრული უმეცრულად დაიყბედნეს!“. მეფემ სკამიც კი ესროლა ვეზირს, მაგრამ ააცდინა. დამნაშავე იყო ვეზირი და ამიტომ „გამოდრწა და გამოშეგდა“.

სულხან-საბა ორბელიანი ფინეზ მეფის სახოტბო თვისებათა შორის აღნიშნავს: მისი „შიში და ზარი ესრეთ განფენილი იყო პირსა ყოვლისა ქვეყანისასა, მეხის ტეხის უსაზარლესად მიაჩნდათ“. აი, ამ „მეხის ტეხის“ მოწამე ვხდებით ხოლმე ზოგჯერ პოემაში.

სამართლიანი იყო ფარსადან მეფის რისხვა და წყრომა, როცა სასიძოდ მოწვეული ხვარაზმშას ძის მოკვლის ამბავი გაიგო:

„მეფესა ესმა, აიჭრა, მართ მისგან გასატკივარდა,
შენ დაგიძახანა: „მიხმეთო“ – ხმამაღლა გახმამყივარდა“, (572_{2,3}).

- უთხრა ასმათმა ტარიელს.

ფარსადანის „მეხის ტეხა“, ყველაზე მეტად დავარს დაატყდა თავს. დავარმა ვერ შეასრულა მეფის ბრძანება, ნესტანისა და ტარიელის შეხვედრების ამბავი გამოეპარა, ე. ი. საჭირო სიფხიზლე ვერ გამოიჩინა: „მე ღმრთისა ვუთხარ, დაუბამს მას ეშმაკისა ბადესა“. ეს ქვეყნისთვის დიდი უბედურების მიზეზი გახდა. ამიტომ მეფის რისხვა დაიმსახურა.

მელიქ-სურხავი ნესტანის გაპარების ამბავს თუ გაიგებდა, ფატმანის ოჯახს ძირიანად მოსთხრიდა: „შვილთა ღმერთო, დამატყვევდა, დამქოლვიდა მერმე ქვითა“, – ამბობს ფატმანი. მეფეს ამაში ვერავინ დასძრახავდა. ფატმანი თვითონ გრძნობდა, რა მძიმე სასჯელს იმსახურებდა.

ასმათი კი სრულიად უდანაშაულო იყო ავთანდილის წინაშე. ავთანდილი ძალადობდა მის მიმართ. მან უკაცრიელადგილას დაიმარტოხელა ქალი და მოინდომა მისი შეშინება.

ღმრთისწორები თავისი დაუფიქრებლობის ან აუწონელ-დაუწონელი საქციელის გამო არასოდეს ვარდებიან „ჭაში“, სხვის ხელში არასოდეს ვარდება მათი „საბელი ყელისა“. სანანებელ და საბოდიშო საქციელს ისინი არასოდეს სჩადიან.

დიდი უბედურება დაატყდა თავს ხვარაზმშას. ვერაგულად მოუკლეს სასიძოდ გაგზავნილი ვაჟი. ხელმწიფის მიმართ ვერავინ იტყოდა საყვედურს: რატომ გაგზავნა?

ვინ მოკლა ხვარაზმელი სასიძო, ეს ვერ უნდა გაეგოთ. ტარიელი გამომუღავნდა, მაგრამ იგი მთლიანად მაინც ფლობდა სიტუაციას. მღევრებს თავის ქალაქში შეასწრო და მისი დამმარცხებელი აღარავინ იყო.

ის, რაც დავარმა ჩაიდინა, მისი გათვალისწინება და წინასწარ განჭვრეტა არ შეიძლებოდა. ეს სტიქიურ უბედურებასავით მოულოდნელი რამ იყო. ამიტომ ნესტანის დაკარგვა ფარსადანისა და ტარიელის შეცდომით არ იყო გამოწვეული.

საერთოდ, როცა მეფეთა უშეცდომობაზე ვლაპარაკობთ,

მხედველობაში გვაქვს ისეთი შეცდომები, რომლებიც ხასიათის სისუსტის შედეგად მოსდით რიგით ადამიანებს. თორემ მეფე, რა თქმა უნდა, შეიძლება შეცდეს პოლიტიკური გზის არჩევაში, ომის დაგეგმვაში და სხვ. სხვანაირად ვერ იარსებებდნენ დამარცხებული და გამარჯვებული, უძლეველი და სუსტი მეფეები. ამიტომ ცალკე განხილვის საგანია ფარსადან მეფის გადაწყვეტილება სასიძოს შერჩევის საკითხში, ან რამაზ მეფის მარცხი ტარიელთან ომში.

ფარსადანს პოლიტიკურ შორსმჭვრეტელობას უწუნებენ იმის გამო, რომ ნესტანის საქმროდ უცხოელი უფლისწული მოიწვია. ამავე დროს, ანგარიში არ გაუწია შვილისა და შვილობილის გრძნობებს. მაშასადამე, ინდოეთის დიდ ხელმწიფეს არც გონება ჰქონია საქები და არც გრძნობა. მაშ როგორღა იყო იგი „სახითა მის მიერთა“, თუ მოკლებული იყო ღმრთისსწორისათვის ამ სავალდებულო და ყველაზე საჭირო თვისებას? სინამდვილეში, ფარსადანს დიდი გრძნობაცა აქვს, დიდი გონებაც და სამეფო ყველა დიდი ღირსება.

დავიწყით გრძნობით:

ტარიელის ავად გახდომამ თავზარი დასცა მეფესაც და დედოფალსაც. ტარიელი იხსენებს:

„შიგან ვწევ დიდთა დარბაზთა ტურფითა საგებელითა,
ზედ დამტროდეს მეფენი ცრემლითა უშრობელითა“.

„მოყრნი მოასხეს“ სენის დასადგენად. მეფე პირს იხოკდა, „დედოფალი ზღვასა შეიქმს, მას რომ ცრემლი დაუღვრია“.

როდესაც მეფეს აცნობეს, ტარიელი მომჯობინდაო, სიხარულმა თავი დაავიწყებინა:

„ახარებდეს: „წამოჯდაო“, დედოფალი გამორბოდა,
მეფე მორბის თავშიშველი, არ იცოდა, რას იქმოდა...“

„იქით და აქათ მომისხდეს, მახვრიტეს სახვრეტელია“.

ამაზე ძლიერად როგორღა უნდა ჰყვარებოდათ მეფესა და დედოფალს თავისი შვილობილი? ფარსადანი არ აკლებ-

და ტარიელს ზრუნვას. მისი გამოძახობინების და გახალისების მიზნით სანადიროდ დაჰყავდა ავადმყოფობის შემდეგ და მაშინაც, ტარიელი მამას რომ გლოვობდა. მაშასადამე, ფარსადანი დიდად მგრძობიარე პიროვნებაა. მას რომ არანაკლებ ეყვარებოდა ნესტანი, ამას მტკიცება აღარ უნდა.

ამრიგად ფარსადანმა ანგარიში რომ არ გაუწია შვილისა და შვილობილის გრძობებს, ეს მისი გულქვაობით არ აიხსნება.

იყო თუ არა უცხოელი უფლისწულის სასიძოდ მოწვევა ფარსადანის პოლიტიკური შეცდომა, ანდა, იყო თუ არა ეს უსამართლო საქციელი ტარიელის მიმართ, რაკი მოხდა მისი იგნორირება, როგორც ტახტის მემკვიდრისა? – არა, და აი, რატომ: თავდაპირველად გაერთიანდა ორი უშიშლო ხელმწიფე: ფარსადანი და სარიდანი. „ვა კრულია დღეცა იგი, მე მივეცი ამირბარსა“ – ამბობს ტარიელი ¹.

ფარსადანმა ტარიელი იშვილა და ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადა, მაგრამ მოხდა მოულოდნელი რამ – დაორსულდა დედოფალი და შობა ქალი. როცა ის წამოიზარდა და სამეფო ჭკუა-გონება გამოავლინა, მეფემ მისი გამეფება გადაწყვიტა. ამრიგად, ფარსადანმა თავისი გადაწყვეტილება შეცვალა შეცვლილი სიტუაციის გამო. ე. ი. ტარიელს ტახტის მემკვიდრეობის უფლება მამის სიცოცხლეშივე ჩამოერთვა და თუ ამით რაიმე უსამართლობა მოხდა, მაშინვე უნდა გარკვეულიყო. სარიდანს ამის შესახებ უკმაყოფილება არ გამოუთქვამს, ალბათ, სამართლიანად მიიჩნია მეფის გადაწყვეტილება. ყოველ შემთხვევაში, გაგებით შეხვდა ამ

¹ რუსთველი საგანგებოდ ქმნის ასეთ ვითარებას: მოსპობილია ეჭვის საფუძველი, რომ სარიდანის საქციელში რაიმე ანგარება დავინახოთ – ადრევე თუ ეყოლებოდა შვილი, შეიძლება ეფიქრათ, ფარსადანს იმიტომ შეუერთდა იქნებ ჩემი ვაჟი ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადოსო. – ტარიელი მაშინ გაჩნდა, როცა სარიდანი ინდოეთის ამირბარი გახდა.

ამბავს. არც ტარიელს ემჩნევა წყენა ამ ამბის გამო. მის ნაამბობში ოდნავი სამდურავის კილოც არ ისმის ფარსადანის მიმართ:

„მეფე ქალსა ვით ხედვიდა მეფობისა ტახტსა მწომსა,
მამასავე ხელთა მიმცეს, რა შვეიქმენ ამა ზომსა,
ვბურთობდი და ვნადირობდი, ვით კატასა ვხოცდი ლომსა“.

ამრიგად, ადრევე გადაწყდა – ნესტანს ელოდა მეფობა, ტარიელს ამირბარობა. ე. ი. იმდროისათვის, როდესაც ნესტანის გათხოვების საკითხი დადგა, ტარიელი ფარსადანისთვის, უკვე დიდი ხანია, აღარ ითვლებოდა ტახტის მემკვიდრედ. ტახტის მემკვიდრე იყო ნესტანი და მისი ქორწინების საკითხი ინდოეთის პოლიტიკური ინტერესების სპექტრში იყო მოქცეული და განსახილველი.

როდესაც როსტევანმა თინათინის გამეფება გადაწყვიტა, მანამდე თავის სამეფოში ძებნა არ დაუწყია, იყო თუ არა მისი დინასტიის წარმომადგენელი ვაჟი, რომ ის აეყვანა ტახტზე. ქალი მან და ვეზირებმა სრულფასოვან მემკვიდრედ მიიჩნიეს. ამის უფლება ჰქონდა ფარსადანსაც. ასევე ჰქონდა უფლება თავისი ხელმწიფე ქალისთვის ღირსეული საქმროს შერჩევისა, და იგი დაადგა გზას, რომელიც სახელმწიფოსათვის უფრო სასარგებლოდ მიიჩნია. ეს იყო მთელ მსოფლიოში მიღებული და დამკვიდრებული წესი უფლისწულის უფლისწულზე ქორწინებისა. ამ გზით უღლდებოდნენ ერთმანეთის საფერი წყვილები და, ამავე დროს, იკვებოდა პოლიტიკური კავშირები სახელმწიფოთა შორის. ასეთი გზის არჩევაში ფარსადანი არ იყო პირველი და უკანასკნელი ხელმწიფე. როგორც ვთქვით, ეს წესი დამკვიდრებული, ტრადიციული იყო და დღემდე არსებობს, სადაც კი სამეფო დინასტია და ხელისუფლებაა შემორჩენილი, და დრომოკმულ ტრადიციებზე დგომად არ ითვლება.

ფარსადანმა ანგარიში არ გაუწია შვილისა და შვილობილის გრძნობებს, თუმცა კი შემჩნეული ჰქონდაო მათი მი-

ჯანსაღობა. ამის შესახებ უნდა ითქვას შემდეგი ¹: ფარსადანს მზე და მთვარე შეიღსა და შეიღობილზე ამოსდიოდა, მაგრამ იგი არ იყო რიგითი, ჩვეულებრივი ადამიანი, რომ პირადი გრძნობების მიხედვით მოქმედების უფლება ჰქონოდა. თუ ხვარზმშასთან დამოყვრება პოლიტიკური თვალსაზრისით ინდოეთისთვის უფრო სასარგებლოდ მიაჩნდა, სწორედ ისე უნდა მოქცეულიყო, როგორც მოიქცა.

უნდა აღინიშნოს, რომ ფარსადანის ამ გადაწყვეტილებით ინდოეთი არ კარგავდა ტარიელს. იგი, როგორც ვეზირი და როგორც ამირბარი, თავისი ჭკუა-გონებითა და მეომრული ძალმოსილებით ინდოეთის სამსახურში რჩებოდა. ამრიგად, ფარსადანის გადაწყვეტილებას არ შეიძლება ეწოდოს პოლიტიკური შეცდომა, სიბეცე, რის შედეგადაც შეიღახა ინდოეთის სამეფო კარის პრესტიჟი, ეროვნული თავმოყვარეობა და სხვ.

აქ სხვა გარემოებაც არის გასათვალისწინებელი.

ნესტანი და ტარიელი ბავშვობაშივე დააშორეს ერთმანეთს. მათ შორის დაძმური ურთიერთობა მოიშალა – გაუუცხოვდნენ ერთმანეთს, ამიტომ მათი მიჯნურობა მკითხველს არ ეჩოთირება.

ფარსადანს კი არ განელება მამობრივი გრძნობა ტარიელის მიმართ. ამიტომ არც ის გაემტყუნება, თუ გული არ მიუწევდა, რომ შაჰროსავით („ვისრამიანი“) შეიღები დაექორწინებინა ერთმანეთზე. ადამიანურად ძალიან ადვილი გასაგებია მისი მდგომარეობა ¹.

¹ ფარსადანს, რა თქმა უნდა, შემჩნეული ჰქონდა ნესტანის და ტარიელის მიჯნურობა. „თუ ჩემი ქალი გინდოდა, რად არა შემაგებინე?“ – მის ამ სიტყვებში გულწრფელი საყვედურია იმის გამო, რომ მან მართლა არ იცოდა, წარმოდგენა არ ჰქონდა, რა ძალის იყო ეს მიჯნურობა, რომ იგი დაუძლეველი იყო, სამკვდრო-სასიცოცხლოდ იდგა საქმე. ამაში რომ იგი ადრევე, თათბირის გამართვამდე დარწმუნებულიყო, ისეთ გადაწყვეტილებას აღარ მიიღებდა, რომელიც ქალ-ვაჟის დაღუპვას, განადგურებას გამოიწვევდა.

როგორც ვთქვით, ფარსადანს, როგორც მეფეს, პოლიტიკური თვალთახედვით უნდა ეხელმძღვანელა ნესტანის ქორწინების საკითხში. მოწოდების სიმაღლეზე ასევე უნდა მდგარიყვნენ მეფის ასული და ამირბარი. ამიტომ იყო, რომ გონიერმა ნესტანმა წინ წამოსწია პოლიტიკური მიზეზი – ხვარაზმელი უფლსწულის მოწვევა ინდოეთისთვის არის საზიანო, ეს უცხო ძალების გაბატონებას გამოიწვევსო.

უფლისწულის უფლისწულზე ქორწინების წესის დამკვიდრებას საფუძვლად დაედო მიზანი, რომ შენარჩუნებული და დაცული ყოფილიყო მეფის ღმრთისწვრობის იდეა. ეროვნულ სფეროში დარჩენის შემთხვევაში ვისზე უნდა დაქორწინებულიყო უფლისწული? ან თავის ქვეშევრდომზე (ეს თანდათან გამოიწვევდა მეფის ღმრთისწვრობის იდეის გაუფასურებას), ან თავის მოგვარეზე (უკეთეს და იშვიათ შემთხვევაში შეიძლება გამოძებნილიყო შორეული ნათესავი – გავიხსენოთ თამარისა და დავითის ქორწინება). აქედან არც ერთი არ იყო სასურველი. ამიტომ ჩვეულებრივ ამბად იქცა საპატარძლოდ თუ სასიძოდ უცხოელი უფლისწულის მოწვევა. მაგრამ ამ წესს ჰქონდა დიდი ნაკლი – ხდებოდა უცხოელთა შეუღლება. გამახვილებული ეროვნული გრძნობის მქონე პიროვნებისათვის ეს არ შეიძლებოდა, რომ სასურველი ყოფილიყო. ამიტომ გასაგებია და გამართლებული ნესტანის პროტესტი, მაგრამ არც ფარსადანის მიმართ არსებობს საყვედურის უფლება.

ტარიელის განცხადებებსაც „ინდოეთი ჩემი არის“, „ტარიელ არს მემამულე...“, „ხელმწიფე ხამს მქმნელი სამართლისა...“ და სხვ. – მომიზეზების ხასიათი აქვს და ნესტანის მითითებით არის გამოწვეული. ნესტანის სიყვარულის გარეშე ტარიელი ამას არ განაცხადებდა, რადგან გამოვიდოდა, რომ იგი ნესტანს ეცილებოდა სამეფო ტახტში. გამოვიდოდა იმის მტკიცება, რომ ქალი არ შეიძლებოდა მიჩნეული ყოფილიყო ტახტის მემკვიდრედ, უნდა გამეფდეს

ამ დინასტიის წარმომადგენელი ვაჟი. ამ იდეის გატარებას მიზანშეწონილად ვერ მიიჩნევდნენ თამარის ეპოქაში და ეს საკითხი სერიოზული სახით პოემაში არც დგას. როგორც ვთქვით, მომიზეზების ხასიათი აქვს.

იმ პერიოდში, როდესაც ტარიელს „მკვლევართა მთელი თაობები საძრახის გმირად რაცხავდნენ და ზოგ შემთხვევაში საოცრად მძიმე ბრალდებებსაც უყენებდნენ“ (ალ. ბარამიძე), იმასაც სწამებდნენ, რომ მას ნესტანი კი არ უყვარდა, ტახტი უნდოდა, მისი ხელში ჩაგდება სურდაო. ეს ბრალდება ადვილად ბათილდება. ნესტანის დაკარგვის შემდეგ ტარიელს ინდოეთის ტახტზე შემცილებელი აღარაინ კყავდა, მაგრამ მას აღარც ტახტი უნდოდა და აღარც სიცოცხლე.

როსტევანსაც შეჰკადრეს საყვედური. მას შემდეგ, რაც ავთანდილისაგან უცხო მოყმის ამბავი გაიგო და თავისი ინტერესი დაიკმაყოფილა, აღარ აწუხებდა მოყმის ბედი და ავთანდილი აღარ გაუშვა მის დასახმარებლადო.

ავთანდილის ნაამბობიდან როსტევანი მხოლოდ იმ დასკვნამდე უნდა მისულიყო, რომ ტარიელს სრული საფუძველი ჰქონდა მთლიანად უიმედო მდგომარეობაში ყოფნისა. ტარიელმა დიდხანს ეძება სატრფო ზღვაში, შემდეგ ხმელეთზე. ამოწურა ყველა შესაძლებლობა და დაასკვნა, რომ ნესტანი აღარ არსებობდა: ამიტომ, ლოგიკური დასკვნით, როსტევანს უნდა ეფიქრა, რომ ტარიელის შველა აღარ შეიძლებოდა და მასთან ავთანდილის წასვლასაც აზრი აღარ ჰქონდა.

რამაზ მეფე მარცხდება ტარიელთან ომში და სანანე-ბელი უხდება თავისი ურჩობა. ფეოდალურ ხანაში, როცა ურთიერთშორის ომი სახელმწიფოთა არსებობის ფორმა იყო, ცხადია, არსებობდნენ გამარჯვებული და დამარცხებული, უძლეველი და სუსტი მეფეები. რუსთველს „ყოველი ხელმწიფე“ რაკი ღმრთისაგან მოვლენილად მიაჩნია

ამქვეყნად, ნაკლებსახელოვანი ხელმწიფეებიც მათ რიცხვში უნდა ვიგულოთ. რამაზ მეფემ, ჩანს, რომ დრო იხელთა, - სარიდანის გარდაცვალების შემდეგ ინდოეთი უამირბაროდ დარჩა. ერთი წლის შემდეგ კი ჯერ კიდევ ყმაწვილ ტარიელს დაეკისრა მამის მოვალეობის შესრულება. აი, ამ დროს სცადა რამაზმა ბედი – სამშობლოს თავისუფლების მოპოვება მოინდომა.

სარიდანის სიკვდილს, როგორც ჩანს, სხვებიც გაუხარებიან და გაუთამამებია. ტარიელი ამბობს:

„მათ გაეხარნეს, ვის ზარი დაღვედის მისგან შიშისა,
ერთგულთა შექმნეს ვაება, მტერთა – ხსენება იშისა“, (334_{2,3}),

დამპყრობელს რომ შესუსტება შეამჩნია, რამაზს ამ დროს რომ არ გასჩენოდა მისგან თავის დახსნის სურვილი, ეს იქნებოდა მისი საკიცხავი სიბეჩავე. და აი, დროებით გალადღენ ხატაელები:

„სიტყვანი შემოეთვალნეს ლაღნი და უკადრონია:
„არცა თუ ჩვენ ვართ ჯაბანნი, არც ციხე-უმაგრონია,
ვინ არის თქვენი ხელმწიფე? ჩვენზედა რა პატრონია?“ (400_{3,4}).

ტარიელს მისწერა რამაზმა – როგორ თუ მანდ მიბარებ, ამის მეტი აღარ ვნახო შენი გამოგზავნილი წერილიო: „ამის მეტსა ნუმცა ვნახავ კვლავა წიგნსა შენ-მიერსა“.

ეს სითამამე ძვირად დაუჯდა რამაზს – სასტიკად დამარცხდა, მაგრამ მისი საქციელი მაინც არ შეიძლება ჩავაყენოთ იმ ადამიანურ სისუსტეთა რიგში, რომლითაც რუსთველს რიგითი ადამიანის ხასიათი სურს აღბეჭდოს.

დავუბრუნდეთ ავთანდილს:

მაშასადამე, შევჩერდით იქ, რომ ავთანდილმა თავისი საქციელით ასმათი გაარისხა და მის წინაშე ბოდიშის მოხდა დაიწყო.

ამ დროს მან სიტყვა მიჯნური ახსენა. ამის გამგონე ქალმა „გულამოხეინჩით დაიწყო ასკვეცთა ცრემლთა დინება,

კვლავ გაამრავლა ზახილით ტირილი, არ გაცინება“. ავთანდილი აქ მიხვდა იმას, რისი არმიხვედრაც შეუძლებელი იყო – სიტყვა მიჯნურმა დიდად იმოქმედა ქალზე. მერე რა დასკვნა გამოიტანა? ასმათზე იფიქრა – უთუოდ გახელბუღლი მიჯნურიაო: „ვისთვისმე ხელი უცილოდ, მას ცრემლი ემაღმალების“.

აქ კვლავ შეცდა ავთანდილი, ვერ გაერკვა სიტუაციაში.

როგორც ვთქვით, მას ერთ-ერთ ვარაუდად უნდა დაეშვა, რომ მოყმე შეიძლება ველად გაჭრილი მიჯნური ყოფილიყო. ავთანდილმა მისდია მას და ნახა, რომ იგი ბინადრობდა გამოქვაბულში მონა ქალთან ერთად, რომელსაც ასმათი ერქვა და რომელსაც მოყმე „დას“ უწოდებდა. ქალი უფლის და ემსახურება მოყმეს. იგი გამოქვაბულიდან რომ გამოვიდა, თვითონ არ ტიროდა, მოყმის დანახვაზე „ატირდა მადლად ცრემლითა, ზღვათაცა შესართავითა“. მაშასადამე, ასმათი მოყმის თანაგრძნობის გამო ტიროდა.

«ყმამან უთხრა: „დაო ასმათ, ხიდნი ზღვასა ჩაგვიცვივდეს, ველარ მივხვდით ჟამიერად, ჩვენ ვისნიცა ცეცხლნი გვწვიდეს!“» (222³⁴)

ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ ის არსება, ვისთვისაც მოყმეს ცეცხლი სწავავს, ასმათისთვისაც დიდად საყვარელი ყოფილა. მასთან დაკავშირებული უბედურების გამო იღვრება იგი ცრემლად.

აი, ამ ნათლად გამოკვეთილ ამბავს ავთანდილი თუ სათანადოდ გაიაზრებდა, ასმათის რეაგირება მიჯნურის ხსენებაზე აღარ უნდა გაჰკვირვებოდა, ხოლო ის, თვითონ ასმათი რომ მიიჩნია მიჯნურად, იმაზე მიგვითითებს, რომ ავთანდილი ოდნავადაც ვერ ჩასწვდა ნანახისა და გაგონილის შინაარსს.

ავთანდილმა ბოლოს გამოიჩინა გონიერება და მიჯნურობით თავი შეაბრალა ასმათს, რომელმაც გააბედვინა მას უცხო მოყმის გაცნობა, ტარიელთან პირისპირ შეხვედრამ დიდი ზეგავლენა მოახდინა ავთანდილზე, როგორც

აღნიშნული გვაქვს, იგი სულ სხვა პიროვნებად აქცია.

ეს დასკვნითი ეპიზოდი განსაკუთრებულ დაკვირვებას და ანალიზს საჭიროებს. თავისი აგებულებითა და შინაარსით იგი ძალიან გვაგონებს ჯადოსნური ზღაპრების კარგად ცნობილ ეპიზოდს – მეფის დავალებით წამოსული ჭაბუკის დევის დედასთან შეხვედრისას. ამის შესახებ 1966 წელს ჩვენ გამოქვეყნებული გვაქვს წერილი: „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ეპიზოდის ფოლკლორული პარალელი» (შოთა რუსთველი, საიუბილეო კრებული, თბ., 1966).

დევის დედას ჭაბუკი ასე მიმართავს: „დედავ, დედაშვილობას, წყალი დამალევივო“. „დედაშვილობა არ გეთქვა, მე ვიცოდი, რა შავ დღესაც დაგაყენებდი, მაგრამ ახლა რაღა გიყოვო“, – უპასუხებს დევის დედა.

ამ დროს ატყდება რაღაც ხმაური – ან მიწა იძვრის, ან ქარი ამოვარდება, რითაც დევის დედა ხვდება, რომ მისი შვილი ბრუნდება. იგი ჭაბუკს ეუბნება: არიქა, დაიმაღე, თორემ დევი მოდის და შეგჭამსო – და თვითონ მაღავს მას. შინ მოსული დევი ადამიანის სუნს გრძნობს. დევის დედა უარობს: შენი შიშით ცაში ფრინველს ვერ გაუვლია და ძირს ჭიანჭველას, ადამიანს აქ რა უნდაო. დევი თავისას არ იშლის. ბოლოს დედა ჰპირდება მას ადამიანის გამოჩენას იმ პირობით, თუ დევი ჭაბუკს არაფერს დაუშავებს. დევი აძლევს ფიცს. დედას გამოჰყავს დამალული და ხდება დევთან მისი მშვიდობიანი შეხვედრა.

„ვეფხისტყაოსანში“ ავთანდილი ასმათის გულის მოგებას ახერხებს სიტყვა მიჯნურის ხსენებით – „ეგე სიტყვა მოიგონე ღია რამე უკეთესი“, – ეუბნება ასმათი. შენდამი მტრულად განწყობილი ახლა მოყვარედ გაგიხდით. ამ დროს „ხევით ესმათ ჩხაპუნება“. ამ ხმაურით ასმათი ხვდება, რომ ტარიელი ბრუნდება. იგი მაღავს ავთანდილს. შემდეგ ტარიელს ართმევს ფიცს, რომ კაცს თუ გამოუჩენს, არაფერს ავნებს. ტარიელი აძლევს პირობას. ასმათს გამო-

ჰყავს დამალული ავთანდილი და ტარიელთან მისი შეხვედრა მშვიდობიანად ხდება.

ამ ეპიზოდის ზღაპრის ანალოგიურად აგებით რუსთველმა მხოლოდ სიუჟეტის სამკაული კი არ შექმნა. აქ იგი დაგვეხმარა პოემის მთელი მონაკვეთის შინაარსის გააზრებაში. აქ ახსნილია ავთანდილის ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რომელშიც იგი იმყოფებოდა, უცხო მოყმე რომ დაანახევს იმ მომენტიდან მის გაცნობამდე. საქმე ის არის, რომ აქ, მონაკვეთის დასკვნით ნაწილში, ავთანდილი ასოცირდება ზღაპრის ჭაბუკთან, რომელიც დევის დედის რჩევით იმალება. რუსთველი ამით გვაგრძობინებს, რომ ავთანდილისათვის ტარიელი ისეთივე საშიში არსება იყო, როგორც ზღაპრის გმირისათვის დევი. ამას ხაზს უსვამს ეპიზოდის ფინალიც. ტარიელმა რომ ფიცი მისცა ასმათს, ვისაც გამოძიენ, არას ვავენბო, ასმათი გაეშურა ავთანდილისაკენ და ახარა: არ ეწყინა, გამოდიო – „არ ეწყინაო, – უამბობს, – არს მისად მაგულვანებლად“. „მაგულვანებლად“ ნიშნავს გაამხნევა, გააგულოვნა, გააბედვინა, ანუ „ნუ გეშინიას“ აზრს შეიცავს.

ასმათის მისვლამდე ავთანდილმა ყველაფერი დაინახა და მოისმინა. იგი ასმათისა და ტარიელის ქცევას და საუბარს „სარკმლით უჭვრეტდა ჭვრეტითა იდუმალითა“. ავთანდილს მაინც დასჭირდა, რომ ასმათს მისთვის ხელი მოეკიდა და ისე გამოსულიყო სამალავიდან, შემდეგ კი ნელ-ნელა გაჰყოლოდა ტარიელისაკენ: „ხელი მოჰკიდა, მოჰყვანდა, ვით მთვარე მოსავანებლად“.

ეს სურათი ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ავთანდილი გაუბედავი სვლით გაემართა ტარიელისაკენ.

ამ ეპიზოდში ახსნას საჭიროებს ასმათის საქციელი – დევის დედასავით რატომ იქცეოდა იგი. პირდაპირ კი არ გაცნო ავთანდილი ტარიელს, არამედ დამალა, ან ტარიელს რად ეხვეწებოდა, თუ შენ გულშემატკივარ კაცს გამოგიჩენ,

„ფიცე, არ მოჰკლა, არ იყო არსავენებისა ვნებითა!“.

ტარიელი ასმათს ყველაფერს უამბობდა ხოლმე, რაც თავს გარდახდებოდა. თავის განცდებსაც უზიარებდა. აქედან, ასმათმა იცოდა, რომ ტარიელმა ვიღაცეები დახოცა, რომლებთანაც შეხვედრა მოუხდა. მაგრამ რის გამო მოხდა ეს, რა ეწყინა მათგან ტარიელს, ამის ნიუანსებში ვერ ერკვეოდა. ე. ი. ავთანდილივით ისიც მსჯელობდა შედეგების მიხედვით, ხოლო ამ შედეგების მიზეზებს არ აანალიზებდა.

აკად. ალ. ბარამიძე მიუთითებს, რომ ავთანდილისაგან განსხვავებით ტარიელს ერთხელაც არ წამოსცდენია ღვთის საყვედური. პირიქით, ყველაზე უფრო მძიმე მომენტში მას წარმოუთქვამს: «ვთქვი, თუ „ღმერთსა ვერას ვჰკადრებ, რაცა სწადდეს, ეგრე ვყოცა“». ტარიელმა ეს სიტყვები წარმოთქვა მაშინ, როდესაც დარწმუნდა, რომ ნესტანს უშედეგოდ ეძებდა და უკვე ველად გაჭრას აპირებდა. ალ. ბარამიძისავე თქმით, „ავთანდილს შედარებით ნაკლები უფლება ჰქონდა ღვთის სამღურავისათვის, ცრემლთა ფრქვევისათვის, სიკვდილის სანატრელად“. ამიტომ ასკვნის: „უმაგალითოა ტარიელის თმობითი ძალა, ის ამ მხრივაც სჯობნის ავთანდილს“ (გვ. 195).

აქ ყურადღება გვინდა გავამახვილოთ შემდეგ ფაქტზე. ავთანდილმაც იცის, რომ ღვთის საყვედური არ შეიძლება, მაგრამ ვერ ითმენს. აი, როგორ ხდება ეს: სამი წელი, უცხო მოყმის ძებნის ვადა, თითქმის უშედეგოდ რომ მთავრდებოდა, სასოწარკვეთილმა ავთანდილმა ღმერთს სამართალი დაუგმო:

«იტყვის: „ღმერთო, სამართალნი შენნი ჩემთვის რად ამრუდენ!
მე ეზომი სიარულნი კიდე რად, გლახ, გამიცუდენ...“» (189₁₂). და სხვ.

ავთანდილმა წამსვე მოინანია ეს საქციელი: ბრძნული აზრები მოიხმო და თავი დაიმშვიდა:

«კვლაცა იტყვის: „დათმობა სჯობს“ და თავსავე ეუბნების:

„დღეთა მეტად ნუ მოჰკვდები, გული ჩემი ნუ დადნების,
უღმრთოდ ვერას ვერ მოვაწევ, ცრემლი ცუდად მედინების,
განგებასა ვერვინ შესცვლის, არ საქმნელი არ იქმნების“» (190).

მაგრამ აი, ავთანდილი კვლავ აღმოჩნდა სიძნელის წინაშე. არაბეთიდან შემოქცეულს ტარიელი გამოქვაბულში არ დახვდა და ასმათმა უთხრა, აქ ახლო-მახლო იქნებაო. ავთანდილს ელდა ეცა. მტირალი წავიდა ტარიელის საძებრად, კვლავ ინატრა სიკვდილი და ღმერთს კვლავ საყვედური შეჰკადრა:

«იტყვის: „ღმერთო, რა შეგცოდე, შენ უფალსა არსთა მხედსა,
რად გამყარე მოყვარეთა, რად შემასწარ ამა ბედსა?
ერთი ორთა მგონებელი, ვარ საქმესა წარსაწყმედსა,
მოგკვდე, თავი არ მეწყალების, სისხლი ჩემი ჩემსა ქედსა“» (861).

ავთანდილი ამჯერადაც მალე მოეგო გონს და თქვა – ცრემლით ბანა კაცს რას არგებს, ჭკვიანმა კაცმა სჯობს საქმის მოგვარებაზე იზრუნოსო: „სჯობს გამორჩევა აზრისა საქმისა დასაგვანისა, აწ მეცა მიჯობს მონახვა მის მზისა ლერწამ-ტანისა“ და „გაემართა საძებრად მტირალი, ცრემლთა მფრქვეველი“.

სამი დღე და ღამე ეძება ტარიელი, მოიარა „მრავალი ხევი, შამბნარი, ტყე-ველი“; ეძახა, უყივლა და, რომ ვერ მიაგნო და ძალიან გაწვალდა, ისევ ვერ შეიკავა თავი, ისევ ინატრა სიკვდილი და ისევ წამოსცდა ღვთის საყვედური:

«იტყვის: „ღმერთო, რა შეგცოდე, ეგზომ დიდი რა გაწყინე,
რად შემასწარ ამა ბედსა, რა სასჯელი მომივლინე!
გამიკითხველო, გამიკითხე, აჯა ჩემი შესიმინე,
დაამოკლენ დღენი ჩემნი, ჭირნი ამით მომიღხინე!“» (865).

ავთანდილი, უთუოდ, ამჯერადაც მოინანიებდა თავის საქციელს, მაგრამ ამასობაში თვალი მოჰკრა ტარიელის ცხენს და გახარებული იქით გაექანა.

აი, საუკეთესო ნიმუში იმისა, ზოგჯერ როგორ ვერ ერევა ავთანდილი თავის თავს, როგორ სცილდება მისი თეო-

რია და პრაქტიკა ერთმანეთს.

ამრიგად, აზრი, რომ ავთანდილის გულისთქმა ყოველთვის გონებას ემორჩილება, არ მართლდება. ასმათს რომ თმებში ეცა, ეს იყო გულისთქმასთან ჭიდილში მისი გონების სრული მარცხი. ჩვენ სხვა შემთხვევებიც ვნახეთ გონებაზე მისი გულისთქმის გამარჯვებისა. ამის გამოა, რომ ვხედავთ მიწვივ მონანიე ავთანდილს ხან ღმერთის, ხან ადამიანის და ხან თავისი თავის წინაშე.

ტარიელს სანანებელი და საბოდიშო საქციელი რომ ჩაედინოს, ამის შეთხვევა არ გვაქვს.

საერთოდ, მეფეები უფრო ფლობენ თავის თავს, მათი მძლეველი მხოლოდ მშვენიერებაა და სიყვარული, ანუ თვით ღმერთი. სხვა შემთხვევაში ისინი არიან „უმტკიცესი რვალისა“. მეფეები თუ განრისხდნენ, დამნაშავე ის არის, ვინც რისხვა დაიმსახურა. როსტევანი გაურისხდა ვეზირს და მეორე დღეს წუხდა ამის გამო, მაგრამ დამნაშავედ ვეზირს თვლიდა: „ესეგვარსა ნუროდეს იქმ, საქმე ხოლო მოიცადე“, – გააფრთხილა იგი ¹.

¹ აქ სიტყვამ მოიტანა და უნდა ვთქვათ, რომ ამ უსახელო ვეზირში უნდა შევიცნოთ სოგრატო – ვაზირთუხუცესი. ავთანდილი მეფესთან შუამავლად, რა თქმა უნდა, ყველაზე ავტორიტეტულ პირს შეარჩევდა. ასეთად სწორედ სოგრატო ჩანს. თინათინის გამეფების დროს მისი წინამძღოლობით მოვიდნენ ვეზირები:

„მოვიდნენ სრულნი არაბნი, ჯარი გამრავლდა ხასისა, ავთანდილ პირ-მზე, სპასპეტი ლაშქრისა ბევრ-ათასისა. ვაზირი სოგრატო, მოახლე. მეფისა დასთა-დასისა“ (44₁₋₃).

ავთანდილი სოგრატოან არის დაახლოებული. მას მასთან ერთად ერგო პატივი თინათინისათვის ტახტის დადგმისა – „მათ რომე დადგეს საჯდომი, თქვეს „უთქმელია ფასისა“, მეფემ რომ დაიღრიჯა, „ადგეს სოგრატო და ავთანდილ“ და მეფესთან მივიდნენ დაღრეჯილობის მიზეზის საკითხავად. სხვა ვეზირი ვერ დაარღვევდა სუბორდინაციის წესს და ვეზირთუხუცესის გვერდის ავლით, მის უკითხავად, ვერ გაბედავდა მეფესთან მისვლას.

რამაზ მეფე რომ მარცხდება და ტარიელის წინაშე ინანიებს, ეს სხვა სახის მონანიებაა, ფეოდალური ყოფისთვის ტიპური საქციელის ნიმუშია და არა უნებურად, „თმობითი ძალის“ სისუსტის გამო ჩადენილი საბოლოო საქციელი.

მაშ, რატომ დაერქვა ავთანდილს ტარიელზე უფრო თავდაჭერილი და წინდახედული გმირი?

ავთანდილი უფრო თავდაჭერილია მშვენიერების წინაშე. ნესტანის მშვენების პირველად ხილვისას ტარიელი დაბნედილი დაეცა ძირს. ფრიდონიც ნესტანის დანახვამ „ათრთოლა, დაცალეწა“. ასე დაბნედილ და დაღეწილ ავთანდილს ჩვენ ვერ ვხედავთ. საერთოდ, პოემაში არა გვაქვს არც ერთი შემთხვევა ავთანდილის დაბნედისა (ზ. გამსახურდია). ამას შეიძლება ისეთივე ახსნა მოექებნოს როგორც თინათინის თავდაჭერილობას ავთანდილთან, როგორც მიჯნურთან, პირველი შეხვედრისას. ავთანდილი და თინათინი შეჩვეული იყვნენ ერთმანეთის მხერას. ტარიელსაც ნესტანთან შეხვედრისას ყოველთვის ხომ არ მისდიოდა გული. მაშ, როგორ გავიგოთ, რა დაემართებოდა ავთანდილს, თინათინი რომ პირველად ეხილა. რუსთველი გვაძლევს ამის მიხვედრის შესაძლებლობას.

როგორც ვთქვით, ტარიელს ყოველთვის არ მისდიოდა გული ნესტანთან შეხვედრისას. მაგრამ აი, მან იხილა ნესტანი ახალ გარემოში. ეს იყო, როცა მეფემ ხატაეთზე გამარჯვების აღსანიშნავად დარბაზობა გამართა. საზოგადო-

ავთანდილისაგან შუამავლად მიგზავნილ ვეზირს რომ გაუწერა, მეფემ მეორე დღეს ჰკითხა მას: რა მითხარი გუშინ, რა მაწყენინე, „აზომ რომე გაგათრივე შენ, ვაზირი გულის-გული“. „ვაზირი გულის-გული“, ანუ ყველაზე საყვარელი ვეზირი, სწორედ ვეზირთუხუცესს უნდა ნიშნავდეს და იგი სოგრატო უნდა იყოს. ვიქტორ ნოზაძე ამ ვეზირს სწორედ სოგრატად მიიჩნევს (ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველება, პარიზი, 1963, გვ. 105).

ლოების წინაშე პირველად გამოყვანილი ნესტანი ახალ სამოსში იყო მორთული: „მას მზესა ტანად ემოსნეს ნარინჯისფერნი ჯუბანი“. ტარიელი რომ შევიდა დარბაზში, ნესტანის დიდი სილამაზის ხილვისას კვლავ წაერთვა ძაღლონე:

„მეფე გარდახდა, დარბაზსა შევედით ჩემთა მზრდელთასა, შევხედენ, დაჰკრთი ელვასა დაწვთა მზეებრ ნათელთასა“ (479₃₄).

აი, რუსთველმა ავთანდილსაც მოუწყო თინათინის ახალი ხილვა. ეს იყო პირველი სამიჯნურო შეხვედრისას. შინაურულ გარემოში და შინაურულად ჩაცმულ-დახურული დახვდა მას თინათინი, რის გამოც მეტი ძალით ვლინდებოდა მისი სილამაზე. მოწყენილი და ნაღვლიანი ჩანდა თინათინი:

„იგი უებრო ქუშად ჯდა, ელვისა მსგავსად შეენოდა. მთვარესა მისთა შუქთაგან უკუნი გარდაჰფენოდა“. (122₃₄).

ასეთი ელვის მსგავსი მშვენება ტარიელს მუხად დაეცემოდა, დაილეწებოდა ფრიდონიც. ამის მხილველი ავთანდილი კი მშვიდად გამოიყურებოდა:

„მონამან სელნი დაუდგნა, დაჯდა კრძალვით და რიდითა, პირისპირ პირსა უჭვრეტდა სავსე ლხინითა დიდითა“.

ამ დროს ავთანდილი არ ღელავდაო, არ შეიძლება ამის თქმა. თინათინს ეუბნება – ვეღარ ვაზროვნებ, გაოგნებული ვარ. შენვე თქვი, რა გიმძიმსო:

„მზესა მთვარე შეეყაროს, დაილევის, დაცაჭნების, აზრად არად აღარა მცალს, თავი ჩემი მეგონების, თქვენვე ბრძანეთ, რაცა გიმძიმს, ანუ რაცა გეკურნების“. (126₃₄).

მაგრამ ეს ღელვა, ფაქტია, არ იყო ისეთი ძლიერი განცდის გამომხატველი, როგორც დაეუფლებოდა ტარიელს ან ფრიდონს. მაშასადამე, თინათინის „ახალმა“ ხილვამ, მისმა საოცარმა სილამაზემ არ დაბნიდა ავთანდილი. არ დააკრთო, არ დალეწა, არ წაართვა ძალი მხართა და მკლავისა.

ავთანდილი იმასაც უნდა შეეკროთ, რომ აშკარად იგრძნობოდა, თინათინი სახელმწიფო საქმეზე რომ არ იბარებდა მას. იგრძნო კიდევც, მაგრამ არ შემკრთალა. მან მშვენიერად აულო ალლო სიტუაციას. სწორედ ამან გააბედვინა, რომ თინათინისთვის ეთქვა – შენი სილამაზით გონებაწართმეული ვერაფერს გიპასუხებო. წარმოუდგენელია, რომ მსგავსი დიალოგი გამართულიყო ხელმწიფე ქალსა და ვეზირებს შორის სახელმწიფო თათბირებზე. აქ ავთანდილმა კარგად მოიხელთა დრო და ფაქტობრივად, სიყვარულში გამოუტყა და თინათინს. დაასწრო მას თავისი გრძნობის გამჟღავნება.

აი, ასეთ რთულ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში ავთანდილი, მართლაც, საოცრად თავდაჭერილი იყო. რით აიხსნება ეს? იმით, რომ, როგორც ფიქრობენ, ის უფრო მტკიცეა ტარიელზე, მისი გონება უფრო იმორჩილებს გრძნობებს, თუ იმითი, რომ მშვენიერება ისეთი ძალით ვერ მოქმედებს მასზე, როგორც ტარიელზე, ანუ მას არ შეუძლია მშვენიერების ისეთი განცდა, როგორც ტარიელს. ვფიქრობთ, უფრო ეს არის სწორი.

აქედან რომელი სჯობია? ამისთვის უნდა ვიცოდეთ, რა ითვლებოდა მშვენიერების განცდის იდეალად, თავდაჭერილობა თუ დაბნედა.

პლატონი „ლიხინში“ და „ფიდონში“ მსჯელობს იმაზე, თუ რატომ ეუფლება სიცოფე, გახელება და სიშმაგე მათ, ვისაც სიყვარული შეიპყრობს. მისი აზრით, ეს ხდება იმიტომ, რომ ამ ქვეყანაზე ხილული მშვენიერი საგნები ღვთაებრივი მშვენიერების მოგონებას იწვევენ და ადამიანები ამას გულგრილად ვერ შეხვდებიან. „ადამიანი თავს სიცოფის მდგომარეობაში გრძნობს, როდესაც, ხედავს რა ამქვეყნიურ მშვენიერებას, ჭეშმარიტ მშვენიერებას იგონებს, ...ყველა ზეშთაგონებულთა შორის ეს ზეშთაგონება საუკეთესოთა შორის საუკეთესოა“.

ამქვეყანაზე არსებული „სულები, დაინახავენ რა აქ, მიწაზე, რაღაც იმის მსგავსს, რაც მათ იქ, ზეცაში იხილეს, განცვიფრებაში მოდიან. წონასწორობას კარგავენ, თავის მდგომარეობას ვერ სწვდებიან, რადგან მასში საკმაოდ ვერ ერკვევიან“.

მაშასადამე, ამქვეყნად დიდი მშვენიერების ხილვამ ადამიანს უნდა მოაგონოს ზეციური, ღვთაებრივი მშვენიერება. ეს კი მასზე გამანადგურებელი ძალით მოქმედებს. გავიხსენოთ დავით გურამიშვილის: „მისმან ეშხმან დაცამლევწა, შემიმუსრა ძვალი“. გამოდის, რომ ავთანდილს არა აქვს ზეციური ხილვები. საოცარი სილამაზის პირისპირ დგომისას მას არ ახსენდება ჭეშმარიტი მშვენიერება, არ ეხსენება „საზო“ ხედვა და ამიტომ არ კარგავს წონასწორობას. ეს ყოფილა მიზეზი მისი თავდაჭერილობისა.

მაშასადამე, მშვენიერების განცდის იდეალს პოემაში ასახიერებენ ტარიელი და ფრიდონი.

ქართველი მეცნიერები სამართლიანად აღნიშნავენ: რომ „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, მშვენიერების განცდის ნიჭი ადამიანთა საყოველთაო კუთვნილებაა. ეს არ არის წარჩინებული კლასების პრივილეგია. მიუთითებენ ფრიდონის მონაზე, რომელიც ავთანდილის დანახვისას „დადგა, თვალნი გაურეტდეს, დაავიწყდეს სიტყვის თქმანი“ (მ. ნადირაძე, რუსთაველის ესთეტიკა, თბ., 1958).

ეს სრული ჭეშმარიტებაა, ამ თვალსაზრისით კლასები ერთმანეთისაგან არა სხვაობენ, მაგრამ მეფე ზეკლასობრივი არსებაა, იგი ღმრთისსწორი პიროვნებაა და თავისი ყველა თვისებით მალდა დგას ჩვეულებრივ ადამიანებზე. ამრიგად, პოემაში ერთმანეთს უპირისპირდება ღვთაებრივი და ადამიანური შესაძლებლობა, მხედველობა და ზემხედველობა, გრძნობადი და ზეგრძნობადი, ანუ „ჭკვიანთა“, ე. ი. ამქვეყნიურ ინტელექტზე დაყრდნობილ ადამიანთა (ზ. გამ-

სახურდია) და ღმრთისსწორთა აზრები, გრძნობები, განცდები და საქციელი ¹. აი ამიტომ მშვენიერების განცდა ავთანდილში უფრო სუსტია, ვიდრე ტარიელში.

ავთანდილმა შეასრულა პირობა, სამ თვეში დაბრუნდა გამოქვაბულში და ტარიელი მოიკითხა: „ყმა ქალსა ეტყვის: პატრონი ნეტარ სად არის და ვითა?“ „ქალი ატირდა ცრემლითა ზღვათაცა შესართავითა“. წახვედი თუ არა, აქ ვედარ გაძლო და გაიჭრა, იმის შემდეგ მისი ამბავი არ ვიცოდ. ავთანდილს ლახვარივით ეცა გულზე ეს ამბავი და მაშინვე ტარიელის კიცხვა დაიწყო:

„ქალსა ეტყვის: აჰა, დაო, ეგეთიმცა კაცი ნუა,
იგი ფიცი ვით გატეხა, არ ვეცრუევი, ვით მეცრუვა!
ვერ იქმოდა, რად მიქადა, თუ მიქადა, რად მატყუა?“ (845₂₄).

რატომ დამივიწყა, რატომ ვერ გაძლო აქ, ისეთი „რა მისჭირდა“, რომ ფიცი გატეხა, მაგრამ ჩემი ავი ბედისაგან მეტს რას უნდა მოველოდეო.

ასმათს ეწყინა ტარიელის კიცხვა და ავთანდილს შეგონება დაუწყო. „არ გული უნდა ფიცის და პირისა გასრულეზას?“ და შემდეგ გადაუშალა ტარიელის სულიერი ტანჯვის მთელი სურათი, რომლის მსგავსი ამბადაც არავის სმენია. ავთანდილისადმი საყვედური მან ანდაზით დაასრულა: „თვით რაცა ბრძანოთ, მართალ ხართ, სხვა სხვისა ომსა ბრძენია“. აკად. აღ. ბარამიძის სიტყვით, „ეს ღრმა ირონიით შეზავებული აფორისტულად გამოთქმული სიბრძნე განსაკუთრებულად გამანადგურებელი დარჩა ავთანდილისათვის“ (გვ. 194). ამის შემდეგ ასმათმა ამცნო ავთანდილს,

¹ რუსთველიც ხომ ამას ამბობს: „მას ერთსა მიჯნურობასა (საღმრთო, საზეო, მიჯნურობა. – ც. კ.) ჭკვიანნი ვერ მიხვდებიან“: ზ. გამსახურდიას განმარტებით, „ჭკვიანნი“ არიან ამსოფლიურ ინტელექტზე დაყრდნობლი ადამიანები, რომელთაც არ გააჩნიათ საზეო ხედვისა და წვდომის უნარი (გვ. 6).

რომ წასვლისას შევეკითხე, ავთანდილი რომ დაბრუნდეს, რა ქნას, დამიბარე ამბავიო. მან მითხრა, მე ფიცს არ გატყეხ, არ ვეცრუვები, პაემნამდე დაველოდები. ამ არემარეში მომნახოს და თუ მკვდარი მიპოვნოს, დამმარხოსო.

და ავთანდილს უკვე მეორედ დასჭირდა ასმათის წინაშე ბოდიშის მოხდა: «ყმამან უთხრა: „უმართლე ხარ, არ მამართლო მდურვად მისად“».

ეს ეპიზოდი უფრო ვრცელ განხილვას საჭიროებს.

ავთანდილმა ასმათს ბოლომდე არ დაასრულებინა სათქმელი და ისე დაიწყო ტარიელის კიცხვა. „გეთიმცა კაცი ნუა!“ – თქვა იმ პიროვნებაზე, რომელსაც გაცნობისას უთხრა: ღმერთი ხარო.

ტარიელის მდგომარეობის მცოდნეს, ავთანდილს არ უნდა ეფიქრა, რომ იგი გამოქვაბულის წინ დახვდებოდა დინჯად ჩამომჯდარი და გზისკენ თვალმიპყრობილი. არც ის უნდა დაეშვა, რომ ტარიელი ფიცს გატყეხდა და შორს, უგზო-უკვლოდ იქნებოდა გადაკარგული. მაშასადამე, წინასწარ დაახლოებით მაინც უნდა ევარაუდა ის, რა ამბავიც დახვდა.

ამ ეპიზოდში ავთანდილმა გამოამჟღავნა ის, რომ ტარიელი ჯერ კიდევ სრულად არ ჰყავდა შეცნობილი. ადვილად შეაფერა მას ფიცის გამტეხელობა, ცრუობა, მოძმის დავიწყება. გამოავლინა ისიც, რომ არც ტარიელის მდგომარეობაში იყო კარგად გარკვეული. ავთანდილს არ უნდა დასჭირებოდა იმის განმარტება, რატომ ვერ გაძლო ტარიელმა გამოქვაბულში. „რად ვერ გასძლო, რა მისჭირდა?“ ეს საქმეში ჩაუხედავი კაცის კითხვა დასვა მან.

როგორც ვთქვით, თავისი საქციელისათვის ავთანდილმა ბოდიში მოიხადა, მაგრამ მან თავი გაიმართლა – მართალია, მისი საყვედური არ უნდა მეთქვა, მაგრამ აბა, წარმოიდგინე, მეც რა დღეში ვარო. მისი გულისათვის ჩემი სახლიდან წამოსული ვარ „ვით ირემი ძებნად წყლისად“;

მივატოვე სატროფო, მოვიმდურე ღმრთის სწორი პატრონი და ის კი წასული დამხვდაო და ახლა „ცუდმაშვრალი და მტირალი ქვე ვზი პირითა მქისითა“.

აქ ავთანდილის თავის მართლების აზრობრივი სქემა, დაახლოებით, ასეთია: მართალია, ტარიელზე საყვედური არ უნდა მეთქვა, მაგრამ სხვაგან რომ დამხვდა წასული, აბა რა უნდა მექნა?

ამის შემდეგ მიდის ტირილით და კვლავ თავისას იმეორებს: ძმობილმა ფიცი არ შემისრულაო - „იგი ფიცი, ჩემგან სრული, მან აღარა გამისრულა“. ე. ი. ტარიელს კვლავ ფიცის გამტეხელს უწოდებს. მაშ, რაღად მოიხადა ბოდიში? გამოდის, რომ მან კარგად კიდევ ვერ შეიგნო, რა შესცოდა ტარიელის მიმართ. არ სჯერა, რომ ტარიელს მართლა სადმე ახლოს იპოვის.

ამ ეპიზოდში მსჯელობას საჭიროებს ასმათის საქციელიც, რომელიც, უნდა ითქვას, რომ მთლიანად მოკლებულია საზრიანობას.

ასმათს, ავთანდილის მომლოდინეს, უნდა მოეფიქრებინა, როგორ დაეხვედრებინა ამბავი, რომ მისთვის გული არ გაეხეთქა. კითხვაზე – შენი პატრონი სად არისო – ჯერ ეს უნდა ეთქვა: აქ ახლო-მახლო გელოდება, ასე დამიბარა შენთვის სათქმელადო და მერე დაემატებინა – მე კი, რაც შენ წახვედი, აღარ მინახავსო. მან კი პირდაპირ მიახალა ტირილით, რომ მისი წასვლის შემდეგ ტარიელის ამბავი აღარ იცოდა.

შემდეგ, როცა ასმათმა შეამჩნია, რომ მისი პასუხი ავთანდილს ლახვარივით ეცა გულზე, მაშინ მაინც სასწრაფოდ უნდა ცდილიყო მის ნუგეშისცემას – ნუ გეშინია, შორს კი არ არის წასული, აქვე ახლოს გელოდება, მას ფიცი არ გაუტეხავსო. ამის ნაცვლად დაუწყო ვრცელი შეგონება, რომლის მიხედვითაც ავთანდილს, მართლაც, ცუდმაშვრალად უნდა წარმოედგინა თავი და უნდა ენა-

ნა, რომ ენდო ტარიელის სიტყვას და დაიჯერა, რომ იგი მართლა გამოქვაბულში დახვდებოდა. „არ გული უნდა ფიცის და პირისა გასრულებასა?“ – ჰკითხა მას ასმათმა და ამით, ფაქტობრივად, დაადასტურა, რომ ტარიელმა ფიცი ვერ შეასრულა. შემდეგ მოჰყვა მის ახსნა-განმარტებას, რატომ არ შეეძლო ტარიელს გამოქვაბულში გაჩერება, რაც ცეცხლი სწვადა მას და სხვ. ენამტყვევრობითა და ბრძნადმეტყველებით გული რომ იჯერა, მხოლოდ შემდეგ გააგებინა, რა დაუბარა ტარიელმა.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი. მთავარი ის არის, რომ ასმათმა ის კი არ უსაყვედურა ავთანდილს, ტარიელს ფიცის-გამტეხელობა როგორ აკადრე, სიცრუე როგორ შეაფერეო, არამედ იმაზე დატუქსა – შენ როგორ ელოდი მისგან, რომ ფიცს შეასრულებდა და გამოქვაბულში დაგხვდებოდაო.

მაშასადამე, მან სწორედ ვერ წარმართა თავისი შეგონება. ასმათმა ავთანდილი ვერ გაარკვია იმაში, რომ ტარიელს ფიცი არ გაუტეხავს, მხოლოდ ის არის, რომ გამოქვაბულში ვერ გაძლო და ცოტათი მოშორებით იმყოფებო. ამიტომ ავთანდილი ვერც მიხვდა, რა იყო მისი შეცოდება და იგი, ასმათისაგან მიმავალი, ისევ ბრალს სდებს ტარიელს ფიცის არშესრულებაში.

ე. ი. ასმათის შეგონების აზრობრივი სქემა ასეთია: შენ როგორ ელოდი ტარიელისაგან ფიცის შესრულებას? არ შეეძლო მას ფიცის შესრულება. წასვლისას დამიბარა, ფიცს არ გავტეხ და აქვე ახლოს დაველოდებო.

აი, ორი ჩვეულებრივი ადამიანი ერთმანეთის პირისპირ. ორივე ბრძენია, მაგრამ მაინც ერთს ერთი ეშლება და მეორეს მეორე. შეიძლება ითქვას, რომ მათ დიალოგს ერთგვარად კომიკური იერიც კი დაჰკრავს.

ამის შემდეგ ავთანდილმა იპოვნა დაბნედილი ტარიელი – „მას აღარა შეესმოდა, სოფლის გაღმა გაებიჯა“. ძლივს მოასულიერა იგი, „ცოტადრე მოაცნობილა“. როგორც კი

ტარიელმა თვალი გაახილა და ავთანდილი იცნო, სიხარულით მოეჭდო, მოეძმობილა და

„უთხრა, ძმაო, არ გიტყუე, გიყავ, რაცა შემოგვიცე-
გნახე სულთა გაუყრელმან, ფიცი ასრე დავამტოცე.
აწ დამეხსენ, სიკვდილამდის ვიტრო და თავსა ვიცე,
მაგრამ გვედრებ დამარხვასა, მხეტთა საჭმლად არ მივიცე“ (873).

აქ ავთანდილს გულში არ გააკენწლა – ფიცის გამტეხელობა როგორ შევაფერეო, მაგრამ მაინც მიხვდა იმას, რასაც აქამდეც უნდა მიმხვდარიყო. ამიტომ ფრიდონთან მიმავალი უფრო გონივრულ პირობას უდებს ტარიელს, არ ზღუდავს, მაინცდამაინც გამოქვაბულთან დამხვდით. ეუბნება: ეს ერთი წელი სადაც გინდა, როგორც გინდა, ისე იყავი, მხოლოდ გამაგრდი, რომ არ მოკვდეო. ერთი წლის შემდეგ კი ამ გამოქვაბულთან მომნახე, ნიშნად ვარდის ფურცლობის დროს მოგცემო.

ავთანდილის სახის სრულად წარმოსახვისათვის ზოგი რამ კვლავ უნდა გაგაანალიზოთ, ზოგი რამ კი წარმოდგენის მიხედვით განვსაჯოთ.

ავთანდილი ჭკუას არიგებს ტარიელს, სასოწარკვეთილებას უგმობს, ჭირთა თმენისა და გამძლეობისაკენ მოუწოდებს. თვითონ თუ შეეძლო ეს სასურველი გამძლეობა?

ავთანდილი თინათინმა დააიმედა: „ვერა ჰპოვებ, დავიჯერებ, იყო თურე უჩინარი, კოკობი და დაუფრჭვენელი ვარდი დაგხვდე დაუმჭნარი“. ამრიგად, ბედნიერება ავთანდილს გარანტირებული ჰქონდა. რა თქმა უნდა, სახელოვნად დაბრუნება ერჩია. ამიტომ მოყმის საძებრად წამოსული მაინც დიდად დელავდა, იტანჯებოდა, წვალობდა და, მოთმინებადაკარგული, ლამის თვითმკვლელობაზეც ფიქრობდა: „მოუნდის გულსა დაცემა, ზოგჯერ მიმართის დანასა“.

ამაზე ამბობს ხალხი: „სხვა სხვისა ომსა ბრძენია“, რუსთველი კი ამბობს: „სხვისა სხვამან უკეთ იცის სასარგებლო საუბარი“.

ავთანდილის ნებისყოფის დიდ გამოვლინებად მიხ-
ნეულია მისი თავშეკავება, უცხო მოყმის დანახვისთანავე
რომ არ გაეშურა მასთან პირისპირ შესაყრელად. ეს, რო-
გორც ვნახეთ, სხვა ფაქტორებითაც იყო განპირობებული.
ვთქვათ, ნებისყოფის გამო მოხდა. უნდა შევნიშნოთ, რომ
მოყმის უეცრად დანახვა იყო სამი წლის მანძილზე ყოველ
წუთს მოსალოდნელი მოულოდნელობა, რისთვისაც ავთან-
დილი მზად უნდა ყოფილიყო. ავთანდილის ეს თავშეკავება
არ შეიძლება ერთ სიბრტყეზე დავაყენოთ ტარიელის იმ
თავშეკავებასთან, რომელიც მან შეძლო ნესტანის გათხოვე-
ბაზე რომ დაუწყეს ლაპარაკი. ეს იყო ნამდვილი მეხის
დაცემა. ტარიელი უეცრად კარგავდა ნესტანსაც და ინ-
დოეთის ტახტსაც. ვლ. ნორაკიძის აზრით, „ეს სიტუაცია
თავისი მოულოდნელობით და სიმძაფრით უფრო ძლიერია,
ვიდრე ნესტანთან პირველი შეხვედრა... ტარიელის ქცევა,
მეფის მიერ ნესტანის გათხოვების შეცხადებიდან დაწყებუ-
ლი სასიძოს მოკვლამდე, მთლიანად ნებელობითი ქცევაა.
დაძლეულია მწვავე ემოციები-ვნებები, აფექტები... ამოქ-
მედებულია ნებელობის აქტი ყველა მისი დამახასიათებე-
ლი თვისებით ... ასეთ განცდებსა და ქცევებს თანამედროვე
ფსიქოლოგიაში სხვა არა ჰქვია რა, გარდა წმინდა ნებელო-
ბითი ქცევისა“ („ტარიელის „ველად გაჭრის“ პრელუდია
ვეფხისტყაოსანში“, „მნათობი“, 1966, №9).

ამრიგად, ნებისყოფითა და თავდაჭერის უნარით არ
შეიძლება ავთანდილის ტარიელთან გატოლება, ასევე – ყვე-
ლა სხვა თვისებით. პოემაში ეს ავტორის მიერ მრავალჯერ
სიტყვიერადაც არის გამოხატული. პროლოგში გამოთქმულ
აზრს ტარიელის შეუდარებლობის შესახებ პირდაპირ შეე-
სატყვისება პოემის „ვინმცა ჰგვანდა ხორციელი სოფელს
შვილი ადამისი“ (1636). ამასვე გვიმტკიცებს „მზე მნათობ-
თაცა დაჰფარავს“ და სხვ.

უკიდურესობამდეა დამცირებული ავთანდილის ძალმო-

სილება ტარიელთან შედარებით ასმათისეულ ლიტოტეს-ში მზე და თრთვილი – „მზე არ მახლავს, შეგეტყვების, თრთვილო, ასრე მით მაწყენო!“, ანდა იქვე, ავტორისეულ ალფეგორიაში – დევი და ჭაბუკი.

გარეგნული სილამაზით ავთანდილი ზოგჯერ თითქოს გატოლებულია ტარიელთან. ფრიდონი მათთან შედარებით დაჩრდილულია. ისინი არიან „ორნი მზენი, ერთი მთვარე“. ზოგჯერ ავთანდილი ფრიდონთან დგას და ტარიელი ორივეს მზესავით დაჰნათის.

მაინც რა შეფარდებაა ტარიელისა და ავთანდილის სილამაზეთა შორის, ეს, რა თქმა უნდა, აინტერესებს მკითხველს. ეს ამ ორი გმირის მიმართ ნახმარი ეპითეტებითა და მეტაფორებითაც გასაგებია, მაგრამ მეტი თვალსაჩინოებისათვის მივმართოთ ეპიზოდს, რომელიც ამ კითხვაზე პირდაპირ პასუხს გვაძლევს. ეს არის ავთანდილის ხატაელ ძმებთან შეხვედრის ეპიზოდი.

ამ ძმებმა ის-ის იყო, ტარიელის შეპყრობა ვერ შეძლეს და უცებ ავთანდილს გადაეყარნენ. ისინი ავთანდილს გატაცებით უამბობდნენ და აღუწერდნენ უცხო მოყმის კაცთაგან უნახავი მშვენების ამბავს. ამ დროს ავთანდილის გარეგნობას მათზე ოდნავადაც არ უმოქმედია. ერთი ვერ შევიპყართ და აი, მეორე მისი ბადალიო, – მათ არ უფიქრიათ ავთანდილის დანახვაზე. ავთანდილს მათ ისე დაუწყეს საუბარი, როგორც ჩვეულებრივ, რიგით ადამიანს. ასე რომ, ავთანდილმა თინათინს რომ უთხრა ტარიელზე: „მისსა მნახავსა ნახული აღარა მოეწონების“, – ეს პირდაპირ დამტკიცებულია ამ ეპიზოდში.

ავთანდილი პოემაში ასახიერებს ჩვეულებრივი ადამიანის რეალურ შესაძლებლობათა ზედა ზღვარს. ეს ჩანს თვით მის ვინაობაშიც. ავთანდილი ამირსპასალარის ძეა, თვითონ სპასპეტი. ამავე დროს, „ზრდილი მეფეთა შვილობით“, ამაზე მაღლა ჩვეულებრივი ადამიანის ვინაობა ვეღარ ავა.

ჩვეულებრივი ადამიანი აღარ შეიძლება იყოს ავთანდილზე ლამაზი, მამაცი, ჭკვიანი, გონიერი, მგრძობიარე და სხვ. თავისი ყველა თვისებით იგი ადამიანთა შორის სწორუპოვარია. ეს პირდაპირ არის გამოხატული თინათინის სიტყვებში: „ხორციელი არავინ გყავს შენად სწორად“. ავთანდილი ხორციელთა შორის საკვირველებაა. „ასეთი ხორციელი როგორ არისო“, – კითხულობენ მის შესახებ პოემაში, მაგრამ ხორციელი არ უნდა იყოსო, ამაში ეჭვი არავის ეპარება. ტარიელი, ნესტანი და თინათინი კი გაცილებული არიან ხორციელობის ზღვარს. „თუ ხორციელი არისმცა, თვალნიცა მრისხვენ ღმრთისანი“, – ამბობენ ნესტანის შესახებ. ამის პასუხად ფატმანი ამბობს: „არცა მე ვიცი მაგისი ხორციელობა“. ტარიელის შესახებ ხომ პირდაპირ კითხვას დასმული: შობილია თუ უშობელი, ანდა: „კაცად ხორცისად ვით ითქმის ასრე თვალთაგან ფარული“. ზვიად გამსახურდიას აზრით, ამ სიტყვებში მოისმის ექო თეორიული დებატებისა ქრისტეს ხორციელი ინკარნაციის შესახებ დოკტრინის, ანუ მოჩვენებითი სხეულის თეორიის მომხრეთა და მართლმადიდებელთა შორის (გვ. 204).

ამ სამ გმირს, ე. ი ნესტანს, თინათინსა და ტარიელს, პოემაში მიემართებათ საკრალური ეპითეტები. ამ მხრივ პოემაში მათ მიმართ ისეთივე დამოკიდებულებაა გამოხატული, როგორც სახოტბო ძეგლებში თამარისა და დავით სოსლანის მიმართ. ავთანდილის შესახებ კი, როგორც ზვიად გამსახურდია აღნიშნავს, „არსად არაფერია საკრალური“.

ამრიგად, ნესტან-თინათინისა და ტარიელის სახეები პოემაში მთლიანად იდეალიზებულია. ისინი გამოხატავენ ადამიანზე ოცნების ზედა ზღვარს. ავთანდილის სახე კი უფრო მოზომილი იდეალიზაციით არის შექმნილი და, როგორც ვთქვით, ადამიანის რეალური შესაძლებლობის ზედა ზღვარის გამომხატველია.

ავთანდილს მიღებული აქვს დიდი განათლება, იცნობს

ფილოსოფიას, მხატვრულ ლიტერატურას, მარჯვედ იყენებს ციტატებს, მიდრეკილია აზრის აფორისტული გამოხატვისკენ. ალბათ, ესეც გახდა საფუძველი, რომ მასში ინტელექტუალური საწყისი დაენახათ. მაგრამ არ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ავთანდილისებურ განათლებას მოკლებული არიან ღმრთისსწორები. მაგრამ მათ არ ახასიათებთ ციტირება. ეს მათი საგანგებო თვისებაა, რადგან არ შეიძლება ღმერთი გამოიყვანო პერსონაჟად და ციტატებით ალაპარაკო. პლატონი როგორც გვასწავლის, ისე მოვიქცეთო, ამის თქმა არ შეეფერება ინკარნირებულ ქრისტე ღმერთს.

ავთანდილი საყმოს უპირველესი წარმომადგენელია და ამ მხრივ იგი ხალხის რჩეულ გმირს ასახიერებს. ამიტომ არის, რომ მის სახეს, ქმედებებსა და თავგადასავალს ხშირად მისდევს ფოლკლორული მოტივები და რემინისცენციები. მაგალითად, ავთანდილის წასვლა ტარიელის საძებნელად ასეა აღწერილი:

„ავთანდილ იგი მინდორი ოთხახმით გარდაიარა,
დააგდო ზღვარი არაბთა, სხვა ზღვართა არე იარა...
ყოფლი პირი ქვეყანისა მოვლო, სრულად მოიარა,
ასრე რომე ცასა ქვეშე არ დაურჩა, არ იარა...“

ამ სტრიქონებში ხალხური „იარა-იარა“ ხმიანობს (იარა-იარა, ცხრა მთა გადაიარა... და მიაღვა დევის გამოქვაბულს). ტარიელი ავთანდილზე მეტად უვლიდა ქვეყნიერებას, მაგრამ მისი სიარული სხვაგვარად არის გადმოცემული: „ვითა მთვარე დაუდგრომილად იარების, არ დადგრების“.

ამრიგად, სრულიად გამოკვეთილია ავტორის დამოკიდებულება და პოზიცია პოემის ორი მთავარი პერსონაჟისადმი. ტარიელი და ავთანდილი ერთმანეთის პირისპირ დგანან როგორც ღმრთისასწორთა უპირველესი წარმომადგენელი და ჩვეულებრივ ადამიანთა უპირველესი წარმომადგენელი. აქედან კი იკვეთება ავთანდილის, როგორც პერსონაჟის,

ფუნქციაც პოემაში.

ჩვენი აზრით, პოემაში ავთანდილის ერთერთი ძირითადი ფუნქცია მდგომარეობს იმაში, რომ მასთან, როგორც სამეფოს სწორუპოვარ ყმასთან, მიმართებაში გამოიხატოს, რითი არიან აღმატებული მეფეები, ანუ ღმრთისსწორები, ჩვეულებრივ მოკვდავებზე, თავის ქვეშევდრომებზე, ანუ პირუკუ თუ ვიტყვით, ავთანდილის სახიდან ჩანს, რომ ადამიანი, თვით სწორუპოვარი მთელ სამეფოში, როგორ ვერ უტოლდება ღმრთისსწორ ხელმწიფეებს, ე. ი. ავთანდილი ქმნის ფონს მათი სიდიადის წარმოსაჩენად. „მათად საქებრად“ დაწერილ ნაწარმოებში ამის ჩვენება, ვფიქრობთ, პოეტის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა იყო.

მაგრამ ეს არ შეიძლებოდა ყოფილიყო მთავარი. რუსთველის მთავარი ამოცანა, ანუ „უდიდესი ჰუმანისტური ამოცანა“, შალვა ნუცუბიძემ დაინახა იმაში, რომ გაერკვია „საზრისი ადამიანის არსებობისა“. რუსთველს სურდა ეჩვენებინა „ცოცხალი, მგრძნობელი, მოაზროვნე და მოქმედი ადამიანი“. ამ თვალსაზრისით მისი ყურადღების საგანი უფრო უნდა ყოფილიყო არა ღმერთ-ადამიანი, ანუ ღმრთისსწორი არსება, არამედ ჩვეულებრივი მოკვდავი. და აქ იკვეთება ავთანდილის მთავარი ფუნქციაც. ამიტომ აღნიშნავს შალვა ნუცუბიძე: „რუსთველთან მისი გმირის, ავთანდილის, ბედი, საერთოდ, ადამიანის ბედშია გადაზრდილი და ამით ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობას იძენს“.

გიორგი გაჩეჩილაძე აღნიშნავს: „რუსთაველს გაცნობიერებული აქვს, რომ ადამიანი თავის რეალურ მოცემულობაში ჯერ კიდევ არ არის იდეალი ადამიანურობის, მაგრამ მასში აშკარად არის პოტენციური შესაძლებლობა სრულყოფისა“.

აი, ეს სრულყოფის გზა, უმაღლესი სრულყოფის ფორმამდე ასვლა, რაც რენესანსულ კულტურაში აღინიშნება როგორც „ვირტუ“ და „ჰომო უნივერსალე“ და უახლოვდე-

ბა არეოპაგიტულ თეოზის („გადმერთებას“), ჩვენი აზრით, რუსთველს შეიძლება ეჩვენებინა მხოლოდ ავთანდილის მაგალითზე, რადგან პოემის ყველა სხვა ღირსეული პერსონაჟი უკვე სრულყოფილების მწვერვალზეა თავიდანვე. ღმრთისწორებს არ სჭირდებათ არც გარდაქმნა, არც ამაღლება, ისევე როგორც ღმერთს. გარდაქმნა სჭირდება ჩვეულებრივ ადამიანს. მან უნდა მიაღწიოს ღმრთისწორობას, ღმერთთან გატოლებას და ამ მხრივ ავთანდილია ყურადღების ცენტრში.

სანამ იმას განვიხილავდეთ, არეოპაგიზმის ეს მთავარი იდეა როგორ განახორციელა რუსთველმა ავთანდილის სახით, გვსურს შევეხოთ პოემის მთავარ მოტივებს – მიჯნურობასა და მეგობრობას, სადაც ავთანდილი კვლავ ჩვეულებრივ ადამიანად უნდა ვიხილოთ. უნდა შევჩერდეთ, აგრეთვე, ნესტანისა და თინათინის სახეებზე.

მეგობრობა. მეფის ღმრთისწორობის იდეისათვის ყურადღების მიქცევამ, იმაზე მითითებამ, რომ ტარიელისა და ავთანდილის სახით ჩვენ ერთმანეთის პირისპირ უნდა ვხედავდეთ ინკარნირებული ლოგოსის, ანუ ქრისტე ღმერთისა და ჩვეულებრივი ადამიანის სულიერი წყობის პერსონაჟებს, სხვა თვალთ უნდა შეგვახედოს მთავარი მოტივებისათვისაც. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს მიჯნურობა და მეგობრობა.

რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში მეგობრის იდეალად აღიარებულია ავთანდილი. მოცემული პირობის მიხედვით, უკვე აღარ შეიძლება დაუშვათ მოყვასისადმი სიყვარულსა და თავდადებაში ჩვეულებრივი ადამიანის უპირატესობა ქრისტე ღმერთთან შედარებით. მაგრამ მხოლოდ ამ თეორიის მიხედვით საკითხის გადაწყვეტა არასასურველია. მთავარია, როგორ მტკიცდება ეს პოემის მონაცემებით.

სწორედ პოემის მონაცემებით მეგობრის იდეალსაც ტარიელი ქმნის.

დიდად საქები მეგობრობა გაუწია ავთანდილმა ტარიელს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს დიადი მეგობრობა მაინც სტანდარტულია. მოძმისადმი დახმარება, მისთვის ჭირში თავის ჩაგდება, დიდი გზების გავლა, თავგადასავლების გარდახდომა, თავგანწირული ბრძოლები და სხვა ჩვეულებრივი ამბავია რაინდულ რომანებში. ტარიელის მეგობრობა კი იმით არის გამორჩეული, რომ აქ გვაქვს სულიერი ჯვარცმის გზით სხვისი ხსნის მაგალითი. თვითონ ცხოვრებაზე ხელაღებული ტარიელი ფიქრობს სხვის ბედნიერებაზე და ტანჯვით სიკვდილისათვის სწირავს თავს იმით, რომ თავისი ამბის თხრობას იწყებს. ამ თხრობის დროს მას გული მისდის და წყლით მოსულიერება სჭირდება. ეს უდიდესი თავგანწირვა ტარიელს ჩვეულებრივ ამბად, ცხოვრებისეულ კანონზომიერებად მიაჩნია:

„ღმერთმან ერთი რით აცხოვნოს, თუ მეორე არ წაწყმიდოს, შენ ისმენდი, მე გიამბობ, რაცა გინდა წამეკიდოს“.

აი, აქ არის იგი სწორედ „სახითა მის მიერთა“.

ტარიელმა ბრძოლაც ხომ გადაიხადა მეგობრისათვის, როცა ფრიდონს დაეხმარა, თვითონ უსასოქმნილი და ცრემლიანი, სწორედ იმ დროს, როცა ცხოვრებაზე ხელის აღებას აპირებდა, მოყმის ყივილმა შეძრა და მისი დახმარების სურვილით აენტო. ეს იყო უკვე ინსტინქტად ქცეული გრძნობა გასაჭირში ჩავარდნილი ადამიანისათვის შეველის აღმოჩენისა.

ტარიელი ქალთან უმწიკველო მეგობრობის იშვიათ მაგალითსაც გვიჩვენებს. და ეს ბედისაგან წილადრგებულ შემთხვევითობად კი არ მიაჩნია, არამედ ძმობილობის პარალელურად არსებულ კეთილშობილურ მოვლენად:

„ვინცა კაცმან ძმა იძმოს, თუ დაცა იდოს, ხამს თუ მისთვის სიკვდილსა და ჭირსა თავი არ დაჰრიდოს“.

მეგობრობის ბურჯად პოემაში ტარიელი დგას. იგი თვი-

თონ არის ყველასთან მეგობრობის დამწევი. სხვებისაგან მისადმი გაწეული მეგობრობა საპასუხო მოქმედებაა და ესეც არის გასათვალისწინებელი.

ავთანდილსა და ფრიდონს არ ჰქონდათ მორალური უფლება, რომ არ ეზრუნათ ტარიელზე. ვინ იქნებოდა ავთანდილი, რომ მას შემდეგ, რაც ტარიელი მისთვის ევნო, უბრალოდ, მადლობა გადაეხადა და უდარდელად წასულიყო? ეს მისგან დასაძრახი საქციელი იქნებოდა. ასევე უღირსი იქნებოდა ფრიდონი, რომ ტარიელის თავდადება დაევიწყებინა. ტარიელი კი არც ფრიდონისგან, არც ავთანდილისაგან არ იყო დავალებული, როცა მათ სწორუპოვარი მეგობრობის მაგალითი უჩვენა.

მეგობრობის ჯაჭვი ტარიელის გარშემო იკვრება და თვითონ არის იგი ამ ჯაჭვის შემქმნელი: ტარიელი-ასმათი, ტარიელი-ფრიდონი, ტარიელი-ავთანდილი, ავთანდილი-ფრიდონი. ამ მეგობრულ ჯაჭვში ავთანდილ-ფრიდონის მეგობრობა ყველაზე სუსტი რგოლია. როგორც ვთქვით, ავთანდილს ფრიდონისათვის არ უთქვამს, თინათინი რომ უყვარდა (თინათინის დავალებით რომ იყო წამოსული, ამის გამხელა არ სურდა), ე. ი. მათ შორის არ მომხდარა განცდათა გაზიარება, ამიტომ ერთმანეთის სულიერ მეგობრებად ვერ ჩაითვლებიან. ფრიდონმა სიხარულით მიიღო ავთანდილი, როგორც ტარიელის ძმობილი, გულუხვად უმასპინძლა და საჭირო დახმარება გაუწია, რაც ტარიელის საშველად იყო გამიზნული. ამრიგად, მათი მეგობრობა საქმიანი ურთიერთობით შემოიფარგლა. უფერულია ავთანდილ-შერმადინის მეგობრობაც ოდნავ სცილდება, ან არც სცილდება პატრონყმური ურთიერთობის ფარგლებს. ამრიგად, საოცარი ძალით მხოლოდ ის მეგობრობა ბრწყინავს, რომელშიც ტარიელია.

საყურადღებოა ერთი გარემოებაც: ფრიდონი და ავთანდილი თავიანთი საქციელით სახელს იხვეჭენ, ხოტბას იმ-

სახურებენ, რაც მათთვის დიდად სასურველი და კმაყოფილების მომგვრელია. ავთანდილი თინათინს აწონებს თავს, მის ქებას იმსახურებს. ტარიელს კი ამქვეყნად აღარაფერი აინტერესებს, თავს აღარავის აწონებს. მას ამოძრავებს მხოლოდ სიკეთე, შიშველი სიკეთე, რომლის უკან არაფერი დგას. მაშასადამე, ტარიელის სიკეთე არის სიკეთე თავის აბსოლუტურ ფორმაში. ამიტაც არის იგი „სახითა მის მიერთა“.

მიჯნურობა. ტარიელი ასახიერებს მიჯნურის იდეალსაც. ეს რუსთველოლოგთა მიერ ერთხმად არის აღიარებული. მაგრამ აქ ერთი კორექტივია საჭირო, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ტარიელი და ავთანდილი ერთი სახის, ერთი გვარის მიჯნურობის წარმომადგენლებად არიან მიჩნეული და ამ ერთ სახეობაში აქვს ტარიელს უპირატესობა მიკუთვნებული.

აზრთა სხვადასხვაობაა – „ვეფხისტყაოსანში“ საღმრთო მიჯნურობაა ასახული, თუ ამქვეყნიური, ადამიანური. იმის მიხედვით, თუ რომელი აზრია გაზიარებული, ტარიელი და ავთანდილი, ორივე ერთად, ხან ერთი და ხან მეორე მიჯნურობის წარმომადგენლებად გვევლინებიან. ტარიელის მიჯნურის იდეალად აღიარება კი ეფუძნება იმას, რომ მიჯნურობის გამო მას მეტი ტანჯვა გარდახდა თავს, მეტი ცრემლის ღვრა დასჭირდა. მან მეტი თავგანწირვა გამოაგლინა, ველად გაიჭრა, ყველაფერი მიატოვა. პოემის სიუჟეტურ ღერძს ნესტანისა და ტარიელის მიჯნურობის ამბავი წარმოადგენს და ა.შ.

მაშასადამე, ტარიელის, როგორც მიჯნურის, იდეალურობა განუპირობებია ბედისწერას, მის თავგადასავალს, პოემაში მისთვის მეტი ყურადღების დათმობას და სხვ. ეს არ არის სწორი. ტარიელისა და ავთანდილის მიჯნურობათა შორის თვისობრივი სხვაობაა.

პროლოგის მიხედვით, ამაღლებული სიყვარულის, ანუ

მიჯნურობის, ორგვარი სახეობა არსებობს: „მიჯნურობა პირველი“ – საღმრთო და „საზეო“ მიჯნურობა, რომელიც ყველასათვის არ არის მისაწვდომი – მას „ჭკვიანნი ვერ მიჰხვდებიან“. ზვიად გამსახურდიას აზრით, „ჭკვიანნი“ იგულისხმებიან ამსოფლიურ ინტელექტზე დაყრდნობილი ადამიანები, რომელთაც არ გააჩნით საზეო ხედვისა და წვდომის უნარი. მათი გაგებისა და გამოცდილებისათვის ეს საზეო მიჯნურობა მიუწვდომელია, რადგან იგი ტრანსცენდენტურია“ (გვ. 6).

მეორე სახე მიჯნურობისა ამქვეყნიური, ხორციელი, მაგრამ ამაღლებული და წმინდა გრძნობაა და, რაკი სიძვისაგან შორს დგას, პირველ მიჯნურობას ემსგავსება, მისი მიბაძვაა. იგულისხმება, რომ ასეთი მიჯნურობის წარმომადგენლები არიან ის „ჭკვიანნი“, საზეო ხედვას მოკლებული ადამიანები. არსებობს აგრეთვე სიძვა, რომელსაც მიჯნურობასთან არაფერი აქვს საერთო „შუა უზის დიდი ზღვარი“.

რუსთველის მსჯელობიდან პირდაპირ გამომდინარეობს აზრი, რომ უმაღლესი სიყვარულისათვის საჭირო ყოფილა უმაღლესი გონება, რომ გრძნობა და გონება „ერთმანერთზედა ჰკიდია“.

ახლა დავსვათ კითხვა – რომელი მიჯნურობის შემძლედ უნდა მივიჩნიოთ ტარიელი? შეიძლება რომ იგი, ანდა ნესტანი და თინათინი, მივაკუთვნოთ იმ „ჭკვიანთა“ კატეგორიას, რომლებსაც თავისი გონებით არ შეუძლიათ მისწვდნენ „საზეო“, საღმრთო მიჯნურობას? რა თქმა უნდა, არა.

აქ კვლავ უნდა მოვიხმოთ მეფის ღმრთისწვრობის იდეა, რომლის მიხედვითაც „ყოველი ხელმწიფე“ თავისი გრძნობადით და გონიერით ღმერთის მსგავსია, მისი ტოლია. იგულისხმება, რომ მათი ყოველი საქციელი, ფიქრი და გრძნობა ღვთაებრივია. ტარიელი ყველა ღმრთისწვროზე აღმატებულია, მისებრი „მართ დაბადებით ვინმცა ყოფილა

შობილი“ და იგულისხმება, რომ არც იშობება. ამიტომ მას არც შეიძლება მიეწეროს ჩვეულებრივ ადამიანთათვის დამახასიათებელი მიჯნურობა. მაშინ გამოვა, რომ ღმერთს აკლია „სახეო“ ხედვა, ღმერთისთვის მიუწვდომელია საღმრთო მიჯნურობა, რაც, რა თქმა უნდა, აბსურდია. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ტარიელისა და ნესტანის მხატვრულ სახეებში იგულისხმებიან „ღმერთისგან ღმერთქმნილნი დავით და თამარ“ („ქართლის ცხოვრება“) მათთვის მეორეხარისხოვანი მიჯნურობის შეკადრების ყოველგვარი გზა მოსპობილია.

მაშასადამე, ტარიელის მიჯნურობა აუცილებლად უნდა იყოს „მიჯნურობა პირველი“. ასეთივე მიჯნურები უნდა იყვნენ ნესტანი და თინათინი. ავთანდილი არ არის მათი რანგის პიროვნება და ამიტომ ის ვერ გაუტოლდება მათ მიჯნურობაში. როგორც ვნახეთ, ეს „გონიერშიც“ გატოლების მანიშნებელი იქნებოდა. ამიტომ ავთანდილის მიჯნურობა უნდა იყოს ტარიელის მიჯნურობასთან მიმსგავსებული, მისი ბაძვა, ანუ „ხელობანი ქვენანი“. ეს დასკვნა ჯერ მხოლოდ თეორიულ მსჯელობას ემყარება და, რა თქმა უნდა, საჭიროა მისი დამტკიცება პრაქტიკულადაც, ანუ პოემის მონაცემებით.

რუსთველს პრაქტიკულად, მხატვრულ სახეებშიც უნდა გამოეფლინა ამ ორგვარი მიჯნურობის თვისობრივი სხვაობა. ეს ასეც არის.

ტარიელისა და ავთანდილის განსხვავებული სამიჯნურო თავგადასავლებიდან ჩვენ საშუალება გვაქვს შევუდაროთ ერთმანეთს ერთი მონაკვეთი, როდესაც ეს ორი მიჯნური თითქმის ერთნაირ მდგომარეობაში იმყოფება. ეს არის პერიოდი, სანამ უიმედო მდგომარეობაში მყოფ ამ ორ მიჯნურს სატრფოები თავის სიყვარულს გაუმხევენ.

ნესტანის სიყვარულით შეპყრობილი ტარიელი, სანამ მისგან სანუგეშო წერილს მიიღებდა, ცოცხალ-მკვდარი

იყო, ზაფრანის ფერი ედო. „პატიჟთა და ჭირთა მალვად“, სხვის შესახედავად, მოჩვენებითად ცდილობდა მხიარულე-ბას, რაც დიდი ტანჯვის ფასად უჯდებოდა. მარტო მყოფი კი კვლავ სიკვდილის პირამდე მიდიოდა და ნატრობდა კიდევ სიკვდილს.

ავთანდილსაც, რა თქმა უნდა, სტანჯავდა თინათინის სიყვარული – „რა მოჰშორდის, ვერ მჭკვრეტელმან ვარდი შექმნის ფერნაკლულად“, მაგრამ ამ ტანჯვით სიკვდილის პირამდე არ მიდიოდა. თინათინის გამეფების ზეიმზე ავთანდილი ლხინის მშვენება, სული და გული იყო.

„თავსა ზის პირზე ავთანდილ, მჭკვრეტაგან მოსანდომია, სპათა სპასპეტი, ჩაუქი, ვითა ვეფხი და ლომია“.

ამ სტრიქონებში ავთანდილის განწყობაზე ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი, მაგრამ აშკარად იგრძნობა, რომ ამ დროს ავთანდილი გულთ ხარობდა, სიყვარულის გამო ლხინი ჩაშხამებული არ ჰქონდა.

სანადიროდ გამოსული ავთანდილი იყო „პირად ბროლ-ბადახშოსანი“, „მეფესა გასვლად აწვევდა, მოდგა თეთრ-ტაიჭოსანი“. აქაც იგრძნობა დიდი ხალისი, შემართება, გამარჯვების სიხარულის წინასწარ განცდა და მოლოდინი.

თინათინმა რომ დაიბარა, სწორედ მაშინ თავის საწოლში მარტო იყო ავთანდილი და „იმღერდა და იხარებდა, წინა ედგა ერთი ჩანგი“. რა იმედი უნდა ჰქონოდა ავთანდილს, რომ მას მეფე ქალის სიყვარული ეღირსებოდა? – არავითარი. დღე-დღეზე მოსალოდნელი იყო სასიძოს შერჩევის საკითხი დამდგარიყო. აი, ასე სრულიად უიმედოდ მყოფს, მას შეეძლო ასეთი მხიარულება.

ამრიგად, გვაქვს, სრულიად კონტრასტული, ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული სურათი ორი უიმედოდ გამიჯნურებული მოყმისა.

პეტრე იბერი წერს: „ხოლო არს განმაცუფრებელიცა

ტრფიალება საღმრთოდ, რამეთუ არა უტევებს, რადთა თავთა თუსთად ცხოველ იყვნენ ტრფიალნი იგი, არამედ მათდა, რომელთა მიმართ ტრფიალ იყვნენ... ვინაჲცა დიდი პაულე, შეპყრობილ რად იქმნა საღმრთოთა ტრფიალებითა და მიიღო ძალი იგი მისი განმაცუფრებელი, საღმრთოთა მით პირითა იტყვის: „არღარა მე ცხოველ ვარო, არამედ ცხოველ არსო ჩემ შორის ქრისტე“ (შრომები, 1961, გვ. 41).

ამრიგად, საღმრთო სიყვარულით შეპყრობილ პიროვნებაში მისი პირადული მთლიანად იავარყოფილი, შთანთქმული უნდა იყოს. მასში უნდა ცოცხლობდეს, მხოლოდ მისი სატრფო, მისი ღმერთი. ცხადია, ასეთი ნიშნით ხასიათდება მხოლოდ ტარიელის მიჯნურობა. ეს არ ითქმის ავთანდილზე. მას არ შეეძლო ეთქვა: „არღარა მე ცხოველ ვარო“. ავთანდილში კვლავ ცოცხალი იყო ავთანდილი. მაშასადამე, მისი ტრფიალება თინათინისადმი არ ჰგავს საღმრთო ხასიათისას.

გამოდის, რომ ავთანდილს არც მშვენიერების განცდა შეეძლო საღმრთო ძალით და არც ტრფიალება. ავთანდილი იმასაც ამჟღავნებს, რომ მიუხედავად ტარიელისადმი უდიდესი თანაგრძნობისა, მთელი სისრულით მაინც არა აქვს შეცნობილი მისი მდგომარეობა.

ისეთი რა გაუჭირდა, რომ გამოქვაბულში ვერ გაძლო – ეს საქმეში ჩაუხედავი კაცის კითხვა დასვა მან. ანდა, დაბნედილ ტარიელს რომ ეუბნება: ვინ არ ყოფილა მიჯნური, რომ ამისთანა დღეში არ ჩავარდნილაო. – “ვის უქნია შენი მსგავსი სხვათა, კაცთა ნათესავსა?” მამაცს არ შეეფერება ტირილი, „ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვითკირსა“. მინდორში მხეცებთან ყოფნით წადილს როგორ აისრულებ, „არ იცი, ვარდნი უეკლოდ არავის მოუკრებიან“. ვარდის მაგალითით უმტკიცებს, რომ „ტკბილსა მწარე ჰპოვებს“, რომ ღხინსა ვერვინ მოიმკის, „პირველ ჭირთა უმუშაკო“. საკუთარ თავს უნდა მოერიოს ადამიანი, „რაცა

არ გწადდეს, იგი ჰქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა“ მთელი მგზნებარებით უმტკიცებს და აძლევს ასეთ რჩევებს ავთანდილი და ვერ გრძნობს, რომ „ჭკვიანთაგან“ შემუშავებული ეს ამქვეყნიური სიბრძნე არ არის განკუთვნილი საზოგადოებრივი მოვლენებისათვის, ვერ შეეფარდება და ვერ ესადაგება მას. ის „სენი“, რომელიც, ტარიელს სჭირს, სხვას, „კაცთა ნათესავს“ რომ ჰქონია, ისეთი არ არის. ამიტომ არ შეიძლება მისი გამკლავება და არც ტარიელის ცოცხლად დარჩენა, მაგრამ ამის მთელი სიღრმით შეცნობა, გასივრცეგანება ავთანდილის გონებას არ შეუძლია. ტარიელის პასუხში სწორედ ეს აზრი იხატება: „რა ადვილად გიჩნს მოთმენა ჩემთა სასჯელთა თმენისა!“ თავისი სასიცოცხლო ძალების სრულ განადგურებას ასე გამოხატავს ტარიელი: „დამშლიან ჩემნი კავშირნი, შევრთივარ სულთა სირასა“. მისი აზრით, ავთანდილის შეგონება შეუსაბამოა სინამდვილესთან, შექმნილ ვითარებასთან:

„ეგ საუბარი მაშინ ხამს, თუცადა ვიყო ცნობასა,—
ვარდი ვერ არის უმზეოდ, იყოს, დაიწყებს ჭნობასა.
მაწყენ, არა მცალს; დამეხსენ, არცადა ვახლავ თობასა“.

ანდა:

„რა სოქვი, რას იტყვი, არ მესმის, არცა მცალს სმენად მაგისად,
სიკვდილი მახლავს ხელქმნილსა, სიცოცხლე არის წამისად“.

ამრიგად, სრულიად უშედეგოდ დამთავრდა ავთანდილის მცდელობა „ვერ წაიყვანა, ვერა ქნა სიტყვითა, ვერა ვერი-თა“. ასეც იყო მოსალოდნელი.

წარმოვიდგინოთ ილია ჭავჭავაძის განდევნილი. იმ წუთიდან, როდესაც იგრძნო ღვთის წყრომა და მასთან კავშირი დაკარგა, უკვე აღარ შეიძლებოდა მისი სიცოცხლე და გადარჩენა. აი, ამ დროს უბედურებით ზარცემულისათვის, სანამ სულს განუტევებდა, ვინმეს სანუგეშოდ რომ ეთქვა: „ჭირსა გადრეკა რად უნდა, რა სასაუბრო პირია“,

ანდა ვარდის არაკი შეეხსენებინა („ვარდსა ჰკითხეს: „გზომ ტურფა“ და სხვ.), ეს აზრები, რომლებშიც თავისთავად დიდი სიბრძნეა გამოხატული, ამ ვითარებისათვის სრულიად უფუნქციო და გამოუსადეგარი იქნებოდა, ამ კონკრეტული მომენტისათვის შეუფერებელი. მისი მოქმედი კი ინტელექტუალური საწყისის გამომხატველი კი არა, არამედ იმაში მიუხვდარი, თუ რა დაემართა განდევილს.

ასე გამოიყურება ავთანდილი თავისი მანუგეშებელი აზრებით ტარიელის წინაშე. ამიტომ ამ ეპიზოდში გვაქვს არა რაციონალურისა და ირაციონალურის, ანუ გონებრივი საწყისისა და გრძნობიერი საწყისის ურთიერთმიმართება, როგორც ეს მიაჩნიათ, არამედ სხვადასხვა განზომილებათა დაპირისპირება როგორც გრძნობადში, ასევე გონიერში. აქ ყველაზე მკაფიოდ გამოიხატა ის, რაც რუსთველმა პროლოგში მიჯნურობათა სახეობებზე თქვა:

„მას ერთსა მიჯნურობასა ჭკვიანნი ვერ მიჰხვდებიან,
ენა დაშვრების, მსმენლისა ყურნიცა დაგაღდებიან“.

მაშასადამე, უნდა დავასკვნათ, რომ რაზეც რუსთველმა პროლოგში ისაუბრა – 1) მიჯნურობა პირველი, ანუ საზეო; 2) „ჭკვიანთა“ მიჯნურობა, ანუ ამქვეყნიური, საერო და 3) სიძვა – ყველაფერი ხორცშესხმულად წარმოგვიდგინა პოემაში.

აქ უნდა შევნიშნოთ ერთი რამ: ქართველები დიოფიზიტური ქრისტიანობის რწმენისა ვართ. ჩვენთვის ქრისტე სრული კაცია და სრული ღმერთი. ასეთივე სახის მატარებელი უნდა იყოს ტარიელი. მაშასადამე, მისი მიჯნურობა უნდა იყოს სულიერად საღმრთო და ხორციელად ადამიანური.

ავთანდილი ჩვეულებრივი ადამიანია, ამიტომ საღმრთო მიჯნურობის მიმსგავსებულია მისი სიყვარული, მაგრამ პოემაში ხდება ავთანდილის გარდაქმნა, სულიერი ამაღლება, ღმრთის სწორებთან გატოლება. სხვანაირად იგი ვერ იქორწინებდა თინათინზე. მაშასადამე, მისი მიჯნურობაც საბ-

ოლოდ საღმრთო ხდება.

ამრიგად, ვახტანგ VI-ის განცხადება, რომელსაც მხარს უჭერს ზვიად გამსახურდია, სრული ჭეშმარიტებაა, რომ „ვეფხისტყაოსანში“ საღმრთო მიჯნურობაა ასახული. მაგრამ ნაწილობრივ მოხდა ამქვეყნიური მიჯნურობის ასახვაც, ავთანდილის თავგადასავლის პირველ ეტაპზე.

ნესტანი და თინათინი. როგორც შესავალში აღვნიშნეთ, ღმრთისწილობის იდეასთან შეუთავსებელია ხელმწიფე პერსონაჟების „გრძნობიერებად“ და „გონიერებად“ დაყოფა. დღემდე კი ასეთი ნიშნით განასხვავებენ მთავარ გმირ ქალებსაც – ნესტანსა და თინათინს. ნესტანში ხელმწიფე გრძნობიერი საწყისის გამოხატულებას, თინათინში კი გონიერისას.

რა დაედო საფუძვლად მათ ასეთ განსხვავებულობას? – პირველ სამიჯნურო შეხვედრისას მათი განსხვავებული საქციელი. ნესტანს ენა დაება, ხმა ვერ ამოიღო. თინათინმა კი იწყო საუბარი „კეკლუც სიტყვად, არ დუხჭირად“. ილია ჭავჭავაძე ამ განსხვავებული საქციელის მიზეზს ასე ხსნის: „ღრმად კაცად კაცის მცოდნე რუსთველმა იცოდა, რომ თინათინი სხვა ბუნებისაა და ნესტანი სხვა და ეს ბუნების სხვადასხვაობა სხვადასხვა ზემოქმედებასაც ექვემდებარება.“

თინათინი და ნესტანი რომ არ არიან ერთმანეთის იდენტური ბუნებისა, ეს, რა თქმა უნდა, ჭეშმარიტებაა. მაგრამ ჩვენ სადავოდ მიგვაჩნია ის დასკვნა, რომლის გამოტანასაც ზემოაღნიშნული მსჯელობა ემსახურება და რომელიც ერთხმად არის აღიარებული შემდეგი დროის მეცნიერთა შრომებში. ეს არის აზრი, რომ თინათინის გულისთქმა გონებას ემორჩილება, ნესტანისა კი ვერა. ასეთი ბუნებით ისინი შესაფერისად უწყვილდებიან თავიანთ მიჯნურობას: თინათინი და ავთანდილი გონების კარნახით მოქმედი პერსონაჟები არიან, ნესტანი და ტარიელი კი – უფრო გრძნობის ამყოლები.

ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ რუსთველი თუ არ დაარღვევდა

ღმრთისსწორისათვის სავალდებულო მოდელს, მაშინ თინათინიც და ნესტანიც უნდა ეჩვენებინა „გრძნობადისა და გონიერისა საკრველად“, ე. ი. თითოეული მათგანი უნდა წარმოედგინა ისეთ პიროვნებად, რომელიც თანაბარი ძალით მფლობელია გრძნობადისა და გონიერისა.

თინათინისა და ავთანდილის შეხვედრაში გამეორებული რომ იყოს ნესტანისა და ტარიელის შეხვედრის სცენა, ეს გააუბრალოებდა სიუჟეტს, და არ იქნებოდა სასურველი. თინათინს რომ ნესტანივით ენა არ დაება, ამის მიზეზი იყო არა ის, რომ მისი გრძნობა ძლიერებითა და სიდიადით ნესტანისას ვერ შეედრებოდა, არც ის, რომ ნესტანზე ძლიერი ნებელობა ჰქონდა და ამიტომ უფრო შეეძლო თავშეკავება, არამედ ის, რომ ეს შეხვედრა განსხვავებულ ვითარებაში და განსხვავებულ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში მოხდა.

თინათინი ამ დროს ნესტანთან შედარებით რამდენიმე წლით უფროსი იყო, უკვე ხელმწიფედ დასმული, ხელდასმული, ინიციაცია მიღებული. მაშასადამე, მასში უკვე დიდი სულიერი გარდატეხა იყო მომხდარი. თერთმეტ-თორმეტი წლის ნესტანი კი ჯერ ისევ აღმზრდელი მამიდის კალთას იყო შეფარებული.

თინათინი ავთანდილის სახით ელაპარაკებოდა თავის ქვეშევრდომს, რომელზეც მბრძანებლობის უფლება ჰქონდა. დიდი კრძალვისა და რიდის მიუხედავად ხელმწიფე ქალისათვის ყოვლად შეუფერებელი საქციელი იქნებოდა ხმის ვერ ამოდება, ანდა სიმორცხვით სახეზე რიდის ფარება.

ნესტანს კი არ ჰქონდა ტარიელზე მბრძანებლობის უფლება. იგი ჯერ კიდევ ნორჩი ასული იყო მეფისა, ტარიელი კი ამირბარი – მეტად დიდი თანამდებობის პირი, მეფის შემდეგ მეორე კაცი სახელმწიფოში. აღსანიშნავია, რომ ნესტანი ტარიელს პირველად მხოლოდ ამირბარობით იხსენიებდა: „უბრძანა, თუ „მოახსენე, ასმათ, დაჯდეს ამირბარსა“ თავისი დიდი კრძალვის ერთ-ერთ მიზეზად მან სწორედ ეს მიიჩნია:

„მაგრა ხამს ჩემგან სირცხვილი და რიდი ამირბარისა“.

თინათინმა რომ ავთანდილი დაიბარა, უკვე ერთი წელი იყო გასული მისი გახელმწიფებიდან. ამ ხნის მანძილზე ავთანდილთან, როგორც სპასპეტთან, მას ექნებოდა შეხვედრები დარბაზობებზე, თათბირებზე. ავთანდილს ხომ სწორედ ეს უხაროდა, როცა თინათინის გამეფების ამბავი გაიგო: „თქვა: „ზედა-ზედა მომხვედების ნახვა მის ბროლ-ფიქლისა“.

მაშასადამე, თინათინი და ავთანდილი ერთმანეთთან „ზედა-ზედა“ შეხვედრას და საუბარს უკვე შეჩვეულები იყვნენ.

ნესტანს კი პირველად უხდებოდა ტარიელთან საუბარი. მეორე შეხვედრაზე აკი უფრო გათამამდა. მართალია, კვლავ ძლიერ ღელავდა, სახეზე რიდეს იფარებდა, მაგრამ თინათინივით მაინც შეძლო „კეკლუც სიტყვად“ საუბარი. მესამე შეხვედრაზე კი თავის მიჯნურს წაეჩხუბა კიდევ.

ფსიქოლოგიურ მდგომარეობათა აი, ასეთ განსხვავებაში უნდა ვეძებოთ ორი მიჯნური ქალის სხვადასხვაგვარი საქციელის მიზეზი.

დიდი გრძნობითა და კრძალვით თინათინის მთელი ბუნებაც შეძრული იყო. მიჯნურობაზე სიტყვის ჩამოგდება მასაც დიდად უჭირდა. ავთანდილს უთხრა კიდევ: „ზარი მღევს მე ამისისა თხრობისა, მწადადა არა თქმა, რომლისა ღონე არა მაქვს თმობისა“, მაგრამ ნესტანისგან განსხვავებულ ვითარებაში ყოფნამ მას უფრო შესძინა თავისი თავის ფლობის უნარი ამ ერთ შემთხვევაში, თორემ სხვა შემთხვევებში ნესტანი ისეთ საარაკო ნებისყოფას, გამძლეობას, თავშეკავებას, სიბრძნესა და ფილოსოფიური აზროვნების უნარს ამჟღავნებს, რომ ჩვენ მხოლოდ წარმოსახვით თუ ვიტყვით, ალბათ, თინათინსაც შესწევდა ძალა ასეთი ქმედებისაო.

„ადგა ასრე გულ უშიშრად, ვეფხი იყო, ანუ გიბრი,
ლხინი ლხინად არად უჩნდა, მართ აგრევე ჳირად ჳირი“.

ასე გამოვლინდა ნესტანის სულიერი სიმტკიცე, თავისი თავის ფლობის ძალა იმ ტრაგიკულ წუთებში, როდესაც მელიქსურხავის გამოგზავნილი მონები ფატმანისგან მის წასაყვანად მოვიდნენ. იმის თქმა, რომ ამ ქალს სხვაზე ნაკლებ შეეძლო გრძნობების დამორჩილება, ვფიქრობთ, სრულიად გაუმართლებელია.

თავის მხრივ, არც თინათინზე შეიძლება იმის თქმა, რომ გრძნობიერებით ნესტანს ვერ შეედრებაო. გაეისხენოთ გამეფების დღე, როდესაც თინათინი ცრემლებს აფრქვევდა. უნდა ვიკითხოთ: წესი იყო, თუ არა, ტახტზე ტირილით ასვლა? ვაჟი მემკვიდრე მოიქცეოდა ასე? არა. ტარიელი ტიროდა, როცა მამის მაგიერობა შესთავაზეს – ამირბარობა მოსთხოვეს, მაგრამ კურთხევის საზეიმო ცერემონიაზე იგი თავშეკავებული იქნებოდა. თინათინმა კი ვერ შეიკავა თავი და გამეფების პირველსავე დღეს მთელი არაბეთის წინაშე თავისი ქალური სისუსტის დემონსტრირება მოახდინა. ეს არ შეიძლებოდა ყოფილიყო მისი სურვილი. მაშასადამე, ნაწარმოების დასაწყისშივე ვეცნობით გრძნობისაგან ძლეულ თინათინს – ეს გრძნობა ამჯერად მამის სიყვარულითა და პატივისცემით იყო გამოწვეული:

„მამისა ტახტსა საჯდომად თავი არ ეღირსებოდა,
ამად ტირს, ბაღი ვარდისა ცრემლითა აღივსებოდა“.

როდესაც გმირები არაბეთში ჩავიდნენ და თინათინს ტახტზე გვერდით მიუსვეს ავთანდილი, სიხარულისა და მოულოდნელობისაგან თინათინს გული აუთრთოლდა:

„ქალსა შესწბა, გაუკვირდა ავთანდილის გვერდსა ჯდომა,
ფერი ჰკრთა და გაუფიცხა შე და გამო გულმან კრთომა“.

მისი ეს მღელვარება გარეშეთათვის შესამჩნევი გახდა და როსტევანმა დაამშვიდა:

«მეფე ეტყვის: „შიელო, ჩემგან გაქვს სირცხვილი, თუ რა ზომა, ბრძენთა უთქვამს სიყვარული, ბოლოდ მისი არ-წახლომა“».

მაშასადამე, თინათინის მგრძობიარობა რუსთველმა სხვა ეპიზოდებში გამოავლინა. არც იყო სასურველი, რომ ღმრთისსწორთა მგრძობიარობა მხოლოდ მიჯნურობაში გამოჩენილიყო. აი, თინათინის „გრძობადი“ რომ ისევე ძლიერია, როგორც ნესტანისა, ეს პოეტმა სხვა გრძობების აღწერისას ნათელიყო.¹³

ამრიგად, უნდა დავასკვნათ, რომ „ზემხედველი“ თინათინი და „მაღლად მხედი“ ნესტანი ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ „გრძობადისა და გონიერისა საკრველად“ ყოფნაში.

მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი: ნესტანი თინათინთან შედარებით ბევრად უფრო ღამაზია. იგი სამყაროს მანათობელი არსებაა: „მან განანათლა სამყარო, გაცუდდეს შუქნი მზისანი“. ამ მხრივ ნესტანი ღირსეულად უწყვილდება ტარიელს – „მისმან შუქმან განანათლა სამყარო და ხმელთა კიდე.“

ზვიად გამსახურდია წერს: „მართალია, მზესთან შედარება გმირისა, მიმართვა „მზეო“, „მთვარეო“, ჩვეულებრივი მოვლენაა ვეფხისტყაოსანში, ისევე, როგორც საერთოდ აღმოსავლურ პოეზიაში, მაგრამ პოემაში სულ რამდენიმეჯერ გვხვდება სიტყვა „სამყაროს მზე“, „ერთი მზე“, „ზენა მზე“ და ყოველთვის ტარიელთან ან ნესტანთან დაკავშირებით, რაც შემთხვევითი არ არის“ (გვ. 203).

თუ იმ პრინციპს არ დავარღვევთ (და არც შეიძლება დავარღვიოთ), რომ ღმრთისსწორში, ისევე როგორც ღმერთში, ყველა თვისება თანაბარი ძალის იგულისხმება, მაშინ უნდა მივიჩნიოთ, რომ რამდენადაც ნესტანი სიღამაზით აღემატე-

¹³ ფარსადანმა ტარიელის მომჯობინების ამბავი რომ გაიგო, სიხარულით „თავშიშველი გამორბოდა“, ე. ი. შვილობილისადმი სიყვარულმა, მისი მოსულიერებით გამოწვეულმა სიხარულმა თავი დააღიწყებინა მეფეს. ასევე როსტევანიც მოთქვამდა ავთანდილის გაპარვის გამო: „პირსა ხოკით, წვერთა გლეჯით გააკვირნა მისნი მჭურეტნი“, ე. ი. ამ მეფეთა გრძობადი რუსთველმა შვილობილები-სადმი დიდ სიყვარულში გამოავლინა.

ბა თინათინს, ასევე აღმატებული უნდა იყოს იგი მასზე ყველა სხვა თვისებითაც.

თეოზისი. მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია საკითხმა, არის თუ არა „ვეფხისტყაოსანში“ გამოხატული არეოპაგიტული იდეები, იყო თუ არა რუსთველი ნეოპლატონიზმის მიმდევარი. აკად. შალვა ნუცუბიძემ წიგნში „რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი“ რუსთველის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის საფუძვლად სწორედ ეს მიმდინარეობა მიიჩნია. ამ მოძღვრებას დაუკავშირა პოემის ჰუმანიტური და რენესანსული იდეები. ზვიად გამსახურდიას აზრით, შეუძლებელია გაგება რუსთველის ესთეტიკისა პეტრე იბერის გარეშე. იგი არის შთამაგონებელი რუსთველის პოეზიისა და პოეტიკისა. რუსთველის მსოფლმხედველობითი და შემოქმედებითი მეთოდი მჭიდროდ არის დაკავშირებული მის ნააზრევთან, როგორც ამას მართებულად აღნიშნავს შალვა ნუცუბიძე“ (გვ. 14-15).

არეოპაგიტული მოძღვრების ყველაზე მთავარ და უმნიშვნელოვანეს იდეად მიჩნეულია თეოზისი, ანუ ადამიანის ღმერთად ქცევის იდეა. ეს იდეა მჭიდრო კავშირშია რენესანსთან და ჰუმანიზმთან. ამიტომ ამ საკითხებზე მსჯელობისას სიტყვა თეოზისი ხშირად იხმარება ქართველ მეცნიერთა შრომებში, მაგრამ არ ჩანს კონკრეტულად როგორ გამოიხატა ეს იდეა რუსთველის პოემაში, ვინ განიცადა ეს თეოზისი. თვით შალვა ნუცუბიძის შრომებში არ იპოვება ამის პასუხი. უფრო თუ დავაზუსტებთ, ასე უნდა ვთქვათ: აკად. შალვა ნუცუბიძის შრომებში პირდაპირ არ არის გაცხადებული, ვინ განიცადა თეოზისი, მაგრამ აშკარად იგრნობა, რომ იგი ინტუიციურად ავთანდილს დასტრიალებს თავს, მას შესტრფის და შეჰხარის. იგი იმოწმებს იმ სტროფს, სადაც ავთანდილის სიმღერის მოსასმენად, ავთანდილის შესამკობად „მოვიდიან.. ქვეყნით ყოვლნი სულიერნი“ (ეს სტროფი აშკამად ამოღებულია ტექსტიდან).

რატომ დაიბინდა და ვერ გამოიკვეთა ცხადად ეს საკითხი?

გამოუკვეთელად ეს საკითხი მიგვაჩნია იმიტომ, რომ არ არის ნაჩვენები გზა ადამიანის გარდაქმნა-ამაღლებისა, რაც აუცილებელი პირობაა თეოზისისათვის.

ამის მიზეზი არის ის, რომ გმირი, რომელშიც რუსთველმა ეს იდეა განახორციელა, ე. ი. ავთანდილი, თავიდანვე სრულყოფილების ისეთ მწვერვალზე ჰყავთ აყვანილი, რომ მას აღარ სჭირდება გარდაქმნა და ამაღლება. როგორც ვთქვით, ავთანდილში ხედავდნენ და ხედავენ ინტელექტუალურ საწყისს, ამ თვალსაზრისით ღმრთისწორებზე მაღლა მდგომ პიროვნებას, ამიტომ ეს ბრწყინვალე იდეა ადამიანის გარდაქმნა-ამაღლებისა, ასევე ბრწყინვალედ რომ არის გამოხატული „ვეფხისტყაოსანში“, შეუმჩნეველი დარჩა. ე. ი. თეოზისურად აქ მიიჩნიეს უკვე მაღალ საფეხურზე მდგომი ადამიანი და ადამიანები, ზოგადად პოემის გმირები, რომ, ასეთ ადამიანებს შესტრფის და ასეთ ადამიანებს გვიხატავს რუსთველი. პოემაში კი ნაჩვენებია გზა ღმრთისაკენ, პროცესი დაბალი საფეხურიდან მაღალზე ასვლისა.

ავთანდილს თუ თავიდანვე გაგუტოლებთ ღმრთისწორებს, მაშინ გვექნება მხოლოდ ინკარნაცია. მაშინ გამოვა, რომ ღვთაებრივი სული ჩასახული ყოფილა როგორც მეფეებში, ასევე ერთ-ერთ ჩვეულებრივ ადამიანშიც. თეოზისი კი გულისხმობს უკუპროცესს – ჩვეულებრივ ადამიანად დაბადებული უნდა ამაღლდეს ღმერთამდე. აი, ეს იყო რევოლუციური იდეა, რომელმაც ეკლესიის მძაფრი რეაქცია გამოიწვია, რადგან ეს გულისხმობდა ადამიანის გაღმერთებას ეკლესიური გზის გარეშე, უშუალო კავშირით ღმერთთან, რაც „ზნიშნავდა ტაძრებისა და მთელი ღვთისმსახურების რიტუალის უარყოფას“.

მაშასადამე, ჩვენ თუ გვსურს პოემაში თეოზისი განხორციელებულად დავინახოთ, ეს უნდა დავინახოთ მხოლოდ ავთანდილში. ე. ი. იგი ჯერ უნდა იყოს ჩვეულებრივი ადამიანი თავისი ნაკლითა და ღირსებით, ცოდვილიანობით და

ცთომილებით¹⁴ და შემდეგ ავიდეს ღვთაებრივ სიმაღლემდე. მართლაც, პოემაში მეტად მკაფიოდ არის ნაჩვენები ავთანდილის თანდათანობითი სულიერი ზრდა, ამაღლება და გარდაქმნა.

ავთანდილის გარდაქმნაზე საუბარია პროფ. ელგუჯა ხინთიბიძის წერილში „შემომხედნა, მოვეწონე“ („ცისკარი“, 1982, № 6, გვ. 134): „ავთანდილს ტარიელის პიროვნების შეცნობა ინტელექტუალურად და ზნეობრივად ამაღლებს იგი მაღლდება მშვენიერ საგანთა სამსახურიდან მშვენიერი საქმის სამსახურზე, პირადი ბედნიერებისაკენ სწრაფვიდან მოყვასის ბედნიერების ძიებაზე. ტოვებს სატრფოს და ემსახურება ტარიელისა და ნესტანის შეერთების საქმეს“.

სწორი აზრია, მაგრამ ეს გარდაქმნა ხდება ადამიანური შესაძლებლობის ფარგლებში, თეოზისი კი გულისხმობს გზას ადამიანიდან ღმერთად ქცევამდე. აი, ასეთი თეოზისი პირველად არის დანახული ზვიად გამსახურდიას წიგნში. ამ წიგნის ერთერთ თავში („ავთანდილის როგორც გმირის ევოლუცია“) იგი მიუთითებს ავთანდილის დიდ სულიერ გარდაქმნაზე, რომ „ავთანდილი სულ უფრო და უფრო იმსჭვალება ინიციაციის იდეებით და პრაქსისით. მისი თეორიული მსოფლმხედველობა, „ანდერძში“ ჩამოყალიბებული, სულ უფრო და უფრო ისხამს ხორცს ამ პრაქსისში – მასში იღვიძებს ნათელხილვა, რომლითაც იგი სჭვრეტს სულიერ მზეს, სულიერი „დაბრუნების“ ანუ „შემობრუნების“ შედეგად. ამ „შემობრუნებაში“ ზვიად გამსახურდია გულისხმობს პლატონური ფილოსოფიით ცნობილ „შემობრუნებას“ იდეათა სამყაროს ნათლისაკენ... და ა. შ. აი, აქ ცხადად იგულისხმება ავთანდილის სწრაფვა ღმერთისაკენ, მასში ახალი უნარის გაღვიძება – „ნათელმხილველობა“, ე. ი. ჩვეულებრივი

¹⁴ თვით წმინდა მამებს აზრით, არ არსებობს უცოდველი და უცთომელი ადამიანი. ამიტომ ასეთი უნდა იყოს და არის კიდევ ავთანდილი.

ადამიანის შესაძლებლობაზე მეტი ძალის შექმნა, რაც უკვე უახლოვდება თეოზისს.

ნესტანისა და ტარიელის შეუღლების შემდეგ რუსთველი აღნიშნავს: „აჰა, მიხედვს შესაფერი ყმა ქალსა და ქალი ყმასა.“ ასეთივე შესაფერი წყვილი უნდა შექმნილიყო თინათინისა და ავთანდილის სახით.

როგორც აღნიშნული გვაქვს, ავთანდილს სამეფო აღზრდა არ მიუღია. თინათინზე ვეზირებმა თქვეს: „იცის მეფობა“. ავთანდილზე ამას ვერ იტყოდნენ. მშვილდოსნობაში გამარჯვება ამისთვის არ იყო საკმარისი. ამიტომ ზვიად გამსახურდიას მიაჩნია, რომ სწორედ სულიერი წვრთნისა და ამადლების მიზნით აგზავნის მას თინათინი უცხო მოყმის საძებნელად. და, საერთოდ, ზვიად გამსახურდიას წიგნის მიხედვით, ავთანდილის გზა ტარიელისკენ არის გზა ღმრთისაკენ, გზა ლოგოსის შესამეცნებლად, რაც თინათინის დავალების შედეგად ხორციელდება.

თინათინს აინტერესებდა: „არის იგი ყმა შობილი თუ უშობელი“. (ცნობილი ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინები – „გენიტონი და აგენიტონი“ (გვ. 256). საბოლოოდ თინათინზე ქორწინება ამ შემეცნების წარმატებით დაგვირგვინების შედეგია.

ეს არის შემაჯამებელი დასკვნა ავთანდილის თეოზისის შესახებ. პოემის ტექსტი საშუალებას გვაძლევს კვალდაკვალ მივყვეთ ავთანდილის სულიერ ზეადსვლას, დეტალურად დავინახოთ მისი გარდაქმნის მხატვრული სურათი.

ავთანდილის ამადლების კულმინაციურ მომენტად უნდა მივიჩნიოთ დაბნედილი ტარიელის მის მიერ მოსულიერების ეპიზოდი.

მრავალგვარი შეგონებით რომ არაფერი გამოუვიდა, მაშინ ავთანდილმა სხვა ხერხს მიმართა. უთხრა: რადგან ჩემი მოსმენა არ გსურს, მეტს აღარ შეგაწყენ, როგორც გინდა, ისე მოიქეცი, მხოლოდ ერთი სურვილი შემისრულეო –

გელმოკლულს ნუ გამიშვებ, ერთხელ კიდევ მეჩვენე ცხენზე შემჯდარიო. ამას იმიტომ ეხვეწებოდა, „იცოდა, რომე შეჯდომა კაემანს მოაქარვებდა“. საიდან იცოდა? განათლებულ ავთანდილს წაკითხული ჰქონდა „ვისრამიანი“ და იქ არის მსგავსი შემთხვევა (შემჩნეული აქვს აკად. კ. კეკელიძეს, ძვ. ქართ. ლიტ. ისტ. ტ. II., 1981. გვ. 129). ავთანდილმა მარჯვედ გამოიყენა ეს ცოდნა. მაგრამ აქ მოხდა უფრო მნიშვნელოვანი რამ – ცხენზე შეჯდომა ცოტა ხნით ფიზიკურად მოამჯობინებდა ტარიელს, მაგრამ მერე? მერე ხომ ისევ ჩავარდებოდა სასოწარკვეთილებაში? მას ხომ სულიერი მომჯობინებაც სჭირდებოდა, აი, აქ მიაგნო ავთანდილმა საუკეთესო გამოსავალს. მას რომ ეთქვა, ცხენზე შეჯექი, იქნებ ცოტა მომჯობინდეთ, რა თქმა უნდა, ამაზე ტარიელს ვერ დაითანხმებდა. მაგრამ ავთანდილმა სთხოვა – მე ნუ დამწყვეტ გულს, მე ამისრულე ეს სურვილი. შენი გულისთვის სატრფო მივატოვე. მეფეს ვეურჩე და ნუთუ ასე გულნატკენს გამიშვებო. ამით ავთანდილმა აგრძნობინა, რომ ტარიელისაგან ეს იქნებოდა უმადურობა, არაკეთილშობილური ქცევა. ამას კი ტარიელი ვერ დაუშვებდა, სანამ თვალები ეხილა და გული უფეთქავდა, მას არ შეეძლო სიკეთეზე უარის თქმა და ეს გამოიყენა ავთანდილმა. ტარიელი ცხენზე შეჯდა ავთანდილის ხათრით, და, როდესაც მომჯობინება დაეტყო, კვლავ სიკეთის გამოსავლენი ახალი მიზეზი უპოვა ავთანდილმა – ასმათი შეაბრადა. მას სჭირდება ყურადღება, არ შეიძლება მისი მიტოვება, ის ხომ ნესტანის გამზრდელიაო, „მისთვის მიხდილი ცნობასა“, „თქვენს შუა მქმნელი საქმისაო“ და ა. შ. ტარიელმა უთხრა: მართალი ხარ, „საბრალოა ასმათ მისად მგონებლად და ჩემად მჭკრეტად“, წავიდეთ, ვნახოთო.

მაშასადამე, ავთანდილმა აამუშავა ტარიელის მეორე საღმრთო პრედიკატი – სიკეთე, უპოვა მისი გამოვლენის მიზეზი და ობიექტი და ამით ტარიელის არსებობას მისცა აზრი. მეტიც! ავთანდილმა „აიძულა“ ტარიელი, დალოდებო-

და მას, სანამ ნესტანის ძებნას არ დაამთავრებდა. ტარიელმა რომ უთხრა, წადი ახლა, შენს სატრფოსთან დაბრუნდიო, ავთანდილმა უსაყვედურა: ასე როგორ დავბრუნდები ჩემს მზესთანო:

„მისის კითხვით წამოსრულვარ არ მოვრალურად, არ მახმურად, აწ შევიქცე, რა ვუამბო? – „რად მოხველო ჯაბან-ხრდულად?“

მაშასადამე, ავთანდილი რომ სატრფოსთან არ შერცხვენილიყო, ტარიელს უნდა შეესრულებინა მისი სურვილი. ავთანდილი კი იმას სთხოვდა, ერთი წელი დაღოდებოდა მას, ნესტანის საძებრად წასულს. მაშასადამე, ტარიელს უნდა გაეძლო, არ მომკვდარიყო, თუ არადა ავთანდილი სახელოვნად ვეღარ დაბრუნდებოდა სატრფოსთან. ასე „მიუსაჯა“ ავთანდილმა ტარიელს კიდევ ერთი წელი სიცოცხლე – სიცოცხლე სიკეთისათვის, თორემ თვითონ ტარიელს ოდნავადაც არ ჰქონდა იმის იმედი, რომ ნესტანის პოვნა შეიძლებოდა. ამიტომ იყო, რომ ერთი წლის შემდეგ დაბრუნებულ ავთანდილს თვითონ არც ეკითხება რამეს ძებნის შედეგზე. როდესაც ავთანდილი ეტყვის, ნესტანი ვიპოვეო, არ იჯერებს, რას ნახავდი, რისი ნახვაც აღარ შეიძლებაო. მე სიხარულად ისიც მეყოფა, შენ რომ გნახეო. ტარიელი, ალბათ, მზად იყო ავთანდილისათვის ეთქვა, როგორც სამი თვის ღოდინის შემდეგ უთხრა არაბეთიდან დაბრუნებულს – ხომ შეგისრულე ფიცი და ცოცხალი დაგვხვდი, ახლა წადი და შენს სატრფოსთან დაბრუნდიო. თვითონ კი სიკვდილს დანებდებოდა, მაგრამ ავთანდილმა გამოუჩინა ნესტანის „წიგნი და კიდევ რიდისა“, რომელიც ტარიელმა „იცნა და გაცაშალა მან“ და აქედან უკვე სხვა ამბავი დაიწყო.

აი, როდესაც ავთანდილმა მიაგნო დაბნედილი ტარიელის მოსულიერების, სიცოცხლისაკენ შემობრუნების ხერხს, იმ წუთიდან სხვა ძალით შეიმოსა იგი. მისი საქციელი უკვე უდიდეს ხოტბას იმსახურებს და ავტორი

ამკობს კიდევ: „სევდის მუფარახი“, „გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“. ეს სიტყვები ავთანდილის მიმართ არის ნათქვამი. ამ ეპიზოდის დასაწყისთან რუსთველმა უკვე ტარიელის ბადალად მოიხსენია ავთანდილი: „ფიცავარ ღმერთსა ცხოველსა, მათებრი არვინ შობილა!“. აი, აქედან უკვე მოგვამზადა იმისთვის, რომ დაგვენახა ავთანდილის ზეადსვლა, „ზემხედველობის“ დონემდე ამაღლება, გონებით ღმრთისსწორებთან მიახლოება.

ავთანდილის გარდაქმნა დაიწყო ტარიელის გაცნობისთანავე. იმ წუთიდანვე ღვთიური ძალით აინთო, დაიშუბტა. ტარიელი იქცა მისთვის „ცეცხლთამომდებრისად“. ვერავითარი ძალა ვეღარ შეაჩერებდა მას ტარიელისაკენ მიმავალ გზაზე. ავთანდილი მისკენ მიისწრაფოდა, „ვით ირემი ძებნად წყლისად“. მაგრამ ეს იყო ზემოქმედება ჯერჯერობით მხოლოდ მის „გრძნობადზე“. და აი, ამუშავდა ავთანდილის „გონიერიც“.

მიდის ავთანდილი ნესტანის საძებრად და ავალია – შეუძლებელი შეძლოს. ამიტომ ზეციურ ძალებს მოუხმობს საშველად. სისხლის ცრემლებით ატირებული ღოცულობს და მნათობებს გამარჯვებით დაბრუნებას შესთხოვს:

„აჰა, მზეო, გეაჯები შენ, უმძლესთა მძლეთა მძლესა,
ვინ მდაბალთა გაამაღლებ, მეფობასა მისცემ, სვესა,
მე ნუ გამყრი საყვარელსა, ნუ შემიცვლი ღამედ დღესა“.

მიაწვდინა თავისი ხმა ავთანდილმა ზეცამდე. მისი თხოვნა შესმენილ იქნა:

„აჰა, მმოწმობენ ვარსკვლავნი, შეიძნივე მემოწმებიან,
მზე, ოტარიდი, მუშთარი და ზუალ ჩემთვის ბნდებიან,
მთვარე, ასპიროზ, მარიხი, მოვლენ და მოწმად მყვებიან“.

ეს ნიშნავს, რომ ავთანდილი გონებით შეიჭრა ღმერთების საუფლოში, ამოიკითხა მათი ფიქრი და ზრახვა. მაშასადამე, მას უკვე გაეხსნა საზეო ხედვა. ამან კვლავ ახალი

ბიძგი მისცა მის გრძნობადს. ისიც საზეო სიმაღლემდე ას-
წია. აი, ამ ახალი ძალით შემოსილი ამღერდა ავთანდილი
და ხმაში ისეთი გრძნობა ჩააქსოვა, რომ მთელი ცოცხალი
და არაცოცხალი ბუნება სმენად აქცია:

„რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან,
მისვე ხმისა სიტკბოსაგან წყლით ქვანიცა გამოსხდიან,
ისმენდიან, გაჰკვირდიან, რა ატირდის, ატირდიან,
იმღერს ლექსთა საბრალოთა, ღვარისაებრ ცრემლნი სდიან“.

რამდენჯერაც ჩანგზე „იმღერდა და იხარებდა“ ავთან-
დილი, მთელი ბუნება მის სასმენად არ იყო გარინდული.
მაშ, რა მოხდა აქ? მაშინ შეიძინა მისმა ხმამ ღვთიური
ზემოქმედების ძალა, როდესაც საზეო ხედვამ მასში საზეო
გრძნობა წარმოშვა და ეს გრძნობა ჩააქსოვა სიმღერაში.

ავთანდილმა ამ გრძნობით დაიმორჩილა ქვეყნიერება –
გახდა მისი მპყრობელი, მბრძანებელი, ანუ იგი გახელმ-
წიფდა. საგულისხმოა, რომ სწორედ ეს თხოვნა ისმის მის
ლოცვაში – „ვინ მდაბალსა გაამაღლებ, მეფობასა მისცემ,
სვესა“, – შენ დამეხმარე საყვარელთან დაბრუნებაშიო (ე.
ი. ღმერთის უთვალავ და უსასრულო შესაძლებლობებიდან
ავთანდილს ახსენდება ის, რაც გულში აქვს, რაზეც ოცნე-
ბობს, იმას შესთხოვს ღმერთს და ის უსრულდება).

სხვანაირად როგორ იპოვიდა ნესტანს ავთანდილი? უნდა
შეეძრა ცა და დედამიწა, ზესკნელი და ქვესკნელი. უნდა ამ-
აღლებულიყო სულიერად, გაეწლო კათარზისის ძნელი გზა,
რომ ყველაფერი განეჭვრიტა „ცნობითა ზემხედველითა“.

სად უნდა ეპოვა ავთანდილს ნესტანი? ტარიელს მიაჩნ-
და, რომ ნესტანი ზღვაში იყო დანთქმული. გავიხსენოთ:
„დაო, ასმათ, ხიდნი ზღვასა ჩაგვიცვივდეს“. ავთანდილმა,
მართლაც, ნესტანი იპოვა ზღვაში – ზღვათა სამეფოში –
ადამიანთა ცხოვრების ფსკერზე; გადაიცვა სხვა ტანსაცმე-
ლი და „ჩაყვინთა“ იქ დასაშვებად, შეიჭრა იქაური ცხოვრე-
ბის სიღრმეში (ფატმანთან დაახლოება) და გაიგო, რომ

ნესტანი ფსკერზე კი არა, ცამდე ატყორცნილ კოშკში იმყოფებოდა. „ქტონური სამეფო ნესტანს ვერ შეინარჩუნებდა, იმიტომ იგი დაკარგა“, – წერს ზვიად გამსახურდია.

ის უნარი, რომელიც ავთანდილმა ნესტანის ძებნის დროს გამოავლინა, რუსთველოლოგიაში განხილულია, როგორც ზოგადად მისთვის დამახასიათებელი თვისება. ავთანდილმა ამ დროს სიმღერით დაიპყრო ქვეყნიერება, მაგრამ ყოველთვის ჰქონდა მის სიმღერას ასეთი ძალა? – ერთხელ კიდევ უნდა დავსვათ ეს კითხვა. როცა ავთანდილი თავის ჩანგზე „იმღერდა და იხარებდა“, მისი ხმა საწოლს გარეთ თუ ვისმეს ესმოდა, არ ჩანს. ფრიდონთან მიმავალი ავთანდილის სიმღერაზე კი „სმენად მხეცნი მოვიდიან“, „წყლით ქვანიცა გამოხსდიან“, „რა ატირდის, ატირდიან“.

ავთანდილი პოემაში რამდენჯერმე ლოცულობს – გულმხურვალედ ლოცულობს იგი, როსტევანს რომ ანდერძს უტოვებს და გასაპარავად ემზადება. „ილოცავს, იტყვის: „მადლო ღმერთო ხმელთა და ცათაო...“ და სხვ. გზაზე მიმავალი, სანამ გამოქვაბულამდე მიადწევს, გულმღუღარედ მტირალი შესთხოვს მზესა და მთვარეს შეველას – მისი ხმა კვლავ არავის ესმის. მაგრამ აი, ფრიდონთან მიმავალი რომ ტირის, „მისწოთმია ხმა ცათამდის“. იგი ვარსკვლავებში თავის თანამგრძობელებს შეიცნობს: „შვიდნივე ემოწმებიან“, მზე, ოტარიდი, მუშთარი და ზუალ მისთვის „ბნდებიან“.

მაშასადამე, აქ სხვა ძალა აქვს მის ლოცვას, სიმღერას, ტირილს. ეს ის ახალი ძალაა, რომელმაც ავთანდილი გადააცილა ადამიანური შესაძლებლობის ზღვარს. აღსანიშნავია, რომ ავთანდილმა ეს იგრძნო, მიხვდა, რა ძალაც შეიძინა. იგრძნო, რომ რასაც ღმერთს შესთხოვდა: „ვინ მდაბალსა გაამაღლებ, მეფობასა მისცემ, სვესა, მე ნუ გამყრი საყვარელსა, ნუ შემიცვლი ღამედ დღესა“, – ეს სათხოვარი შეუსრულდა, „მდაბალი“ გაამაღლა და მეფობა და სვე მიეცა. როდესაც მთელი ქვეყნიერება მის

ხმას დაემორჩილა, ეს სწორედ ამ „მეფობის“ მანიშნებელი იყო. ფრიდონის სამეფოში ავთანდილი სწორედ ასე კითხულობს: „ეს სამეფო ვისი არის, ან ჰმორჩილებს ვისსა ხმასა?“ აქ რუსთველმა ავთანდილს კითხვა სიტყვიერად ისეთი ფორმით დაასმევინა, რომ ადვილად მიგვახვედრა, რაც მოხდა და პირდაპირ მიგვანიშნა: ვის ხმასაც ქვეყანა ემორჩილება, ის არის ამ ქვეყნის ხელმწიფე. ავთანდილის ხმას მთელი ქვეყნიერება დაემორჩილა, ე. ი. მას მიეცა მთელი ქვეყნიერების ხელმწიფება. ხელმწიფე კი მხოლოდ ღმრთის-სწორი პიროვნება შეიძლება იყოს. მაშასადამე, ავთანდილი გაუტოლდა ღმრთისსწორებს, ანუ მოხდა მისი გაღმერთება. ეს არის სწორედ ე. წ. თეოზისი და იგი, სიმბოლურად მეტად მკაფიოდ არის გამოხატული პოემაში, მეტად მკაფიოდ ჩანს ავთანდილის „გზა ღმრთისაკენ“, „ცისა და მიწის კავშირი“, მისი ზეადსვლა, მაგრამ, ზვიად გამსახურდიას გარდა სხვა მეცნიერთაგან შეუმჩნევლად იყო დარჩენილი და დაკარგული იმის გამო, რომ, როგორც აღნიშნული გვაქვს, ავთანდილი თავიდანვე იყო მიჩნეული ინტელექტუალური საწყისის გამომხატველ პიროვნებად, თავისი გონებით ყველაზე მაღლა მდგომად პოემის სხვა პერსონაჟთა შორის, ყველგან იგრძნობა აღტაცება – აი, ასეთია ავთანდილი, ნაცვლად იმისა, რომ შემჩნეული ყოფილიყო: ასეთი გახდა ავთანდილი!

თეოზისი, არეოპაგიზმის ეს მთავარი იდეა, რაკი რუსთველს სურდა გამოეხატა პოემაში და ამ იდეას ავთანდილის პიროვნებაში შეესხა ხორცი, ეს ავთანდილის მხატვრულ სახეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. იმ დროის ლიტერატურაში ავთანდილი იყო სრულიად ახალი გმირი, ახალი მოვლენა და ამ მხრივ დიდად საინტერესო და ყურადღების ღირსია.

თავისი გრძნობადით და გონიერით ავთანდილი ავიდა ღმრთისსწორთა სიმაღლეზე, მაგრამ გაუსწორდა ტარიელს? ვერა.

„ის სიმაღლე, რომელზედაც ტარიელი იმყოფება, ყველასათვის მიუწვდომელია. ტარიელი „სამყაროს მზისა ეტლთა გარდამსმელია“, „ვერ საქები“, „ვერ სათქმელი“, „ცისა ეტლთა სინათლეა“ (1003). ყველა ეს ეპითეტი ღმერთის კატეგორიაა. მსგავსი არსად არაფერია თქმული ავთანდილის შესახებ.

გაღმერთების შემდეგაც ავთანდილის ყოველი ქმედების აღწერისას კვლავ აშკარად ვლინდება რუსთველის ტენდენცია – არც ერთ დეტალში არ გაუტოლოს ავთანდილი ტარიელს. სწორედ ამის შემდეგ არის ნათქვამი: „მზე მნათობთაცა დაჰვარავს, არცაღა ნათლად ხომნია“ (1405).

ავტორის ტენდენციის ერთხელ კიდევ მკაფიოდ გამოსავლენად უნდა განვიხილოთ ეპიზოდები: 1. სასიძოსა და ჭაშნაგირის მკვლელობა და 2. ქაჯეთის ციხის აღება.

ავთანდილის მიერ ჩადენილი მკვლელობა დამძიმებულია რამდენიმე გარემოებით, რასაც ხაზგასმულად აღნიშნავს ავტორი და საგანგებოდ მიაპყრობს მასზე მკითხველის ყურადღებას.

ავთანდილი მშვიდ გუნებაზე ასრულებს მკვლელობას და რუსთველი გვეუბნება: „წამოვიდა ვარდი ტბილი, რასამცავით გაემწარა!“. ავთანდილს უხდება „უბრალო“ სისხლის დაღვრაც – უდანაშაულო ორი დარაჯისა. ტარიელიც არ შემოფარგლულა მხოლოდ ერთი კაცის მკვლელობით. მას დასჭირდა მღვეართა ხოცვაც, ვინც კი წამოწევა შეძლო, მაგრამ მღვეარი უკვე აღარ იყო „უბრალო“.

დარაჯთა დახოცვის შემდეგ ავთანდილს ხელსისხლიანს ვხედავთ:

„იგი ყმა საწოლს მარტო წვა გულითა ჯავრიანითა,
ხელსისხლიანი ავთანდილ შედგა ტანითა ჯანითა“.

ავთანდილი ფატმანს დავალების შესრულების ნიშნად ეტყვის: „აჰა, თითი და ბეჭედი, და დანა მაქვს სისხლიანი.“

სისხლის ასე ხაზგასმულად ჩვენება იმაზე მიგვიჩვენებს, რომ ავთანდილის მიერ ჩადენილი მკვლელობანი და არა

მკვლევლობა, უფრო ცოდვილიანად სურს რომ წარმოგვიდგინოს ავტორმა.

ავთანდილი ასახიჩრებს მოკლულის გვამს (თითს აჭრის), შემდეგ კი ზღვაში გადაისვრის. ამასაც აღნიშვნის გარეშე არ ტოვებს ავტორი, თითქოს ენანება მოკლული ვაჟკაცი, რომელიც უღვთოდ არის გამეტებული: „მისთვის არცაღა სამარე, არცა სათხარად ბარია“. და ბოლოს შემაჯამებელი დასკვნა: „ესე მიკვირს სისხლი მისი ასრე ვითა მოიპარა.“

ახლა ვნახოთ, როგორ არის გადმოცემული ტარიელის მიერ ჩადენილი მკვლევლობა.

გაიოზ იმედაშვილი საგანგებოდ მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ „ტარიელისაგან სასიძოს მოკვლის სცენა რუსთველმა მსუბუქი, მაღალი შაირის ქღერადი შესიტყვებით აგებული სტროფის მხოლოდ ორ ტაეპში დატია, რომელიც ყურადღებას იპყრობს უფრო მეტად ლექსის მუსიკალობით და სურათოვნებით, ვიდრე მომხდარი უბედურებით“ (ვეფხისტყაოსანი და ქართული კულტურა, თბ., 1968, გვ. 306).

მაშასადამე, რუსთველი მკითხველს ჯერ პოეზიის ბანგით აბრუებს, რომ ყურადღება მოუდუნოს, შემდეგ სასწრაფოდ, უკვე მესამე ტაეპში, მიმართავს მის ყურადღებას ახალი ამბისაკენ: „წინა მწოლთა დაიზახეს...“, ე. ი. არიქა, ტარიელის სიცოცხლე საფრთხეშია! დააღწევს თუ არა იგი თავს მღევარს? ამრიგად, მკითხველს დაფიქრების საშუალებაც არ ეძლევა მკვლევლობის აქტზე.

ამაზე მძლავრად ვედარ გამომქდავდებოდა ავტორის ტენდენციური დამოკიდებულება ამ ორი გმირის მიმართ.

ამ ეპიზოდში ტარიელის ღირსება დაცულია აგრეთვე შემდეგი ფაქტებით: ტარიელი დავალებით არ სჩადის მკვლევლობას, ეს თვითონ აქვს გადაწყვეტილი, იგი ნესტანს ეუბნება:

„რა შემოვიდენ ინდოეთს, შევიგნა მათი გვარობა,
ვუჩვენო ჩემი ძაღგული და ჩემი მეომარობა,
ასრე დავხოცნე, შეეძლოს აღარა, არ სახმარობა!“

ე. ი. ტარიელს გადაწყვეტილი აქვს სასიძოს მისი ამალი-
ანად, ლაშქრიანად გაცამტვერება. ნესტანი წინააღმდეგია
დიდი სისხლისღვრისა, უდანაშაულო ადამიანთა მსხვერ-
პლით. მეფესა და ტარიელს შორის მოსალოდნელი კონ-
ფლიქტიც აშინებს – ვაითუ „ინდოეთი გარდაქარდეს“. ამი-
ტომ ურჩევს, ეხვეწება ტარიელს, მიპარვით მოკლას სასიძო.
თან ეფერება, აქებს: „ასრე ქმენ, ჩემო ღომო და მჯობო
ყოველთა გამირთაო“. ჩანს, რომ ტარიელს ოდნავი ჩრდილიც
არ მიადგება ნესტანის თვალში.

ტარიელს მოეწონა ეს „თათბირი და გამორჩევა“ და ჰუ-
მანური და პოლიტიკური თვალსაზრისით (ინდოეთის საზი-
ანო რომ არაფერი მოხდეს), ნესტანის რჩევისამებრ იქცევა,
მაგრამ მაინც გული სწყდება, ნანობს, რომ ორთაბრძოლაში
არ მოკლა სასიძო: „უსისხლოდ მოგკალ იგი, გლახ, თუმცა
ხმდა სისხლთა დადენით“.

მკვლევლობის წინ ტარიელი აუჩქარებლად, აწონილ-
დაწონილად იქცევა, შესაფერ მომენტს ეძებს. სასიძო თავი-
სი ლაშქრის შუაგულში იმყოფება. მისი მოკვლა კი საიდუმ-
ლო ვითარებში უნდა მოხდეს, რომ ვერც ფარსადან მეფემ
და ვერც ხვარაზმშამ ვერ შეიტყოს მკვლელის ვინაობა.
ამიტომ დროის შერჩევა, სიტუაციის შეცვლა სურს. მაგრამ
ნესტანი დელავს, უკვე შიში იპყრობს, სასიძო რომ კარზეა
მომდგარი, თან ტარიელის საქციელიც აეჭვიანებს.

ვლ. ნორაკიძის აზრით, „ასეთი დიდბუნებოვანი ვაჟკაცი-
სათვის ამ აუცილებელი მკვლევლობის განსახორციელებ-
ლად საჭიროა ცნობიერების დაბინდვა...“ ამიტომ პოეტ-
მა კვლავ აამღვრია ტარიელის მაღალი ბუნება ნესტანის
შეურაცხმყოფელი „საყვედურით“. იგი ტარიელს დაყოვნების
გამო კვლავ მოლაღატეს უწოდებს.

და აი, ტარიელი ნაწყენი, აღელვებული გამოიჭრა ნეს-
ტანის სამყოფიდან: „ქალი ბრძოლად როგორ მაწვევს!“ და,
მოყმისაკენ რომ გაემართა, უკვე „საომარად ატეხილი“ იყო.

იგი აღარ მოერიდა დიდ ხიფათს და თავზეხელაღებულად მცირე რაზმით ლაშქრის შუაგულში შევიდა. სასიძო ადვილად მოკლა, მაგრამ მცველებმა შეიტყვეს და ეს საქმე დაფარულად, საიდუმლოდ ვეღარ შესრულდა.

აი, აქ იმძლავრა ემოციამ საქმის საწინააღმდეგოდ. მაშადასამე, ასეთ ტრაგიკულ სიტუაციაში რუსთველმა წუთიერად ამ გმირებშიც დაუშვა ადამიანური საწყისის გამარჯვება. ჯვარზე გაკრულმა ქრისტემ რომ ღმერთს შველა შესთხოვა: „ელი, ელი! ლამა საბაქთან? ესე არს: ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! რისთვის დამიტევებ მე?“ (მ. 27. 46). ესეც ადამიანური საწყისიდან მომდინარეობდა.

როგორც ვთქვით, ამ ეპიზოდებში მკვეთრად ვლინდება რუსთველის ტენდენცია, მაგრამ არ შეიძლება ამ ტენდენციის კიდევ უფრო გამძაფრება ავთანდილის საზიანოდ. სრულიად მიუღებელია ჯემალ ცერცვაძის აზრები ავთანდილის მიერ ჭაშნაგირის მკვლელობასთან დაკავშირებით. მისი სიტყვით, ეს კაცთაკვლა ავთანდილმა ვიღაც სიძვის დიაცის ხუმტურების გამო ჩაიდინა.¹⁵ აქ იგი იმეორებს ელგუჯა ხინთიბიძის აზრს, მხოლოდ სიტყვა „კაპრიზი“ „ხუმტურით“ აქვს შეცვლილი.

ფატმანი სიძვის დიაცია, მაგრამ „ვიღაც სიძვის დიაცი“, აგდებულად რომ ვუწოდოთ, ამას არ იმსახურებს. ნესტანმა წერილში ასე მიმართა მას: „აჰა, ხათუნო, დედისა მჯობო დედაო!“ ტარიელმა ფატმანს უთხრა: „მე თავი შენი მიდია, დაგ, ვალი შენი ჩემზედა გარდაუხდელი, დილია“. ე. ი. ფატმანი ღმრთისსწორი ნესტანის დედობილი და ღმრთისსწორი ტარიელის დობილია. ეს არც არის გასაკვირი. პოემაში ხომ ფატმანს ნესტანის მხსნელის ფუნქცია აკისრია. დიდი სიყვარული მან გმირული თავგანწირვით დაიმსახურა.

¹⁵ გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1996, XI.

ჯემალ ცერცვაძისავე აზრით, ჭაშნაგარი უბადლო ვა-
ჟაკაცია, სარაინდო წეს-ჩვეულებების ყველაზე ზომიერი
დამცველი, სწორუპოვარი რაინდი და სხვ. რომლისათვის
არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს ავთანდილის მოკვ-
ლა, მით უმეტეს, რომ „ხრმალ-დარაკიანი“ მონა თან ახ-
ლავს.

სინამდვილეში ჭაშნაგირი მკვეთრად უარყოფითი
პიროვნებაა, შანტაჟისტი, ბოროტად სარგებლობს ფატმან-
ის საიდუმლოს ცოდნით და აშინებს მისი გაცემით. მას
ადვილად არ შეეძლო ფატმანისა და ავთანდილის მოკვლა.
ისინი მარტო არ იყვნენ სახლში. ფატმანს ერთგული მონები
ჰყავდა, ხმაურზე გამოცვივდებოდნენ და ჭაშნაგირი და მისი
„ხრმალდარაკიანი“ მონა ცოცხლები ვერ გადარჩებოდნენ.
ეს იცოდა ჭაშნაგირმა, ამიტომ არჩია გაცლა. ავთანდილიც
ერიდებოდა ხმაურის ატეხას, საიდუმლოდ იყო ფატმანთან
მისული და ამიტომ გაუშვა ისინი ცოცხლები.

ჭაშნაგირი რომ მოკლა, ავთანდილს მისი გვამი ზღვა-
ში კვალის დაფარვის მიზნით არ მოუსროლია, როგორც
ფიქრობენ. მკვლელობის კვალი ვერ დაიფარებოდა. ლოგინი
და მის გარშემო ადგილი („მიწასა დაასკვნა, დაკლა დანი-
თა“) გასისხლიანდა და კარებთან ორი მოკლული დარაჯი
ეგდო. ჭაშნაგირის გვამის ზღვაში გატყორცნით ავთანდილ-
მა მისადმი თავისი უპატივცემულო დამოკიდებულება გა-
მოხატა, ალბათ, იმიტომ, რომ მასში უღირსი პიროვნება
ჰყავდა შეცნობილი. როგორც ვთქვით, საიდუმლო სიტუა-
ცია რომ არა, ავთანდილი მას იქვე, ფატმანის სახლშივე,
მოკლავდა, რადგან მან შეურაცხყო მის გვერდით მყოფი
ქალი და დაემუქრა კიდევ. რაც შეეხება ორ მცველს, მათი
მოკვლა დაგეგმილი არ იყო. ისინი გზაზე აღმართული დაბ-
რკოლება აღმოჩნდნენ და ავთანდილს უკან დასახევი გზა
არ ჰქონდა მასზე იყო დამოკიდებული არა მარტო ტარი-
ელისა და ნესტანის ბედი, არამედ მთელი ინდოეთისაც.

ავთანდილზე არ შეიძლება იმის თქმა, რომ „ის უბრალოდ, ცნობისმოყვარეობით მოქმედებს“ (ე. ხინთიბიძე). ცნობისმოყვარეობა და საიდუმლოს შეტყობის სურვილი ავთანდილის მთავარი სამოქმედო პრინციპი იყო ნესტანის ძეხვის გზაზე. ფატმანს ხომ სწორედ ამ ჩანაფიქრით დაუახლოვდა – ბევრის მნახავი ფატმანი შეიძლება ამ საქმეში გამოსდგომოდა.

საერთოდ, „ვეფხისტყაოსანში“ წინასწარ განზრახვით არ ხდება უდანაშაულოთა მკვლელობა. ტარიელისთვის სასიძოს საკმარისი დანაშაული იყო ის, რომ იგი მეტოქე იყო, სატრფოს ეცილებოდა. რაინდულ ორთაბრძოლებში, რომელიც კი მიჯნურთა შორის გამართულა (ასეთი ბევრზე ბევრია რაინდულ ლიტერატურაში), სულ ასეთი „დამნაშავეების“ მსხვერპლთან გვაქვს საქმე.

ავთანდილისთვის ჭაშნაგირი არ იყო უცნობი, უდანაშაულო ადამიანი, რომელიც დავალებით უნდა მოეკლა. როგორც ვთქვით, საიდუმლო სიტუაცია რომ არა, მას ფატმანის სახლშივე გამოასალმებდა სიცოცხლეს. ამრიგად, ავთანდილი მის წინააღმდეგ აღერდილი იყო და ფატმანის დავალება მის გულისთქმას ეხამებოდა.

ავთანდილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ ეპიზოდში იგი გამოირჩევა უტყუარი აღლოთი, უფრო მეტიც, აღებული აქვს გეში. მისი ინტუიცია უკვე ზებუნებრივი ძალით ვლინდება. ე. ი. ავთანდილს ემჩნევა, რომ უკვე მოქმედებს „ცნობითა ზემხედველითა.“

„ესე რა ესმა ავთანდილს, ლაღსა, ბუნებაზიარსა,
აღვა და ლახტი აიღო, რა ტურფა, რამე მხნე არსა!
„ამა საქმის ვერცნობა, თქვა, ჩემი სიძუნვე არსა.“
ნუ ეჭვ სულდგმულსა მისებრსა, სხვა არცა მისებრი არსა!“

ასეთ დიდ ხოტბას უძღვნის რუსთველი ავთანდილს მკვლელობის ეპიზოდის წინ. თუმცა თვით მკვლელობის მომენტში, როგორც ვთქვით, მისი საქციელის მიმართ დამამძიმებ-

ელ რეპლიკებს გამოთქვამს.

ავთანდილი ტარიელის გვერდით რუსთველს მკაფიოდ დაჩრდილული ჰყავს ქაჯეთის ციხის აღების დროსაც. ავთანდილმა თავის გეგმას თვითონვე უწოდა მუხთლური, ხოლო, მეცნიერთა აზრით, ეს გეგმა შეფასებულია, როგორც „რაინდული თვალსაზრისით საჩოთირო“ (აღ. ბარამიძე) სხვა ხარვეზიც არის აღნიშნული: ავთანდილი ტარიელს პასიურ როლს აკისრებდა, რაც მას დიდად ამცირებდა ნესტანის თვალში. ეს ნაკლი ფრიდონის გეგმასაც ჰქონდა, გარდა იმისა, რომ იგი განუხორციელებადიც იყო.

ტარიელსაც შეეძლო მეთაურობა აეღო და მეგობრებისთვის ეთქვა შევალ და მომყვებითო. მით უმეტეს, რომ ყველაზე სწრაფი ცხენი ჰყავდა. მაგრამ არა, მან თანაბარი პატივი მიაგო მათ – „სამთავემ სამად გაიყვეს თვითომან თვითო კარები“. ამით ციხის აღებისათვის ბრძოლა დაემსგავსა სპორტულ ასპარეზობას – სამივე გმირს თანაბარი შესაძლებლობა მიეცა გმირობის გამოჩენისა. ამრიგად, ტარიელის გეგმა აღემატებოდა სხვებისას შეგნებით, მორალით, გონიერულობით, იყო უფრო ვაჟკაცური და რაინდული.

აღსანიშნავია, რომ ტარიელმა ზუსტად განჭვრიტა, როგორ მოიქცეოდნენ ციხის მცველები, თავისკენ მცირე რაზმით მომავლებს რომ დაინახავდნენ – კარებს კი არ ჩაკეტავდნენ, როგორც ფიქრობენ, პირიქით, წინ გამოეგებებოდნენ – „მოგვეგებიან, ვემცრობით“, ე. ი. ვაჟკაცური თავმოყვარეობა მცველებს ნებას არ მისცემდა, მცირე რაზმის შიშით სასწრაფოდ დაეკეტათ კარები, პირიქით, თვითონ გამოიჭრებოდნენ შესახვედრად, აი, ამ დროს უნდა ემარჯვათ თავდამსხმელებს და უმცველებოდ დატოვებულ ღია კარებებში თვითონ შეესწროთ, ე. ი. ეს იყო დაახლოებით, მტრის საფრებიდან გამოტყუების ბრძოლებში ნაცადი, გაერცვლებული ხერხი. იგულისხმება, რომ შესახვედრად გამოჭრილ, ე. ი. გამოტყუებულ მცველებთან ბრძოლაში მათ იმდენი დრო

უნდა დაეკარგათ, რამდენიც გზის გაკაფვას სჭირდებოდა. სწორედ ამ დროს ტარიელის ცხენის სისწრაფე განსაკუთრებულ როლს შეასრულებდა. სამივე მხრიდან გამართლდა ვარაუდი: „სამგნითვე კართა შეჯარნეს, ჭირნი არ ნახეს კაფისა.“

ფრიდონი და ავთანდილი ერთმანეთს ქაჯეთის ქალაქში რომ შეხვდნენ, ტარიელს უკვე შემუსვრილი ჰქონდა ქაჯეთის ციხე და ნესტანთან იყო.

მაშასადამე, აქ ტარიელი თავისი ძმობილებისთვის მიუწვდომელი იყო, შეგნებით, სტრატეგიული ნიჭით, სამხედრო მანევრებით, რომელიც სპორტულ შეჯიბრებაში ცრუმოდრობას მოგვაგონებს. ტარიელი აქ წარმოდგა როგორც გენიალური მხედართმთავარი, შეუდარებელი, მართლაც რომ „შე მნათობთაცა დაჰფარავს, არცაღა ნათლად ხომნია“.

ამრიგად, ავთანდილი ვერ გაუტოლდა ტარიელს, მაგრამ მაინც მას არ უნდა დაეუკარგოთ ერთი უპირატესობა – საბოლოოდ ხომ გაიმარჯვა ავთანდილის ოპტიმიზმმა, მისმა გულგაუტყეველობამ, რასაც თინათინიც უდგას ბურჯად. ავთანდილს აშკარად დაჩრდილული ჰყავს ისეთი ბრწყინვალე ღმრთისწვორი, როგორიც ფრიდონია. ეს თეოზისის გარეშე ვერ მოხდებოდა.

ყველა ღმრთისწვორი ადამიანური სრულყოფის ნიმუშს იძლევა, მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი ერთმანეთის იდენტურ პიროვნებებად შეიძლება წარმოვიდგინოთ. მათ შორის გრადაციული, ხარისხობრივი სხვაობაა, ამიტომ არიან პოემაში ღმრთისწვორი ტარიელი და ღმრთისწვორი რამაზ მეფე: „თავსა ზედა უკეთესსა უზადო ჰყოფს, არ აზადებს“, ანუ არიან ერთმანეთზე უკეთესები და უარესები.

ამრიგად, „ვეფხისტყაოსანში“, აშკარად არის გატარებული თეოზისის იდეა, რაც ასევე აშკარად მიუთითებს რუსთველის მჭიდრო კავშირს არეოპაგიზმთან, კვლავ უნდა გავიმეოროთ ზვიად გამსახურდიას სიტყვები, რომ შეუძლებელია გაგება რუსთველის ესთეტიკისა პეტრე იბერის გარეშე. იგი არის შთამავლებელი რუსთველის პოეზიისა და პო-

ეტიკისა“.¹⁶

ცნობილია, როგორი დევნაშევიწროება განიცადეს ნეოპლატონისტებმა – მათ აპატიმრებდნენ, სამშობლოდან აძევებდნენ, სიკვდილითაც სჯიდნენ. ოფიციალურად, როგორც საერო, ისე საეკლესიო ხელისუფლებისათვის, ყველაზე უფრო მიუღებელი იყო თეოზისის იდეა – ადამიანის ღმერთთან მისვლა და შეერთება ეკლესიური გზის გარეშე. ეს თავის მხრივ ნიშნავდა ტაძრებისა და ღვთისმსახურების რიტუალის უარყოფას (შაღვა ნუცუბიძე, რუსთველი და აღმოსავლური რენესანსი, ტ. IV, გვ. 86-87).

საქართველოდან ამ იდეების გამო გაძევებულ იქნა იოანე პეტრიწი.¹⁷ არსებობს გადმოცემა რუსთველის დევნისა და გადასახლების შესახებაც. თუ ეს მართალია, მაშინ უნდა მივიჩნიოთ, რომ ამის მიზეზი იყო ავთანდილი, გმირი, რომლის სახითაც პოეტმა გამოხატა თავისი არეოპაგიტული იდეები.

რუსთველმა ჩვეულებრივ ადამიანს გზა გაუხსნა ტახტისაკენ. მან ჩვეულებრივ ადამიანში დაინახა შესაძლებლობა გატოლებოდა ღმრთისწვრებს. ამიტომ ამ იდეებს საერო ხელისუფლებაც მტრულად მოეკიდებოდა.

აი, ეს არის რუსთველოლოგიის ის ზოგიერთი პრობლემური საკითხი, რომელთა ახლებური გააზრების აუცილებლობა, ჩვენი აზრით, შეიქმნა მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა ზვიად გამსახურდიას წიგნი „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება“. ამ წიგნში მოცემული ფორმულების გახსნა და შემოქმედებითი ათვისება გვაყენებს „ვეფხისტყაოსნის“ მეტი სიღრმით შეცნობის გზაზე.

მაცნე №1-4 2001 წ. მაცნე №1-4 2002 წ.

¹⁶ ბოლო წლებში გამოითქვა პეტრე იბერისა და ფსევდო დიონისე არეოპაგელის იგივეობის საწინააღმდეგო თვალსაზრისი (ელიშერ ჭელიძე, ერთი წყარო წმ. დიონისე არეოპაგელის შესახებ, სვეტიცხოველისადმი მიძღვნილი პირველი სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 1-13 ოქტომბერი, 1995, ისტორიის საკითხები, გვ. 419-424).

¹⁷ კ. კ. მ. ე. ლ. ი. ძ. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1960, გვ. 285.

იოანე ბატონიშვილის „მცირე უწყების“ ავტორობის საკითხი

იოანე ბატონიშვილის „ხუმარსწავლაში“ („კალმასობაში“) მოთავსებული თხზულების „მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის“ რაობა და მნიშვნელობა კარგად არის ცნობილი ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევართათვის. ამ თხზულების ირგვლივ შექმნილია მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც სრულყოფილად არის განხილული და შეფასებული ივ. ლოლაშვილის მიერ 1982 წელს გამოცემულ წიგნში „მცირე უწყებანი ქართველთა მწერალთათვის“ (გვ. 71-78). ამავე წიგნში მესამედ არის გამოქვეყნებული ამ თხზულების ტექსტი (გვ. 158-203).

თხზულების ხელნაწერებზე მუშაობამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ თითქმის ყოველმხრივ შესწავლილი თხზულების ირგვლივ კიდევ არ არის ამოწურული სათქმელი. კიდევ გასარკვევია თხზულებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები.

თხზულება ჩვენამდე შემონახა ორმა ხელნაწერმა. ერთმა თვით იოანე ბატონიშვილის „ხუმარსწავლის“ ტომმა - H 2134, მეორემ – დავით ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკის კუთვნილებად ყოფილმა ხელნაწერმა S 3677¹.

ამ ორ ხელნაწერში მოთავსებული ტექსტი „მცირე უწყებისა“ არც ერთ გამოცემისას ერთმანეთთან შედარებული არ არის. ამის მიზეზი შემდეგია: როდესაც ექ. თაყაიშვილმა 1909 წელს პირველად გამოაქვეყნა ტექსტი S 3677 ხელნაწერის მიხედვით², მან ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ ეს თხზულება იყო „ხუმარსწავლის“ ნაწილი, თხზულების შემდეგ

¹ ექ. თაყაიშვილი, მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის, ძველი საქართველო, 1909, ტ. I, განყოფილება III, გვ. 1

² იქვე, გვ. 1-55.

გამომცემელთათვის კი, რომელთაც უკვე ხელთ ჰქონდათ „ხუმარსწავლის“ ავტოგრაფული ნუსხა, S 3677 ხელნაწერში მოთავსებულმა ტექსტმა დაკარგა მნიშვნელობა, რადგან „ხუმარსწავლიდან“ გადაწერილ გვიანდელ პირად იქნა მიხნეული.

ტექსტის შედარებამ დაგვარწმუნა, რომ S 3677 ხელნაწერში დაცული „მცირე უწყება“ არ არის პირი იოანე ბატონიშვილის „ხუმარსწავლის“ შესაბამისი ნაწილისა. იგი უნდა მომდინარეობდეს სხვა ნუსხიდან და ამიტომ, თუნდაც გვიან იყოს გადაწერილი, მაინც იმსახურებს დიდ ინტერესს.

როდის და საიდან უნდა იყოს გადაწერილი S 3677 ხელნაწერის „მცირე უწყება“ – ამის დადგენა არის ჩვენი კვლევის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი.

მკვლევარ ივანე ლოლაშვილს S 3677-ის „მცირე უწყება“ მიაჩნია 1845 წელს გადაწერილად.¹ ამ შემთხვევაში იგი ემყარება ხელნაწერთა აღწერილობაში მოცემულ თარიღს ამ ხელნაწერისას.² აღწერილობაში კი შეცდომაა დაშვებული მთელი ხელნაწერი დათარიღებულია მასში გადაწერილი პირველი თხზულების თარიღით. კერძოდ, 1845 წლის თარიღი უზის სვიმონ ტაბიძის მიერ გადაწერილ ომან ხერხეულიძის თხზულებას „მეფობა ირაკლი მეორისა, თეიმურაზის ძისა“ (2r-30r) სინამდვილეში ხელნაწერი წარმოადგენს სხვადასხვა ზომისა და ხარისხის ქალაქდზე სხვადასხვა პირის სხვადასხვა დროს გადაწერილ თუ დაწერილ თხზულებათა ერთად აკინძულ კრებულს. ამიტომ პირველი თხზულების თარიღის გავრცელება მთელ ხელნაწერზე არ შეიძლება.

¹ მცირე უწყებანი ქართველთა მწერალთათვის, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა, თბ., 1982, გვ. 71.

² ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა S კოლექცია, ტ.V, თბ., 1967, გვ. 157.

„მცირე უწყება“ ამ ხელნაწერში მოთავსებულია 40 r-74r გვერდებზე. ქალაქს აქვს დამლა – ნიკოლოზ I იმპერატორის სახელით. ნიკოლოზ I გამეფდა 1825 წლის დეკემბერში. მაშასადამე, თხზულება 1826 წელზე ადრე ვერ იქნებოდა გადაწერილი.

თხზულება გადაწერილია პეტერბურგში მოღვაწე სამი პირის მიერ – იგი მოთავსებულია კრებულში, რომელიც, როგორც ვთქვით, დავით ჩუბინაშვილისაა და ძირითადად შეიცავს დავით ჩუბინაშვილისა და თეიმურაზ ბაგრატიონის როგორც ორიგინალურ, ისე მათი ხელით გადაწერილ სხვა ავტორთა თხზულებებს. ამ კრებულში „მცირე უწყების“ ერთ-ერთი გადამწერი თვით დავით ჩუბინაშვილია. მას გადაუწერია მხოლოდ ნახევარი გვერდი – 72 v.

ჩვენთვის ცნობილია, დავით ჩუბინაშვილთან ერთად ვინ მოღვაწეობდნენ პეტერბურგში თეიმურაზ ბაგრატიონის კარზე. ეს პირები არიან პლატონ იოსელიანი, სოლომონ დოდაშვილი, სოლომონ რაზმაძე, იოანე ბაზლიძე, სიმონ ტაბიძე და სხვ.¹ ცხადია, ორი სხვა გადამწერის ვინაობა უპირველესად ამ პირებში იყო საძიებელი.

ავტოგრაფების მიხედვით გაჩნდა ეჭვი, რომ თხზულების მეორე გადამწერი უნდა იყოს სოლომონ დოდაშვილი. დამტკიცებულად ამის თქმა მაინც გვიჭირს, რადგან ხელი მიმსგავსებულია, მაგრამ ზუსტად იგივეაო, ვერ ვიტყვით. მის მიერ გადაწერილია თხზულების უდიდესი ნაწილი (41v-58r, 62r-71r, 72r-74r), მესამე გადამწერის (40r-41v, 58v-61v) ვინაობას ჯერჯერობით საერთოდ ვერ მივაკვლიეთ.

თხზულების გადაწერაში სოლომონ დოდაშვილის მონაწილეობამ დაადგინა ნუსხის თარიღი. როგორც ცნობილია, ს. დოდაშვილი 1827 წ. 28 მაისს დაინიშნა თბილისის

¹ გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი, ცხოვრება, თბ., 1979, გვ. 72, 75, 94, 95, 103.

კეთილშობილთა სასწავლებლის ქართული სიტყვიერებისა და გეოგრაფიის მასწავლებლად. 24 ივნისს პეტერბურგიდან ჩამოვიდა თბილისს.¹

ამრიგად S 3677-ის „მცირე უწყების“ გადაწერის ზედა ზღვარია 1827 წ. ივნისი.

როდის არის ჩაწერილი ეს თხზულება „ხუმარსწავლაში“? ამის შესახებ ივანე ლოლაშვილი ორგვარ თარიღს იძლევა, როდესაც პირველად უთითებს იოანე ბატონიშვილის ხელნაწერის ნომერს, რომელშიც მოთავსებულია „მცირე უწყება“ (H 2134, 471v-497r), აღნიშნავს რომ ეს თხზულება ამ ხელნაწერში გადაწერილია იოანეს მიერ 1820 წლის მახლობლად² ამ შემთხვევაში იგი ეყრდნობა ქაღალდის ჭვირნიშანს. შემდეგ. როცა მსჯელობს იმის შესახებ, როდის უნდა იყოს შექმნილი თხზულება იოანეს მიერ, ასკვნის: „იოანე თავის თხზულებას წერდა 1821-1823 წლებში პეტერბურგში“³

მაშასადამე, ივ. ლოლაშვილს 1821-1823 წლებში შექმნილი თხზულება გადაწერილად მიაჩნია 1820 წლის ახლო ხანებში. ამის მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ პატ. მკვლევარი თხზულების შექმნისა და მისი „ხუმარსწავლაში“ ჩაწერის თარიღს ერთმანეთს არ აცილებს.

ჩვენ უცილობლად არ მიგვაჩნია, რომ „ხუმარსწავლაში“ „მცირე უწყება“ ჩაწერილი იყოს მისი შექმნისთანავე (1821-1823 წლებში) შემდეგი მიზეზების გამო.

„ხუმარსწავლა“ უზარმაზარი ნაწარმოებია და გადაწერილია რამდენიმე ხელნაწერ ტომში, რომელთა ფურცელთა საერთო რაოდენობა 1200-მდე იქნებოდა (მოღწეულია 1167

¹ სოლომონ დოდაშვილი, ბიბლიოგრაფია, თბ., 1967, გვ. 9, სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, თბ., 1961, გვ. 13.

² მცირე უწყებანი ქართველთა მწერალთათვის, გვ. 71, სქ. 164.

³ მცირე უწყებანი ქართველთა მწერალთათვის, გვ. 72.

ფ., ნაწილი დაკარგულია). „მცირე უწყება“ არის ამ თხზულების ერთ-ერთი ბოლო ნაწილი. მას შემდეგ ბოლომდე რჩება სულ 300 ფურცელი. „ხუმარსწავლის“ გადაწერა (ვგულისხმობთ, რომ ჩვენამდე მოღწეული ტექსტი ავტორის მიერ გადათეთრებულია) დასრულდა 1828 წლის 30 ივნისს H 2153 ხელნაწერში. თხზულების დასასრულთან გვაქვს იოანე ბატონიშვილის ანდერძი: „დასრულდა წიგნი ესე ხუმარჰსწავლა წელსა 1828-სა, თვესა ივნისსა 30-სა, სანკტაჲ-ტრებუღსა შინა“.

თუ ვირწმუნებთ, რომ „მცირე უწყება“ იოანე ბატონიშვილმა „ხუმარსწავლაში“ ჩაწერა 1821-1823 წლებში, მაშინ გამოდის, რომ „ხუმარსწავლის“ 900 ფურცელი მას გადაუწერია 1823 წლამდე, ხოლო ბოლო 300 ფურცელი 5 წლის მანძილზე 1823 წლიდან 1828 წლამდე უწერია.

საერთოდ, როდის გადაიწერა მთლიანად „ხუმარსწავლა“? სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ იოანე ამ ნაწარმოებს 15 წელიწადს წერდა – 1813-1828 წლებში.¹ (თუმცა, იონა ხელაშვილის ცნობით, ავტორი 12 წელიწადს ალაპარაკებდა მას თავის მაგიერ). ამ ხნის მანძილზე ხდებოდა მისი გადაწერა-გადათეთრება?

„ხუმარსწავლის“ ტომებში ქალაქის ჭკვირნიშანთა ასეთი სურათია:

- A 1. Q 720 (177 ფ.) – 1815, 1816 წლები.
- B 2. Q 577 (9 ფ.) – 1816 წელი.
- C 3. S 5374 (119 ფ.) – 1816, 1817 წლები.
- D 4. S 5375 (64 ფ.) – გვიან გადაწერილი პირი.
- E 5. H 2170 (382 ფ.) – 1817, 1818, 1819, 1820 წლები.
- F 6. H 2134 (380 ფ.) – 1816, 1819, 1820, 1821, 1822, 1823, 1824, ნაწილი უჭკვირნიშნო.
- G 7. H 2153 (39 ფ.) – 1826, ნაწილი უჭკვირნიშნო.

¹ ქართული ლიტ. ისტორია, თბ., 1966, ტ. II, გვ. 710

ამრიგად, ჭვირნიშნების მიხედვით, გადაწერა დაწყებულია 1815 წელს, დამთავრებულია 1826 წელს.

ანდერძის მიხედვით კი გადაწერა დამთავრდა ორი წლით გვიან 1828 წელს. მაშასადამე, 1828 წელს გადაწერილი ბოლო ხელნაწერის H 2153-ის ქალაქი ორი წლით ადრინდელი ჭვირნიშნიანია.

ისმის კითხვა: პირველი ხელნაწერი – Q 720 იმავე წელს არის გადაწერილი, რომლებსაც ჭვირნიშნები უჩვენებენ, ე. ი. 1815, 1816 წლებში?

ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ, მას შემდეგ, რაც იოანემ H 2170 ხელნაწერში უკვე გამოიყენა 1820 წლის ჭვირნიშნიანი ქალაქი, H 2134-ში დაუბრუნდა კვლავ 1816 წლის ჭვირნიშნიანს, ე. ი. ისეთ ქალაქს, რომელიც პირველი ტომის წერისას გამოიყენა. მას ამ დროისათვის გადაწერილი ჰქონდა უკვე თავისი შრომის მესამედი.

ჭვირნიშნების მიხედვით, იოანეს 1820 წლის შემდეგ გადაუწერია მხოლოდ 270-მდე ფურცელი – H 2153 ხელნაწერის ბოლო ნაწილი და H 2153.

ამიტომ ვფიქრობთ, ჭვირნიშნიანი ამ შემთხვევაში ნაკლებ სანდოა იმის ზუსტად დასადგენად, თუ „ხუმარსწავლის“ რომელი ნაწილი როდის იქნა დაწერილი. უნდა ვიფიქროთ, რომ იოანე ადრევე მომარაგებულ ფურცლებს იყენებდა ტექსტის გადასაწერად. ალბათ, უფრო ახლოს ვიქნებით სინამდვილესთან, თუ წამოვალთ ბოლოდან – „ხუმარსწავლის“ ბოლო ფურცელი იოანემ დაწერა 1828 წლის 30 ივნისს. თუ იგი ტექსტს აეთრებდა, 300 ფურცლის წინა ტექსტს დაწერდა ან იმავე 1828 წელს ან ცოტა ადრე. მაშასადამე „მცირე უწყების“ „ხუმარსწავლაში“ ჩაწერის სავარაუდო თარიღად უნდა მივიჩნიოთ 1827-1828 წლები.

ასეთი ვარაუდისას „მცირე უწყების“ ჩვენთვის საინტერესო ორი ნუსხა – H 2134 და S 3677 ხელნაწერებისა – დაახლოებით ერთ პერიოდში უნდა იყოს შექმნილი. მათი

გადაწერის ვადა დიდად არ უნდა სხვაობდეს ერთმანეთისაგან.

* * *

S 3677 ნუსხას შეიძლება ვუწოდოთ სოლომონ დოდაშვილისეული ნუსხა, რადგან უდიდესი ნაწილი გადაწერილია სოლომონ დოდაშვილის მიერ.

როგორც აღვნიშნეთ, S 3677 ხელნაწერის ნუსხა „მცირე უწყებისა“ „ხუმარსწავლიდან“ არ უნდა იყოს გადაწერილი. ამის თქმის უფლება, რა თქმა უნდა, უნდა მოეცა ტექსტებს შორის არსებულ სხვაობას და ამ სხვაობის ხასიათს. გადამწერისაგან ხშირად არის მოსალოდნელი ტექსტის ნებსითი თუ უნებლიე ცვლილებები, ე. ი. ტექსტის ინტერპოლაცია, მაგრამ არ არის მოსალოდნელი მისი მცდელობა ტექსტი დაუბრუნოს ავტორისეულ პირვანდელ უარყოფილ ვარიანტს. ამას სურვილის გარდა სჭირდება მიხედვითობა, განჭვრეტა იმისა, რა უნდა ყოფილიყო აქ ადრე.

S 3677 ხელნაწერის ნუსხა „მცირე უწყებისა“ ტოვებს სწორედ პირვანდელი ვარიანტის შთაბეჭდილებას, ამიტომ მიგვაჩნია, რომ მასში არსებული სხვაობები არ უნდა იყოს გადამწერისეული.

მხედველობაშია მისაღები ის ფაქტიც, რომ ტექსტი გადაწერილია არა ერთი, არამედ სამი პირის მიერ. ეს პირები ერთმანეთს ენაცვლებიან ზოგჯერ სტრიქონის შუიდან, რაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ისინი სწრაფად იწერდნენ ტექსტს. არ სურდათ დროის დაკარგვა. ამ მოცულობით პატარა თხზულების გადაწერისათვის სამი პირის გაერთიანებაში იგრძნობა დავალება – ვიღაცამ სთხოვა თუ უბრძანა მათ სასწრაფოდ შეექმნათ პირი „მცირე უწყებისა“. ვინ უნდა იყოს ეს პირი, ე. ი. ხელნაწერის მომგებელი?

ტექსტს იწერენ თეიმურაზ ბაგრატიონის კარზე მოღვაწე პირები. ეს ტექსტი შემოგვინახა თეიმურაზ ბაგრატიონისა

და დავით ჩუბინაშვილის ხელნაწერმა. ეს ფაქტი გვაძლევს უფლებას, რომ დავალების მომცემ პირად ვივარაუდოთ თეიმურაზ ბაგრატიონი. ასეთი დავალების დროს, როდესაც ბატონიშვილის მითითებით ხდება ქვეშევრდომთაგან ერთ-მანეთის მონაცვლეობით ტექსტის სწრაფად გადაწერა ამ ქვეშევრდომთაგან, გადამწერთაგან აღარ არის მოსალოდნელი ტექსტისადმი თავისუფალი დამოკიდებულება, მასში ცვლილებების შეტანა, ყველას რომ თავისი შეხედულები-სამებრ, სურვილისამებრ ეცვალა ტექსტი, დამკვეთი ვეღარ მიიღებდა მისთვის სასურველ ხელნაწერს. ამიტომ, ზოგჯერ ის უმნიშვნელო ცვლილებებიც, რომლებიც სხვა შემთხვევაში გადამწერისთვის შეიძლებოდა მიგვეწერა, ამ ნუსხა-ში ბადებს ეჭვს – ხომ არ მომდინარეობს იგი იმ დედნიდან, საიდანაც ხდებოდა ტექსტის გადაწერა.

მიუხედავად ამისა, უმნიშვნელო სხვაობებს ჩვენ მაინც არ ვიღებთ მხედველობაში იმის მტკიცების დროს, რომ S 3677-ის ნუსხა „მცირე უწყებისა“ არ მომდინარეობს „ხუ-მარსწავლიდან“. ამ ნიმუშებს მოვიტანთ მხოლოდ ტექსტის სრული სურათის წარმოდგენის მიზნით.

1. ტექსტში შეცვლილია სიტყვები:

იოანე ბატონიშვილი: „და ესრეთ კეთილისა მოძღვრები-თა გარდავლლ ცხოვრება თვისი“.

S 3677: „და ესრეთ კეთილისა მოძღვრებითა განვლლ ცხოვრება თვისი“ (საბა ვარდანის სვინგელოსი)

იოანე ბატონიშვილი: „და ესრეთ გარდავლლ წელნი თუსნი“.

S 3677 „და ესრეთ განვლლ ცხოვრება თუსი“. (გრიგოლ დოდორქელი)

იოანე ბატონიშვილი: „და ესე იღუაწა მრავალთემთათუს“.

S 3677 : „და ესე იღუაწიდა მრავალთემთათუს“.

(კოსმა მწიგნობარი) (53 r)

იოანე ბატონიშვილი: „მამა იღბ ფიტარელი“

S 3677: „მამა იოსებ ფიტარელი“ (53 r)

იოანე ბატონიშვილი: „ჟამსა თმისა ანუ განსვენებისასა“

S 3677 ჟამსა თმობისა ანუ განსვენებისასა“ (თეიმურაზ II)

იოანე ბატონიშვილი: „სომხურსა ჟნასა ზედმიწევნილი“

S 3677: „სომხურსა ჟნაზედ მიწევნილი“ (გლახა ნათისშვილი)

იოანე ბატონიშვილი: „ყოველთვის ძალუცს მოუმზადებლად ქადაგებისა თქმა“.

S 3677: „ყოველთვის ძალედგა მოუმზადებლად ქადაგებისა თქმა“. (58 v)

2. იოანე ბატონიშვილთან არ გვაქვს სიტყვები და S 3677 ნუსხაში კი არის:

იოანე ბატონიშვილი: „ამან თარგმნა რუსთა ენისაგან სხვადასხვა წერილნი“.

S 3677 „ამან თარგმნა რუსთა ენისაგან მრავალნი სხვადასხვა წერილნი“.

იოანე ბატონიშვილი: „სხუანიცა მრავალნი მოწაფენი“.

S 3677: „სხუანიცა მრავალნი მოწაფენი მისნი“.

ამგვარი ცვლილებები, როგორც ვთქვით, გადამწერს შეიძლება მივაწეროთ.

გადამწერისა არ უნდა იყოს შემდეგი სხვაობები:

I. S 3677 ნუსხაში არ მოიპოვება პარაგრაფი „თუს ღირსთა მამათა ჯაფარიძე და ფალგენისშვილისა“.

ეს პარაგრაფი იოანე ბატონიშვილს კიდევუ აქვს მიწერილი. შეუძლებელია გადამწერს ვერ შეენიშნა ეს დიდი ჩამატება, ფურცლის მთელი აშის დამფარავი. ე. ი. იგი ტექსტს იწერდა ისეთი დედნიდან, რომელშიც არ იყო ასეთი პარაგრაფი. ამ მოღვაწეთა დახასიათების შეტანა შემდეგ უნდა იყოს მოფიქრებული და ჩაწერილი „ხუმარსწავლაში“

ამას ისიც გვიმტკიცებს, რომ ჩამატება უფრო ბაცი მელნით არის შესრულებული. ისეთით, როგორსაც იოანე იყენებს ხელნაწერის შემდეგი ფურცლების წერისას.

II. S 3677 ნუსხაში არა გვაქვს აგრეთვე „მცირე უწყების“ ერთი თავის ერთი ნაწილის სათაური:

გადამწერს არ უნდა გამოორჩენოდა ეს სათაური. ალბათ, იგი არ იყო იმ ნუსხაში, საიდანაც ხდებოდა გადაწერა.

III. S 3677 ნუსხაში 27 პარაგრაფს არ მოეპოვება სათაური. ეს სათაურები ექ. თაყაიშვილმა თვითონ აღადგინა თავის გამოცემაში. ამისთვის გამოიყენა ტექსტის დასაწყისები.

ივ. ლოლაშვილის გამოცემის მიხედვით, „მცირე უწყება“ შეიცავს სულ 140 პარაგრაფს. აქედან ერთ პარაგრაფს – „თვს ღირსთა მამათა ჯაფარიძე და ფალგენისშვილისა“, როგორც ვთქვით, არ იცნობს S 3677 ნუსხა.

მაშასადამე, ამ ნუსხაში გადაწერილია 139 პარაგრაფი – 112 სათაურიანად, 27 უსათაუროდ.

რით უნდა აიხსნას 27 სათაურის გამოტოვება?

112 სათაურის გადაწერა იმაზე მიგვითითებს, რომ გადამწერები ცდილობდნენ სათაურებიანად გადაეწერათ ტექსტი. ასეთ ვითარებაში ვერ ვიფიქრებთ, რომ მათ შეგნებულად გამოტოვეს სათაურები. ხოლო ამ სათაურებს თუ უნებლიედ გამოორჩენილად მივიჩნევთ, მაშინ გადამწერებს უნდა მივაწეროთ დიდი უყურადღებობა, ამავე დროს ტექსტისადმი ასეთ დამოკიდებულებაში ერთნაირად უნდა დავადანაშაულოთ სამივე გადამწერი. ე. ი. უნდა ვიფიქროთ:

პირველმა უცნობმა გადამწერმა, რომელმაც დაიწყო ტექსტის გადაწერა, ყურადღება არ მიაქცია პირველსავე სათაურს – „დავით მეფისა აღმაშენებლისათვის“.

დავით ჩუბინაშვილმა გადაწერა სულ ნახევარი გვერდი – 3 მოღვაწის დახასიათება. აქედან ერთი მოღვაწის დახასიათებასთან სათაურის გადაწერა დაავიწყდა.

სოლომონ დოდაშვილმა უფრო მრავალჯერ შესცოდა ამ მხრივ. მან გამოტოვა 26 სათაური.

ერთი სიტყვით, სამივემ ერთნაირი არაგულისხმიერება გამოიჩინა ტექსტის წერისას. ასეთი რამ ამ პირებისთვის

შეუფერებლად ჩანს. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს სათაურები არ იყო იმ დედანში, საიდანაც იწერდნენ.

ამ მხრივ მეტად საყურადღებოა ერთი დეტალი.

დავით ჩუბინაშვილის მიერ გადაწერილი ნახევარი გვერდი გაუქმებულია, დაწუნებულია. იგივე ტექსტი ხელმეორედ, გაუმჯობესებული სახით, უკვე იმ სახით, როგორც ის „ხუმარსწავლაში“, გადაწერილი აქვს სოლომონ დოდაშვილს და გადაწერილი აქვს, რასაკვირველია, არა დაწუნებული გვერდიდან. დავით ჩუბინაშვილისაგან უსათაუროდ დატოვებული ტექსტი, კერძოდ, იოსებ კათალიკოზის ხერხეულიძის დახასიათება (§132), მასთანაც უსათაუროა.

ვიფიქრობთ, ეს ეჭვმიუტანლად გვიმტკიცებს, რომ იოსებ კათალიკოზის დახასიათებას იმ დედანში, საიდანაც ხდებოდა გადაწერა (და სადაც უნდა მომხდარიყო მოკლე ვარიანტის ვრცელით შეცვლა), არ ჰქონდა სათაური. ასევე უნდა ვიფიქროთ სხვა სათაურებზეც. ამრიგად, „მცირე უწყების“ S 3677 ნუსხის გამამწერთა დედანი არ უნდა ყოფილიყო „ხუმარსწავლა“.

IV. S 3677 ნუსხაში ცვლილებებია შეტანილი 5 სათაურში. როგორც აღვნიშნეთ, S 3677 ნუსხაში გადაწერილია 112 სათაური. აქედან 107 უცვლელად, 5 ცვლილებებით. 107 სათაურის უცვლელად გადაწერა (ვრცელისა თუ მოკლესი) იმაზე მიგვითითებს, რომ გამამწერები არ მუშაობდნენ სათაურთა გარდაქმნაზე, არ სურდათ მათში ცვლილებების შეტანა. ამიტომ 5 სათაურში არსებული სხვაობა დედნისეულად უნდა მივიჩნიოთ. ამას გვიმტკიცებს თითოეულ სათაურში არსებული ცვლილების ხასიათიც:

ა. იოანე ბატონიშვილი: „მამისა იოანე მანგლელისათვის“.

S 3677: „წმიდისა იოანე მანგლელისათვის“.

აქ ერთი სიტყვაა განსხვავებული – ნაცვლად მამისა წერია „წმინდა“. და თითქოს შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ იგი გამამწერს შეეძლო შეეცვალა. მაგრამ ეს ცვლილება

გადამწერს რომ არ უნდა ეკუთვნოდეს, ამას გვიმტკიცებს ის წესი, ის სისტემა, რომლის მიხედვითაც „მცირე უწყებაში“ ხშირად ხდება დასათაურება – სათაურებად გატანილია ხოლმე ტექსტის დასაწყისი სიტყვები. მაგალითად, ტექსტი იწყება ასე: „ღირსი მამა გრიგორი, ახალ აბრამად წოდებული, იყო ქართველი“... ამ პარაგრაფის სათაურია: „ღირსი მამა გრიგორი, ახალ აბრამად წოდებულისათვის“.

იოანე მანგლელის ტექსტი იწყება ასე: „წმინდა იოანე მანგლელი სამღვდელთა წერილთა შინა გამოცდილი და აღმარცვილი“... აღნიშნული წესიდან გამომდინარე, ამ პარაგრაფის სათაური უნდა ყოფილიყო: „წმინდა იოანე მანგლელისათვის“, S 3677 ნუსხას სწორედ ასეთი სათაური შემოუნახავს.

იოანე ბატონიშვილთან კი ნაცვლად სიტყვისა „წმინდა“ წერია „მამისა“. რომელია პირველადი? რა თქმა უნდა, „წმინდა იოანე მანგლელისათვის“ ამ სიტყვის შემცველი უნდა იყოს იოანე ბატონიშვილი და არა ს. დოდაშვილი.

იოანე მანგლელი ერთადერთი მოღვაწეა „მცირე უწყებაში“, მოხსენიებული სიტყვით „წმინდა“. სხვა მოღვაწეთა მიმართ იხმარება „მამა“ ან „ღირსი მამა“. და შესაბამისად სათაურებში მრავალგან გვაქვს: „მამისა“, „მამისა ილარიონ კახისათვის“, „მამისა თორნიკე ათონელისათვის“, „ღირსისა მამისა ზაქარია მირდატის ძისათვის“ და სხვ. შეიძლება ამ შთაბეჭდილებით, ამის გავლენით იოანე ბატონიშვილმა იოანე მანგლელისადმი მიძღვნილი პარაგრაფის სათაურად დაწერა: „მამისა იოანე მანგლელისათვის“ ე. ი. მან უნებლიედ, ან შეგნებულად არ გაიშეორა ზუსტად დედნისეული სათაური – „წმინდა იოანე მანგლელისათვის“.

S 3677 ნუსხის გადამწერებს ერთგულემა ევალებოდათ ტექსტისადმი. ამიტომ შეგნებული ცვლილება, არსებითად არაფრის მომტანი, მათ არ უნდა შეეტანათ ტექსტში. სიტყვა „წმინდისა“ კი ნაცვლად „მამისა“ აქ შეიძლება გა-

ჩენილიყო მხოლოდ შეგნებული ცვლილების საფუძველზე შემდგენიარად:

1. გადამწერმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ ტექსტი იწყებოდა სხვა სიტყვით – „წმინდა“ და სათაური ამის მიხედვით შეცვალა, ე. ი. არ დაუშვა მასში ტექსტისაგან განსხვავებული სიტყვა – რაც არ არის მოსალოდნელი.

2. გადამწერი, რომელიც ყველა სხვა შემთხვევაში სათაურიდან იწერდა სათაურს, ამჯერად სხვაგვარად მოიქცა – დედანში არსებული სათაური არ წაიკითხა და თვითონ მოინდომა ტექსტის დასათაურება გამოიყენა მისი დასაწყისი – არც ეს არის მოსალოდნელი.

ამრიგად, უნდა ვიფიქროთ, რომ S 3677 ხელნაწერს შემონახული აქვს ამ სათაურის პირვანდელი ვარიანტი.

ბ. იოანე ბატონიშვილი: „თუც მამისა კოსმა მწიგნობართუხუცესისა კახთა მეფისა ხუცესმონაზონისა მრავალმთებისა“.

S 3677: „მამისა კოსმა მწიგნობრისათვის“.

S 3677 ხელნაწერში სათაური უფრო მოკლეა. ამ პარაგრაფის წინ თუ შემდეგ ერთგულად არის გადაწერილი ვრცელი სათაურები. მაგალითად, სწორედ ამ პარაგრაფის წინ ზუსტად არის გადაწერილი სათაური: „მამისა გრიგორი ხუცესმონაზონისა, დოდორქელისა, ვახვახის ძისათვის, რომელი იყო ბაზიერთუხუცესისა ძე“.

სწორი იქნება, რომ გადამწერს, რომელიც, საერთოდ, არ ამოკლებდა სათაურებს მივაწეროთ ერთი სათაურის შემოკლების სურვილი? გარდა ამისა, ამ სათაურში მარტო შემოკლებასთან არ გვაქვს საქმე. აქ შეცვლილია შინაარსიც – მწიგნობართუხუცესი სხვაა და მწიგნობარი სხვა. შემოკლებისას უნდა გვქონოდა „მამისა კოსმა მწიგნობართუხუცესისათვის“ და არა „მამისა კოსმა მწიგნობრისათვის. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს სათაური ასეთი სახით („მამისა კოსმა მწიგნობრისათვის“) იყო იმ დედანში,

საიდანაც ხდებოდა გადაწერა. იოანე ბატონიშვილმა იგი გააუქმებეს და გააერცო.

გ. იოანე ბატონიშვილი: დოსითეოს ფიცხელაურისათვის, კავთისხევის არქიმანდრიტისა (125)

S 3677: „დოსითეოს ფიცხელაურისთვის კავთისხევის მონასტრისა“.

ორივე შემთხვევაში „კავთისხევის“ შეცდომით წერია. უნდა იყოს „ქვაბთახევის“. მაგრამ ამას ჩვენთვის არა აქვს არსებითი მნიშვნელობა. ჩვენ გვინტერესებს – შეეძლო თუ არა გადამწერს ნაცვლად „არქიმანდრიტისა“ გადაწერა, სიტყვა „მონასტრისა“ და ამით აზრი გაუგებარი გაეხადა. S 3677-ის სათაურიდან არ ჩანს, რას ნიშნავს „კავთისხევის მონასტრისა“ – კავთისხევის მოღვაწეა? მაგრამ კავთისხევის ყველა მოღვაწეში არქიმანდრიტი ხომ არ იგულისხმება?

ტექსტი იწყება ამგვარად: „შემდგომად ათანასისა დაიდგინა დოსითეოს ფიცხელაური არქიმანდრიტად ქვაბთახევის მონასტრისა“ ამის შესაბამისად ხომ არ იყო ასეთი სათაური: „დოსითეოს ფიცხელაურისათვის, არქიმანდრიტისა კავთისხევის (sic) მონასტრისა“ და S 3677 ნუსხის გადამწერს ამ სათაურიდან გამორჩა სიტყვა არქიმანდრიტი?

იოანე ბატონიშვილმა გადაწერისას შეამოკლა ეს სათაური: სიტყვა მონასტრისა ამოიღო, რადგან არქიმანდრიტი თავისთავად ნიშნავს მონასტრის წინამძღვარს.

ამრიგად, იოანე ბატონიშვილის სათაური შეგნებული ცვლილებების შედეგად ჩანს მიღებული. ამ ცვლილებით მასში აზრი არ იცვლება.

S 3677 ნუსხის სათაურში უნებლიე შეცდომის შედეგად აზრი გაუგებარია.

ეს უნებლიე შეცდომა ვერ მოხდებოდა იოანე ბატონიშვილისეული სათაურის გადაწერისას. მაშასადამე, S 3677 ნუსხის ეს სათაური არ მომდინარეობს „ხუმარსწავლიდან“.

დ. იოანე ბატონიშვილი: ახლანდელი მიტროპოლიტ-ეპის-

კოპოსნი ქართველთა და იმერთანი.

S 3677: ახალნი მიტროპოლიტ-ეპისკოპოსნი ქართველთა და იმერთანი.

რომელი უნდა ყოფილიყო თავდაპირველად: „ახლანდელი“ თუ „ახალნი“? იოანე ბატონიშვილს რამდენიმე თავი აქვს მიძღვნილი თავისი თანამედროვე მოღვაწეებისადმი. მათ შორის:

ახალთა ჩვენთა დროთა მეცნიერთა, მწერალთა, მგალობელთა და მოშიარეთათვის.

ახლანდელი მიტროპოლიტ-ეპისკოპოსნი ქართველთა და იმერთანი.

ახალნი მთარგმნელნი ქართველთანი.

ამ სათაურებში უფრო მეტად ნახმარია სიტყვა „ახალი“, ის უპირისპირდება სიტყვა „ძველთას“. წინ გვაქვს თავი „ძველთა ქართველთა მოშიარეთათვის“. ამიტომ საფიქრებელია, რომ ის თავდაპირველად იყო „ახალნი“ მიტროპოლიტ-ეპისკოპოსნი“...

ე. ი. უნდა ვიფიქროთ, რომ S 3677 ხელნაწერს შემოუნახავს ამ სათაურის თავდაპირველი ვარიანტი. ეს სათაური ამ ხელნაწერში არ უნდა იყოს შეცვლილი გადაწერის მიერ იმ საერთო შთაბეჭდილებით თუ გავლენით, რომ რამდენჯერმე შეხვდა სიტყვა „ახალი“, რადგან: პირველი სათაური – „ახალთა ჩვენთა დროთა მეცნიერთა“... მას საერთოდ არ აქვს გადაწერილი. ბოლო სათაურის დაწერამდე კი მას „მიტროპოლიტ-ეპისკოპოსთა თავი უნდა გადაეწერა.

ე. იოანე ბატონიშვილი: „გაბრიელ ჯვრის მამის დეკანოზისათვის“

S 3677: „გაბრიელ ჯვრის დეკანოზის მამისათვის“ (62 v)

ჯვრის მამის დეკანოზი და ჯვრის დეკანოზის მამა ერთსა და იმავეს არ ნიშნავს. ამ შემთხვევაშიც უნდა ვიფიქროთ, რომ S 3677 ნუსხის ეს სათაური არ მომდინარეობს „ხუმარსწავლიდან“.

V. S 3677 ნუსხა „ხუმარსწავლისაგან“ განსხვავებულია

ორთოგრაფიით. კერძოდ, სოლომონ დოდაშვილი უფრო აარქაულებს ტექსტს. მასთან ნაცვლად „ქართველი“, „მშვენიერი“, „მთხზველი“, და სხვ. წერია „ქართველი“, „მშუენიერი“, „მთხზუელი“ და სხვ.

მაგრამ არ არის მოსალოდნელი, რომ სოლომონ დოდაშვილს თავისებური ორთოგრაფიით გადაეწერა საკუთარი სახელები. მასთან ნაცვლად „ლეონტი სოლოლაშვილი“-სა წერია „ლეონტი სოლაყაშვილი“. ნაცვლად „მიხეილ ტვილელისათუს“ – „მიხეილ თბილისელისათვის“.

(ეს უკანასკნელი, პირიქით, ახალი ფორმით წერია).

VI. გადამწერს, ს. დოდაშვილს, დედანში ზოგიერთი ადგილი ვერ გაურკვევია და ამიტომ სიტყვების მაგიერ მრავალი წერტილი ჩაუწერია, ან საერთოდ ცარიელი ადგილი დაუტოვებია:

იოანე ბატონიშვილი: „და ამის მიზეზისათვის სახედ დვეს პეტრიწად

(რომელ არს ქვის მფხეკელი)

S 3677: „და ამის მიზეზისათვის სახედ დვეს პეტრიწად

(რომელ არს ქვის...) (48 v)

იოანე ბატონიშვილი: „სცხოვრებდა განშორებით დიდსა დუწლსა და განშორებასა შინა.

მეფეთაგან აქუნდა და ერთაგან დიდი პატივი“.

(ვასილი ათონელი) (480 r)

S 3677: „სცხოვრებდა განშორებით დიდსა დუაწლსა შინა და...

მეფეთაგან აქუნდა და ერთაგან დიდი პატივი“.

(ვასილი ათონელი) (5 v)

ეს სიტყვები იოანე ბატონიშვილის ჩვეულებრივი ხელით წერია. სოლომონ დოდაშვილს ადვილად უნდა ამოეკითხა ისინი „ხუმარსწავლიდან“. მაშასადამე ეს სიტყვები სხვა დედანში წერია გაურკვევლად.

VII. გვხვდება გადაადგილებული სიტყვები:

იოანე ბატონიშვილი: „სადვთისმეტყველოსა სწავლასა შინა“

S 3677: „სადვთისმეტყველოსა შინა სწავლასა“

იოანე ბატონიშვილი: „პავლე იმპერატორმან განაწესა სინოდისა წევრად“

S 3677: „პავლე იმპერატორმან განაწესა წევრად სინოდისა“

იოანე ბატონიშვილი: „ზაქარია ლაღიხანაშვილი, ხუცესი“.

S 3677: „ზაქარია ხუცესი, ლაღიხანაშვილი“.

იოანე ბატონიშვილი: „რომლისა ანეგდოტნი მრავალნი მისგან ნათქვამნი უწყიან ქართველთა“.

S 3677: „რომლისა ანეგდოტნი მისგან მრავალნი ნათქვამნი უწყიან ქართველთა“.

(მხეჭაბუკ ორბელიანი)

იოანე ბატონიშვილი: „ქართულსა ისტორიასა შინა.

S 3677: „ქართულსა შინა ისტორიასა“. (67 v)

და სხვ.

VIII. სიტყვების გადაადგილებისას შეიძლება ვიფიქროთ, რომ გადაშვერი, ვთქვათ, ზეპირად იმასსოვრებდა წინადადებას და ჩაწერისას ზოგიერთ სიტყვას ადგილს უცვლიდა, მაგრამ ამას ვერ ვიფიქრებთ, როდესაც მთელი ფრაზაა გადაადგილებული:

იოანე ბატონიშვილი: „ნიკოლაოზ კახი ბიჭიაშვილი. ესე იყო თანაშეზრდილი მეფისა ირაკლისა. იყო მეცნიერი და კარგი რიტორი, უცხო მოქადაგე...“

S 3677: „ნიკოლაოზ კახი ბიჭიაშვილი. ესე იყო მეცნიერი და კარგი რიტორი. იყო თანაშეზრდილი მეფის ირაკლისა. უცხო მოქადაგე.

სტილისტურად რასაკვირველია, იოანე ბატონიშვილის ტექსტი სჯობია. ჯერ აღნიშნულია ბიოგრაფიული დეტალი, ხოლო შემდეგ ჩამოთვლილია რა იყო – იყო მეცნიერი და კარგი რიტორი, უცხო მოქადაგე.

სოლომონ დოდაშვილთან დაწყებულია პროფესიაზე

ლაპარაკი, შემდეგ ბიოგრაფიული დეტალი, შემდეგ ისევ პროფესია. იოანეს შედგენილი შემასმენლების მიხედვით შერწყმული წინადადება აქ გათიშულია სხვა წინადადებით.

ს. დოდაშვილმა „ხუმარსწავლიდან“ გადაწერა ასე ტექსტი“? დაუჯერებელია. უნდა ვიფიქროთ, რომ ასე ეწერა მის დედანში. შეიძლება წინადადება – იყო თანაშეზრდილი მეფისა ირაკლისა იქ ჩამატების ნიშნით იყო და ს. დოდაშვილი ვერ გაერკვა კარგად, სად უნდა ჩაესვა იგი.

IX. განსაკუთრებით საინტერესოა თხზულების დასასრული. მასში S 3677 ნუსხაში არა მარტო ფრაზებია გადაადგილებული, არამედ მოიპოვება მთელი ზედმეტი წინადადებაც – დასკენითი შინაარსის, როგორც თითქმის ყველა მოღვაწის დახასიათებას ახლავს.

იოანე ბატონიშვილი: „ესენი უცხოდ ზედმიწევნილი სამეცნიეროთა და რუსულისა და ქართულისა ენისა ზედა მშვენიერ შემთხზუელნი, რომელთა მრავალი წიგნი გარდმოიდეს ამა ყოველთა მთარგმნელთა, ზემოხსენებულთა თავად-აზნაურთა.

და ესრეთ დაასრულა უბნობა ბერმან...“

S 3677: „ესენი უცხოდ ზედმიწევნილი სამეცნიეროთა და რუსულისა და ქართულისა ენასა ზედა მშვენიერ შემთხზუელნი, და ამა ყოველთა მთარგმნელთა, ზემოხსენებულთა თავად-აზნაურთა მრავალი წიგნები გარდმოიდეს სხვათა ენათაგან ბუნებით ენასა ზედა ჩუენსა და მრავალნი ამათგანნი არიან აწ მიცვალჳბულნი.

და ესრეთ დაასრულა უბნობა ბერმან...“

ეს დასკენითი, დამამთავრებელი წინადადება, რომლის მსგავსი, როგორც ვთქვით, მრავალ მოღვაწესთან გვხვდება, იოანე ბატონიშვილს აქ ცხადია გამორჩენილი აქვს. თქმა არ უნდა, ამ აბზაცს დოდაშვილი „ხუმარსწავლიდან“ ვერ გადაწერდა. ამრიგად. ს. დოდაშვილის ნუსხა აშკარად

გულისხმობს სხვა დედანს.

გვაქვს ერთი საყურადღებო დეტალი:

თავი – „ახალნი მთარგმნელნი ქართველთანი “ იოანე ბატონიშვილს დაწყებული ჰქონია ამგვარად: გრიგოლ მუხრანბატონის შვილი, გიორგი ავალიშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე...

მას წაუშლია პირველ სტრიქონში გრიგოლ მუხრანბატონის შვილი, გიორგი. ამრიგად, ავალიშვილი დარჩა სახელის გარეშე. ვერ ვიტყვით, რომ ეს ვერ შეამჩნია იოანე ბატონიშვილმა. მაშ რატომ აღარ ჩაწერა მან, არ ჩაამატა სახელი გიორგი, თუ ის უნებურად წაშალა – პირველ სიტყვებს მიაყოლა? დედანში იგი არ ერიდებოდა ჩამატებებს. აშიებზე ხშირად გვხვდება გამოტოვებული თუ შემდეგ ჩასამატებელი ადგილები. აქვე, წაშლილი ადგილის მაგიერ მას ჩაუმატებია მეფის ძე დავით, მირიან.

იოანემ რომ შეგნებულად აღარ მოინდომა სახელი „გიორგის“ ჩაწერა, ამაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ გვარი „ავალიშვილის“ დასაწყისი ასო „ა“ მას საგანგებოდ გაუდიდება, ხელმეორედ შემოუხაზავს. საერთოდ, მოღვაწეთა ჩამოთვლისას იოანე სახელს იწყებს მთავრული ასოთი, გვარი კი პატარა ასოთი უწერია. რაკი სახელი „გიორგი“ წაშალა, მან გვარს – „ავალიშვილს“ გაუდიდა წინ ასო. ეს ერთადერთი შემთხვევა გამოვიდა, რომ მოღვაწე დასახელებული დარჩა მხოლოდ გვარით, რატომ არ მოინდომა ამ ნაკლის გამოსწორება იოანე ბატონიშვილმა, ეს ჩვენთვის აუხსნელი ჩრება.

ს. დოდაშვილის ნუსხაში ეს ადგილი ისე წერია, როგორც იოანე ბატონიშვილს აქვს გასწორებული – ავალიშვილი არის უსახელოდ და გრიგოლ მუხრანბატონის შვილის მაგიერ წერია: მეფის ძე დავით, მირიან.

ეს ადგილი გადაწერა მხოლოდ დოდაშვილმა „ხუმარსწავლიდან“? მაშინ საიდან აიღო მან ნახევარი გვერდის

ქვემოთ ამ თავის დამამთავრებელი აბზაცი, რომელიც, როგორც მიუვითითეთ, განსხვავდება „ხუმარსწავლიდან“ ფრაზების გადაადგილებით და ბოლო წინადადებით?

იქნებ ეს თავი ასევე იწყებოდა იმ დედანში, რომლიდანაც იოანე ბატონიშვილი იწერდა. მან ჯერ მონინდომა დასაწყისის გადასხვაფერება, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა?

ეს კითხვა აუხსნელი რჩება.

X. იოანე ბატონიშვილს იაკობ შემოქმედელისა და მოსე ხონელის შესახებ ზოგიერთი დამატებითი ცნობა სქოლიოში აქვს ჩატანილი. სოლომონ დოდაშვილის ნუსხაში ეს ცნობები ტექსტში ფრჩხილებში წერია.

როგორც ვთქვით, ნუსხის გადაწერის ერთ-ერთი მონაწილეა დავით ჩუბინაშვილი. მას გადაუწერია ნახევარი გვერდი – 71 v, საში მოღვაწის დახასიათება: ქარუმიძე ონოფრე, იოსებ მოხევე – მთლიანად და იოსებ კათალიკოსი – ნაწილობრივ. მას წერა შეუწყვეტია, რადგან მისი გადაწერილი ტექსტი დაუწუნებიათ. ამ მოღვაწეთა დახასიათება მეორე გვერდზე (72r) ხელახლა გადაუწერია სოლომონ დოდაშვილს.

რატომ დაიწუნეს დ. ჩუბინაშვილის გადაწერილი?

ვაჩვენებთ სხვაობას დ. ჩუბინაშვილისა და ს. დოდაშვილის მიერ გადაწერილ ტექსტებს შორის.

ქარუმიძე ონოფრეს დახასიათებაში:

დ. ჩუბინაშვილი: „...რაოდენიმე ხნისა შემდგომად შთავიდა მღვიმესა შინა დავით გარესჯისასა და მუნ დაყუდებით სცხოვრებდა.

ს. დოდაშვილი: ... „რაოდენისამე ხნისა შემდგომად შთავიდა მღვიმესა შინა დავით გარესჯისასა, სადაცა ასაფლავია წმინდა იგი, და მუნ დაყუდებით ჰსცხოვრობდა.

მაშასადამე, ჩუბინაშვილის ტექსტს აკლია „სადაცა ასაფლავია წმინდა იგი“.

იოსებ მოხევის დახასიათებაში:

დ. ჩუბინაშვილი: იოსებ. იოსებ მოხევე მღვდელი. იყო წმიდა

ს. დოდაშვილი: იოსებ მოხევისათვის. იოსებ მოხევე მღვდელი, ესე იყო ფრიად სიწმინდის მოყვარე და მემარსულე, რომელ ყოველგან განითქვა სათნოება ამისი. ესე ნებითა ღმრისათა აღვიდა მყინვარის მთასა შინა, კაცთაგან შეუგაღსა და იხილა მუნ კარავი“... და ა.შ.

ამრიგად, დ. ჩუბინაშვილს აქვს იოსებ მოხევის ერთწინადადებიანი დახასიათება, საჭირო იყო უფრო ვრცელი.

იოსებ კათალიკოსის დახასიათებაში:

დ. ჩუბინაშვილი: ... „ამან კეთილად დამწყსო ეკლესია თვისი და ამის ადგილს დაჯდა ანტონი კათალიკოსი

ს. დოდაშვილი: „...ამან კეთილად დამწყსო ეკლესია თვისი, და მერე დაუტევა საყდარი თვისი და ამის ადგილს დაჯდა ანტონი პირველი კათალიკოზი.

მაშასადამე, ჩუბინაშვილის ტექსტს აკლია „და მერე დაუტევა საყდარი თვისი“, და ანტონის სახელთან – პირველი.

საიდან გადაწერა ჩუბინაშვილმა თავისი ტექსტი? პირველ და მესამე შემთხვევაში მის მიერ ადგილების გამოტოვებას ვერ მივიჩნევთ მექანიკურ შეცდომად, რადგან ორივე შემთხვევაში სრული წინადადებებია გამოტოვებული და აზრი არ ირღვევა.

იოსებ მოხევის დახასიათებაში მან, ვთქვათ, მარტო დასაწყისი გადაწერა. ეს დასაწყისიც რომ განსხვავებულია? „იყო წმიდა“ – არ არის ამ ფრაზის დასაწყისი – „ესე იყო ფრიად სიწმინდის მოყვარე“.

ამრიგად, აქვე, ერთმანეთის გვერდით, გვაქვს ტექსტის ორი ვარიანტი დ. ჩუბინაშვილის გადაწერილი დაწუნებულია. ის ვარიანტი, რომელიც მის მაგიერ არის შექმნილი, იმგვარია, როგორც „ხუმარსწავლაში“.

რა უნდა ვიფიქროთ? დ. ჩუბინაშვილმა „ხუმარსწავლიდან“ ვერ გადაწერა წესიერად ნახევარი გვერდი, ეს მაშინვე

შეამჩნიეს და წერა შეაწყვეტინეს? მას გადასაწერად თუ მისცეს ტექსტი, იმავე წუთში შეამოწმეს, თავზე დაადგნენ – როგორ იწერსო?

დ. ჩუბინაშვილი არ ჩანს ასეთი მოწაფის როლში, პირიქით, ნუსხა საბოლოოდ მას უპყრია ხელთ და იგია შემმოწმებელი მისი აკვარგიანობისა.

დ. ჩუბინაშვილი სხვაგანაც ჩანს ტექსტში – თხზულების სათაური მისი დაწერილია. შემდეგ გადაწერას იწყებს უცნობი პირი. მე-4 გვერდის v-ს ერთ-ერთი ბოლო სტრიქონის შუიდან ტექსტს აგრძელებს ს. დოდაშვილი. უცნობი პირი თხზულების შუაში კიდევ წერს 7 გვერდს (58 v-61v). შემდეგ მას კვლავ ენაცვლება ს. დოდაშვილი და ასრულებს თხზულებას ბოლომდე.

ნუსხას საბოლოოდ კითხულობს, ამოწმებს დაევით ჩუბინაშვილი. უდარებს მას ანტონ კათალიკოსის „წყობილსიტყვაობას“ (რომლის მიხედვით საერთოდ მიჩნეულია, რომ შეიქმნა ეს თხზულება) და ყველა მოღვაწის დასაწყისთან მელნით ან შავი ფანქრით სვამს „წყობილსიტყვაობის“ შესაბამისი, დასაწყისი სტროფის ნომერს. ისეთ მოღვაწესთან, რომლის დახასიათებაც ანტონის „წყობილსიტყვაობაში“ არ არის, აშიაზე შავი ფანქრით იგი წერს: „Нem“.

საყურადღებოა ერთი მინაწერი: „пропустили“ ილარიონ თვალელი (46 v). საქმე ის არის, რომ „წყობილსიტყვაობაში“ ჯერ ილარიონ თვალელია, შემდეგ გიორგი ათონელი. დოდაშვილისეულ ნუსხაში კი ჯერ გიორგი ათონელია, შემდეგ ილარიონ თვალელი.

მიყვებოდა რა „წყობილსიტყვაობის“ თანმიმდევრობას და დოდაშვილისეულ ნუსხაში შესაბამის ადგილზე ილარიონ თვალელი ვერ ნახა, ჩუბინაშვილმა გააკეთა ზემოაღნიშნული მინაწერი. ამ მინაწერს იგი არ გააკეთებდა, „ხუმარსწავლა“ რომ სდებოდა წინ, აი, რატომ:

იოანე ბატონიშვილს გიორგი ათონელზე ადრე ჯერ

ილარიონ თვალელის წერა დაუწვია, დაუწერია სათაური და პირველი წინადადება, მაგრამ შემდეგ წაუშლია და დაუწერია გიორგი ათონელი, ილარიონ თვალელი მერე მოუყოლებია.

ეს შეიძლება ამგვარად ავსხნათ:

იოანე ბატონიშვილი როდესაც „ხუმარსწავლაში“ წერდა „მცირე უწყებას“, მას წინ ედო „წყობილსიტყვაობა“ და „მცირე უწყების“ დედანი, რომელშიც ს. დოდაშვილის ნუსხისამებრ ილარიონ თვალელი მისდევდა გიორგი ათონელს. „წყობილსიტყვაობის“ მიხედვით მან ჩაწერა ილარიონ თვალელის სათაური, მაგრამ შემდეგ „მცირე უწყების“ დედნის მიხედვით გაასწორა, წაშალა დაწერილი.

ჩუბინაშვილს რომ სცნობოდა „ხუმარსწავლის ნუსხა“, ან იმისთვის ედარებინა ტექსტი, იოანეს მიერ წაშლილ წინადადებაზე არ იტყოდა – გადამწერებმა რად გამოტოვესო. ცხადია, გადამწერები მან დაადანაშაულა „წყობილსიტყვაობასთან“ მიმართებით.

ჩუბინაშვილს ეკუთვნის კიდევ რამდენიმე მინაწერი: ნიკოლოზ კათალიკოსთან – Современник Тамари (43r), იოანე კათალიკოსთან – Тамари (43r), ბესარიონ გაბაშვილთან: „ბესარიონ იყო ძმა(?) ზაქარია ნამოდღვრალისა და როდესაც ზაქარია გაჰკრიჭა ანტონი კათალიკოზმან, მაშინ ეს ბესარიონ წარმოვიდა რუსეთს და მირიანთან ბევრჯელ იყო (67 v).

ყველაზე უფრო საინტერესოა ის, რომ დავით ჩუბინაშვილთან ერთად თუ მის შემდეგ, დოდაშვილისეული ნუსხა ხელთ უპყრია თეიმურაზ ბაგრატიონს. ამას გვიმტკიცებს ის ფაქტი, რომ რამდენიმე მოღვაწის გვერდით მისი ხელით არის მიწერილი სათაური. ჩვენ უეჭველად თეიმურაზის მიერ ჩაწერილად მიგვაჩნია სათაური „იოანე წილკნელ ეპისკოპოზი (64 r). მისგანვე უნდა იყოს ჩაწერილი აგრეთვე სათაურები: მამისა იოანესი“ (45 v), „ზაქარია“ (46 v). „გრიგოლ“ (46 v), „მამისა არსენისათვის“ (47 r), „მამისა

გიორგისათვის“ (48 r), „თეოფილე“ (49 r).

როგორც აღნიშნული გვაქვს, სოლომონ დოდაშვილს მრავალ ადგილას აქვს გამოტოვებული სათაურები. თეიმურაზ ბაგრატიონს სწორედ ზოგიერთ ასეთ ადგილში ჩაუწერია ეს სათაურები, მაგრამ არა „ხუმარსწავლიდან“:

„იოანე წილკნელ ეპისკოპოზი“ – ეს სათაური შექმნა მან ტექსტის დასაწყისის მიხედვით, იმ წესით, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ძირითადად გამოყენებულია „მცირე უწყებაში“.

იოანე ბატონიშვილს ეს სათაური ასე აქვს: „თვს იოანე წილკნელისა, ქარუმიძესი“.

ნუსხა რომ თეიმურაზ ბაგრატიონისთვის უნდა იყოს შექმნილი, ამის თქმის უფლებას მხოლოდ მისი ხელით ჩაწერილი სათაურები არ უნდა იძლეოდეს. მხედველობაში უნდა მივიღოთ შემდეგი:

თეიმურაზთან და საერთოდ, ბატონიშვილებთან მოღვაწე პირებისაგან თხზულების გადაწერა ბატონიშვილის დავალებით საგსებით შესაძლებელია. მაგრამ ნაკლებ წარმოსადგენია ამ პირებისაგან ერთმანეთის მომსახურება. ამიტომ, უნდა ვიფიქროთ, რომ „მცირე უწყების“ გადამწერი სამი პირიდან ერთ-ერთისთვის არ უნდა იყოს ნუსხა შექმნილი. „მცირე უწყება“ მცირე ზომის თხზულებაა სამ ხელნაწერში იგი 35 ფურცელს შეიცავს და თითოეულ მათგანს შეეძლო იგი გადაეწერა თავისთვის სხვა პირის დაუხმარებლად.

ამ კოლექტიურ გაერთიანებაში, იმ ფაქტში, რომ თხზულებას ერთმანეთის მონაცვლეობით იწერს სამი პირი, იგრძნობა დავალება. ამ დავალების მიმცემი უნდა იყოს ბატონიშვილი.

ნუსხა მოთავსებულია ისეთ ხელნაწერში, რომელიც მთლიანად წარმოადგენს თეიმურაზ ბატონიშვილთან დაკავშირებული პირების (დ. ჩუბინაშვილი, სვ. ტაბიძე) ან

თვით თეიმურაზ ბატონიშვილის ნამოდგაწარს. ამიტომ ამ დავალები მიმცემი მხოლოდ თეიმურაზ ბატონიშვილი შეიძლება იყოს.

* * *

ამრიგად, მივიღეთ შემდეგი: S 3677 ხელნაწერის ნუსხა „მცირე უწყებისა“ არ არის გადაწერილი „ხუმარსწავლიდან“, არც მასზე გვიანდელი ნუსხაა.

ეს ნუსხა შექმნილია თეიმურაზ ბაგრატიონის ოჯახში. ნუსხის მომდგაწებელი არიან თეიმურაზ ბაგრატიონთან მოღვაწე პირები: სოლომონ დოდაშვილი, დავით ჩუბინაშვილი და... ნუსხას ათვალიერებს თეიმურაზ ბაგრატიონი. თავისი ხელით წერს შიგ რამდენიმე სათაურს. მაშასადამე, ნუსხა შექმნილია თეიმურაზისთვის.

ნუსხაში არის ტექსტზე მუშაობის კვალი – დავით ჩუბინაშვილის მიერ გადაწერილი გვერდი დაწუნებულია, ტექსტი შეცვლილია უკეთესით, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სათაური „მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის“, რომლითაც ეს თხზულება ცნობილია სამეცნიერო ლიტერატურაში, არ არის იოანე ბატონიშვილისაგან მიცემული. ეს სათაური მოიპოვება მხოლოდ სოლომონ დოდაშვილისეულ ნუსხაში. იგი ჩაწერილია მასში თვით დ. ჩუბინაშვილის ხელით.

ამას უნდა დაეუმატოთ ის, რომ „მცირე უწყება“ „ხუმარსწავლაში“ გადაწერილი ჩანს იმგვარი დედნიდან, როგორც დოდაშვილისეულია. ამის თქმის საფუძველს იძლევა შემდეგი:

ჩვენამდე მოღწეული „ხუმარსწავლის“ ტომები, რა თქმა უნდა, არის ამ თხზულების გადათეთრებული ცალები. ყველაფერი, რაც ამ ტომებში წერია, იოანეს ჯერ შავად ექნებოდა დაწერილი, ამრიგად, იოანე ბატონიშვილსაც „მცირე უწყება“ გარკვეული ნუსხიდან აქვს გადაწერილი.

ამ ნუსხაში სათაურები იმგვარივე უნდა ყოფილიყო, როგორც დოდაშვილის ნუსხაშია.

სოლომონ დოდაშვილის ნუსხაში მოღვაწეთა დახასყელება ძირითადად ხდება ამგვარად:

ნიკოლოზ კათალიკოზისათვის

იოანე ბოლნისელისათვის

ექვთიმე ათონელისათვის და სხვ. ე. ი. თანდებული „თვს“ ბოლოში აქვს მირთული სახელებს.

იოანე ბატონიშვილს განუზრახავს თანდებული „თვს“ „წყობილსიტყვაობისამებრ“ წინ მოექცია სახელებისათვის, მაგრამ ეს წესი თანმიმდევრულად ვერ დაუცავს. თანდებულის წინ გადატანა ზოგჯერ დავიწყებია, ამიტომ არის, რომ მასთან სათაურებს ხან თავში აქვთ თანდებული, ხან ბოლოში.

გვხვდება თანდებულის ორმაგი ხმარების შემთხვევებიც – თავსა და ბოლოში. და გვაქვს ასეთი სათაურები:

თვს მამისა ილარიონ კახისათვის

თვს ღირსისა მამისა ზაქარია მირდატის ძისათვის

თვს გიორგი ათონელისათვის

თვს მამისა გიორგისათვის

თვს მამისა ქრისტოდულე ოსად წოდებულისათვის

ანტონისათვის კათალიკოზისა, მეფის იესეს ძისა, დავითიან ბაგრატიონისათვის.

თვს ღირსისა მამისა გერმანე დაყუდებულისათვის

ცხადია, „წყობილსიტყვაობის“ მიბაძვის სურვილით იოანე „თვს“ თანდებულს წინ წერს შეგნებულად და შემდეგ მექანიკურად იწერს დედნიდან სათაურს თავის ბოლო თანდებულიანად.

აქედან ჩანს, რომ „თვს“ თანდებულის წინ დაწერა შემდეგ მოფიქრებული ცვლილებაა და დედანში, საიდანაც იოანე იწერდა ტექსტს, ასე არ უნდა ყოფილიყო.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ დოდაშვილის ნუსხა, რომელიც არ არის გადაწერილი „ხუმარსწავლიდან“, უნდა მომდინარეობდეს იმ ნუსხიდან, საიდანაც იოანე იწერდა ტექსტს „მცირე

უწყებისას“.

როგორ უნდა წარმოვიდგინოთ ეს ამბავი?

შეიძლება დავუშვათ, რომ, სანამ „ხუმარსწავლაში“ გადაწერდა, იოანემ „მცირე უწყების“ შავი დედანი ათხოვა თეიმურაზს გადასაწერად და თეიმურაზის ქვეშევრდომებმა სასწრაფოდ, ერთმანეთის მონაცვლეობით შექმნეს პირი ამ თხზულებისა. ამავე დროს, მათ გაუჩნდათ ინტერესი – იოანეს ნაშრომი შეედარებინათ „წყობილსიტყვაობისათვის“ და გაეგოთ, როგორ გამოიყენა იოანემ ის, რა გამოტოვა ან რა გადაადგილა, ე. ი. მოეხდინათ იოანეს ნაშრომის რევიზია.

იოანეს ნაშრომში იყო გაუქმებული გვერდი. ჩუბინაშვილი ვერ მიხვდა და მაინც გადაწერა?

ვფიქრობთ, ყველაფერი ეს ნაკლებ არის შესაძლებელი.

უფრო დასაშვებად მიგვაჩნია შემდეგი ვარაუდი:

იოანე ბატონიშვილმა თავის ძმას – თეიმურაზს სთხოვა დაეწერა „მცირე უწყება“. თეიმურაზმა შექმნა „ხუმარსწავლის“ ეს ნაწილი, მონიდლომა მისი პირის დატოვება და სანამ იოანეს გადასცემდა, თავის ქვეშევრდომებს სასწრაფოდ გადააწერინა.

შეიძლება გადამწერებმა თხზულების გადაწერა მაშინ კი არ დაიწყეს როდესაც თეიმურაზმა დაასრულა იგი. არამედ იწერდნენ თანდათან. იწერდნენ თეიმურაზის შრომის პროცესში ნაწილ-ნაწილ გამზადებულ თავებს. მაშინ შეიძლება ავსხნათ დავით ჩუბინაშვილის მიერ გადაწერილი და დაწუნებული ნახევარი გვერდის ამბავი – თეიმურაზმა ჯერ მისცა გადასაწერად იმგვარი ვარიანტი, შემდეგ მისი შეცვლა მონიდლომა და გადაწერილი გვერდი გააუქმებინა, ახლებური ვარიანტი გადააწერინა.

* * *

რამდენად არის შესაძლებელი იმის დაშვება, რომ თეიმურაზ ბაგრატიონმა დაწერა „ხუმარსწავლის“ ეს ნაწილი?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა გავითვალის-

წინთ როგორ შეიქმნა საერთოდ „ხუმარსწავლა“?

დღეისათვის სადავო არ არის ის ფაქტი, რომ იოანე არ არის „ხუმარსწავლაში“ მოთავსებული ყველა სამეცნიერო შრომის ავტორი. „ხუმარსწავლის“ შექმნით იოანემ მიზნად დაისახა „იმდროინდელი საქართველოს ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის დასურათება და მკითხველისათვის ცოდნის დარგების ზოგადი გაცნობა“.¹

„ხუმარსწავლის“ სახით მან შექმნა პირველი ქართული ენციკლოპედია, რომელსაც მკითხველისათვის უნდა მიეწოდებინა ცოდნა იმდროინდელი მეცნიერული მიღწევების შესახებ.

იოანემ შექმნა მხატვრული ქარგა, რომელშიც მოხდენილად ჩაურთო გამზადებული მეცნიერული ნაწილები – მრავალი ქართული ორიგინალური თუ ნათარგმანი ძეგლი. მკვლევარ გივი მიქაძეს აღნიშნული აქვს: „თხზულების საკმარისად დიდი ნაწილი, მეტადრე მეცნიერულ-ფილოსოფიური, წარმოადგენს რუსული სახელმძღვანელოების უშუალო თარგმანს თუ კომპილაციას“²

ამრიგად, თვითონ წიგნის სისტემა, მისი ენციკლოპედიური ხასიათი აიძულებდა იოანეს გამოეყენებინა ქართული თუ უცხოური ლიტერატურისა თუ მეცნიერების მონაპოვარი, თავის წიგნში ჩაერთო სხვათა შრომები.

„ხუმარსწავლის“ მრავალ ნაწილში მისაწოდებელ ცოდნას, „სწავლას“ სჭირდებოდა დამუშავება, თარგმნა თუ ახლად დაწერა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ საქმეში მან მრავალი პირი დაიხმარა.

იოანეს გარშემო ჰყავდა ქართველ მოღვაწეთა კოლექტივი, რომელიც შთაგონებული იყო „მშობლიური ქვეყნისა

¹ ქართული ლიტ. ისტორია 1966, თბ., ტ II, გ 724

² იქვე, გვ. 719

და ხალხისათვის სარგებლობის მოტანის“ იდეით.

იოანე შეუდგა დიდ ეროვნულ საქმეს – ქართული ენციკლოპედიის შედგენას და ამ საქმეში მან დარაზმა და მუშაობაში ჩააბა თავის გარშემო მყოფნი.

ლ. ქუთათელაძის თქმით, „იოანე ბაგრატიონი იყო პეტერბურგის ქართული კოლონიის სულისჩამდგმელი. ამ კოლონიის წევრთა მთარგმნელობითი მუშაობის წარმმართველი, მათ შორის ყოველგვარი ლიტერატურული საქმიანობის წამომწყები და ორგანიზატორი“.¹

შემონახულია მრავალი ანდერძი, რომლებშიც, „მისი დავალებით და მისდამი დიდი პატივისცემით გამსჭვალული“ მოღვაწენი მიმართავენ იოანე ბატონიშვილს, როგორც მათი საქმიანობის ხელმძღვანელსა და სულისჩამდგმელს.²

საინტერესოა ბაგრატ ბატონიშვილის ანდერძი, რომელიც ერთვის მის მიერ 1819 წელს გადაწერილ თხზულებას – „ფეიერვერკისათვის“ (S 360). რა არის „ფეიერვერკი“, ამაზე იოანე ბატონიშვილი მსჯელობს „ხუმარსწავლაში“ და, რა თქმა უნდა, აინტერესებდა ამ საკითხის შესახებ წიგნი. ამ წიგნის გადაწერა მას დაუვალებია თავისი ძმისთვის. ბაგრატ ბატონიშვილის ანდერძში ვკითხულობთ: „უგანათლებულესო ძმაო იოვანე! ბრძანებული თქუჴნ მიერ სრულ ვჴყავ – ამა წიგნისა გადაწერად და უძღვნი თქვენს უგანათლებულეობას სასხოვრად ჩემთვის, რათა მიიღოთ და მამყოფოთ თქუჴნის უგანათლებულეობის მდაბალი მოსამსახურე თქუჴნი ძმა ბაგრატი თუთ პეტერბურხსა შინა, წელსა 1819, თუჴსა მარტსა 12“ (90 r).

უნდა ვიფიქროთ, რომ ასევე დაავალებდა იოანე თავის გარშემო მყოფთ და უპირველესად თავის ძმებსა და ძმის-

¹ ლ. ქუთათელაძე, იოანე ბაგრატიონის ქართული ლექსიკონი, თბ., 1975, გვ. 5

² იქვე, გვ. 6-9

შვილებს იმ წიგნთა თარგმნას, რომლებიც სჭირდებოდა მას „ხუმარსწავლისათვის“. არ არის გამორიცხული, რომ მას სხვისთვის დაევალებინა „ხუმარსწავლის“ რომელიმე სამეცნიერო ნაწილის დაწერაც. წიგნის ხასიათი, სისტემა კარგად უნდა შეგუებოდა ამგვარ ამბავს.

მთავარი გმირის, იოანე ხელაშვილის პირით იოანე ბატონიშვილი ცდილობს განათლება შეიტანოს ხალხში, მისცეს იმ დროისათვის მეცნიერების ყველა დარგში მოპოვებული ცოდნა. იოანეს არა აქვს პრეტენზია, რომ ეს ცოდნა მისი მოპოვებულია. მეცნიერების სხვადასხვა დარგში მიღწეული სიახლე თავის დამსახურებად არ სურს რომ წარმოაჩინოს. პირიქით, იოანე ხელაშვილი თავისი ქადაგებებით ცდილობს საზოგადოებას აუწყოს რაც უკვე მიღწეულია, მაგრამ გაუნათლებლობის გამო საზოგადოებამ ეს არ იცის. ამიტომ იოანეს ქადაგებას ხშირად მოსდევს ხოლმე შეცხადებები: „ეი, ჩემ თავს, ეს როგორ არ იცით!“ და შემდეგ ხდება მითითება ლიტერატურაზე. ეს მითითებები ხდება როგორც მეცნიერული წესით, ისე მხატვრულად.

მაგალითად, (გრძლად იხილე ხრონოლოგისა შინა) ან პირდაპირ სქოლიოში წიგნის სათაურის, ტომისა და გვერდის მითითებით.

„ხუმარსწავლაში“ ხდება გამოყენებულ ლიტერატურაზე მითითება. ზოგჯერ ეს მითითებები მხატვრული ხასიათისაა. მაგალითად: ბერი იოანე მსჯელობს შვიდი საიდუმლოს შესახებ. მღვდელი ეკითხება: „ბატონო, სადანა წერია ეგენი?“

პასუხი: „უი ჩემს თავს, მომიტანე კურთხევანი და კონდაკი“.

უფრო ხშირად მითითებები მეცნიერული წესითაა: წიგნის ან ავტორის დასახელება გვხვდება აშიებზე, სქოლიოში ან ტექსტშივე – ფრჩხილებში.

მაგრამ ეს ხდება მხოლოდ იმ ლიტერატურის მიმართ, რომელიც იოანემდე იყო შექმნილი და ცნობილი.

მოუხდებოდა კი „ხუმარსწავლას“, იოანეს რომ მიეთითებინა: ესა და ეს ამას და ამას ვათარგმნინე, შევამოკლებინე ან დავაწერინე?

ძალაუნებურად მიიჩქმალა იოანეს თანამშრომელთა დვაწლი.

ამრიგად, სავსებით დასაშვებად ჩანს ვარაუდი, რომ იოანე ბატონიშვილს თავის ძმისთვის – თეიმურაზ ბაგრატიონისთვის ეთხოვა დაეწერა „მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის“ და ეს თხზულება ისე გადაეწერა „ხუმარსწავლაში“, რომ არ მოეხსენებინა მისი ნამდვილი ავტორი.

§ 3677 ხელნაწერის ნუსხა „მცირე უწყებისა“ ერთგვარად გამცემია ამ საიდუმლოსი.

ნუსხა გადაწერილია ისეთი პირების მიერ (ს. დოდაშვილი, დ. ჩუბინაშვილი...) რომ შეიძლება დავეჭვდეთ – თავის მხრივ თეიმურაზ ბაგრატიონმა ხომ არ მოიხმარა ამ დავალების შესასრულებლად თავისი განსწავლული ქვეშევრდომები?

ნუსხის მიხედვით ეს პირები მხოლოდ გადამწერებად ჩანან. როგორც მითითებული გვაქვს, სოლომონ დოდაშვილი ზოგჯერ კარგად ვერ კითხულობს დედნისეულ სიტყვებს და ტოვებს ცარიელ ადგილს ან მრავალ წერტილს სვამს. მიუხედავად ამისა, ის მაინც უნდა ვივარაუდოთ, რომ იყო ერთგვარი რჩევა და აზრთა გაზიარება თეიმურაზსა და ამ პირთა შორის.

აკად. ექ. თაყაიშვილი, რომელსაც ხელთ ჰქონდა § 3677-ის „მცირე უწყების“ ნუსხა და გამოაქვეყნა მისი მიხედვით ტექსტი, შეეცადა მიეგნო ამ თხზულების ავტორისათვის.

„ვინ უნდა იყოს ეს პირი?“

დასვა მან კითხვა და შემდეგ მრავალი არგუმენტი მონახა იმისათვის, რომ დამტკიცებით ეთქვა: „ყველა ზემოთ მოყვანილ საბუთების მიხედვით ამ ახლად დასტამბულს საინტერესო „მცირე უწყებას ქართველთა მწერალთათვის“

ჩვენ მივაწერთ თეიმურაზ ბატონიშვილს.¹

თუ ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად შეიძლება ახლებურად გადაწყდეს „მცირე უწყების“ ავტორობის საკითხი, მაშინ უნდა ითქვას, რომ დიდი მეცნიერის ადლომ უტყუარად დაუკავშირა ამ თხზულებას თეიმურაზ ბაგრატიონის სახელი.

P.S

სანკტ-პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში დაცულია თეიმურაზ ბაგრატიონის ხელნაწერი 27. მასში თეიმურაზს ჩამოწერილი აქვს:

წ ~თა მოწამეთა და დიდთა სხუათა წ ~თა მძლეთა სახელნი: ...

ღირსთა და ღმერთ შემოსილთ მამათა ქართველთა მნათობთა სახელნი: ...

ღირსთა და ღმერთ შემოსილთ მამათა ქართველთა სახელნი: ...

... და აგრეთვე მამათა სიბრძნის მოყუარეთა და ფილოსოფოსთა სახელნი..

და სხვა მოღვაწეების სახელები.

თეიმურაზ ბატონიშვილს ყდაზე დაუწერია: „რომელიმე საღმთოთა და სახმართა ტედრადნი შევაკვრევინე ერთად: მეფის ძემ თეიმურაზ.

წელსა 1819. ნოემბერს. 14

სანკტპეტერბურგს“.

ამ ხელნაწერში ჩამოწერილია „მცირე უწყების“ გეგმა.

ყოველივე ეს უქტკველად მოწმობს, რომ „მცირე უწყების“ ავტორი არის თეიმურაზ ბატონიშვილი.

მრავალთავი XX 2007 წ.

¹ ძველი საქართველო, I გვ. 99

სინას მთის ქართული ოთხთავები

სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობების მიხედვით¹ სინას მთაზე შემონახულია ოთხთავის ექვსი ხელნაწერი. ესენია: N15 ($y = 8$), N16 ($y = 7$), N19 ($y = 10$), N30 ($y = 11$), N38 ($y = 12$), და N81 ($y = 14$).

N 15, 16, 19 და 81 შედარებით სრულად არის მოღწეული. მათში მცირეოდენი ნაკლულოვანებით დაცულია ოთხთავის ოთხივე თავი: მათესი, მარკოზისა, ლუკასი და იოვანესი.

N 30 აკლია ლუკას სახარების ბოლო ნაწილი და მთლიანად იოვანეს სახარება. იგი წყდება ლუკას მეთე თავის 29-ე მუხლზე. ² N 38ს აკლია მათეს და მარკოზის სახარებები. აგრეთვე ლუკას დასაწყისი. იგი იწყება ლუკას მე13 თავის მე-2 მუხლით.³

sin38 გარიტს მიაჩნია sin 30-ის გაგრძელებად, – „Le cod. 38 est la suit du cod. 30“ – წერს ის ამ ხელნაწერთა აღწერილობებში.⁴ მაშასადამე, დაკარგულა სახარების მხოლოდ შუა ნაწილი ლუკა X, 29-დან ლუკა XIII, 2-მდე.

თუ ამ ორი ხელნაწერის მთლიანობას მივიღებთ მხედველობაში, მაშინ გვრჩება ხუთი ოთხთავი, რომელთაგან სამს უზის მეთე საუკუნის თარიღი – sin 15 (978 წ.), sin 16 (992 წ.), და sin 3038 (979 წ.), ორს კი შემდეგი დროისა – sin 19 (1076 წ.), და sin 81 (XII-XIII ს.).

მოცემული თარიღების საფუძველზე შეიძლებოდა დავეკვნა, რომ პირველი სამი ხელნაწერი, რომლებიც გიორგი მთაწმიდლის წინა ხანას ეკუთვნიან, ოთხთავის ძველი რედაქციის ტექსტის შემცველი იქნებოდნენ, ბოლო ორი კი,

¹ ა. ცაგარელი, Памятники грузинской старины в святой земли и на Синае, СПб, 1888. ივ. ჯავახიშვილი, სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1947; G. Garitte, catalogue des manuscrits georgiens litteraires du mont Sinai, 1956.

² იხ. გარიტის ზემო დასახ. ნაშრ. გვ. 69

³ იქვე. გვ. 144

⁴ გარიტი, გვ. 69, 144, 146.

რომლებიც გიორგი მთაწმინდელის შემდეგი დროისანი არიან – ახლისა.

ტექსტების შედარებისას გამოირკვა, რომ მხოლოდ sin 16 არ დაემორჩილა წინასწარმიღებულ დასკვნას. მასში აღმოჩნდა ახალი რედაქციის ტექსტი, რამაც ეჭვის ქვეშ დააყენა ხელნაწერის დღემდე ცნობილი თარიღი.

ხელნაწერის თარიღი მოცემულია თვით ხელნაწერის ანდერძში: ძალითა მადლითა და შეწევნითა ღუთისათა ღირს ვიქმენ მე გლახაკი და უნარჩუელესი ყოველთა დანიელ მოგებად და დაწერად წმიდისა ამის სულთა განმანათლებლისა სახარებისა სადიდებელად ღმრთისა და სალოცუელად საწყალობელისა სულისა ჩემისა, სულისა მოძღვრისა ჩემისა პროხორესასა და მამისა გიორგისა, სულსა (sic) მშობელთა ჩემთა, ძმათა... სულიერისა ძმისა ჩემისა იოვანე ხუცისა და ყოველთა... დაიწერა წმიდაჲ ესე ოთხთავი წმიდასა ქალაქსა იერუსალიმს, მონასტერსა, წმიდასა და მამობასა გიორგისსა, – ღმერთმან ადიდენ სული მათი, – ჰველითა გაბრიელ საყუარელისათა“ – ღმერთმან შეუნდენ! ქორონიკონი იყო სიბ (992 წ.).

ეს ანდერძი ხელნაწერში ამჟამად აღარ იკითხება. გარიტს იგი ცაგარელის აღწერილობის მიხედვით მოჰყავს.

ამ ანდერძში თვალშისაცემია შეუსაბამობა ქორონიკონით აღნიშნულსა და მოხსენიებულ პირთა ცხოვრების დროთა შორის. ხელნაწერის მომგებელი თავის სულიერ მოძღვრად ასახელებს პროხორეს და ამავე დროს აღნიშნავს, რომ „დაიწერა წმიდაჲ ესე ოთხთავი... მამობასა გიორგისსა“-ო.

როგორც ცნობილია, გიორგი ჯვრის მამად იყო პროხორეს შემდეგ, 1061 წლიდან.¹ მაშასადამე ეს ოთხთავი გადაწერილი ყოფილა XI საუკუნეში, 1061 წლის შემდეგ და არა 992 წ., როგორც ამას შეცდომით უთითებს ქორონიკონი.

ამრიგად, ხელნაწერში მოცემული ტექსტის ახალი რედაქციულობა სრულიად კანონზომიერი მოგვლენაა.

¹ ე. მ. ე ტ რ ე ვ ე ლ ი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ., 1962, გვ. 36.

სინურ ოთხთავთა ძველი რედაქცია

ორი ოთხთავი (sin 15 და sin 30-38), რომლებიც X ს-ში არის გადაწერილი, ტექსტობრივად ზუსტად იმეორებენ ერთმანეთს, ეს არცაა გასაკვირი, რადგან ორივე გადაწერილია თითქმის ერთსა და იმავე დროს (978 და 979 წლებში) და ერთი და იმავე პირის მიერ (sin 15 გადაუწერია იოანე-ზოსიმეს. იოანე-ზოსიმეს მონაწილეობითვე არის გადაწერილი sin 30-38. კერძოდ, ლუკასა და იოვანეს სახარება, ე. ი. sin 30-ის ბოლო და sin 38 მთლიანად. sin 30-ის დასაწყისი კი, მათესი და მარკოზის სახარება გადაუწერია ეზრა-ქობულენს)¹.

ჩვენთვის საინტერესო იყო ამ ორი ხელნაწერის მიმართება ოთხთავთა ძველ რედაქციებთან, როგორც ცნობილია, ასეთი რედაქცია სამია: ოპიზური (C), ურბნული (L), და ადიშური (L)².

ოპიზურის ნიმუშად ავიღეთ ჯრუჭის (936წ.) და პარხალის (973 წ.) ოთხთავები, რომლებიც გამოცემულია აკაკი შანიძის მიერ.³ ადიშურის ნიმუშად – ადიშის ოთხთავი. აგრეთვე გამოცემული აკაკი შანიძის მიერ.⁴ ურბნული რედაქციის ნიმუშად კი გამოვიყენეთ 1048 წ. პალესტინური ხელნაწერი H 1741.⁵

სამეცნიერო ლიტერატურაში ჯრუჭის ხელნაწერი აღნიშნულია ასოთი D, პარხლისა – E, ადიშის – C, პალესტინური – U.⁶

სინური ხელნაწერები, პირველ რიგში შევუდარეთ ოპიზურსა და ადიშურ რედაქციებს. შედარებისას გამოირკვა, რომ სინური ოთხთავების ძველი რედაქცია ზუსტად არ იმეორებს არც ოპიზურსა და არც ადიშურ რედაქციას. იგი მისდევს ხან ერთს, ხან მეორეს, ხან კი განსხვავდება ორივესაგან.

მოვიყვანთ ნიმუშებს ტექსტებიდან.

¹ გ ა რ ი ტ ი, გვ. 70, 146-150

² ი. მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ადიშის ოთხთავი, რედაქციულად, თბ. სახ. უნივერსიტეტის შრომები, XXVIII 1921-1946, გვ. 119.

³ ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, თბ., 1945.

⁴ იქვე.

⁵ ი. მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ. გვ. 119

⁶ იქვე, გვ. 120.

1. სინური ოთხთავი მისდევს ოპიზურს და განსხვავდება ადიშურისაგან

sin 15, sin 30-38	ოპიზური – DE	ადიშური – C
მათე	მათე	მათე
2,2 ვიხილეთ ვარსკულა- ვი მისი აღმოსავლეთით	ვიხილეთ ვარსკულა- ვი მისი აღმოსავლეთით	ვიხილეთ ვარსკულა- ვი მისი აღმოსავლეთით
2,6 ქუეყანად ეგე იუდადსი	ქუეყანად ეგე იუდადსი	ქუეყანად იუდადსი
შენგან გამოვიდეს მთავარი	შენგან გამოვიდეს მთავარი	შენგან გამოვიდეს დიდი იგი მთავარი
2,8 ჭეშმარიტად ყრმისა მისთვის	ჭეშმარიტად ყრმისა მისთვის	ყრმისა მისთვის ჭეშმარიტად
2,14 ხოლო იგი აღდგა და წარიყვანა ყრმად იგი	ხოლო იგი აღდგა და წარიყვანა ყრმად იგი	ხოლო იგი აღდგა და წარიყვანა ყრმად იგი
12,25 იცნოდა იესუ ზრახვანი იგი გულისა მათისანი და რჰქუა მათ: ყოველი მეუფე-ბად, რომელი განევითის თავსა თუსსა, მოლოჭრდის, და ყოველი ქალაქი გინა სახლი რომელი განევითის თავსა თუსსა ვერ დაემტკიცის	იცნოდა იესუ ზრახვანი იგი გულისა მათისანი და რჰქუა მათ: ყოველი მეუფე-ბად, რომელი განევითის თავსა თუსსა, მოლოჭრდის, და ყოველი ქალაქი გინა სახლი რომელი განევითის თავსა თუსსა ვერ დაემტკიცის	ვითარ ცნა იესუ ზრახვად იგი მათი, რჰქუა მათ: ყოველი სამეუფოთა გავთული თავსაზედა მისსა ალოჭრდის; და ყოველი ქალაქი ანუ სახლი, განყოფილი თავსა ზედა თუსსა, ვერ დადგეს

sin 15, sin 30-38	ოპიზური – DE	ადიშური – C
<p>ლუკა</p> <p>1,1 რამეთუ მრავალთა ჳელი შეყვეს აღწერად მოთხრობად გულ-სავსედ სარწმუნოვებისათუს ჩუენ შორის საქმეთა აღსრულებულთა</p>	<p>ლუკა</p> <p>რამეთუ მრავალთა ჳელი შეყვეს აღწერად მოთხრობად გულ-სავსედ სარწმუნოვებისათუს ჩუენ შორის საქმეთა აღსრულებულთა</p>	<p>ლუკა</p> <p>რამეთუ მრავალთა ჳელ-ყვეს ზეგარდამო განწესებად თხრობისად მის საქმეთა მათუს დამტკიცებულთა ჩუენდა მომართ</p>
<p>1,2 ვითარცა იგი მომცეს ჩუენ, რომელნი დასაბამითგან თუთმხილველ და მსახურ ყოფილ იყვნეს სიტყუსა მის</p>	<p>ვითარცა იგი მომცეს ჩუენ, რომელნი დასაბამითგან თუთმხილველ და მსახურ ყოფილ იყვნეს სიტყუსა მის</p>	<p>ვითარცა მოგუასწავეს ჩუენ, რომელნი დასაბამით თუალით მხილველ და მსახურ ექმნნეს სიტყუსა მას</p>
<p>13,9 მერმე მოგჳკუეთო ეპე</p>	<p>მერმე მოგჳკუეთო ეპე</p>	<p>მერმე მოგჳკუეთე ეპე</p>
<p>13,10 ასწავებდა მათ იესუ</p>	<p>ასწავებდა მათ იესუ</p>	<p>ასწავებდა მათ</p>
<p>13,11 დედაკაცი, რომელსა ვერ ეძლო ზეახილვად ყოვლითურთ</p>	<p>დედაკაცი, რომელსა ვერ ეძლო ზეახილვად ყოვლითურთ</p>	<p>დედაკაცი იყო, რომელსა ვერ ეძლო მას ყოვლითურთ ზეახილვად</p>
<p>13,15 მიუგო მას იესუ</p>	<p>მიუგო მას იესუ</p>	<p>მიუგო მას უფალმან</p>

sin 15, sin 30-38	ოპიზური – DE	ადიშური – C
<p>ლუკა</p> <p>15,20 იხილა იგი მამამან თუსმან და შეეწყა- ლა, და მირბიოდა იგი და დავარდა ქედსა ზედა მისსა და ამბორს უყოფდა</p> <p>16,2 რამეთუ არღარა კველ-გეწიფების შენ ამიერიოთგან მნობად</p> <p>16,5 და მოუწოდა კაცად- კაცადსა თანამდებ- სა უფლისა თუსისა</p>	<p>ლუკა</p> <p>იხილა იგი მამამან თუსმან და შეეწყა- ლა, და მირბიოდა იგი და დავარდა ქედსა ზედა მისსა და ამბორს უყოფდა</p> <p>რამეთუ არღარა კველ-გეწიფების შენ ამიერიოთგან მნობად</p> <p>და მოუწოდა კაცად- კაცადსა თანამდებ- სა უფლისა თუსისა</p>	<p>ლუკა</p> <p>იხილა იგი მამამან და შეეწყალა და აღღგა და სრბით მიეგებვოდა და შე- ეხვა ყელსა მისსა და ამბორს უყო</p> <p>რამეთუ არღარა ყოფად ხარ ჩემდა ეზოღს მოძღუარ</p> <p>და მოუწოდა თითო- ეულად, ვის რად თანა ეღვა უფლი- სა მისისაჲ</p>

**2. სინური ოთხთავი მისდევს ადიშურს და
განსხვავდება ოპიზურისაგან**

sin 15, sin 30-38	ადიშური – C	ოპიზური – DE
<p>მათე</p> <p>1,19 იზრახა ფარულად განტყვებად მისი</p> <p>1,20 და ვითარ იგი ამას ზრახვიდა ოდენ აჰა ანგელოზი უფ- ლისაჲ ჩუენებით გამოუჩნდა მას და რჰქუა</p>	<p>მათე</p> <p>იზრახა ფარულად განტყვებად მისი</p> <p>და ვითარ იგი ამას ზრახვიდა ოდენ აჰა ანგელოზი უფ- ლისაჲ ჩუენებით გამოუჩნდა მას და რჰქუა</p>	<p>მათე</p> <p>იზრახა ფარულად განტყვებად მისი</p> <p>ამას რად ზრახვიდა გულსა თუსსა ეჩუე- ნა მას ანგელოზი უფლისაჲ ჩუენე- ბასა ღამისასა და რჰქუა მას</p>

sin 15, sin 30-38	ადიშური – C	ოპიზური – DE
მათე	მათე	მათე
2,2 სადა არს რომელი იგი იშვა მეუფს ჰურიათაჲ	სადა არს რომელი იგი იშვა მეუფს ჰურიათაჲ	სადა არს ახლად შობილი იგი მეუფე ჰურიათა
2,8 რადთა მე მოვიდე და თაყუანის-ვსცე	რადთა მე მოვიდე და თაყუანის-ვსცე	რადთა მეცა მივიდე და თაყუანის-ვსცე
2,11 და აღახუნეს საუნ- ჯეთა მათთა და მოართუეს ძღუენი	და აღახუნეს საუნ- ჯეთა მათთა და მო- ართუეს მას ძღუენი	და აღადეს საფასე- თა მათთა და შეწი- რეს ძღუენი
2,13 ანგელოზი უფლისაჲ გამოუჩნდა ჩუენებით იოსევს	ანგელოზი უფლისაჲ გამოუჩნდა ჩუენებით იოსევს	ანგელოზი უფლისაჲ გამოუჩნდა ხილვით იოსებს
რამეთუ ეგულების ჰეროდეს მოძიებად ყრმისაჲ მაგის და წარწყმედად ეგე	რამეთუ ეგულების ჰეროდეს მოძიებად ყრმისაჲ მაგის და წარწყმედად ეგე	რამე თუ ეგერა მო- ძიებად ვალს ჰერო- დე და წარწყმედად ყრმასა მაგას
2,14 აღსრულებადმდე ჰეროდსსა	აღსრულებადმდე ჰეროდსსა	აღსრულებადმდე ჰეროდსსა
2,15 რადთა აღესრულოს თქუმული უფლისა მიერ წინასწარმეტ- ყუელისაგან რომელ თქუს: ეგვპტით უწოდე ძესა ჩემსა	რადთა აღესრულოს თქუმული უფლისა მიერ წინასწარმეტ- ყუელისაგან რომელ თქუა: ეგვპტით უწოდი ძესა ჩემსა*	რადთა აღესრულოს სიტყვად იგი უფლი- საჲ, თქმული წინას- წარ მეტყუელისაგან, ვითარმედ ეგვპტით უწოდო ძესა ჩემსა

* სინურსა და ადიშურს შორის არის მცირე ვარიანტული სხვაობა.

sin 15, sin 30-38	ადიშური – C	ოპიზური – DE
მათე	მათე	მათე
<p>2,16 წარავლინნა და მოწყვდა ყოველნი ყრმები, რომელნი იყვნეს ბეთლემს</p>	<p>წარავლინნა და მოწყვდა ყოველნი ყრმები, რომელნი იყვნეს ბეთლემს</p>	<p>წარავლინნა მოწყუედად ყოველთა ჩჩვლთა ყრმათა ბეთლემისათა</p>
<p>2,18 კმაჲ ჰრამადთ ისმა გოდებისაჲ და ტირილისაჲ და ღაღადებისაჲ მრავალი</p>	<p>კმაჲ ჰრამადთ ისმა გოდებისაჲ და ტირილისაჲ და ღაღადებისაჲ მრავალი</p>	<p>კმაჲ ჰრამადთ ისმა ტირილისაჲ და გოდებისაჲ</p>
<p>რამეთუ არა არიან</p>	<p>რამეთუ არა არიან</p>	<p>რამეთუ არა იყვნეს წინაშე მისსა</p>
<p>2,19 ხოლო რაჟამს აღესრულა ჰეროდე აჰა ანგელოზი უფლისაჲ გამოეცხადა ჩუენებით იოსეფს ეგვპტეს</p>	<p>ხოლო რაჟამს აღესრულა ჰეროდე აჰა ანგელოზი უფლისაჲ გამოეცხადა ჩუენებით იოსეფს ეგვპტეს</p>	<p>და რაჟამს მოკუდა ჰეროდე მუნთქუესვე ეჩუენა ანგელოზი უფლისაჲ იოსეფს ეგვპტეს შინა</p>
<p>2,20 და რჰქუა მოწყდეს, რომელნი</p>	<p>და რჰქუა მოწყდეს, რომელნი</p>	<p>და რჰქუა მას მოწყდეს, ყოველნი, რომელნი</p>
<p>2,21 წარმოიყვანა მოვიდა</p>	<p>წარმოიყვანა მოვიდა</p>	<p>წარიყვანა მივიდა</p>

sin 15, sin 30-38	ადიშური – C	ოპიზური – DE
მათე	მათე	მათე
2,22 ჰურიასტანს	ჰურიასტანს	ჰურიასტანსა ზედა
შეეშინა მისლვად მუნ და ბრძანებად მოილო ჩუენებით და წარვიდა ქუეყანად გალილეადსა	შეეშინა მისლვად მუნ და ბრძანებად მოილო ჩუენებით და წარვიდა ქუეყანად გალილეადსა	შეეშინა მუნ მისლვად და მოილო ბრძანებად ჩუენებით აგელოზისაგან წარსვლად გალილეად
2,23 და მოვიდა და დაეშინა ქალაქსა მას	და მოვიდა და დაეშინა ქალაქსა მას	მოვიდა და დაეშინა ქუეყანასა
თქუმული იგი წინასწარმეტყუელისა მიერ	თქუმული იგი წინასწარმეტყუელისა მიერ	თქუმული წინასწარმეტყუელისა
ლუკა	ლუკა	ლუკა
13,7 აჰა ესერა სამი წელი არს	აჰა ესერა სამი წელი არს	აჰა ესერა არს სამი წელი
13,14 შესაკრებელთ მთავარმან	შესაკრებელთ მთავარმან	შესაკრებლის მთავარმან მან
16,2 რად არს ესე რომელი მესმის შენთვის	რად არს ესე რომელი მესმის შენთვის	რად არს რომელი ესე მესმის შენთვის

sin 15, sin 30-38	ადიშური – C	ოპიზური – DE
ლუკა	ლუკა	ლუკა
16,3 რად-მე ვყო რამეთუ	რად-მე ვყო რამეთუ	რად-ვეყო რამეთუ
16,12 თქუენი იგი ვინ მოგცეს თქუენ	თქუენი იგი ვინ მოგცეს თქუენ	თქუენი იგი ვინ მოგცეს
16.15 თავთა თქუენტა	თავთა თქუენტა	თავთა თუსთა

3. სინური ოთხთავი განსხვავდება როგორც ოპიზური, ისე ადიშური რედაქციისაგან

sin 15, sin 30-38	ოპიზური – DE	ადიშური – C
მათე	მათე	მათე
2,9 დაადგრა ზედა სადაც იყო ყრმაჲ იგი	დაადგრა ადგილსა მას, სადაცა იყო ყრმაჲ იგი	დაადგრა სადაცა იყო ყრმაჲ იგი
2,12 სხვით გზით განე- შორნენ და წავიდ- ნენ	არამედ სხვით გზით წავრიდენ	სხვით გზით განე- შორნეს და წარ- ვიდეს
2,17 წინასწარმეტყუელ- ისაჲ	წინასწარმეტყუელ- ისაჲ რ~ლ თქუა:	წინასწარმეტყუელ- ისაჲ რ~ლ თქუა

sin 15, sin 30-38	ოპიზური – DE	ადიშური – C
ლუკა	ლუკა	ლუკა
1,15 ღვწოდ და თავრუჭი	ღვწოდ და თავრუჭი	ღვწოდ და სათრო- ბელი
1,16 ძეთა ისრაჲლისა- თაგანნი	ძეთა ისრაჲლისა- თანი	ძეთა მათგან ისრა- ჲლისათად
1,19 მიუგო ანგელოზმან მან და რჰქუა	მიუგო და რჰქუა ანგელოზმან მან	მიუგო ანგელოზმან და რჰქუა
2,19 ხოლო მარიამს და- ემარხნეს სიტყუანი ესე და დაედვა გულსა თუსსა	ხოლო მარიამს და- ესხნეს ყოველნი ესე სიტყუანი და დაედ- ვა გულსა თუსსა	ხოლო მარიამი ყო- ველსა მას სიტყუ- ასა დაჰმარხვიდა გულისკმაჰყოფდა გულსა თუსსა
13,24 მრავალნი ეძიებდენ შესლვად და ვერ უძლონ	მრავალნი ეძიებდენ სლვად და ვერ უძლონ	მრავალნი ეძიებდენ შესლვად და ვერ შეუძლონ
15,19 მყავ მე ვითარცა ერთი მუშაკთა შენ- თაგანი	მყავ მე ვითარცა ერთი მუშაკთაგანი	შემრაცხე მე ვითარ- ცა ერთი მორეწეთა შენთაგანი
15,30 და ოდეს მოვიდა ძმ ესე შენი	და ოდეს ძმ ესე შენი მოვიდა	რაჟამს მოვიდა ძმ იგი შენი

sin 15, sin 30-38	ოპიზური – DE	ადიშური – C
<p>ლუკა</p> <p>16.14 ესმოდა ესე ფარისეველთაცა</p> <p>16.21 და გული ეტყოდა განძებად ბიჭისაგან გარდამონაცვვნებისა ტაბლისაგან მის მდიდარისა, არამედ ძაღლნიცა მოვიდოდეს და ჰკლოწნიდეს წყლულსა მას მისსა.</p>	<p>ლუკა</p> <p>ესმოდა ესე ყოველი ფარისეველთა</p> <p>და გული ეტყოდა განძებად ნაბიჭვისა მისგან გარდამოცვვნებულისა ტაბლისაგან მის მდიდრისა, არამედ ძაღლნიც ამოვიდოდეს და სლოწნიდეს წყლულებათა მისთა</p>	<p>ლუკა</p> <p>ვითარცა ესმა ესე ყოველთა ფარისეველთა</p> <p>და სწადინ განძლომად ნაბიჭვისა მისგან, რომელი გარდამოვარდის ტაბლისაგან მის მდიდრისაჲსა, არამედ ძაღლნიცა ჰკლოწნიდეს ზუზღსა მისსა</p>

როგორც ტექსტების შედარებიდან ირკვევა, სინური ოთხთავები განსხვავდება ორივე რედაქციისაგან – როგორც ოპიზური, ასევე ადიშურისაგან. ეს სხვაობა არის ორთოგრაფიული, ვარიანტული და, ხშირად რედაქციულიც. ამის გამო შეიძლება დავასკვნათ, რომ სინური ოთხთავები იძლევიან მესამე ტიპის რედაქციას.

რადგან ძველი ოთხთავების, ე. ი. გიორგი მთაწმიდელის წინა დროის მხოლოდ სამი რედაქციაა ცნობილი: ოპიზური, ადიშური და ურბნული, და სინური ოთხთავები არ მიჰყვებიან პირველ ორს (ოპიზურსა და ადიშურს) მაშასადამე, ისინი უნდა მიეკუთვნონ მესამეს-ურბნულ რედაქციას.

მართლაც, სინური ტექსტის ურბნულ რედაქციასთან შედარებისას¹ გამოირკვა, რომ ყველაზე მეტი სიახლოვე ამ ტექსტებს შორის არსებობს. უმრავლეს შემთხვევაში,

¹ როგორც შესავალში აღვნიშნეთ, ურბნული რედაქციის ნიმუშად გამოყენებული გვაქვს პალესტინურის სახელით ცნობილი ხელნაწერი H 1741.

როცა სინური ტექსტი განსხვავდება ოპიზურისაგან ან ადიშურისაგან, ანდა ორივესაგან, ის მისდევს ურბნულს. ე.ი. ის სხვაობა, რომელიც ზემოთ ვაჩვენეთ – სინური ტექსტისა ოპიზურისა და ადიშური რედაქციების მიმართ, უმრავლეს შემთხვევაში წარმოადგენს ურბნული რედაქციის სხვაობას ზემოსხენებულ რედაქციებთან.

მიუხედავად ამისა, სინური ტექსტი მაინც არ წარმოადგენს ურბნული რედაქციის ზუსტ ასლს. მცირეოდენი სხვაობა შეინიშნება მათ შორისაც.

მოვიყვანოთ ამის ნიმუშებსაც.

sin 15, sin 30-38	ურბნული – 1714
მათე	მათე
1,20 და ვითარ იგი ამას ზრახვიდა	და ვითარ იგი ამას განიზრახვიდა
2,2 სადა არს რომელი იგი იშვა მეუფეჲ ჰურიათაჲ	სადა არს ახლად შობილი იგი მეუფეჲ ჰურიათაჲ
2,8 რადთა მე მოვიდე და თაყუანის-ვსცე	რადთა მეცა მივიდე და თაყუანის-ვსცე მას
2,9 დადგრა ზედა, სადაცა იყო ყრმაჲ იგი	დადგრა ადგილსა მას, რომელსა იყო ყრმაჲ იგი
2,11 და აღახუნეს საუნჯეთა მათთა და მოართუეს ძღუენი	და აღაღეს საფასეთა მათთა და შეწირეს მისა ძღუენი
2,12 სხუთ გზით განეშორნენ და წავიდნენ სოფლად თვისა	არამედ სხუთ გზით წარვიდნენ სოფლად თვისა

sin 15, sin 30-38	ურბნული – 1714
<p style="text-align: center;">მათე</p> <p>2,18 ტირილისაჲ და ღაღადებისაჲ მრავალი რაქელ სტიროდა</p> <p>2,19 ანგელოზი უფლისაჲ გამოეცხადა</p> <p>2,22 ბრძანება მიიღო ჩუენებით და წარვიდა</p> <p>12,25 რომელი განევთის თავსა თუსსა, მოოვრდის რომელი განევთის თავსა თუსსა ვერ დაემტკიცის</p>	<p style="text-align: center;">მათე</p> <p>ტირილისაჲ და ღაღადებისაჲ ვითარმედ რაქელ სტიროდა</p> <p>ანგელოზი უფლისაჲ გამოუჩნდა</p> <p>ბრძანებაჲ მიიღო ჩუენებით ანგელოზისაგან და წარვიდა</p> <p>რომელი განევთის თავსა თუსსა, ვერ დაემტკიცის რომელი განევთის თავსა თუსსა მოოვრდის</p>
<p style="text-align: center;">ლუკა</p> <p>1,64 აღულო პირი მისი და ენაჲ მისი</p> <p>1,65 ესე ყოველნი სიტყუანი</p> <p>2,3 თუსა ქალაქად</p> <p>15,15 მყავ მე ვითარცა ერთი მუშაკთა შენთაგანი</p>	<p style="text-align: center;">ლუკა</p> <p>აღულო პირი მისი და ენაჲ</p> <p>ყოველნი ესე სიტყუანი</p> <p>თუსსა ქალაქსა</p> <p>მყავ მე ვითარცა ერთი მუშაკთაგანი</p>

sin 15, sin 30-38	ურბნული – 1714
ლუკა	ლუკა
15,30 და ოდეს მოვიდა ძმ ესე შენი	და ოდეს ძმ ესე შენი მოვიდა
16,2 არღარა ჰკელ-გეწიფების შენ ამიერითგან	არღარა ჰკელ-გეწიფების ამიერითგან
16,3 თხოვად მრცხუენიან	თხოვად მრცხუენის
16,12 თქუენი იგი ვინ მოგცეს თქუენ	თქუენი იგი ვინ მოგცეს
16,14 ესმოდა ესე ფარისეველთაცა	ესმოდა ესე ყოველი ფარისეველთაცა
16,21 ბიჭისაგან გარდამონაცვუნებლისა	ბიჭისაგან გარდამოცვუნებულისა

როგორც მოყვანილი ნიმუშებიდან ჩანს, სინურ ოთხთავის ტექსტსა და ურბნულ რედაქციას შორის არსებული სხვაობა შეიძლება მოთავსდეს მხოლოდ ვარიანტული სხვაობის ჩარჩოებში და ეს ვარიანტული სხვაობაც ბევრად უფრო მცირეა, ვიდრე ამავე ტექსტის ოპიზურთან და ადიშურთან შედარებისას გვექონდა. ამის გამო X ს. სინური ოთხთავების ტექსტის რედაქციული სახის განსაზღვრისათვის შეიძლება ითქვას, რომ ის იძლევა ურბნული რედაქციის მცირედ განსხვავებულ ვარიანტს. მას შეიძლება ეწოდოს **ურბნულის სინური ვარიანტი**.

II სინურ ოთხთავთა ახალი რედაქცია

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ახალი რედაქცია ოთხთავისა შემოუნახავს სამ სინურ ხელნაწერს: sin 16, sin 19 და sin 81. ტექსტობრივად sin 19 და sin 81 ზუსტად იმეორებენ ერთმანეთს. შეიძლება ითქვას, წარმოდგენენ ერთმანეთის ასლს. sin 16 კი ხშირად იძლევა მათგან განსხვავებულ წაკითხვებს.

ამ ხელნაწერებში წარმოდგენილი ტექსტები ინტერესს იმსახურებენ იმით, რომ ისინი პირწმინდად არ მიყვებიან გიორგისეულ რედაქციას. ამ გადახვევას sin 19-სა და sin 81-ში ძალიან იშვიათად შევხვდებით. sin 16-ში კი ამისთანა შემთხვევა მრავალია. შეიძლება ითქვას, რომ sin 16 სწორედ იმიტომ განსხვავდება ხშირად sin 19-ისა და sin 81-საგან, რომ ის ამ შემთხვევაში განსხვავდება საერთოდ ახალი რედაქციისაგან.

საერთოდ კი, სამივე ხელნაწერი იძლევა იმის საკმაო საბუთს, რომ მათში კიდევ დავინახოთ ტენდენცია სახარების ტექსტის დამუშავებისა. მათში კიდევ ჩანს ცდები გიორგისეული ტექსტის ზოგიერთი ადგილის შეცვლისა ძველი ხელნაწერებიდან, სიტყვების ორთოგრაფიის გადასხვაფერებისა და სხვა. ამას კი თითქოს ადგილი აღარ უნდა ჰქონოდა. გიორგისეული ტექსტის დაკანონების შემდეგ, მას შემდეგ, რაც „ამ უკანასკნელმა რედაქციამ საბოლოოდ განდევნა ყველა დანარჩენი რედაქცია და იქცა ქართულ ვულგატად“.¹

გიორგისეული ტექსტის შეცვლას ადგილი არ უნდა ჰქონოდა, აგრეთვე, თუ ვიწამებთ ხელნაწერებში მოცემულ ანდერძებსაც.

sin 19 – „ახალ თარგმანილისაგან დაგვწერია და დედად დიად მართალი არს: ძუელთა სახარებათა ზოგ-ზოგი სიტყუად რა ეწამების.“²

¹ ა. შ ა ნ ი ძე „ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, თბ., 1945. გვ. 08.

² გ ა რ ი ტ ი, გვ 57.

sin 81-ახალ თარგმანილისაგან დაგიწერია და დიდად მართალ არს. ამათ ძუელთა სახარებათა ზოგი რაჲმე სიტყუად არ ემოწმების¹.

„ახალ თარგმანილისაგან დაწერილი არს, დედად მართალი არს“² – იმეორებს კვლავ სხვაგან გადამწერი.

მიუხედავად ყოველივე ამისა, როგორც ვთქვით, სინური ოთხთავები მაინც იძლევიან განსხვავებას გიორგისეულ ტექსტთან და „დედად მართალი“ არ არიან.

მოვიყვანოთ სათანადო ნიმუშებს:

sin 16, sin 19, sin 81	გიორგისეული რედაქცია
მარკოზი	მარკოზი
1,2 წერილ არს ესაია წინაწარმეტყუელსა*	წერილ არს წინაღწარმეტყუელთა მიერ
გზანი შენნი წინაშე შენსა*	გზანი შენნი წინაშე პირსა შენსა
1,3 კმაჲ ღაღადებისაჲ*	კმა მღაღადებლისაჲ
1,20 დაუტოვეს ზებედემამაჲ მათი მუშაკთა მისთა თანა**	დაუტოვეს ზებედემამაჲ მათი ნაესა შინა მუშაკთა მისთა თანა
1,27 რაჲ არს მოძღურებაჲ ესე ახალი	რაჲმე არს მოძღურებაჲ ესე ახალი

¹ გ ა რ ი ტ ი, გვ. 255.

² იქვე. გვ. 256.

* ძველი რედაქცია – DE

** ამ შემთხვევაში sin 16 მიყვება გიორგის. ამ რედაქციას იძლევა მხოლოდ sin 19 და sin 81

როგორც აღვნიშნეთ, sin 19 და sin 81 იშვიათად იძლევიან ახალ რედაქციასთან სხვაობას. მაგ. „მარკოზის სახარების პირველ ორ პარაგრაფში მათი სხვაობა მხოლოდ მოყვანილი ხუთი შემთხვევით შემოიფარგლება. სხვა მდგომარეობაა sin 16-ში.

აქ სხვაობის ნიმუშები ბევრი იძებნება.

sin 16	გიორგისეული რედაქცია და sin 19, sin 81
მარკოზი	მარკოზი
1,16 და ვ~ა წარვიდოდა ზღვასა მას გალილეაისასა იხილა	ხოლო ვიდოდა რად ზღვს კიდესა მას გალილეადსასა
1,16 აღადგინა იგი და დაუტევა იგი მკურვალეებამან მან	აღადგინა იგი და მეყსეულად დაუტევა მკურვალეებამან მან
1,40 მაშინ მოვიდა მისა ერთი განკეთრებული ევედრებოდა მას და მუკლნი დაიდგინა და ეტყოდა მას	მაშინ მოუკდა მას ერთი განკეთროვნებული ევედრებოდა მას და მუკლნი დაიდგინა და ეტყოდა
2,1 და შევიდა მერმე კაფარნაუმდ და შემდგომათა*	და შევიდა კუალად კაპერნაუმდ შემდგომად
2,2 და შეკრბა მუნ სიმრავლე ერისა*	და მეყსეულად შეკრბა მუნ სიმრავლე ერისა
2,6 გულთა მათთა	გულთა შინა მათთა

* = DE

sin 16	გიორგისეული რედაქცია და sin 19, sin 81
<p>მარკოზი</p> <p>2,7 კელეწიფების მიტევებად ცოდვათა გარნა მხოლოთა ღმერთსა</p> <p>2,8 ხოლო იესუ გულისკმა ყო სულითა რამეთუ ესრეთ ზრახვენ გულთა მათთა</p> <p>გულთა თქუნთა</p> <p>2,12 აღდგა იგი მეყსეულად</p> <p>2,13 და მერმე წარმოვიდოდა ზღვს კიდესა და ყოველი იგი ერი მისდევდა მას.</p> <p>2,14 და მერმე წარმოვიდოდა და იხი- ლა ლევი აღფესი ჯდა რად იგი საზუერესა ზედა და რჰქუა მას მომდევდი მე (= DE)</p> <p>2,15 ვითარ ჯდა იგი (= DE)</p> <p>2,16 ჰრქუეს მოწაფეთა</p>	<p>მარკოზი</p> <p>ვითარმედ: ესე გამობასა იტყვს: ვის კელეწიფების მიტევებად ცოდვათა გარნა მხოლოთა ღმერთსა</p> <p>ხოლო იესუ მეყსეულად გულისკმა-ყო სულითა, რა- მეთუ ესრეთ ზრახვენ გულთა შინა მათთა</p> <p>გულთა შინა თქუნთა</p> <p>მეყსეულად აღდგა იგი</p> <p>და კუალად განვიდა ზღვს კიდესა და ყოველი ერი მო- ვიდოდა მისა</p> <p>და წარვიდოდა, იხილა ლევი აღფესი მჯდომარე საზუერე- სა ზედა და რჰქუა მას მომ- დევდი მე</p> <p>ვითარცა ინაჯით – ჯდა იგი</p> <p>ეტყოდეს მოწაფეთა</p>

sin 16	გიორგისეული რედაქცია და sin 19, sin 81
<p>მარკოზი</p> <p>1,20 ოდეს ამაღლდეს მათგან სიძე იგი (= DE)</p> <p>2,22 არა განხეთქოს (= DE)</p> <p>2,26 აბიათარ მღდელთ მოძღრისა ზე (= DE)</p> <p>2,28 ა~დ უფალცა არს ძე კაცისად შაბათისათუს</p>	<p>მარკოზი</p> <p>ოდეს ამაღლდეს სიძე იგი მათგან</p> <p>არა განხეთქენს</p> <p>აბიათარ მღდელთ მთავრისა ზე</p> <p>ვინაძცა უფალ არს ძე კაცი-სად შაბათისაცა</p>

როგორც ვხედავთ, სხვაობა საკმაოა. ამ სხვაობისას sin 16 უმრავლეს შემთხვევაში მისდევს ოპიზურ რედაქციას, ზოგჯერ კი მისგანაც განსხვავდება.

საბოლოოდ, აღნიშნულ ოთხთავთა შესახებ შეიძლება ასე დავასკვნათ:

სინას მთაზე დაცულ სამი ოთხთავიდან (sin 16, sin 19, sin 81) რომლებიც გიორგი მთაწმიდელის შემდეგ ხანას ეკუთვნიან, ორი ოთხთავი – sin 19 და sin 81 – ერთი და იმავე ტექსტის შემცველია.

მესამე ოთხთავი – sin 16 – იძლევა განსხვავებულ რედაქციას. sin 19 და sin 81 მცირედ, მაგრამ მაინც განსხვავდებიან გიორგისეული რედაქციიდან. sin 16 იძლევა დიდ სხვაობას გიორგისეულ რედაქციასთან. იგი ხშირად უბრუნდება ძველ რედაქციას (კერძოდ, ოპიზურს), ზოგჯერ კი იძლევა სრულიად თავისებურ (ე. ი. არც ოპიზურსა და არც ახალის) ვარიანტებს.

სარჩევნო

ვეფხისტყაოსნის ერთი ეპიზოდის ფოლკლორული პარალელი	5
ნიკოლაოს იეროდიაკონის ვინაობისათვის	13
„ჟამნის“ ქართულად თარგმნის ისტორიიდან	49
XIX ს. ერთი უცნობი თხზულების ფრაგმენტი	62
მესხ მელექსეზე თქმული	85
შენიშვნა დავით გურამიშვილის ბიოგრაფიის ერთ დეტალზე	119
„ვეფხისტყაოსნის“ განმარტებათა რედაქციები S3677 ხელნაწერის მიხედვით	128
ჯავახური ენა მიძიმე	160
რას ამბობს მესხი მელექსე	168
გრიგოლ ხანძთელის „ცხორების“ ანდერძი	181
რუსთველოლოგიის ზოგიერთი პრობლემური საკითხი	206
„მცირე უწყების“ ავტორობის საკითხი	307
სინას მთის ქართული ოთხთავეები	339

